

644 /
1972/3



המקראות

(101) 5-6

5

1972



ტსკი

88151

179

გამოცემის მეთექვსმეტი წელი

5

მაისი

1972

თბილისი



საქ. კვ ტვ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



შინაარსი

— 50 —

თავისუფალ ერთა მკლე კავშირი ქმური

- 3. მავჯუა საკომოვა. ლექსები. თარგმნა ნაზი კილ-სონიამ
- 105. შოთა დევდარიანი. ვაზეთი „პრავდა“ და ამირ-პავასის გოლშვიტური კრება

კოეზი

- 5. ვახტანგ გორგანელი. ლენინი შაბათოვაჰი. ლექსი
- 51. ვახტანგ ჯავახიძე. ლექსები
- 54. გივი ალხაჯიშვილი. ლექსები
- 56. ანდრე აბულაშვილი. ლექსები
- 66. მანო ჩხიკვაძე. ლექსები
- 68. დოდო მუშაურიძე. ლექსები

კოეზი

- 6. ვაჟა ამირაჯიბი. დათა თუთაშხია. რომანი. გაგრძელება.
- 58. სოსო შინვარაული. შატილში. მოთხრობა

ქრონიკა

- 70. სარგი შილაია. შვილიები. მეორე წიგნი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

- 83. სანიტოვა. ლექსები. სომხურიდან თარგმნეს ზეზა მედულაშვილმა, გივი შაქნაზარმა
- 86. რომე კაიუა. ნოე. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა თამილა ცინცაძემ

ნარკვევი

- 95. ჯურხა ნადირაძე. ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები

წერილები

- 110. შალვა რადიანი. შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან
- 115. ჯანსუღ ღვინჯილია. „ცხრა კომეზა“
- 124. მუხამან ჯგუზური. „გუშინ ვიყავი სხვა“...
- 126. ჯგუზარ თითოერი. წიგნიდან მკითხველსამდე გამოცემლობა
- 129. მიხეილ გონიკაშვილი. კართველი უფლისწული რუსეთის სამეფო პარზი

კოლეზიკა

- 140. ანდრე აშაქიძე. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები
- 159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- პაპი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭკორი,
- გურამ გვარდნილი,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- ქარლო ქალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პავლოვი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაძე,
- ნოზარ წულეიშვილი,
- ტარიელ ვანტური,
- სარგი შილაია,
- თამაზ ვილაძე,
- ლაშა ჯანაშია.



თხვისუფალ ერთნ ქალე ქანქმირი ქმურნი

გააკაღა ხაიიოვა
გაჯიკილია

ღ ე ღ ა ბ ო ძ ი

ხანდახან ფრთები ისე მინდება.
ისე მინდება ზეცის დიდება:
რათა ჩემს მიწას, ჩემს დიდ საუფლოს
სიმაღლეებით გავესაუბრო.
ხელით მოვსინჯო მთელი სამყარო
და ნათლის სხივი გადმოვალვარო.
გაგიხსნათ მკერდი ჩუმი აღვრსით
ფრთხილად ჩაგხედოთ ლამაზ თვალებში.
ვინც ხართ, იყავით, ანდა იქნებით,
მე უნდა ავხსნა თქვენი ფიქრები.
სინდისო ჩემო, ო, ჩემო ღმერთო,
მე მათი ფურფლიც მსურს შევიერთო,
ვინც ბოროტებას აუკრა ხელი,
დაღვარა სისხლი წმინდა და ცხელი.
რათა, ვით თეთრი ბაირალები
მარად ჰყვაოდნენ ჩვენი ბალები.
ო, მიწავ ჩემო, — მე ვარ სიმღერა
და შენს სფეროზე ჩქერით მივლეღავ.
მე ქარიშხლებზე უფრო მარდი ვარ
და საზეიმო ზარით დავდივარ.
დღეს ვარ იგივე, რაც ვიყავ გუშინ,
მოყვასის თნობას ჩაგყვივით ყურში.
ხვალ, თუ გაჭირდა, — მე ვარ მახვილი,
ოდეს მომწვედება თქვენი ძახილი.
მაგრამ დღეს? დღეს ხომ მე ვარ გალობა.
მე ვარ ქალობა. მე ვარ წყალობა.
და მხრებზე მაწევს სიმძიმე მიწის.
ვარ დედაბოძი.

ეს დედამ იცის!



დ ა გ ე კ ე ბ

აპა, მოვედი, მოვედი,
 ო, რა შორიდან მოვედი.
 ვავტოპე ზღვა და მორევი,
 შენს სანახავად მოვედი.
 ყველას თვალბში შევყურებ,
 ყველგან შენს სახეს მოველი,
 ოღონდ შენ კარგად მეყოლე,
 ხედავ? რა შორით მოვედი?
 ვის კარზეც დავაკაკუნე,
 ვუთხარ, შენი ვარ მოხოველი;
 ვუთხარ — აქეთკენ გაგულე
 და მე იმიტომ მოვედი.
 მაინც არა ქნეს ურჯულოთ.
 თვალი ცრემლით მაქვს სოველი,
 შენ რად არ დამხვდი მეჯნუნი,
 მე ხომ ლეილი მოვედი?
 იქნება დამინახე და არც წართქვი ჩემი სახელი?
 იქნება უკეთესია, შენ რომ აქ ვერა გნახევი?
 ვერა, ვერც წყველას შეგიტვლი,
 ვერც ორთავ თვალის დაგსებას:
 მიჯნურო, მე უშენოდაც
 ხომ სიყვარულით საგვგ ვარ!

ი ყ უ რ ე , გ უ ლ ო

ვრჩები დუმილთან, ისე ვით გზებთან,
 რომელთაც მარად ხარად გავეყურებ.
 ეს იყო გუშინ. ვიყავი მუხესთან.
 ახლა ვარსკვლავთა ვარჩევ საყურეს.
 ო, სულს ჩემო, ოცნებავ ერთო,
 მე ვდუმვარ, რათა ის დაიტანჯოს.
 იქნება მიხვდეს, დაიწვას, ენთოს,
 დაიწვას ენთოს
 და დაიხარჯოს.
 აპა, ძვირფასო! სიმი ვარ მხოლოდ.
 ვამბობ. ვცანცახებ. ვკენესი და ვტირი.
 მაგრამ შენ მნახავ ბოლოსდაბოლოს,
 რომ სასიმღეროდ ამიწყო პირი.
 იყურე, გულო, ჩუმად. სულ ჩუმად.
 დე, ხმაი ჩემი დაიხშოს ქარში,
 დარჩეს ტოროლას ცახცახა ფრთაში,
 ან კიდევ ზღვაში, —
 სად სიყვარულის ნაღდ მარგალიტებს
 ასე იოლად არვინ არიგებს.
 იყურე, გულო!

თარგმან ნაზი კილასონიძე.

ლენინი უბათობაზე

წალმა მობრუნდა
 უკუმართად მბრუნავი ჩარხი,
 დაედო ზღვარი
 ამ ცხოვრების ამოვებას.
 შაბათი დღეა,
 გამოსულა მშრომელი ხალხი
 და მღელვარება მოსდებია
 წითელ მოედანს.
 ისიც აქ არის.
 მოაბრუნა ვინაც სამყარო,
 ვინაც სიცოცხლე
 გამარჯვების გზები აჩვენა,
 ვინაც ცხოვრებას
 საუკუნოდ ხუნდი აკყარა
 და კონტინენტებს
 გაუწოდა საქმოდ მარჯვენა.
 არა სასახლის
 თოვლისფერი ხელთათმანებით,
 არა ზეციდან
 მოვლენილი ლოცვით, ვედრებით,
 ის აქ მოვიდა
 იმ სიმხნევით,
 იმ ელვარებით,
 როგორც ქურასთან
 უროს იღებს ხელში მჭედელი.
 ის აქ მოვიდა,
 როგორც სუნთქვა გაშლილ მთაველის,
 როგორც სალამი
 სამშვიდობო გზაზე ნათქვამი.
 ის უბრალოა,
 როგორც პური, წყალი, ჰაერი,

როგორც წისქვილში
 გლეხი კაცი მიდის საფქვავეთ.
 შეხედავ, იტყვი:
 შუბლია თუ ლაქვარი შორი,
 ასეთი მზერა არ ექნება
 მთების არწივსაც.
 იმ მხრებით მიაქვს
 ხალხთან ერთად ვეება მორი,
 რომელ მხრებითაც
 დედამიწის ღერძი ასწია.
 მას მიაქვს მორი,
 და მის ხილვას გული შენატრის —
 ეს მან მიაგნო სათავეებს ბედნიერების —
 აი, როგორი უნდა იყოს თურმე ბელადი.
 ხალხის მხსნელი და
 წინამძღოლი ქვეყნიერების.
 მას მიაქვს მორი! —
 ეს სურათი დიდების ღირსი
 ახლაც წინ მიდგას,
 როგორ მისდევს ბრძენი მოედანს.
 სხვა არა მინდა,
 შვილთაშვილებს გამოჰყვეს მისი
 დიდი კაცობა,
 მისი დიდი უბრალოება.
 აპრილის დილას მოაცილებს
 გუთნისდედური.
 ველთა ღიმილი,
 გაზაფხულის თვალა კეთილი.
 ვიდგეთ მხარდამხარ,
 როგორც იდგა ხალხის ფერხულში
 შაბათობაზე გამოსული დიდი ლენინი.



დათა თუთაშხია

რომანი

კარი მერე

გაბუი სხვილი

„...ყაჩაღობის სახეობათა განსაზღვრა სამძებრო საქმეში აუცილებელია, ვინაიდან ბრძოლის სწორი მეთოდების შერჩევა საჭიროა. დათა თუთაშხია აბრაგთა სახეობას განეკუთვნებოდა. რამდენადაც ჩემი ხანგრძლივი დაკვირვებიდან ვაშეგება, მდაბიო ხალხის დამოკიდებულება აბრაგებისადმი შემდეგნაირია: მოსახლეობა აბრაგს აქტიურად თანაუგრძნობს და მხოლოდ ისეთს კი არა, ვინც ხალხის მოსარჩლეობა რაიმეთი გაამკლავნა, არამედ ისეთსაც, ვინც საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით მღევარს საბასუხო ტყვია ესროლა და მიიშალა. ასეთ დამოკიდებულებას საფუძვლად, ჩემის აზრით, ის ედო, რომ მიუხედავად მმართველობის სახისა და უფლებრივი პირობებისა, ხელისუფალთა მიმართ დაუმორჩილებლობა პერმანენტული მდგომარეობა იყო. ესა თუ ის ინდივიდუუმი პირადად მისთვის ხელმისაწვდომი ხერხით ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას. ცნობილია, დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის გაწევის ხერხთა დიდაზონი ფართეა: ვთქვათ, შემოსავლის მიჩქმალვიდან და ქურდობიდან დაწყებული — ვიდრე აბრაგის მფარველობამდე და თვით იარაღით მოქმედებამდე. ხსენებული ფსიქიკური მდგომარეობა განპირობებულია, ერთი მხრივ, ზოგადი საწყისით: განვი-

თარების, ცვლილების სტიქიური წყურვილით, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტულით, რომელიც მატერიალური დაინტერესების სფეროში უნდა ვეძებოთ.

თუ მართალია ის, რომ ადამიანთა სიხლოვე ურთიერთსაპირობების ნიადაგზე ხორციელდება, მაშინ ისიც სწორია, რომ რაც უფრო თავგამოდებით ესარჩლება ხალხს აბრაგი, მით პოპულარულია იგი და, მაშასადამე, მით მყარი დასაყრდენი აქვს მოსახლეობაში. ხალხი არც მძარცველებს და მკვლელებს ეუბნება უარს დახმარებაზე, მაგრამ ეს დახმარება, ძირითადად, მარტო შიშზეა დამყარებული. ხალხის მოსარჩლე აბრაგისთვის გაწეულ დახმარებას საფუძვლად შიშიც უდევს და პატივისცემაც. თვით დახმარების აღმოჩენა ამაგის გაწევას, ზრუნვას ნიშნავს, აბრაგის კეთილდღეობისთვის გაწეულ შრომას და საკუთარი ინტერესების, ხანდახან თვით სიცოცხლის, საშიშროებაში ჩაჯდება ნიშნავს. ეს კი ქმნის იმას, რასაც სიყვარულს ვუწოდებთ ხოლმე. თუთაშხიას შემთხვევაში, სახელდობრ, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი: ადამიანებს მისი შიშიც ამოძრავებდათ და პატივისცემაც. ისინი ზრუნავდნენ თუთაშხიაზე, მისი გულისთვის რისკს ეწეოდნენ და ამის შედეგად უყვარდათ კიდევ იგი, სანამ ზემოხსენებული ურთიერთსაპირობება არსებობდა.

მაგრამ უწყვეტი და მარადისი მზისა

გვარტლება. დასაწყისი იხ. „ცესკარი“ № № 2, 3, 4.



ქვეშ არაფერია და თუთაშხიას უზადო რეპუტაციამაც იწყო რყევა. საკვირველი ის იყო, რომ ამას იგი, თითქოს განზ-

რას, განუზრებლად და გამიზნულად აღწევდა. ჩვენ მის კომპრომეტირებას ტიურად ვუწყობდით ხელს...“

ბიზო ბაბიუვილი

— უმაღლესი სასწავლებელი ახალი დამთავრებული მქონდა. ხელმოკლედ ვიყავი, სამსახური უმაღვე დავიწყებდნავლეთ საქართველოში ჭიათურის საქციონერო საზოგადოება გზებს აწესრიგებდა, იმათთან დავდე კონტრაქტი და საქმეს შევუდექი.

ქალადიდის მიდამოებში პროფილები მქონდა გადასალები, ხელსაწყოს სატარებლად, ლატნის დასაქერად ორი კაცი ვიქოავე, იქაური გლეხები.

ერთ საღამოს ვივანშმეთ, მუშებმა კარები დასდგეს, ჯამაგირი მომთხოვეს. დრო იყო, ერგებოდათ და გავუსწორდო. მე ჩემ კარავში შევძვერი, მუშები — თავისაში. დავიძინეთ. დილით აღარც მუშები იყვნენ, აღარც ცხენები — მოპარეს და გამეჭყენენ. ისეთ უკაცრიელ ადგილში ვიყავი შესული, კაცი ათ-ათმეტ ვერსზე ციებით გავლენილი ჭაობების მეტს ვერაფერს ნახავდა. იმდენ ბარგსა და ბარხანას ორი ცხენი ძლივს ატარებდა, მარტო კაცი რას მოეჭეროდი! გერმანული სამზომელო ოპტიკა მქონდა, საზოგადოების საკუთრება იყო, მაშინდელ დროში ძალზე ძვირად ფასობდა. ის ყუთები ავოკიდე და საურმეზე გამოსასვლელად ჭაობებზე წამოვედი. შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მუხლამდის ტალახიან საურმე გზაზე გამოვალწიე. ვაი იმ გამოღწევას! ყუთების თასმებმა მარები ჩამაგლიჯეს. დაქანცულობა იქით იყოს, ჩემებმა ქუსლებზე ტყავი გადამაძერეს, კენესა კბილით მეჭირა. იმ ყილ-ყილში, როგორ და რანაირად ეხლაც არ ვიცი, საათი დამეკარგა. კარგი საათი იყო, პაველ ბურეს ფირმისა. ჩამოვკეჭი, ლოდინი დავიწყე, იქნებ ურემმა ჩამოიაროს, ან ვინმემ ცხენები ჩამოატაროს-მეთქი.

ვიანი დედაკაცის მეტი არავინ გაჯაქანებულა. თავებდს ვიწყველიდი, ეს რა დღეში ჩავვარდი-მეთქი, მაგრამ რაც მერე გადამხდა, საჯობა იმ გზისპირაში კიდევ სამ დღეს ვმჯდარიყავი. კაცმა რა იცის, რა ელის! ბედისწერამ ისე მოინდომა, რომ მაგ ყბადაღებულ დათა თუთაშხიას გადავეყარე.

დიდი უბედურება და ღვთის რისხვა დატრიალდა. რაც მე იმ საქმეზე პოლიციასა და ქანდარმერიაში მატარეს, იმდენი ზოგ კაცს სამსახურში არ უვლია. იმ ღამის, იმ ამბის შემდეგ თხუთმეტი, ოცი წელიწადი სინდისი მქენჯნიდა. ვერა და ვერ გავამართლე ჩემი თავი. დარდს ვერავის ვუზიარებდი, გულზე ქვასავით მაწვა. ორმოცდაათი წლის წინანდელი ამბავია. აღამიანი დროთა განმავლობაში თავისთავს ყველაფერს მიუტევებს, ყველაფერს ურიგდება, ყველაფრის გამართლებას პოულობს; ეხლა იმის გახსენება და სიმართლის თქმა ისე აღარ მემწენლება.

მოსალამოვდა. მშველელი აღარსაიდან გამოჩნდა. შეიდ-რვა ვერსზე დუქანი მეგულებოდა. იმ დუქანში რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი და ღამეც მქონდა გათეული. დურუ ძიგუას დუქანს ეტყოდნენ, მედუქნის გვარსახელის მიხედვით. დავიძარი. ცოტა ვიარე, ჩემმა ვერ ვიგუე, სიარული გამიჭირდა, ჩატყავებულ-ჩასიებულმა ქუსლებმა შემაწუნა. გავიძრე და უარესი დამემართა: უჩვევი ვიყავი, ფეხშიშველს ავიდლე დამადა. იარებზე რომ ტალახი მომხვდა, ისე დამეწვა. ვითომ ფეხები მარილწყალში მქონოდა.

ესე, ორი ვერსი მექნებოდა გამოვლილი. ბინდდება და ვფიქრობ, თუ და-

რამდენი ხანი ვიკეცი — ერთი ბავშ-

ვახუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

მილამდა, მთვარის ამოსვლამდის ნაბიჯ ვეღარ გადავდგამ-მეთქი. ცხენის ფლოქვის ხმას მოვკარი ყური. კი არ გამეხარა, შემეშინდა, ვითუ ვტყუვდებოდი: მერე ველარაფერი გავიგონე, დავრწმუნდი, მომეჩვენა-მეთქი და სიმწრისგან კინალამ თავში მუშტი წავიშინე. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივაყურე. ფლოქვის თქაფანი და ხმადაბალი საუბარი შემომესმა. ჩამოვკეჭი, დაველოდე; ჩემზე გახარებული და ბედნიერი ქვეყანაზე ალბათ არავინ იყო.

გამოჩნდნენ. ორნი იყვნენ, ორთავე ქვეითები, მაგრამ ერთს ცხენი მოჰყავდა სადავით. მომიახლოვდნენ. ერთი ბერი იყო, როგორც მერე გავიგე — მეროკივე ბერი, მეორე მგზავრი — რივიანად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდა კაცი. ნაბაღქვეშ ძვირფასი ქამარ-ხანჯალი და ხისბუდიანი მაუზერი შეენიშნე. სააქციონერო საზოგადოებას თავისი მცველთა რაზმი ჰყავდა, ერთი შეხედვით ეს კაცი რაზმელად ჩავთვალე. ბრგე კაცი იყო; მაინცდამაინც დიდი ტანისა არა, მაგრამ ზორბა და ღონიერი ჩანდა. ეს ახალგაზრდა კაცი ბოლოს დათა თუთაშხია გამოდგა.

გამისწორდნენ. ზეზე ავდექი, მივესალმე. ბერი გაჩერდა, მკითხა რა გავჭირვებია, აქ რას აკეთებო. თუთაშხიას ნაბიჯი არ შეუწელეებია, გამარჯობა მითხრა და გზა განაგრძო. ბერი რაში მჭირდებოდა, თუკი თუთაშხიას ცხენს ვერ გამოვიყენებდი. გავძახე, მოიცა შეკაი კაცო, ქრისტიანი არა ხარ, რას გარბიხარ-მეთქი!

გაჩერდა.

— რა გნებავთ, ბატონო?! — საკმაოდ ზრდილობიანად, მკითხა.

დასავლეთ საქართველოში ყველა ზრდილობიანია, ყველაფერს თავაზიანად აკეთებენ: სტუმრად მისულს ზრდილობიანად გიმასპინძლებენ; ალბათ, ყელის გამოჭრასაც ზრდილობიანად ახერხებენ.

ჩემი გასაჭირი აევუსხენი, ვთხოვე, ცხენი მომაჭირავე, ეს ხელსაწყოები დღურს დუქნამდე მიმატანინე-მეთქი.

— არ ვაჭირავებ ცხენს, ბატონო! მითხრა თუთაშხიამ მცირეოდენად მილის შემდეგ და დაიძრა.

გავშრი. ეს ერთადერთი ხსნა იყო და ესეც ხელიდან მეცლებოდა.

— გასაჭირი მაქვს და ამ უდაბურ ადგილებში ნადირის საძიძგნად უნდა დამტოვოთ?.. — მივაძახე გამწარებული.

ისევ გაჩერდა. ეხლა კარგა მანძილზე იდგა, ჯაგებისკენ იყურებოდა და ფიქრობდა.

ბერი მიუახლოვდა. უთხრა:

— ცოდვია, ადამიანის შეილია. დაეხმარე, სამაგიეროს მაღალი ღმერთი არ დაგიკარგავს!

თუთაშხიამ გაიცინა და თავის გზას გაუდგა.

ბერი სახტად დარჩა.

მერე ბერი, ის მოხუცი კაცი, მოვიდა, ჩემი ტვირთის ნახევარი წამოიკიდა და დაეძიართ. ცოტა ხანი ვიარეთ. თუთაშხიამ მოიხედა. არ ვიცი, ის ენიშნა, რომ მოხუცი კაცი იმსიმძიმე ტვირთს მიათრევდა, თუ სხვა რაიმე მოსაზრება ჰქონდა — გაჩერდა. ცხენს მიუტრიალდა, მოსართავები მოუჭირა. ვიფიქრე, შეჭდება და წავა-მეთქი. როცა დავეწიეთ, თუთაშხიამ ბერს ტვირთი ჩამოართვა, ცხენზე გადაჰკიდა. მეც გამომართვა, ესეც გადაჰკიდა.

— შებრძანდით, ბატონო! — მითხრა და შეჭდომაც მიშველა.

მიხვდი, ისეთი კაცი იყო, მადლობა უნდა მეთქვა და გავტვრენილიყავი. ესეთებთან ბერი ლაპარაკი ზიანის მეტს არაფერს მოგიტანს.

იასე ბერიც, ალბათ, იმასვე ფიქრობდა, რომ კრინტი არ დაუძრავს. თუთაშხიაც ჩუმად იყო. მხოლოდ კარგა ხნის მერე ჩაილაპარაკა თავისთვის:

— შემაცდინეს, მაინც!

მე იმ ნათქვამის ვერაფერს მივხვდი, მაგრამ იასე ბერმა იგულისხმა, თუთაშხია თავის საქციელს ნანობს, უღრტინველად რომ არ დამეხმარა, და ნუგეში სცა:

— ღმერთი მოწყალეა!



თუთაშხიამ გაიცინა:

— შე ის ვთქვი, შეეცდი, რომ შე-
გობრალო, მამაო!

ბერმა პირჯვარი გადაისახა, რალაც
წაიჩიღჩიფა. მე ისევ სიჩუმე ვარჩიე,
თუთაშხიას გული არ მოუვიდეს, არ
ჩამომხვას და ბარგიც არ მომიყაროს-
მეთქი. ისეთ წვალებას დავაღწიე თავი,
ღმერთმა ისე ერთბაშად ამყარა გასა-
პირი, რომ ცოტა ხნით თუთაშხიაც კი
გავამართლე; მერე რა, — ვფიქრობდი
მე, — ქვეყანა ქრელია, ღმერთს ათას-
ნაირი კაცი ჰყავს და სიკეთე ყოველ
მათგანს თავისებურად ესმის. ეს კაცი
ესეთია — რას იზამ?!

ჯაგებიდან გზაზე თხები გამოცვიფდ-
ნენ. თხებს ერთი სტვენა-ყიყინით ღუ-
რუ მედუქნეს ბიჭი, ძობა გამოჰყვა. მა-
შინვე დაგვინახა, მოგვიცადა და სამი-
ვეს სათითაოდ მოგვესალმა. ძობას ია-
სე ბერიც სცნობია, მოხუცი ღუქანში
თურმე ადრეც იყო ნამყოფი.

თუთაშხიამ ბიქს რალაც ჰკითხა, ყუ-
რი ვერ მოვკარი. ბიქმა სადავე ჩამო-
ართვა და მიუგო:

— იყენენ უკვე, დათა-ბიძია. აწი,
ხვალ შუადღემდე აღარ ჩამოივლიან!

ძობას პასუხიდან აზრი ვერაფერი გა-
მოვიტანე, ბაყაყების აუტანელ ყიყინს
მივაწერე, ალბათ რიგინად ვერ გავი-
გონე-მეთქი. რანაირი ყიყინი გაჰქონ-
დათ! რამდენი ბაყაყიც იყო, იმდენი
თავის ხმაზე გაიძახოდა.

ის ძობა მეტისმეტად მარდი და გო-
ნებამახვილი ბაეშვი იყო. ცოდნა, რა
თქმა უნდა, არავითარი არ ჰქონდა, მაგ-
რამ თავისი ბუნებრივი ნიჭით რამდენ-
ჯერმე გამოაცა. წერა-კითხვა და ანგა-
რიში როგორღაც თვითონ ისწავლა და
თავის უფროს დას, კიკუსაც ასწავლი-
და, ოღონდ კიკუ უნიჭო იყო. მოხდენ-
ილობასა და სილამაზესთან ერთად
ზომას გადასული ჰქუანაკულობა და
გულუბრყვილობაც ჰქონდა. უფრო
ზუსტად, კიკუ სულელზე მეტი იყო,
სულით ავადმყოფზე ნაკლები და მისი
გონებრივი დეფექტი ნათლად გამოხა-
ტულ სექსუალურ ხასიათს ატარებდა.

მაშ რით უნდა აიხსნას ის, რომ ერთ-
ხელ პირდაპირ მკითხა, მართლმადიდებელი
არა, რომ ბაეშვები ქალისა და მამაკაცის
ციხის ერთ ლოგინში წოლის მერე იბა-
დებიანო? დავიბენი. ამას თექვსმეტ-
ჩვიდმეტი წლის გოგო თითქმის უცნობ-
კაცს მეკითხებოდა ეგრება-მეთქი, მი-
ვუგე. ერთი საათის შემდეგ ისევ შემე-
კითხა, როგორ ხდება ეგ ამბავიო. თვა-
ლებში ცეცხლი ჰქონდა და ის ეშმაკუ-
რი ღიმილი უთამაშებდა, რომელიც
მოწმობდა, რომ ყველაფერს მიხვედრი-
ლი იყო, ან უკვე პრაქტიკულად იცოდა,
მაგრამ ჩემი განმარტების მოსმენა აინ-
ტერესებდა. სულელი ქალი ადვილი და-
საყოლიებელია. მამაკაცები ამ სისუს-
ტეს ალლოთი გრძნობენ და ამიტომ მათ
უფრო ეტანებიან, ვიდრე საშუალო გა-
რეგნობის, მაგრამ გონიერ ქალებს. კი-
კუ, თავისი იერით, ღუქანში მომსე-
ლელ მამაკაცებზე აღმგზნებად, გამომწ-
ვევად მოქმედებდა. ეს ქათინაურებსა
და ცულლუტურ შენიშვნებს იწვევდა
და სულ უფრო მეტად აღიზიანებდა ამ,
უკვე კარგად მოწიფულ ღოგოს. ერთი
სიტყვით, რაც ღმერთს ღურუს ოჯახი-
სთვის ნიჭი და გონებამახვილობა ჰქონ-
და განკუთვნილი, სულ ძობას ერ-
გო, ხოლო კიკუ, და სხვათაშორის,
თვით ღურუ ძიგუაც ნაკულად დარჩ-
ნენ. ერთხელ ძობამ ლექსების პატარა
კრებული დამინახა. ვაჩუქე. თვე არ
იყო გასული, ისევ ღუქანში მოვედი.
ყველა ლექსი ზეპირად ჩამიბუღებულა-
და ახლა როგორი გრძნობითა და სი-
მართლით! ღურუს შემოსავალ-გასავ-
ლის ანგარიში გაუჭირდებოდა ხოლმე
და ძობა აქ არა ჰყავდა! ბიქს გემი არ
ენახა. მკითხა, როგორიაო. გარეგანი
აგებულებაც ვუამბე და მუშაობის
პრინციპიც. დაჯდა და დახატა. ისეთი
წვრილმანები დაუხატა, რაც არც ამიხს-
ნია, არც მიხსენებია. ესენი საიდან იცი-
მეთქი? სხვანაირად ვერ იქნებო. გაგე-
ბული ჰქონდა, რომ გიმნაზიები არცე-
ბობს. ოცნებად გადაექცა, გიმნაზიაში

ვახუა ამიჩაჯიხი
დათა თუთაშხია



უნდა ვისწავლო, მხატვარი უნდა გამოვიდეთ. დურუს ქუთაისში ძმა ჰყავდა. ერთხელ შეჰპირდა, გაგზავნი და ისწავლეთ. ამ იმედით ცოცხლობდა ეს პატარა, ერთობ სანდომიანი ბიჭი — ძობა.

— როგორ ხარ, ძობა, ძამიკო? — თუთაშხიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო. რაღაცას ეძებდა.

— რა მიჭირს, დათა-ბიძია, ვარ, გვარიანად.

— აგერ, ფანქარი მოგიტანე, კი წესიერი ფანქარია, — თუთაშხიამ ბიქს ნახევარზე დაყვანილი ფანქარი გაუწოდა.

ძობამ სიხარულით და დიდი მადლობით გამოართვა, ფანქარი ენაზე მოისინჯა და ჰკითხა:

— ქალაღი თუ გაქვს, დათა-ბიძია?
— ქალაღი არ მაქვს, მარა კიდევ რომ მოვალ, მოგიტან უქვევლად.

ბიქმა უნდო ღიმილით შეხედა, მერე ანაზღად გამომეტყველება შეეცვალა და თქვა:

— კი მომიტან! შენ არ მატყუებ არასდროს. მამაჩემია, რომ მატყუებს სულ: ქუთაისში წაგყვან და გიმნაზიაში გასწავლო.

— ქალაღს მე მოგცემ, ძობა. ბევრ ქალაღს მოგცემ, სქელ რვეულს, — შევპირდი ბიქს.

დუქანი გზაჯვარედინზე იდგა და იმ მიდამოში ერთადერთი შენობა იყო. ირგვლივ ცოტაოდენი სახნავ-სათესი ერთკა. თვითონ დურუ ძიგუა დახლს უძღვებოდა და შხარეულობდა კიდევ, რადგან ცოლი კარგა ხნის გარდაცვლილი ჰყავდა. კიკუ, კერძების მიმტანის, მრეცხავ-დამლაგებლის და საწოლი ოთახების განმგებლის მოვალეობას ასრულებდა. ძობას ხანდახან თუ დაასაქმებდნენ, თორემ ისე დუქანში უქმად ტრიალებდა, ვაჭრობის სიბრძნეს ეუფლებოდა.

— ხალხი ბევრი გყავთ? — იკითხა თუთაშხიამ, როცა დუქანი გამოჩნდა.

— სამი კაცია. აგერ, თქვენც სამნი ბრძანდებით. ექვსი კაცი იქნებით სულ.

თითო ტახტს დავამატებთ და კარავდ მოვასვენებთ, — დაგვიმედა.

ერთი რამ იყო საკვირველი: გზა-გზა იქნებ ორი საათი გველო და მგზავრი ვერ გენახა, მაგრამ დურუს დუქანს მუშტარი მუდამ ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ ათ ვერსზე არც სოფელი ჰქონდა, არც სხვა რამ დასახლებული ადგილი.

ტვირთი დუქნის კარებთან ჩამოცალეთ. თუთაშხიამ ძობას ჰკითხა:

— ვინ კაცებია?

— ბოლო ყვალთავა და მისი ორი კაცია! — ძობას ნათქვამში საიდუმლომ დაიძღვრა.

„ბოლო ყვალთავა და მისი ორი კაციო!“ — ელდასავით მეცა. ეს ის ყაჩაღებია, ფოთში ბერძენების გემიდან ფუღი და სამკაულები რომ გაიტაცეს?! იქნებ სხვა ყვალთავაა, მაგრამ ესეთი დამთხვევა?

დათა!.. ეს კაცი რაღაცას ერიდება. ხვალამდის არ ჩამოივლიანო, ძობამ რომ უთხრა, — ვინ აღარ ჩამოივლის? ეს დათა აუცილებელი არ არის თუთაშხია იყოს, მაგრამ ესე დაქინებით რატომ ვფიქრობ თუთაშხიაზე!.. ცნობისმოყვარეობამ და სწორი პასუხის მიგნების სურვილმა ისე ამიტაცა, რომ ლამის ლეკვივით ავცმუტებულობდა.

ყვალთავას ხსენებაზე დათა ოდნავ შეეყოყმანდა, თითქო, ზღურბლის გადავლაც შეაგვიანა. მერე ისე ბერს გზა დაუგდო, დუქანში შეუშვა. შევატყე, ტუნებაში ხელი ჩაიქნია, ყვალთავა კი არა, თუნდ ბაყბაყდევი იყოს, რახან მოვედი, შევალ კიდევაცაო — იარაღი მიმალ-მომალა, ნაბადი შემოიტმასნა და ისე ბერს მიჰყვა.

მეც შევედი.

დუქანი კარგა მოზრდილი ოთახი იყო, ოთხი მაგიდით, სკამებით, და დურუს პატარა დახლით მარცხენა კუთხეში. დარბაზს ცალი გვერდიდან სტუმრებისთვის ორი ოთახი ეკვროდა. კარი არც ერთს ჰქონდა, არც მეორეს. მეორე გვერდიდან სამზარეულო და დურუს ოჯახის საცხოვრებელი ორი ოთა-



ზი იყო. თუთაშხიას ღუქანში შესვლის-
თანვე ღურუ მეღუქნემ დახლს თავი
შიანება, კარისკენ გამოეშურა, თუთაშ-
ხიასთან პირისპირ, სულ ახლოს მოვი-
და და ხმადაბლა უთხრა:

— მობრძანდი, დათა-ბატონო! კეთი-
ლი იყოს შენი სტუმრობა და ჩემი მას-
პინძლობა!

ამასობაში ღურუს კიკუც გამოგვეგე-
ბა, მამას გვერდში ამოუდგა, როგორც
ღიასახლისს შეჰფერის, თავაზიანად
მოგვესალმა და ჩემს ყუთებზე ააფაცი-
ცა თვალები.

ღურუ თავს იკავებდა, ცდილობდა
საგანგებო დახვედრა-მიღება სხვებს არ
შეენიშნათ, მაგრამ ახლოს ვიყავი, მე-
ღუქნეს სახეში შევეცქეროდი და თუ-
თაშხიასადმი მისი განსაკუთრებული
მოკრძალება არ გამომპარვია; მეღუქ-
ნეები ჩვეულებრივ მუშტარს ხაზგას-
მული თავაზიანობით ზედებიან; საბა-
ტო სტუმარს, სახელიან კაცს — უშუა-
ლო მოკრძალებით, გულახდილად ისე,
როგორც თუთაშხიას დაუხვდა ღურუ.

— როდის ჩამოიარეს? — თქვა თუ-
თაშხიამ ხმადაბლა და მივხვედი, რომ
გზაზე ძობასაც იგვივ ჰკითხა და ბაყა-
ყებმა კი გავონება არ დამაცადეს.

— იყვნენ უკვე, დათა-ბატონო. აწი
ხვალ შუადღემდე აღარ ჩამოივლიან, —
მოუგო ღურუმ იმავე სიტყვებით, რო-
გორც ძობამ და დასძინა: — ესენი არ
გიცნობენ შენ. მე მკითხეს დათა თუ-
თაშხია თუ გინახავს სადმეო და რო-
დისმეო. — ღურუ თავის ქალიშვილს
მიუბრუნდა: — წადი ახლა, გოგო; მი-
ხედე სტუმრებს. უნდა ემსახურო და
სულ უღიმოდე სტუმარს, რა გითხარი
მე...

— ძალიან დიდი ფულები აქვთ მა-
გენს! — კიკუცმ ანთებული თვალები
ყვალთავს მაგიდისკენ სტყორცნა.

— მიდი ახლა, რომ გელაპარაკები...
ემსახურე კარგად და გაჩუქებენ კარ-
გად! — ღურუმ თუთაშხიას გაუღიმა
და დასძინა: — მომკლეს ბოვშებმა,
ქუთაისში გადავიდეთო. ა, ვწვალბ და
ვაჯახრობ რაცხას, ვაგროვებ ფულს...—

მეღუქნეს მოაგონდა, რომ ერთსა-
იგივეს ვინ იცის მერამდენედ ეუბნე-
ბოდა დათა თუთაშხიას, მიხვდა, ზედ-
მეტს რომ სჩადიოდა და აბრაგისტვის
საინტერესო ცნობა გაიმეორა: — არ
გიცნობენ აგენი, დათა-ბატონო. მე მე-
კითხებოდნენ, დათა თუთაშხია თუ გი-
ნახავს სადმე და როდისმეო...

თუთაშხია ჩემსკენ ზურგით იდგა,
მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ რაღაც
წაუჩურჩულა.

— როგორ გეკადრება, დათა-ბატო-
ნო!.. ღურუ ძიგუა ვარ მე. — ეს თუ-
თაშხიას წაჩურჩულების პასუხი იყო.

ექვები ერთბაშად დამიდასტურდა:
ჩემი თანამგზავრი დათა თუთაშხია აღ-
მოჩნდა. ღუქანში მოვანშმე „ბოდლო
ყვალთავა და მისი ორი კაცი“ — ცნო-
ბილი ყაჩაღები.

ეს სამნი მაგიდას ისე უსხდნენ, რომ
კარისკენ ზურგი არც ერთს არ ჰქონდა
შექცეული. ნაბდები სამთავეს სკამების
საზურგეებზე გადაეფინათ. ორ მათგანს
ფეხზე შეყენებული ვინჩესტერები მა-
გიდაზე მიეყულებინა, მესამეს — კე-
დელთან: თოფები ხელთა ჰქონდათ, იქ-
ვე, ერთ მტკაველზე. სამთავეს ხისბუ-
დიანი მაღზრები ეკიდათ და ქამარშიც
თითო დამატებითი იარაღი მოუჩანდათ.
ბარაქიანად მოოქვილ-მოოქრული ხანჯ-
ლები ჰქონდათ. საგულდაგულოდ, თით-
ქოს სადღეობოდ გამოწყებილები იყვ-
ნენ და მიმინოს თვალებით შემოგვეცქე-
როდნენ. ამ ხალხს და მათს მზადყოფ-
ნას რომ შევხედე — თხუთმეტ კაზაკს
ხუთ წამში დააწვენდნენ.

თუთაშხიამ შეპირებული ოთახის მი-
მართულებით გასწია. იქ თავისუფალი
მაგიდა იდგა, იმ მაგიდას მიაშურა. ღუ-
რუმ ჩვენთვის მოიცალა, მიგვიპატივა,
თუთაშხიას მიერ შერჩეული მაგიდის-
კენ გავვიძღვა, მაგრამ ეტყობოდა კი,
რომ ჩვენი მისვლით მაინცდამაინც გა-
ხარებული არ იყო; ალბათ იმის ვა-
რაუდმა შეაწუხა, რომ სადმე ვიტყო-

ვახუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია



დით, ღურუს ღუქანში ესა და ეს ხალხი ვნახეთო.

მე და იასე ბერი თუთაშხიასი არც ნაცნობები ვიყავით და არც არაფერი. უფრო გამართლებული იქნებოდა სხვადასხვა მაგიდებს მივჯდომოდით. აზრადაც არ მოგვსვლია! მივედით, გვერდზე მიუღსხედით. სკამზე დავეშვი და მაშინვე გავიფიქრე, რომ სწორად მოვიქეციოთ; ოღონდაც! ყვალთავასი და მისი ამხანაგების დამნაჩავი სხვას რას ვიზამდით. იმ აზრმა, რომ ყვალთავას შეშინებულები თუთაშხიას მაგიდას შევეფარეთ, ღიმილიც კი მომგვარა.

თავი არხინად ვიგრძენი და ის ხალხი რიგიანად შევეათვლიერე. ბოდლო ყვალთავა დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისა ჩანდა. მეორე ოცდაათისი, ოცდახუთისა იქნებოდა. მესამეს ჯერ წვერულვაშიც არ დასტყობოდა, მაგრამ დიდი ტანისა იყო, ბავშვურად ყოყოჩური გამოხედვა და მიხრა-მოხრა ჰქონდა. მაგიდაზე უხვი პურმარილი ელაგათ, ღვინოს დიდი ჯამებით სვამდნენ და სამთავეს ერთად, მთელ მათ ღრეობას აჯაგრული ზღარბის იერი დაჰკრავდა.

ბერისა რა მოგახსენოთ, მე ჩემსას ვიტყვი, იმათ შემხედავს ერთნატივობა დამიარა. გადატყავებულნი ქუსლებიც დამავიწყდა, ჩაწყვეტილი მხრებიც და დაქანცულობაც. შიშმა შემიპყრო, თავზარმა ამაწრიალა. ერთი ისეთი წამი მქონდა, რომ კინაღამ წამოგვარდი და გავიქეცი. თავი დროზე შევიკავე და ახლა ის ფიქრი მეტაკა, იქნებ თუთაშხიას სულაც არ ექაშნიკება მის მაგიდაზე ჩვენი ყოფნა და კი არ დაგვიტოვოს ან არ გადაჯდეს-მეთქი. ალბათ, იასე ბერიც ამასვე ფიქრობდა, რომ თუთაშხიას ორივემ ერთდროულად შევხედეთ. მის თვალეში სრული სიმშვიდე და განურჩევლობა სუფევდა. ის სიმშვიდე მეც გადმომედო. გავიფიქრე, მაგ მამაძალღებს, თუნდ ზარბაზნები სდგმიათ და აგერ იმ ტაფაზე კაცის ზორცის ხაშლამა ჰქონიათ. თუკი არავისთვის არა-

ფერი დამიშავებია, რატომ უნდა მემგონოდეს-მეთქი!

ერთხანს ყვალთავამ და მისმა ამხანაგებმაც მუყაითად, დავინებით, თითო-თითომ და სამთავემ ერთად გვათვალაიერეს. მერე თავისი ამღვრეული თვალეში მოგვაშორეს, სმა-ჰამა განაგრძეს და ამით, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა.

ძობამ ჩემი ხელსაწყობის მსუბუქი ნაჭრების შემოზიდვას მიპყო ხელი. მძიმე ყუთი კიკუსთან ერთად შემოიტანა. მორჩნენ, კიკუ მოგვიტრიალდა, რას ინებებთ, რა მოგართვათო, მაგრამ პასუხის მოსმენა აღარ დასცალდა, ბოდლო ყვალთავამ გამოსძახა:

— მოდი, გოგო, აგერ. დაანებე თავი მაგათ!

— ამ წუთში, ბატონო, სტუმრებს მივხედავ და გეახლებით. ამ წუთში! — თავაზიანად მიუგო კიკუმ.

— გესმის შენ, რას გელაბარაკები?! — დაიყვირა ბოდლო ყვალთავამ.

— დაიცადე ბატარა ხანს, ბოდლო, — უთხრა უმცროსმა, გვარსახელად ყურუქარდავამ. — ხალხია მაგენიც... რა იცი შენ!

ყურუქარდავას რჩევამ არ გასჭრა, ყვალთავამ თვალეში ააბრიალა, ისევ ყვირილი დააპირა. ეს კიკუმაც შენიშნა, შემოგვხედა, მხრები აიჩეჩა, გვანიშნა, აბა რა ექნა, გაღეშილები არიანო, ბოდიში მოგვიხადა და ყვალთავას სუფრასთან მივიდა.

ყვალთავას უზრდელობისთვის თუთაშხიას ყურადღება არ მიუქცევია. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება არაფრით გაუმჟღავნებია. იჯდა და საითლაც იყურებოდა.

— კიდევ ერთი დოქი ღვინო მოგვიტანე ჩვენ, — უთხრა ყვალთავამ კიკუს, როცა თვალეშის ბრიალს მორჩა. — ერთი დოქი მაგათ მიართვი, მანდ რომ დაჯდნენ. ყველი მოგვიტანე კიდევ.

ამ ხნის განმავლობაში შუათანა სტუმარი, კაზა ჩხეტია, ხარბად, მსუნაგი მზერიით ათვალაიერებდა კიკუს და გოგომ რომ დახლს მიაშურა, კაზა ჩხეტისამ ქინიანად ამოიხრიალა:

— ოხხხ!

მომინდელ სამეგრელოში ესეთი ამოხრიანობით ან დიდ აღტაცებას გამოხატავდნენ, ან განცვიფრებას, ან რაიმე ხეშიალს. ხანდახან გულის ჯავრიც ამოჰქონდათ. ეს დაბგერება ძლიერ გავრცელებული იყო.

კაზა ჩხეტიას კიკუსგან თვალი ვერ მოეშორებინა. ამ გოგოს მართლაც გააჩნდა ერთი რამ, რაც განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა: თვალეები ისე ჰქონდა განლაგებული, თითქოს ეს არის ეხლა გამოვლვიძა და ლოგინში ნებივრობსო. მისი იერი უქვევლად სარეცელს გაგახსენებდათ.

გარეთ დაღამდა. ძობამ შანდლები მოიტანა, ერთი ყვალთავას მაგიდაზე ანათო, მეორე — ჩვენთან. კიკუმ სტუმრებს დანაბარები დოქი გამოუტანა, მოძღვნილი ღვინო მოგვართვა და კვლავ გვეითხა, რას შეექცევითო.

მე და დათა თუთაშხიამ კერძები მოვითხოვეთ. ბერმა ყველაფერზე უარი თქვა, მარტო წყალი მომიტანეო.

კიკუმ ვერც ამჯერად მიაღწია დახლამდე — ყვალთავამ ისევ მიიხმო.

— წაილე ეს... ყველაფერი წაილე. ღვინო დატოვე, წნილი და ყველი. გადაგვიწმინდე მაგიდა. ერთი შანდალი მოიტანე კიდეც!

კიკუმ უმალ ასარულა ბრძანება.

კაზა ჩხეტია ქალიშვილს საგულისპირეში ჩასტკეროდა. კიკუმ შეამჩნია, ხელი დაიფარა.

— შერცხვა კიკუს! — ჩაიხითხითა ყვალთავამ, ჯიბიდან სათამაშო ქალაღლი ამოიღო და აქრას მიჰყო ხელი.

კაზა ჩხეტია კიკუს ხან დაწვევებს უთვალეირებდა, ხან მკერდს, ხან თეძოებს და როცა გოგო წაეიდა, თქვა:

— შერცხვა, თვარა ის მყავს... ღვთის მშობელი! ხუთ მანეთად აქვე გაიშვლდება, თუ გინდა.

— კაი ახლა, ნუ ლაპარაკობ მაგას, — ჩაილაპარაკა, ყურუ ქარდავამ.

— არ იცი შენ. პატარა ხარ ჯერეთ. ქალს ფარა ანახე, ფარა ყველაფერს აქნევიანებს. უჯიშოა ქალი, მოკლე ფე-

ხები აქვს. დააკვირდი და ნახავ, — მყოფო კაზა ჩხეტიამ ყურუ ქარდავას ყვალთავას უთხრა: — დაარიგე, არიგებ!

— მოკლე ფეხები? — ეს ყვალთავასაც გაუკვირდა. — მოიტანე შანდალს კიდეც და დაეარიგებ, აბა რას ვიზამ!

— კი, მოკლე. კაცზე მოკლე აქვს ფეხები ქალს. აბა, ქალის ფეხსაცმელი მაღალი ქუსლით მოგონილი რატომაა? ფეხს აგრძელებს და მიტომ, — თქვა კაზა ჩხეტიამ და ისევ დახლთან მოფუსფუსე კიკუს მიაშტერდა.

ძობამ ყაჩაღებს მეორე შანდალი მიუტანა. ყვალთავამ ჯამები შეავსო. სამივემ ძირამდის დაცალა და თამაშ შეუდგნენ.

კიკუმ ვახშამი ჩვენც მოგვიტანა. ისე ბერმა მორთმეული დოქიდან კიკუს მოტანილ წყალს ცოტაოდენი ღვინო ჩაუმატა, ქამარზე შებმული პარკი შემოიხსნა, პურის ნაჭრები ამოიღო და ბოლიწო ჩააბუქებუა.

ყაჩაღები ღვინოს ეძალებოდნენ და მსხვილად თამაშობდნენ. ერთხელ წაიკინკლავეს კიდეც. ისეთი მივრალეები იყვნენ, რომ ის წაიკინკლავება სერიოზულ ჩხუბდაც გადაიქცეოდა, მაგრამ ყურუ ქარდავამ დასთმო:

— კაია, კაი! ა, შენ ოცდახუთი მანეთი, დაარიგე, მაგრამ მეტისმეტს ნუ იზამ, არ შეგარჩენ, იცოდე.

კაზა ჩხეტიამ ფული გამოართვა. კამყოფილი იყო, ყურუს მკვახე სიტყვები და მუქარა, ვითომ ვერც გაიგონა. სანამ ეს ორი კამათობდა, ყვალთავას ჩვენი მაგიდისკენ ჰქონდა თვალი.

— ითამაშეთ, მოვალ ახლავე მე! — უთხრა მან თანამესუფრეებს როცა ისინი დაშოშმინდნენ, წამოდგა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა.

იღვა, დოინჯშემოყრილი დაგვეტეოდა. ისე ბერმა პირჯვარი გადაისახა, ყვალთავას მიაჩერდა. მეც იმის ბრაზმორეულ სახეს ავეყურებდი, მაგ-

ვახუა აშირაჯიზი
დათა თუთაშხია

რამ კინაღამ გული ამერია და თვალი გავარიდებ. თუთაშხიას ყვალთავასთვის არც ახლა მიუტყევეია ყურადღება, მაგრამ ზებედავლი, რომ ზამბარასავით შეიკუმშა და გასაშლელად მზად იყო.

— ბოდლო, მოდი ითამაშე, თუ თამაშობ! რა გინდა მანდ?! — გამოსძახა ყურუ ქარდავამ.

იქით გავიხედე.

კაზა ჩხეტიამ თვალი თვალში გამიყარა. მგონი, სწორედ ისე შემომყურებდა, როგორც კიკუს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იქ ხორცზე უკაწკაწებდა სული და აქ — სისხლზე.

— ითამაშეთ. მოვალ ახლავე! — უპასუხა ყვალთავამ ამხანაგებს და თუთაშხიას მიმართა: — რატომღა ჩემს გამოგზავნილ ღვინოს რომ არ სვამთ! — ისეთ კილოზე გვითხრა, რომ იმას უფრო ჰგავდა, დალიეთ, თორემ კისერში ჩაგასხავთო!

თუთაშხია დოქს მართლაც არ მიჰკარებია. არც მე; ღვინო თუთაშხიას ძღვნად მიმაჩნდა, მას ჩემთვის არ მოუთავაზებია, დალიეო. ესეც არ იყოს, ღვინოს ხასიათზე არ ვიყავი, ერთი სული მქონდა როგორმე ლოგინამდე მიმეღწია.

თუთაშხიამ კიდევ ცოტა ხანს დააყოვნა, თავი ასწია, ყვალთავას ახედა და თავაზიანად უთხრა:

— ძღვენის მადლობელი ვართ ყველა, მაგრამ სასმელს ვერიდები მე, არ ვსვამ.

ყვალთავას მარცხენა წარბი ქოჩრისკენ დაიძრა და ისე აიპრიხა, ვიფიქრე, ეხლა ყალყზე ადგება და კეფაზე დაიტანს-მეთქი ტლაშანს.

თუთაშხიაზე ვერც ამ სახისცვალებამ იმოქმედა, პირში ლუკმა ჩაიდო და დინჯ ლეჰვას მიჰყვა. მაშინ ყვალთავამ ჩემზე გადმოიტანა მხერა, თავხედობა და დაუნდობლობა ნიაღვრად მომანთხია.

— ვსვამთ, როგორ არა, — დამასწროო იასე ბერმა. — აი, მე თქვენი ნაბოძები ღვინით ბოდლიწო გავიკეთე!

ბერის ნათქვამი ყვალთავას არც გაუგონია, მე მითხრა:

— შენც ერიდები სასმელს?

— დიახ, ბატონო, ვერიდები, მაგრამ თქვენს საღლეგრძელოს სიამოვნებით დავლევ, — უნებლიეთ, რაღაც თავისთავად მივეუბნე მე; ღვინო დავისხი, ვადლეგრძელე, სულმოუთქმელად გადავკარი, სასმისი გადმოვაბრუნე, ასე მტერი და დუშმანი დაგეცალოთ-მეთქი. სხვა რა გზა მქონდა.

— მასე! — თქვა ყვალთავამ და თუთაშხიას ჰკითხა: — ვინ ხარ შენ?!

— მე მეკითხებით? — თავაუწველად მიუგო თუთაშხიამ.

— შენ, აბა ვის!

— მგზავრი ვარ.

ამ პასუხში მტკიცედ ვაისმა, რა შენი საქმეა, ვინცა ვარო.

ყვალთავას ეს არ გამოჰპარვია, მაგრამ ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ შეცბა და დაიბნა.

— მოდი ახლა, შე კაცო! — ბრაზიანად დაიყვირა ყურუ ქარდავამ.

ყვალთავამ თავისიანებს გახედა.

ყურუ ქარდავას ფულების ბულული ეღვა. კაზა ჩხეტიას აღარაფერი ებადა.

— მომეცი, ბოდლო, ჩემი ფულებიდან ასი თუმანი. წავაგე, — გამოსძახა კაზა ჩხეტიამ.

ეს გადმოძახებები ერთობ დროული იყო. ყვალთავას წასვლის მიზეზი სჭირდებოდა, ასე ხახამშრალი თავს ხომ ვერ დაგვანებებდა. ძახილი რომ არა, თავის ახირებულ კითხვა-გამოკითხვას გაავრძელებდა და რა მოხდებოდა — ვინ იცის.

ყვალთავამ უბეში ხელი ჩაიყო, ფულის თოქმა დასტა ამოიღო, ასი თუმანი ჩვენს თვალთწინ გადათვალა, ერთხელ კიდევ შემოგვაგვლო ქედმაღალი მხერა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

ღურუ მეღუქნეს გულზე მოეშვა, ღრმად ამოისუნთქა.

კიკუმ გამოიარა, საძინებელი ოთახებისკენ თეთრეული წაიღო. ისეთი სიარული იცოდა, თითქოს იატაკს არც ეხებო. კი არ დადიოდა — დაცქირალებდა.

— ოხხხ! — კვლავ დაიხრიალა კაზა ჩხეტამ და როცა კიკუ კრეტსაბმელს იქით მიიმალა, დასძინა: — აგერ ვნახავთ, თუ არ გაიძრობს ხუთ მანეთად! კიკუ თეთრეულის გამლას მორჩა, ღუქანში გამოვიდა.

კაზა ჩხეტამ მიიხმო.

თუთაშხიამ თვლი ერთი წამით მათ მაგიდას სჭიდა და კვლავ გაარიადა.

ბუხარში შეშამ გაიტკაცუნა, ბრიალა ალი ავარდა, ცეცხლი ავიზგიზდა.

კაზა ჩხეტამ კიკუსკენ ოქროს თუმნიანი მიაჩოჩა, მამამისს გახედა, აქეთ ხომ არ იყურებო და გოგოს უთხრა:

— აგერ, თუმანი შენ, ეს თუმნიანი ოქრო შენი რომ იყოს, ხომ გინდა? თუმანს მამაშენი თვეში ვერ მოიგებს. აგერ, ერთი წამით გაიძრე, შიშველი დაგვენახვე ერთი წამით და შენი იყოს ეს თუმანი.

— რასაა რომ აკეთებ, არ გრცხვენია ამხელა კაცს?! — ჩაუსისინა ყურუ ქარდავამ, ფულს ხელი სტაცა და პატრონს მიუვდო.

კიკუმ სანთლების შუქზე ალაპლაპებულ თუმნიანს დახედა, სტუმრები აღმაცერად შეათვალიერა.

— რა შენი საქმეა, ღლაბო, შენ! ვის საქმეშია რომ ერევი! — საკმაოდ ხმამალა მიუგო კაზა ჩხეტამ და ზეზე წამოიჭრა.

ყურუ ქარდავა სათამაშო ქალაღმში იყურებოდა, ისე წაილაპარაკა:

— დაჯექი ახლა, ნუ შემაშინებ, თუ ღმერთი გწამს!

ყვალთავამ ყალყზე შემდგარ ამხანაგს მხარზე ხელი დაადო, დასვა.

კამათი და ჭაჭლანი გაგრძელდა.

— გაინძერი, გოგო! — დაუყვირა ღურუ მეღუქნემ თავის ქალიშვილს. — გამოიტანე ლოგინები. წამოდი, ძობა, იმანეინე ტახტები.

კიკუ წავიდა.

— არც მე მჭირია, ყურუ, შიშველი კიკუს დანახვა, — მიმართა ყვალთავამ უმცროს ამხანაგს, — მაგრამ ყველა კაცმა თავისი საქმე თვითონ იცის და ხელი არ უნდა შეუშალო. ასეა ამხანა-

გობა, აბა რა! ისე, სწორი ხარ შენ ასეთი ამბავი ფულის საშოვრად თუ შეიძლება, საქმისთვის თუა საჭირო — შეიძლება კიდევ. ფულშია ყველაფერი. ქალიც შიგ არის — ფულში!

კამათი დასრულდა, თამაში ახალი ახარტითა და ჯიბრით განახლდა. ყურუ ქარდავა განუწყვეტლად იგებდა.

— ას თუმანს ვთამაშობ, ვალს! — გამოაცხადა კაზა ჩხეტამ.

— არა, ძამიავ, მასეთი დანაპირები... აგერ, ა, ფულად გასესხებ თუ გინდა და ვითამაშოთ მაშინ.

ყურუმ ფული მიუთვალა.

— ასი თუმანი გმართებს ჩემი. ბოდლო, მოწმე ხარ შენ, — თქვა ყურუმ და დაარიგა.

კაზა ჩხეტამ თავისი ქალაღლი ნახა, ორმოცდაათ თუმანს ვავიდა. ყურუ ქარდავას არ ექაშნიკა, რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და კაზას ორი ქალაღლი მისცა.

ღუქანში სიჩუმე ჩამოვარდა.

დათა თუთაშხიამ მოთამაშეებს ცნობისმოყვარეობით გახედა. როცა გამოირკვა, რომ კაზა ჩხეტამ ცხრა ვაკეთა და მოიგო, თუთაშხია ისევ ბუხარს მიაჩერდა.

სულ რალაც სამ, ოთხ წუთში ყურუ ქარდავას ფულის ბულული კაზა ჩხეტისთან ვადაბარდა.

კიკუმ ჩვენი თეთრეულიც გაშალა და ღუქანში გამოვიდა.

კაზა ჩხეტამ ისევ მიიხმო.

— ჰა შენ კიდევ თუმანი! — თქვა ჩხეტამ, ფული პირველ თუმნიანს დაადო და კიკუს მიუჩოჩა.

ყურუმ ისევ თვალეები ააბრიალა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს. ალბათ ყვალთავას შეგონებამ იმოქმედა, საქმეში არ ჩარეულა, თანამესუფრეებს ზურგი შეაქცია და ბოდმიანი თვალეები კუთხეში ჩამოკიდებულ იაფფასიან ხატს მიაპყრო.

— რას გაჩუმებულხარ, გოგო! გაიძ-

ვახუა ამირაჯიანი

დათა თუთაშხია

რე, თუ იძრობ, — ავი ღიმილით უთხრა ბოდლო ყვალთავამ.

კიკუს თითქოს ენა წაერთვავო, გაქვევებულებით იღვა და მარტო თვალებს აცეცებდა.

იანე ბერი ზურგით იჯდა, ვერაფერს ზედავდა, მაგრამ ყველაფერი ეყურებოდა.

— ღმერთო უშველე, ღმერთო უშველე, ღმერთო უშველე! — წაიჩიფჩიფა მოხუცმა და პირჩვარიც სამჯერ გადაისახა.

თუთაშხიამ ბერს შეხედა. მერე იქითა სუფრაზე გადაიტანა თვალი.

დაძაბული სიჩუმე იყო.

ბუხარში კუნძმა ოდნავ გაიტკაცუნა, მაგრამ სიჩუმეს თოფივით ეცა.

უკანა ოთახებიდან რაღაც ყრუ ჩახანის მოისმა. ალბათ, დურუ და ძობა ტახტებს ეჯაჯგურებოდნენ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მთლად გათახსირებული ყოფილან ეს კაცები! — ხმადაბლა, თავისთვის ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

ისეთი აზრი შემექმნა, რომ ამ სიტყვების თქმა და ენის ჩაკენეტა — ერთი იყო: თითქოს თავისთავს გაუწყრა აზრავი, რა ვალაპარაკებსო!

თექვსმეტი წლის უმანკო, მაგრამ ღარიბი, ფულის ძალაზე გადამეტებული წარმოდგენის მქონე და მხვეჭელი მამის ხელში აღზრდილი გოგოსთვის ასეთი ცთუნების მითავაზება მართლაც უმაგალითოდ გათახსირებული კაცის მტეს აბა ვის შეეძლო! მზად ვიყავი, იმ კაზა ჩხეტისა მინც ეცემოდი, მაგრამ რას გავხდებოდი გამოუცდელი, ასეთი ნაბიჯისთვის სულიერად მოუშხადებელი და უიარაღო მარტოკაცი.

თავჩაქინდრული კიკუ ფულებს დასცქეროდა და ვერძნობდი, თავის არსებაში ნებისყოფასა და სიმტკიცეს ეძებდა. ეს არც ბოდლო ყვალთავას გამოკპარავია.

— ეცოტავება! — თქვა მან. — უყურე ერთი ამას! ორ თუმნად ფოთის პოლიციმესტერი გაიძრობს, შე ქალო!.. კაი. ა, კიდევ თუმანი შენ და გაიძრე

აწი. ვითომ რიონში ბანაობ და ბუჩქები ბიდან გიყურებს ვინმე, შენ რომ იცი, ისე.

ბოდლო ყვალთავამ კიკუსთან გვერდით კუთვნილი ორი თუმნისისკენ მესამე ისე გადაავლო, როგორც ძაღს ნალოდნ ლუქმას გადაუგდებენ ხოლმე.

კაზა ჩხეტამ ეს მესამე ფული იმ ორზე შეაკოკოლა.

კიკუს ისე აშკარად გააეროლა, რომ ყველამ შევაძინეთ.

საკუთარი უმწეობის ბოდმამ მეც ყრუანტლად დამიარა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და თანამესუფრეებს აცახცახებული ხმით წავეჩურჩულე:

— ვინმე უნდა ჩაერიოს. ერთხელ თუ შეეცდა, მერე მაგას ველარაფერი დააკავებს: ფოთი აქვია, ნავსადგურის მეძავი გახდება, გესმით?! ვინმე უნდა ჩაერიოს!

თუთაშხიას მივაშტერდი; ხან საყვედურის, მტკიცე მოთხოვნის, ხან მუდარის თვლით შევეცქეროდი. მან ჯერ ისე ბერს შეხედა, შემდეგ თვალი თვალში გამიყარა და გულგრილად, ცივად თქვა:

— არაა ჩემი საქმე. არ ჩავერევი მე. — პატარა ხანს, სულ რამოდენიმე წამს ჩუმად იყო. — არასოდეს არ გამოვა კარგად. არავის არ ჰქირდება... თუ სისხლში და მოღვამში აქვს მაგას, მაინც იზამს, რაც ვინდა ქენი შენ. არავინ არაა ღირსი!

იანე ბერი დაბეჯითებით უსმენდა. თითქოს ეშინოდა, სიტყვა არ გამოემპაროსო. თუთაშხიამ თავისი სათქმელი დაამთავრა. ბერმა იყუჩა, მერე მოულოდნელად, თავზე ხელაღებულივით ზეზე წამოიჭრა, კიკუს მიუბრუნდა და ჩააბულბალა:

— შვილო ჩემო! სწერია: უკეთესი თვალი შენი მარჯვენა ვაცოტუნებდეს შენ, აღმოილე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გვამი შთავარდეს გვენიასა შინა!

იანე ბერის ალაპარაკებამ ყაჩაღების



ყურადღება პირველი სიტყვებიდანვე მიიპყრო. სამთავეს ეტყობოდათ, ცდილობდნენ ბერის ნათქვამს ჩასწვდომოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუდიოდათ. მხოლოდ კიკუ იღვა კვლავინდებურად თავჩაქინდრული და, მგონი, საერთოდ არაფერი ეყურებოდა. მარტო მაშინ გამოიხედა ჩვენსკენ, როცა ბერი დადუმდა. მერე გოვამ იმ კარებს მიაპყრო თვალი, საიდანაც ღურუ და ძობა უნდა გამოჩენილიყვნენ. კაზა ჩხეტიამ კიკუს გამოცოცხლება იმწამსვე შენიშნა.

— ოხხხ! — დაიხრიალა მან, ფეხი იატაკს დაჰკრა და ბერს დაუთათხანა:

— დაჯექი მანდ, ბებერო, თვარა დავგიწყე ალთქმა და სახარება!

ბერი მოცელილივით დაეშვა. გაინაბა, მოიკუნტა, თითქოს თავის წაგდებინებას ელოდა.

ყურუ ქარდავას აღშფოთების ნასახაც აღარსად აჩნდა, სახეზე დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა გამოჰხატოდა, თვლებს აპაქუნებდა:

— რა თქვა მაგ ბაბუამ, ბოდლო! თქვა რაღაცა...

— თუ ხედავთ თქვენ, როგორ ყოფილა საქმე?! — უთხრა თავის აღმოჩენით გაოცებულმა კაზა ჩხეტიამ ამხანაგებს. — აგერ, ამათი რცხვენია კიკუს და მიტომ!.. არ გაიძრობს, აბა რა იქნება. მიბრუნდით! — იმავე კილოზე შემოგვეყვირა, როგორც იასე ბერს დაჯდომამ უბრძანა. — რას მოგვეტერებიხართ! მიბრუნდით ახლავე ზურგით! უყურე ამათ შენ!

კაზა ჩხეტია იმით იყო განცვიფრებული, რომ, თურმე გავგიბედია და იმ ამბავისთვის გვიყურებია.

იასე ბერს მიბრუნება არ სჭირდებოდა, ზურგით იჭდა, აღსასრულს თვინიერად ელოდა. მე ბრძანებას უსიტყვოდ დავეყვი — მივბრუნდი და გულზეც მომეშვა, რომ იმ საზიზღარ ურჩხულებს აღარ ვხედავდი. თუთაშხიამ სამიფენი მოათვალეირა, მერე კვლავინდებურად თუმნიანებში ჩაშტერებულ კიკუს მიაჩერდა.

— არ გესმის, რას გელაპარაკებდნენ შენ?! — უფრო ხმადაბლა, მხატვარულად ღვარძლიანად დაუყვირა კაზა ჩხეტიამ თუთაშხიას.

ვერც ამან გამოიღო ჩხეტიასთვის სასურველი შედეგი — თუთაშხიას აინუნში არაფერი აუღია. მაშინ კაზა ჩხეტია ადგა, თუთაშხიას ზურგიდან შემოუარა და ჩუმად უთხრა:

— მობრუნდი აქით!
თუთაშხიამ დააყოვნა. მერე ნელა მიბრუნდა, მაგრამ სანახევროდ მიბრუნდა. არ ვიცი რატომ, და იასე ბერმა ჯამიდან კოვზით ბოდლიწო ამოიღო, პირში ჩაიღო და ესე, კაზა ჩხეტიას ბრახისგან გადაღრეცილ სახეში მიშტერებულთ, გაქვავდა.

— არავის საქმეში არ ვერევი მე. არავისი საქმე არაა, საით ვიყურები და საით მივბრუნდები! — ნაბაღს მხრები აუქნია, სკამის საზურგეზე გადააგდო.

კაზა ჩხეტიამ ღონიჯი შემოიყარა. ამაში ის მიზანიც ივარძნობოდა, მაუზერთან ხელი ახლოს ჰქონოდა. კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ საქმე სულ სხეანაირად შეტრიალდა და სიტყვა პირზე შეაშრა: თუთაშხიამ ხის ბუდიდან ისე მარდად დაამტო მათუერი, რომ მისი ხელის მოძრაობას თვალი ვერც ერთმა ვერ შევასწარიო. დაძრობა და სროლაც ერთი იყო. სროლა და კიკუს საცთუნებლად ერთიმეორეზე შეკოკოლებული თუმნიანების იატაკზე გადაცვენაც ერთი იყო.

წამით ყველა გაირინდა.
თუთაშხიას ტყვია იასე ბერის იღლის ქვეშ გავიდა, ბოდლო ყვალთავას გასწვრივ გაიარა, თუმნიანებს ეძგერა, მაგიდის წიბო ოდნავ გადააქწრა და მოპირდაპირე კედელში შეიჭრა.

ციემა ოფლმა დამასხა.
იასე ბერს თავისი ბოდლოწიანი კოვზი ცალი მხრიდან ხელით ეჭირა, მეორედან — კბილებით, და ესე იყო გაქვავებული.

შაბაზა აშირვაჯიი
დათა თუთაშხია

ბოდლო ყვალთავა თოფნაკრავივით წა-
მოიჭრა, მაგრამ ველარ მიხვდა, რა ექნა,
როგორ დაეჭირა თავი, როგორ მოქცეუ-
ლიყო.

ყურუ ქარდავა მშვიდად იჯდა, მღიმა-
რი თვალეზი ხან ტყვიით გაკაწრული მა-
გიდის წიბოზე მიჰქონდა, ხან თუთაშხიას
შეჰყურებდა.

კაზა ჩხეტია განხევებული იდგა. თუ-
თაშხიამ დაუპატივებელ სტუმარს ერთ-
ხელ კიდევ ახედა, მაუხერი ბუდეში ჩა-
აბრუნა, პირში ლუქმა ჩაიდო და ლექ-
ვას მიჰყვა.

კიკუ იატაკზე მიმოპნეულ თუმნიანებს
დააცქერდა. მერე ნელა დაიხარა, ნელა
დაუწყო ძებნა და აკრიფა, მოაგროვა, ნე-
ლა წამოიმართა, ერთხანს განაბული იდ-
გა, თუმნიანებიან მუჭას დაჰყურებდა.
შემდეგ, ანაზად მოწყდა ადგილს და
ეზოში ტყვიასავით გავარდა. ჯერ ღუქ-
ნის კარმა გაიღო ჩახანი. მერე თავლის
კარმა დაიჭრიალა და ისევ ყველაფერი
მიჩუმდა.

უკანა ოთახებიდან ღურუ და ძობა გა-
მოვიდნენ. შემფოთებით გვათვლიე-
რებდნენ.

ღურუ მეღუქნემ თუთაშხიას ჰკითხა
— რა იყო... რა მოხდა აქ?

— გათავდა უკვე, ღურუ-ბატონო, რაც
იყო! — მიუგო თუთაშხიამ.

კაზა ჩხეტამ თავისი მაგიდისკენ გას-
წია. დაჯდა, სათამაშო ქაღალდი აიღო,
წვალეზა დაუწყო. ბოდლო ყვალთავაც
სკამზე დაეშვა. მარტო ყურუ დააცეცე-
ბდა თავის მღიმარ თვალეზს.

მამა-შვილი კიდევ ცოტა ხანს იდგნენ.
როცა დარწმუნდნენ, რომ მართლაც „გა-
თავდა უკვე, რაც იყო“, თავის ბინაში
შებრუნდნენ და ტახტი გამოიტანეს. ჯერ
ჩვენთვის შეიტანეს, მერე ყვალთავასი
და მისი ამხანაგების ოთახში დასადგმე-
ლი ტახტის მოსატანად წავიდნენ.

მეორე მაგიდაზე თამაში განახლდა,
მაგრამ ცხადი იყო თამაშზე არც ერთი
მათგანი არ ფიქრობდა.

ისევ ყველაფერი მიწყნარდა ღურუს
და ძობას გასვლა იყო — ღუქნის კარი
კიკუმ შემოაღო. ჯერ იქაურობას თვალ

მოავლო, მერე სამხარეულოსთან მი-
ბინა, შეიხედა, მიაყურა; დერწმუნდა
მამა და ძმა შორს არიანო და ყვალთავა-
ვას მაგიდასთან მივიდა. ქობაში ხელეზი
ჯვარედინად წაივლო, კაზა ზევით აიტაცა
და მთლად შიშველი დარჩა.

იდგა, ცალ ხელში კაზა ეჭირა, მეორე
ხელი თვალეზზე ჰქონდა აფარებული.
ნატიფი, მკვირივი სხეული სანთლების
შუქზე ნაღებისფრად ციმციმებდა. რქა-
წითელის მტევანივით მჭიდრო და კე-
ნარი გოგო იყო კიკუ.

თუთაშხიამ, ალბათ, კიკუს გამოჩენის-
თანავე იგრძნო, რაც მოხდებოდა, რომ
ბუხარს მიაჩერდა და ამ სანახაობის გან-
მავლობაში აღარც მობრუნებულა. ბოდ-
ლო ყვალთავამაც მხოლოდ ერთი წამით
გააპარა თვალი კიკუსკენ. ყურუ ქარდავა
გაწითლდა, თავი ჩაქინდრა, ფულეზში
უაზროდ აფათურა ხელეზი.

— ოხხხ! — ამოიხრიალა რეტდასხ-
მულმა კაზა ჩხეტამ და ხელი ძალიან ნე-
ლა წაიღო კიკუს მარცხენა ძუძუსკენ.

სანამ შეეხებოდა საჩვენებელი თითი
გაბზიკა. მისი ხელი წამით ჰაერში გაი-
ყინა, ისევ დაიძრა და თითი სათუთად,
თითქმის შიშით შეეხო ძუძუს თავს.
გოგო მყისვე გონს მოვიდა, კაზა გა-
დაიცვა და თავლისკენ გაიქცა.

ყვალთავამ თავჩაქინდრულ ყურუს
თითი მიაშვირა, როყოლ დადაიხარხარა:

— რას დაგიღია პირი, ბიჭო!

ყურუმ პირი მოკუმა, მაგრამ თავი არ
აუწმევია.

კაზა ჩხეტამ გამარჯვებული კაცის
თვალეზით დაგვიარა და თქვა:

— რა ვთქვი მე? გაიძრობს, ვთქვი მე!
— მე მეუბნებოდა.

— სამ თუმნად ფოთის პოლიციებისტე-
რი გაიძრობს! — გაიმეორა ბოდლო
ყვალთავამ თავისი ნათქვამი.

კიკუ დაბრუნდა, დამატებითი ლოგი-
ნების მოსატანად წავიდა. ღურუმ და ძო-
ბამ მეორე ტახტი გამოიტანეს.

თამაში კვლავ განახლდა.

ღურუმ დახლს მიაშურა. ეტყობოდა,
რომ მომხდარისა არაფერი იცოდა, თავს
არხეინად გრძნობდა, მაგრამ ძობა ერ-



თიანად დაძაბული, ჩახმახივით ფეხზე შეყენებული იყო.

— წადი, ბაბა დაიძინე! — უთხრა დურუმ.

ძობას წასვლა არ უნდოდა. აწრივდა, უარის თქმაც კი ვაბედა. მამამ მტკიცედ გაუშვო, წადიო. ბიჭი იძულებული გახდა დაჰყოლოდა, მაგრამ ერთობ უხალისოდ წავიდა, ცალი ფეხი დუქანში დარჩა.

კიკუმ ჩვენს ოთახში საქმე მოითავა, ლოგინებს მეორე ოთახში აგებდა.

— დურუმ, ცხენებს გახედე, თუ კაცი ხარ! — დაიძახა კახა ჩხეტიამ.

— ახლავე, კახა-ბატონო, აგერ, ა, — მზადყოფნით უპასუხა დურუმ, საინი გაამშრალა, თავისიკენ გასწია.

კახა ჩხეტიამ ცოტა მოიცადა და ახლა კიკუს გასძახა:

— მოდი აგერ, გოგო!

კიკუმ კრეტსაბმელი გასწია, ოთახიდან თავი გამოყო და მკვახედ იკითხა:

— რა გინდა, აწი?

— მოდი აგერ, რომ გეუბნები და გაიგებ, რაც მინდა.

კიკუ მივიდა.

კახა ჩხეტიამ ქისა ამოიღო, ზონარი შეხსნა, ხელის გულზე ოქროს ფულები წამოიხანია. ოცი, ოცდახუთი ცალი თუმანიან-ხუთმანეთიანი იქნებოდა. ხელი ასწია, ფულებიანი მუჭა კიკუს თვალებთან მიატარ-მოატარა. მერე ფულები ისევ ქისაში ჩააბრუნა და უბეში შეინახა. ამას ძალიან ნელა, ხაზგასმით აკეთებდა. დაამთავრა ეს საქმე და კიკუს უთხრა:

— ხედავ ამ ფულებს, ხომ?.. მოდი ამაღამ ჩემთან და შენი იქნება ეს ფულები ყველა!

კიკუს შეეხედე: თვალეში ალი ჰქონდა, უფრო ხარბი ალი, ვიდრე კახა ჩხეტიას.

— მოხვალ, ხომ?

კიკუ შეყოყმანდა, დაიბნა და გულბრყვილოდ იკითხა:

— რა უნდა გვაკეთო შენთან?

— არაფერი. რასაც ქალები აკეთებენ კაცებთან! — მიუგო ჩხეტიამ ცბიერი ღიმილით.

— არ ვიცი მე ის... დაიმორცხე... ლიშვილმა, მიბრუნდა, ოთახში შევიდა.

იასე ბერი აღდა, რომელიღაც ლოცვის ნაწყვეტი წაიჩიფჩიფა, პირჯვარი გადაისახა და დასაძინებლად წავიდა.

არც როდისმე თავზე ხელალებული ვყოფილვარ, არც გულადი კაცის სახელი მწყურებია. მუდამ ფრთხილი, ანგარიშიანი ვიყავი, მაგრამ აქ კი ავფეთქდი და უკიდურესობას მივმართე. მოქმედების გეგმა მყისვე ჩამომიყალიბდა. ჯერ თუთაშხიას ვუთხარი:

— დათა თუთაშხია! თქვენზე ბევრი კარგი მსმენია. ნამუსიანი, სამართლიანი კაცის სახელი გაქეთ. ამ ბოროტებაზე რას გაჩურჩებულხართ. ხომ ხედავთ, ადამიანი იღუპება!

თუთაშხიამ მხოლოდ იმიტომ შემომხედა, რომ მისი ვინაობა ვთქვი. შემდეგ იქითა სუფრას გახედა, ჩემი გვარსახელი ხომ არ გაიგონესო. დარწმუნდა, ყური არავის არაფრისთვის მოუკრავსო, და მითხრა:

— არაა ჩემი საქმე. აღარაფერი არაა ჩემი საქმე, თუ მე არ მეხება, მე! ეგენი არც ერთი არაა ჩემი ჩარევის ღირსი. მივა კიკუ ამაღამ მაგასთან. რომ ჩავერიო, არ მივიდეს, იქნება, მაგრამ უარესს შვრებიან მერე. ვიცი ეს! — თუთაშხია დადუმდა, ხელი ჩაიქნია და დასძინა: — გავათავე ეგენი მე!

მაშინ კახა ჩხეტიასთან მივიჭერი და სხაპა-სხუპით დავაყარე:

— რას სჩადიხართ, არა გრცხვენიათ? მაგას ხომ ძალის ხმარება ჯობია, გესმით? გაუპატიურება ჯობია... ძალით!

ძმაკაცებმა ერთხანს დიდი ინტერესით მათვალერეს, ვითომ უმიზეზოდ და მოულოდნელად აყვებულნი ჯიბის გოშია ვყოფილიყავი. შემდეგ კახა ჩხეტიამ მოულოდნელი, მაგარი სილა გამაწნა და კვლავ სათამაშო ქალაღში ჩაიხედა.

გონს მოვედი, თუთაშხიასკენ გავიხედე. ჩიბუხს აფუყებდა, რა ვიცი, რაზე ფიქრობდა.

შაჰაჰა აზირაჯიზი
დათა თუთაშხია



რალაცამ გამომაფხიზლა. ნელა დავი-
ძარი, ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში
შველასლასდი, ლოგინში ჩავემხე და
ავტირდი.

დუქნის კარის ჭრიალი და ურდულე-
ბის რახა-რუხი გაისმა. ხმა ჩავიწყვიტე,
დურუმ ჩემი ტირილი არ გაიგონოს, ეკ-
გი არაფერი აიღოს, თორემ ეს ნაძირა-
ლები დასმენის განზრახვაში ჩამომართ-
მევენ და საშინელებას რამეს დამმართე-
ბენ-მეთქი.

ფანჯრიდან მოქედილი, მოკამკამებუ-
ლი ცა ჩანდა. სადღაც ვარსკვლავი მო-
წყდა, ცის კიდე ჩასერა და მიიკარგა.

ამდენმა დაძაბულობამ, ნერვიულობამ
და მთელი დღის დაღლილობამ მძლია,
ჩამეძინა.

რამდენი ხანი გავიდა — არ ვიცი. ტახ-
ტის ჭრიალმა გამაღვიძა. ბერი თავის
ლოგინში გახდილი იწვა და აუმღვრევე-
ლად ფშინავდა. თუთაშხიას ნაბადი
ეხურა, ფხიზლობდა, ჭერს აპყურებდა.
ჩემი ტახტის ჭრიალზე ერთხელ გამოიხე-
და და ისევ ჭერს ააპყრო თვალი.

მხოლოდ ერთი საფიქრალი მაწუხებ-
და: მივიდოდა თუ არ მივიდოდა კიკუ
შეპირებული ქისის წასაღებად? ამ აზრ-
მა ავეჯის ჭიასავით ამიტება ჭრა და
კრაწა-კრუწი.

ოთახებს წაბლის ფიცრის კედელი
ჰყოფდა. გვერდით ყვალთავა და მისი
ამხანაგები იყვნენ. რალაც ჩურჩული და
მთერალი მამაკაცის ომახიანი ხერინვა
ისმოდა. ბევრი ვეცადე, ჩურჩული ვერ
გავარჩიე.

შუალამის მამლებმა იყიველეს. თუთაშ-
ხია ლოგინზე წამოჯდა, ჩიბუხი გატენა,
გააბოლა. იჯდა, სანამ ჩიბუხს ძირამდის
დაიყვანდა. მერე ისევ ნაბადში გაეხვიდა
და მიწვა.

კიდეც საათი თუ მეტნაკლები გავიდა.
გვერდის ოთახიდან დაბალი, მღელვარე
ხმა მოისმა:

— რომელი ხარ მანდ!

— მე ვარ! — გავიგონე კიკუს ჩურ-
ჩული.

გაგულდული ჩურჩული იყო, თითქოს

ვინმე ყელში წაუჭირა და ისე ათქმევო-
ნა ის სიტყვები.

ყაჩაღებს შორის რალაც გადალაპარა-
კება-გადმოლაპარაკება ატყდა. ტახტები
აჭრიალდა. მერე ხმაური მიწელდა და კა-
ზა ჩხეტიამ თქვა:

— შემოდი, საყვარელო, რას დგახარ
მანდ.

თუთაშხიამ ისევ წამოიწია, წამოჯდა.
ისევ ჩიბუხის ტენვას მიჰყო ხელი. იასე
ბერი რამოდენიმეჯერ გადაბრუნდ-გად-
მობრუნდა, გაინაბა და ამბავს მიაყურა.

ხმაურის მიხედვით ისე მიგხვდი, რომ
ბოდლო ყვალთავა და ყურუ ქარდავა
თავისი ოთახიდან დუქანში გავიდნენ,
ძმაკაცი დაამართოვეს.

— შემოდი, გოგო, რას დგახარ მანდ!
— თქვა კაზა ჩხეტიამ და ისევ სიჩუმემ
დაისადგურა.

— შემოდი, გოგო, გეძახის, ხომ გეს-
მის? — ბოდლო ყვალთავას ხმა იყო.

ერთხანს, თითქო არაფერი ისმოდა.
მერე ტახტის ჭრიჭინი და კიკუს ხმა გა-
ვიგონე:

— არ ვიცი ეგ... მეშინია. როგორ უნ-
და ეგ...

— არაფერი ცოდნა არ უნდა ამას. მო-
დი ჩემთან, საყვარელო, მოდი!.. მასე,
მასე...

თუთაშხია ზეზე ადგა, სამოსი მისი-
წორ-მოსიწორა, ქამარ-ხანჯალი, შემოი-
რტყა, ნაგანი და მალუბერი თავთავის აღ-
გილზე მიირგო.

მეც ავდექი, თუთაშხიას წაეჩურჩულე:

— ნაგანი მე მომეცით, მოგეშველე-
ბით... შეძლებისდაგვარად!

ჩუმად იყო, თავის საქმეს აკეთებდა.
ნათქვამი გავუმეორე.

გაინაბა, ფიქრობდა.

გვერდის ოთახიდან ტახტის უსაშვე-
ლო ჭრაჭუნი და ქშინვა მოდიოდა.

თუთაშხიამ ქამრიდან ნაგანი დაიძრო,
ფეხზე შეაყენა და ხელში მომაჩეჩა.

სანამ არ მქონდა, მეგონა, რომ ჩემს
აღმთოებებს მხოლოდ იარაღი აკლდა.
ცივი, მომაკვდინებელი რკინა ვიგრძენი
და ტანში ჟრუანტელმა დამიარა, უთუოდ
იმიტომ, რომ სიკვდილს შევხედე — ჩემ-

სას, თუ სხვისას... ნაგანი მყისვე ჯიბეში ჩავიდე.

— დურუს პატარა ბიჭი რომ არის აქ, ძობა — აგერ ტრიალებს ის, — წამჩურჩულა თუთაშხიამ. — უარესი ამბავი დატრიალდება აქ. უეჭველია ეს. მივიღივარ მე.

თუთაშხიამ ფაყუ ჩამოიფხატა, ჩოხის კალთები ქამარში ჩაიკეცა და ნაბადი წამოსხა.

ამას აღარ მოველოდი! სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ სინდისმა შეაწუხა და ჩარევა გადაწყვიტა...

გვერდის ოთახიდან მიზნედილი შეკვლება მოისმა. გულში გამეგინა, იღბალმა ეს ხმაც ხომ გამაგონა-მეთქი.

დუქანში ფოსტლების თქარათქური ატყდა; დურუ გამოვიდა. ძობა მოსდევდა, ხელში შანდლით.

— მართალია ეს?! მომეჭრა თავი და დავიღუპე კაცი?! კიკუ, გამოდი მანდედან ახლავე! — დაიღრიალა დურუმ. — გამოდი ახლავე!

— მიხედეთ მაგ ძაღლის შვილს, არ შემომივარდეს აქ, თვარა დაეაგორებ ღორივით! — ოთახიდან გასძახა ძმაკაცებს კახა ჩხეტიამ.

— რა ვთქვი მე! რათ გვინდოდა ეს გლახა საქმე! — ჩაილაპარაკა ყურუ ქარდავამ.

— დამღუპეთ ხომ, ძაღლის შვილებო! — ისევ დაიღრიალა დურუმ.

— წაეთრიე, ახლა! ვის არის რომ ავინებ, შე ბაყაყო, შენ! — შეუყვირა ბოდლო ყვალთავამ დურუ მედუქენს, წამოიწია და ტანით გადაეღობა.

— ყურუ ქარდავა უხალისოდ წამოდგა. ორთავემ მაუზრები მოიმარჯვეს.

დურუ წამით გაირინდა. მერე მიტრიალდა და თავის ბინაში შევარდა ფოსტლების ტყაპა-ტყუპით.

თუთაშხიამ ოთახიდან გასვლა დააპირა.

— აქ უარესი ამბავი დატრიალდებაო, თქვი და გარბიხარ? — მოულოდნელად გაისმა იასე ბერის ხმა. — ლაჩარი ყოფალხარ!

თუთაშხია ბერს მიუბრუნდა, გაეღიმა და ჰკითხა:

— ლაჩარი?..

— ვინც ღმერთს განუდგა, ვინც კაცთათვის არ აღასრულა ის, რის აღსრულებაც ძალუძდა, ვინც ღვთის შვილს განსაცდელში ხელი არ გაუწოდა — იგი ლაჩარია, მან თავისი თავი მარტოობითვის გასწირა. თუ შენ არ გინდა კაცნი, არც კაცთა უნდობარ შენ და ხვედრი შენი — მიმწყვედელი ნადირის ხვედრი არის! — მშვილად დაუღასტურა ბერმა.

თუთაშხიამ ჩაიციინა, გზიდან ჩამომიშორა. დუქანში გავიდა, მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით მიაშურა ურდულით გადაკეტილ გასასვლელ კარებს.

ძობამ ნაბადში სტაცა ხელი და შეემუღარა:

— დათა-ბიძია, არ წახვიდე... ნუ წახვალ, დათა-ბიძია, დავიღუპებით!...

თუთაშხია გაქვავდა. პირქუში, ავბედითი სიჩუმე ჩამოწვა.

დათა თუთაშხიას უხორცო და შეუპოვარი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ამის გამო მეორე აზრი არ გამეგონა და არც არსებობდა. მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ უკან მოხედვის, ძობას თვალებისა და სახის გამომეტყველების დანახვისა ეშინოდა. არც მოუხედა. ჯიბრით, ზიზლით თქვა:

— უნდა წავიდე აქედან მე! — თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა. დაიძრა, კარებს ურდულები აჰყარა და დუქანიდან გავიდა.

თვალცრემლიანი, მტირალი ძობა მისძახოდა:

— არ გვეხმარები დათა-ბიძია, მიგვატოვე; დათა-ბიძია, ხომ? — ამას მაშინაც იმეორებდა, როცა თუთაშხიას ალბათ აღარც ეყურებოდა — თავლაში იყო, თავის ცხენს ჰკაზმავდა.

დანარჩენი ათიოდე წაშში მოხდა: დურუ გამოვარდა, ფეხზე შეყენებული, ორლულიანი თოფი ეჭირა. ძობამ უბედურება იგრძნო, გულსაკლავად, გაშმაგებით შეჰკვივლა.

ვახუა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია

დურუმ ყაჩაღებს მუქართ მიმართა: — გამოუშვით ჩემი შვილი მანდედან, თქვე ძაღლის შვილებო, თქვენ! — და ცალი ლულა დაცალა.

ყურუ ქარდავას მაუზური დაუვარდა, ხელი მარჯვენა მხარში იტაცა, სანე ტკივილმა გადაუბრია.

ბოდლო ყვალთავამ დურუმ შედუქნეს დაუმიზნა.

— არ ესროლო, ბოდლო... — დაიყვირა ყურუმ, მაგრამ ყვალთავამ ორჯერ ზედიზედ დაცალა.

დურუმ იატაკზე გაიშხლართა, მუცელზე ხელები იტაცა, კრუნჩხვასა და გორვას მოჰყვა.

— რა ქენი, ბოდლო... რა შუაში იყო ეგ კაცი! — ჩაილაპარაკა ყურუმ.

— არაა მაგის დრო ახლა! — მიუგო ყვალთავამ და დაიყვირა: — კაზა, დანებე თავი მაგ კაზას!.. ჩაიცივი ახლავე! — ყურუმს მიუტრიალდა: — ჩაიცივით, რომ გელაპარაკებით მე თქვენს!..

— ეის გავეძეთ, ნეტავი! — გამოსძახა კაზა ჩხეტიამ ოთახიდან, მაგრამ უმალ გამოვიდა. ნაჩქარევად იცვამდა, იარაღს ისხამდა.

ძობამ შანდალი იატაკზე დადო, მუხლებზე დაეშვა, გაოგნებული დაჰყურებდა მომაკვდავ მამას.

კიკუც გამოლასლასდა, მამისკენ ნელი ნაბიჯით გაემართა. თვლები სხვაგან ჰქონდა, სივრცეში. მილასლასებდა და ამბობდა:

— აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული, ბაბა. აგერ, ა, ფული, ბაბა!.. — ქისა ეკავა, ის ქისა, რომლიდანაც კაზა ჩხეტიამ ხელისგულზე ოქროს თუმნიანები წამოიპნია.

მიუახლოვდა, სკამზე დაეშვა, ისევ საითლაც იყურებოდა. დურუმ იატაკზე იკრუნჩხებოდა და კვნესოდა.

— აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული, ბაბა. აგერ, ა, ფული, ბაბა!.. — ამბობდა კიკუც და ქისას აჩხრიკებდა.

დუქანში თუთაშხიამ შემოიხედა, ალბათ იმისთვის, რომ ენახა, თუ რა მოხდა ამდენ სროლაში.

დურუმ დაინახა და ამოიხრიალა:

— დათა თუთაშხია, შენს კისერზე ჩემი შვილების ცოდვა!..

თუთაშხია ლანდივით გაქრა.

დურუმს კრინტი აღარ დაუძრავს. კრუნჩხვასაც მორჩა, სული დალია.

დათა თუთაშხიას ხსენებაზე ბოდლო ყვალთავამ და კაზა ჩხეტიამ ერთმანეთს გადახედეს და გაინაზნენ, ყურუმს ქარდავასაც უკიდურესი განცვიფრება შეეტყო.

გარედან ცხენების ფლოქვის ხმა შემოიჭრა. ბოდლო ყვალთავამ ყურები სცქვიტა, მაუზური ფეხზე შეაყენა და გარეთ გავარდა. ამხანაგებიც მიჰყვნენ.

— ცხენები მიყავს ჩვენი!

— რატომ მიგყავს, დათა თუთაშხია ჩვენი ცხენები!

— დატოვე ჩვენი ცხენები, თვარა!..

— თვარა გესვრით!

— თქვენ დურუმს რომ ესვრით, ის კაცები ხართ! მე რომ მესვრით ის კაცები არ ხართ, წუპაკო მამაძაღლებო, თქვენს!

ეს სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა: არც გაუსროლიათ, არც გამოსდევნებია. ცოტა ხანს დუქანის კარებთან იდგნენ, ხმადაბლა თათბირობდნენ და უღრტივინველად გასცქეროდნენ, როგორ მიჰყავდა მათი ბედაურები დათა თუთაშხიას.

კაზა ჩხეტიამ დუქანში შემოიბრინა, გაოგნებულ კიკუცს ხელიდან ქისა გამოსტაცა და გავიდა.

აღარ შემობრუნებულან. იქაურობას საითლაც გაეცალნენ.

ძობას ელდამ გადაუარა, ტირილი და მოთქმა დაიწყო.

კიკუცს ქისის წართმევა არც უგრძენია. კვლავინდებურად სივრცის რომელიღაც წერტილს მისჩერებოდა და ბუტბუტებდა:

— აგერ ფული, ბაბა! ბევრი ფული, ბაბა. აგერ, ა, ფული, ბაბა!

ოთახში შევბრუნდი, იასე ბერს დავადექი:

— ადექი, მამო იასე. ამ ცოდვის კითხვაში რა დროს ძილია!



— როცა კაცი სცოდავს — ღმერთი სდუმს! — თქვა ბერმა და წამოდგა.

დათა თუთაშხიას ტახტი დუქანში გავიტანეთ, დურუს ცხედარი ზედ დავასვენეთ. ორივე ტყვია მუცელში ჰქონდა მორტყმული.

იასე ბერი წესის აგებას შეუდგა.

მუცელში რაღაც ტკივილმა შემაწუხა, კარში გავედი. მშვიდი ღამე იყო, ცისკრის ვარსკვლავი მოწითალოდ ციმციმებდა.

მომავონდა, რომ ჯიბეში იარაღი მედო. არც დაფიქრებულვარ, არც შეეყოყმანებულვარ — ზარულის ორმოში ჩავავდე. მაშინვე გულზე მომეშვა. გავიფიქრე კიდეც, თუ ვინმემ გამჩხრიკა, იარაღს ხომ ვეღარ მიპოვნის-მეთქი.

ზაფხუ სიმაღლი

... მუშნი ზარანდიას მაშინ უკვე საგანგებო დავალებათა ოფიცრის თანამდებობა ეჭირა. მთავარმართებელთან დავიბარეს, დანიშნულ დროს ვეახლეთ. აღიუტანტმა დაუყოვნებლივ შეგვიშვა. მთავარმართებლის კაბინეტში პეტერბურგიდან ჩამოსული პოლკოვნიკი სახნოვი დავგვხვდა. ეს კაცი საიმპერიო ყანდარმერიის შეფის ერთ-ერთი მოადგილე იყო. მისი აქ ყოფნა არ გამკვირვებია, თუცმა სამი დღის ჩამოსულს ჩემს დაწესებულებაში ფეხი არ დაუდგამს და არც თბილისში ყოფნა უცნობებია. ეს ჩემს მიმართ ანგარიშგაუწევლობა იყო. მე მისი თბილისის მობრძანება აგენტურული ინფორმაციიდან ვიცოდი. მაშინ ამიერკავკასიაში იმდენად მნიშვნელოვანი საქმე არაფერი მეგულეობდა, რომ პეტერბურგიდან მაღალი თანამდებობის პირის ჩამოსვლა ყოფილიყო მოსალოდნელი და პოლკოვნიკ სახნოვის ინკოგნიტოდ გამოჩენამ იმთავითვე დამაინტერესა. ეს პიროვნება თავისი ჩინითა და თანამდებობით პირადად ჩემთვის სერიოზულ სიდიდეს არ წარმოადგენდა. ამასთან ქერქეტა კაცი იყო, მისი გონებრივი ხელმოკლეობის დემონსტრირებას რამდენჯერმე

დღემდე მიკვირს, რომ არამც-თუ ვერ გამოვიყენე, აზრადაც არ მომსდგომეს მესროლა. ალბათ გუმანმა მიკარნახა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უმკველი სიკვდილი მელოდა.

სული ტკბილია და სულმა უკეთ იცის.

იმ ადგილებში კიდეც წელიწადი ვიმუშავე. მგონი მეტიც. კიკუ იმ ღამის მერე ჰკულიდან გადაცდა. რამოდენიმე თვის შემდეგ ძობამ ტყეში იპოვნა, თხმელის ძირში. მჯღომარე მომკვდარიყო და ისევე დარჩენილიყო — მკვდარი იჯდა.

ძობას ასავალ-დასავალი რიგიანად ვერ გავიგე: ამბობდნენ, ქუთაისში რომ ბიძა ჰყავდა, იმან წაიყვანაო.

ის წაიყვანდა.

თავად შევსწრებვიარ. მაღალი თანამდებობა იმით აიხსნებოდა, რომ დიდი თავადის ნათლულს ყველაფერს პატიობენ. აქვე დავსძინე: სახნოვი რომ სამსახურიდან გადადგა, მისი თანამდებობა მუშნი ზარანდიამ დაიკავა; პეტერბურგში მოღვაწეობა ზარანდიამ ამ პოსტიდან დაიწყო.

მთავარმართებელს ხაზგასმული სერიოზულობა შეგნიშნე. სახნოვიც სიცილის მომგვრელ იღუმელობას ამქდავნიბდა. ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მთავარმართებელსა და პოლკოვნიკს საგანგებო მნიშვნელობის თათბირის ჩატარება სურდათ. ჩემი ყურადღების გასამახვილებლად ამგვარი კომედიის თამაში საჭირო არ იყო; გამოდიოდა, რომ იგი მუშნი ზარანდიას განეკუთვნებოდა, მაგრამ ფარსის დამდგმელებს, სამწუხაროდ არაფერი გაეგებოდათ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე; ზარანდიას ერთხელ შევაველე თვალი და დავრწმუნდი. ყველაფერი ჩემზე უკეთ ესმოდა. მან უკვე იცოდა, როგორც უნდა წარემართათათბირი. წარემართა-მეთქი ვამბობ,

ზაფხუ აზიოკოიზი
ღამთა თუთაშხია

რადგან არ მახსოვს ზარანდიას მონაწილეობით ჩატარებული რაიმე საქმიანი შეკრება, რომელზეც მისთვის საინტერესო საკითხებს სხვანაირი გადაწყვეტა მიეღო და არა ისეთი, როგორც თვით ზარანდიას სურდა. სიბრაღული ვიგრძენი მთავარმართებლისა და სახნოვის მიმართ და კეთილი გულისთვის ჩემი თავი შევაქე: ტუტუცების შებრალება ხომ სათნოების უპირველესი ნიშანია. ასე იყო თუ ისე, ერთობ რიგიან გუნებაზე დავდექი, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგ თანამდებობრივი ეთიკის ნორმებისა, მთავარმართებელს ჩემთვის წინასწარ არ უცნობებია თათბირზე განსახილველი საკითხების შინაარსი და ახლაც არ ვიცოდი, რა საგანზე უნდა გვემსჯელა. მაინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხიარულ ცნობისმოყვარეობასა და მოლოდინს განვიციდელი.

კითხვა-მოკითხვის, რამოდენიმე პეტრებურგული და თბილისური ანეგდოტის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მთავარმართებელმა თათბირი გახსნა და მისი წარმართვა პოლკოვნიკ სახნოვს სთხოვა.

— რა ნათესაობა გაქვთ ყაჩაღ თუთაშხასთან? — მიახალა პოლკოვნიკმა ზარანდიას.

თათბირის ასეთ დასაწყისს მეც კი არ ველოდი. დავინახე, რომ ზარანდია ამ კაცის სისულელემ ძალიან გაახარა. მან მშვიდად მიუგო:

— და-ძმის შვილები ვართ. მამაჩემის ოჯახში დავიზარდე ერთად. დათა თუთაშხია და მისი და — ელე, ბავშვობაშივე დაობდნენ. საქართველოში უფრო ახლო ნათესაობა მხოლოდ ერთი დედამამის შვილობა არის. უნდა მოგახსენოთ, მიუხედავად იმისა, რომ ლალი ძმებივით ვართ, დათა თუთაშხია ყაჩაღად გავარდნის შემდეგ აღარ მინახავს და არც ვნახე, თუ ამგვარი რამ ჩემმა სამსახურებრივმა მოვალეობამ არ მომთხოვა.

სახნოვისთანა პრიმიტივს მეორე კითხვად, რა თქმა უნდა, ის ექნებოდა მომზადებული, თუ რა კავშირი და ურ-

თიერთობები ჰქონდა იმჟამად ზარანდიას თავის აბრაგ ბიძაშვილთან, მაგრამ ზარანდიამ იეშმაკა, მომარჯვებულ კითხვაზე წინასწარ უპასუხა. სახნოვს ისეთი ფიზიონომია შეექმნა, ვითომ დაჯდომას აპირებდა და ამ დროს სკამი გამოაცალეს. ეს ხრიკი ზარანდიას თავის დროზე და სხვა სიტუაციაში ჩემთანაც ჰქონდა ნახმარი. ხრიკის ხმარებას დროის დაზოგვის სურვილით ხსნიდა. ნამდვილად კი მოპირდაპირის აზრებში არეულობის შეტანის მიზნით ხმარობდა. სახნოვთან ამ მიზანს აბსოლუტურად მიაღწია. პოლკოვნიკი კარგა ხანს იჯდა დაბნეული. მერე თავს მოერია, ქალაღში ჩაიხედა და კითხვა დაუსვა:

— სწორია თუ არა, რომ თქვენ მიერ კონტრაბანდისთვის დაპატიმრებული ებრაელის ძმებმა, თქვენს მეუღლეს ხუთ ათას მანეთად ღირებულ ბრილიანტის საყურეები მიართვეს?

— ჭეშმარიტებაა! — დაუდასტურა ზარანდიამ, პორტფელი გახსნა, რაღაცის ძებნას მიჰყვა.

სახნოვი გამოცოცხლდა, მთავარმართებელს გადახედა, ერთი გამკიცხავი მზერა მეც მესროლა, კვლავ ზარანდიას მიუბრუნდა და დამატებითი კითხვის მიცემა დააპირა...

აღარ დასცალდა — ზარანდიამ ხელში ქალაღი მიაჩეჩა და განაგრძო:

— ის ოპერაცია ჩვენ მაისში ჩავატარეთ. გამოძიების დროს — იმავე წლის სექტემბერი იყო — ებრაელის ძმებმა ქრთამი შემომთავაზეს. თვით შემოთავაზება ისეთ ფორმას და სიტუაციაში მოხდა, რომ ბოროტ განზრახვაში მათი მხილება ვერ მოხერხდებოდა. მათი გამოწვევა, იძულება, რომ უფრო პირდაპირი გზით შემოეთავაზებინათ, ჩემის მხრივ იქნებოდა დანაშაული. მე ისინი დავაიმედე, რომ მათი ძმა, ჩადენილი დანაშაულის უმნიშვნელობის გამო, ორი წლის პატიმრობით გადაარჩებოდა, და გავისტუმრე. სამიოდე დღის შემდეგ, ანუ სექტემბერშივე მათ ჩემს მეუღლეს ხსენებული საყურეები შეაჩეჩეს. ეს ჩემთვის მომდევნო კვირაში გახდა ცნო-



ბილი. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, ანუ სამ ოქტომბერს, ქუთაისში ნოტარიუსმა ეგ საბუთი შეადგინა.

ზარანდიას ქალაქი ამ მომენტში უკვე მე მეჭირა. ნოტარიუსი ადანსტურებდა მუშნი ზარანდიას მიერ ებრაელებისთვის საყურების დაბრუნების ფაქტს.

თავი ვეღარ შევიკავე, გამეცინა. მთავარმართებელმა წყალი მოსვა და თვალზე აფახუნებულ სახნოვს გადაულაპარავა:

— Il vous assure il est in vraie diable!

ზარანდიამ უამისოდაც იცოდა, ვინც იყო, რაც იყო და მთავარმართებლის დამოწმება, ალბათ, არ ესაჭიროებოდა.

— ბატონო ზარანდია, თქვენ უთუოდ გესმით, რომ ჩვენი თათბირის ეს სახამუშო ნაწილი აუცილებელი ფორმალობის მეტი არა იყო რა, — თქვა მთავარმართებელმა.

— უდაოდ! — დაუდასტურა ზარანდია.

უხერხული სიჩუმე ჩამოვდა. მთავარმართებელმა სახნოვს თვალი რამოდენიმეჯერ შეავლო, რამ ჩაუგდო ენაო. სახნოვი საქალაქში იქეჭებოდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დამსწრეთათვის დაენახებინა აი, ახლავე მოვრჩები და განვავარძობო. მუშნი ზარანდია ერთობ კმაყოფილი ჩანდა. მე იმის გამოცნობას ვლამობდი, თუ რისთვის იყო მოწვეული ეს ფრიად საგანგებო და საიდუმლო თათბირად განზრახული შეკრება, ხომ შეუძლებელია, სახნოვი პეტერბურგიდან ზარანდიასთვის ამ ორი იდიოტური კითხვის მისაცემად ჩამოსულიყო?

პოლკოვნიკმა, როგორც იყო, აზრი მოიკრიფა, ჩაახველა და თქვა:

— იმპერიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა დაუყოვნებლივ მოითხოვს თვითმდინარებაზე მიშვებული, ან მიტოვებულ-ხელჩაქნეული საქმეების გადაუდებლივ დასრულებას. ამჟამად თქვენი სამმართველოსთვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ოცამდე ბანდა, თუ მარტოხელი ყაჩაღი მოქმედებს

და მათი ლიკვიდაციისთვის ჩატარებულ ღონისძიებებს სასურველი შედეგი მოაქვთ. რით უნდა აიხსნას აღნიშნული მდგომარეობა?

სახნოვი პასუხს ჩემგან ელოდა. ამ საკითხზე ჩვენი უწყება პეტერბურგში წერილობით მოხსენებას ყოველ ორ-სამ თვეში გზავნიდა. სახნოვისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. ახლა კიდევ ერთხელ მოითხოვდა განმარტებას. ძლიერ მოკლედ, თეზისების სახით მოვახსენეთათბირის:

— პირველი: ბანდიტოზის მოძველებული, უვარგისი მეთოდებით ვებრძვით. მეორე: ბრძოლას აწარმოებს რამოდენიმე უწყება ერთდროულად — პოლიცია, ქანდარმერია, სამხედრო ოლქი და სეროიზულად კი — არც ერთი. ხსენებულ უწყებათა ღონისძიებები, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგადაა, აქედან — უეფექტოც. მესამე: ბანდიტს აქვს დასაყრდენი — მოსახლეობის თანავარძლობა და დახმარება, რასაც ჩვენ, თითქმის სასესებით ვართ მოკლებული. მეოთხე: ჩვენი მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობენ უნიჭო, მარტივი გონების ადამიანები მაშინ, როდესაც ყოველი მოუხელთებელი ყაჩაღთაგანი ნიჭიერი, მამაცი და გამოცდილი პიროვნებაა. პი-რო-ვნე-ბა! ყაჩაღებს, რომლებიც თავისი პირადი ღირსებებით მღევრებს არ აღემატებიან, ადვილად ვიპერთ: ბოლო ხუთი წლის მანძილზე — ორმოცდაათერთმეტი კაცი!

— თქვენ რა აზრისა ხართ! — სახნოვმა ზარანდიას ჰკითხა.

— მათი ბრწყინვალეების ნათქვამი დაკვირვებიდან, არსებული გამოცდილებიდან და მრავალგზის შემოწმებული დასკვნებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ჩამოთვლილი მოსაზრებები ჭეშმარიტებად მიმაჩნია.

სახნოვმა ტუჩები დაბრიცა, ამ პირმთნე სუბიექტის თათბირზე დასწრება ვის რაში დასჭირდაო. მთავარმართებელმა ეს უესტი შენიშნა და აფეთქდა.

ვახუა აშირაჯიანი
დათა თუთაზონი

აფეთქდა. არა იმიტომ, რომ ზარანდიას პასუხი არ მოეწონა, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ნათქვამი მხოლოდ განმეორება იყო მთავარმართებლის მიერ დადასტურებული და პეტერბურგს მრავალჯერ ვაგზავნილი მოხსენებებისა და სახნოვის ექსტი თვით მთავარმართებლის აზრის უარყოფას ნიშნავდა.

— გრაფი მართალია! — კატეგორიულად თქვა მთავარმართებელმა.

— დიას, მეც ასე მგონია, — სასწრაფოდ დაუკრა კვერი სახნოვმა, ცოტა ხანს ჩუმად იყო და შემდეგ, თითქო თავისთვის თქვა: — მაშასადამე საჭიროა მეთოდების შეცვლა, ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთი რომელიმე უწყების ხელში კონსოლიდაცია, ყაჩაღობის დასაყრდენის ანუ მოსახლეობის თანავარძლობის აღმოფხვრა და ბრძოლაში ნიჭიერი, გამოცდილი ადამიანების ჩაბმა. ასე გამოდის, ხომ?

ჩემი თეზისებიდან ამგვარი დასკვნის გამოტანას დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა. ხილული და ხელმისაწვდომი დასკვნა, ფაქტიურად, თვით ჩემს მოსაზრებებშივე იდო და, როგორც უკვე ვთქვი, არც პეტერბურგისთვის დაგვიკლია ამ შინაარსის წერილობითი მოხსენებები. მაინც გამიკვირდა სახნოვის გამჭირაზობა, მაგრამ როგორც მერე შევნიშნე, პორტფელში ხშირ-ხშირად ამისთვის იყურებოდა, რომ ჩემს ერთერთ მოხსენებში ბარათს კითხულობდა ჩუმად.

— ჩვენი დღევანდელი თათბირის მიზანია, დავსახოთ აღძრული საკითხების გადასატრელები გზები. თათბირის მონაწილეებს ვთხოვ, გამოთქვან თავისი აზრი ამ მიმართებით. — სახნოვმა მთავარმართებელს მიაპყრო მზერა.

— გრაფს თავის მოხსენებებში ჩვენი საერთო აზრი მკაფიოდ აქვს ფიქსირებული. იგი თქვენთვისაც ცნობილია, მაგრამ თუ მათი ბრწყინვალეობა ისურვებს — გაიმეოროს.

— კავკასიის მთავარმართებელს საგანგებო რწმუნებები უნდა მიენიჭოს, რის შემდეგ ჩვენ ვიმოქმედებთ გამო-

დინარე კონკრეტული სიტუაციიდან და ვეფიქრობ, წარმატებასაც მივაღწევთ. ვიგრობენი, რომ მეზარებოდა ლაპაოაკი ათასჯერ თქმულზე, დაწერილზე, მოხსენებულზე. ეს წყლის ნაყვა იყო და გალიზიანებულმა დაესძინე: — მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა კავკასიის მთავარმართებელს საგანგებო რწმუნებებზე უარს არ ეტყვის, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობის შემთხვევაში: საიმპერიო ქანდარმერიის შეფმა ამ რწმუნებათა საჭიროება უნდა დაუდასტუროს ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრს. შემდეგ თვით მის უდიდებულესობას. ამისთვის კი საჭიროა, რომ თქვენ სავსებით გაიზიაროთ ჩვენი თვალსაზრისი და დაარწმუნოთ ქანდარმთა შეფი ჩვენი მოთხოვნის მართებულობაში.

— რაში გამოიხატება საგანგებო რწმუნებები?

— მთავარმართებელს უნდა მიენიჭოს უფლება შეიწყნაროს ყაჩაღის წარსული დანაშაული და შეირიგოს იგი. მის ორდერს კანონის ძალა უნდა ჰქონდეს! — განუუმარტე სახნოვს.

პოლკოვნიკი დაფიქრდა და მუშნი ზარანდიას ზრდილობის გულისთვის ჰკითხა:

— თქვენ?

— ბატონო პოლკოვნიკო! ჩემი აზრით, თქვენი დასკვნა მათი ბრწყინვალეობის, გრაფის მიერ წამოყენებული მოსაზრებების გამო, უკლებლივ შეიცავს მოქმედების ყველა გზას, ფაქტიურ პროგრამას, რომელსაც სავსებით ვეთანხმები. თუ ნებას მომცემთ მხოლოდ გავშლი, ჩამოვყალიბებ, განვმარტავ თქვენს აზრს, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ, უპირველესად ყოვლისა, თვით ჩემთვის გახდეს უფრო ნათელი, გასაგები...

პოლკოვნიკმა ზარანდიას ამ ადგილზე სიტყვა შეაწყვეტინა:

— მერე, ბატონო ზარანდია... სხვა დროს!

— არა, ბატონო პოლკოვნიკო!.. ჩემი თხოვნა იქნებოდა, მივცეთ ბატონ ზარანდიას მსჯელობისა და თათბირში მონაწილეობის საშუალება! — გადაჭრით მოვითხოვე მე.



ამ მოთხოვნას შემდეგ აზრი ჰქონდა:

ზარანდია იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ყოველთვის და ყველა განსახილველ საკითხზე აქვთ თავისი აზრი, დასკვნა და მოქმედების მეტნაკლებად ჭკვიანური გეგმაც. ამასთან, კერძოდ ზარანდიას გეგმა მუდამ გონიერი და ქმედითი იყო, თუმცა რამდენადმე უცნაური, თავისებური, ვაბედული. ამ თვისებათა გამო საშუალო გონების, ანდა საკითხზე ცუდად ინფორმირებულ მსმენელს მისი გეგმა არარეალურად, მიუღებლად ეჩვენებოდა. ზარანდიამ იცოდა ეს. ამიტომ თავის საკუთარ გეგმას ერთობ კადნიერად მიაწერდა ხოლმე თათბირის ყველაზე გავლენიან მონაწილეს, რათა სათქმელი, იმ კაცის ავტორიტეტის სიმაღლიდან თქმულიყო. ეს ხერხი გეგმის მიმართ დამსწრეთა წინასწარ კეთილგანწყობას და, საბოლოო ჯამში, გეგმის მიღებასაც უზრუნველყოფდა, მით უმეტეს, რომ ზარანდიას მიერ შერჩეული გავლენიანი მოთათბირე მზადყოფნით კისრულობდა ჭკუამახვილი გეგმის ავტორობას. ზარანდიას მხოლოდ ის აინტერესებდა, რომ მისი გეგმა გასულიყო და არა ის, თუ ავტორად ვინ იქნებოდა აღიარებული. ეს ოინი მას ჩემს მიმართაც რამოდენიმეჯერ და წარმატებით ჰქონდა გამოყენებული. უნდა ვთქვა, ადვილად ვტყუებდებოდი ერთი უბრალო, სრულიად ადამიანური თვისების გამო: ჩვენს პოტენციაში, ქვეცნობიერებაში მუდამ არის დასკვნა, ან მისი ჩანასახი, ნაცნობი, ნაფიქრი საგნის გარშემო და როცა სხვანი ამ დასკვნას სიტყვიერ, უკვე ჩამოყალიბებულ ფორმაში გვთავაზობენ, იგი ცნობილ ქეშმარიტებად და, ამასთან, ჩვენს მიერ დადგენილ ქეშმარიტებად ვვეჩვენება.

მუშნი ზარანდიამ სახნოვისთვის განკუთვნილი პასუხი ისე დაიწყო, რომ ჩემთვის ნათელი შეიქნა: ჰქონდა გეგმა და სახნოვის სახით მის ფსევდო-ავტორს ეძებდა. მე თვით გეგმაც მინტერესებდა და, შემდეგ ხრიკზე სახნოვის წამოგების პროცესიც.

მთავარმართებელი პოლკოვნიკის თანხმობას არ დალოდებია, ზარანდიას უთხრა, ილაპარაკეთო.

ზარანდიამ მორცხვად გაიღიმა, მთავარმართებელს თავაზიანად დაუკრა თავი, რაც მაღლობასა და ბოდვის ერთდროულად ნიშნავდა და დაიწყო:

— ბატონმა პოლკოვნიკმა თავისი დასკვნის უპირველეს საკითხად ყაჩაღობის დასაყრდენის, მოსახლეობის მხრივ თანაგრძნობისა და დახმარების აღმოფხვრა წამოაყენა და ბუნებრივიც არის, რადგან ეს ურთულესი და უმწიფესი პრობლემაა. მიუხედავად ამისა, მისი დაძლევა შესაძლებელია და, ამასთან ერთად, უშუალოდ არის დაკავშირებული ბრძოლაში უნარიანი, გამოცდილი ადამიანების ჩაბმის საკითხთან. ბატონ პოლკოვნიკის დებულებები პრაქტიკულ საქმიანობაში ასეთი ფორმულის სახეს მიიღებენ: მოსახლეობის მხრივ ნდობის, დახმარების მოსპობა ყაჩაღის რეპუტაციის გასვრის, სახელის გაფუჭების გზით. შემდეგ, ყაჩაღის შემორიგება. ბოლოს, შემორიგებულის გადმოზირება, ჩვენს სამსახურში აყვანა და სხვა ყაჩაღებთან საბრძოლველად გამოყენება.

რამდენადაც მესმის, ეს ფორმულა ღონისძიებათა შემდგომ მიმდევრობას გულისხმობს: ჭკვიანურად შეთხზული მაკომპრომეტირებული ხმების გავრცელება; ყაჩაღის მიერ ხალხის წინააღმდეგ მოქმედების, ადამიანთა დარბევის, ძარცვის, უდანაშაულოთა მკვლელობების ინსცენირებები და ამ რიგის სხვა ღონისძიებები, რომელთა შედეგად საქმე გვექნება სახელგატეხილ და გასვრილ ბოროტმოქმედთან და არა გმირთან ხალხის თვალში. ეს, ფაქტიურად, განიარაღებული, სასოწარკვეთილი ადამიანი იქნება. ასეთი ან თავისი ნებით ჩაგვბარდება, ან მითავაზებულ შემორიგებაზე დაგვთანხმდება, ან ჩვენს მიერ გადმოზირებული კაცი დანიშნული ჯილ-

ვახუა აფიჩაიანი
დათა თუთაყიძი

დოს ფასად და სინდისის უქეჩნელად ჩაგვაბარებს მას. აქვე აღენიშნოთ, რომ ეს უნდა იყოს დაყინებული მუშაობის პროცესი და არა კომპანია, ან, მით უმეტეს, ერთდროული ღონისძიება. ამასთან ერთად, წინასწარ უნდა გამოვავირობოთ, რომ ცალკეული ყაჩაღის მიმართ, ხსენებული მეთოდიც კი უმწეო აღმოჩნდება, მაგრამ როგორც მისი ბრწყინვალეობა გრაფი სეგედი იტყვის ხოლმე, გამონაკლისი მხოლოდ ადასტურებს წესს და წესის მართებულობას. ამგვარად, ბატონებო, ზემოთყვანილი ფორმულის პირველი წრე შეიკრა.

ახლა ფორმულის მეორე წრის ღონისძიებათა მიმდევრობა: მთავარმართებლის ორდერი შემორიგებამდე ჩადენილი დანაშაულის პატიება იქნება და არა მომავალი შეუვალობის სიგელი. შემორიგებული ყაჩაღის მიერ ჩადენილი ახალი ბოროტმოქმედება, ცხადია, ახალ პასუხისგებას მოითხოვს. დანაშაულის ინსპირირება, შემდეგ, მახში მიგაბმული ბოროტმოქმედის გადმოხილება და გამოყენება, სწორი მიდგომის შემთხვევაში, არც-თუ ძნელი საქმეა. როცა ბატონი პოლკოვნიკი ბრძოლაში უნარიანი, გამოცდილი ხალხის ჩაბმაზე ლაპარაკობდა, ექვს გარეშეა, გულისხმობდა, რომ მათი შექმნის სხვა წყარო არ არსებობს. რჩება ბატონ პოლკოვნიკის დასკვნაში არსებული კიდევ ორი რამ — მეთოდი და კონსოლიდაცია; მეთოდი ახალია, იმდენად მაინც, რომ იგი ჩვენ, სახელდობრ ყაჩაღების წინააღმდეგ ჯერ არ გამოგვიყენებია და მისი სპეციფიკა თავისთავად მოითხოვს ბანდიტიზმთან ბრძოლის კონსოლიდაციას უანდარმერიის ხელში.

ასე შესახება ბატონ პოლკოვნიკის დასკვნაში არსებული მოქმედების პროგრამა. იგი კავკასიის მთავარმართებლისთვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭებას გარდუვალად გულისხმობს. დასასრულ ვიტყვი, რომ ბატონ პოლკოვნიკის გეგმას სახვებით ვეთანხმები და მისი განხორციელება საჭიროდ მიმაჩნია. მუშნი ზარანდია დაღუპდა.

სახნოვი მისთვის უცნობი გეგმის ტორობამ მხოლოდ ერთი წუთით მკაცრად ბუნა. შემდგომ მსჯელობას ისეთი იერით ისმენდა, როგორც მასწავლებელი ჩამორჩენილი მოწაფის მიერ კარგად ნასწავლ გაკვეთილს ისმენს ხოლმე და ზარანდიას დაღუმებისთანავე მენტორის კილო აიღო.

— ბატონებო, თქვენთვის ალბათ ნათელია, აქამდე რატომ არ ვიშუამდგომლეთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე კავკასიის მთავარმართებლისთვის საგანგებო რწმუნებათა მისანიჭებლად. შინაგან საქმეთა მინისტრი, უანდარმთა შეფი და პირადად მეც ვერ ვხედავდით თქვენს ისეთ გეგმას, რომლის განხორციელებას საგანგებო რწმუნებები ესაჭიროებოდა. აჰ, ადგილზე საკითხის შესწავლის შედეგად საქმის ვითარება ჩემთვის ცხადი გახდა და, როგორც ზედავთ, გეგმაც დაისახა. ვიმედოვნებ, იგი მოწონებული და განხორციელებული იქნება.

სახნოვის კანდიერებამ ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი უქილურესი თავხედობა მართლაც იშვიათი სანახავი გახლდათ.

— ჩემის მხრივ, აღვითქვამთ, — ნაგებობდა პოლკოვნიკი, — რომ კავკასიის მთავარმართებელი საგანგებო რწმუნებებს უახლოეს ხანებში მიიღებს. დაგვრჩა ორიოდ საკითხი; გეგმას კიდობრებული დასახელება უნდა ეწოდოს... — სახნოვი წამით დაფიქრდა და თქვა: — დიახ, ეს შესაფერი იქნება: „კილიკია!“ თუ მეხსიერება არ მღალატობს, იულიუს კეისარი კილიკიელ მეკობრეთა წინააღმდეგ სწორედ ამგვარ მეთოდებს იყენებდა. მაშ, ასე — „კილიკია!“ ახლა, ბატონებო, ვთხოვთ დაასახელოთ კანდიდატურა, პირი, რომელსაც უშუალოდ დაეკისრება გეგმის განხორციელება.

მთავარმართებელი და მე, დარწმუნებული ვარ, ერთობ საინტერესო სანახავი ვიყავით; ეს შოკზე მეტი იყო და ჭკუიდან გადაცდენაზე ცოტა ნაკლები... ვღუმდით, რადგან, ერთი მხრივ, ამდენი



ემშაკობის, ლოკიურობის და, მეორე მხრივ, გაუვალი სიბრყივის დაპირისპირებას გონება ერთბაშად ვერ გადაამუშავებდა. ბოლოს ისევ მთავარმართებელმა დაარღვია სიჩუმე:

— ღრმად პატივცემული იულიუს კეისარი მეთოდების შერჩევაში მაინც-დამაინც ფაქიზი არ ბრძანებულა... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. მერე თითქოს ფიქრებიდან გამოერყვა და მე მომმართა: — თქვენო ბრწყინვალეებავ, დასახელეთ კანდიდატურა.

— ჩვენი უწყების საგანგებო დავალებათა ოფიცერი, ბატონი მუშნი ზარანდია!

— მხარს ვუჭერ, — უმალ მომემხრო მთავარმართებელი. — მომიტანეთ წერილობითი წარდგინება.

სახნოვმა ეესტიო გვაცნობა, რაკი ასე ვნებავთ, არც მე ვარ წინააღმდეგიო.

ზარანდია, დარწმუნებული ვარ, შესასრულებელი გეგმის წვრილმანებზე ფიქრობდა და როცა მთავარმართებელმა ჰკითხა:

— თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს თქვენს ბიძაშვილზე, ყაჩაღ თუთაშხიაზეც გაავრცელებთ? — ზარანდიამ მშვიდადვე მიუგო:

— დიახ, თქვენო მალალამატებულეებავ! გამოგიტყდებით, ერთგვარი აზარტითაც, რადგან იგი ღირსეული მოწინააღმდეგეა... მეტისმეტად ჰკვიანი, გამბედავი და ალლოიანი კაციო.

მთავარმართებელმა ღია ფანჯრისკენ წაიღო თვალი, პეიზაჟებს დაუწყო თვალიერება.

— კეთილი და პატიოსანი, — დასკვნა სახნოვმა. — ამას გარდა... ამას გარდა, საჭიროა ბატონი ზარანდია რიგგარეშე ჩინზე წარმოადგინოთ. შექმენით ქვეგანყოფილება „კილიკია“ ბატონ ზარანდიას მეთაურობით, დაუნიშნეთ სათანადო ჯამაგირი საიმპერიო სამმართველოს ხარჯზე. ეს მას წაახალისებს, სიბეჯითეს შემატებს. ამ ქვეგანყოფილების კურატორი პირადად მე ვიქნები.

ზარანდიამ თანხმობისა და მადლობის ნიშნად თავაზიანად დაიქნა თავი, მაგ-

რამ შევატყე, სახნოვის კურატორობის პერსპექტივა არაფრად ეჭაშნიკა.

მთავარმართებელმა პეიზაჟებს თავი მიანება, მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ბატონებო, თათბირი დამთავრებულია!

ზარანდია უმალ წამოდგა, მოკრძალებით გამოგვეშვიდობა. მთავარმართებელმა შეაჩერა, ხელი გაუწოდა; ეს იმას ნიშნავდა, რომ დღეის შემდეგ ზარანდია კავკასიის განმგებლის სასახლეში მალალ პერსონასთან დაახლოებულ და სასურველ პირად იქნა აღიარებული. ოფიცერმა ეს წყალობა თავშეკავებული მადლობით მიიღო, ხოლო მალალი პერსონა ზარანდიას გასვლისთანავე ადგა, პირსაბანთან მივიდა და „კილიკიის“ ნამდვილი ავტორის მიერ ჩამორთმეული ხელი საპნით დაიბანა!

ამ, რამდენადმე, ფანჯარონულ თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ერთი თვის თავზე მთავარმართებელმა მართლაც მიიღო საგანგებო რწმუნებები, შევქმენით ახალი ქვეგანყოფილება და მისმა უფროსმა, მუშნი ზარანდიამ, თავისი მხნეობის შესაფერი საქმიანობა გააჩაღა. მისი მუშაობის ზოგადორგანიზაციულ მხარეს მხოლოდ საჭიროების მიხედვით შეევეხები. უფრო მნიშვნელოვანია ზარანდიას მოქმედების ზნეობრივი პრინციპები, რადგან მათთან გაცნობამ ჩემს წინაშე დათა თუთაშხიას მოქმედების ზნეობრივი პრინციპების შესწავლის ინტერესი წამოსჭრა. ეს ჩემი კაპრიზი უფრო იყო, ვიდრე სამსახურებრივი აუცილებლობით გამოწვეული დაკვირვება, თუმცა ასეთი ანალიზი საქმესაც არაფერს დაუშავებდა. ჩემს ცნობიერებაში ორი, სრულიად განსხვავებული ზნეობის დაპირისპირება მოხდა და მოულოდნელი, ჩემი პირადი ცხოვრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა... მაგრამ მივეყვით მოვლენათა თანმიმდევრობას.

ზაზუა ამიჩაქიანი
დათა თუთაშხინი

მიღებულია ვიფიქროთ, რომ ადამიანის ცხოვრება მის, მეტნაკლებად მნიშვნელოვან საქციელთა ჯამია. ყოველი ჩვენგანი განუწყვეტლივ მოქმედებს, ქმნის, ან ანგრევს და ყოველივე ამას, აუცილებლად, ზნეობრივ საფუძველს უმარჯვებს. ჩვენი საქმეების შენობა ჩვენივე ზნეობის საძირკველზე დგას; ერთნი, ჯერ მოიქცევიან და შემდეგ ეძებენ, პოულობენ, ან ვერ პოულობენ და ამიტომ თხზავენ თავისი საქციელის გამართლებას. მეორენი იძულებულნი არიან კანონს თუ საზოგადოებრივ აზრს ანვარიში გაუწიონ; ამიტომ თავის მომავალ ცუდ საქციელს დიდის რუღუნებით ნიღბავენ და უანგარობის სამოსელში ჰხვევენ. მესამენი მომავალ საქციელს ჯერ საკუთარი ზნეობის პოზიციებიდან განიხილავენ და შემდეგ ამოქმედდებიან ან თავს შეიკავებენ. მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც, ზნეობის გაუთვალისწინებლად, წინასწარ განუსჯელად მოქმედებენ, არც მერე ეძებენ ზნეობრივ გამართლებას და საქციელი კი ყოველთვის სწორი გამოუდით. ამას მუშნი ზარანდიას მიერ ჩატარებულ ერთ ღონისძიებაზე ვამბობ; მხედველობაში მაქვს ის საქმიანობა, რომელიც მან ხმების გავრცელებისა და შეკრების სისტემის შექმნისას გასწია. ზარანდიამ ამ საქმეს ასე მოაბა თავი: კავკასიის ყველა სამაზრო ცენტრში და მსხვილ დასახლებულ პუნქტში საგანგებოდ შეარჩია ჩვენივე უწყების თითო თანამშრომელი ხმების გასავრცელებლად. კონსპირაცია ზედმიწევნით იყო დაკტული და თანამშრომლის ფუნქციების შესახებ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. შერჩეული მოხელე მხოლოდ ზარანდიას ემორჩილებოდა, მხოლოდ მისგან მიღებულ მასალას ავრცელებდა. ამას გარდა, თითო თანამშრომელი შეიარჩია ინფორმაციის მოსაგროვებლად და ზარანდიას ქვეგანყოფილებაში გადმოსაგზავნად. ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან ეს თანამშრომლებიც კონსპირირებული იყვნენ. ამგვარად, ერთისა და იგივე უწყების ორი მუშაკი ერთიმე-

ორისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. ისინი ერთმანეთს ალბათ იცნობდნენ, ვინაიდან მაზრა საკმაოდ ვიწროვალა, მაგრამ თუ ორივენი ერთი სისტემის რგოლები იყვნენ — ამისი არაფერი ვაეგებოდათ. მექანიზმი სადა, საიმედო და ეფექტური გამოდგა. ხმების მოგროვება თუ სრულიად უმტკივნეულოდ ხერხდება და ამისთვის ჭორივანა ნაცნობ-მეგობრების მეტი თითქმის არაფერია საჭირო, ხმების გავრცელება ერთობ დელიკატურ მიდგომას მოითხოვს; მდამიო წარმოშობის აგენტის გამოყენება არ შეიძლება, რადგან მსმენელის კითხვაზე, თუ საიდან არის ამისთვის ცნობილი მფანის ვერსია, აგენტმა უნდა წყარო დაასახელოს; ხომ არ იტყვის, აგენტი ვარ და გავრცელება დამავალესო? ინტელიგენციის ჩარევა ამ საქმეში საშიშია; ყოველი მეორე ინტელიგენტის ფსიქოლოგიური აპკლუა — ფრონდიორობაა და, მამასადამე, ადვილი მოსალოდნელია გათქმა და სკანდალი. რჩება ტანტის თავდავიწყებული ერთგულქვეშევრდომების მცირერიცხოვანი კასტა, რომელიც ძირითადად ველიკორუსებისგან შესდგება და ამდენად ადგილობრივი მოსახლეობის ნდობასაც მოკლებულია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ფანტიკოსთა უმრავლესობის გონებრივი დიაბაზონი თავისუფლად ეტევა გულუბუცილობისა და სისულელეს შორის არსებულ მონაკვეთში. ასეთებს, თავისთავად ცხადია, სერიოზული საქმე ძნელად და უკიდურეს შემთხვევაში თუ მიენდობა. ხმების გამფრცელებელ თანამშრომელს კი სულ ცოტა ხუთი, ექვსი საიმედო და დახლოვებული აგენტი სჭირდება. ყოველივე ეს ჩემთვის იმთავითვე ნათელი იყო. მოველოდი, რომ მუშნი ზარანდია ამ პრობლემას ჩვეულებრივად, ფულის მეშვეობით გადასჭრიდა — გაღარიბებულ თავად-აზნაურთაგან შეარჩედა საქმისთვის გამოსადეგ პირებს, მაგრამ ასე არ მოხდა.

როცა ინფორმაციის სამსახურის შექმნის ვადა მიიწურა, ზარანდიამ მომახ-



სენა, ყველაფერი მზად არის და სისტემის გამოცდაც შეიძლებაო. ბუნებრივია, დავინტერესდები, თუ რამდენი დაგვიჯდებაოდა აგენტების მუშაობის ანაზღაურება. ფინანსურ მხარეს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა: ვთქვათ ოცდაათ მაზრაში ასორმოცდაათი აგენტის ყოლას წელიწადში ოთხმოცდაათი, ასი ათასი მანეთი მოუხდებოდა. ასეთი თანხის გაღებაზე ზემდგომი დაწესებულებების დაყოლიება ძალიან ძნელი იყო.

— თქვენო ბრწყინვალეებო, — მიხრა ზარანდიამ. — გავრცელებას მხოლოდ საფოსტო ხარჯები ექნება. მოგროვებული ინფორმაციის გადმოცემას — არავითარი, რადგან ადგილებიდან მოხსენებითი ბარათები მუდმივად მომუშავე შიკრიკების ხელით გადმოგვეგზავნება.

— საინტერესოა! მასალის გადაგზავნას ჩვეულებრივი ფოსტით აპირებთ?

— დიახ! — დამიდასტურა ზარანდიამ. — გასავრცელებელი ვერსია რეზიდენტს მეგობრის შეკვეთილი წერილის სახით გაეგზავნება. ასეთი კორესპონდენცია, კიდევ რომ უტეხო პირს ჩაუვარდეს ხელში, საქმე ამით არაფერს წაავებს. პირიქით, ამ გზავნილების უკანონო მფლობელი ჩვენთვის სასურველ სამსახურს გასწევს, თუკი წერილის შინაარსს გაავრცელებს. დამავიწყდა აღმენიშნა, რომ წერილი ორ ასლად გაიგზავნება. მიღებას იგი წერილითვე დაგვიდასტურებს.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკე მე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვფიქრობდი იმაზე, რომ ყველა გონებასმავილ გამოგონებას ტექნიკის დარგში, ყველა დიდ სამხედრო თუ პოლიტიკურ გამარჯვებას, ხელოვნების ყველაზე ამბულბულ ნიმუშებს ერთი ნიშანი აქვთ — სისადავე! ვფიქრობდი იმაზეც, რომ აი, ამ კაცს არასოდეს არ მოსდიოდა აზრად რაიმე რთული, დახლართული საშუალებებით გადაეჭრა ესა თუ ის საკითხი. სადა, უბრალო გონება ჰქონდა — სადა, უბრალო გეგმებს ადგენდა. აქციზიდან ქანდარმერიაში მის გადმობარგებასაც

სადა, უბრალო და ამიტომ მყარი ფილოსოფია ედო საფუძვლად. ჩემს მესხურებაში ერთმანეთს მოჰყავა ზარანდიამ პროფესიული ფანდები, ხერხები, ეშმაკობები, ყველაფერი, რამაც მას სახელი მოუხვეჭა და კარიერა შეუქმნა... ყოველი მათგანი სათითაოდ, ყველაფერი ერთად — სისადავისა და უბრალოების ბრწყინვალე ნიმუშად გამოდგებოდა! სევდა შემომამწვა; აქამდე ვერ ამიხსნია — რატომ. რალაც უიმედოდ, სასოწარკვეთით ვკითხე, რეზიდენტებს აგენტებად ვინ ჰყავთ, რა ხალხია-მეთქი.

— უმეტესად — მოლაღატე ცოლები. აქა-იქ — მოლაღატე ქმრებიც!

— ერთგულებმა დააშავეს რამე?

— სრულიად არაფერი, მაგრამ ისინი უმეტესად შინ სხედან და ბავშვებს უვლიან. მოლაღატე ცოლები კი ლაპარაკის ეინის მოსაკლავად და ჭორების მოსამენად დღეში ოთხ, ხუთ ოჯახს მოივლიან, — თქვა ზარანდიამ.

— სტუმრად ვანა მხოლოდ მოლაღატე ცოლები დადიან?

— მე მინდოდა მეთქვა, თქვენო ბრწყინვალეებო, რომ ერთგული ქალებიდან სტუმრად სიარული, ვთქვათ, ყოველ მეთაეს უყვარს მაშინ, როდესაც ათი მოლაღატე ცოლიდან ცხრა სხვის ოჯახში უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე თავისაში.

— ქარაფშუტა ხალხია. მათზე დანდობა ესოდენ სერიოზულ საქმეში, არ მგონია მიზანშეწონილი იყოს.

— ქარაფშუტა ხალხია?.. მოლაღატე ცოლების ხსენებული მიდრეკილება, ჩემი აზრით, ქარაფშუტობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ საეგებობით პრაქტიკული სურვილით: გამუდმებით იყვნენ იმის კურსში, თუ რამდენად მყარია და დაცულია მათი ინტიმური საიდუმლოება. ისიც შესაძლებელია, რომ ვცდები, მაგრამ ჩვენი სამსახურისთვის საკითხის სხვა მხარეა მნიშვნელოვანი; ჯერ, ხელდობრ ის, რომ ისინი მოლაღატე ცოლები არიან და შემდეგ ის, რომ სტუ-

მავთა აპირაგვიო
დათა თუთაჟიო

მრად სიარული, საზოგადოებაში ყოფნა უყვართ. პირველი გარემოება მათთან დაახლოებას აადვილებს, მეორე — ვერსიის ფართოდ გავრცელების საშუალებას ქმნის.

ამაში ზარანდია საეხებით მართალი იყო და არამართო მის მიერ მოყვანილი მოსაზრებების გამო; იმიტომაც, რომ ლალატის გამხელის შიშით გადმოზირებული ქალი დავალებებსაც კეთილსინდისიერად, ბეჯითად შეასრულებდა და ქანდაკმერისთან კავშირს, თვით წმინდა მამათა ინკვიზიციის წინაშეც არ გაამხელდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა, საქმის თვალსაზრისით, პერსპექტიული ჩანდა, მაგრამ იმ ხანად ქალებთან აგენტურული მუშაობის გამოცდილება საერთოდ მცირე იყო, ეტყობა არც მე ვიყავი ამისთვის მორალურად მომზადებული, სერიოზულ საქმეში მათი ჩარევა მეხამუშებოდა და ნახევრად ხუმრობით ვთქვი:

— თქვენი ნამოქმედარი, უფალო, ქალთმოძულე სადისტის მოღვაწეობის ნიმუშად გამოდგებოდა! — შემდეგ სერიოზულად დაძინე: — სამწუხაროდ, ჩვენმა სარწმუნოებამ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ადამიანის სული ველარაფრით გაამდიდრა. იგი ახლა ადრე მინიჭებულის შენარჩუნებასა და ემსახურება, დაუნდობლობას, შეუბრალებლობას, სისასტიკეს ებრძვის. კეთილი კაცი თავის მოღვაწეობას აუცილებლად უნდა უთანხმედეს მთავარ მიზანს: არ გაიძარცვოს, არ შეიბღალოს, არ დამდაბლდეს სული — საკუთარი და მოყვასისა. მე ეს ჩვენი სამსახურის უპირველეს ფუნქციად მიმაჩნია. თქვენ?

ჩემი ხელქვეითი გადაჭარბებული ყურადღებით მისმენდა. იგი განცვიფრებული იყო და მგონი იმით, რომ მხოლოდ მისთვის ცნობილ ქეშპარტიტებებს სხვა ადამიანი და ისიც ქანდაკმთა შეფი ამბობდა.

— არ მესმის თქვენი წუხილის მიზეზი, თქვენო ბრწყინვალეებავ, — მოკრძალებით თქვა ზარანდიამ.

— არ გესმით? — დავაკვირდი. მინ-

დოდა გამეგო, მართლა ვერ მიხვდა თუ ეშმაკობდა.

მეტისმეტად გულუბრყვილობა გამოიქვეყნება ჰქონდა და იმავე ტონით განვაგრძე:

— თქვენმა მდებდრობითი სქესის აგენტებმა ქალიშვილობაში ნაოცნებარი ბედნიერების მოლოდინი და ძებნა საკუთარი ქმრის ლალატით დაამთარგეს. ასეთი ხვედრი, სამწუხაროდ, ხშირია. „არა იმრუშო“ — სწერია, მაგრამ ცოდვა ტკბილია და მით უმეტეს ფარული სიყვარულის ცოდვა. სიტყბოებასა და სინდისის ქენჯნას შუა გამომწყვდეულ ქალს მოულოდნელად ევლინება სატანა თქვენი რეზიდენტის სახით და მისი სკანდალური საიდუმლოს განუთქმელობის ფასად რაღაც ჭუჭყიანი ხმების გავრცელებაზე ითანხმებს. ამის შემდეგ იგი ორმაგად ცოდვილია და ათმაგად ტანჯული. მაგ თქვენი მოღალატე ცოლების უმრავლესობას შეილები ჰყავთ. რა უნდა აწავლოს, როგორი უნდა აღზარდოს შვილები დედამ, რომელიც ვერაგობასა და ბოროტებას არის ნაზიარები. სულ რამდენი ჰყავთ თქვენს რეზიდენტებს ასეთი აგენტი?

— ას ოცდაცამეტი, თქვენო ბრწყინვალეებავ.

— ას ოცდაცამეტი დედა და მათი, ალბათ, ოთხასი, ხუთასი შვილი! ხედავთ, ხელის ერთი მოსმით ვძარცვავთ, ვბღალავთ და ვამდაბლებთ ექვსასამდე ადამიანის ღირსებას და ეს მეთოდია!.. ომერთო ჩემო, არასოდეს არ მიფიქრია კავკასიაში მცხოვრებ მოღალატე ცოლების რაოდენობაზე!..

ზარანდიას სიცილი აუვარდა. ჩემივე დასკვნებისგან აფორიაქებული ვიყავი. მიუხედავად ამისა სიცილში აყვები.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, — მითხრა ზარანდიამ. — ის ქალები თავისთვის ჭორობენ და ამით უნებლიე სამსახურს გვიწევენ. მართალია, მოღალატეობის ფაქტი ჩვენმა რეზიდენტებმა მათთან დაახლოების საბაზად გამოიყენეს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი იძულებას, ძალდატანებას. მუ-

ქარა და შანტაჟი კატეგორიულად აეკრძალე და მისთვის არც ვისმე მიუშარათავს. მოხდა მხოლოდ ის, რომ ჩვენმა რეზიდენტებმა ძმაკაცური, ახლო ურთიერთობა დაამყარეს ჩვენთვის საჭირო ადამიანებთან. რაც შეეხება მასალის გავრცელებას თუ შეკრებას — ეს თავისთავად, უმტკივნეულოდ და სწრაფად ხდება; რეზიდენტი შერჩეულ ქალთან პირად საუბარში სხვათაშორის ეხება გასავრცელებელ ვერსიას. ორი, სამი დღის შემდეგ ვერსია გამეორებულია რამდენიმე ოჯახში. ამ ოჯახების ვალიები, მოახლენი ან მოსახლეობასთან დაკავშირებული სხვა პირები ვერსიის შემდგომ გავრცელებას, მასებამდე დაყვანას ახორციელებენ, ხმების შეკრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: მოგეხსენებათ, კაცმა ყურები რომ დაიცოს, ჭორი ნესტოებიდან შევა და მეორე რეზიდენტს ისღა დარჩენია, კალამი აწრიპინოს.

საკითხის ასეთი გადაჭრა მდგომარეობას, თითქოს, ძირფესვიანად სცვლიდა. ზარანდიას ახალი ბრიკი ქარის ენერჯის გამოყენებას ჰვავდა.

— კარგად მოგიფიქრებიათ, მუშნი, — მივმართე ამხანაგურად, რადგან ფაქტობრივად ქებას ნიშნავდა, ხოლო ზარანდია კი ქების ღირსი მართლაც იყო. — მე მოველოდი, რომ თქვენ ამ საკითხს ფულის საშუალებით გადასჭრიდით.

— იცით, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგაზე არც დაფიქრებულვარ, მაგრამ თქვენი ლაპარაკის შემდეგ ნათლად ვხედავ, რომ საკითხის ფულით გადაწყვეტა ისევე არ შეიძლებოდა, როგორც მამაკაცების დახმარებით. დაჭირავებული მამაკაცის ხელით ასეთი მუშაობის ჩატარებას თავისი არანაკლებ მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე აქვს; მამაკაცი რწმენებით ცხოვრობს და არა მხოლოდ და პური. ადამიანის ერთ-ერთი რწმენა ტაბტისა და მისი დაწესებულებების სიწმინდის, პატროსნების რწმენაა. როცა ეს წმინდა საწყისი მისი ხელით ვერავგობას სჩადის, მაშინ ამას რწმენის დაკარგვა, ფეხთ ქვეშიდან ზნეობრივი საფუძვლების გამოცლა მოსდევს და აქ გასამ-

რჯელო ველარაფერს ხდება, რაგინდ დიდიც არ იყოს იგი. ასეთ მუშაობას ნაზიარები კაცის ზნეობა ირყევა. უზნეო კაცი კი პირადი კეთილდღეობისთვის ყველაფერს სჩადის, უპირველესად ყოვლისა, პირდაპირ თუ ირიბად, სახელმწიფოს უთხრის ძირს. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ არ გვინდა, რასაც ჩვენ ვებრძვიით, — ზარანდია დაღუპდა.

ფულის წარმოების ძირითადი მასალა ოქროა. მის მიმართ ყაირათიანობას და მომპირნეობას იმდენი მნიშვნელობა სხეავან არსად არა აქვს, რამდენიც თეთი ზაოაფხანაში. თითო ფულში თითო მეასედი მისხალი ნაკლები ან მეტი რომ აღმოჩნდეს, ამის შედეგად მოსალოდნელი კატასტროფის ჭეშმარიტი სიდიდე ძნელი განსაჯვრეტი და წარმოსადგენია. სახელმწიფოს საფუძველთა დაცვის სამსახური ძირითად მასალად ადამიანთა ზნეობას და ღირსებებს უნდა იყენებდეს. ამ მასალის მიმართ მომპირნე, ყაირათიან და გულისხმიერ დამოკიდებულებას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ეს დებულება, თითქოს, პარადოქსად ყლერს, მაგრამ საქმეში ჩახედულთათვის ანბანური ჭეშმარიტებაა. აქედან გამომდინარე, ჩემი ხელქვეითების მოღვაწეობის, მათი საქმიანობის ზნეობრივ მხარეს მუდამ დიდ ყურადღებას ვაქცევ. ზარანდიაზე ზემოთ ვთქვი, ყოველთვის წინასწარ განუსჯელად მოქმედებდა, არც მერე ეძებდა ნამოქმედარის ზნეობრივ გამართლებას და საქციელი კი ერთთავად სწორი გამოუდიოდა-მეთქი. ეს კარგა ხნის შემჩნეული მქონდა, მაგრამ ხომ არ შეიძლება კაცი ქვეცნობიერი იმპულსებით მოქმედებდეს და ფეხი კი ერთხელაც არსად წამოიკრას?

— ბატონო ზარანდია, თქვენ სთქვით, რომ ამ ღონისძიების ზნეობრივ მხარეზე სრულიადაც არ დაფიქრებულვარო. მართლა ასეა?

— დიახ. არც რომელიმე სხვა ღონისძიების ჩატარების წინ მიფიქრია ზნეობრივ მხარეზე. მე ვფიქრობ ხოლმე იმა-

ზაზა ამირაჯიბი
დათა თუთაშვილი



ზე, თუ რა არის გასაკეთებელი, ხოლო როგორ, რა ხერხით, რა საშუალებებით უნდა გაკეთდეს, ამას ინტუიცია მკარნახობს. ამ ნაკარნახევს ჩემივე ზნეობას ნორმებთან არასოდეს არ ვათანხმებ. რახან ინტუიციამ ასე მიკარნახა, მაშასადამე ზნეობასთანაც ქვეცნობიერად, ჩემს უნებურად შეთანხმებულია, — მიიხრა ზარანდიამ.

— ვამოდის, რომ ტახტი და სახელმწიფო აქ არაფერ შუაშია და თქვენ საკუთარ თავს ემსახურებით!

— მე ტახტისა და სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურები, მაგრამ ისე კი, რომ საკუთარ თავს არასოდეს, არც ერთი გოჯით არ ვშორდები და არაფერს არ ვართმევ. ეს თავისთავად ხდება. ჩემი ზნეობა, ალბათ მოსალოდნელი კატასტროფის წინაშეც კი ვერ წაა კომპრომისზე, თავის სულ უმცირეს ნაწილსაც ვერ გაიღებს მსხვერპლად და ამას საფუძვლად უდევს არა პედანტურობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქვეცნობიერება — ეს მოდგმისა და აღზრდის ბრალია. ჩვენს ოჯახში ყველა ასეთია.

— თქვენი ბიძაშვილი დათა თუთაშხიაც?

— დიახ, და მას ყველაფერთან ერთად დიდი ნებისყოფაც აქვს, ჩემზე მეტი! სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩემთვის ცნობილი იყო თორიას ლაზარეთში მომხდარი ამბავიც, დურუ ჰიგუას დუქანში დატრიალებული ტრაგედია: ზარანდიას ნათქვამი მართალი იყო, მაგრამ დიდი ნებისყოფის გარდა, დათა თუთაშხიას მოქმედებაში ადამიანთა მოდგმის მიმართ დიდი სიძულვილიც უნდა მეგულისხმა. სხვანაირად ის საქმეები როგორ უნდა მომხდარიყო?

საუბარი კვლავ ინფორმაციის სამსახურს, მისი გამოცდის, შემოწმებისა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების თემას დაუბრუნდა.

შემდგომში ჩვენი წამოწყების ეფექტი

იქდენად მოულოდნელი და დიდი აღმოჩნდა, რომ საიმპერიო სამსახურში მახვილებული ყურადღება მიიპყრო. ეს სპეციფიკური საკითხია, ჩემი ჩანაწერების ძირითად თემასაც დაშორებული, და ამიტომ დაგვიკაფილდები მაგალითით, რომელიც შემდგომი თბრობისთვის საჭირო და აუცილებელ ელემენტებს შეიცავს.

ყაჩაღობის მოსპობის საჭიროებას იმ ხანად კიდევ ერთი ასპექტი ჰქონდა. ამის შესახებ ოფიციალურად საუბარი მიღებული არ იყო, სამსახურებრივი თვალსაზრისით კუდ ტონად ითვლებოდა. ზემოთ მეტნაკლები სიზუსტით მოვიტანე მთავარმართებელთან გამართული თათბირის შინაარსი და ჩვენი მთავარი მიზანდასახულობის, თუ შემდგომი ღონისძიებების ნამდვილ აზრს, მათ პოლიტიკურ მხარეს კი არ შევხებოვარ. თათბირზე ამ საკითხის ირგვლივ არც არაფერი თქმულა, თუმცა სახელმწიფოს უშიშროება წამყვან მომენტად იგულისხმებოდა. ამჟამად საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსეთ-იაპონიის ომის ერთ-ერთი მთავარ მიზანთაგანი რუსეთის იმპერიის ხალხთა მასებში დაწყებული და არასასურველ ღონემდგ ასული დრტვინივის შესუსტება იყო. ხალხთა პროტესტის, წინააღმდეგობის გამოვლენილი და გამძაფრებული ენერჯია სახელმწიფოსთვის საჭირო არხით წარმართვას მოითხოვდა. ასეთ შემთხვევაში პატრიოტული, დიდმპყრობელური სულის გაღვივება პანაცეად არის მიზნული. ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რამდენად სწორია ეს შეხედულება. ვიცეი მხოლოდ იმას, რომ ზარანდიას განყოფილების დაარსება რუსეთ-იაპონიის ომის წინა ხანებში მოხდა, მასების მოსალოდნელი პოლიტიკური აქტივობის პერიოდს დაემთხვა. ღონისძიება, უპირველესად ყოვლისა, იმას ითვალისწინებდა, რომ გარკვეული მოვლენების



დამთხვევისას, სახელმწიფოებრივი, პოპულარული ყაჩაღი ადვილად შეიძლება, რომ საამბოხოდ განწყობილი ჯგუფების თუ ბრბოების წინამძღოლად იქცეს. ყაჩაღის მოუხელთებლობა თავისთავად ლაპარაკობს მის ნიჭიერებაზე და შესაძლებელ უნარზე მართლწესრიგის დამცველი ძალების სერიოზული მოწინააღმდეგე გახდეს. ერთი სიტყვით, დაარსებული სამსახურის მახვილი მიმართული იყო პოტენციური, შესაძლებელი ბელადების წინააღმდეგ. ეს მცირე ექსკურსი მუშნი ზარანდიას მუშაობის ნამდვილი მნიშვნელობის განსამარტავად დამკვირდა.

მუშნი ზარანდიამ სამეგრელო-სამურზაყანოში მუშაობის ობიექტად სამი ყაჩაღი შეარჩია. ყოველი მათგანი თავის ჯურის ყაჩაღებში პირველ კაცად ითვლებოდა, ყველაზე სახელგანთქმული იყო. გეგმის ავტორის აზრით, უპლიერესთა დამარცხებას წვრილფეხობასთან ბრძოლა უნდა გაეადვილებინა, მაგრამ ასეთ არჩევანს თავისი უაზროდითი მხარეც ჰქონდა: გეგმის ჩაშლა გამაზნევებლად იმოქმედებდა სხვა ყაჩაღებზე და მათ დამორჩილებას გააძნელებდა. ამგვარ რისკზე ბევრი ვერაფერს წავიდოდა; ზარანდიას კი, ალბათ, თავისი მოსაზრებები და მტკიცე იმედი ჰქონდა, რომ მიუხედავად ჩემი და ჩემი მოადგილეების არაერთგზისი შენიშვნებისა, თავისაზე დადგა.

აი, ის სამი კაციც: რაქა სარჩიმელია — ოცდაათონეტი წლის; თავხედი, დაუნდობელი და ხარბი. მძარცველი; ცხრა წლის გავარდნილი. ყაჩაღობამდე ხუთი წელი იყო საპყრობილეში ქურდობისთვის. წერა-კითხვის უცოდინარი.

დათა თუთაშხია — იმ მომენტისთვის ოცდათორმეტი წლის; დაახლოებით თორმეტი წლის გასული.

ბუღუ ნაკაშია — ოცდაშვიდი წლის; ფრთხილი, ჭკვიანი კაცი, ტერორისტულ აბრაგობდა თავის ძმასთან, ლუკა ნაკაშიასთან ერთად ოთხი წელიწადი მღვდლის შვილი. განათლება — გიმნაზიის ექვსი კლასი.

ოპერაცია რაქა სარჩიმელიას შემორიგების ცდით დაიწყო. ამას წარმატება არ მოჰყოლია. არც იმედი გვექონია, რომ ასე მალე და უმტკივნეულოდ შემოგვირიგდებოდა. ჩვენი მიზანი იყო, ამ წინადადებას ყაჩაღის ფსიქიკაში აღრევა, ყოყმანი შეეტანა, თვით შერიგების პერსპექტივა ჩაეთესა. ვითომდა, მაზრის პოლიციის უფროსისგან მიგზავნილმა კაცმა სარჩიმელიას უარი მოიხმინა და წამოსვლის წინ ყაჩაღს უთხრა, იფიქრე, კიდევ ექვსი თვე დრო გაქვს და თუ დათანხმდე, ჩემთან მოდი.

ასეთივე წინადადება მიეცა ლუკა ნაკაშიას — მხოლოდ მას და არა მის უფროს ძმას, ბუღუს. ცხადია, თანხმობა არც იქიდან მიგვიღია, მაგრამ ყოყმანისა და ცთუნების თესლი აქაც იქნა ჩადებული.

ამას მოჰყვა ვერსიების გავრცელება. მე აქ არ ვგულისხმობ იმ ჰორებს, რომლებსაც ზარანდიას ქვეგანყოფილება მანამდეც და მერეც მეთოდურად და სათითაოდ ყველა ყაჩაღზე ჰყრიდა, ხალხის თვალში მათი კომპრომეტაციის მიზნით — ეს ყოველდღიური მუშაობა იყო. ლაპარაკია სპეციალურად შემუშავებულ ვერსიებზე, რის მეოხებითაც სამკუთხედი უნდა შეკრულიყო, ანუ სარჩიმელიას, თუთაშხიას და ნაკაშიებს შორის სამკვდრო შუღლი უნდა ჩამოვარდნილიყო.

პირველი ვერსია თუთაშხიასთვის

დაბლა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია



გქონდა განკუთვნილი და მის ყურამდე მიტანილ იქნა ვინმე მალაქია ნინუას პირით. ეს კაცი, ხელობით მჭედელი, დათა თუთაშხიას უახლოეს მეგობრად ითვლებოდა, თუმცა მრავალი წლის მანძილზე პოლიციამ ერთხელაც ვერ შესძლო მისი მხილება აბრაგისტვის თავშესაფრის მიცემაში. საფიქრებელია, რომ თუთაშხია განზრახ ერიდებოდა ნინუასთან სტუმრობას და მხოლოდ საპირობების დროს, მოკლე ხნით და სხვაგან სადმე ზედბოდა მას. უკიდურეს შემთხვევისთვის ერთმანეთის ნახვის საშუალება და ხერხი ძმაცაცებს დათქმული ჰქონდათ, ჩვენთვის ეს ცნობილი იყო.

ოპერაციის გრაფიკის თანახმად ჩვენი მდებარეობითი სქესის აგენტი ზუგდიდიდან გალში ახლო ნათესავების სანახავად გაემგზავრა. მისმა ქმარმა არგუმენტად ექვი და უნდობლობა ვერ მოიტანა — მანძილი და მარტახელა ქალის მგზავრობის საშისობა მოიზივნა, ცოლს თანამგზავრებად მისივე უმცროსი ძმა და ბიძაშვილი გააყოლა. ამგვარად, გზად მიმავალი მხედრები ხსენებულ მალაქია ნინუას სამჭედლოს მიადგნენ; ქალბატონის ბედაურს ცხენის ნალი მოჰტამფალებოდა, მჭედელი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს. მგზავრები იქვე იდგნენ, მუშაობის პროცესს დაჰყურებდნენ.

— დათა თუთაშხიამ ბოდლო ყვალთავას და მის ამხანაგებს ცხენები რომ წაართვა, მგონი ერთი ეს ცხენი იყო, ხომ? — ჰკითხა ქალბატონს ბიძაშვილმა.

ქალმა გადაიკისკისა:

— ლევან, ძამიკო, არც იმდენად ბებერი ხარ, ჭიჭიკო-ბაბუაჩემივით რომ აურიო ყველაფერი, დათა თუთაშხია არაფერ შუაშია აქ.

— ხომ იყო ეს ცხენი წაყვანილი?!

— კი, იყო, — ჩაერია ძმა, — მაგრამ თუთაშხია მაინც არაფერ შუაშია. რაჯა სარჩიმელიამ წაიყვანა, გააყიდვინა ვილაცას, ის გაყიდული იპოვნა პოლიციამ მერე და დაუბრუნეს ისევ დავითს.

— ააა! კი, კი, მასე იყო, მასე! — და-

თანხმდა ბიძაშვილი. — რაჯა სარჩიმელიას მაზრის უფროსის ეტლი გაუჩივებია, თურმე, და ოჯახი გაუძარცვავს მისი, ქალებისთვის პერანგი აღარ შეუტრჩინია მამაძალს.

— ვინ ვითხრა ეგ? — ჰკითხა ქალბატონმა.

— ვინ ვითხრა — რას ქვია! — აფეთქდა ბიძაშვილი. — ნიკანდრო ქილიამ არ თქვა, პოლიციმეისტერმა?! — იქ არ იყავი შენც?

ქალბატონი უფრო გამხიარულდა.

— ახლა მივხვდი, რატომ და როგორ აგერია ყველაფერი, — თქვა ქალმა, როცა სიცლის მორჩა.

— როგორ? — დაიყინა ბიძაშვილმა.

— როგორ და, ნიკანდრო ქილიამ ის თქვა, რაჯა სარჩიმელიას მაზრის უფროსისთვის შეუთვლია, თუთაშხიასი არ შემეშინდება, ასე და ისე მოვექეციო და თავს თუ არ დამანებებ, შენს ცოლშვილსაც იმ ამბავს დავმართებო. ახლა, რა მოხდა, თუ იცი? აქედან თუთაშხია დაგახსოვდა შენ. ეს ცხენი წანართმევი რომ იყო, ესეც იცოდი. გადაზილე მერე, ეს ორი ამბავი ერთმანეთში და გამოგივიდა, რაც თქვი — ის!

ქალი ისევ აკისკისდა. ბიძაშვილმა დაირცხვინა და უხერხული მდგომარეობის გასაბათილებლად იკითხა:

— კაი, მარა, რა უქნა სარჩიმელიამ თუთაშხიას ისეთი, მაზრის უფროსის დასაშინებლად რომ გამოდგებოდა?

ქალბატონმა მიუგო:

— საყვარელი წაურთმეგია მისთვის; ერთი ძალიან ლამაზი ქალი რომ ყავს, ბერძენი პერტია — ის!

ქალბატონის ძმამ ეს არ დაიჯერა:

— რაჯა სარჩიმელია — ცინგლიანის წასართმევი საყვარელი დათა თუთაშხიას სად ყავს ვიცოდე — ნეტავი! არ დაიჯერო ეგ. სიცრუე იქნება, ნამდვილად.

ქალმა სიჩუმე არჩია.

— რატომ, ვითომ, — გამოვსარჩლა ბიძაშვილი ქალბატონს. — თოფი და მაუზერი არც სარჩიმელიამ იცის თუთაშხიაზე ნაკლები..

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! თოფით და მათუბერით კი არ ართმევენ საყვარლებს.

ყოველივე ეს ისე ითქვა, რომ მკედელს გაეგონა და გაიგონა კიდეც. ამა-სობაში ცხენიც მზად იყო, მგზავრები შესხდნენ, თავისი მხიარული მოგზაურობა განაგრძეს, ხოლო მალაქია ნინუამ სულ მალე დათა თუთაშხიას ყურამდე მიიტანა განაგონი.

ვერსია, ერთი შეხედვით გულუბრყვილო, დამაჭერებლობას მოკლებული ჩანს, მით უმეტეს, რომ იგი დათა თუთაშხიას მძაფრი რეაქციის გამოწვევას ისახავდა მიზნად. ასეთი საკენცი მისი გამჭრიახობისთვის, თითქოს-და ვერ უნდა გამომდგარიყო, მაგრამ ვარაუდი მაინც ზუსტი აღმოჩნდა: ზარანდია გამომდინარეობდა კლასიკური პრინციპიდან, „თუ გსურთ გერწმუნონ — თვე-რეტდამსხმელი სიცრუე თქვით“, და იქიდანაც, რომ თუთაშხიასთვის განკუთვნილი ქვა სარჩიმელის ერთთავად ილიაში ჰქონდა ამოჩრილი; თავის დროზე სარჩიმელიამ და მისმა ამხანაგებმა გზა შეჰკრეს, ბაზრობიდან შინ მიმავალი ორმოცდაათამდე ადამიანი — თითო-თითოდ, თუ ჯგუფ-ჯგუფად — ტყეში გადარეკეს, საცვლების ამარა დატოვეს. ამას, შემთხვევით, თუთაშხიამ მიახსრო და ნაძარცვის დაუყოვნებლივ დაბრუნება ბრძანა. წინააღმდეგობასა და შეხლა-შემოხლაში ერთი მძარცველთაგანი წუთისოფელს გამოეცალმა, ხოლო სარჩიმელიამ და მისმა ორმა ამხანაგმა თავს გაქცევით უშველეს — როგორც კარგა ხნის შემდეგ სარჩიმელია თვითონ ამბობდა, თუთაშხიამ მათ გაქცევა „აცალა“. გამარტულებმა ქონება დაიბრუნეს, თუთაშხიას ეს საქციელი ქვეყანას მოსდეს. ამ ინციდენტის დღიდან მოყოლებული რაქა სარჩიმელია, აქტიურად თუ პასიურად, ჭავრის ამოყრის შემთხვევას ეძებდა. ეგ იყო, თვით მან სხვებზე უკეთესად იცოდა, რომ დათა თუთაშხიასთან ანგარიშის გასწორების ცდას შეიძლება უკუ-შედგე მოჰყოლოდა. მეორე მხრივ

ისიც შესაძლებელია, რომ დრომ თავისი გაიტანა, სარჩიმელიამ ამხანაგების ნაწილი ზე, პირად შეურაცხყოფაზე და დიდი ნაძარცვის დაკარგვაზე ხელი ჩაიქნია და წარსული დაიწყებდა მისცა. ზარანდიას გეგმას კიდეც ერთი საყრდენი ჰქონდა: სარჩიმელია მეტისმეტად დაუდგრომელი დედათმავალი ბრძანდებოდა. ამიტომ დათა თუთაშხიას ადვილად შეეძლო ერწმუნა, რომ სარჩიმელიამ მაგიერის გადასახდელად სწორედ ასეთ ხერხს, ანუ აბრავის სატრფოსთან რომანის ვაბმას მიმართა ბოლოს, ზარანდიას უკანასკნელ ვარაუდს ისიც შეადგენდა, რომ თუ დათა თუთაშხია თავის საყვარელს ექვს გარეშე დააყენებდა, სარჩიმელიას იმისთვის მაინც გადაეკიდებოდა, რომ ზედმეტს ლაყბობდა და ქვეყანაზე თავს სჭირდა.

ასე აიგო სამკუთხედის ერთი კუთხე. შემდეგ, ზღვის მეკობრეთაგან განსხვავებით, რაქა სარჩიმელია ნაძარცვს არც უდაბურ კუნძულზე ფლავდა, არც არსენა ოძელაშვილივით „კასპში ერთ დიდ კლდეში“ ინახავდა. იმხანად სოხუმში ცხოვრობდა ვინმე ევტერბია ტრიანდოფილიდი, ორმოციოდე წლის მარტოხელა, საკმაოდ ღარიბი ბერძენი ქალი, მაგრამ სიხარბისა და გამდიდრების წყურვილის მხრივ — სწორუპოვარი და ამიტომ სისხლისმსმელი მევაზვეც. სარჩიმელიასთან მისი ურთიერთობა იმით დაიწყო, რომ ჯერ კიდევ ქურდობისთვის დაპატიმრებამდე, რაქასგან „ზნელ“ საქონელს იბარებდა გასაყიდად და, რა თქმა უნდა, ნავაჭრის მეოთხედს, ან უმჯობეს შემთხვევაში, მესამედს აძლევდა, როგორც ეს ნაქურდალი საქონლის ყიდვა-გაყიდვის საქმეში დასაბამიდან არის მიღებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქურდებს, მძარცველებსა და კომერსანტებს თავისი საუკეთესო გეგმები და მიზანდასახულობები პატიმრობაში ეწვევით ხოლმე. რაქა სარჩიმელიამ ვადა მოიხადა, განთავისუფლდა და გადამალული თან-

ვახუა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია



ხები ტრიანდოფილიდის ქალს მიუტანა, ეს ფული სარგებელზე გაეციო. ასე ჩამოყალიბდა ფრიად ორიგინალურა მძარცველურ-სამეცხაშეო ალიანსი, რომელმაც ქალს დამატებითი შემოსავალი გაუჩინა, ხოლო ყაჩაღს შემდგომი ძარცვა-გლეჯის ხალისი გაუმახვილა. კომპანიონებს მალე საგრძნობი თანხები დაუგროვდათ. კერძოდ, დედაკაცს რაღაც მიწის ნაკვეთები და რიგიანი სახლკარიც კი გაუჩნდა. მათი ურთიერთობა პოლიციის სამძებრო განყოფილებისთვის აგენტურული არხებიდან გახდა ცნობილი, მაგრამ ნივთიერი მტკიცების ან სხვა რამ სამხილის ხელში ჩაგდება კარგა ხანს ვერ მოხერხდა. პერე, როგორც იქნა, ფოთში ევტერპია ტრიანდოფილიდის გემზე ასვლისას საეჭვო წარმოშობის ორმოცდაათამდე თოფი ფართელული დაუჭირეს. პოლიციამ დაადგინა, რომ ეს იყო ნაძარცვი და ნაძარცვის მიმყიდველი კი — ბატონი სარჩიმელია. დაზარალებულიც დადგინდა, მაგრამ ტვირთმა დედაკაცმა პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა: დაასახელა კაცი, რომლისგან ვითომც-და ეს ფართელული შეიძინა. კაცი საპყრობილეში მოათავსეს, ევტერპია ტრიანდოფილიდი ჯარიმით გადარჩა, სამძებრო განყოფილებამ ყურადღება გაამახვილა მის საქმიანობაზე.

როცა რაჟა სარჩიმელის შეპყრობის აუცილებლობას ახალი მოტივები დაემატა, მისმა პერსონამ უკვე ენადარმერია, კერძოდ. მუშნი ზარანდიას ქვეგანყოფილება დაინტერესა. სხვათაშორის, მან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების საკმოდ ვრცელი მასალებიც გამოითხოვა, სარჩიმელის შესწავლას მიჰყო ხელი და აქ ევტერპია ტრიანდოფილიდის ფიგურა თავისთავად ამოკვეტივდა. რაჟა სარჩიმელია, რამდენადაც სამძებრო განყოფილების მასალებს დაეჭვრებოდა, თავის მდებარეობითი სქესის კომპანიონს პირდაპირ იშვიათად ხედებოდა. მამასადამე, ნაძარცვის გადაცემა შუამავლის მეშვეობით ხორციელდებოდა. ეს კაცი იყო

ალმოსაჩენი, მაგრამ დაუყოვნებლივ მუშნი მები ზარანდიას არ მიუღია: აქედან ცას ელოდა.

ერთი-ორი თვის შემდეგ, ღამით, ახალსენაკიდან ზუგდიდს მიმავალ მდიდარ ოფიცერს და მის მზღებლებს ორი ყაჩაღი დაუხვდა. ამ პაემანის შედეგად ოფიცერი გამოეთხოვა თავის საფულეს, ცხენებს და ძვირფასი თვლებითა და ოქროთი მოვარაყებულ ხმალ-ხანჯლ-რევოლვერს, ხოლო მზღებლებს უკანალში წიხლები და ზურგში კონდახები მოხვდა, ამსიგრძე გზაზე სამი მანეთის ამარა რამ გამოგიყვანაო. ზარანდია დანაშაულის ადგილზე გაჩნდა. გაძარცვია ტერხი სარჩიმელის ხელწერაზე უთითებდა. ამას გარდა, დაზარალებულის მზღებელმა ერთ-ერთი მძარცველი სახელითა და გვარით თქვა — რაჟა სარჩიმელია! ანლა ყველაფერი იბლაღზე და მოთმინებაზე ეკიდა: მიიტანდა თუ არა და როდის მიიტანდა შუამავალი ნაძარცვის ტრიანდოფილიდის ქალთან. დანიშნა მისი სახლის ფრთხილი, ჩინებულად ორგანიზებული თვალთვალი. ათი დღის მანძილზე მეცხაშეს შეიდი კაცი ესტუმრა. მათ შორის ერთმა კაცმა ილლით მიიტანა ფუთა, რომელიც ძლიერ წააგავდა გამრაცული ოფიცერის იარაღს. ადვილად დადგინდა, რომ ამ შვიდ კაცში ექვსი — მეცხაშის კლიენტია იყო, ხოლო მეშვიდე — სოხუმელი მუშედა, ყავახანის პატრონი, რომელსაც ასიოდ ნაბიჯის გადადგმა დააცადეს და პოლიციაში გამოძიებელს მიპგვარეს. ეს ერთი ბეწო, შეუხედავი კაცი იმდენად კირკიტი აღმოჩნდა, რომ, მისი სიტყვით, არამც-თუ მიტანილი ამანათისა იცოდა რამე, არამედ ტრიანდოფილიდის ქალს საერთოდ არ იცნობდა. როზგებმა და პატრიების შეპირებებმა თავისი გაიტანეს. ამის შემდეგ გამოძიებელმა ზარანდიას გადასცა ჩვენება, რომლის მიხედვით რაჟა სარჩიმელია თავის ნაძარცვის წინასწარ შერჩეულ საშალავში სტოვებდა, ხოლო იქიდან ყავახანის პატრონს ევტერპია ტრიანდოფილიდისთან, ან მის მიერ მითითებულ



სხვა ადგილებში გადაჰქონდა ნაძარცვის ღირებულებიდან გამომდინარე გასამრჩელოს ფასად. ეს მისამართებიც ცნობილი გახდა და ის კაციც, ვინც სამალავიდან ნაძარცვის წამოღების საჭიროებას დალაქიანცს ატყობინებდა.

ზარანდიას მითითებით ყავახანის პატრონს გაუთქმელობის ხელწერილი ჩამოართვეს, თუკი რამ ოჯახში ფული და ფასეულობები გაჩნდა, გიროდ მოატანინეს, პირგაუტეტებლობის შემთხვევაში დანაშაულის პატივზე აღუთქვეს, გაათავისუფლეს და დაავალეს, რომ თავისი საქმიანობა და სარჩიმელიასთან ურთიერთობა ძველებურადვე განეგრძო.

ზარანდია კი ამ დროს თავისი ქვეყანა-ყოფილების მუშაკის თანდასწრებით ევტერპია ტრიანდოფილიდის ესაუბრებოდა მისსავე სახლში. სწორედ ეს მუშაკი გახლდათ სარჩიმელიას მიერ გაძარცვული მდიდარი ოფიცერი. სამი უმცროსი მოხელე ჩხრეკას აწარმოებდა; ოფიცრის იარაღის პოვნა არ გაძნელებულა, რადგან დიასახლისმა მისი გადამაღვა ვერ მოასწრო, მაგრამ სახლის პატრონის კარგად შენიღბული სამალავის აღმოჩენა ვერა და ვერ მოხერხდა. ამას ზარანდიასთვის გული არ დაუწყევტია; იგი დარწმუნებული იყო, რომ მასპინძელს აკისრებინებდა ეველაფერს, რაც დასახული გეგმის განხორციელებისთვის ესაჭიროებოდა.

დახელოვნებული დეტექტივისა და გაიქვერა ბოროტმოქმედის ორთაბრძოლა ოთხ დღელამეს გაგრძელდა. ჩანს, პანდორას ჰერმესმა ცბიერების, ვერაგობის, სიცრუის და მჭევრმეტყველების მხოლოდ მცირე ნაწილი მისცა და უდიდესი კი მაღამ ტრიანდოფილიდისთვის შემოინახა, მაგრამ მის მხარეზე მხოლოდ ხსენებული თვისებები იყო. ზარანდიას, დახვეწილ პროფესიონალიზმთან და მოუსყიდველობასთან ერთად, ხელთ ჰქონდა სამძებრო განყოფილების აგენტურულ დასმენათა ტომი და ამ მასალებიდან სწორად გამოტანილი დასკვნები; ფართლელის ისტორიის გამოკარგი გასამრჩელოს ფასად საპრობილეში

ნებაყოფლობით წასული კაცის ბუნებრივი ალიარება და ყავახანის პატრონის ვრცელი ჩვენებები, რაც მევახშე დედაკაცის სხვა თანამოსაქმეთა სისაც შეიცავდა; ნივთიერი მტკიცება — გაძარცვული ოფიცრის იარაღი, და სხვაე ბევრი რამ. ამგვარად, ევტერპია ტრიანდოფილიდი მუდმივი რისკითა და შიშით შეძენილი ქონების ოხრად დარჩენისა და, ამასაც ჯანი გეავრდეს, ხანგრძლივი პატიმრობის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ამ დედაკაცისთან პრინციპების მქონე ადამიანები მსგავს სიტუაციაში ტყავის შენარჩუნებისთვის ყველანაირ აკომპრომისზე მიდიან. ევტერპია ტრიანდოფილიდიც არ ყოფილა გამონაკლისი; მან, ეგრეთ წოდებულ, გულწრფელი ალიარების გზას მიმართა და ამაში იმდენი გულმოდგინება ჩააქსოვა, რომ ზარანდიასაც კი ველარ გაეგო, ვინ იყო მის წინაშე — დამნაშავე თუ ბრალმდებელი.

ზემოთ მოყვანილი ოპერაციის შედეგად ხაზინამ მიიღო კონფისკებული ორას სამოცი ათასი მანეთი: ოთხმოცდაათი — სარჩიმელიას წილი და ას სამოცდაათი — დედაკაცისა. მაღამ ტრიანდოფილიდის ერგო თავისივე უძრავ-მოძრავი ქონება, ვახშად გაცემული ათი ათასი მანეთის თამასუქები, მთავარმართველის პატივზე-შეუვალობის ბარათი და სოხუმის პოლიციის საიდუმლო აგენტის ყოველთვიური მცირედი ჯამავრი. ზარანდიას ერგო ის, რაც სურდა: ევტერპია ტრიანდოფილიდემ ყავახანის პატრონის მეშვეობით სარჩიმელიას გაუგზავნა კარგად შედგენილი წერილი, რომლის მიხედვით მძარცველურ-სამევახშეო ალიანსის მთელი კაპიტალი ბუდუ და ლუკა ნაკაშვიებმა გაიტაცეს!

ეს სამკუთხედის მეორე კუთხე იყო. ჩემი თანამდებობისა და პროფესიის გამოისობით, ცხადია, კავკასიის ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგად ვიყავი ჩახედული. ჩემს ყურამდე აღწევდა ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა, მათ შო-

ზაზუა აშირაჯიი
დათა თუთაშვი

რის განსაკუთრებით კუროზული და სასაცილო შემთხვევებიც. ჩხუბისა და აყალ-მაყალის მოყვარულები ყველგან მრავლად იყვნენ, მაგრამ სამეგრელოს ერთ მთიან სოფელში მცხოვრებმა თოდუების ოჯახმა, ექვს გარეშე, ყველასა და ყველაფერს გადააჭარბა. ოჯახი ექვსი სულისგან შესდგებოდა: მამა — დოროთე თოდუა, დედა — ნუცა და ოთხი ერთმანეთის მომდევნო ვაჟაკი. ტრადიცია დოროთე თოდუამ შექმნა. მან ახალგაზრდობაშივე გაითქვა სახელი, როგორც ჩხუბისთავმა და ჩინებულმა მოკრევემ. ჩხუბი მისი ცხოვრების მთავარ გატაცებად, სულიერ სარჩოდ ექცა; მუშტი-კრივის სიყვარულმა ფანატიზმამდე ააღწია, თორემ სხვით ვერაფრით აიხსნება ის, რომ სანამ მკლავი ერჩოდა, არც ოჯახს მოჰკიდებია და არც ქონებაზე უფიქრია. დადიოდა და ფათერაკს ეძებდა. სცემდა და, ხანდახან მასაც სცემდნენ. ბოლოს, ასაკმა თავისი გაიტანა; ორმოცი წლისამ ჯოგი გაიჩინა, ორმოცდახუთისამ — ნაკაშიას ქათვი მოიყვანა, ორმოცდათხუთისამ თავისი ბიჭების გაწვრთნა-დაგეგმვა მიჰყო ხელი. ბიჭებს საამისო ნიჭი და მიდრეკილება ჰქარბად აღმოაჩნდათ, მამას ბევრად აჯობეს. ამის გამო ნუცა ნაკაშია-თოდუამაც შორს გაითქვა სახელი და არა მარტო, როგორც შფოთისთავი ქმარ-შვილის პატრონმა, არამედ, უმთავრესად, როგორც ყოველგვარი ნაცემობის, დაბეგვილობის, კოპებისა და მოტეხილობების მკურნალმა. ერთი სიტყვით, თოდუების ოჯახი ჰულიგანთა ქართული განმეორება იყო იმ განსხვავებით, რომ შრომა ყველას უყვარდა და მაშინდელი ვლახის კვლობაზე დიდი შეძლებაც ჰქონდათ.

მამასა და შვილებს შორის ერთი არსებითი განსხვავება იყო: დოროთე თოდუამ უბოროტო ჩხუბი იცოდა, მისთვის მთავარი იყო კრივი, როგორც სპორტი და ორთაბრძოლის საშუალება. შვილებს კი ვისიმე დაჯანების სურვილი ამოძრავებდა, ვისზეც ხელი მიუწყდებოდათ, ყველა დაბრძოლებული, დაჩაგ-

რული ჰყავდათ. დღეობაში, ქორწილში ან სხვა რომელიმე თავყრილობაში გამოცხადდებოდნენ, ვინც მტრებს უწყობდა — ჩუმად გაიკრიფებოდნენ ხოლმე. ვინც დარჩებოდა — ჰურ-მარილი ჩამხამდებოდა. ამ მიზეზით, თოდუებმა მტრადაც ბევრი გადაიკიდეს. შეურაცხყოფას ყველა ვერ მოითმენს; თითო და ორ-ორჯერ ოთხივე ძმა იყო დაჭრილი — ზოგი ხანჯლითა და ზოგი ტყვიით. მამამ წლობით არიგა, ტუქსა, მაგრამ შვილები თავისას სჩადიოდნენ. მოხუცს მობეზრდა, ხელი ჩაიქნია; ჯოგს ამოვებდა, შინ იშვიათად მოდიოდა.

დათა თუთაშხიამ დოროთე თოდუა მეჯოგეობაში გაიცნო. ერთმანეთისა დიდი პატივისცემა ჰქონდათ: თუთაშხიას — როგორც კეთილად განწყობილი უფროსი კაცისა; თოდუას — როგორც სახელიანი და სამართლიანი აბრაგისა. დათა რამოდენიმეჯერ თოდუების ოჯახში სტუმრადაც იყო ნამყოფი. ბუნებით თავხედი ვაჟიშვილები აბრაგს ნელ-ნელა გაუთამამდნენ და ერთხელ მთის სამოვრებზე როცა დოროთე თოდუას კარავში ღვინის სმა და ჰურ-მარილი იყო, რაღაცაზე შარი გამოსდეს. ასეთ კაცთან მამლაყინწობას შფოთისთავები განსაკუთრებით ეტანებოდა; ერთი მხრივ იმის იმედი აქვთ, რომ კეთილგონიერება მოითმენს და თუ არ მოითმინა კიდევ — უკიდურეს სამაგიეროს არ აზღვევიანებს. მეორე მხრივ — ერთი სახელიანი კაცის დამარცხება ათ ჩვეულებრივ კაცზე გამარჯვებას უდრის და შემდგომი ჩხუბების დროს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ კაპიტალს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ძმებს მცირედის დაბანდებით მრავლის მოხვეჭის იმედი ჰქონდათ. თუთაშხიამ დოროთეს ხატობით ყველაფერი მოითმინა. ძმებს კი ჩხუბი სწყუროდათ და ამ სერიოზულ კაცს უმოწყალოდ სცემეს. აბრაგისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა შეურაცხყოფლები იარაღით დაემოშინებინა, ან უარესიც ექნა, მაგრამ მან ბოლომდე მოითმინება არჩია, ნაგვემი სახე დაიბანა და წამოსვ-

ლისას ყმაწვილებს უთხრა: რასაც თქვენ თქვენი საქციელით მოიწვეთ, იმასაც ვნახავთ! მას შემდეგ თუთაშხია თოდლებს აღარ გაჰყარებია. ეგ არის, ამ ამბის მერე წელიწადიც არ იყო გასული, თოდლების ოჯახი, ჯოგში მყოფი დოროთეს გარდა, ერთ ღამეს მთლიანად ამოწყვეტეს — ოთხი ძმა და დედა! მკვლელებს ალბათ ძალიან ეჩქარებოდათ, რომ ერთმა პოლიციელმა ბოროტმოქმედების ადგილზე ხილაბანდში ვახვეული სამკაულები იპოვნა და ყველასთვის შეუმჩნევლად უბეში შეინახა. ნივთები ოჯახის დედას, ნუცას, ეკუთვნოდა. დაწვრილებით ამის თხრობა არ ღირს, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, რომ ერთი წლის შემდეგ სამკაულებმა ხილაბანდითურთ მაზრის პოლიციის სეიფში ამოჰყვეს თავი. ეს ზარანდიას მოახსენეს. მან ბრძანა, საქმის გახსნამდე დოროთე თოდუასთვის ნივთების პოვნა არ გაემხილათ.

ბოროტმოქმედთა კვალი გაქრა. ხალხში ათასნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები დადიოდა: მათ შორის იმასაც ამბობდნენ, თითქოს ეს გაუგონარი დანაშაული დათა თუთაშხიას ჩაედინოს და მტკიცებად ის სიტყვები მოჰქონდათ, რაც ნაცემმა აბრაგმა თოდლებს უთხრა. დანაშაული სამუდამოდ გაუხსნელი დარჩა. პირადად მე დარწმუნებული ვარ, ამ საქმისა თუთაშხიამ არაფერი იცოდა, მაგრამ მუშნი ზარანდიამ მოისურვა, რომ ხალხისა და, უპირველეს ყოვლისა, ბუღუ და ლუკა ნაკაშიების თვალში, ამ საზიზღრობის ჩამდენი სწორედ დათა თუთაშხია ყოფილიყო; საქმე ის არის, რომ ნუცა ნაკაშია — ამოწყვეტილი ძმების დედა, ბუღუ და ლუკა ნაკაშიების მკვიდრი მამიდა გახლდათ, ხოლო ნაკაშიებისა და თუთაშხიას სამკვდრო გადაკიდება ზარანდიას მიზანს შეადგენდა. ამიტომ მან თავისი ქსელის საშუალებით სათანადო ხმები გააერცელა. ჰორმა ნაკაშიებამდეც მიღწია. ძმებს ასეთი რამ ადრეც ჰქონდათ გაგონილი და ინფორმაციის

განმეორების გამო პირველწყაროს დადგენას მიჰყვეს ხელი.

ეს სამკუთხედის მესამე კუთხე იყო. ახლა იმაზე, თუ როგორ შეჰყრა მუშნი ზარანდიამ ეს გეომეტრიული ელემენტები ერთ ფიგურად, რაც არანაკლებ რთულ სამუშაოს წარმოადგენდა. აუცილებელი იყო, რომ ყაჩაღობამდე მისულ ყოველ ვერსიას თავისი სრულქმნილი მტკიცება ჰქონოდა. ეს, ეშმაკობაში და ყოველგვარი რებუსების ამოხსნაში დახელოვნებული კაცები მეტისმეტად ძნელი მოსატყუებელი ხალხი იყო. ისინი დაუჯერებდნენ მხოლოდ იმას, რასაც ხელი მოეწებოდა — ფაქტს, ნივთს, უკიდურეს შემთხვევაში, საიმედო კაცის სიტყვას. თუთაშხიას უნდა დამატებითი მტკიცების საშუალებით დარწმუნებულიყო, რომ სარჩიმელიამ მართლაც წაართვა საყვარელი, ან არ ჩაუდენია ეს, მაგრამ ჯერის ამოყრის მიზნით ასეთ ხმებს ავრცელებს. სარჩიმელია უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბუღუ და ლუკა ნაკაშიებმა მართლაც გაიტაცეს ევტერპია ტრიანდოფილიდისთან დაბინავებული მისი თანხები და ნაძარკეი. ნაკაშიები უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ მათი მამიდისა და მამიდაშვილების სისხლი თუთაშხიას კისერზე იყო.

ზარანდიამ ამ ამოცანის დაძლევა ვირტუოზულად შესძლო.

მუშნის თავის გეგმაში არც ის მოსაზრება გამორჩენია, რომ თუთაშხიას იქნებ საერთოდ არ ეთხოვებინა ყური სარჩიმელიას ამრული თავგადასავლების გამო დარჩეული ხმებისთვის, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს საკითხი აბრაგს მაინც დააინტერესებდა. ამიტომ გავრცელებულ იქნა ხმა, თუ სახელობრ ვისთან განთავისუფლდა ბეჩუნი პერტია სარჩიმელიას საყვარულის შედეგად დარჩენილი ფეხმძიმეობისგან. ამ ვერსიაში დასახელებულ მებანე ქალთან, სულ რაღაც ათი დღის შემდეგ,

პაპუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია



პატივცემული ქალბატონი ტერეზია ჩიჩუა მივიდა. თავადის ქალი, სხვა მოარულ კორებთან ერთად, ბეჩუნი პერტიას და რაჯა სარჩიმელის რომანსაც შეეხო და ხუმრობაში მეანე ქალი „გამოსტეხა“, რომ ბეჩუნი პერტიას სწორედ მან აღმოუჩინა დახმარება. ზარანდიამ ერთი ვასროლით ორი კურდღელი მოჰკლა: დარწმუნდა, რომ დათა თუთაშინამ, ასე თუ ისე საცენკს ნისკარტი ჩაჰკრა და, მეორე მხრივ, აბრაგის მანამდე უცნობი ურთიერთობა აღმოაჩინა ქალბატონ ტერეზია ჩიჩუას სახით. ცხადი ვახდა, რომ დათა თუთაშინა რაჯა სარჩიმელის რითიმე მოუვლიდა.

ბუღუ ნაკაშიასთვის თავის ღროზე ანუ ოთხი წლის წინათ დავალებული ტერორისტული აქტის დრო და ადგილი ჩვენმა სამსახურმა წინასწარ გაიგო. ტერორისტი ხაფანგში გაება, დავალება ვერ შეასრულა, მაგრამ ორი კახაკი მოგვიკლა და ტყეს შეაფარა თავი. ლუკა ნაკაშია — უმცროსი ძმა, ბუღუს თანამოაზრე და იმ საქმეში თანამონაწილე არ ყოფილა, რადგან დაბადებითვე გონებასუსტი იყო. როცა ბუღუ ნაკაშიამ აბრაგობას მიჰყო ხელი და სახელი გაითქვა, ლუკამ გუდა-ნაბადი აიკრიფა, ძმას მიაგნო და შინ დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ასე გააბრაგდა ლუკა ნაკაშია. კერძოდ მის წინააღმდეგ დამსჯელ ორგანოებს არაერთი მასალა არ გააჩნდათ, გარდა იმისა, რომ იგი შედარებით ახდლილად მიდი-მოდიოდა და, საფიქრბელია, თავისი ძმის დავალებებს ასრულებდა. ერთხელ აზრი წარმოიშვა, ლუკა დაეკიროთ და ბუღუს შეეუთვალოთ, გამოდი, ჩაგვბარდი, თორემ ძმას გაგიციმბირებთო. მერე ვილაცას მოაგონდა, რომ ლუკა ჰკუანაკლული იყო, მისი სამართალში მიცემა ვერ მოხერხდებოდა, რომ ეს ბუღუმაც კარგად იცოდა და ამიტომ არც ჩაგვბარდებოდა. წინადადება ჩაფლავდა. ლუკა არც იმდენად იდიოტი იყო, რომ ძმის ადგილსამყოფელზე კვალი მიეტანა და

არც იმდენი ჰკუა ჰქონდა, პოლიტიკა რომ მისი რეიდები შეუსწავლავდა ჩენოდა. ზარანდიასთვის ესეც სრულიად საკმარისი იყო. ლუკას მიუღარა-ჯეს და გზაზე გამოსულს მშვენიერი მალხერი დაუდგეს. ამ ხრიკის ტექნიკური შემსრულებელი ირწმუნებოდა, მეტი თუ არა; ნახევარი საათი მაინც ათვალეირაო. ჩანს ამ ნახევარ საათში ლუკამ ყველაფერი ბოლომდე გაიაზრა, რადგან მალხერი ქამარში ყოჩაღად გაიჭყო და რასაც პოვნამდე უსტევენდა, იმავე მელოდიის სტევენით განავრძო გზა. როცა სოფლებში საქმე მოითავა, ლუკა ძმასთან დაბრუნდა და თავისი ნაპოვნით დიდ საგონებელში ჩააგდო იგი. ბუღუ ნაკაშიამ ეს უცნაური მოვლენა აფასნაირად აწონ-დაწონა, საეჭვოს ვერაფერს მიაგნო და ყველაფერი შემთხვევითობას მიაწერა. ამგვარად, ეეტერპია ტრიანდოფილიდისგან ჩამოიბრუნებული ნაძარცვი მალხერი ლუკა ნაკაშიამ ჩამოიკიდა. საქირთ იყო სარჩიმელის თავისი თვალთ ენახა ეს...

აღრე მგონი ვთქვი, რომ დათა და ელე თუთაშინები მუშნი ზარანდიას დედ-მამის ოჯახში აღიზარდნენ. დაცხდენ, ამ ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ უნაზესი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოირჩეოდნენ. ნამდვილად ვიცი, მუშნი ზარანდია გულწრფელად, ღრმად განიცდიდა დათას და ელეს ბედუკუდმართობას. იგი არამარტო თანაბარ მატერიალურ დახმარებას უწყევდა თავის მშობლებს, უფროს ძმას და ელე თუთაშინას, არამედ ამ გაუთხოვარი, მარტოხელა ქალის სახლ-კარსა და მეურნეობაზეც ზრუნავდა. მუშნი, მისი ძმა და მოხუცი ზარანდიები ელესთვის და დათასთვის ბოლომდე ძმებად და მშობლებად დარჩნენ, ხოლო მოხუცები ერთთავად თავის აღზრდილი ობლებს ტრილში იყენენ. დაიწინებით ვიტყვი, რომ მიუხედავად საზოგადოებრივ ასპარეზზე მძაფრი დაპირისპირებისა, მუშნი ზარანდიასა და დათა თუთაშინას შორის ურთიერთ პატივისცემა და ძმური სისხ-



ლისმიერი სიყვარული არაფრით და არასოდეს შენელებულა. ეს პარადოქსადაც ედერს, ჭეშმარიტბაც არის და თუკი ვცდები, დაე, ღმერთმა განსაჯოს ამ ორი ტრაგიკული პიროვნების სიკაცსლევ და ჩემი შეხედულებაც.

ელე სამკუთხედის ოპერაციის დაწყების წინა ხანს თბილისში ზარანდიებთან სტუმრობდა. სოფელში თუთაშხიების ძველთა-ძველი სახლი დიდი ხანია შეკეთებას მოითხოვდა. მუშნამ ელეს საჭირო თანხა მისცა, ჯერ სახურავი შეეკეთათ და დანარჩენზე მერე ვიფიქროთო. ამასთან ერთად მისაწავლა კაცთან, რომელიც კარგ ოსტატებს გამოუწახავდა, ჩასვა მატარებელში და შინ გაისტუმრა. ელე თუთაშხია ზარანდიას მიერ მიითაბებულ კაცთან მივიდა, დახმარება სთხოვა. კაცმა მიუგო, ის ოსტატები ჯერჯერობით სხვა საქმით არიან დაკავებულები, პატარა ხანს მოცდა დაგვირდებათ, იმ სამუშაოს მოჩვენებთან თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნითო. ალბათ გასაგებია, რომ ეს კაცი ზარანდიას აგენტი იყო და ამიტომ ოსტატების გაგზავნა სათანადო სიგნალის მიღებამდე გააკიანურა. ელე თუთაშხიას მაინცადამაინც დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, ერთ დილას ოსტატები მოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. მუშაობის დროს ერთ-ერთმა თავი დაიმარტოხელა, ნუცა თოდუას ხილბანდში გამოკრული სამკაულები წინასწარ დანიშნულ ადგილზე დამალა. სახურავის შეკეთება დასრულდა, ოსტატებმა თავისი მიიღეს, წავიდნენ. ორი, სამი დღის შემდეგ, მუშნი ზარანდიას მეუღლის ავადმყოფობის გამო ელე თუთაშხიამ თბილისიდან სასწრაფო გამოძახება მიიღო, სახლი დაუყოვნებლივ დაკეტა და გაემგზავრა. ამგვარად, თოდუების ამოწყვეტაში რომ დათა თუთაშხიას ორთავე ხელი ერია, ამისი ნივთიერი მტკიცებულობა მისივე სახლის სხვენში ინახებოდა. საჭირო იყო ნაკაშვიების მისვლა და ხილბანდის პოვნა...

ზარანდიამ ოპერაცია თავის ხელქვეით ოფიცერს ამ ფაზაში დაუტოვა,

თბილისს გამოემგზავრა და ჩამოსვლისავე დღეს სხვა მიმდინარე საქმეებში მოჰკიდა ხელი. ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ ზარანდიამ ერთდროულად დაიწყო ხუთი ანალოგიური ოპერაცია კავკასიის სხვადასხვა მაზრაში. ვიცოდი, ოპერაციის დამთავრებას ჯერ კარგა ხანი აკლდა; ამიტომ დაწესებულებაში მისი გამოჩენა ჩემთვის მოულოდნელი იყო. გამოძახებას ვაპირებდი, მაგრამ თვითონ მოვიდა. მისალმების შემდეგ მოლოდინი შემნიშნა და საქმის მსვლელობა მომახსენა.

— დაბრუნდებით? — ეკითხე მე.
— აღარ.
— როგორ შედეგს ელით?
ზარანდია დაფიქრდა, გაიღიმა:
— შედეგის განჭვრეტა, მოგესხენებათ, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება... მით უმეტეს ასეთ საქმეებში. მგონი, წინასწარი ევრალედი უნდა გამართლდეს.

— ესე იგი: უფროსი ნაკაშხიას, ან ორივე ნაკაშხიას ლიკვიდაცია. სარჩიმელის შემორიგება და ჩვენს სამსახურში აყვანა. თუთაშხიას საბოლოო და ისეთი კომპრომეტირება, რომ სხვა გზა აღარ დარჩეს და შემორიგებაზე დავეთანხმდეს!

— დიახ, — დამიდასტურა ზარანდიამ, — მაგრამ იმ პირობით, თუ თუთაშხიამ დანარჩენ ბოროტმოქმედთა დაშოშინება-დარწმუნება ვერ შესძლო. რაც დრო გადის, სულ უფრო მუშინია ამისი.

— როცა ნაკაშხიები თავისი დის ნივთებს თუთაშხიას სხვენში იპოვნიან, მაშინაც შესაძლებელია, რომ თუთაშხიას გავლენამ ოპერაცია ჩაშალოს?

— კაცნი ვართ! — ყოყმანით სთქვა ზარანდიამ. — ყოველ შემთხვევაში, ჩემი იქ ყოფნა ველარაფერს გამოასწორებდა.

ერთი საკითხი იმთავითვე მაწუხებდა, მაგრამ ვერა და ვერ გამოვნახე საჭირო

მანუა აშირჯიანი
დათა თუთაშხია

„შემთხვევა, რომ ზარანდიასგან პასუხი მომეღწა. ამ თემასზე სიტყვის ჩამოვდებოდა ესლაც მეჩოთირებოდა, ვყოყმანობდი. ბოლოს, თავი იმაში ვიშხილე, რომ საამისო მომენტი ყოველთვის იყო და უბრალო გამბედაობა მღალატობდა.

— მაგ ოპერაციაში არც ის არის გამორიცხული, რომ თუთაშხია მოკლან და სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მაშინ?

— არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, ეგ სწორედ გამორიცხულია! ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტას სამიდან ორი კუთხე მიიღებს და თუთაშხია ყველა შემთხვევაში ცოცხალი დარჩება.

— რამ შეგძინათ ეგ რწმენა?

— იმან, რომ თუთაშხია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სარჩიმელია და ნაკაშიები ერთად აღებულნი!..

— რით აიხსნება ასეთი განსხვავება მათ შესაძლებლობებში?

— ჯერ თანდაყოლილი ღირსებები და შემდეგ სწორი აღზრდით ჩამოყალიბებული ზნეობა. მე ვიცი, რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან.

— კაცი ბქობდა — ღმერთი იცინოდლო, ნათქვამია; ენახოთ და მოხდა?

— ჩავაცივდი მე.

ეგ მაშინ უნდა მოხდეს, თუთაშხია თუ სხვებზე უძლური აღმოჩნდება. სუსტმა უნდა წაავოს. აქ ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მაგრამ თუთაშხიას, ვიმეორებ, არაფერი დაემართება.

საუბარი შეწყდა.

ნაკაშიებმა კითხვა-კითხვით მიავნეს ადამიანს, რომელმაც თოდუების ამოწყვეტაში დათა თუთაშხია დაადანაშაულა და დანიშნულ ადგილზე დაიბარეს იმ კაცთან ერთად, ვინც მიავნებინა.

— ლენტორ კუპრავე, ბატონო, საიდან იცით თქვენ, მამიდაჩენი ნუცა და მისი ვაჟები დათა თუთაშხიას დაზოცილები რომ არ არიან?! — ჰკითხა ბუდუ ნაკაშიამ.

კუპრავე დაიბნა და ჩაილაპარაკა: — საიდან უნდა ვიცოდებოდა ეს არაფერი მე.

— უყურე, ერთი! — აღშფოთდა შუაკაცი. — შენ არ მითხარი მისი გაკეთებულია ეს საქმეო?!

კუპრავემ ისევ იუარა, მაგრამ მის სიტყვებში ყოყმანი და სიცრუე ნათლად ჩანდა. ნაკაშიები ჩააცივდნენ. კუპრავე დიდ ხანს იდგა თავისაზე. როცა საქმე მუქარაზე და იარაღის ტრიალზე მიდგა, კუპრავე მუხლებზე დაემხო. ცრემლით შეემუდარა:

— ბუდუ-ბატონო, არ მომკლა, შეილები არ დამიბოლო ვიცი ყველაფერი, მარა არაა სათქმელი ის. მკვლელობა და ცოდვა არ აკლია ამ ქვეყანას. რომ ვთქვა, მიემატება კიდევ და, არ მინდა მე. დამანებე თავი, გაფიცებ მაღლა ღმერთს და მიწაზე ძვირფასი ვინც გაყავს — იმას!

— თქვი, ახლა, თვარა გაგაციე აქ — შეუტია ლუკა ნაკაშიამ.

კუპრავემ ცოტა ხანს იყუჩა და ბუდუ ნაკაშიას ჰკითხა:

— საწყალი ნუცა, დოროთე თოდუას რომ უნდა წაეყვანა, ახალი სახლის აშენებას თქვენ წინდლით მორჩით, მგონია. ასეა ხომ?

ბუდუ დადიქრდა.

— მასეა, რა მერე?

— ის ოსტატები ხომ კარგად იცნობდნენ თქვენს ნუცას, საწყალს, და თოდუები მის წასაყვანად რომ მოვიდნენ, ხომ იყვნენ ის ოსტატები იმ ამბავზე?

— იყვნენ, მგონია.

— იყვნენ, კი. იქ ვიყავი მეც და ვიცი, რომ იყვნენ. გახსოვს შენ, ალბათ, იქ რომ ვიყავი მე, — თქვა კუპრავემ.

— კი, მახსოვს.

— ნუცას დოროთე თოდუამ ნიშნად სამკაულები რომ აჩუქა — არ მახსოვს მე, სიმაართლე გითხრა. ის სამკაულები, მარა იმ ოსტატებს ახსოვთ: ვერცხლის ბეჭედი ყოფილა ფირუზის სამი თვალით, გულსაბნევი — ისიც მისთანა ფირუზებით გაწყობილი და საყურეები



— ისიც მისთანა. ოსტატები ამბობენ, საცოდავი ნუცა, სულ ატარებდა იმ ნივთებსო, ყოველდღე ვხედავდით იმდენ ხანს და დავიხსომებდით, აბა რა იქნებოდაო. თუ ქონდა საწყალ ნუცას ასეთი სამკაულები?

ბუღუ ნაკაშია უკვე გაფითრებული იყო.

— ქონდა. ატარებდა. მართალია ეგ!

— ოსტატებს რომ ვამბობ, მათ უნახავთ ის სამკაულები.

— სად?!

— დათა თუთაშხიას სახლის სახურავს მართავდნენ ხელახლა. იქ უნახავთ, სხვენში დამალული.

სიჩუმემ კარგა ხანს ვასტანა.

— ადვილი თუ გიოხრეს?

კუპრავე შეყოყმანდა. მერე თავს ძალა დაატანა და ამოსცრა:

— მიოხრეს, მარა... ვაი, თუ იცრუეს... ან, ვაი, თუ აღარ დაგხვდა ის იქრა ვქნა მაშინ მე!

ნაკაშიებს მოწმის ტირილისა და ცრემლებისთვის სად ეცალათ! — დაუყოვნებლივ ათქმევინეს ოსტატების მინიშნებული ადგილი. გამთენიის ხანს თუთაშხიას სახლ-კარს მიადგნენ, იქაურობა რიგიანად დაათვალიერეს და როცა სავკეო ვერაფერი ნახეს, ჩარაზულ-ჩაყეტბილი სახლის ეზოში გადახტნენ. ცოტა ხნის შემდეგ სამკაულებიანი ხილაბანდი ძმებს ხელთ ჰქონდათ. ლუკამ სამზადი შეამტერია, ნაეთი გამოიტანა, შენობებს მოასხა და ცეცხლი მისცა. ეს ამბავი მთელი სოფლის თვალწინ და, რა თქმა უნდა, ნაკაშიების მრავალგზისი, აღშფოთებული განმარტებებისა და მუქარის თანხლებით მოხდა.

ახლა: სარჩიმელიას, ბუნებრივია, ეჭვი შეეპარა თავისი კომპანიის ინფორმაციაში. საამისოდ მრავალი მზენი ჰქონდა და უპირველესად ყოვლისა ის, რომ თვითონ შეეძლო უმნიშვნელო თანხის გულისთვის ყოველნაირი ცბიერება და მზაკვრობა ჩაედინა. ეცტერბია ტრიანდოფილიდიც ხომ მის თარგ-

ზე გამოჭრილი დედაკაცი ბრძანდებოდა: არ არსებობდა საქციელი, ლიც მოულოდნელი ყოფილიყო მისვან. ზარანდიამ გაითვალისწინა, რომ დამატებითი მტკიცებების უქონლად სარჩიმელიასთან გაქნილი სეკტივისისა და ეშმაკეულის დარწმუნებას თვით ტრიანდოფილიდის ქალიც კი ვერ შესძლებდა. ამიტომ სათანადო ზომები იქნა მიღებული; მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ნახჩრეკ და არეულ-დარეულ ბინაში ზარანდიამ ხელ-ფეხ შეკრული დიასახლისი დატოვა. ცოტა ხნის მერე ქალი ქუჩაში გამოლოდა, კივილი ატეხა. მოგროვდა ხალხი, მოვიდა პოლიცია, რომელმაც ქუჩაში, ვითომდა ნაკაშიების მიერ წადებული ნაძარცვის მცირედი ნაწილი იპოვნა. კვლევა-ძიება ორ-სამ დღეს გაგრძელდა და, რა თქმა უნდა, მთელმა სოხუმმა გაიგო ტრიანდოფილიდის გაძარცვის ამბავი. ამის შემდეგ გაჩხრეკეს ნაკაშიების ყველა ნათესავი ყველა მაზრაში, სადაც კი ისინი მოიპოვებოდნენ. დააპატიმრეს, დაჰკითხეს, ცოტა ხნით დააკავეს და მერე თავდებით გაათავისუფლეს ტრიანდოფილიდის თანამოსაქმეთა მესამედი, თუ ნახევარი, მათ შორის მუშელაც, რომელთანაც სარჩიმელიას საგანგებო ლაპარაკი ჰქონდა შემდგომში. პოლიციას, ვითომდა მხოლოდ ის აინტერესებდა. თუ ვინ „მისცა ტრიანდოფილიდის საქმე“ ნაკაშიებს, სარჩიმელია რაც მეტს იკვლევდა და ფათურობდა, მით მეტად უქარწყლებოდა კომპანიონის მიმართ აღძრული ეჭვი და მით უფრო მეტს ფიქრობდა ნაკაშიებთან შეხვედრაზე. მან იცოდა, მათთან ლაპარაკის და გატაცებული ფულის კატეგორიული მოთხოვნისთვის ურყევი მტკიცებები იყო საჭირო, ამიტომ გადაწყვიტა, საქმის კურსში მყოფ ადამიანების მიერ მოყვანილ თუ გაგონილ ფაქტებთან ერთად, ხელთ ჰქონოდა ჰქუანაკულ ლუკა ნაკაშიასაგან გამოცინცლული რაიმე ცნობაც. პოლიცია-

ვახუა აზირაჯიბი
დათა თუთაშხია

ზე უკეთესად სარჩიმელიამ იცოდა ლუკას ასავალ-დასავალი და ორიოდე კვირის თვალთვალის შემდეგ შეხვედრა მოხდა. ლუკას მუწურმა სალმის მიცემისთანავე მიიპყრო მძარცველის ყურადღება. იმაში დარწმუნება, რომ ეს მისი ნაძარცვი და ევეტერპიას სახლიდან გატაცებული მუწურია, სარჩიმელიასათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამისთვის მუწურის დათვალეობა იყო საჭირო, სხვა არაფერი. ამიტომ არც რაიმე საუბარი ყოფილა — ყაჩაღები თავთავის გზას გაუდგნენ. ვერსიის სისწორის გამო რაჟა სარჩიმელიასთვის ახლა უკვე ორი აზრი აღარ არსებობდა, მაგრამ შესამოწმებელი იყო თვით ევეტერპია ტრიანდოფილიდი და დანაკარგის ანგარიშებიც. მან, როგორც იტყვიან, თავზე ხელი აიღო, სოხუმში მოვიდა. თვალთვალი, ცხადია, გრძელდებოდა. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, ყაჩაღისთვის ხელი არ ეხლოთ. სარჩიმელია კომპანიონს ესტუმრა, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ზღვის მეგობრებიც და არსენა ოძელაშვილიც მას ჰკუთით სჯობნიდნენ და ნაკაშიებთან შეხვედრამდე ფიქრით გართული უკან გამოტრიალდა.

სარჩიმელია, მართალია, დარწმუნებული იყო, რომ მისი ფული ნაკაშიების გატაცებულია, მაგრამ ყაჩაღს ეპვი ეპარებოდა, რომ ექსპროპრიატორები რამეს დააბრუნებდნენ.

— რას მომცემენ მაგენი! მაგენი პოლიტიკურებია, არ იცი შენ! მაგენმა ის ფულები ჩააბარეს უკვე მათ. — მიუგო რაჟამ ერთ გულშემატკივარს, როცა იგი ნაკაშიებთან მისვლას და ფულს მოთხოვნას ურჩევდა.

— მაშინ, კაცი წაიყვანო უნდა ისეთი, მისი ხათრი და პატივისცემა რომ აქვთ ნაკაშიებს.

ეს რჩევა სარჩიმელიას ჰკუთნიდა და უჭდა, მაგრამ ვინ წაიყვანა? სწორედ აქ დაიბადა დათა თუთაშხიას გამოყენების იდეა. იმაში დაბრკოლებაც ბევრი იყო. ჯერ ერთი — ძველი ანგარიშები და მეორე ის, რომ სარჩიმელიაზე გაცე-

რცელებული ხმები — ვითომ მან თუთაშხიას საყვარელი წაართვა და სარჩიმელიამდე მოვიდა ტყვედ და მამე, არ შეიძლებოდა დათამდე მისულიც არ ყოფილიყო. ამასთან ერთად, სამედიკატოროდ, საშუაშავლოდ, ნაკაშიებზე შთაბეჭდილებისა და ზეგავლენის მოსახდენად უკეთეს კაცს თვით ღმერთიც ვერ გამოიგონებდა. სარჩიმელია ერთ ხანს ყოყმანობდა, მაგრამ ამ დროს ვაიგო, რომ ნაკაშიებმა თუთაშხიას სახლ-კარი გადაბუგეს, ისიც ვაიგო, თუ რისთვის გადაბუგეს და, ბევრი აღარ უფიქრია, მის საქმენელად გასწია. ოღონდაც! აქ უკვე ზეგავლენაზე კი არა, ინტერესთა ერთიანობაზე და, ამდენად, ნაკაშიების წინააღმდეგ მომავალ მოკავშირეობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი.

სურვილი — ერთია, მისი სისრულეში მოყვანა — მეორე; დათა თუთაშხიას სარჩიმელიასთვის ისეთივე ძნელი საპოვნელი იყო, როგორც პოლიციისთვის. საქმე ის არის, რომ თუთაშხიას მიმართ გაწეულ მაკომპრომეტირებელ მუშაობას ნელ-ნელა, მაგრამ ფრიალდ დამაჭერებლად მოქმენდა თავისი შედეგი. ჩვენი ცნობების თანახმად, აბრაგმა ბევრ ისეთ ადვილში ამოიკვეთა ფეხი, სადაც უწინ ხელგამლილი მას-პინძლობა ხედებოდა. ორმა თუ სამმა კაცმა პირდაპირ გაუმყლანა ნღობისა და პატივისცემის დაკარგვა. სხვებმა ახდლი მოქმედება ვერ გაბედეს, მაგრამ დათა თუთაშხიამ თვით ივრძნო მათი უარყოფითი დამოკიდებულება და ძველი მეგობრობა შეწყვიტა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავის მართლებას, დაყრილი ხმების უარყოფას და ვინმესთვის რაიმე განმარტების მიცემას არ ცდილა. მხოლოდ ერთხელ იყო: დედათა მონასტრის წინამძღვარმა თუთაშხიას, ვითომცდა მისი ცოდვები, ორთოდოქსიას მოუჩინებლობით მოახლავაბრაგმა მშვიდად მოისმინა და მიუგო:

— არ ჩამიდენია, დედაო, ეგენი მე არ ვარ სამავისო კაცი!

მოხუცი ქალი დათას პასუხმა შეაფიქრანა, ყოყმანის შემდეგ უთხრა:

— ერმა ირწმუნა უკვე.

ზარანდიას ნამოქმედარი ჰგავდა საყოველთაო მსჯავრს, რომელსაც ძახითი ნიშანი აკლდა. სამკაულებიანი ხილბანდის აღმოჩენამ, თუთაშხიების სახლკარის გადაბუგვამ, ამასთან დაკავშირებით გავრცელებულმა ხმებმა თავისი გააკეთეს — ეჭვი და ვარაუდი ფაქტად აქციეს. თუთაშხიამ დაინახა, რომ ხალხის თვალში იგი უკვე სისხლში ამოთხერილი მგელი იყო და არა საერთო პატრივისცემითა და თანაგრძობით აღჭურვილი აბრაგი. მას იმის მეტი აღარც არაფერი დარჩენოდა, რაც გააკეთა: განდგვილისა და მოკვეთილის ხვედრი იტვირთა.

რაჟა სარჩიმელია კი ტურასავით დაძრწოდა, ეძებდა. თუთაშხიას, რა თქმა უნდა, აქა-იქ კიდევ შემორჩა ფხიზელი და საღად მოაზროვნე კაცები. ხარჩიმელია მათთანაც მივიდა პავმანის თხოვნით. საფიქრებელია, რომ განდგომილს გადასცეს კიდევ სარჩიმელიას დაქინებული სურვილი, მაგრამ ხმა არსაიდან იყო. ყაჩაღი კი არა და არ ცხრებოდა — ეძებდა. ბოლოს, თუთაშხიას ალბათ მობეზრდა, ან იქნებ სხვარამ მოსაზრებით იხელმძღვანელა და ყაჩაღს შეხვედრის დრო და ადგილი ბანაშში, უსინათლო მორღუსაის ქოხში დაუნიშნა. სარჩიმელია მივიდა. შუადამე გადასული იყო. კარი ღია დაუხვდა, შეაღო და შევიდა. მორღუსაი ტახტზე იწვა, გვიანი სტუმრის მოსვლა არ გაჰკვირვებია, არც ასადგომად წამოწეულა. იწვა, მუმიას ჰგავდა.

— გამარჯობა შენი, მორღუხა.

— სიკეთე მოგცეს ღმერთმა, თუ სასიკეთოდ დადიხარ ამ ქვეყანაზე, —

— მორღუხიამ ტახტზე მიანიშნა, მოეწყო.

მოხუცს ხმა აღარ დაუძრავს. სამი დღე-ღამე ალოდინა სარჩიმელია თუთაშხიამ. ჩანს, სადმე ანლო-მანლო ტრიალებდა. შესაძლებელ ხაფანგს ზვიერავდა. ამ ხნის მანძილზე მორღუხიამ მხოლოდ

ერთხელ დასძრა კრინტი — მოვად, უთხრა ყაჩაღს, როცა მოთმინების ტაშა შეატყო.

თუთაშხია რომ შემოვიდა, სარჩიმელისა ეძინა, მის მოსვლამდე მორღუხიამ ყაჩაღის თოფისა და რევოლვერების ლულეებში მიცემული ვაზნები ამოიღო, მაგიდაზე დადო. თუთაშხიამ ნაბადი მოიხადა, ჯორკოზე ჩამოჯდა. მორღუხიამ ბუხარში ცეცხლი ააგზგვიხა, შეშამ ტყაცა-ტყუცი დაიწყო, ყაჩაღმა წამოიწია, თვალეები მოისრისა და თქვა:

— გამარჯობა, დათა-ბატონო, მარა წასვლას ვაპირებდი, დღეს რომ არ მოსულიყავი აქ.

თუთაშხიამ თავი დააქიცინა. ყაჩაღი ვერ მიხვდა, საღმის პასუხი იყო ეს დაქიცინება თუ კიდევ სხვას ნიშნავდა რასმე. სარჩიმელიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავი რიხიანად დაეკირა, მაგარი კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა თუთაშხიაზე.

— პირისპირ ლაპარაკი მინდა მე! — თქვა ყაჩაღმა და თვალთ მორღუხიაზე მიანიშნა.

თუთაშხიამ ხელი ჩაიქნია. სარჩიმელია ნიშანს მიუხვდა, დღევა მოიოკა და დაიწყო:

— პირველს იმას გეტყვი, დათა-ბატონო, რომ მაშინ, იქ, გზიდან გადაყვანილი ხალხის საქმეში მართალი არ იყავი შენ, მარა გულში არაფერი არ ჩამიდგია მე. არც ის არის მართალი, რომ ლაპარაკობენ ჩემზე, ბეჩუნი პეტრასთან საქმე დაიჭირაო. მოგონილია მაგ ყველაფერი. — სარჩიმელია დათას პასუხს დაელოდა, მაგრამ აბრაგი ჩუმად იჯდა, ალით განათებულ სახეში შემოსცქეროდა თანამოსაუბრეს.

თუთაშხიას სიჩუმე სარჩიმელიამ, ჯერ იყო, თავისი მტკიცე ტონის შთამაგონებლობას მიაწერა, მაგრამ აბრაგის იერში სიმშვიდისა და დაღლილობის მეტი ველარაფერი შენიშნა და უფრო ექსპანსიურად განაგრძო:

ნაზა აზირაჯიბი
დათა თუთაშხია

— ერთმანეთთან მტრობა და უთანხმოება, დათა თუთაშხია, არც ერთს მოგვიტანს კარგს და არც მეორეს. მტერი გეყავს ორივეს ერთი და ორივე ერთად რომ მივკავითხავდეთ, აჯობებს, მგონია მე. — სარჩიმელია ისევ დადუმდა, დათას რეაქციას მოუცადა, მაგრამ პასუხი კვლავ არ იყო.

ჩანს, სწორედ აქ მიხვდა ყაჩაღი, რომ სათქმელს საჭირო ფორმა ვერ გამოუნახა. შეცბა:

— დათა-ბატონო, სახლ-კარი გადავიწვევს ნაკაშიებმა. თუ გიპოვნეს, მოგკლან იქნება, კიდევაც. ფული მქონდა სოხუმში მიბარებული ერთ ქალთან. წაიღეს ნაკაშიებმა ის. შენ რომ სახლ-კარი გქონდა, ასს და მეტს ააშენებს ის ფული, იმდენია იქ!

ვერც ამან მოახდინა ეფექტი. აბრაგი სდუმდა, მის სახზე ერთი ნაკვთიც კი არ შეჭრულა. იჭდა, სარჩიმელიას შეკუყურებდა.

— წავიდეთ და მოვიტხოვოთ ჩვენი ჩვენი მოსათხოვარი. ასე აჯობებს. მგონია, მე. — დასძინა სარჩიმელიამ.

მორღუხი მაგიდას მიუჭდა დათას გვერდით. ყაჩაღმა უსინათლო მოხუცს შეხედა, თითქოს თვალებით შეემუღარა, ამ კაცს რამე ათქმევინე, თუ ღმერთი გწამსო! მორღუხის, რა თქმა უნდა, სარჩიმელიას მუღარა არ დაუნახავს, არც ხმა ამოუღია, მაგრამ ყაჩაღმა იგრძნო, რომ კარისკენ უთითებდა მოხუცი.

— ჭკვიანი კაცი ხარ, დათა-ბატონო, ვიცი; შენ გგონია, ნაკაშიას მე მოვკლავ და ამით, მისგან რომ ზიფათი გეღლის, გადარჩები იმას. მასე მოხდეს იქნება, მარა შენზე რასაც ამბებს ყვებიან, ის ამბები ყველასთვის შენს კისერზე ზომ დარჩება მაინც! — სხაპასხუპით თქვა სარჩიმელიამ.

დათა თუთაშხია კვლავინდებურად სდუმდა. ყაჩაღმა წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა:

— დათა-ბატონო, შენს მეტს არკაცს არ დაუჯერებენ ნაკაშიები. ამაღებინე ის

ჩემი ფული და ნახევარი შენი მაშინ.

თუთაშხიას მხოლოდ ესლა დაეტყო ღიმილის მაგვარი რაღაც. ან იქნებ მხოლოდ ნაპერწყალმა გაურბინა თვალეზში. სარჩიმელიამ იგრძნო, რომ მისი რიხიანი ლაპარაკი დიდი ხანია ხვეწნად იქცა, თუთაშხია ნაკაშიებთან არ წაპყვებოდა, მაგრამ ერთი ნათქვამის გაგონება სურდა.

დათა თუთაშხიამ ხმა ამოიღო:
— წადი ახლა შენს გზაზე, რაყა, ბიძიკო.

მორღუხიამ მაგიდაზე ხელები მოაფათურა, ლულებიდან ამოღებული ვაზნები ყაჩაღს გაუწოდა. სარჩიმელიამ გამოართვა, ცოტა ხანს კიდევ იჭდა, რაღაცას ფიქრობდა. მერე იარაღი აისხა, ქოხიდან გავიდა.

მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს— ჯერ ახლოს, მერე შორს. მალე სინუმე ჩამოვდა.

ქოხში ისაკი შემოვიდა — მორღუხის შვილიშვილი. განჯინა გამოაღო. ვახშმის გაწყობას შეუდგა.

— ერთი კაცის საქმეა ეგ, დათა, ერთი კაცის მოფიქრებულია: ყველაფერი ერთმანეთს გავს, — თქვა მორღუხიამ.

— მასეა, მარა ვინაა ის კაცი, ნეტავი, და ასეთი ჭკვიანი კაცები მათ სამსახურში რატომ მიდიან, ეს მინდა ვიცოდე მე, — მიუგო დათა თუთაშხიამ.

— ყველა კაცი თავის საქმეს მისდევს. ჭკუა ბევრისთვის მიუღია ღმერთს, გაგება — ცოტასთვის. გაგება როგორიც აქვს ადამიანს — ისეთ საქმეს მიყვება და არის. იმ კაცებს, შენ რომ ლაპარაკობ, ჭკეყნის გაგება რომ არ უფარგათ, რა ქნან მაშინ? — თქვა მორღუხიამ.

დათა თუთაშხიამ ხელები შეიწმინდა. ცეცხლს ჩააცქერდა და თქვა:

— მორღუხი-ბატონო, შენით ცხოვრებას რომ იწყებდი, რანაირი იყო მაშინ შენი გაგება?

— საშოვარი და შოენა.
— მერე?



— მივხვდი მერე, არაფერი რომ არ იყო ესეც, მარა სხვაც რომ ვერ ვნახე უკეთესი საქნელი, მივყევი ბოლომდე, ვინახე ნაშოვარი და ვარ ასე — აგერ ასის შევიქნები მალე.

ბუხრიდან ნელლი კუნძის შიშინი ისმოდა.

— კაი ვქამე, კაი ვსვი, კაი ჩაიციე და დავიხურე, ვითომ, მარა მეორე დღეს აღარ მახსოვდა ეს. ფუქად წავიდა ყველაფერი. — მორღუხი დაფიქრდა და დასძინა: — რალა მახსოვს იქიდან ახლა, თუ იცი?.. მარტვილის ბაზარში ერთხელ ბიჭს თხა ყავდა გამოყვანილი. ისე დაძენილ-დაფლეთილი ტანისამოსი სხვა დროს არ მინახავს არსად, იმ ბიჭს რომ ეცვა. ქვრივი დედაბერი ევაჭრებოდა ვიღაც — სახადმოოჯახი ამომიწყვიტა, შვილიშვილი დამარჩა ძუძუს ბავშვი, მისთვის მინდა ეგ თხა, დედა შეილობას გაფიცებ, ამ სამ აბაზად მომეციო. მესამედი ფასი იყო იმ თხის ის სამი აბაზი. არაფრის გულისთვის არ თმობდა ბიჭი. მე იქ იმისთვის ვიყავი, რომ იაფად ნაყიდ ჩოხას ვყიდდი ერთს. ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს, თვალეში მაქვს ახლაც და კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა.

თუთაშხიამ თვალი უსინათლო მორღუხიზე გადაიტანა, გაიღიმა, არაყი დაისხა.

— ვცადე მაგ მე. ბევრჯერ ვცადე მაგ მე. იცი შენ ეს.

— რაი, მერე?

— ვისაც ჩავაციე, მან გამხადა, სწორედ. მე თუ არა, სხვას ვახადა მაინც.

— რომ არ ჩაგეცვა მისთვის, ვახდა თუ ავცდებოდათ ან შენ და ან იმ სხვას?

სიჩუმე ჩამოლდა. მერე თუთაშხიამ მიუვლო:

— არ მიფიქრია მაგაზე მე, — და არაყი გადაჰკრა.

ვანშამს მორჩნენ. თუთაშხია ჩიბუნს აბოლებდა.

— მარტო ვერ გაბედავს ეგ ნაკაშები თან მისვლას, მარა შურის უძებლადაც არ ვაჩერდება, — ჩაილაპარაკა მორღუხიამ.

ხმა კარგა ხანს არავის დაუძრავს. ისაკმა ჯამ-ჭურჭელი აალაგა, მაგიდა გადაწმინდა. თუთაშხიამ უთხრა:

— წადი ისაკი, ძამიკო, ნახე ბუღუ ნაკაშია, უთხარი ყველაფერი. ტყუილ-უბრალოდ გააფუჭოს იქნება კაცი ამ ტურამ.

ისაკმა დილით საწვრიმალო წაიღო, მთის სოფლისკენ წავიდა, მაგრამ ნაკაშები ჩვეულებრივზე მეტად მალავდნენ თავის ადგილსამყოფელს და მათი ნახვა გაჭირდა. სანამ თუთაშხიას დანაბარები მისამართს მიადწევდა, მოსახლენი მოხდა: სარჩიმელია ნაკაშებს ჩაუსაფრდა, ბუღუს ესროლა, ადგილზევე მოჰკლა. ლუკას ეგონა, პოლიციის ხაფანგში გავებითო და გაიქცა. სარჩიმელია შუაკაცთან მივიდა, შემოგვირიგდა, ჩვენს სამსახურში ჩადგა, ორიოდ კვირის შემდეგ ყაჩაღებს დაუწყო დევნა.

ლუკა ნაკაშია კიდევ რამდენიმე თვეს იმალებოდა. მერე შინ მისვლა გაბედა, ერთ კვირას დაჰყო, ისევ ტყეში წავიდა. ასე, ნელნელა ოჯახში ყოფნას შეეჩვიო. არც ჩვენ შეგვივიწროვებია. ბოლოს ყაჩაღობანას თამაში მოიშალა და ხელში თოხი აიღო.

ერთი თვის თავზე თუთაშხიამ, შეთანხმებისამებრ, მორღუხიას ქოხის კარი ისევ შეაღო. სტუმარმა სალაში თქვა, დაჯდა. თუთაშხიას სიჩუმემ მოხუცი მიახვედრა, რომ მან ბუღუ ნაკაშისას სიკვდილიც იცოდა და ბევრი სხვაც.

— სარჩიმელია რომ პოლიციის სამსახურში ჩადგა და ყაჩაღებს დაუწყო დევნა, თუ იცი ეს შენ? — ჰკითხა მასპინძელმა.

— ვიცი. კაციქამია ვირთავვა გამოიყვანეს მაგათ!

ვახუა აპირაძი
დათა თუთაშხია

მორღუხაი ნათქვამის მნიშვნელობას ვერ მიხვდა. აღარც დაუზუსტებია.

ცოტა ხნის შემდეგ თუთაშხიამ ხმა დაბლა ჰკითხა:

— მორღუხაი-ბატონო, როგორ მოიქცეს კაცი, როცა აღარ იცის, რა ქნას და რა აკეთოს? რას მეტყვი შენ.

— მასეთი კაცებისთვის თქვენს სარწმუნოებას სხვაზე უკეთესი სამკურნალო აქვს — მონასტერი!

დათამ თავი გაიქნია:

— ყველა სარწმუნოებაში და ჩვენს სახარებაშიც, მარტო ის მწამს და მომწონს, ასეთი და ასეთი უნდა იყოს ადამიანიო, რომ სწერია. დანარჩენი, მე თუ მკითხავს ვინმე, არ ვარგა იქ. საკვირველი ის არის სწორედ, იმ უვარგისი დანარჩენისთვის რომ შედიან მონასტერში ბერად. ისე, კაი საქმის საკეთებლად ერისკაცობა ჯობს, ნამდვილია ეს. არ შევდგები იქ. წავალ მე.

— სად?

— ისეთი და იმდენი მოხდა ჩემს ახლო-მახლოს ადრეც და ბოლომდე ვიცი, რომ ვერ გამოვიტანე ახლი, რა ვქნა და როგორ ვიყო მერე. ეს უნდა ვიცოდე მე, არ შემძლია სხვაფრად. წავალ, გული უნდა გადავყოლო რამეს. საქნელი, რაც არის და რასაც ვეძებ ის, იქნებ, მე რომ მივდივარ იქაა და მე რომ მინდა ვქნა იმაშია, სწორედ? ნახვა უნდა ამას, — მიუგო დათა თუთაშხიამ და პატარა ხნის მერე დასძინა: — მორღუხაი-ბატონო, ათი ათასი მანეთი მჭირია დღესვე. თუ ვერ მოვედი ცოცხალი — მოგქამა ჭირი მაგ ფულებმა; თუ ვერ მოგისწარი ცოცხალს — ისაკს დავუბრუნებ მაშინ. თუ ვიცოცხლეთ ორივემ — არ დაგეკარგება, იცი ეს შენ.

უსინათლო მორღუხაი უხმოდ ადგა, ყავარჯენი აიღო, ნახევარ საათში დაბრუნდა, დათა თუთაშხიას ფული მოუტანა.

გაგრძელება იქნება



ს ა ლ უ ტ ი

უცებ აყვავდა მთებზე სალუტი,
 მთელი ქალაქი მოაწყდა ფანჯრებს,
 გარემო ისე გაუცნაურდა,
 თავის იდუმალ საუნჯეს აჩენს.
 სკამი მიიდგა ბავშვმა სარკმელთან,
 სნეული უმალ წამოდგა ფეხზე,

ზოგი ყავარჯენს,
 ზოგი სარკეს და
 ზოგი ჭოგრიტს და სათვალეს ეძებს...
 მაგრამ სალუტი ეძახის იმათ,
 რომელთაც ბრძოლის ველებზე სძინავთ.

●

ძველ სახლს ანგრევენ,
 დაბზარული თოჯინა ტირის —
 ამხელა სახლის ერთადერთი ჭირისუფალი.
 ვერც კი გაიგებ,
 იცინის თუ ტირის თოჯინა,
 ვერც კი გაიგებ,
 ინგრევა თუ შენდება სახლი.
 სახურავს მორჩნენ,
 მალე ჭერის ჯერიც მოვიდა,
 კედლებს მიადგნენ,
 მომთავრეს ფანჯრების საქმეც,
 კარებსაც მიჰყვენენ,
 ჩარჩოებსაც მოაბეს თავი,
 ტიხარსაც მისწვენენ,
 აივანსაც მოჰკიდეს ხელი.
 აივნის შემდეგ იატაკსაც მოუღეს ბოლო,
 იატაკს კიბეც მიაყოლეს და მოაჯირიც.
 თანდათან დაბლა მოიწვევენ,
 სწრაფად აკლდება
 სართულს სართული: მშენებლები ძველ სახლს ანგრევენ.

●

მოულოდნელად წავიდა დენი.
 გაჩერდა ლიფტი. ჩაქრა სინათლე.
 ხმა ჩაუვარდა რადიოლას, რადიომიმღებს,
 სტაბილიზატორს, ტრანსფორმატორს, სარეცხ მანქანას.
 უცებ დადუმა მტვერსასრუტი, მაგნიტოფონი,
 ტელევიზორი, რეფლექტორი, ვენტილატორი,
 ელექტროქურა და ელექტროსამართებელი.
 თანდათან გათბა მაცივარი, გაცივდა უთო.



და მხოლოდ გული, ერთადერთი ცოცხალი გული,
 ხმაურობს, შფოთავს, არ ისვენებს, ერთ ამბავშია,
 წრიალებს, ცეკვავს, მღერის, ყვირის, გუგუნებს, იწვის,
 და თუკი კარგად დააკვირდები,
 და თუკი კარგად დააკვირდები —
 ანათებს კიდევ.

ს ა მ ი ი რ ა კ ლ ი

იმ კარგი წლების ძმებო, როდესაც
 კაცი ყველაზე ნაღდი კაცია, —
 ბედმა ერთ ნავეში ჩაგვსხა ოდესღაც,
 მერე გრიგალმა დიდხანს გვარწია.
 მერე მიწაზე მივაბიჯებდით,
 ქარში მიგვჭონდა დროშა შვილებთან
 და მომავალი
 ჩვენი ბიჭების
 სახელებივით გვაკავშირებდა.
 ერთი ღმერთი გვყავს ახლა სამთავეს,
 ჩვენ სხვა ქაჯეთის ვდგავართ ციხესთან;

დაწმენდილია სიყრმის სათავე,
 არ გვეშინია უკან მიხედვა.
 მაგრამ დღეს უფრო მეტად ვირჯებით,
 მახვილს ვამოწმებთ ყოველ პარასკევს,
 ჩვენ არა მართო ჩვენი ბიჭების
 წმინდა სახელი გვალაპარაკებს.
 კარგახანს გაძლებს ჩვენი ჯილაგი,
 მოიგერიებთ კვლავაც ურდოებს,
 და საქართველოს
 სამი ირაკლის
 ჩვენ არა მართო სახელს ვუტოვებთ.



ახლა შენ იცი, შენ სამარესთან ვინ მოვა შენი სიკვდილის შემდეგ,
 არა მგონია, ძალიან ბევრი რამ შეიცვალოს სიკვდილის დღემდე,
 ერთი თუ ორი კითხვის ნიშანი, რაღა თქმა უნდა, ვერაფერს შეცვლის,
 ისიც გაჭრება და ყველაფერი დღესავით ცხადი გახდება შენთვის.
 დღეს უკვე იცი, შენ სამარესთან ვინ მოვა შენი სიკვდილის შემდეგ,
 მაგრამ დღეს შენთვის სულერთი არი ის, რაც სულერთი არ იყო დღემდე.



უცნაური ამბავია: სრულიადაც არა ჰგავს
 სპარსელების შახ-აბასი ქართველების შახ-აბასს.
 თვალის ერთი შეველება და ხელის ერთი შეხებაც
 საკმაოა...
 და გაურბის შახ-აბასი შახ-აბასს.
 ხსენებაც და გახსენებაც სათქმელს სისხლით შეღებავს:
 შახ-აბასი....
 შახ-აბასმა...
 შახ-აბასის...
 შახ-აბასს...

ძველისძველი მოგონება ილექება ნისლივით,
 სიმართლე კი შუაგზაზე დგას და კვდება სიცილით.

სანამ ვარსკვლავებს
დაინახავდი,
სულ ოცნებობდი:
როდის და როგორ?
ციცაბო იყო სპილენძი,
შენი აღმართი: რკინა

ოქრო.
და
ვერცხლი

როგორც გათენდი,
ისე დაღამდი,
უცებ მონახა
სხეულმა ბინა.
უფრო ციცაბო
იყო დაღმართი,
და უფრო მოკლე: ოქრო
და
რკინა.

განუწყვეტელი,
გადაბმული წვიმების შემდეგ,
საგარნიზონო ლაზარეთის მაღალ ფანჯრებში
ყველაზე კარგმა დასტაქარმა შემოიხედა.

ორი მეგობარი ერთმანეთს შორდება
ვერაფინ გაიგო,
ვინ არი და მნაშავე,
ორი მეგობარი ერთმანეთს შორდება,
მძიმე საიდუმლოს არც ერთი არ ამჟღავნებს.
ორი მეგობარი ერთმანეთს შორდება,
ვერვინ შეარიგებს,
ვერვინ დააზავეებს,
ორი მეგობარი ერთმანეთს შორდება,
ვინ არი,
ვინ არი,
ვინ არის და მნაშავე?!

მსაჯულო!
შენ უნდა მალირსო შენდობა,
გული მოგანდე და
სული მოგაბარე:
ორი მეგობარი ერთმანეთს შორდება, —
მე ვარ მესამე მეგობარი.



წიქარას გლახარი

გამოვადწიეთ ვიწრო ბილიკს —
 მღვრიე ლაბირინთს,
 ფშატის ხეებით ანთებული
 მოჩანს ნაპირი.
 იმ, მივიწყებულ მოტივს მღვრის
 სადღაც ფრთოსანი,
 ღრუბელთა ჩრდილი
 მოირწყვა სადამოსავით.
 გარდასულ დღეებს,
 როგორც სხივებს ჩუმიდ მოცელილს
 აღარ ვიხსენებ და საყდართან
 ვდგავარ მლოცველი.
 მოვედით ერთად
 მე და ჩემი წყნარი წიქარა,
 რამეთუ დარდი
 ვერაფერმა ვერ განგვიქარვა.
 მოვზიდე მშვილდი და
 მოფრინდა ბედის ისარი,
 ვიარეთ დიდხანს
 შენს კედლებთან შეგვხვდა ცისკარი.
 და ჩვენს თვალებში
 ნისლი ბჟუტავს მოხეტიალე,
 თუმცა ნიადაგ
 დედა მზე და კალო ტრიალებს.
 მზე კალოსავით ტრიალებს და
 კალო მზესავით,
 თვლემს ბრძოლის ქინი,
 როგორც ხმალი აულესავი.
 მოვედით ერთად
 მე და ჩემი წყნარი წიქარა,
 რამეთუ დარდი
 ვერაფერმა ვერ განგვიქარვა.
 ღმერთო, ნუ წაშლი
 ობლის ფიქრს და ობლის იმედებს
 და წიქარას ქედს
 მომხვდურისთვის ნუ გაიმეტებ.
 ოქროს უღელი დაამძიმებს
 მონურ კაეშნით,
 ქართლის მშვიდ ღამეს
 აუმღვრევენ ჭკვიან თვალებში,



რქებს მოამსხვრევენ,
 რა გაარღვევს მერე ცხრაკლიტურს,
 როგორღა ურქენს
 მაცილის ლანდს დროშად დაკიდულს.

მოვედით ერთად
 მე და ჩემი წყნარი წიქარა,
 რამეთუ დარდი
 ვერაფერმა ვერ განგვიქარვა.

ღმერთო, ნუ წაშლი
 ობლის ფიქრს და ობლის იმედებს
 და წიქარას ქედს
 მომხვედურისთვის ნუ გაიმეტებ.

ილიკავა ტაკუბოკუს

რა გვიან მივხვდი,
 რომ ის კიბე,
 რომელზედაც ავდიოდი მრავალი წელი,
 კიბე კი არა —
 ერთი ბეწო საფეხური ყოფილა თურმე.

ნუთუ ახლოა ჟამი,
 როცა დაკეტილ კართან
 მე გავიგონებ შენს დაღლილ სუნთქვას,
 გავადებ კარებს,
 თვალწინ მართოდენ
 შუალამის ოკეანე გაიშრიალებს
 და შემაბრუნებს ცარიელ სახლში.

ნუთუ ახლოა ჟამი,
 როცა მე გავისხენებ

იმ მდუმარე წუთს,
 ვით როილის ჩავარდნილ კლავიშს.

ნუთუ ახლოა ჟამი, როცა...
 დიას ახლოა, ის ჩემშია,
 როგორც ზარში მთვლემარე ბგერა,
 საკმარისია ოდნავ შეეხო
 და იგი მყისვე აგუგუნდება,

ო, მაშინ სადღა დაემალები
 გამოღვიძებულ ტკივილს და წყურვილს.

ანთია ფიქრი,
 მკრთალად აშუქებს
 მოგონებათა ქალაქის კედლებს,
 დროის წართმეულს,
 დროის ნაჩუქარს
 და ფეხათრეულ იმედის ეტლებს.

ლურჯი კვამლივით ცისკენ წასული
 მოჩანს გუმბათი და იხედება

წყვილი სარკმელი, ხმა გარდასული
 იმ მივიწყებულ ზარში ბერდება.

შვიდი ნოემბრის ისმის სალუტი,
 ერგვეა თვალი მაჭორულ ელფერს,
 ფანჯრიდან მოჩანს ხიდი,
 სალუდე,

მეტეხი,
 მტკვარი
 და ვაბტანგ მეფე.

გაზაფხურ გაშთრილან

ერთი გაზაფხულის სამ თვეს, სამ დას,
 თუ მზის ფერად რგოლებს
 ახლა შუაზამთრის თოვლში სიზმარივით მოვიგონებ.
 როცა ეფინება ქალაქს შუაღამის ჩემი თოვლი,
 მაგონდება დღე ნეტარი უცხოდ მოციმციმე შორით...
 იმ წელს გაზაფხული დადგა ყოველად ავი ზამთრის მერე,
 თვალის როგორ გაუძლებდა იმის გადმოღვარულ ფერებს.
 ჯერ იყო და, თავის მოსვლა ერთი მერცხლით დამაჯერა,
 მომჯადოებ ფერების წინ ალტაცებით გამაჩერა, —
 მერე თან რომ იციხოდა, თან ჯარასებრ ტრიალებდა,
 მოელერა ბროლის ყელი, ჭრელი კაბა შრიალებდა.
 ცისკრიდანვე ოთხივ კუთხივ ვარდისფერად იალეებდა,
 კრიალებდა მისი ზეცა, ბრწყინავდა და ციალებდა.
 ირხეოდა, აყვავებდა, ანათებდა, ბრიალებდა,
 გრიალებდა ჩანჩქერებად, მზისფრად გადმოთქრიალებდა.
 მთებზე იმის ნებით ნუში თეთრ აფრისებრ ფრიალებდა,
 ჩიტის ფრთაგაშლილი სული ლაქვარდებში სრიალებდა.
 უთბეს ჭრუანტელად შორით მყინვარწვერზეც რიალებდა,
 სამი მზეთუნახავ დაის ოქროს ჩანგი წკრიალებდა.
 იმ დებს ერთმანეთისათვის ხელი ნაზად გადევნიათ;
 ჩემს თვალს სხვა რამ უფრო ნაზი არაფერი არ ეხილა.
 რის, იასამნის, ვარდის — მცხეთას აბრუებდა ქარი.
 დაი მოდიოდა სამი, სამივ თინათინის დარი...
 ჰვი, ერთო გაზაფხულო, ზღაპრისა თუ სიზმრის მსგავსო,
 შენი ნამიცი მაგონდება, შენი ლურჯი წვიმაც მახსოვს.
 შენ პირველად შენი ია გულზე სხვაგვარ დამახალე,
 მომაწყინე იმის წასვლით, იმის მოსვლით გამახარე.
 გამაბრუე, ამიტაცე, აღარ შევდიოდი სახლში,
 ტრფიალების ტკბილი ცრემლი, მალვრევივინე სევდის ბაღში.
 იმის მერე თუმცა ჩემი მზეც და ზეცად სხვაფერია;
 თუმცა გამსხლტომია სიყრმეც, ოქროს ჩიტიც გამფრენია,
 მაინც ველოდები მუდამ მწვანე გაზაფხულის შრიალს,
 იმის ვერცხლის ნაკადულთა მარად სანეტარო ჩხრიალს,
 იმის ეშმაკ ცისფერ თვალებს
 და მოქნეულ ლერწამ ტანსა,
 რუსთაველზე იის კონით იმის გავლა-გამოვლასა.

დიდი საფლავი

ტყვედქმნილს შორის დარჩა ფუძე
და ბუდე,

თავისი ჭალა, ვაზი და ვარდი.
ის იმ ხრიოკ მთებს ისე მიუგდეს,
როგორც ულუფა დამშეულ ნადირს.
იყო ბინდბუნდი, იდგა გვემული,
პირველ დღეს მაინც სხვაგვარ

საბრალთ:

უსამშობლოთ, ღმერთწართმეული,
უსახლკარო და უსასაფლაო.
და უცებ თითქოს მისდა ნუგეშად
მზე, როგორც მწველი იმედის ზილვა,
იმ უცხო ცისქვეშ, იმ დაკარგულში
ამოაფრქვია უდაბნოს დილამ.

მაგრამ სხვისი მზე —

ზოგის ყინვაა,

ზოგისაც — ცეცხლი გადამბუგველი...
და დაინახა, როგორ გაბრწყინდა,
შორით ყვითელი ქვიშის ღრუბელი,
დახუჭა თვალი, კვლავ გაახილა...

და ტყვე — ჭირთამძლე,

სულით მდიდარი

სამასი წელი ცოცხლად მარხია
და საფლავს ჰქვია ფერეიდან.



შ ა ტ ი ლ შ ი

დათვისჯვარზე ვერტმფრენი, რომელშიც კინოგადაღებაში მონაწილე ათი თუ თორმეტი მგზავრი ვზივართ, უნაგირა ქედებს შუა გაძვრა და მერე ხეობას თავქვე დაუყვა. წამიერად გაიღვეს სოფლებმა: ლეზაისკარმა, კისტანმა, გიორგიწმინდასაც მოვკართ თვალი, მერე ქაჩუსაც.

შატილი...

ვერტმფრენი ძალიან ნელა დაეშვა სოფლის განაპირას — წყლის პირზე. მგზავრები ახმაურდნენ. თავიანთი ბარგი-ბარხანა მონახეს და კარების გახსნას დაელოდნენ. თითქოს რაღაცამ ადგილზე მიმაჯაკვა, სკამიდან ვეღარ ავმდგარვარ. შემდეგ ყველაზე ბოლოს ჩავდივარ ათუხთუხებულ მანქანიდან.

ვიღაცები მესალმებიან და ხელს მართმევენ. ვერტმფრენთან ბევრი ხალხი მოგროვდა. ზოგს ვიცნობ, ზოგს — ვერა. უხერხულად ვდგავარ და თავი რატომღაც თეატრში მგონია მოქმედების დაწყებამდე, თითქოს სცენის გახსნას ვუცდიდე.

ვიღაცა მხარზე კვლავ შემეხო. ვბრაზდები... ვფიქრობ: — ნუთუ შატილი ჩემთვისაც თეატრალური სანახაობის ასოციაციად გადაიქცა?.. ნუთუ შატილი...

— სოსო, როგორი გამოშტერებული დგახარ, თვითმფრინავში ხომ არ გახდი ცუდად? — მეუბნება ჩემთან მოსული ზოია.

ზოია თბილისში წამოსვლის წინ გავიცანი. ისიც კინოგადაღების მონაწილეა და ჩვენთან ერთად ჩამოვიდა შატილში.

— აა... არა, ზოია, ცუდად არა ვარ, — ვეუბნები, ხომ იცი, დიდი ხანია..

— წავიდეთ...

სოფლის მოპირდაპირე მხარეზე ჩვენთვის წინასწარ გამზადებულ კარებში ვტოვებთ ზურგჩანთებს და სოფლის დასათვალიერებლად მივდივართ.

...ჩამონგრეული ბანები, დანგრევის პირზე მისული კედლები. ყველგან შამბი: — გზაზე, კედლებზე, გადასასვლელებში; ბალახი თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მიიწვეს სოფლის შუაგულისაკენ. აძნელებს სიარულს, გიჭირს ქვიდან ქვაზე გადახტომა, აბალახებულ, ძლივს შესამჩნევ გზაწერილზე სიარული. დასისხლიანებული ხელებით ვწყვეტ კედლებზე აცოცებულ ხეიარას, სოფლის დაპყრობასა და თავს მორევას რომ ცდილობს ეგრერიგად. კანტალა ქისტივით ყველგან მიძიკრება: — ბანებზე, კიბეებზე, გადასასვლელ ხიდებზე, რომლითაც ბანები უკავშირდებიან ერთიმეორეს და ნასახლართა კედლებზე.

გზამ საფეხვნოში მიგვიყვანა. სახელი დარჩენილა მარტო საფეხვნოსი, თორემ კედლებიც კი აღარ ჩანს ხეირიანად, კინჭარში დანთქმულა.

— ზოია, ჩვენ უკვე საფეხვნოში მოვდივით, — ვეუბნები ჩემს თანამგზავრს

და დანგრეული კედლებისაკენ ვუთითებ.

— სად არის აქ საფეხვნო?.. იმხელა ქინკრებში არც მისვლება.

— იქ ქალების მისვლა არ შეიძლება, — ვეუბნები გაკვირვებულ ზოიას და შარვლის ტოტებს ვიკარწახებ, მერე ტანსუემოთაც ვიხდი და ისე მივდივარ საფეხვნოსაკენ.

— Куда ты так голый идешь, — მესმის ზურგს უკან ზოიას გაბრაზებულ ხმა.

ბალახისა და ქინკრის ტყეში დავბოროილობ, ვთელავ, რაც შემძლია. ქინკარი მობერებულა და ძალიან აღარ მსუსხავს. ბოლოს კედელში დატანებულ ქვასთან ვჩერდები, რომელზედაც რუსულად და ქართულად ამოკვეთილია: უმაღლესისა ბრძანებისამებრ, ჯილდოდ შატილელთა დამარცხებისათვის ახვერდი მახმედისა და მისთა შყრილთა ჯართასა ჩყმგ წელსა. შინ აღშენებულ არს ჩყმთ წელსა, განკარგულელებითა კნიაზის ნამესტინიკისათა.

— სოსო, რატომ თქვენი სახლი არ ვნახეთ? — მკითხა ზოიამ, საფეხვნოდან მობრუნებულს.

— არა, სხვა დროს ვნახოთ, — ვეუბნები, ეხლა სჯობია აქლდამებისაკენ გავიაროთ.

„მდუმარეთა ქალაქისაკენ“ გზა მდინარის ნაპირს მიჰყვება. სოფლიდან ერთ კილომეტრზე გზა უხვევს და შატილიც იკარგება თვალთაგან. გვხვდება ქვის „საუნები“. ქვა რამდენიმე ადგილზე არის შეგროვილი. 1938/39 წლებში აპირებდნენ თურმე სკოლა-ინტერნატის აშენებას, მაგრამ ომს შეუშლია ხელი. წყაროსთან მივყავართ გზას. მიწიდან გადმონადენ წყალს ღარა აქვს მიდგმული. იქვე „კურუმკა“ დგას. ჩვენს ზემოთ მაღალ მთას ქვეშეიანი ზოლი მიჰყვება. აქ ქვეშეიანი ზოლის დანახვამ ჩემდაუნებურად ერთი ამბავი გამახსენა.

— ზოია, იმ ქვეშეიან ზოლს ხომ ხედავ? — ვეუბნები თანამგზავრს.

— ხედავ... —

— რომ აიკიდო, აი, აქედან ქვეშეიანსაც შეურგანათა, შეუსვენებლად თუ ახვალ თავში?..

ზოია გაკვირვებული მიყურებს და მერე თანაგრძობით მეუბნება:

— მგონი დღეს შენ გადაიღალე, რაღაც უცნაურად იქცევი და ლაპარაკობ... წელან შიშველი ქინკრებში შეხველი, ეხლა კიდე... —

— თუ ახვალ? — ჯიუტად ვუმეორებ ადრეთქმულს.

— Шутить, да?..

„ხეტალთ ქვიშა“ — ვამბობ ჩემთვის.

— რა სთქვი? — ვერ გაიგო ზოიამ. ხმას აღარ ვიღებ.

— იცი რა? ხვალ ან ზეგ წავიდეთ •კლდამებისაკენ. ეხლა კი წავიდეთ და დავისვენოთ. ხვალ ალბათ გადავლბასაც დაიწყებენ.

...აქით წასულმა უშიშავ, წვერი შვაკერ მთისასა, მალედვე გადავეწვი, ახვალ დავატყვე ქვიშასა, —

ყვება ალუდა. მაღალი ტანითა და ფერდაკარგული სახით საფეხვნოში შეგროვილ ხალხს კი არა, საღაც სხვაგან იყურება. მომხდარ ამბავზე ისე ლაპარაკობს, თითქოს უჩინარ მსმენელს უყვება. ხირიმზე დაყრდნობილს, მათრახი წელში გაურქვია. ცალი ხელი ცხენის კისერზე აქვს ჩამოდებული, მოშვებულ თმა-წვერზე მტვერი დაყრია.

საფეხვნო ხალხს ვერ იტყვს. ჯიხვისტყავიან მოხუცებს, ჩოხიანი ახალგაზრდები შერევიან. ყველას გულისყური მოსაუბრისკენაა მიპყრობილი. კალოსკარში კი, ამ ქალების „საფეხვნოში“ მანდილოსნები შეგროვილან. ქალები წინ წამომდგარან. მოხუცები არგანზე ხელემა მოწყობილნი სხედან. აქვე არიან ალუდას დედა და ცოლი.

მიმწუხრია. თხორუს თხემიდან შატილს მკედრის მზე უგზავნის თავის გაწითლებულ სხივებს. სოფლის ბოლო-

სოსო ვინჰარაული
ვატილოზი

ზე მიმდინარე არღუნი მღვრიე ტალღებს მოაგორებს და ზოგან თეთრდება.

— იმ ცხონებულსა მუცალსა, ტყვია სდებიყო გულადა...

გაშმაგებულმა არღუნმა ტალღები ლოდებს შეაღწეა. ქვიტირის კედლებიდან ასხლეტილი სხივები ზეცისაკენ გაფრინდნენ, თითქოს არ სურთ ნათქვამის დაჯერებაო.

— რას ამბობ, ქისტის ცხონება სად გაგონილა რჯულადა...

თქვა გაკვირებულმა უშიშამ. არანაკლებად გაკვირებულ საკრებულოს უკმაყოფილო ჩურჩულმა გადაურა. ვილაცას ჯალბაურთ ქვიტირზე დაკიდებული მოჭრილი მარჯვენასაკენ გაეჭკა მზერა. ვილაცამ ხმლის ვადა ჩაბღუჯა.

ფეხონში გაკვირვება ვაფოთებაში გადავიდა. სახემოქუფრულები — მწყრალი თვალები უყურებენ ალუდას, რომელიც კვლავ ფერმკრთალი სახით ყვება, როგორ მოკლა მუცალი, რატომ არ მოსჭრა მარჯვენა. მერე როგორ დააწყყო მიცვალებულს გულზე თავისი იარაღი.

ფეხონი განაბულია. მრისხანების წინ, ყველა გაჩუმებულა, რომ მერე უფრო მაგრად იფეთქოს ბოლბამ და ბრახმა, შურმა და იქვმა, ალუდას ნათქვამის შესამოწმებლად, ვილაცას აგზავნიან საფეხვოდან. მას ალუდას მწყრალი თვალები და ხალხის ყვირილი მიაცილებს.

კინოკამერის ობიექტივი ალუდასკენაა მიმართული... ხალხი ალუდასკენ მიიწევს. არის ერთი აურზაური და ჩოჩქოლი. ზოგიერთები აწყნარებენ, ამშვიდებენ ხალხს, მოიცაო, მოვიდეს მაცნე, ეგებ ყველაფერი ტყუილი იყოსო. იქნებ არც მოუკლავსო.

— გამოჰქცევინარ ქისტის შვილს, ვაღუქცევიხარ ქალადა, — ვუყვირი ალუდას და ხელი ხანჯლისკენ მიმიბრბის...

მერე სხვები აღარ აცლიან ერთიმეორეს. გაჯავრებული ხალხის ხმა მკახედ გაისმის ფეხონსა და მის შემოვარენში.

— მახკალ მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა? — თავზე დაადგა ვილაცა სულთამხუთავივით ალუდას.

— მახკალ, მარჯვენა არ მასჭერ... უკვე გაბრუებულს შორიდან ჩემს მისეს ხმა...

მოხუცები ფეხონში სხედან, წყნარი საღამოა. ნახირი უკვე დაბინავებს ქალღებმა. მთელი ღღის შრომით დაქანცული ხალხი, როგორც ყოველთვის, ფეხონში მოსულა. მათი ლაპარაკი ჩვეულებრივად ჭირნახულსა და მტერ-მოყვარეს შეეხება.

პატარა ბავშვები აქეთ-იქით დავძვრებიო. ჯერ საჩვენო სათამაშო ვერ გვინახავს. თანაც ერთი სული გვაქვს, დიდები როდის გადაინაცვლებენ ფეხონისაკენ, რომ ადგილს, სადაც ისინი ერთიმეორეს ქვის შორს გადადგებაში ეჯიბრებიან, ჩვენ დაეპატრონოთ. მათ როგორც იქნა, გული იჯერეს და ფეხონისაკენ გადაბარგდნენ.

ჩვენ კი მოხუცები მოგვიახლოვდნენ: — აბა ჩემთან მოდი, — დამიძახა ერთ-ერთმა, მეორემ სხვა ბავშვი მოიხმო თავისთან.

— ახლა იჩხუბეთ, — გვითხრეს მოხუცებმა და საჩხუბრად გაგვიშვეს.

თავგამეტებით ვუშენთ მუშტებს ერთმანეთს. ვეცემით, ვდგებით, ისევ და ისევ ვურტყამთ, რაც შეგვიძლია. დავილაღე, ძალიან დავილაღე. თანაც ვგრძნობ, რომ ერთ თვალზე რალაცა ჩამომეფარა, ვედარ ვხედავ ხეირიანად ვერაფერს. არადა, ხან სილა ვაიჭახუნებს ჩემს თავ-პირზე, ხანაც მუშტი მომხედება. რაც შემიძლია, მეც ვიქნევ ხელებს, იმასაც ვგრძნობ, რომ მოქნეული ხელი ხედება ვილაცას თუ რალაცას. მერე როგორღაც ქვა მომხვდა ხელში და ისაა, რომ ჩემს წინ არილში მდგომ მოქანავე რალაცას უნდა დაეარტყა, რომ ამ დროს მკაფიოდ გავიგონე მოხუცის გაჯავრებული ხმა.

— აბა, აბა, ქვები როგორ შეიძლება, ეხლავე გადაყარეთ... ეგრე, ეგრე... ახლა კი აკოცეთ ერთმანეთს.

სირცხვილმა გამთანგა და ტირილი გადამავიწყდა. უხალისოდ გადაეხევიეთ



ერთიმეორეს. შემდეგ მეორე წყვილი დადგა ერთიმეორის პირისპირ, შემდეგ მესამე. მეოთხე და მეხუთე წყვილი სარბილში გააჯიბრეს ერთიმეორეს, სხვები კი — აფარიავეს.

— არაუშავს, კარგი ყმაწვილები გვეზრდებიან, მაშ როგორ... თუ აქედანვე არ შეეჩვივნენ ყველაფერს — გაუჭირდებათ. მტერს ვერ გაედევნებიან და მოყვარეს ვერ უმოყვრებენ, — უთხრა ერთმა მოხუცმა მეორეს. მერე იმ პირველმა ჩემსკენ გამოიხედა.

აქოლა ვითომ არაფერიცაო, მე ქვების სროლა დავიწყე აქეთ-იქით. მერე კედელზე დაკიდებული ქისტის მარჯვენა ხელი დავინახე და ის ამოვიღე მიზანში. პირველი ნასროლი ვერ მოვახვედრე, ვერც მეორე და მესამე. მეოთხე მოხვდა და ხელი ჩამოვარდა. იქვე შემთხვევით გაჩერებულ ჩემზე პატარას დაეცა ჩამოვარდნილი ხელი თავზე. პატარა შეშინდა. ცოტაზე გაიქცა კიდეც, შემდეგ ხელს მოხედა და... ატირდა. მე გამომხედა გაბრაზებულმა. მერე ისევ უკან გამოიქცა, ხელს ხელი დაავლო გახელებულმა და მე მესროლა.

ხელი ამცდა და იქვე, სიპზე ჩამოვადარ მოხუცს პირდაპირ ლოყაში მოხვდა... უკანმოუხედავად, შემჩმებულმა სახლისაკენ მოკურცხლე.

კარავზე წვიმის მონოტონურმა კაკუნმა გამომალეცია. საძილე ტომარაში ძლივს ვიქციე გვერდი. თენგიზსა და ვალიკოს ისევ სძინავთ. დღეს გადაღება ნაღდი ჩაიშალა, — ვფიქრობ ჩემთვის, სათევზაოდ წავალ ან სხვაგან სადმე. ფეხზე წამომდგარი ვიზმორები და ტანსამოსს ვიცმევე. გარეთ გამოვდივარ. „ჩვენს ქალაქში“ არაფერ ჩანს. წვიმს. ისევ კარავში შევდივარ. თენგიზი იშმუშნება და მერე თვალებს ახელს. საძილედან მკლავი ამოაძვრინა და კუნთები დაბერა. ეს მკლავია თუ „სტოლბა“ — მეუბნება. ვალიკოსაც გაეღვიძა და ლოგინში წამოჯდა. თენგიზს ალმაცერად გადახედა და წაიმღერა: „ყოველთვის

ვგავდი ქუჩას ნაწვიმარს და ვერ ვაჩვენებ ჩემი ანთება...“

კვლავ გარეთ გამოვდივარ. წვიმას გადაუღია. თავისი კარავის წინ გეიდარ ფალავანდიშვილი დავინახე და მისკენ წავედი. კარავიდან თენგიზ არჩაძიძის ხმა და სიცილი ისმის.

— ცუდი დღეა, — ამბობს გეიდარი. მას ქისტური ტალავარი აცვია.

— ხო, ცუდი დღეა.

მანანა და მარინა დავინახე. დგანან თავის კარავთან და რალაცაზე იციინან. მარინა და მანანა ჩემი ბიძაშვილებია. ერთი თელავის პედ. ინსტიტუტში სწავლობს, მეორე — უნივერსიტეტში.

— რაზე იციინით? — გვეუბნება ჩვენთან მოსული ზოია.

— გვიკვირს, ასე ადრე რამ აგაყენა ლოგინიდან, — ცალკებად ვეუბნები ახალმოსულს.

— Подумаешь... შენზე ნაკლებს რა ვუთხარი...

— დღეს რა ვაკეთოთ? — ერთმანდალს თქვეს მარინამ და მანანამ.

— არაფერი, ცუდი დღეა, არსად წაისვლება. ალბათ ისევ გაწვიმდება!

ქისტეთის მხარე ნისლშია გახვეული. ჩვენს მაღალ მთათა წვერობსაც ნისლი ახვევია. ცა ლევა, ტყვიისფერი ბურუსით არის დაფარული. მთების გადაღმა ქუჩს და ელავს. არღუნნი ადიდებული და ამღვრეულია.

უცბად ჩვენს მოპირდაპირე მხარის ჯვარ-ხატიდან ყვირილი მოისმო. ცოტაც და ხატიდან ქალი და ვაჟი გამოვარდნენ. უკან მათ, ჯხოხიანი მოხუცი მოსდევდა ლანძღვა-გინებით. მღვერისგან შეშინებული ქალ-ვაჟი ჩვენთან მოვარდა. უკან მოხუცი მოჰყვათ, ბერიკაცს წინ გადავუღეკი.

— ამ უნამუსოებმა ახლა ხატშიც სწორფრობა არ მოინდომეს? თითქოს სხვაგან ველარ დაიტევდა ადგილი, თითქოსდა ცოტა ველ-მინდორი იყოს. რას შერებიათ, კაცო, ეს ვავიგონაოთ?.. ბო-

სოსო მინაბარაული
შაბილში

ლოს სალოცავი ადგილიც არ შეგვიბღალეს? — ყვიროდა გამწარებული მოხუცი და ბიჭისავენ ჯოხიანი მიიწვედა. ძლივს ვაკაგებდი. შეშინებული გოგონა ხალხის ზურგს ეფარებოდა. ბიჭი ხმას ვერ იღებდა. სირცხვილით გაქცევაც ვეღარ გაებედა. ბოდიში, ბოდიშიო — უაზროდ ლულულულებდა და შეშინებული თვალებით მოხუცს საცოდავად მისჩერებოდა.

ჩვენს ირგვლივ ხალხის წრე შეიკრა.

— შენი ბოდიში არც ხატს სჭირდება და არც სხვა ვინმეს, — უფრო გახელდა ბერიკაცი, ვისი გაზრდილები ხართ, ვინ გასწავლიდათ. ასე როგორ წახველით ხელიდან, რომ არავისი და არაფრის შიში და ხათრი აღარა გაქვთ, სად დაკარგეთ სინდისი, ნამუსი, პატიოსნება...

როგორც იქნა, მოხუცი დავაწყნარეთ და სახლში გავგზავნეთ. ხალხიც დაიშალა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის გოგო და ბიჭი ისევ დავინახე. წელანდელი უსიამოვნება და იმდენი ხალხის წინ შერცხვენა ეტყობა დავეიწყათ და რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ.



გაორებული გრძნობის ტყვეობაში ვგრძნობდი თავს, როცა ამ გზას დავადექი. მე არ შემიძლია მთელი ჩემი არსებით არ ვეკუთვნოდე წარსულს, რომელსაც ჩემი ბავშვობის განუმეორებელი ხანა მკავეშირებს, ხან მხიარული და ხალისიანი ხანაც მწუხარებითა და ცრემლებით სავსე. და ასევე არ შემიძლია აწმყოსა და მომავალს გავეთიშო, იმიტომ რომ დღეს თუ ვცოცხლობ, ვცოცხლობ წარსულის მოგონებით და მომავლის იმედით.

ჩემი ეს ნაბიჯი გაუბედავი და უწადინოა. უწადინო და ნაძალდევი იქნება ყოველთვის ნაბიჯები, რომელთაც შენი ბავშვობის კოშმარული ამბებისავენ მიჰყავხართ.

...როცა ჩემს სახლს მივუახლოვდით, ზოია შევაჩერე და ვუთხარი:

— შენ თუ წაგიკითხავს გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა კინოფილმების შესახებ“...

— არ მახსოვს, — მეუბნება ზოია, — რატომ მეკითხები?

— ისე გვითხე...

პირვანდელი სახე მაინც ატყვია ჩემს სახლ-კარს. ოღონდ ეგაა, რომ გადარჩენილი ჰქერი და კედლებიც დასანგრევად არის შემზადებული. ისინი ერთიმეორეს ერთმანეთის სიყვარულით კი აღარ უკავშირდებიან და ამ სიყვარულით კი აღარ ამარგებენ ერთიმეორეს და ამ სიყვარულით კი აღარ უამარგებენ ერთიმეორეს მხარი-მხარს, არამედ რაღაც მოვალეობის გულისათვის და ერთი სული აქვთ, როდის დაიშლებიან და დანაწევრდებიან.

უცნაური გრძნობა, რომელიც აქვთ წამოსვლისას უკან გამოყვავა, უფრო გამამაფრა უპატრონოდ მიტოვებული ბან-კარის ნახვამ.

შიგნით შევღივიარ.

რაღაცამ გაიფხაკუნა, რაღაცა გასრიალდა და მერე ეს ხმაურიც ნელ-ნელა მიწყდა. აუტანელმა სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ.

უცბად ხალხის ყაყანმა და აურ-ზაურმა აავსო აბლაბუდებით საცხე სამყოფო. ხან სიცილი მესმის და ხანაც ტირილი. დროდადრო ბუზიკისა და მერე შუღლის მქისე ხმაური ავსებს კიდე-თი კიდე ჩემი ნასახლარის აბლაბუდიან კედლებს.

მინდა რაღაც გავაკეთო, რაღაცა მოვიმოქმედო. მე ხომ მასპინძელი ვარ და ჩხუბშიც და ღვინოშიც შესაფერისად მივიღო მონაწილეობა, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერი მომიფიქრებია — რა უნდა ვქნა.

გაოგნებული ვდგავარ შუა ქაზდარში და არ ვიცი რა გავაკეთო. ისევ მეჩვენება თითქოს შუღლისა და ტირილის ხმა სულ უფრო და უფრო ახლოს გაისმის ჩემს ირგვლივ.

და ჩემს ირგვლივ თუმცა ნელა, მაგრამ მაინც ყველა ამოძრავდა და ამეტყველდა. შიში მიბყრობს და თავს აქეთ-

იქით ვატრიალებ იმისდა მიხედვით თუ
საიდან ისმის ხმაური ან ძახილი.

— ძლივს არ მოხვედრი? სად დაი-
კარგე ამდენ ხანს... ეს ხომ თამიას
ხმაა, ვფიქრობ ჩემთვის, — სოსოია გა-
იქეცი,... დედა მოვიდა და გცემს დაგ-
ვიანებისათვის,... ხმა უკვე გარკვევით
მესმის.

ეს თამიას სიცოცხლითა და ბედნიე-
რების აღსაყვამ ხმაა. ოო, დედაო ჩემო,
რაოდენ სითბო და სინაზება ამ ხმაში. რა
ნაცნობი და ახლობელია ეს დაძახება.

მე არ გავრბავარ და ველოდები დე-
დაჩემის გამოჩენას. რახან თამია აქ არის
მე აღარ მეშინია, ვიცი რომ ის დამიფა-
რავს, ვიცი რომ ის გადამარჩენს და ის
დამიდგება ქომავალად.

დედა არ ჩანს.
ისევ ისმის თამიას დაგუბებული ხმა:
— სოსოია, გაიქეცი... გაიქეცი მან-
დედან, ბიჭო...

ვაყურადებ ამ ხმას და ვერ გამირკვე-
ვია, საიდან მეძახის ჩემი უფროსი დაი-
კო. მერე სრულიად მოულოდნელად
თამიას მოლულუნე ხმა მამაჩემის მკვახე
ხმად დაფარა:

— ხომ ვითხარი წადიო, რატომ არ
წახვედი?...

— რატომ არ წახვედი?...

უმწეო ბავშვივით თვალებს აქეთ-
იქით ვაცეცებ და გულით მინდა თა-
მიას როგორმე გამოვესარჩლო. თუნ-
დაც ერთხელ და თუნდაც პირველად
და უკანასკნელადაც მინდა, რომ დაი-
კოს გამოვექომავო მამაჩემის წინაშე.

— სოსოია, გამოიქეცი, ბიჭო, ჩქარა,
ჩემსკენ, ჩემსკენ...

ესლა რაღაცნაირი აღშფოთება და
გაბრაზება ეტყობა ამ ხმას, ოღონდ
პირდაპირ კი არა, ისე, ქვეშეცნულად
მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის გასაგე-
ბად.

ანგარიშმიუტეველად ძახილის ხმას
მიეყვები, საშინელი წინათგრძნობით
შეპყრობილი. უფრო ახლოდან მესმის
ჩემი დის ხმა და მეც თითქმის მივრბი-
ვარ იქითკენ. გული ლამის ამოხტეს სა-
გულედან. საფეთქლებში სისხლმა დამკ-

რა უჩვეულოდ... ჩქარა... ჩქარა...
აძლევს გული.

...საბელზე ჩამოკიდებული ჩემი დის
უსიცოცხლო სხეულს ვეხვევი და ვკოც-
ნი. თოკს დაკიდებულნი აქეთ-იქით ვკა-
ნაობთ და ვირწევი ჩვენდა უნებურად.
თამიას საოცრად ლამაზ და ცივ სახეს
ვეხუტები და ვტირი. ვცდილობ თოკი
შემოვხსნა...

ორივე ხელით მივწვდი თოკს და რაც
ძალი და ღონე მაქვს ვეწევი, რომ გავ-
წყვიტო, მაგრამ ამაოდ.

მერე ტირილით დაოსებულმა ხელი
ხელში ჩავკვიდე და გარეთ ვეწევი. რა-
ტომღაც ვფიქრობ, რომ თამია ისევ
რადაცას მატყუებს, რომ მერე ბევრი
დამცინოს. მას უყვარს ასეთი უცნაუ-
რობანი, ხოდა იქნებ ახლაც ასეა.

— თამია, წამოდიი!... — ვლრიალებ
რაც შემძლია.

შეშინებული ზოია ხელიდან მაშვე-
ბინებს თოკის ნაგლეჯს, რომელიც
თავ-ხეს ისევ შემორჩენია და ძლივს-
ძლივობით გარეთ გამოვყავარ. ცრემ-
ლები ღაპა-ღუპით ჩამომდის სახეზე და
გული ყელში მაქვს მობჯენილი. გაფით-
რებული ზოია რადაცას მემუდარება,
მაგრამ არ ვიცი რა უნდა მას, რას მო-
ითხოვს ჩემგან.

ვკდები ჩემი სახლის ზღურბლზე და
კვლავ ვტირი. ვტირი ალბათ პირველა-
დაც და უკანასკნელადაც, ჩემი ნასახლა-
რის დირეზე უპატრონო ბავშვივით ჩა-
მომჯდარი. არ მინდოდა, ვერ ვბედავდი
ჩემს სახლში მოსვლას, ბოლოს, რო-
გორც იქნა გავბედე, მოვედი. დიახ,
ჩემს სახლში მოვედი. ახლა კი მარტო
ვზივარ, სრულიად მარტო და ვტირი.

დაობლებული მივდივარ არღუნისა-
კენ. წყლის თავზე, კლდის წაგრძელე-
ბულ ნაწილზე ვკდები. მერე ფორთხვით
ქვევით ვეშვები მდინარისაკენ.

არ მინდა არავის დანახვა. არავის ხმის
გაგონებაც კი არ მსურს. თუ დამაშვი-
ლებს ახლა ისევ სიჩუმე და მარტოობა.

სოსო ბინძარაული
ზატილი



— აღარც მკვდარი გვახსენდება და აღარც ცოცხალი, — გულდამდღურებული ვფიქრობ, — ველარც საფლავებს ვუვლით და ველარც სოფელს. დანგრევის პირაზე მისულ შატილში გამოვჩნდებით ხოლმე უამიდან-უამზე. არავინ ვფიქრობთ იმაზე, რომ ეს კედლები არ დაინგრეს და არ დაიშალოს. სოფელი ნასოფლარს არ დაემსგავსოს, რომ სიცოცხლე არ ჩაკედეს შატილში, რომ...

— სოსო ამოდი მალა, — ფიქრებიდან ვილაცის ხმამ გამომარკვია. მოგვიანებით ავიხედე. ვხედავ: ბათინკებს, წინდებს, შიშველ წვივებს, მუხლებს.

● ვილაც გოგო დგას. უგულოდ ამოვდივარ მალა. ნინო და ნანა. ვერ განმისხვავებია ეს ორი გოგო ერთიმეორისაგან.

ნინო და ნანა მილიმიან შეღებილი ტუჩებით. ერთ-ერთი ფერნაცვალ წამწამებს აფახულებს და მეუბნება:

— სიმპათიური ყმაწვილები წყალში არ უნდა იხრჩობოდნენ და არ უნდა იყონ დაღონებულნი. სამხიარულო ბეჭარია. დასაღონებელი კი—არაფერი. ბუნებას ყველაფერი მათთვის გაუჩენია.

— კარგი ერთი...

— ხომ არ გავიართო? — ეშმაკურად მეკითხება ნინო თუ ნანა.

— გავიართო!

ეს მე კი არადა ჩემში ჩასახლებულმა ავსულმა მათქმევინა და ნაბიჯიც მანვე გადამადგმევინა წინ.

უკან მოვიხედე რატომღაც. შემთხვევით გამოჩენილი ახრჩოლებული მზისაგან ჩემს უკან ადევნებული, საცოდავად დაგრეხილ ჩრდილს მოვკარი თვალი. მერე თითქოს შორიდან ყრუდ თამიას ბრაზმორეული და დაგუბებული ხმაც გავიგონე:

— გაიქეცი, სოსოია... სოსოია, გაიქეცი...

● მეორე დღით დაიწყო „აღუდა ქეთელურის“ ფინალური ეპოზოდის გადაღება. გაბოროტებული სოფლები

უხმოდ უყურებენ სოფლიდან გადგებულ აღუდას, რომელიც თანდათან ნელი ნაბიჯით სტოვებს სოფელს. აღუდას უკან დედა და ცოლ-შვილიც მიჰყვება.

მერე აღუდა ნაბიჯს უმატებს. გზა მთებისაკენ მიდის. ჩამობურვილია ირგვლივ ყველაფერი და თოვას იწყებს. ქარიც ქრის. აღუდას თოვლის ფანტელებს სახეში აყრის ქარი. სახეზე მოხვედრილი ფანტელები მყისვე დნება. წვეთებად მოგორავენ და ნიკაპთან ერთდებიან. მერე წვეთ-წვეთად წყდებიან ნიკაპს.

ამინდი უფრო უარესდება. ქარიც მატულობს. გაოგნებული აღუდა დიდი ნაბიჯებით მიარდევს თოვლს, უახლოვდება მალალი მთის გადასასვლელს. ცოლი და დედა ძლივს მიჰყვებიან წინ წასულს. სცივათ.

მერე გადასასვლელს მიადწია აღუდამ და შეჩერდა. აქ თავდება აღუდას თემის ტერიტორია. იქით კი უცხო ადგილი, უცხო ხალხის სამყოფელია, მისთვის სრულიად უცხო გარემო. აღუდა თავისი მხარისაკენ გულდაწყვეტილი იყურება. დამდნარი თოვლი და ცრემლები ერთად უსველებენ წვერმოშვებულ სახეს. მერე თითქოს თავისთვის ბუტბუტებს რალაცას, ყოყმანობს, უქირს სხვა მხარისაკენ წასვლა; უცბად ფართო და დიდი ნაბიჯებით წავა. უკან მიმავალი დედის ხმა ეძახის, რომ ნელა იაროს:

— შენთან ვერ ვივლით ვერც მენა, ვერც შენი ცოლი ლელაო... აღუდას თითქოს არც გაუგონია დედის ძახილი. უკანმოუხედავად აგრძელებს გზას. მიდიან. მერე ჩამოწოლილი ნისლის ბურუსში უჩინარდებიან ყველანი. ერთხელ კიდევ ისმის თოვლისა და ნისლის კორიანტელში აღუდას დედის ხმა.

...შვილო იარე ნელაო, შენთან ვერ ვივლით ვერც მენა, ვერც შენი ცოლი ლელაო...

● — გიგი, ნათია აუცილებლად აივლის „ხეტალთ ქეიშას“ აუცილებლად, რომ



ვერ მიჰყვეს გამყოლს, ეს არ შეიძლება, ეს არ მოხდება.

გიგი მორცხვად იღივება. წამოწითლებულია სახეზე და ეტყობა, რომ ღელავს. ამხანაგები ტყეში სხედან და ხან „ნეტალო ქვიშას“ უყურებენ და ხანაც საფეხვნოს, ხოლო ფეხონში კი ბესოს ავზავნიდნენ ნათიას გამყოლად.

და ბესოც წავიდა.
 აღმართის დასაწყისში ბესო მობრუნდა ნათიასკენ და, —

— ნუ აჩქარდები, ეცადე ნაბიჯში მომყვე, ასე უფრო არ დაიღლებიო, — უთხრა და შეჰყვა აღმართს.

მიდიან. წინ ბესო მიდის, მერე ნათია. სადამო ხანია და სადაცაა მზეც უნდა ჩავიდეს. ნათია ხედავს ფართო მხარბექს, მოქარგულ ზურგს, პაჭიშვებს და ბანდულებს. ხანჯლის წვერი ხან გამოჩნდება, ხანაც დაიმალება. მერე მოქარგული ზურგი. ნაქარგი კუბიკები. ქვიშას სხვა ფერი აქვს, ფეხს დაადგამ, ფეხი ეფლობა და ქვიშა ყვითლდება.

მიდიან.
 წინ ბესოა. ნათიაც მიჰყვება. ნათია ვერაფერს ხედავს ბესოს ზურგს გარდა. ბესოს ბანდულის კიდეებში ქვიშა უცვივდება. აი ეხლაც: — ერთი კენჭი ჩაუვარდა, კენჭი აქეთ-იქით მიჰყვება ბანდულის კიდეს.

— გიგი იმ დამეს...

გიგი: — რა მეშველება, ნათო, რომ ვერ ახვიდე?

— რა ვიცი.

რომ ვერ ახვიდე? — სხვა ნახე მუხლიანი... ვრა, არა, არა... ერთი... ორი... სამი... ორი... ერთი... ნეტა ეხლა სად არის გიგი?... ოჰ!...

წინ ბესოა. რამოდენიმე ნაბიჯით ჩამორჩება მას ნათია. ნათია ატყობს, ბესოს კისერი გაოფლიანებულია. ბესოს ხელები ჩამოუშვია და მიდის. არა, მაინც რა აჩქარებს, საინტერესოა, რომ მოუმატა და მოუმატა?..

„ნუც შენ მაიყვან დიაცსა, არც მე წაუვალ ქმარსაო“... დედამთილი... პირდაპირ რომ შევეჩახე, კინაღამ უმანდილო... ერთი... ორი...

გაჭირდა ქვიშაზე აღმა სიარული, ძა-

ლიან გაჭირდა. გადადგამ ფეხს, ქვიშა ქანაობს და დაბლა გეწევა, ორმაღალს გახარჯინებს. არადა, ჯერ ნახევარიც არა აქვთ გავლილი. ეს ქვიშიანი გულაც როგორ დამძიდა — ოხერი. არა, ნათიამ „უნდა ქნას შატილობაი“, უნდა აიტანოს ქვიშიანი გულა იქ, სადაც მიდიან. თუ ვერ მიჰყვება ბესოს და ვერ აიტანს ქვიშიან გულას, მაშინ... მაშინ... არა, უნდა ვიარო, როგორმე უნდა ვიარო.

მაგრამ ნათიამ ველარ შესძლო სიარული. მოიხსნა ქვიშიანი გულა და ძირს დააგდო. ჩამოჯდა. დალილობისაგან ძლივს სუნთქავდა. მერე ტირილი მოუნდა და იტირა. ტიროდა დიდხანს. მისთვის დასარულდა ყველაფერი. წესი აღარ იძლეოდა იმის უფლებას, რომ გიგის გააპყროდა ცოლად. მერე, როგორც იქნა, ძლივს დამშვიდდა. თხორუს გორს იქით წითელი მზე ჩადიოდა. ამას მკვდრის მზეს ეძახდნენ შატილშიც და გიორგიწმინდაშიც.

ბესო ცოტა მოშორებით იჯდა და ფიქრობდა:

— აი ამ ადგილებიდან ესროდნენ შატილიელები შამილის ჯარს. ძველ ქართულ თოფებს, ტყვია-წამალს ქალხალი აწვდიდა შატილიელებს. საწყლებს ალბათ რამდენი სირბილი უხდებოდათ აქეთ-იქით, თანაც ამ სიმაღლეზე... ვაცხონე დედა იმათი, ახვევრდი-მახმედს ხომ დაჰკრეს თოფი... სული ჯარეგოში ჩააბარა ალაჰს...

უკან ვბრუნდებით. ნელა შევდივარ ათუხთუხებულ ვერტმფრენში. ფანჯრიდან ვხედავ ჩვენს გასაცილებლად მოსულებს. ისინი ხელს გვიქნევენ. მერე ვერტმფრენმა ნელა აიწია და არღუნის გაყოლებით წავიდა. სიმაღლე „ნეტალო ქვიშის“ პარალელურად აიღო და ისევ შატილისაკენ შემობრუნდა.

ერთხელ კიდეც მოკვარი თვალი დაკრილი ვეფხვივით კლდეზე გადაწოლილ შატილს და შემდეგ ყველაფერი თვალს მიეფარა.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

დაბერებულხარ, ჩემო მოხუცო,
კართან წკავწკავებს უმწეო ლეკვი, —
მიეცი ლუკმა და დაწყნარდება.

სანთლის ალივით დაფარფატებენ
და თავსაფარი
შავ ღამესავით
განასკველა ბებრულ ნიკაპთან.
ერთიც მიაშბე
სევდიანი ჩიტის ზღაპარი
იმ ხმის კანკალით,
ბავშვობაში მე რომ მიყვარდა.

ერთიც მიაშბე
იმ მამაცი მხედრის ამბავი,
სატრფოს გზები რომ მიაწვავლეს
მარტის წვიმებმა,
როგორ მოზიდა
მზეჭაბუკმა ულაყს სადავე...
ერთიც მიაშბე,
უსათუოდ დამეძინება.

დაბერებულხარ, ჩემო მოხუცო,
კართან წკავწკავებს უმწეო ლეკვი, —
მიეცი ლუკმა და დაწყნარდება.

გახსოვს? წისქვილი,
მძიმე-მძიმედ ბრუნავს ბორბალი,
ბუ ახმიანებს
წყლის ნაპირზე გატრუნულ თელებს.
ხვიმრიდან
წვიმის წვეთებივით ცვივა ხორბალი,
თავის კანტურით
სოფლელები ტომრებზე თვლემენ.

მეჩვენებოდა,
მეწისქვილე ღამეებს ფქვავედა,
ქართლის ღამეებს,
დადგებოდა ვიდრე ცისმარე.
სხვენის კუთხეში
აბლაბუდას ქსელი ბზინავდა
გაწელილი და
დახლართული, როგორც სიზმარი.

დაბერებულხარ, ჩემო მოხუცო,
კართან წკავწკავებს უმწეო ლეკვი, —
მიეცი ლუკმა და დაწყნარდება.

ქართლი. ზამთარი.
მიჭრიალებს გზაზე ურემი,
ორ მთას ძვალევით,
გახირვია კირბალი* ყელში,
გზა-გასაყართან
გადმოხრილა თეთრი კუნელი
და ფიფქის ვერცხლით
აუესია გაწვდილი პეშვი.

რეკენ ზარები —
განსაცდელი ახლოა, ვიცი,
გაიფანტება
გაზაფხული მწვანე ბოლქვებად.
მალე მოვისმენ
ჩემი შვილის საყვარელ ტიტინს
და შენი სისხლი
მის ძარღვებში განმეორდება.

დაბერებულხარ, ჩემო მოხუცო,
კართან წკავწკავებს უმწეო ლეკვი, —
მიეცი ლუკმა და დაწყნარდება.

* სოფელი ქართლში.

●

შენ მივიწყებულ სიმღერას გავდი,
დიდი ხნის წინათ სადღაც მოსმენილს.
წავიდა თოვლი, მოვიდა დარდი
მუნჯი მოახლე შენი ოცნების.

შენ სიცოცხლეში ერთხელ იმღერე
(ო, რა ძნელია ერთხელ სიმღერა),
ნუ გაუწყრები, ვისაც თბილ ხელებს
უწვდიდი, მაგრამ ვერ შეიფერა.

სხვაა წუხილი და სინანული
და აღტაცებაც სულ სხვა რამეა.
შენი სიცოცხლე, შენი წარსული
ერთი ვარსკვლავით სავსე ღამეა.

●

გაგიხარია, ისეთი დღეა,
გზა იკერება თოვლის გვირისტით,
უკვე თორმეტი მშფოთვარე თვეა
მონუსხულები ვდგავართ პირისპირ.

ჩვეულებრივად თენდება ისევ,
მთები ყინულის მახვილს ღესავენ
და წვეთწვეთობით გაცემულ სისხლით
სიცოცხლეს იძენს ვიღაც მესამე.

ბრიალებს გარეთ თეთრი კოცონი —
თოვლი, — გაშლილი სახურავებზე.
დგას ბეწვაშლილი გზაზე ბოჩოლა
და ჩალის ნარჩენს ყნოსვით დაეძებს.

გაგიხარია, ისეთი დღეა,
გზა იკერება თოვლის გვირისტით
უკვე თორმეტი, მშფოთვარე თვეა
მონუსხულები ვდგავართ პირისპირ.



აქ იძინებენ წყლის ფრინველები,
თეთრი მელები, ჩრდილოეთის შეღამებები,
ძველ ნოვგოროდში ვერეს ზარები
აღარ უხმობენ ხალხსა და მთავრებს,
არ ხმაურობენ ვოლხოვზე ღამით
ჰანზის ქალაქთა მშვიდი ვაჭრები.
აქ გადაშლილა რუსეთი დიდი,
მზით და ოცნებით საგსე რუსეთი
და ნერედიცი, ფაშისტების მიერ მოთხრილი,
რუსეთის სულში ტკივილით კვნესის...
ილმენის ტბასთან იძინებენ წყლის ფრინველები,
თეთრი მელები, ჩრდილოეთის შეღამებები...

ფრესკებად რატომ აქცევდნენ ქალებს
საამქვეყნიო სითბოდ შობილებს,
ან მათ, ქმრების და შვილების აღერსს
ანგელოზობა რად ამჯობინეს...

მიწიერ კაცთა საღვთო თაყვანი
არ ბეზრდებოდათ დღემუდამ განა?
და არ უნდოდათ სივრცე ახალი
წმიდა მარიამს და წმიდა ანას?..

მათ კალთას ასდის სურნელი მიწის —
წუხს აუხდენელ სიზმრების მეკლე,
და მოსდევთ ქრისტე, პატარა ბიჭი,
და ღვთაებრივი ზარები რეკენ...

წმიდა მადონა ისევ ხრის თვალებს
და თოთო შვილებს ზღაპრებით მაღავს,
ფრესკებად რატომ აქცევდნენ ქალებს
და ერთგულებას რად სთხოვდნენ თანაც?

ბაგავსულის გლაპარი

რა იყო და არა იყო,
ერთი სიყვარული იყო...
ჩუმი ნანა ჭალის ახლოს,
ნაღვლიანი რხევა თმების,
ალხო-მაღხოს, ჩიტმა ნახოს
სადა ხარ და ვისთვის თბები.
ლურჯი ცხენით, თეთრი ჩოხით,
ნეშოების ტკბილი ქოხით,
ის წუხილი და ის ნანა,
მღელეული მთვარე ხელში,
მე მინახავს ზღაპრისთანა
თბილ აპრილის ღამეებში.
ზეთისხილის რტოზე დახრილს
მისეთდა მთვარეს ხალხი,

ლოცულობდა ზოგი ფრთხილად,
ზოგს სიზმრებით მოეხინა;
ჩვენც ბნელ-წითელ სივრცეს ვხმობდით,
სალოცავთან თბილ სულს მთხოვდი.
ვიღვიძებდი, არა იყო,
ყველაფერი გამქრალიყო...
აღარც მთვარე, აღარც ხალხი,
ღამე სტვენდა ჭალის ახლოს,
ვისი გახდა შენი სახლი,
შენი ლურჯი სამოსახლო.
თბილ სანთლებს რომ ქარი აქრობს,
ვის ნავს არხვეს შენი ტბები,
ალხო-მაღხო, ჩიტმა ნახოს
სადა ხარ და ვისთვის ტკებები...

ქალებო...
 კაცებს ღვინო ასვით და პური და მარილი მიუტანეთ,
 კაცებს ალოცვინეთ კაცი და
 გული სამსხვერპლოზე მიუტანეთ,
 კაცები თბილ ბურანში აცურეთ და
 სიერცის ბედ-იღბალი აწეწინეთ,
 კაცებს ათქმევინეთ კაცური და დიდი ტვირთი
 უხმოდ აწეწინეთ...
 კაცები გრძელ გზებზე გაუშვით და
 ბავშვები სულით დაუპურეთ,
 კაცებს გაუთბეთ სიცოცხლე და ოცნება სიყვარულით
 დაუბრუნეთ,
 კერიის კვამლში ლოცვები იჩურჩულეთ ნიადაგ,
 პატარა შეცდომებს ღმერთები ისედაც ცოდვებად
 თელიან და—
 პატარა შეცდომები კაცებს მიუტყვევთ,
 ქალებო,
 კაცებს ღვინო ასვით და პური და მარილი
 მიუტანეთ...

დ ე ღ ა

შენი წუხილით მე ჯვარზე მაცვეს
 და თითქოს შენთან ერთად ვბერდები,
 დღემდე მგონია ისევ, რომ კაცებს
 სულ სხვანაირად უყვართ დედები.

ქარი უჩუმრად დააფენს გზებზე
 შენი სახელით ავსილ დღიურებს,
 ჩემს ქალურობას მე შენში ვეძებ
 და რაღაც მძაფრად მანერვიულებს.

მგონია — ვიყავ დედაც და ცოლიც,
 მგონია — მყავდა ქმარიც და შვილიც
 და ჩემს სულს, როგორც ცისფერი ზოლი,
 გასდევდა ფიქრი, ტყვესავით ხშირი.

ასე მგონია მოვიდა დაღლა
 და მშობელივით შემახო ხელი,

სასწენებელიც არ არის ახლა
 ამიტომ ჩემი ცხრაშეტი წელი.

მე მაწუხებდა და თანაც მსურდა
 მქონოდა შენი სითბო და ეშხი,
 შენ უნდა იცნო,
 შენ იგრძნო უნდა,
 რომ შვილზე მეტი არსებობს ჩემში.

შენ უნდა იცნო, იგრძნო როგორმე,
 როგორ მღერიან სულში გედები,
 ნუ დაიჯერებ —

ჩემს ტოლ გოგონებს
 რომ ჩემზე მეტად უყვართ დედები...
 შენი წუხილით მე ჯვარზე მაცვეს
 და თითქოს შენთან ერთად ვბერდები...





სეკგი ჭიღაიი

შ ვ ი ლ ე ბ ი

მეორე წიგნი

საუკუნის ძარიზხალი

იმ დილას პრინცესა სალომე სალხინოს სასახლის აივანზე იჯდა და ჭიების მთას ვაცქეროდა. მთის წვერზე მუშტისოდენა ნაცრისფერი ტყვრის ფორმის ნისლი გამოჩნდა, მერე ეს „მობალახე ცხვარი“ ძირს ჩამოცურდა და მთელი მთა ნისლმა დაფარა. ნისლი ბარსაყ მოედო, სალხინო გადაიბალახა და ავერ სასახლემდე მოაღწია, ცა და დედამიწა ნისლით იყო შეერთებული, სივრცე კი — სიბნელით სავსე. აივანზე მჭდარ პრინცესას თვალები დაენისლა. სწორედ ამ დროს, ნისლიდან გამოძვრა თუ სასახლის ლაფარეს ამოჰყვა, სალომეს წინ ჰაბურთელი აიტუნა. პრინცესამ თვალები მოისრისა და მოჩვენებას დააკვირდა, გაუკვირდა. ეს მართლა ჰაბურთელი იყო თუ მოჩვენება? ჰაბურთელი კი იდგა ქანდაკებასავე და ხმას არ იღებდა. ახლა უფრო დაეინებოთ დააცქერდა დედოფალი ჰაბურთელს. წვერმოშეებულ ვაჟკაცს არც იარაღი ესხა და არც ჩოხა-ახალუხი ეცვა. კობტად თმაგადავარცნილს, თავშიშველას უბრალო შავი ბლუნა ეცვა. ბლუნაზე დაგრეხილი ფრჩხილიანი სარტყელი ერტყა. დედოფალმა გაუღიმა მოჩვენებას.

— აქ საიდან გაჩნდით, მე ციხეში მეგულბოდი. გამოიპარეთ?

— დიხ, დედოფლო, გამოვიპარე, — ხმადაბლა უთხრა მოჩვენებამ.

— კარგი გიქნია, მე ქუთაისში გუბერნატორთან წასვლას ვაპირებდი და შენი ვანთავისუფ-

ლების სათხოვნელად, ახლა პატიებას ვთხოვ, რახან გამოიპარე.

— არა, დედოფლო, ნუ გაირჩებით, მე პატიება არც არასოდეს მითხოვია და არც ახლა ვითხოვ...

სალომეს არ მოეწონა ეს ძველებური, გამომწვევი კილო ჰაბურთელისა, მაგრამ არ შეიძინია და ისევ კითხვით მიმართა:

— არა, შენ ის მითხარი, მართალია, ბრალს რომ გდებენ, თითქოს ცეცხლი შენ წაგვიღებინოს ჩემი ნასახლარისათვის?

— არა, ეს ჩემმა მტრებმა მომიგონეს. ჰალბატონო, მე ჩემი საკუთარი ცოდვები მეყოფა და სხვისას ნუ დამაბრალებთ. — აქ ოდნე შეყოყმანდა ჰაბურთელი. მაგრამ უცბად ძალღონე მოიკრიბა და გაბედულად სთქვა: გამოგიტყდებით და გეტყვით, სასახლიდამ მე თქვენს სიყვარულს გავეძევი...

— როგორ თუ სიყვარულს? — შეცბა სალომე.

— დიხ, თქვენს სიყვარულს, რომელიც ამ გულში ჩაუქრობელ ცეცხლად ავიგვიზდა და რის გამოც მე ჩემთა მოძმეთა ღალატის უნებლიე მონაწილე გავხდი.

— შენ რაღაც გეშლება, — დაბნევით უთხრა დედოფალმა, მაგრამ ისე ხმადაბლა იყო ეს სიტყვები ნათქვამი, რომ ჰაბურთელის ყურამდის არც მიულწვია.

— ჰოდა, რაკი შენ სიყვარულს გავეძევი, გზაზე ვიფიქრე, ისეთი რამეც ჩამედინა, რაც შენთან მოსასვლელ ყველა ბილიც მომისპობდა, ზოლო ჩემს მოძმებთან ჩატეხილ ხიდს კი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4



გამთვლებდა. ასე ვფიქრობდი შუა გზაზე მიმავალი და ამ ვადაწყვეტილებით მივადექი ზუგდიდში სასახლეს. იქ კი საოცარი რამ გავიგო ჩემმა ყურებმა: თითქოს თქვენ დაგვეალებინათ სასახლის დაწვა.

— ვინ გითხრათ ეს? — აღშფოთდა სალომე.
— თქვენმა მეგობრებმ, ქალბატონო!
— ტყუი!

— ჩუტულის თქმა არა მჩვევია, ქალბატონო, — ისეთიარად თქვა ეს სიტყვები ჭაბურთელმა, რომ სალომე ერთბაშად გატყდა:

— მართალი უთქვამთ, მე, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. ჩემმა სიხარებმა ჩამადღინა ყოველივე ეს. ალბათ იმასაც ვაიგებდით, თუ რა მოჰყვა ყოველივე ამას. — აქ შეჩერდა, თითქოს გონს მოეგოთ, არ ესიამოვნა ამაყ ქალს ასე გულახდილად რომ ესაუბრებოდა ამ მღაბიოს, მაგრამ სიტყვა უკვე დასცდა და სათქმელი ბოლომდე უნდა ეთქვა:

— შენ, შენ იცი, შენ ზედბოდი, როგორ ცივი გახდა ჩვენი ოჯახური მდგომარეობა ბოლო დროს. და მე, ჩემს ქმარზე გაბრაზებული, ყველაფერს თვითნებურად ვწყვეტი. ჩემი სურვილისა და დაუყოვნებელი უსიამოვნებების მიზეზი ბევრი რამ იყო, ოღონდ ამ მიზეზების ძიებას ნუ გამოუვლდებოთ. ახლა ჩემი შეილება უბედურ მამაზე აუფრს თქმა დანაშაული იქნებოდა. და თუ საერთოდ რამე დანაშაული მიმიძღვის ჩემი განონიერი ქმრის წინაშე, მაშინ სასახლის გადაწვაც და უზომოდ თავმოყვარე ჩემი ქმრის თვითმკვლელობაც ჩემს სულს აწვევს ცოდვად. და ალბათ იმ ქვეყანაში ამაზე პასუხს მავებინებენ. ოღონდ იცოდეთ, შენც ვიცივე ამასი წილი...

ბრაზისაგან ცრემლები მოაწვეა ღედოფალს, და რომ არ ატრუბულიყო, აქ შეჩერდა.

— როგორ თუ მე?! ავი გითხარი სახლისათვის ცეცხლი არ წამოვიღებია მეოთხი!

— ეს მჯერა. ვიცი. მაგრამ იმ საბედისწერო საღამოს შარსილის ველზე შენმა შეზვედრამ რღავენიარად ააფორიაქა ჩემი სული და ღღემდის ვერ ამიხსნია რაც მოხდა... — ისევ გონს მოეგო ამაყ დადიანი, სათქმელს კილო უცეკა. — შენ შეტრისმებლად ვაბედული იყავი, გაბედული კი არა, თავბუდი, — უწყებო და მკაცრი კილოთი თქვა ეს სიტყვები სალომემ — და მე ვანეზრახებ სამაგიერო მიმეზღო შენი თავბუდობისათვის. ჰოდა, არ ვიცი მერე რა მოხდა. შურისგება კი ვერ აღვასრულე და სწორედ ამის იყავი შენ დამნაშავე. — აქ ისევ მოეშვა ღედოფალი და დაყავებით ჰკითხა:

— იქნებ არცა ხარ შენ დამნაშავე და ნურც მკითხავ, რაც მოხდა!

— არა, ღედოფალო, მე აქ საკითხავად არ მოგსულვარ.

— მაშ, რა გინდა ჩემგან, რას ამეკიდებ ბოროტ სულად! წაიღე, გამეცალე! შენ, შენ... —

სიტყვა არ დაამთავრებინა, ისე იყვირა ყველაფერი თელმა:

— ეს მინდოდა. სწორედ ასეთი სიტყვები მინდოდა მომესმინა შენგან, მე ციხიდან გამოვიპარე, პირველად ეს მითხრეს, პრინცესა ზრუნავს შენთვისო. ამათ კი ვადაძობია, ახლა კი დამშვიდდებით წავალ აქედან. იცოდეს, ყველა, რომ დადიანებთან ვერადვერი შეარბევს ჭაბურთელს... თვით სიყვარულის სატანაც უძღური აღმოჩნდა ჩვენს მორჩევაში.

ახლა კი სრულიად თავისუფალია ჭაბურთელი. თავისუფალი... ჩემს რწმუნას წინ აღარადვერი არ აღუდგება. ერთ ჭერქვეშ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ, ვერა. — ეს სიტყვები ისეთი მგზნებარებით წარმოთქვა ჭაბურთელმა, რომ მისი ეჭო სასახლის ეზოს ვასცდა და კინჩხის მთებმა გაიმეორეს: „ვერა, ვერა“...

ღედოფალმა ისევ გახვდა მთას, მას ნისლი უკვე აღარ ებურა. მზისგან ვაჩახახებულმა კინჩხის მთებმა თვალეზი მოჰკვეთა ღედოფალს. ერთხანს ისევ მოხუტა თვალეზი პრინცესამ, მერე ფართოდ ვაახილა. მოხუცდა და ჭაბურთელი კი აღარხდა ჩანდა. ვერ მიმზვადარიყო, ეს ყველაფერი მირაყი იყო, მოჩვენებისთან გამართული დიალოგი თუ ცხადი, რომელმაც მის სულში ჩაფერფლილი საიდუმლო გამოამჟღავნა. კიდევ კარგი, რომ ამ დიალოგს არავინ უსმენდა...

ქუთაისიდან წამოსულმა გივი გვეჰკორმა და ჭაბურთელმა ის ღამე ხონში ბახტაძეებთან გაატარეს. ხონიდან უთენია ვაგიდნენ და ცხენისწყალს მიადგნენ. მარტვილში მოკლე გზით წასვლა ირჩიეს, მაგრამ ცხენისწყალი აღიდებული დახვდათ. ამინარეს ღამე დაჰყენენ და დანელიების ბორნით ცხენისწყლის გაღმა ვაგიდნენ. სოფელი ნახარებაყო ვაიარეს და შუალამისას ოსიძეებმა დიდი პატივით მიიღეს სიძე და მისი მძაკაცი. ისადილეს თუ არა, საქმეს შეუდგნენ. საქმე კი ფრადი საიდუმლო და საშური იყო...

საქმე იმას შეეხებოდა, რომ 1905 წლის დამდეგიდან მთელ საქართველოს მოედო გლეხთა მასობრივი მოძრაობა. აჯანყებული სოფლის გლეხები ირჩევდნენ გლეხთა კომიტეტებს და მოითხოვდნენ მეფის ტახტის დამხობას, მემაბულეებისათვის მიწების ჩამორთმევას და უსასყიდლოდ გლეხებისათვის გადაცემას, სახალხო-საყოველთაო არჩევნების გზით ხელისუფლების ორგანოების შექმნას, უფასო სწავლა-განათლების შემოღებას და ვინ ჩამოთვლის კიდევ რას... გათამამდა, თავი აიშვა საუკუნოებით უფლებბაყარლი დამშეულთა არმიამ... საქართველოში შეიარაღებულ საყოველთაო აჯანყების სათავეში რსდმპ კავკასიის კომიტეტი

სარბი ვილიანი
შვილები



ჩაუდგა. ამ კომიტეტის ადგილობრივი ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ ახლა ქალაქად და სოფლად გაჩაღებულ შეიარაღებულ აჯანყებას. და აი, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დაველებით მარტვილის საზოგადოების აჯანყების ხელმძღვანელებად გვივ გვემეკობრი და ქიკო ჰაბურთელი ვაგზავნეს.

გვივ გვემეკობრივ კაბურთელი მეტეხის ციხეში გაიციო და მამინათვე დაუმეგობრდა თანასოფელს. გვივ უმცროსი იყო ჰაბურთელზე, მაგრამ უფრო განათლებული, მომზადებული და არაღვალადი მუშაობის სკოლა გამოვლილი. მათს პირველსავე საუბარში გამოიკვია, რომ სხვადასხვაგვარად ესმოდათ რევოლუციონერთა მოვლუობა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. ციხეში გვემეკობრი აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა. ამ საქმეში უმეიწარსა და ვაბედულ ჰაბურთელს იყენებდა. ანარქისტ მეოცნებე ჰაბურთელი სულ მალე გვემეკობრის ყველაზე ერთგული თანაშემწე გახდა. 1905 წლის თებერვალში თბილისის კომიტეტის დახმარებით გვემეკობრმა, ჰაბურთელმა და მათმა თანამოაზრეებმა ციხიდან გამოქცევა მოახერხეს, ხოლო აპრილის პირველ კვირას კავკასიის ბიუროს დაველებით ისინი იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის განკარგულებაში გამოგზავნეს. ეს ის დრო იყო, როცა შოვლას დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ...

ისი დღეს თუ არა, გვივ გვემეკობრმა დაწერილებით გამოკითხა სიმამრს მარტვილის მღვდლმარეომა. მღვდელი უჩიოდა ადგილობრივ მოსახლეობას: თავს ვაუციდათო, არც მთავრობისა ეწინაა და არც ღმერთისათა... როცა აწუწუნებულმა მღვდელმა თბრობა მოათავა, სიძემ დაშვილებით დაუყვავა სიმამრს და ახლა მძაღვანდელი მისა მეზუქის შვილი მოკითხა. მისა მეზუქის შვილი სალხინოშიაო, მოასტენს, მამისა გადააწყდა, იმ საღამოსვე გამოგზავრებულყო სალხინოში ჰაბურთელი და ჩამოეყვანა გვემეკობრის მძაღვანეცი.

პრინცესა სალომეს და ჰაბურთელის მოვლოდნელი შეხვედრაც სწორედ მისა მეზუქის შვილის ძებნაში მოხდა. მესამე დღეს მისა მეზუქის შვილი დაწერილებით უყვებოდა გვივ გვემეკობრსა და ჰიკო ჰაბურთელს მარტვილის საზოგადოების ამბავს...

მოითხოვრეს და გადაწყვიტეს ოცი აპრილი, აღდგომის დამე გამოეყენებიათ სახალხო მიტინგისათვის... შეადგინეს მიტინგებისა და სახალხო აჯანყების მოწყობის გეგმა და ამის თაობაზე ვრცელი მოხსენებით ბარათი გაუგზავნეს სენავის მახრის რევოლუციური კომიტეტის. სამაზრო კომიტეტმა მარტვილში აღგილობრივი სარაიონო კომიტეტი შექმნა და სათავეში გვივ გვემეკობრი ჩაუყენა. კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა: ქმნიდა და აყალიბებდა

წითელკარგმელების ჯგუფებს, ბიარაღებდა რაზმელებს, აწყობდა მიტინგებს... ერკინენა... იმ დღეს გვივ გვემეკობრის ცოლმა ჩემს ცოლს ბილებთან ერთად დროშას ქარგავდა. იტას წინა დღით ნოღაღელ მუფართლისაგან წითელი და თეთრი ნაჭრები ეყიდა. წითელი ფართლისაგან ფართი და ვრძელი დროშა გამოეკრათ და ახლა ერთი დობილი — მართა არშოეს აგვირისტებდა, ხოლო თვითონ იტასა და თეოს დროშაზე დაეკრებულ თეთრ ნაჭერზე ქართული ასოებით ამოქქარვალ სიტყვები: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

იტას ქალთა საზოგადოების კიდევ 7 წევრი მოწყალეების დებისათვის თეთრ ხალათებზე წითელ ჯვრის ნიშნებს აკრებდნენ. გვემეკობრების მეორე თანამე კი, სადაც ჰაბურთელი იყო, მამავაცებს მოეყვრათ თავი. ზოგს მიქქონდა იარაღი, ზოგს მოქქონდა და თიხისა ალაგებდნენ. ერთი სიტყვით, გვემეკობრების სახლი იმ დღეს ნამდვილი სამხედრო შტაბი იყო, აჯანყებულთა სამხედრო შტაბი, რომელსაც სათავეში გვემეკობრი, ჰაბურთელი და იტა ეღვდნენ. გასაოცარი აღტყენება სუფევდა ირველი-

თეო და მართა — მისა გაბისონის ეს ორი უღამაზისი ასული მთელს ამ ქუთხეში განთქმული იყვნენ სიღამაზითა და ზნეობით. მართა და თეო ტყუბები იყვნენ, იტას ტრულები. 10 წლის იტა ოსიძემ ქუთხისის გიმნაზიაში გააბარა, ხოლო ათი წლის ტყუბი დები გაბისონიამ ქუთხისში მეაფთაიქე ამღლობელს ოჯახში მიაბარა. გიმნაზიელი იტა და დები გაბისონიები ერთად ცხოვრობდნენ მეაფთაიქე ამღლობელის ოჯახში. სწორედ გიმნაზიაში ყოუნის დროს შეუყვარდა იტას თავისი თანასოფლელი გვივ გვემეკობრი. სულ მალე ცოლადვე შეირთო იტა გვივ გვემეკობრს. ცოლ-ქმარი თბილისში დასახლდნენ და იქვე რევოლუციურ მუშაობაში ჩაებნენ კიდევ. 4 წლის შემდეგ ცოლ-ქმარი გააციმიბირეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი უღვდამოდ დარჩენილი იტა ვარდაცივალა. გადასახლებიდან დაბრუნებულმა მშობლებმა ბევრი იღარდეს ერთადერთი ქალიშვილის ვარდაცივალემა, მაგრამ ცხოვრებამ მიიწვ თავისი ვაიტანა და ისევ ჩაებნენ რევოლუციურ საქმიანობაში. ამასობაში ვაგიშვილიც შეეძინათ. უფრო გახალისდნენ გულმოკლული მშობლები. სწორედ ამ დროს დაამატიმრეს დამეორედ გადაასახლეს გვივ გვემეკობრი. იტა თავისი პატარა ვაგიშვილით მარტვილს დაბრუნდა. ქუთხისიდან დაბრუნებულმა დებმა გაბისონიებმა კი იმეამად მარტვილში ბანდელ გახაკიძეების მიერ დაარსებულ აფთიაქში დაიწყეს მუშაობა. დობილებმა ისევ მონახეს ერთმანეთი და სულ მალე იტას თაოსნობით მარტვილში ქალთა საზოგადოება დააარსეს. ქალთა საზოგადოების წევრები თბილისსა, ქუთხისსა და სხვა ქალაქებსა და სოფლებში შეწირულობების შეგროვებას შეუდგნენ, შეგროვილი თანხით მარტვილის პირველი ბაზ-



ლოთეკა დააარსეს; ბიბლიოთეკის ერთ ოთახში წერა-კითხვის უცხოენარ ქალთათვის საღამოს სკოლა გახსნეს. ბიბლიოთეკაში მორიგეობით ამუცადიანდნენ დობილები წერა-კითხვის უცხო-დინარ ქალებსა და ქალიშვილებს. ბიბლიოთეკა სულ მალე ქალთა საყვარელ თავშესაყრელ აღ-ვილად იქცა. ამ საზოგადოებაში რევოლუციუ-რის სული შეიტანა იტამ. იგი ციმბირში გადა-სახლებულ რევოლუციონერთა თავდადასავალს ისე მომხიბვლელად და სინტერესოდ უყვებო-და წრის წევრებს, რომ, სრულიად ბუნებრი-ვად, რევოლუციონრმა აღტყინებამ მოიკცა ქალ-თა ის მცირე გუნდი. მერე ის იყო 1905 წლის რევოლუციამ დიფრგანია. იტას ქალთა წრეში ერთბაშად შეიჭრა რევოლუციის ეს ქარიშხალი.

იმ პარასკევ დღეს იტას მეთაურობით ქა-ლთა აჯანყება მოეწყო ნოღაღველი ვაჭრების წინააღმდეგ შეესივნენ ქალები ბანკელი და მა-რტიველი ვაჭრების დუქნებს და საჯაროდ დაუწყეს ყველა გასაყიდ საქონელზე ერთიანი ნიხტი. იუკადრისეს ეს ვაჭრებმა და მღაზიები დაეტეტს, ნოჭრები დაითხოვეს.

მეორე დღეს ბიბლიოთეკაში ქალთა კრება მოიწვიეს და დადგინეს გაცხნათ მღაზიები და დუქნები, თვითონ ჩამდგარიყვნენ ნოჭრებად და თავად გაეყიდათ დაწესებულ ფასად საქო-ნელი. ისევე შეესივნენ ქალები დუქნებსა და მღაზიებს, ვაჭრებს ძალით გააღებინეს დაკე-ტილი დუქნები. ახლა თავად ჩადგენ დახლიდა-რებად ქალები და ვაჭრობა გააჩაღეს. მერე ის იყო მორიგდენ ვაჭრები და აჯანყებული ქა-ლები. ვაჭრებმა პირობა დადეს, რომ დაწესე-ბული ნიხრებით გაეყიდათ საქონელი. ამ პირო-ველმა გამარჯვებამ გაათამაშა ქალთა საზოგა-დოება, სწორედ იმ დღეებში გამოჩნდნენ მარ-ტიველი გივი გეგეჭკორი და ჰაბურთული და ახლა მათი დავალებით კერავდნენ იტა და მისი დობილები წითელ დროშას, მოწყალების დებისთვის ხალათებს.

იმ დღით კი გივი გეგეჭკორი ჰაბურთულთან და მის მეუღლე იტასთან ერთად აჯანყების მო-წყობის გეგმას აზუსტებდნენ სამაზრო კომიტე-ტისაგან მიღებული მითითების შესაბამისად. იტა ვერ ისვენებდა. ყველა წვრილმანი გულთან მიჰქონდა, უზომოდ აღგზნებული იყო, ხან თავისთვის იმეორებდა, ხან ხმამაღლა:

— იზა, იზა, მოვედა ეამი შურისძიებისა, ყველას, ყველას გავუსწორდებით, ვისაც შენს სიკვდილში წვლილი უდევს.

დინჯი და დაკვირვებული გეგეჭკორი ამშვი-დებდა მეუღლეს, მაგრამ ვერას გახლა უზომოდ აღგზნებულ მეუღლესთან. ამ დროს ჰაბურ-თული ჩაერია საუბარში: დიახ, შური უნდა ვი-ძიოთ, არავის, არავის არ უნდა ეპატიოს დანა-შუთი... უცბად მიხვდა ჰაბურთელი, რომ ოჯახურ საქმეებში ერეოდა, და რომ ცოლ-ქმარი მარტო დაეტოვებინა, გადაწყვიტა გასცლიდა იქაურობას და სთხოვა გივი გეგეჭკორს, მე ამა-

დამ ნახუნაოში უნდა წავიდე, ჩემი ბიძა... უნდა მოვინახულო, თან იქაური ამბები უნდა შევიტყო, ხვალ გამოთენისას აქვე გავჩნდებო. ესა თქვა და უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას.

ახლა კი ასე უზომოდ აგორებული და მოზღ-ვავებული გრძნობა, ვეღარ შეიკავა, ნიღვარი-ვით მიუშვა იტამ.

იზა, ჩემო იზა, შენთან მოსვლა დამაგვიანდა. რა გქნა, ჭკარ შენს მკვლელებზე უნდა ვიძიო შური და როცა სასტიკად გავუსწორდები შენსა და ჩვენს მტრებს, მაშინვე შენსკენ გამოვიტყე-ვი, წითელ ყვავილებს მოგიტან, რადგან შენ ისე არაფერი არ გიყვარდა, როგორც ყვავილე-ბი. ჰოდა, მე ბევრ, ბევრ ყვავილს მოგი-ტან ჩვენი გამარჯვების სიმბოლო — წითელ ყვავილებს. მოვალ, დავიჩოკებ, გეამბორები შენს საფლავს და ჩამოგაძახებ, სიხარულით ჩა-მოგაძახებ, ჩემი შეილის მკვლელები აღარ არიან ამ ქვეყნად, ჩვენ შური ვიძიეთ, შური ვიძიეთ მათზე...

ისევ ამშვიდებდა გეგეჭკორი მეუღლეს. არა-ლეგალური ცხოვრების, გადასახლების, პატიმ-რობის მკაცრი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი გეგეჭკორს. მას გახუნებული პაჭკის ქვეშ ლუჩავი გრძელი ხალათი ეცა, მოქსოვილი, და-გრებილი ფონებინი სარტყელით შეკრული. გრძელი, გადაღარცხნილი, შეთთრებული თმა მხრებამდის ჩამოშვებული ჰქონდა. ეს ჭკვიანი რევოლუციონერი, მანაურობაში უღარესად მორჩილი, ნაზი და ფიანო იყო. იგი მშვიდად ეუბნებოდა ცოლს: ჩემო იტა, ნუ დაივიწყებ, რომ ბრძოლა მძიმე და ძნელი იქნება. მტრები აღვილად არაფერს დაგვითმობენ. ბევრი, ძალ-ზე ბევრი მსხვერპლის გაღება დაგვიკრძაბა, მაგრამ რაკი ვიცი თავისუფლების საქმეს უნ-და შეეწიროთ თავი — წარბმუხბრულად გა-ვალთ ხვალ ჩვენ ბრძოლის ველზე. მე მჯერა, რომ გავიმარჯვებთ, უმეველად გავიმარჯვებთ, დღეს იქნება ეს თუ ხვალ... ფაქტია, რომ ეს მოხდება, აი რა უნდა ვიწამოთ ჩვენ, ჩემო იტა, ეს უთხრა და ცეცხლის მტრქვეველი თვალები შეანათა მეუღლეს.

შიში გამქრალიყო, შიში დაძლეული იყო. გათამამებული და აფრაშლილი იმედი მეფობ-და გეგეჭკორის ოჯახში. ეს იმედი გიზვიზებდა ერთგული ცოლ-ქმარის გულშიც. აღგზნებული იტა ისევ იგონებდა:

— გივი, შენ ხომ იცი, რომ მე, იზას სიკე-დილის შემცნეს, ციმბირში სიცოცხლე აღარ მინდოდა, ჩემს თვალში ფასი დაცარა თვით არსებობამაც. შენ... მითხარი მაშინ, ახლა ჩვენ რომ თავი მოვიკლათ, ეს ნიშნავს ბრძოლის ველოდან გაქცევას, მეგობრობის ლალატს, ჩვენი წმინდა-თა-წმინდა იდეის ლალატს... ბრძოლის ველს

სამრგი შილაია
შვილები



ლაჩრები სტოვებენო... მე მაშინ ვერაფერი გითხარი, რადგან ვარს გვეხევიდნენ გადასახლებაში მყოფი ნაცონბნი და მეგობრები... მაგრამ ჩემი გონება ერთბაშად განათდა და მე ვიწამე შენი სიტყვები, ვიწამე, რომ დამშვიდებით სიკვდილს აზრი არ ჰქონდა, რომ ჯერ სამაგიერო უნდა მიმეზღო ყველა იმისათვის, ვინც ჩემი შვილი მოკლა, ვინც თავისუფლებისთვის მებრძოლ ათასებს საპყრობილებებში აღპობს და სახრარობლაზე ჰკიდებს. შენ, შენ გამიღვიძე, ჩემო ვანუყერლო მეგობარო! გადასახლებაში დაფერვდილი მებრძოლი სული. და მე ვხედავ მადლობელი ვარ განგებისა, რამაც მაშინ ჩვენ გადაგვარჩინა: შენ ჩემსავით ვულშოკულშმა მამამ ვაღვიძე ჩემს ვულში ნაპერწკალი, რომელიც

— გივი, ჩემო გივი, მე ვხედავ, თვალწინ მიდგას ატირებული და აცრემლებული ჩვენი იზა, იმ დამეს, ჩვენ პირველად რომ დავეპატიმრეს... ის წითური პოლიციელიც, რომელმაც უხეშად ჰკრა ხელი ატირებულ ჩვენს იზას. დიახ, მე ახლა თვალწინ მიდგას ჩვენი იზა და ის ვეამხნევეს, ვაქეშებს, ვეცაბის ხალხის სამსახურს შეველით ჩვენი დღეები და ჩვენ არ გვეშინია, რადგან სიშარბულ ჩვენს მზარეზა.

— არა, მე ამაღამ შევ კაბს გავიხდი და თვარს ჩავიცვამ, იმიტომ, რომ ზვალ დღება ის დღე, რომელმაც უნდა მოგვიტანოს ბედნიერება. ჩვენ ზვალ ბრძოლის ველზე გავალი, ჩვენ ჩვენი პატიოსანი და თავდადებული, ულამაზესი და უმშვენიერესი საქმისთვის — აღამიანის თავისუფლებისთვის მებრძოლი. ჩვენ — დედები და მამები, ქალიშვილები და ჰაბუკები, მილიონობით წამებულნი და ტანჯულნი შევეტეოთ იმით, ვისაც სძულს თავისუფლება და აღამიანი, იმას, ვინც უსირცხვილოდ ცხოვრობს სხვისი შრომით და ქურდობით. რაკი მათ არ ესმით, თუ რა დამამკრებელი სახელია იყო სხვისი ჰონების მომტაცებელი და ქურდი, ძალით, ვავაგებინებთ ამას. ხვალ იარაღ ავიღებთ ხელში და ხმამაღლა დავძახებთ: სიკვდილი მით, ვინც გვისპობს სიხარულსა და სიკოცხლს...

ნახუნაოსაკენ მიმავალი ჰაბურთელი იმ საღამოს ფერობდა:

— არა, ასეთ ჰალს პირველად ვხედავ! იტა — ით ვინ არის იდეალური ჰალი... იტა! იტა! როგორ ამშვენებს მას ეს თავშეწირვა იდისადმი, მერე როგორ არ უშლის ეს მას ხელს ისევე გაიყვებოთ უყვარდეს ჰმარი და ოჯახი! არა, ეს სხვანაირი ჰალია, ახალი დროის ჰალი! ასე მგონია ყველა ჰალზე ულამაზესი ის არის, ვისაც სული თავისუფალი აქვს ეგოისტური ზრახვებისაგან და მზად არის თავისი კალთა გადააფაროს ხალხის ბედნიერებას... დიახ, დიახ, სიკოცხლ, თუ აღამიანებისათვის არ ზრუნავ, თუ დიდი იდეალები არ გვაჩინია, უშინაარსო ფრახაა. მემჩანური ზრახვებისაგან თავისუფა-

ლი ოცნებები აღამაზებს იტას სულს, ყველაფერს რომ აღტაცების ღირსია იტა, ახტაცაქმრეა პატივისცემისა! ესა თქვა და უმაღლე საღამოე მოგაონდა. თვალწინ ამაყი საღამოე დადიანი დაუდგა და ტანში უცნაურად შეაეროკო...

— იყო აპრილის აღდგომის დამეს მარტივილი მონასტერს უმარაყი ხალხი მოაწყდა, მათში ცოტანი როდი იყვნენ შეიარაღებული წითელ-რაზმელებიც. შეფუცხუნდნენ მონასტრის მონავეურნი, კაცი აფრინეს რაიონის პოლიციასთან, მაგრამ ამაღ, მნათეე ყურში ჩაუჩრებულა მღვედლშთაქარს, პოლიცია რაიონიდან გახიზნულაო.

სალოცავად მისულ ხალხს ვერ იტევა მონასტერი, ვარეთ კი შეიარაღებული რაზმელები ჩრემად იღვეს და ნიშნს ელოდნენ...

— განთადისას, როცა იესო ჰქისტეს დიდი ხატი ვარეთ გამოიტანეს და ლიტანია დაიწყო, მონასტრის მონგრეულ ვალავანზე ჰყო ჰაბურთელი შედგა და ხმამაღლა მიმარბა ხალხს.

— ხალხო! სმენა იყოს და ვაგონება...

— ის იყო დაფაქურდნენ რაზმელები, მთელი ხალხი ჰაბურთელისკენ შემობრუნდა. წრე შეიყრა და, როცა ხალხი გაინაბა, ჰაბურთელმა სიტყვა მისცა გივი გეგეჰკორმა. გიგეჰკორმა დინქად დაიწყო:

— მძებო და ახანაგებო! დადგა ნანატრი დღე, მთელს ფვალუწვდენელ რუსეთში ჩაღდება მშრომელთა ბრძოლა, ბრძოლა დაუზოგავი ცარიზმის დასაშობად. აღდგა მთელი იმპერია. ცეცხლშია გახვეული პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, თბილისი, ბაქო, როსტოვი და რიგა... ჰალაქების კვალბაზე აღდგა სოფლებიც, ახლა რუსეთის იმპერიის ნახევარზე მეტი აჯანყებულთა ხელშია, რევოლუცია გრგვინავს და ამაყად ფრიალებს წითელი დროშები. რა უნდა ვაგოთოთ ჩვენ ამ დროს? — მღელვარებით იკითხა გეგეჰკორმა და ის იყო გრძელი ჰოხის ტარზე წამოცმული ორი წითელი დროშა აღიმართა. ერთი ამთვან უტუ მქიავას ნაქონი დროშა იყო, რომელსაც სათუთად ინახავდა მისა მებუეკის შვილიშვილი, მეორე კი წინა დღეს გეგეჰკორის მეუღლეს თავის დობილებთან ერთად დაემზადებინა.

— ახლა ამ დროშების ფრიალს ამაყად შეხედა გეგეჰკორმა და ხმამაღლა დასძახა:

— დიახ, ჩვენი ყიფინა უნდა შევეერთოთ აჯანყებულთა ხმას: ძირს თვითმპყრობელობა, ვაუშარქოს რევოლუციას, ვაუშარქოს შეიარაღებულ აჯანყებას! მტრინგზე პროპაგანდისტი გეგეჰკორი დარწმუნებით ამტკიცებდა — ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანიაო.

მარქსისტულ-რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე გეგეჰკორი — ახლა ყოველ ფრახას ზუსტად წარმოთქვამდა.

— ჩვენ კლასობრივი პრინციპით ვხელმძღ-



ვანელობით. ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობა დაჩაგრული კლასია. დოვლათისა და ყოველგვარი სიკეთის შემქმნელი უმრავლესობაა, მათი შექმნილი დოვლათის პატრონი კი — უმცირესობა. ჩვენ გვინდა ეს უმრავლესობა იყოს ქვეყნისა და მათ მიერ შექმნილი დოვლათის ბატონ-პატრონი. ამ უმრავლესობას უნდა ჰქონდეს ძალა-უფლება ხელთ, რომ ამ ქვეყნად ბოლო მოეღოს ბორცვებს. მიწა — მიწის მუშას, ქარხანა — ქარხნის მუშას — ეს არის ჩვენი ლოზუნგი, ეს უდევს საფუძვლად ჩვენს მოქმედებასაც. ჩვენი ეს კლასობრივი პრინციპი შეუთავსებელია მდიდრების მიმართ ლომობერბასთან. ეს ვებატონები — მემამულეები და ფაბრიკა-ქარხნების პატრონები ნებით არაფერს მოგვეცემენ. მის ძალით უნდა მოვიპოვოთ ეს ძალა-უფლება. და აი აქ ჩვენ ვმორბებით ქრისტიანობასა და ტოლსტოიზმს, რომელიც ქადაგებს, თუ ერთ ყბაში შემოგვრეს, მეორე ყბა უნდა მიუშვიროს. არა, ჩვენ ამას არ ვიზამთ, როდესაც ერთ ყბაზე გვირტყამენ, ისე უნდა გავორტყათ მოწინააღმდეგეს, რომ მადა დაეკარგოს, ხელშეორედ რომ შემოგვიბრუნოს ხელი. ბრძოლით უნდა დავანგრეთ ძალადობაზე აგებული ექსპლოატატორული საზოგადოება. ტყუილია, ტყუილია, კაცმა არ უნდა შეიბრალოს მტერი! ჩვენ სიმუღლოც ვიცით და სიყვარულიც. მაგრამ აქაც კლასობრივი პრინციპით ვსარგებლობთ.

ხალხმა იგრილა: — დაცეხოთ ჩვენს მტრებს! შეკრებილთა აღფრთოვანებამ და გამაყრუებელმა ვაშამ დაფარა გეგეკორის სიტყვები. ხალხი დაწყნარდა თუ არა, ვილაცამ დაიყვირა: აქეთ მოიტანეთ ხატი, აქეთო. ქრისტიან დიდი ხატი მნათესა და დიაცვანს ხელიდან გამოკლიჯეს, რაზმელებმა და გეგეკორისა და ჰაბურთელის წინ აღმართეს. ჰაბურთელმა ძველებურად დაივარგინა:

— დაიჩქეთ და დაიფიცეთ ამ ხატზე, რომ არ უღალატოთ ჩვენს საერთო საქმეს!
მთელმა ხალხმა დაიჩქა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ვფიცავთ ერთობის საქმეს!..

ამ სურათის შემყურე სალომე დადიანს ბოლო აღრჩობდა. სურდა ხმამაღლა ეყვირა უმეხი სიტყვებით ჰაბურთელისათვის, მაგრამ ვერ გაბედა და ამ აბოზორებულ, აზღვავებულ ხალხს უსიტყვოდ გაეცალა თავისი ქალიშვილი. მათ გვერდით მდგომი ეპისკოპოსი და მღვდლები კი მონახუნებთან ერთად ეკლესიაში შევიდნენ...

ჰაბურთელი ისევ ტრიბუნაზე იდგა ქადაგად ქცეული:

— მშებო, ახლა ეს წითელი დროშები წინ წავიმძღვართ და ნოღალეც მივაღვეთ. ჩვენი საერთო საქმე იქ განვაგოთ! — ეს თქვა და გეგეკორთან ერთად ძირს ჩამოვიდა.

უთენია დილით ეს ამბოხებული ხალხი ვილის ფერდობით ძირს დაეშვა. საცალკეოდ დაკლავნილ გზაზე წითელ რაზმს წინ წითელი დროშა მოუძლოდა, ეს დროშა იფანე გეგეკორის მოჰქონდა. უკან მიხა მებუტის შვილს უტუს ჯარის ნაქონი დროშა აღეძარათ. ამ დროშებს გეგეკორი და ჰაბურთელი და იტა მოჰყვებოდნენ. მათს უკან წითელღუნებთან, შეიარაღებული რაზმელებმა და თეთრ ხალთებში გამოწყობილი მოწყალების დები ამაყად მოაბიჯებდნენ. სულ უკან კი მარტვილში სალოცავად ამოსული ხალხი დასდევებოდა წითელ რაზმელებს...

ნოღალეცში პირდაპირ კანცელარიის ბინას მიადგნენ. შიგ არაფერს დახვდათ. გეგეკორმა და ჰაბურთელმა მამსახლისის ოთახი შეაღეს და წითელმამუღდადაცარებულ მაგიდას მიუსხდნენ. რაზმელებმა ერთდროულად კანცელარიის აივანზე და ფოსტის შენობაზე წითელი დროშები გადმოჰკიდეს. ახლა მამსახლისის ოთახიდან იძლეოდა განცარგულებებს მარტვილის რაიონის აქანუების შტაბი. ამ შტაბის მეთაურობით მარტვილში დაწყებული გლეხთა აქანუების ალი რაიონის სოფლებს მოედო.

იმ დილით ქუთაისის კომიტეტის მიერ გამოგზავნილ ფოსტას სინჯავდა გეგეკორი, ამ ქაღალდებში „მოგზაურის“ ნომრებიც ეკია. გეგეკორი „მოგზაურის“ კითხვას შეუდგა:

„მოგზაურის“ (№ 15, 1905 წელი 24 აპრილი) კვირის ნომერში რევოლუციის ამბების ერთმანეთის მიყოლებილ იყო დაბეჭდილი. აქვე იყო ევატერინე ჰავეკაძის ორი ნაფუძარის ამბავი:

„ს. გორდი (სამეგრელო) გლეხების მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. ამას წინათ მოიყარეს თავი ეკლესიის მოედნის წინ რამდენიმე ათასმა კაცმა, მღვდლების ნებართვით გააღეს ეკლესიის კარები და ერთმანეთს შეხვეციეს „იბრძოლონ სისხლის წვეთამდე თავისუფლებისათვის“. გაფიცვის შემდეგ გამოვიდნენ ეკლესიიდან „მშობა-ერთობის“ სიმღერით და თავთავიანთ სახლისკენ წავიდნენ. ასე ამნაირად გაიფიცეს ს. ნოდის, ლევის, კინჩხის, დიდ დღეაბუნის, ტუშკის გლეხები.“

მეორე დღეს ზემოჩამოთვლილ სოფლებს სხვა სოფლებიდანაც მოემატნენ გლეხები. განდევნეს მთავრობისაგან დაყენებულ მეჭრთამე მოხელეები: მამსახლისი, მწერალი, საგლეხო სუდები და სხვები. მათ მაგიერათ ხალხმა აირჩია ათისთავები და ასისთავები. ახალმა მმართველებმა უწინარეს ყოვლისა მიეცეს ხელი ოთხი წლის გაუქმებული გზის კეთებას. უგზობის გამო დიდ გაცირებაში იყო ჩავარდნილი ხალხი. გამოიწვიეს წოდების განურჩევლად მუშები, რომელთა რიცხვი ოთხასს ჰკრებოდა, გზე-

სარგო ზილბაი
შპილზნი



საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრები

ბი ბუმბუსს ხიდიდან გორდამდის მშენივრად გააკეთეს. (ზოგიერთმა აზნაურმა იუკადრისა მუშაობა) გააკეთეს აგრეთვე სამეზობლო გზები. ხუთი წელიწადია ხიდი დანგრეული და გაფუჭებული იყო, მაგრამ დღემდის მის გაკეთებას არაფერი არ ეშველა. რამდენჯერმე სთხოვეს ბოქაულს ამ ხიდის გაკეთების ნაცვლად ცემა-ტყეებითა და ლანძღვა-ვიგებით გამოისტუმრა შინისკენ მთხოვნელები. დღეს, რაც რომ „თავისუფლების“ შექმა აქაც შემოანათა ახალმა მმართველებმა ბოქაულის დაუკითხავად მშენიერი, მაგარი ხიდი გააკეთებინეს.

წინათ, როცა მამასახლისი განაგებდა საზოგადოებას, ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხშირი იყო და ეხლა კი ქურდობისა და ავაზაკობის არაა ისმის ჩვენს საზოგადოებაში.

„ს. წინანდალი (თელავის მახრა). 30 მარტს თავი მოიყარა ერთად მთელმა წინანდლის საზოგადოებამ, რომელსაც შეადგენს ს. ქვემოზოგადამდის, ბუბათის და ვანქის გლეხობა. მათ ხელში ჰქონდათ ჭაღალაზე აღნიშნული თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელიც შეამოწმებინეს მამასახლისს, შემდეგ მიმართეს შემამულეებს ხელის მოსაწერაი, ს. წინანდალში დაკეტეს კანცელარია, ხოლო ვიდრე ბეჭედს დამკრავდნენ გამოიტანეს ხელმოწერის სურათი, რომელიც კანცელარიაში ეკიდა და ლუკმალუქმად აქოცეს შემდეგი სიტყვებით: ეს არის ჩვენი დამლუბველი, სისხლის მსმელი, მიზეზი ყოველივე უსამართლობისაო და სხვ. მივიღენ საუფლისწულო მამულში და გამოითხოვეს იქიდან ყველა მუშები და მოსამსახურეები და უთხრეს: თქვენ უნდა მხარში ამოგვიდგეთ და ვიბრძოლოთ ერთი ძალით უსამართლობის წინააღმდეგო. ამის შემდეგ გამოუტანეს მმართველ (საუფლისწულო მამულისა) და საზოგადოებს ხელი მოეწერათ იმათ მოთხოვნილებებზე. უფროსმა ბევრი იყოყმანა, მარა ბოლოს ისევ მოუხდა ხელის მოწერა. აი გლეხების მოთხოვნა: უერთდებით თელი რუსეთის მუშათა მოძრაობას, ვთხოვლობთ:

- 1) მოისპოს გლეხთა დროებითი ვალდებულება და ხიზნობა. მათი ნაღლეები მათ უსასყიდლოდ სრულ საუთურებად გამოცხადდეს.
- 2) ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა-ადგილები, რომელიც მათ ჩამოეღოთა ბატონყმობის ვაჭქმების დროს. (ტყე, საბალახო, წყალი და სხვ.).
- 3) საეკლესიო და სახაზინო გლეხებს საუთურებად მიეცეს ის ადგილები, რომლთაც დღეს ისინი სარგებლობენ.
- 4) მიწის დალი არ უნდა აღემატებოდეს მთელი მოსავლის მეთედს. შემამულემ თავისი წილი თავისი ხარჯით უნდა წაიღოს.
- 5) დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადაიხადეს თავის დახსნით, ანუ ხარჯების გადახდისათვის. ეს ფული უნდა ვახდეს

საეკლესიო და საუფლისწულო მამულში ართვე იმ თავდაზნაურთ, რომლებმაც ამ გადასახადებით ისარგებლეს. ყველა ამ ფულით უნდა დაარსდეს ცალკე ფონდი საქორების დასამაყოფილებლად.

- 6) ამავე ფონდის მისამატებლად გლეხებს დაუბრუნდეს სამალაზიო გადასახადი სარგებლობით.
 - 7) მოისპოს ყველა ბეგარა შემამულეთა სასარგებლოთ, როგორც მაგალითად: ძღვნის მიტანი, გუთნის, ხარ-ურმის მოხმარება და სხვ.
 - 8) ეკლესიის ყარაულობა დაევალოს ეკლესიას, გზების კეთება ყველა წოდებას.
 - 9) მოისპოს დრამის და სხვა ყოველგვარი გადასახადი მღვდლის სასარგებლოთ. ეკლესიის ხარჯი იმათ გასწონ, ვისაც სურთ.
 - 10) მოისპოს ყოველგვარი ბავები და გადასახადები და შემოღებულ იქნას გადასახადი შემოსავლისდაეკვალად, ე. ი. ვისაც 500 მან. ნაკლები შემოსავალი აქვს სრულიად განთავისუფლებული იქნას.
 - 11) სახელმწიფო ტყეები და სახელმწიფო ქონება გადაეცეს გლეხთა საზოგადოებას თავის სასარგებლოდ.
 - 12) წოდებათა ვაჭქმება და ფართო თვითმმართველობა, როგორც სოფლის ისე მხარის, თვით ხალხი უნდა იჩრევედეს თავის მოსამართლეს და მმართველს და უეციდეს თავისივე საქმეს.
 - 13) დაწესდეს უფასო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება. ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე.
 - 14) სრული თავისუფლება: სენდისისა, სიტყვის, ბეჭედის, კრების, გაფიცვისა და კავშირის.
 - 15) პიროვნებისა და საცხოვრებელი ბინის ხელუხლებლობა.
 - 16) მუდმივი ჯარის ვაჭქმება ხალხის და საყოველთაო შეიარაღება საქორებისათვის.
 - 17) განცალკევება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიისაგან.
 - 18) დამფუნდებული კრება ხალხის მიერ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი კენჭისყრით არჩეულ პირებისაგან.
- გივი გეგეჭკორი ხამაილა უკითხავდა თავის თანამებრძოლებს „მოგზაურში“ გამოქვეყნებულ ამ კორესპონდენციებს. ერთგულ მეთაურს თანამებრძოლები კმაყოფილებით უსმენდნენ და თან რეპლავებით აძლევდნენ დასტურს: „კარგად მოქმეტულან, ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ“. იმავე საღამოს გადაწყვიტეს ამ რაიონის ყველაზე დიდ შემამულეებს — მიურატებს მისდგამოდნენ და „მოგზაურში“ დაბეჭდილი მოთხოვნილებების მსგავსად მათთვისაც ვარკვეული პირობები წამოეყენებინათ. მეორე დღესვე გეგეჭკორმა და ჭაბურთელმა სალხინოელი გეგელია ჩაუყენეს წიგლ რაზმელებს სათავეში და დავალებით ვაგზაენეს სალხინოში. 30 აპრილს გეგელების რაზმი



საღვინოს სასახლეს მოადგა. რაზმელებს საღვინოს აჯანყებელი გლეხკაცობა შეუერთდა: ამროლის იმ დილას ათასამდე რაზმელმა და საღვინოს ახლო-მახლო სოფლებებმა თავი მოიყარეს სასახლის ეზოში. ეს დაბეჩავებულთა არმია ქუჩებში, მოედნებზე, ორღობებში გამოსულიყო და სტიქიურად ირაზმებოდა რევოლუციის მიერ აღმართული დროშის ქვეშ. იწამეს ბრძოლის გზა და ახლა პირისპირ იდგნენ მთელ ამ კუთხეში ყველაზე მდიდარი და ყველაზე მყველფელი მემამულეების — სამეგრელოს სამთავროს წამოყრების — მიურატების სასახლის წინ. რაზმელებს ჩვეულებრივი სოფლური ტანისამოსი ეცვათ — ტილოს შარვლები და ტილოსივე შავი ბლუზები, კობტად მორგებული წაღები. მკლავებზე წითელი ლენტები ეცვათ. დანარჩენ ხალხს უფრო ღარიბულად ეცვა. ჩვენებური გლეხი, რაგინდ ღარიბი ყოფილიყო, საზოგადო შეკრებებსა და საეკლესიო დღესასწაულებზე სუფთად იცვამდა. აქაც სუფთად ეცვათ, მაგრამ — ღარიბულად. აქ იყვნენ: სახეზანგველიანი, ქალმანებიანი მოხუცები, შინ მოქსოვილი ხაშის საცელებიანი, შავთავსაფრიანი, ასევე ხამისკაბებიანი სახედანაოკებული მოხუცი ქალები. სახელოამოხეფული ახალგაზრდები, პერანგისამარა ფეხშიშველა პატარები. ზოგი ჩოხაახალშვიდა იყო გამოწყობილი. ამ ბრბოში სეროთუკიანი ვაჭრებიც ერივნენ. გლეხები ნაქახით, წაღდით, თოხებითა და ჭოხებით შეიარაღებულნი მოსულიყვნენ, ამბოხებულნი იმათ წინააღმდეგ, ვისაც მთელი მიწა, მთელი სიმიდირე ამ კუთხისა ბელთ ჰქონდათ ჩაგდებული.

ამ დროს დიდი ჩოჩქოლი ატყდა. პრინცესამ ფანჯრიდან გაიხედა და გაშუშდა: შოგ მოედანზე შემოიყვანეს, კი არ შემოიყვანეს, შემოიტანეს, ვირზე შემჯდარი მამაკაცი. ეს კაცი უკუღმა შეესვათ ვირზე. ვირზე გადალაგებული გრძელი ფეხები ქვემოთ ბაწრით შეეკრათ, ბაწრითვე გაეთოკათ ხელები და ზურგზე ძროხის მოჭრილი თავი მოებათ... თავზე დიდი ბოხობის ქელ ისე ჰქონდა ჩამოფხატული, რომ სახე აღარ უჩანდა, მაგრამ მაინც იცნეს და ხმამაღლა იყვირეს, გიორგი ბატონიშვილი, გიორგი; ნაბრძანებსა და ნაყვირებს, ბოღმამორეულსა და არაქათგამოლეულს, ვირზე დეკორულ ბატონიშვილს, არაფრის თავი არ ჰქონდა, ხმას არ იღებდა, გვერდით თოფგადიადებული რაზმელები მოყვებოდნენ, უკან კი ასამდე ქალი და კაცი მოსდევდა და ქოქოლას აყრიდა გულქვაობით ცნობილ ბატონიშვილს... რაზმელებმა მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარაო, იქვე ცაცხებზე შიბებს ვირზე შემჯდარი ბატონიშვილი...

რევოლუციის თვალუწვდენელი ზღვა ბობოქრობდა, დედაცა რუსეთის მთელ იმპერიაში. ამ სოფელში დაწყებული ეს აჯანყება ამ ზღვის ერთი ტალღა იყო. და მასში ისე აი-

რეკლა ყველა ღირსება და ნაკლი პირველი რევოლუციისა, რაგორც ერთ ჰქია ზღვის წყურფურში ში გამოვლინდება მთელი ზღვის ნიშან-წყობები...

ივანე გეგელია გამოეყო რაზმელებს, სასახლის აივანზე ავიდა, მიურავს გეგეჭკორის ხელით დაწერილი რაზმელების მოთხოვნებიც წარუდგინა და უბრძანა ესაღებ შედით და დედოფალმა ამ ქალადზე ხელი მოაწეროსო. მიურავმა უსიტყვოდ შესარულა გეგელიას ბრძანება. მოთხოვნებიც ლუკიანემ ხმამაღლა წაუკითხა სალომეს. იქ ეწერა, საღვინოს მიურატების მამულები და ტყეები გლეხისა საზოგადოებას გადაეცემათ თვის სასარგებლოდო. ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მამულები, რომლებიც მათ ბატონყმობის გაუქმების დროს ჩამოეკლათ. შემდეგ ამას ბეგარების, ბაყების, ეკლესიის ხარჯების გაუქმების პირობა მოსდევდა...

მოსიმინა თუ არა რაზმელების ეს თხოვნა, სალომე აღენათ. მის ძარღვებში ძველებური დადიანის სისხლი აჩქეფდა და ჩაფრებს უბრძანა, კინწისკერიც ვაადღეთ ეს რაზმელებიო.

ჩაფრები ლეკი ნუხის მეთაურობით ნაპოსანგან პეტერბურგიდან წამოყვანილი რუსეთ-იპონიის ომის მონაწილე ჯარისკაცები იყვნენ — სასტკინი და დაუნდობელნი. ჩაფრები დაფაქურდნენ თუ არა, რაზმელებმა იქვე განაიარაღეს და ხელფეხშეკრულნი სასახლის ბოსტანში შეაგდეს. მცველად ერთი რაზმელი მიუჩინეს. და რაკი სალომემ რაზმელების მოთხოვნებს ხელი არ მოაწერა, გეგელიამ ბრძანა, პრინცესა, მიურავი და ყველა, ვინც კი სასახლეშია, დააპატიმრეთ და წამოსახითო. გეგელიას კარგად ახსოვდა დადიანების უსამართლობა, ქვების ტყესთან დაეავი რომ გამოიჩინეს ნიკომ და სალომემ და ამიტომაც ახლა დაუნდობლად უსწორდებოდნენ მემამულე-ბატონებს.

რაზმელებმა სალომე, ბებე, ლუკიანე, მიურავი და სხვანი სასახლიდან თოფებშიშვერილნი ძირს ჩამოიყვანეს, წისქვილთან მიიყვანეს და შეგებებულ მდინარის წაჩხურის პირას დააყენეს. ისევ უბრძანა გეგელიამ სალომეს:

— ხელი მოაწერეთ ამ ჩვენს მოთხოვნას, თორემ იძულებულნი ვიქნებით სხვანაირად მოგექცეთო. სალომემ უარის ნიშნად ხელები გაასავსავა, მაშინ გეგელიამ ბრძანა, ახლავე სათითაოდ ფეხი გახადეთ ამ ბატონეცემულ ბატონებს და წაჩხურათ ჩააყენეთო. მაშინ კი ლუკიანე გამოეყო დატყვებულთა ჯგუფს და ასე უთხრა გეგელიას:

— არა, რაკი ასეა, ჩვენ თანახმა ვართ.

ლუკიანემ დედის მაგივრად ხელი მოაწერა რაზმელების ქალღალს. გეგელია მოღალა, ქა-

სმარტი ვილანი
შვილიანი

ღალდი ხელთ აიღო და ისეც უბრძანა რაზმელებს:

— უკან წაასხით ეს ბატონიშვილები. მათ ნება ეძლევათ იცხოვრონ სასახლეში, ოღონდ ერთი პირობით: სასახლის ეზოდან არ უნდა გავიდნენ, მათი კანცელარია კი, მოურავის მაგივრად, ამიერიდან რაზმელებმა უნდა განავონ. გველია რაზმელების ჯგუფს წინ წაუძღვა, სასახლეში კანცელარიად მიჩნეულ ოთახში თვითონ შევიდა, იქიდან თავის ხელით გამოიტანა ხელმწიფის სურათი და ძირს ვაღმოაგდო. შემდეგ, აივნიდან ვაღმომღვარა, ბრძანება გასცა სალხინოს მამულში მომუშავე ყველა მუშა და მოსამსახურე ამიერიდან ჩვენს ბრძანებას დაემორჩილებიანო.

თვითონ ამ კანცელარიაში დაიღო ბინა გეგელიამ, ხოლო 10 რჩეული შეიარაღებული რაზმელი სასახლის მცველებად დაიყვნა. თავის თანამეგობრად თოდუა დანიშნა და საქმის განრიგებას შეუდგა. ასე გახუნენ გეგელიას რაზმელები დადიანების სასახლისა და მთელი სალხინოს საზოგადოების ბატონ-ბატონნი. მათ უშუალო კავშირი, ჰქონდათ მარტვილის კომიტეტთან, რომელსაც გვიგეგელია და ჰქონდათ კაბურთელი მეთაურობდნენ.

ხალხში მთვლენარე ეროვნული ენერჯია ერთბაშად გამოაღვიძა რევოლუციამ. თავმოყრილ და ერთპირად ქცეულ მშრომელი ხალხის ეროვნულ ქებას რევოლუციის ცეცხლი შეუნთო სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ. მერე ნაღვერდალი გაღვივდა, ალის ფაფარი აიყარა, საქართველოს მთასა და ბარს მოედო და გაღაბუებით დაემუქრა ძველ სამყაროს, რევოლუციისა და ხალხის მტრებს. ცარიზმა და მის ადგილობრივ სამეჭამეს. ასეთი ერთსულეობა არასოდეს გამოუჩენია ხალხს ეროვნული ენერჯია მანამდის ასე არასოდეს გამოუვლინებია, თუმცა, მხაგერელთა წინააღმდეგ უკმაყოფილება და პროტესტი წინათაც გამოუმჟღავნებია. რევოლუციის სტიქიონი მეწყვეტივით დაიძრა... ჩვენში ამას ხელი შეუწყო ერთი საუკუნის განმავლობაში ცარიზმის მიერ საქართველოს აბუჩად აგდება და ფეხქვეშ გათლივამ. ამიტომაც რევოლუციის ერთბაშად შეუერთდა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მეთაური და ჯარისკაცი. მაგრამ სულ მალე ეროვნული ძალების ეს ერთობა დაირღვა. ჯერ იყო და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ ეროვნული მოძრაობის მებრძოენი და სოციალ-დემოკრატები. მერე იყო და, თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დაიწყეს გამოიშველმა ძალებმა მოქმედება. სწორედ ამით ისარგებლა ცარიზმმა და რეაქციის ძალებმა სული მოათქვეს... სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაჩენილი ბზარი თანდათანობით გაფართოვდა და ამ ერთობაზე აწყობილი მასების მოძრაობამ წალმუჯულებმა დინება დაიწყო. ცენტრიდანაც ერთიმეორის

საწინააღმდეგო მითითებები მოდიოდა. რევოლუციის გაღვივებას მოითხოვდა, მერე იარაღის დაყრას. ასე მოხდა ეს მამაკაცების ახლა გეგეგელიასა და კაბურთელს შორის ჩამოვარდა უთანხმოება. ამ უთანხმოების საფუძველი ღრმა იყო. ისინი სხვადასხვანი იყვნენ განათლებითაც, პარტიული მუშაობის გამოცდილებითაც და რევოლუციაც შეხედულებებითაც...

იმ დღეს მათი უთანხმოება უბრალო რამზე დაიწყო: გეგელიას რაზმელებს მიურატების ჩაფრები გაქცეოდათ. ამის გამო გაჯერებული კაბურთელი მოითხოვდა: დაუყოვნებლივ დავაპტიმროთო ლეკიანე მიურატი, სუყველაფერი, რაც ახლა სალხინოში ხდება, ლეკიანეს ბრალია. გეგეგელია, პირიქით, ამტკიცებდა: არ არის საჭირო ლეკიანეს დაპატიმრება, მე რამდენადაც ვიცი, მასზე ამბობენ რევოლუციის თანაუგრძნობსო. დაპატიმრებითა და რეპრესიებით კი ნუ გაუსწორდებთ, პირიქით მოველაპარაკოთ, დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში და ეს ფრანგი ოფიცერი შეიძლება გამოგვადგეს კიდევ ჩვენს საერთო საქმეშიო. — განა ცოტა ოფიცერი მიემხრო რევოლუციას? — ამბობდა გეგეგელია. კაბურთელი ცხარობდა: — არა, არა ხართ მართალი, ჩვენი ყველაზე დიდი მტერი სწორედ ეს ფრანგი ოფიცერიაო.

რაკი სიტყვით ეკრა გააწყო რა გეგეგელიათან, კაბურთელმა იმავე საღამოს ვარულად მიაშურა სალხინოს, გეგელიასთან შეკრა პირობა და მაშინათვე შეუტია მიურატებს. კაბურთელის განკარგულებით, იმავე დღეს შეიპყრეს ლეკიანე და იმ ბოსელში გამოაშფეციდეს, რომელშიაც ჩაფრები ჰყავდათ დაპატიმრებული და საიდანაც გაიქცნენ ისინი. კაბურთელი პირადად დაემუქრა მიურატს, სანამდის ჩაფრებს უკანე არ მომიყვან, აქედან ფეხს არ მოგაცვლევიანებო. დანარჩენ მიურატებს და მათ შორის სალომეს საგანგებო ყარაული დაუნიშნა და იგავე მუქარა შეუთვალა კაბურთელმა: გაქცეული ჩაფრები ერთ ვეერაში თუ არ გამოცხადდნენ, სამაგიერო თქვენ მიგვზღვევათო. ისეც შეწყუბუღო სალომე მთლად გაღარიბა, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი. ახლა ძალუფლება კაბურთელეს ჰქონდათ...

მაგრამ სულ მალე ისევ აირია ყველაფერი. დაიწყო რეაქციის სასტიკი შემოტევა. გეგეგელიას რაზმელებმა ჯერ კინჩხისში დაადეს ბინა, ხოლო როცა კინჩხისი მარტველ-სენაკიდან გამოგზავნილმა დამსკეღმა რაზმეებმა დააკავეს, ტაბაყონის მთას მიაშურეს, მარტვილში გამაგრებულმა რეაქციის ძალებმა ახლა სალხინოს შეუტეეს და იქ მიურატები გაათავისუფლეს. ამით მთლად გაღიზიანებულმა კაბურთელმა თავისი რაზმებით ქვიბის ტყეს შეაფარა თავი და იქიდან განაგრძო პარტიზანული ბრძოლა.



იმ დღეს კაბურთელს ამბავი მოუტანეს, ვი-
ლაც ქურდ-ბაცაცას სალხინოს ფოსტა გაუტ-
ტეხავს და იქიდან დიდძალი ფული გაუტაც-
ნიაო; ეს საქმე მიურატებს მიხა მებუტყის შვი-
ლისთვის დაუბრალეზბიათ, მიხა მებუტყის შვი-
ლი ჩაფრებს შეუბყრიათ და სასტიკად აწა-
მებენ, თან კაბურთელის და მისი რაზმელების
ადგილსამყოფელს ეციხებთან, საწყალი ბიჭი
არ ტყდება და ამის გამო სასტიკად სცემენო.

იმვე ღამეს კაბურთელმა თანხის ტყე და-
ტოვა და სამი პარტიხანის ქანსლებით სალხი-
ნოს სასახლეს მიადგა. მიურატების სასახლეში
დაედოთ ბინა ჩაფრებს და მიხა მებუტყის შვი-
ლი იქვე ჰყავდათ დამწყვედი. იმავე ღამეს
მიხატებულად შეიპარა ყოფილი მიურატევი და-
ლიანგბის სასახლეში და ურდული ახსნა საჯი-
ნიბოს, სადაც მიხას ბიჭი იყო გამომწყვდეული.
ჩაფრებმა გაუგეს კაბურთელს და სროლა აუ-
ტყეს. სალომე დადიანის ოთახიდან აწილის
და სალომეს შვილი, საფრანგეთის ჯარის ოფი-
ცერი, რუსეთ-იაპონიის ომში დაჭრილი ნაპო-
ისროდა. კაბურთელმა ნიშანში ამოიღო ფრან-
გი ოფიცერი და, რომ უნდა ესროლა, სწორედ
მამინ, სალომე მოაგონდა და შაშხანა ძირს და-
უშვა. ამ დროს ოთახიდან ისევ გავარდა თოფი
და კაბურთელი იქვე წაიქცა. წამოდგომა უნ-
დოდა, მაგრამ ამაოდ — გულ-მკერდიდან სისხ-
ლმა იფეთქა, კაბურთელმა ხელი დააფარა ტრი-
ლობას, იარაღს დაავლო ხელი, მაგრამ ხელი-
დან შაშხანა გაუფარდა, მხოლოდ ამის თქმალა
მოასწრო: „დაგზოვე, მიურატო, და აი საპა-
ციეროდ რა მივიღე“. კაბურთელს უცნაური
ღამილი შეაკვდა სახეზე...

მიხას ბიჭი მივარდა კაბურთელს, მაგრამ ის
ადარ სუნთქავდა. ის იყო ჩაფრებიც გამოც-
ვიდნენ და გაქცეულ პარტიხანებს ისევ დაუ-
შინეს...

სროლა შეწყდა. ვათენებისას კაბურთელი
ჩუმად დამარხეს ჩაფრებმა, ხოლო ყოველივე
ის, რაც წუხელის მოხდა, სალომეს შეატყობი-
ნეს. სალომეს გული ეტკინა, მაგრამ ახლა თეი-
თონაც არ იცოდა, ეს ტყვილი კაბურთელის
სიკვდილის ბრალი იყო, თუ იმისა, თავისი შვი-
ლი რომ გაერია კაცთმკვლელობაში.

გააფრებული რეაქცია სასტიკად უტევდა
რევოლუციონერებს. დასავლეთ საქართველოში
გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი
არაუვის ინლობდა. გენერალი ავარსკის, დაღეს-
ტნის დაცემის გამო ქართველი გენერლების
გრიგოლ ორბელიანისა და გრიგოლ დადიანის
სამაგიეროს უბიდა უღანაშულო სოფლებსა
და ქალაქებს. მან ცეცხლი გადაბუვა გურიისა
და სამეგრელოს აჯანყებულ სოფლებში...

როცა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარი სე-
ნაკში შეიჭრა, გეგეკორი და მისი ვადარჩე-
ნილი პარტიხანები სენანთის მთებში იმალე-
ბოდნენ.

მიურატების ჩაფრები კი დაგეშოი ძალუ-
ბივით დაიქმდნენ წითელრაზმელების თავკა-
ცებს, გეგელიებსა და თოდუებს. რაკი მკაცრ-
ვერ პოულობდნენ, შურს უბრალო ხალხზე გზა-
ებდნენ: ზოგს ოჯახს უწიოყებდნენ, ვის პრო-
ხას არამეფდნენ, ვის — გოჭებსა და ქათმებს.
ისინი უმოწყალოდ ძარცვავდნენ სოფლებს,
ზოგსაც უბრალოდ, სიტყვის შებრუნებისთვის,
„ნაოხაში“ ამწყვედევდნენ. უფრო გამწვავდა
მდგომარეობა, როცა ალიხანოვ-ავარსკის დამს-
ჯელი რაზმები დასავლეთ საქართველოს მო-
ედნენ. მათმა რიცხვმა სალხინოში შეადგინა,
ახლა მთლად აიშვეს თავი რეაქციის ბნელმა
ძალემ. იმ დღეს დიდი ქონის გზაზე წითელ-
მა რაზმები ჩანიბიათ მოველათ რუს ჯა-
რისკაცებს, ხოლო იმავე საღამოს წითელ პარ-
ტიხანებს შური ეძიათ და დიდიჭონის მამა-
სახლისი დევხრიტათ. ამით გააჯერებულმა
შეარაზმელებმა იმავე დღეს სოფელ ნაბიკოლა-
ში რამდენიმე კაცი შეიპყრეს, თოფებით ერ-
თმანეთს გადააბეს და ტეხარის პირის დახე-
რიტეს. შეშინებული სოფელი აიყარა, ხალხი
ტყეში გაიხიზნა. შინ დაჩრენილი ბებრები
სახლებში ჩაიყეტნენ და გარეთ არ გამოდიოდ-
ნენ. მიურატების მუერნეობის მუშები და ში-
ნამოსამსახურნიც გადაიხიზნენ. მამინ კი იქუ-
ლებული ვახდა თვით პრინცესა ჩარუელიყო
საქმეში. როცა ადგილობრივ მოხელეებთან
ვერას ვახდა, ქუთაისში გაემგზავრა და ნება
ითხოვა თვით მე მომანდეთ სოფელიო. გუ-
ბერნატორმა დაპირებებით გამოისტუმრა სალო-
მე დადიანი. ეს იყო თუ სხვა მიზეზი, მაგრამ
მერე და მერე ნელ-ნელა კი დაუბრუნდა
ხალხი თავიანთ სახლებსა და კარშიდამოს.

გეგეკორმა უკანასკნელად შეყარა თავისი
რაზმელები, პარტიის დადგენილება გააცნო წი-
ნააღმდეგობის შეწყვეტის თაობაზე და თავის
მხრივ დაუმტა:

— რეაქცია ზეიმობს თავის გამარჯვებას, მა-
გრამ იცოდეთ, ეს დროებითია, ჩვენი გამარჯვე-
ბა გარდელვალა. არ შეიძლება, ის საზოგადოე-
ბა, რომელიც უსამართლობაზეა აგებული, არ
დაინგრეს, რა ვეყოთ, რომ ამ საზოგადოებას
ჯარი, ქრისტეს ჯვარი, სასამართლო და უკა-
ნონო კანონი ამარტებს. მაგრამ ეს ჯარი სულ
მალე შეიგნებს თავის კლასობრივ ინტერესებს,
ჩვენს რევოლუციონერებს გვერდით ამოუდგე-
ბა, ჩვენი პარტია წინ გაუძღვება. მანამდის კი,
სანამ ეს მოხდება, გულზე ხელი კი არ უნდა
დავიკრიფოთ, არამედ ვიბრძოლოთ სხვა მეთო-
დებით. ამას ზეგენ ყველაფერს თავის დროზე
შეიტყობთ ჩვენი პარტიის საშუალებით.

ესა თქვა და სათითაოდ გადაეხვია და გამო-
ემშვიდობა თავის პარტიზან მებებს... მერე ნა-

სმრგი ზილიაი
შვილიანი

ძალადეად გალიმებული გეგეჰკორი ისევ მო-
უბრუნდა თავის ძმებს — წითელ რაზმელებს
და ახლა უფრო პათეტურად დიწყო:

— ხომ ამოვარდა ქარიშხალი! ეს ჩვენი სა-
უცუნის ქარიშხალია. ჩვენ იმ ქარიშხლის მო-
ციქულები ვართ. მოვა იწრაფა და ისევ ამოვარ-
დება ეს ქარიშხალი. მას ვერავითარი ძალა ვერ
შეაჩერებს. მეფის რუსეთის დამპალ იმპერიას
ცეცხლითა და მახვილით მოვედებით ჩვენ. აი,
რა უნდა ვიწამოთ, აი რისი იმედი უნდა ვიწამო-
ნითო. — თქვა და შეგებით ამოსიქნა. კისაც
ამბობდა, გულით სწამდა და ის შეებნასაც ამი-
ტომ გრძნობდა.

რეაქციის ამ შეზნელ დროს თავად-ანაჰრო-
ბის შემარჯუნე ფრთა გვერდის ამოუღდა ცი-
რიზის დამსჯელ რაზმებს და აჩანყებულნი
გლუხაკობის მიმართ მკაცრ რეპრესიებს მოი-
თხოვდა. რეაქციონერი თავადები თანაგრძნობით
შეხედნენ გურასა და სამეგრელოში ალიხანოვა-
ავარსკის მოქმედებას. თვით თავად-ანაჰრო-
ბაში აღმოჩნდა მეორე ფრთა, რომელიც სსს-
ტიკად შეებრძოლა ამ პირწავარდნილ რეაქ-
ციონერებს, ქართული ხალხის მოღალატეე-
ბა და მტრებს, ამ ჯგუფს სათავეში დიდი ილია
ჩაუღდა.

იმ მძიმე დღეებში სალომე თბილისში ჩამო-
ვიდა. პრინცესა ყოველთვის სსსტიკორო „კავ-
კასში“ ჩერდებოდა, მაგრამ იმ არეულობის
ვამ თავის ბიძაშვილთან თამარ ბაგრატიონ-
თან დაიღო ბინა. საქართველოს დედაქალაქში
დიდი განგაში იყო ატეხილი. ქალაქი ბობოქ-
რობდა. რეაქცია შურს იძიებდა რევოლუციო-
ნერებისა და ყველა იმით მიმართ, ვინც ემხ-
რობოდა და თანაუგრძნობდა რევოლუციას. გა-
ნურჩევლად ისჯებოდა ხალხი, იქლიტებოდნენ
ერის საუკეთესო შვილები. XIX საუკუნის სა-
ქართველოს მამას არ შეეძლო გულგრილად
ეცქირა ამ მდგომარეობისათვის.

მართალია, ილია ჭავჭავაძე არ იზიარებდა
ქართველი მარქსისტების პროგრამას, მაგრამ მას
სწამდა, რომ რევოლუცია საქართველოს ეროვნ-
ული განთავისუფლებისათვის უნდა გამოეყ-
ნებინა, ეროვნულ პროგრამად ვადაქცია.
ახლა, როცა რეაქცია დაღუპვით ემუქრებოდა
ყოველ პროგრესულ აზრს, არ შეიძლებოდა ამ
პრინციპულ კაცს ხმა არ აღემაღლებინა ბორო-
ტების წინააღმდეგ. და აი ილია ხან პეტერ-
ბურგში, ხან თბილისში, ხან კიდე სად, სასტი-
კად ებრძოდა ყველა იმით, ვინც რევოლუციო-
ნერების სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. მასინ
კი, როცა ალიხანოვა-ავარსკის დამსჯელმა რაზ-
მებმა ცეცხლითა და მახვილით ვადაიჭირათეს
მთელი დასავლეთი საქართველო, მთლად აღ-
შფოთდა ილია. იმ დღეს საგანგებო კრება მო-

ეწვიათ ილიას წინააღმდეგით. ეს კრება თამარ
ბაგრატიონის ბინაში გაიმართა. თამარ ბაგ-
რატიონი იმ დღეებში რეაქციისაგან დასაცემი
ბული ოჯახების დამხმარე კომიტეტის თავმჯ-
დომარედ აერჩიათ. იგი წერა-კითხვის გამავარ-
ცელებელი საზოგადოების წევრი იყო, ილია კი
მათი თავმჯდომარე. აქედან იცნობდა ამ ქალს
და დიდადაც ენდობოდა. ეს საგანგებო კრე-
ბაც ილიამ მის ბინაში მოიწვია.

თამარ ბაგრატიონი ეკატერინე ჭავჭავაძის
ძმის — დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი იყო,
სალომე დადიანის ტოლი. დავით ჭავჭავაძის
სულ 13 შვილი ჰყავდა. ქალიშვილებში უმ-
ცროსი თამარი იყო. იგი ცოლად ჰყავდა
ირაკლი ბაგრატიონ-გრაზდინსკის. ეს ის ბაგ-
რატიონი იყო, პარიზში ეკატერინე ჭავჭავა-
ძის ოჯახში რომ გაიქცო და შეუყვარდა სა-
ლომე დადიანის მეგვარეს ბერტას... მერე
ბაგრატიონმა მაინც ალექსანდრე ჭავჭავაძის
შვილიშვილი თამარი აირჩია და შეირთო კი-
დეც ცოლად, მაგრამ თამარი სულ მალე დაქ-
ვრივდა. ქმარი ბაგრატიონების სამარხში,
სვეტიცხოველს, მიიბარა მიწას და ორი ქალიშ-
ვილის აღზრდას შეუდგა. ბერტა ეკატერინეს
მიზატიყებიათ და ირაკლის ეშხით საქართვე-
ლოში რომ ჩამოვიდა, თამარი უკვე ქვრივი იყო.
ბაგრატიონის ქვრივი გულით შეიყვარა ბერ-
ტამ და შემდეგ პარიზშიც მიიბარტყა. სიკვდი-
ლამდე არ შეუწყვეტია მასთან მეგობრობა.

სალომე დადიანი პარიზში ირაკლისა და
ბერტას რომანის უშუალო მოწმე იყო და თა-
ნაუგრძნობდა კიდეც მჭნურთ, შემდეგ კი
განსაკუთრებით მეგობრობდა ბერტასა და თა-
მართან. ბიძაშვილებში ყველაზე მეტად ასაკით
ტოლი თამარი უყვარდა. აი ახლაც, სამეგრე-
ლოდან ჩამოსული მას უყვებოდა თავის ოჯა-
ხურ ამბებს, ვაჟიწმატებით იგონებდა გლეხთა
აჩანყებას:

— არა, ეს მაინც რა იყო. ასე უდიერად არა-
სოდეს მომქცევინა ჩემი ნაყმენი. ვერ ვამიგია,
რამ შეშალა ასე ეს მუდამ თვინიერი და მორ-
ჩილი მუშა ხალხი... მაგრამ ყველაფერი ეს იმ
გადარეული გეგელიას და ჭაბურთელის ბრალი
იყო...

აქ შეჩერდა, რატომღაც უნებლიეთ წამო-
წითლდა, თითქოს წამოახტოდა. თამარმა ამით
ისარგებლა და დაშოშმინება დაუწყო უზომოდ
აღელვებულ მამიდაშვილს. წინანდალშივე ასე
უდიერად მოგვეყვარნენო, ჩვენი ბრალიც არი-
სო, — ამტყიცებდა თამარი, — ჩვენ მეტის-
მეტად მკაცრად ვემყრობით ჩვენს მარჩინალ
გლეხაკობასო.

სწორედ ამ დროს ილია შემობრძანდა. ძველი
ნაცნობები — სალომე და თამარი დიდი ამბით
შეხედნენ საპატიო სტუმარს. ილიას რამდენიმე
უცნობი კაცი შემოჰყვა, სულ მალე თამარ



ბაგრატიონის დიდი სასტუმრო დარბაზი მომსვლელებით გაივსო. ვის არ შეხედებოდიოქ — მწერლებს, გაზეთების და თეატრის მოღვაწეებს, გურიიდან და სამეგრელოდან ჩამოსულ გლეხთა წარმომადგენლებს. სალომემ სენაკელი ქავთარაძე დინახა და გაუკვირდა. ქავთარაძე მივიდა და პატივისცემით ხელზე ეამბორო პრინცესას. დიდად ეამა ქავთარაძეს, ამ რჩეულთა კრებულში პრინცესა რომ ბრძანდებოდა. ალბათ აპატიოა გლეხთა ცხოველური, რაც მოხდაო — რფქრა ქავთარაძემ.

სალომე კი უქმყოფილოდ ისმენდა ყოველივეს. გლეხთა ცხოველური გაჯერებული ახლა მათს სასარგებლო სიტყვებს რომ ისმენდა, ბრაზობდა კიდევ. ილიაზეც ბრაზობდა, თამარზეც და ყველა ორატორზე, ვინც ამტყუებდა, რომ საჭიროა ხელი გაუწოდოთ, დაუთმოთ გლეხობას, თორემ რეაქციამ მთლად ითვი აიშვია...

ილია ჩვეული სიძინჯით ლაპარაკობდა, ამბობდა, ბოროტი ძალები სარგებლობენ შექმნილი ვითარებით და მთლად განადგურებით ემუქრებიან სოფელს და გლეხთა ცხოველს.

— ჩვენ ამას არავის დავანებებთ, — იმუქრებოდა ილია. — საქართველოს ბურჯი, დედამოძი გლეხთა ცხოველს და ჩვენი ვლია გაუფრთხილდეთ და მეტი პატივისცემით მოვეპყრათ გლეხობას — საქართველო. მარჩენალს, რაც მოხდა, მოხდა. ჩვენი ბრალიც არის, ჩვენ ვერ ვუწინამძღოლეთ ამ ამბოხებულ სტიქიას და, ჩანს, მათაც გადააპარბეს. ჩვენ ახლა გონივრულად უნდა ავწონ-დავწონოთ ყოველივე, რაც ახლა ხდება ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში.

დიდხანს ლაპარაკობდა ილია შეუვალი რკინის ლოგიკით, დასაბუთებულად. მერე ნან შეკრებილთ თამარ ბაგრატიონი წარუდგინა — დაზარალებულ გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

თამარი უკვე ხანში შესული იყო, მაგრამ ძველი სილამაზე და ეუხი ისევ შერჩენოდა. მას თავის მამიდებს — ეკატერინეს და ნინოს აღარებდნენ და არც უსაბუთოდ. იმასაც ამბობდნენ, რომ როცა დავით ქავჭავაძის ოჯახი ტყვედ ჰყავდა შამილს, თურმე შამილი ტყვეთა შორის ყველაზე მეტად სილამაზით ყველასაგან გამოჩნეულ თამარს ანებებდებდა, ეფერებოდა და ასაჩუქრებდა. მერე თამარი დაქვრივდა... თავის ორი ქალიშვილი — ელისაბედი

და ეკატერინე საზღვარგარეთ წაიყვანა დაეწირონ სულსების აღზრდაში ოცი წელი დაჰყო პაპის ხელში, რომსა, ვენეციასა და დრეზდენში... საქართველოში რომ დაბრუნდა, ძველი ხელნაწერებისა და ხელოვნების ნიმუშების შეგროვებას შეუდგა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მერე ილიამ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუდმივ წევრად აირჩია. ახლა კი დაზარალებულ გლეხთა დამხმარე კომიტეტს ედგა სათავეში და ამ საზოგადოების სახელით გამოდიოდა ამ საკანგებო კრებაზე.

სალომე გაოცებით შეჰყურებდა ორატორ ქალს, ჯერ არ თანაუგრძნობდა, მაგრამ შემდეგ, ილიასა და თამარის სიტყვით მოხიბლული, დაღუპებული იქდა და უკვე თანაგრძნობით შესცქეროდა მათ. და როცა თამარი იმის ჩამოთვლას შეუდგა, თუ ვინ რამდენი ფული შემოიტანა შეწირულების სახით დაზარალებულ გლეხთა დასახმარებლად, როცა მან წერა-კითხვის საზოგადოებისაგან ამ საქმისათვის გამოყოფილი დიდი თანხაც დაასახელა, სალომემ სიტყვის თქმა დააპირა, უნდოდა ეთქვა, მეც მზადა ვარ ჩემი მხრით შევეწიო ამ საქმესო, მაგრამ ამ დროს ვილაც გოგელია გამოვიდა სიტყვით. ეს გოგელია გურული გლეხი იყო. მისთვის სახლ-კარი გადაეწვათა და ახლა გამბოროტებით ლაპარაკობდა მშრომელი ხალხის მტრებზე... სალომეს მისი სიტყვა არ მოეწონა, ამ კაცმა თავისი მტერი ივანე გეგელია მოაგონა, სახე შეიქმუნა და უკემბი რეპლიკებით გაუმასპინძლდა „თავებელ“ გლეხს...

კრებამ ერთხმად მოიწონა დამხმარე კომიტეტის გადაწვეტილება და მხარი დაუჭირა მის მოღვაწეობას.

1907 წლის ივნისს მეფის მთავრობამ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა. რუსეთის მთელ იმპერიამ სისტოიკი რეაქციის ხანა დაიწყო. 15 ივნისს გადაცმული გეგამკორი როსტოვში და აპატიმრეს და მესამედ გააციმბირეს...

და ასე, საქართველოს ცაზე 1905 წლის რევოლუციამ გადაიკრილა. რევოლუციამ იმედით, რწმენით, რომანტიკით აღავსო ერთგულად და სოციალურად გათელილი ხალხი. ქვეყანა რევოლუციური სულით გაივლენთა: ქუჩებზე, მოედნებზე, ბარკადებზე ფრთაშესხმული სიტყვები გაისმოდა: ძირს ცარიზმი! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაშა, ვაშა ამირანს!...

სერგი ვილავია
შვილავი

ეს ამირანი ხალხი იყო, რომელსაც სოციალ-
დემოკრატიული მუშათა პარტია ჩაუდგა სათა-
ვეში და ამოძრავა ყველა ცოცხალი ძალა
ერისა. ბოლო არ უჩანდა საყოველთაო პოლი-
ტიკურ გაფიცვებს. გამედიდებდა. გაამყადა
ამირანი. რევოლუციის რომანტიკა მწერლობა-
ში შეიჭრა. მწერლობის ეს ახალი ჰანგი რევო-
ლუციამ დაბადა ახლა კი თვით რევოლუციის
სათავეში ეს ახალგაზრდა სამწერლო ინტე-
ლიგენცია ჩადგა. რევოლუციურ ლექსებს მთე-
ლი საქართველო მღეროდა. უკვე ადგა ქარიშ-
ხალი განთიადის მოციქული... რევოლუციას
მიემზრო ძველი თაობაც: შეხვალათიან მუშათა
კლასს მგზნებარებით მიესალმა საქართველოს
დაუბერებელი ბულბული აკავი:

ვაშა! ვაშა! კეთილ მუშას ..
ძირს, ძირს მთავრობაო!

რევოლუციური მუშათა კლასის რევოლუცი-
ხმალამოღებელი იბრძოდა იროდიერქველმწერ-
ლი და ჭოლა ლომთათიძე... შიშა: 1919 წელს

მართალია, ალიხანოვმა ცეცხლითა და მახვი-
ლით გადაწვა აწანყბული საქართველოს ქა-
ლაქები და სოფლები, მაგრამ საქართველოს
მტრებს არასოდეს გაუხარიათ და გენერალ ალი-
ხანოვს ქართველი კაცის მიერ გასროლილი
ტყვია ერეენის მისადგომებთან დაეწია, განგ-
მირა. მაგრამ, ვაი, რომ საქართველოს ვებდას
ბოლო არ უჩანდა, რეაქციის აღვირახსნილი
პარპაში სწამლავდა და შხამავდა ყველაფერს.
„რეაქციონერი ხულიგნები პურიშკევიჩები,
კრუშევიანები გრინგაუტები ცოფს ყრიდნენ“.
ყოველი მოწინავე ეროვნული და პოლიტიკური
მოღვაწე აღვირახსნილი რეაქციის პარპაშის
მსხვერპლი ხდებოდა.

გაგრძელება იქნება.



თავგადასჯი

საიათნოვა

ნეტავ გული ვინ ჩაგიდგა ეგრე მწყრალი, ბრაზიანი!
კაცი ღვინომ რო დაათროს, დამნაშავე ვაზი არი?
ტურფავ, რაზე შემომწყერი, მოგაყენე რა ზიანი?
რას გიშავებ შენგან მკვდარი, ბეჩავი, თავაზიანი!

რაც დაგმორდი, საყვარელო, აღარა მაქვს ჯანში ჯანი,
ჭკვა და გონი შენ წამართვი, ხელთლა შემრჩა მე ტანჯვანი!
ოთხი წელი ჩემს ქალაქზე აღარ გადის ქარავანი, —
ვაპ მებაფეს: არც იჯარა, არცა სადმე ბაჟი არი!

ნეტავ რაზე მამიძულა, რა გქნა, აღარ გაიგება!
ოთხი წლისა ყმაწვილივით სატრფოს უნდა დარიგება,
რას დასდევს თუ ჩემი გული მის დანაზე დაიგება!
ბევრი ვნახე, ჩემებრ ტირის; მიზეზი კი — ნაზი არი!

თუმცა ბევრი წამიკითხავს ბრძენთა იგავ-არაკია,
ემზმა მაინც გამახელა, ვხარჯე გულის ვარაყია;
ვინ გაუძლო ეშხის ცეცხლსა, მე გავეუძელ განა კია? —
სისხლში გდია ჯვირანი, — გული ისრის ფხაზე არი!

შემოდგომა გადავიდა, შაშვს გალობა მოესურვა,
გაზაფხულდა — ბულბულს ვარღვე აუტყდება ურვა, მდურვა,
უმეგობრო სადათნოვას მოემატა ცრემლის წურვა, —
ჯარდაკარგულ ხონთქარისა ჯავრი — ხაზინაზე არი!

რა დღეს გავჩნდი, ჩემი სატრფოც იმ დღეს გაჩნდა, იცით განა?
ამ ჩემს გულში ოხვრა-კენესით სისხლი გაშრა, იცით განა?
საყვარელზე ფიქრით გული დამეშაშრა, იცით განა?
თვალცრემლიანს ენა-პირი დამეფაშრა, იცით განა?

გული სულმთლად მიმეწურა ავი ჯალხის ყაყანითა,
ჭკვა დამებნა ნაირ-ნაირ ლექსის მღერა-ქაქანითა,

ცრემლი ვღვარე, ვერ ვაამე სატრფოს ვერა მანქანითა,
კვლავ სიცოცხლის იმედი რომ აღარა მაქვს, იცით განა?

დავალ დამწვარ-დადაგული, დაე სვედის ბარგი მქონდეს!
დარდს ვერ ვიტყვი, გამოთქმისა, ათასიც რომ ყადრი მქონდეს,
აფსუსია, ჩემისთანას ამოდენა დარდი ჰქონდეს,
სიყვარულმა ჭკვა და გონი სულ წამართვა, იცით განა?

საგულეში გული გახმა, მისველდება ორთავ თვალი,
ზღვანაცეში ჯებირით ცრემლითა ვარ ჩამამბალი,
რა მალამო აღარ ვადე, — არ მამირჩა სატკივარი,
დავდნი, სისხლი დამეწრიტა, ტურფამ მამკლა, იცით განა?

ვინცა მხედავს, მეუბნება: „ვინ შენს დღეს, სამათნოვა,
სულ შენ გხედავთ თვალებიდან ცრემლდანანთხევს, სამათნოვა,
როდის ენახავთ, ერთი კარგი სატრფო შეგხვდეს, სამათნოვა!“
ჟამმა ჩემთვის სიზმარით ჩაიარა, იცით განა?

სომხურიდან თარგმნა ზევა ბედულაშვილმა



ყური მიგდე, გულო, გადარეულო,
მორცხვი, ჩუმი, თავმდაბალი გიყვარდეს...
ქვეყანაც რომ შენი იყოს, რად გინდა? —
ღმერთი, სული, მეგობარი გიყვარდეს.

ღირსი იყავ საქმით უფლის ქებისა,
სვინაქსარის გესმას დარიგებისა,
სამი რამ არს სულის ხორცის მცნებისა, —
წიგნი, წერა და დავთარი გიყვარდეს.

გული მუდამ დარდისათვის არ არის!
პურ-მარილზე თვალი გქონდეს ალალი,
დასაციინად არ გაუხვდე არავის, —
აღთქმა, თმენა, სამართალი გიყვარდეს.

ამპარტავანს ღვთისგან თვალი დაუდგა,
თავმდაბალი არვინა თქვა აუგად,
ღმერთმა ყველას ერთი სული ჩაუდგა, —
სტუმარ-მწირი, უპოვარი გიყვარდეს.

სამათნოვა, ნეტარება აღმოგხვდეს,
სულის ხათრით ხორცს თუ აიამზოხებ,
თუ გინდა რომ სამართალში არ მოხვდე, —
ჭკა, უდაბნო და ტაძარი გიყვარდეს.

(1753)

უჩლამა, არუთინას ნათქვამი, მაისის პირ-
ველსა, ქორონიკის 441-სა.

მოხატულო, შენი მსგავსი
ქვეყნად ვინმე ან კი არის?!
ხალიანო, ეგ დალალი
მახე არის, ბანგი არის,
ყირმიზ ვარდო, შენი ჰანგი
ბულბულისა ჰანგი არის,
მიჯრით ჩასხმულ ოქროს კბილებს
ლალის ტურზე აკრიალებს.

სახე ახალ მთვარესავით
გვესება და გებადრება,
არ ისხურო! მაგ დალალებს
ნამი როგორ ვკადრება.
მისთვის არის, შენსა მხილველს
გზა და კვალი ვკარგება,
როს მეჯლისში შეხვალ, უქრობ
ცნცხლის კოცონს აბრიალებ.

ხილვად მოსულს ბევრსა ვხედავ,
უფრო ცოტას — წამავალთა,
მოკვდავს შენ თუ დაედები
უკვდავების წამალადა,
ოდეს იძვრი, ჯილის ხმას სცემ,
ღირხარ ქვეყნის ამალადა,

ჩემს ქამანჩას რისთვის აქნევ --
ჩანგს მეწყვილედ აწყვრიალებ...

ფერად-ფერად ყვავილებში
ტანი რაფრად გიქცევია?
რალა უნდა შენს მეუფეს,
სკერდი დაფნად გიქცევია...
ქარებს ატან გაშლილ დალაღს,
ომანი აფრად გიქცევია,
ქვეყნის ზღვაზე ნავო, მთელ ზღვას
შენს ნებაზე ატრიალებს.

ათში ერთსაც ვერ იტყვიან,
ქვეყანაც თუ ქებად მოვა,
ზღვის ყვავილო, ნაზო იავ,
რა ნიავი გესათნოვა,
შენს სიყვარულს ვით გაუძღვებ
მე -- საწყალი საჯათნოვა,
მეორედ თუ გნახა კაცმა,
გონწართმეულს აზრიალებს...

(1759)

ესტე დიბა და ენგიდუნისაჲს ჰანგში ართუინას
(ნათქვამი), მარტის ბოლოს, ქორონიკონის
447-სა.

სომხურიდან თარგმნა ვიპი შანაზარმა



როჲე კაიუა

ნოე

ასე, ნაშუადღევს, წამოწვიმა. ნოემ ცას ახედა. ცა ლურჯი იყო, ღრუბლის ნასახიც არ აჩნდა. წვეთები შევეულად ეცემოდნენ — სიო არ იძროდა. ნოე მიხვდა: დაიწყო ის ზებუნებრივი წვიმა, უფალმა რომ ამცნო.

იქვე, შემადლებაზე, უკვე დასრულებული, გამზადებული კიღობანი იდგა. ნოეც იქით გაემართა; გზადაგზა ფეხს ადგამდა წყლის მოშავო-მონაცრისფერო ბუშტუკებს, მზეს რომ ირეკლავდნენ. მათი ციცქნა, მტვერშეფრქვეული გლუვი გუმბათები ერთდებოდნენ, ნიადაგს ამუჭებდნენ, სკდებოდნენ და მიწის ზედაპირზე პაწაწინა არხებს ქმნიდნენ. დაეჭვდებოდით, ნუთუ შესაძლებელია, ამ უსუსურმა წვეთებმა, რომელთაც ასე თვალისდახამხამებაში ისრუტავს მიწა, ოდესმე მთელი ქვეყნიერება წალკონო. საქმეს კი სწორედ ასეთი პირი უჩანდა. ამჯერად ნოემ კიდევ ერთხელ ირწმუნა ყოველი სწემძღვობა უფლისა.

ღმერთის გადაწყვეტილებას—დედამიწას მსოფლიო წარღვნას მოეუვლენო — აგრერივად როდი გაუოცებია ნოე. არც ის გაკვირვებია, სწორედ ის და მხოლოდ ის რომ აღმოჩნდა ერთადერთი რჩეული, კატასტროფის შემდეგ დედამიწაზე სიცოცხლის გამაგრებლებლად მოწოდებული.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ მოაწია ეამმა, როცა დასალუბად განწირულ, სა-

ძირკველმომპალ სამყაროს, სხვა ახალი, ნორჩი და ბრწყინვალე სამყარო უნდა შენაცვლებოდა.

თავისი გამორჩეულობის შეგრძნობა მაინცდამაინც ვერ ხიბლავდა ნოეს. პირიქით, გული ეთანაღრებოდა, რაც იმას ადასტურებდა, რომ ცხოვრების ყოველდღიურ გამოცდილებას ბევრი რამ ესწავლებინა მისთვის. როგორც კი უბრძანა ღმერთმა, გიგანტური, მოტივიტივე სამხეცე უნდა ააგო, რომელიც ყველა ჯურის ცოცხალი არსების თითო წყვილს ჩაიტევსო, მყისვე გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. მარტო მუშაობდა. მარტოვე წამოაქცევდა ხეებს, შემდეგ ფიცრებად ხერხავდა. მის შემხედვარე უახლოეს მეზობლებს ერთი გნიასი და ზორზოცი ჰქონდათ. მერე შორეულმა ნაცნობებმაც იწყეს დენა, რათა საკუთარი თვალით ეხილათ უცნაური ვეება კოთხო, რომელსაც ესოდენ ჯიუტად ეცოდვილებოდა ობროდი ბერიაცი, და დაეცინათ. ყველა დასცინოდა, ზოგჯერ ქვებსაც უშენდნენ ხოლმე.

მაგრამ ნოეს მტკიცედ სწამდა, გულიანად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინისო, და ყველაფერს უდრტეინველი სიმშვიდით იტანდა. ხანდახან ერთი სული ჰქონდა, მოდი გავაფრთხილებ ამ უბედურებს, როგორი საფრთხე ემუქრებათ, და ვურჩევ, სანამ გვიან არ არის, დაცინვასა და შეუტრაცხყოფას თავი ანებონ და ჩემს მაგალითს მიბაძონო. მაგ-

რამ საღი აზრი მყისვე უკარნახებდა, შენთვის დაეტიეო, და ნოეც დაშოშ-მინდებოდა ხოლმე. ჯერ ერთი, მისთვის არავის უთხოვია, თვალი აუხილევ ამ არაპაადებს, რომელნიც მოსალოდნელ მსჯავრს საესეებით სამართლიანად იმსახურებენო. და, მეორეც, თუნდაც გაეფრთხილებინა, ვინ რას დაუჯერებდა, ტყუილებრალოდ გიყად შერაცხავდნენ, უფრო მეტ ქვეებს მიითვლიდა და ეს იქნებოდა სულ. და ბოლოს, მას აკავებდა ერთი ყველაზე საფუძვლიანი მოსაზრება: თუ მხოლოდ მე მიწერია ცოცხლად დარჩენა, სხვებსაც რომ წარღვნისაგან თავის დაღწევის საშუალება მიცევ, ამით ხომ ღმერთის ნებას ხელვყოფო. ამიტომაც ღუმდა ნოე. განვებ თავი მოისულელა და ყოველ გამველულს მიკიბულ-მოკიბულად, მოიარებით უხსნიდა, კიდობნის ასაგებად აუცილებლად მჭირდებოა ფისი და ძენძი. სწორად გაიაზრა: უსახსრობის გამო ერთობ გაუჭირდებოდა ეშოვა ეს ძვირფასი, იშვიათი მასალა, რის გამოგზავნითაც ღმერთს თავი არ შეუწუხებია, და ურომლისოდაც, პირველ ხანებში, ნოეს უამრავი თავსატეხი და საზრუნავი გაუჩნდა. ამ ხერხით მოხუცმა პატრიარქმა შესძლო, ადამიანური ღვარძლი ღეთის სამსახურში ჩაეყენებინა. სრულიად უდავიდარაბოდ, ძალზე მცირე ხარჯის ფასად შეაკოწიწა და ძენძით საიმედოდ ამოგვანა ხომალდის კორპუსი. გარდა ამისა, თანამოქმეთ ხელიდან გამოაცალა ეს იშვიათი მასალა, რომლის თითქმის სრული ვაჭრობა მწარედ იგრძნეს შემდგომ, განსაცდელის ქაშს. ნოე ცდილობდა შეკითხვებზე ისე ეპასუხა, არაფერი შეეთხზა. ამგვარად, საკუთარ თავს ორპირობას ვერ დასწამებდა. მთელი არსებით ისწრაფოდა დაკისრებული მისია აღესრულებინა და მზად იყო, წესიერების ფარგლებში ყოველი ღონე ეხმარა. კიდობანში წყალს არ უნდა შეეყოვნა, და ნოეს ღრმად სჯეროდა, თუ ფისისა და ძენძის მისაღებად ჩემი მიკიბულ-მოკიბული განმარტებების გარდა სხვა გზა

არ არსებობს, ჩანს ღმერთიც ასე ვერა უღობლაო.

აგერ უკვე თვენახევარი იქნებოდა, კიდობანი მზად იყო; მთელ ამ ღროს კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი წვიმა მოდიოდა; ერთი-ორჯერ ხანმოკლე, კოკისპირულმა ღვაფმა დასცხო, უფრო ხშირად — გულისგამაწვრილებლად ცრიდა, იფიქრებდით აღარასოდეს გადაიკარებსო, მაგრამ გამოხდებოდა ხანი და ბოლოს გუბეც აღარსად რჩებოდა. ნოეს ბრაზი ახრჩობდა. არა, იმიტომ კი არა, რომ კაცობრიობის დაუყოვნებლივ დაღუბვა ეწადა, — როგორც ყოველ ოსტატს, მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, გამოეცადა თავისი ნახელავი, ამდენი ხერხი და ენერგია რომ შეაღლია. სინდისიერსა და თავმდაბალს, სურდა რაც შეიძლება მალე დარწმუნებულიყო, ჩემი პირშო გადამწყვეტ წუთში თავს არ შეირცხვენსო. ნოე ხომ ამ საქმეში მთლად ახალბედა იყო, ღმერთს კი წესად ჰქონდა, ბოროტად არასოდეს ესარგებლა სასწაულმოქმედების უნარით და ბუნების კანონებს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევებში არღვევდა. ამავე მიზეზით აკი არც მოურთმევეა ნოესთვის გამზადებული ჯადოსნური ხომალდი, რომელსაც მხოლოდ თავისი სურვილის ძალით, ერთი სიტყვის წარმოთქმით არაფრისაგან შექმნიდა. მას ეს არ სჩვეოდა. უფალს ენება, მის რჩეულს, თვითონ, საკუთარი ხელებით გამოეჩორკნა ჩვეულებრივი ხომალდი, სხვა მრავალი ხომალდის მსგავსად, მშენებლის გამოუცდელიობის გამო წუნისა და ნაკლისაგან დაზღვეული რომ არ იქნებოდა. ეტყობა, ამავე მოსაზრებით არ აღგავა პირისაგან მიწისა ცოცხალ არსებათა მირიადები, თორემ განა ერთი მისი ღვთაებრივი გადაწყვეტილება არ იკმარებდა ყველას ერთბაშად მოსაშთობად, იმ ერთეული გამოჩაქლისების გარდა, რომელთა დატოვება აუცილე-

რომე კაიშა
ნოე

ბელი იქნებოდა შემდგომი სიცოცხლის უზრუნველსაყოფად? მაგრამ ღმერთს, ალბათ, რაიმე საფუძველი ჰქონდა, რაკი ყოველი „საცხოვარის“ განადგურება ჩვეულებრივი, თუმცა ერთგვარად გაჭიანურებული წვიმის მეოხებით აოჩია.

მთელი იმ თვეების განმავლობაში, რაც კიდობანი შენდებოდა, ნოე ხშირად ჩაჰფიქრებია ღვთის ამ გასაოცარ თავმდაბლობას. ესმოდა კიდევ მისი და უსიტყვოდაც ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც, როცა ჯაფით დაოსებულს მუხლი ეკვეთებოდა და სიმწრით ცას შეჰლალადებდა, რა ვქნა, ვეღარ ვართმევ სამუშაოს თავსო, აი იმ დროს, უნებურად გაუფლვებდა ხოლმე აზრი, რომ უფალს ჩალის ფასადაც არ დაუჯდებოდა რაიმე სხვა უფრო მარჯვე, მოსახერხებელი ატმოსფერული მოვლენა, თუნდაც, მაგალითად, გამაბრუნებელი, მომაკვდინებელი ნისლი, რომელიც სწრაფადვე განქარდებოდა და მხოლოდ წინასწარ შერჩეულ არსებებს დატოვებდა საღ-სალამათს. მაშინ, გარეგნულად, ზრდილობის წესებსაც უფრო დაიცავდი და ყოველგვარ ალიაქოსაც თავს აარიდებდი, მიუხედავად ამისა, ნოეს ესმოდა, რომ ხსნა მაინც თვითონვე უნდა მოიპოვო, უნდა დაიმსახუროო და ამ აზრით შეპყრობილი კვლავ თავის სამუშაოს უბრუნდებოდა.

სული აფორიაქებული ჰქონდა, მაგრამ რწმენას არასოდეს უღალატია მისთვის. რომ ყველაფერი კეთილად დაბოლოვდებოდა — ეკვიც არ ეპარებოდა, მაგრამ სადამდე მოუწევდა ლოდინი ან როგორი იქნებოდა წარღვნა აღარ იცოდა. წვიმა რომ დაიწყო, შეარჩია ცხოველთა წყვილები და კიდობანში მათ დაბინავებას შეუდგა. გასაკეთებელი, თითქოს, იმდენი არაფერი იყო, მაგრამ ჯიშს სახეობისაგან ვერ არჩევდა. არ იცოდა, განურჩევლად ორი ძაღლი აეყვანა, თუ ორი ტერიერი, ორი დოგი, ორი ტაქსა და ა. შ. ძაღლებს კიდევ რა უქირდა, პეპლებმა აურის თავგზა. სამი ათასი სახეობიდან ყველას თანაბ-

რად ჰქონდა წარღვნის შემდგომ თარღვრის უფლება. მაგრამ ყველაფერი უნებურად, ლესი პრობლემის გადაჭრისაგან მოულოდნელად განთავისუფლდა ნოე. გაოგნებული შეჰყურებდა ერთ დიად, ფერადრვან, საზეიმო სელას, რასაც თავისთავად გამოეყოფოდა ხოლმე ესა თუ ის წყვილი, შეგოგმანდებოდა კიდობანში და მათთვის განკუთვნილ „ბუდეებში“ იკავებდა ადგილს. თავის სიცოცხლეში არ ეხილა ფრინველთა და ცხოველთა ამგვარი მირიადები. უმრავლესობას პირველად ხედავდა. ვერც წარმოედგინა, დედამიწის ზურგზე თუ არსებობდნენ მსგავსი უჩვეულო და გასაოცარი ქმნილებანი.

ღელვამა არ წყდებოდა. „გამოეცეს წყარონი უფსკრულისანი, და საქანელნი ცისანი განეხენეს“. ყველაფერი ჰანჯიკობში ეფლობოდა. ნოე იძულებული გახდა თავი ვეება ხის ქვეშ შეეფარებინა. ხის ძირას, მოზრდილ ლოღზე აფოფხდა; იქიდან დიდხანს, აღტაცებული ტყებოდა დედამიწის უმდიდრესი ფაუნით და უცნაურად მოწოლილი, შემოქმედისადმი მადლიერების გრძნობა უტყებდა სულს. აზრად არ მოსდიოდა, რომ ეს ურიცხვი, მრავალფეროვანი ლაშქარი არანაკლები სასწაული იყო, ვიდრე ღვთის ნაბოძები, სრულქმნილი და უზადო კიდობანი იქნებოდა. ერთი საზრუნავი კარგა ხანი იყო ძილს უფრთხობდა მოხუცს: ქვეყნის დასაღიერში მობინადრე ცხოველებიც არ უნდა დამაიწყდეს, ოღონდ, საქმე ის არის, როგორ ჩამოვიყვანოო. კენგურუსა და ჯავშნოსანი ვირთხის დანახვაზე, ცხადია, განცვიფრდა. ერთი ვეებერთელა კურდღელი იყო და მუცელზე ვიბე ჰქონდა, მეორე — ჯაგრით მოფარულ ბაკანს დაათრევდა ზურგით. ნოემ არ იცოდა, რომ ერთი აესტრალიიდან იყო მოსული, მეორე — ამერიკიდან. მან ამ კონტინენტების არსებობაც არ იცოდა. ყველავერ ამას მოგვიანებით ჩაუფიქრდა.

იმხანად ცხოველების დაბინავებით იყო გართული. კიდობანი, მართალია,



უზარმაზარი იყო, მაგრამ ამ მოცულობისა ცი მეტისმეტად მცირე აღმოჩნდა ამოდენა ჯარისთვის, და მით უმეტეს, ყოველი დასახელების წყვილთათვის. მაგრამ რაოდენ გასაოცარიც არ იყო, გემბანზე ამაველ არსებებს რომ შეჰყურებდა, ნოე თანდათან მშვიდდებოდა: თანდათან ვანუმტკიცდა აზრი, რომ არა მარტო მას, ათობით მუშასაც კი წლობით თავდაუზოგავი შრომით არ ძალედვა იმსიდიდე ხომალდის აგება, რომ შივ ყოველგვარი ჯიშისა და სახეობის ოთხფეხის, ფრთოსნის, კანკელიანებისა და ქერცლოვანების აუცილებელი კრებული მოთავსებულიყო. მათი რიცხვი განუსაზღვრელად დიდი ჩანდა, და კიდევ უფრო მატულობდა. ნოე მიხვდა, შეუძლებელი იყო მამაზეციერს არ სცოდნოდა ეს და რაიმე გამოსავალი არ გაეთვალისწინებინა. მართლაც, უზომო გადატვირთვისაგან, ხომალდი აქამდეც უკვე ნაფოტ-ნაფოტ უნდა დაშლილიყო, მასში კი სულ ახალ-ახალი „მგზავრები“ იკავებდნენ ადგილს. თავბრუდახვეული მოხუცი თვალს არ უჩერებდა. ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, ცხოველები ადიან თუ არა გემბანებზე, მყისვე სივრცეში განიწოვებიანო, ანდა რალაც მოულოდნელ უნარს იძენენ, თვალმეუდგამ საოთლებად მოთავსდნენ ერთმანეთის ზურგზეო. და მხოლოდ ბოლოს, როცა კიდობანი ატივტივდა და აცურდა წყალზე, ერთიმეორეზე მომაბეზრებელი, მონოტონური დღეები წაეწყო, რასაც განუწყვეტელ აკომპანემენტად ერთვოდა წვიმის ტკაპუნი, მხოლოდ მაშინ შეეცადა ჩვენი პატრიარქი უცნაური გამოცანის ამოხსნას. საათობით დაეხეტებოდა კიდობანში, დაუსრულებლად იკარგებოდა, გზა ებნეოდა უგრძეს დერეფნებში, და ყოველ გავლაზე აწყდებოდა მისთვის მანამდე უცნობ გომურებს, სოროებს, ყაფაზებს. თუ სადმე უკვე ნანახ ცხოველს მოჰკრავდა თვალს — უხაროდა, თუნდაც ეს მტაცებელი მხეცი ყოფილიყო. თუმცა, უფრო ხშირად, ისეთები შემოეყრებოდნენ ხოლმე,

პირველად რომ ხედავდა, და ელდნაკეში კედელს ეკვროდა, ესენი მგზავრების წამოვიყვანო.

ხომალდს, ახლა, რატომღაც უფრო მეტი გემბანები აღმოაჩნდა, ვიდრე ნოეს ახსოვდა. ახლა მათი შემოვლაც შეუძლებელი იყო, და ყოველთვის, როცა ამაში რწმუნდებოდა, ბედს დაპირილებული, სასოწარკვეთილი, უკანვე წამოჩანჩალდებოდა, და თავის კაიუტასთან მოღწეულს ეკვები და შიში გონებას უმღვრევდა. ხომ დაბეჯითებით იცოდა, ზუსტად რა სიდიდისა უნდა ყოფილიყო კიდობანი: ავი ეს ზომები თვითონ ღმერთმა დაუდგინა: სიგრძე — სამასი წყრთა, სიგანე — ორმოცდაათი, სიმაღლე — სამსართულიანი წყვილსათვის სახურავის ჩაუთვლელად — ოცდაათი. კიდობანი ნამდვილად ვეება იყო, მაგრამ ნოეს არ დავიწყებია, როდესაც თვალი გადაავლო გემბანზე ასეულს მომლოდინე ურიცხვ ლაშქარს, ხომალდი სასაცილოდ პაწაწინტელა ეჩვენა. თვითონ სულ ბოლოს ავიდა. ცოლთან, ვაჟიშვილებთან და რძლებთან ერთად. უკანასკნელად მიმოიხედა ირგვლივ და რატომღაც გაჰკრა აზრმა, აი, სასწაული ახლა დატრიალდებო. გონების თვლით ისევ იმ მიდამოების ფონზე ქვრეტდა თავის კიდობანს, სადაც ააგო და მისი უტყუარი ზომები ეჭვს არ იწვევდა. იმ უკანასკნელ წუთს კი, როცა საიმედოდ „დაჰხმა“ კიდობანის ერთადერთი კარი, საშუალება აღეკვეთა გარეთ გამოსულიყო და შორი მანძილიდან უცბოს თვალით შეეთვალე რებინა თავისი პირშო, იგრძნო, რომ ახლა შეუძლია დიდხანს, თითქმის დაუსრულებლად იხეტილოს მის დერეფნებში და მათ სამანი მაინც ვერ დასდოს. კიდობანი თითქოს გაიბარჯლა, განივრცო, რათა მთელი ეს მოფუთფუთე ცოცხალი ტვირთი სტომაქში მოეთავსებინა.

ასე იყო თუ ისე, ნოე შეეჩვია ხო-

როზე კაიუს
ნოე

მალდის გიგანტურ ფორმებს და ახლა ერთგვარი სიამოვნებითაც კი ჩხრეკდა და უკირკიტებდა ყოველ მის კუთხე-კუნჭულს. დინჯად, აუჩქარებლად მიმოდიოდა ყველგან, განურჩევლად, ილალებდნენ, სადაც შემთხვევა მიიყვანდა. ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, როგორ ლაბირინთშიც არ უნდა მოხვედრილიყო, საკმარისი იყო თავის კაიუტაში დაბრუნება მოეწადინებინა, რომ ფეხები ანგარიშშითუცემლად, შეუცდომლად აბრუნებდნენ შინ. თუმცა მთელი ჯადოქრობა ის გახლდათ, რომ მიკობულ-მოკობული, ათასგვარი ზიგ-ზაგებით უქანდასაბრუნებელი გზა აქეთობისას გამოვლილ გზაზე მოკლე არასდროს არ იყო.

კოკისპირულად ასხამდა. კიდობანი ახლა ხის კენწეროების გასწვრივ მიცურავდა, რომლებიც აქა-იქ კიდეც იწვევებოდნენ წყალში. შორს, მერეხის დაბურული რიდის მიღმა, ილანდებოდნენ მთების მქრქალი სილუეტები. ერთი განმარტოებული ფიჭვის წვერზე, ნოემ რომელიდაც კრძელობოლიან ფრინველს ჰკიდა თვალი და გაიფიქრა, ეს, მგონი, ხოხობი უნდა იყოსო. ხოხობით პირის ჩაგემრიელება ძლიერ უყვარდა ნოეს, გაახსენდა, რამდენი ხანია აღარ მიგემნიაო, და უეცრად, მისდა გასაოცრად ისიც გაახსენდა, რომ აგერ უკვე რამდენიმე დღე იქნებოდა, რაც კიდობნის კარი ამოქოლა, პირში აღუკმა არ ჩაუღვია. ზენაარის ნების აღსრულებისას, პატრიარქმა საკმაოდ მოიშარავა საგზალი, მაგრამ მალე დარწმუნდა, თავისი ეკიპაჟისათვის დღიური ულუფის ჩამორიგებას ვერ აუვიდოდნენ ვერც თვითონ, ვერც მისი ვაჟიშვილები და ვერც მათი ცოლები, თუნდაც ყველას ერთად დღე და ღამე გაესწორებინათ და სხვა არაფერი ეკეთებინათ, მით უმეტეს, რომ ყოველ არსებას განსხვავებული საკვები ესაჭიროებოდა. ნოემ ხან ის არ იცოდა, დიდისაგან დიდი უმრავლესობა რით საზრდოობდა, ხან საერთოდ, მათთვის საჭირო საკმელი არ აღმოაჩნდებოდა

ხოლმე. არ დაგვევიწყდეს, რომ ხომალდზე ათასგვარი დასახელებული ველი ირეოდა ორმაგი რაოდენობით, თქვათ, ბაჭიებისა და ცხვრებისათვის ბალახი დაეყარა, საიდან უნდა გაეჩინა მინდვრის თავვი და ბაჭიები — გველებისათვის, ან ბატკნები და თხები ლომების სარჩოდ, ან ბუზები სად დაეჭირა ობობებისთვის, ან ობობები გომბეშოთათვის. ნოე გამოსავალს ვერ ხედავდა, თითქოს წყვიდალში დაბორიალობსო. მაგრამ ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდა. გადაუტრეელი პრობლემა თავისით გადაიჭრა: კიდობანის ბინადართ არათუ მიავიწყდათ ჭამა-სმა, შიმშილის გრძნობა გაუქრათ საერთოდ. პირველ რიგში კი ნოეს, მაშინ როცა, თავის დროზე არც საუზმე, არც სადილი, არც ვახშამი არასოდეს ავიწყდებოდა. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ღმერთმა უქანასკნელ წუთს იტაცა შებღზე ხელი და შექმნილი უხერხულობა გამოასწორა: ხომალდის ბინადარნი დროებით გაათავისუფლა კეების აუცილებლობისაგან; უფრო მეტიც, მადაც გაუქრო და საჭმელზე ფიქრიც კი აღმოფხვრა მათი მეხსიერებიდან. ხოხობი რომ არა, არც ნოეს გაახსენდებოდა საჭმელი, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მიუხედავად მამაზეციერის სიფრთხილისა, ხოხობმა მაინც მოანატრა პატრიარქს ნუგბარი კერძი. ჩანს, სიფრთხილე ეხებოდა მხოლოდ შიმშილის შეგრძნებას, მაგრამ პირის პატივს არ გულისხმობდა. ამ ეშმაკურმა მოსაზრებამ, რაც პატრიარქს სისუსტემ უფრო უკარნახა, ვიდრე გამჭრიახობამ, საშუალება მისცა ამოეცნო უზეშთაესის ამგვარი მოულოდნელი ჩარევის მიზეზი. ნოე, ამაში, რასაკვირველია, ღმერთის მიერ საკუთარი წინდაუხედაობის გამოსწორების ცდას კი არა, მორიგ სასწაულს ხედავდა და საგონებელში იყო ჩაეარდნილი, რადგან ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, ღმერთი უფრო მომჭირნე უნდა იყოს, ასე ხელალებით არ უნდა არიგებდეს სასწაულებსო. ის კი, აგერ უკვე ყოველ



წვრილმანზე ფლანგავდა თავის ღვთაებრივ უნარს. განა მან არ შეარჩია ყოველი დასახელების სულდგმული, თავი მოუყარა ერთ ადგილზე (პატრიარქი მხოლოდ ახლა მიხვდა ამას), უზრუნველყო ხომალდის განუსაზღვრელი ტევადობა... და ნუთუ ამ ორმოცი დღისა და ღამის გადაუღებელი თავსხმის უმისოდ ვერ გავიდოდა იოლას? განა არ შეეძლო სულ უბრალო გაფიქრებით აღეხოცა „ყოველი საცხოვარი“ მის მიერ ღირსად შერაცხული წყვილების გარდა? რისთვის ენება იმ მსოფლიო წესრიგის დარღვევა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თვითონვე დაამყარა; და თუ მაინცა და მაინც დაარღვევდა, ამას იქმონდა იშვიათად, თორემ ასე წვრილმანებზე როგორ უნდა დახტრდავებულიყო, ისიც ასე უხეშად და მარტივად? კინაღამ მკრეხელურმა აზრმა გააქრა ფრთა ნოეს. ცოტაც და ღმერთს არათანმიმდევრულობას შესწამებდა. მართლაც, ვის სჭირდებოდა ამდენი ცოცხალი არსების შეტბორილი აგონია, ან ეს დამალტობელი ლაფი, რაც ალბათ, თვეების განმავლობაში არ აშრებოდა?

სხვათა შორის, შიმშილისაგან მხოლოდ კიღობნის პრეველი იყო დაზღვეული. ხომალდის ფანჯრიდან მოხუცი პატრიარქი ხედავდა კლდის წვერზე ხროვად შეტყორცნილ მხეცებს. ამათ შიმშილი აწამებდათ, ბრჭყალებით ფიქალს ჩაფრენოდნენ და წყლის მომატებას ხსნასავით ელოდნენ. მძლეობამლე ინსტინქტი თრგუნავდა მათ სხეულს, რომ საყუთარი ნებით გადაშვებულებიყვნენ წყალში და ჩამხრჩვალიყვნენ. ამიტომ ყოველი მათგანი ვაალმასებული ებლაუქებოდა თითოეულ ქიმს, რომელიც წყალს ჭერ კიდევ არ დაეფარა. იყო რაღაც საშინლად უაზრო და ღრმად ტრაგიკული ამ განწირულ, სასოწარკვეთილ არსებათა შემართებაში, რომლებიც მხოლოდ იმიტომ იბრძოდნენ, რომ სულ რამოდენიმე საათით გაეხანგრძლივებინათ ტანჯვა, მაგრამ ამასთან ერთად სიცოცხლაც.

ნოე სრულიად გულგრილი შეტყურებდა ამ სურათს. მაშინაც ადღეღებულა, როცა ფარეხის სახურავზე, რომლის გასწვრივაც კიღობანი მიცურავდა, ქალი დინახა: სუსტ მხრებზე უმწეო ჩვილი შემოესვა, უღონო მაჭებით ბავშვს იბლუჯავდა, რომ მას ერთი წამით მაინც დედაზე მეტი ეცოცხლა. ნოეს აზრადაც არ მოსვლია, თოთო ბავშვი ბევრად უფრო უმანკო და უცოდველი არსებაა, ვიდრე თვითონ მე გახლავართო, — თავით ფეხამდე სამაგალითოდ უბიწო ნოე. ბავშვი კი ერთი იმ ყრმათაგანი იყო, რომელიც უნდა დაეცვა უფალს და არ დაიფარა, ისევე, როგორც ბეთლემში, უფრო მოგვიანებით, მრავალი სხვა უღანაშაულო ჩვილი არ უხსნია დაღუპვისაგან! გულახდილად უნდა ვაღიაროთ, არ სტუმრებია ნოეს ამგვარი აზრები. აკი საღვთო წერილში ნათქვამი იყო, „მამათა ქამეს კაწახი, კბილნი კი შვილთა მოკუუენესო“. გარდა ამისა, კანონიც იუწყებოდა: წინაპართა ცოდვები შთამომავალთ გასდევთ მეშვიდე და მერვე თაობამდეო. მთელი მსოფლიო ცოდვებში იბრჩობოდა და ნაკლებ სარწმუნო იყო, ვინმე თუ გადარჩებოდა წაუწყმედელი. ყველა დაღდასმული იყო, ყველა, გარდა იმ თითო-ოროლასი, ვისაც ხელახალი სიცოცხლისათვის უნდა მიეცა დასაბამი. ამიტომ სრულიად შეუბრალებლად უქვერტდა ნოე უბედურ დედას, წყალი რომ უქვე ყელამდე სცემდა. ის კი, სასომიხილი მაინც ჭიუტად ერკინებოდა სტიქიას, რათა ბაღის სიცოცხლე გამოეგლიჯა. უეცრად თითქოს მოულოდნელი დარტყმისაგან შექანდა ქალი. მის ადგილას ძაბრისებური ღრმული გაჩნდა. იქვე სულ ახლოს ფოლაღისფრად გაიბზინეს სამკუთხა ფარფლებმა და უცხო თევზებმა დგაფუნით ამოხეთქეს ზედაპირი. ლამაზი იყო მათი ველური სისხარტედელგმის მიუხედავად წყალი სისხლის-

რომე კაიშა
ნოე

ფრად შეიღება. ისევ იელვა ფოლადისფერმა მუცელმა, შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. წითელი კვალი გაქრა.

ნოეს არასოდეს ეხილა ასეთი დიდი და ხარბი თევზები. ქარიყლაპია რით საზრდოობდა, ეს, რა თქმა უნდა, იცოდა; მაგრამ რომ არსებობდნენ ადამიანის ხორცზე გაგიყვებული თევზები — ვერ წარმოედგინა — ზღვისგან მეტისმეტად შორს ცხოვრობდა. რაკი კიდობანში ყოველგვარი სულდგმული ეგულებოდა, ვაღაწყვიტა, მოვიცილი თუ არა, უსათუოდ დაძქებნი იმგვარივე თევზის წყვილს და ახლოს ვნახავო. მაგრამ კიდობანში არც ერთი თევზი არ აღმოჩნდა, და აი, მაშინ კი აერია ბერიკაცს დავთარი. ყველაფერი წაღმუჯულმა დაუტრიალდა: წარღვნას იოტისოდენა ზიანი არ მიუყენებია თევზებისათვის. პირიქით, გაალადა, ააზვავა, სულ გადარია. აი, თურმე რატომ არ დამიდგამსო კიდობანში აკვარიუმი, — დაასკვნა პატრიარქმა. მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს, მთვარის შუქზე მოჩანდა წვიმის უწყვეტი ნაკადი. ჩვენი ალაღმართალი მოხუცი კი იჯდა და ელოდა, კვლავ როდის გაიეღვებენო ფოლადისფერი ფარფლები. დამუნჯდა, მეტყველების უნარი წაერთვა, თითქოს მოაჯადოვავო გამოცანამ, რომლის ამოხსნაც მის ძალღონეს აღემატებოდა.

აფორიაქების უმთავრეს მიზეზად ის დრამა როდი იქცა, რის უნებლიე მოწმეც აღმოჩნდა ნოე. არა. ზვიგენი — ესაა რაღაც ვულკანისა თუ ვეფხვის მაგვარი. ადამიანი მასთან რას გახდებდა. ზვიგენი რომ გახელელებული ჩანთქავს ადამიანს წულიანად, — სულ არაა გასაკვირი, — ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ პირობებში. ათასჯერ უფრო საოცარი იქნებოდა, ასეთ დელიკატესზე უარი ეთქვა. ნოეს შესანიშნავად ესმოდა ეს, ესმოდა, რომ საგანთა ბუნება მისგან დამოუციდებლად ჩამოყალიბდა და იქამდე ხელი არ მოუწვდებოდა; მაგრამ ღმერთმა (თუ ვიღაცა სხვამ) ნოე საკმაოდ საღად და გონივრულად მოაზროვნე, უფრო სწო-

რად, ლოგიკურად მოაზროვნე კაცად გააჩინა, და, ამასთან, სამართლიანობის გრძნობაც უხვად მიჰმადლა; ე. ი. უფრო ზუსტად, მიჰმადლა ერთ-ერთი შესაძლებელი სამართლიანობის გრძნობა. როგორი შეზღუდული და ვიწრო თვალსაზრისიც არ უნდა ჰქონოდა (ხოლო ამ თვალსაზრისის შეზღუდულობასა და ფარდობითობას თავიდან ჩინებულად გრძნობდა), მთელი თავისი ლოგიკით, რაზედაც პასუხს არ აგებდა, მაგრამ რასაც მიუხედავად ამისა, ემორჩილებოდა ვერ დაგეთანხმებოდათ, რომ რომელიმე ციმორი რითიმე უფრო ღირსშესანიშნავი ვახლდათ, ვიდრე ვთქვით, ჩიტბატონა, ან, რომ კაპარტინა, მაგალითად, ბიგაზე დიდმნიშვნელოვანი არსება იყო, ზვიგენზე რომ არაფერი ვთქვით.

ხოემ შემოიკრიბა თავისიანები და ბორძიკით, მორიდებით ყველაფერი უამბო. ისინი ერთი კი შეცბნენ, მაგრამ მაინც ერთხმად დაასკვნეს: „რისთვის იმტვრევ თავს იმაზე, რაც სულ არ გეხება; რაც მთავარია, შენ, შენი ოჯახით გადარჩენილი ხარ. შენს ბედს ძალლი არ დაჰყვებს, და სხვები, შენი შემხედვარე — მხოლოდ შურით თუ აღივსებინაო; ისე რომ, ღმერთს ნუ სცოდავებდს ნუ ემღერობი“.

ნოეს კრინტი აღარ დაუძრავს. მთელი სიცოცხლე თვინიერი და მორჩილი იყო; სამართლიანობა და მორჩილება, მის არსებაში მშვიდობიანად შეხმატებული ეგუებოდა ერთმანეთს. ახლა კი წინააღმდეგობის ცეცხლმა იფეთქა. თუ ცოცხლად დატოვეს — ეს განსაკუთრებული უპირატესობა შემთხვევით კი არ მიუნიჭებიათ, იგი ითვლებოდა ყველაზე სამართლიან და პატიოსან კაცად დედამიწაზე; თუმცა ეს სამართლიანობა, რასაც ეგზომ პატივს მიაგებდა თვითონ ნოე, მაინც საკმაოდ საეჭვო და არც თუ მთლად უხაკვო იყო. იმავე უპირატესობის წყალობით, პირველი რომ დასჯილიყო, ყოველგვარ სასჯელს უდრტვინელი მორჩილებით შეუშვერდა თავს, რადგან უდრტვინელობა და მორჩილება დიდი სიქველე



და მადლია. ახლა კი განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მთავარი ის ხომ არ იყო, რითიმე გავხალისებინათ თევზები, ნიანგები, კიბორჩხალები, მეღუზეები, — ერთი სიტყვით, ზღვის უფსკრულების ურიცხვ ბინადართა მთელი საკრებულო, რომლისთვისაც ორმოცი დღისა და ღამის ნიაღვარს უმცირესი ვნება არ მოუყენებია. ღმერთს ხომ მცენარეებზე უფრო უნდა ეზრუნა, თუნდაც ეს სარეველა ქარაგოზი ან, ვთქვათ, პარაზიტი ფითრი ყოფილიყო. მსოფლიო წარღვნა რაიც აქამომდე დიდი და მრისხანე, საყოველთაო სასჯელის შთაბეჭდილებას ქმნიდა, ახლა ნოეს წარმოუდგა ღმერთის ყოვლად გაუმართლებელ წყალობად, ერთადერთი, ლაყურებიანი და ფარფლებიანი მოდგმის მიმართ, რის გადაჩენაც არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა არც რაიმე მითითების და არც, მით უმეტეს, ამ მოდგმის განსაკუთრებული ღირსებების გამო. ნოე, რომ გულგრილი ცინიკოსი ყოფილიყო, ყოველივე ამას უცნაურ შემთხვევითობად ჩათვლიდა, არც მეტი, არც ნაკლები; მაგრამ ის უსათნოესი იყო სათნოთა შორის და ღმერთსაც მისი გულმართალი და უსამართლობას შეუჩივებელი ბუნების გამო უყვარდა. ნოე დიდხანს ეძიებდა მომხდარის მიზეზს, მზად იყო ამ მოღალადე უსამართლობის გასამართლებლად ყოველგვარი ახსნა-განმარტება ერწმუნა, რაც, ბოლოს, მაინც, მოვლენათა იმ წყების აუცილებელი შედეგი უნდა ყოფილიყო, რომ ღმერთმა ესა და ეს საშუალებად ირჩია მანკიერ ქმნილებათა ამოსაძირკვლად და სწორედ ამით, უბირატესობა მისცა ერთ ნაირსახოვან, ჰრელ კატეგორიას, რომლის წარმომადგენლებსაც ერთმანეთთან არაფერი ჰქონდათ საერთო გარდა წყლისა, — მათი არსებობის აუცილებელი და ბუნებრივი გარემოსი.

წარღვნის დასასრულამდე დაზაფრული, კრიჭამეკრული იჯდა ნოე. არ გაუმქდავებია თავისი გრძნობები არც ცოლის, არც ვაჟიშვილების, არც რძლე-

ბისთვის. სირცხვილი კლავდა, სრამაც უკმ მიატოვა. თანდათანობით იგრძნობდა რა მძიმეა იტვირთო რჩეულის როლი და მთელი მსოფლიოს განადგურება მოინელო. აწამებდა აზრი, რომ ზენა-არის სათამაშოდ იქცა, და მისი გულაწყრომა ბოხოქრობდა, როგორც წყალი დედამიწაზე. სწორედ იმიტომ, რომ პატიოსანი და სამართლიანი იყო, აუწყურელ ზიზღს ჰგვრიდა იმის შეგნება, რომ ილუპება მთელი კაცობრიობა, ის კი, მხოლოდ ის ერთი, უფლის ღვთაებრივი განკვერტით, — გადაჩენილია. იმ ზომამდე მივიდა, თავის მოკვლა უნდოდა; ოღონდ გამოსალმებოდა სიცოცხლეს, მამაზეციერმა რომ ეგზომ მომხიბლავი გზით შეუნარჩუნა. თუმცა, ასევე მომხიბლავად დაიცვა ათასობით ნაფოტა, ორაგული, გველთევზა, ყველა უბადრუკი ჭიჭყინა. ნოეს გულსწყრომას მოჰარბებელი ქედმაღლობა ან მეტისმეტი მგრძნობიერება კი არ ასაზრდოებდა, — თავისი მდგომარეობის სიყალბე ტანჯავდა. პატივი, რაც თავდაპირველად, ყოვლად გასაგები მიზეზებით, სასურველად, მაცთუნებლად ეხატებოდა, ახლა იძულებული იყო დამამცირებლად, სამარცხვინოდ ეცნო.

ერთბაშად მოტყდა. არაყიც კი ინატრა, თუმცა კიდობანზე სპირტიანი სასმელის წვეთი არ მოიძებნებოდა. ნოემ კი არა, მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა „განავლინა ყორანი ხილვად, უკეთუ მოაკლდა წყალი“. შემდეგ სამგზის მტრედი გავზავნა. ნოეს კი მხოლოდ სიკვდილი, თავდავიწყება სწყუროდა. ცისარტყელა რომ გამოკიაფდა, ცისთვის არ შეუხედავს. კარგა ხანს მოუხდათ ლოდინი, სანამ „ქუეყანა განხმებოდა“. კიდობნის ხიზანთა ხმელეთზე გადმოსხმაც გაძნელდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნოე ქუფრი და მღუმარე იყო. ღიმი მამინაც არ დასჩნევია, როცა წყლის უქუქცევის შემდეგ აქა-იქ პაწაწინა, მშრალზე გარჩენილი,

**რომე კაიხა
ნოე**

ბრჭყვიალა ლიფსიტები მოლანდა, იმ კოლოსალურ უსამართლობასთან შედარებით, რის მოწმეც ნოე გახლდათ, ეს უბადრუკი რევანში რა ანგარიშში ჩასათვლელი იყო; პირიქით, კაშკაშა სუვენირივით, წარღვნას უფრო ნათლად აღადგენდა მეხსიერებაში. მოხუცი ბოლშევიკი აქნევდა თავს: აიო, შემდგომი თაობები კარგა ხანს ხშირად, ძალიან ხშირად წააწყდებიანო მილიონობით გამორჩეულ ნიქარას, თევზის ფხებსა და ხერხემალს, ყველგან, ყველგან, მთის მწვერვალებზეც კი, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ უძველეს დროს, უშორეს ეპოქაში ადამიანთა მთელი მოდგმა აღზოცესო.

როცა ხელახლა გაშენდა ბაღები, როცა კვლავ დაისხა ვენახმა, ნოე ღვინოს მიაცხრა. გაშმაგებული სვამდა. ცხარე ბანგით გაბრუებული ცდილობდა გადაეფიქვებას, რომ იყო ბრმა იარაღი და თანამონაწილე დანაშაულისა, რომლის აზრსაც სულ უფრო და უფრო ნაკლებად სწვდებოდა. რაც არ უნდა განესაჯა, რაც არ უნდა განებქო, ბოლოს მაინც განუხრელად ასკენიდა, ყველაფერში ღმერთთაო დამნაშავე-ადამიანი გულხარბია და გარყვნილი? — ვისი ბრალია, ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი? ვინ შექმნა იგი ამგვარად? განა ღირდა მათი გაჩენა მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ყველას ერთად დარეოდნენ? რატომაა ქვეყანა ასე უგონოდ შექმნილი, რომ ერთი არსება აუცილებლად მეორეს ღრღნის და ხრავს; ან რატომ გაწყვიტეს ყველა, განურჩევლად ცოდვილისა და უმანკოსი, ავისა და კარგისა?

განსაკუთრებით ერთი კითხვა აეკვივრათა, ვერაფრით რომ ვერ მოიშორა და მომბაზვრებლად ჩაბზუოდა ყურებში:

დედამიწის მკვიდრთა გასაულებლად, რატომ მაინც და მაინც წყალში ჩაშენდა თუ ამავე პლანეტის ზოგიერთი ბინადარისთვის სწორედ წყალია არსებობის ყველაზე აუცილებელი და ბუნებრივი პირობაო.

ლოთობის, აღვირახსნილობისა და თავმეუფავებელი მრუშობის მორევში ჩაფლული, განზრახ და აშკარად ბღალავდა ყველა უწმინდეს წესსა და ადათს. ქალიშვილები რომ წამოეზარდა, სისხლის აღრევით შებილწა მათი სარეცელი. კიდევ რაიმე რომ მოეფიქრებინა, არაფერს დაერიდებოდა, ყოველგვარ ავხორცობაში დაუოკებლად ჩაიხრჩობდა. ყველა ბიწიერება, ლოტს რომ მიაწერენ, — ნოემ ჩაიდინა.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ღვთისმოშიშმა მემკატიანებმა ერთის ცოდვა მეორეს აპკიდეს, თორემ, აბა, რას ემგვანებოდა: ნოე იყო ერთადერთი პატიოსანი კაცი, რომელიც ღმერთმა ხიფათს აარიდა, სიცოცხლის ღირსად სცნო, ის კი, პროტესტის ნიშნად, განზრახ სიძვის, მანკიერებისა და ლოთობის გზას დაადგა. მაგრამ თქმულებას, ეტყობა, მყარად და ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ეს მეორე, ლოტი, ხალხის ენამ ყოველგვარი მანკით დახუნძლა, ოღონდ ნოესთვის ჩამოერეცხა სირცხვილი; თუმცა ლოტი ტყუპისცალივით ან ორეულივით ჰგავდა ნოეს: ასევე სათნო და ქველი, ნოესაკვით ერთადერთი აღმოჩნდა, ღმერთის საყოველთაო მსჯავრი რომ ასცდა. ოღონდ, იმჯერად, სასჯელის მახვილად ღმერთმა დედამიწას ცეცხლი მოუვლინა; ცეცხლი კი, მოგვხსენებათ, ყველაფერს ნაცარტუტად აქცევს, წყალსაც აღულებს, შემდეგ მდულარე ოხშივრად აორთქლებს და არ ინდობს არავის.

ფრანგულიდან თარგმნა თამილა ცინცაქაძე.

ჯუჩხა ნაღრიკაძე

უკრაინები, პირაპიღები, პრქეოლოგები

საბაგოს ჟიხურში მჯდომმა პირტიტველა, ქერა ჯარისკაცმა შეინდისფერი პასპორტი დაამბრუნა, კიდეც ერთხელ შემათავლიერა გულმოდგინედ, მერე ლერძზე მბრუნავი სხვა ქვეყნის კარი გამოიღო და ბედნიერი მგზავრობა მისურვა.

ლამპიონებით განათებულ აეროდრომზე ქარი ნამქერს წვილით მიერეკება სინათლის ზოლის გადაღმა ჩამოწოლილ უკუნ ღამეში, თვითმფრინავზე მიდგმული კიბის საფეხურებზე შემონანჭრული ფიფქი უკანასკნელად კრატუნობს ფეხქვეშ... მერე... ქათქათა თბილ სალონში დამენათევ სხეულს დალილი ფიქრი მოსვენებას უკარგავს. თვითმფრინავი უკვე ღრუბლებს თავხედა, ფრთებით ვარცხნის ვარდისფერი ნისლის ოკეანეს, ნელ-ნელა მიიწევს მაღლა და ცის ლურჯ კაბადონზე ამოგორებულ ბრიალა მზეს ესალმება. ამ მზის სინათლის წყალობით, დედამიწიდან ცხრაათის მეტრის სიმაღლეზეც კი, ფიქრი უფრო იმედიანი ხდება. თვითმფრინავმა მზეს მხარი გაუსწორა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. ორიოდ საათის შემდეგ, მზით ვაჩახახებული სალონის შუაგულში მდგომმა სტიუარდესამ ცისფერი თვალები კეკლუცად მოწყურა და მგზავრებს ამცნო, გადავეყეთო უნგრეთის საზღვარი და ბუდაპეშტის თავზე მივფრინავთო. გადაუფრინეთ ბელგრადსაც, მაგრამ მიწის ერთი მტკაველიც კი არ გამოჩენილა.

ეკრობა ღრუბლების სქელი ფენით იყო დაწინსულები. საღდაც ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, რამდენიმე სოფელს მოკვარიოთ თვალი. ღრუბლები თანდათან შეთხელდა, შემდეგ სულ გაქრა და თვითმფრინავი ზღვარქაშალოდ, უკიდვანო სივრცეში შეფრინდა. არსად ჩან-

და დასალიერი. აქ ცა ზღვაზე იყო გადამხობილი და თვალსაწიერი ლურჯი სივრცის უსასარულობაში ინთქმებოდა. დროდადრო გამოჩნდებოდა სამხრეთისაკენ მიმავალი ყვითელი კრეოსერები; აქაფებული ზოლი თეთრად ჩხანნიდა ხმელთაშუა ზღვის ზურმუხტოვან ზედაპირს.

შვიდი საათის ფრენის შემდეგ მივადურეთ აფრიკის კონტინენტს; ზღვის სილურჯე უდაბნოს უკაცრიელებამ შესცვალა. ამ გადაბუჯული მიწისთვის ღმერთს სილა, მზე და ქარი უბოძებია მხოლოდ. ქარი აქ გამუდმებით ებღურავება გახურებულ ქვიშას და ხან აქ დგამს სილის მთას და ხან იქ. თვითმფრინავიდან ნათლად მოჩანს უდაბნოს სიბრტყეზე ამოზიდული დიუნები. შეჭრდილებით აჭრელებულ დიუნების დაღარულ ფერდობებს მზე ოქროსფრად აელვარებს და უდაბნოს მოწითალო სივრცეში დაჩეხილი მწვერვალების შავ სილუეტებს ხატავს; მგზავრები მოღუშულნი ჩაჰყურებდნენ მკაცრ უდაბნოს. რუხი ჰორიზონტის მიღმა ეკვიპტის მწვანე ველი ამოტივტივდა. სალონში სიხარული გამეფდა, მგზავრები ილუმინატორებს ერთ მხარეს მისცივიდნენ, ვაბრწყინებული თვალებით გაჰყურებენ ბალ-ბოსტენით გადახასხასებულ ეკვიპტის ქვეყანას, რომლის შუაში ცისფერად ლილეივებს დიდი ნილოსი. ამ ევლმა და ამ ცისფერმა მდინარემ კაცობრიობას უბოძა მსოფლიოს უდიდესი და უძველესი ცივილიზაცია. ძირს, გიზას ზეგანზე, მოჩანს ამ ცივილიზაციის უტყუი მოწმენი — პირამიდები. ისინი ოთხიათასი მეტრის სიმაღლიდან თვალს ერთი მოკვრითაც კი დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ და მათი ნახვის მოლოდინში აღამიანა მოკრძალებული შიში ეუფლება.



დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი შონ-წავლის მერხი დგას, მილიონობით ადამიანს უყვამ ბავშვობაშივე ასწავლიან და მოუთხოვრებენ მსოფლიოს საოცრებათა შესახებ, რომლებიც უხსოვარ დროში ფარაონებმა აღმართეს ნილოსის სანაპიროზე. უმრავლესობისათვის ეგვიპტის ძველები სამუდამოდ რჩება შორეულ ოცნებად. სიმართლე რომ ვთქვა, არც მამონ — ქიათურის მე-2 საშუალო სკოლის საკლასო ოთახში, როდესაც მასწავლებელი ბირამიდების შორეულ და ზღაპრულ ქვეყანაზე გვესაუბრებოდა, და არც შემდეგ, დიდხანს არ მტონდა იმედს, რომ ფეხს დაეადგამდი ნილოსის სანაპიროზე.

თვითმფრინავი ბორბლებით ეხება მსოფლიოს უძველესი ქალაქის უახლესი აეროდრომის დასაფრენ ბლიკს და ქაიროს აეროდრომის შენობის აივანზე გადმომდგარი, ეგვიპტეში მომუშავე ქართველი სპეციალისტები გვესაუბრებიან დიდი ხნის უნახავ თანამემამულეებს. ჩვენ შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც საბავის რიხურის მიღმა წლობით უნახავი დაი, ძმა ან შევილი ელოდება.

შევფრინავი გამოწყობილი შეგვეგრემანი არაბი მესახლებრები ღიმილით გვიღებენ თავიანთი ქვეყნის კარს. შხით გაჩახახებული აეროდრომის წინა მოედანზე ტანადი ნუბიელი ზანგები შეფარული ღიმილით უთვალთვალებენ ჩრდილოელ ტურისტებს, რომლებსაც მკლავზე გადაკიდებული ქურქები და მძიმე პალტოები ზემდებ ბარგად უჩანთ აფრიკის გავარაგებული მშის ქვეშ. ვიდრე მზიდავები ჩემოდნებს ავტობუსში შეიტანდნენ, ქაიროს ტურისტული ფირმის აგენტმა, საკუთარი სილამაზით მოხაზულმა, ჩასუქებულმა მამაკაცმა მოგზაურობის გეგმა გავაცნო, მერე შორიახლო მდგომი პატარა „ბიზნესმენების“ გუნდი მკაცრი შეძახილით დააფრთხო და ეგვიპტის მიწაზე კეთილი მგზავრობა გვისურვა. როდესაც ქალაქს მივუახლოვდით მძლოლმა სირჩარეს უკოლ და ავტობუსმა სახეიმო, ნელი სელით ჩაუარა ქაიროს გარეუბანში სხვადასხვა არქიტექტურული სტილით ნაგებ ლამაზ კოტეჯებს. ამბობენ, რომ მათი მფლობელები აღმოსავლეთის ქალაქს საკუთარ იერს უჯარგავენ — ყველაფერს რომისა და პარზის გარეუბნების ყაიდაზე აწყობენო. როგორც არ უნდა იყოს, წითლად მობრდღვივალე ვარდის ბუჩქებსა და პალმის ხეებს შორის ჩადგმული მზისფერი სახლები, რომელთა აივნებზე ზმირად მოჩანს სელის ღრმა სავარძლები, დაღლილ მგზავრზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ვიდრე სასტუმროს მივადწევიდით ავტობუსის ფანჯრიდან თვალი მოგკარი ქალაქის ციტიდელსა და ცაში აღმართულ მეჩეთის მინარეთებს, რომელთა ძირში ასეულობით დიდი და მცირე ზომის, მუხასაუცუნეების ნაგებობებია შეუქუთი. ქალაქს მოშავო-მო-

რუხი ფერი გადაკრავს, ვიწრო ქუჩების კუთხეებში აქა-იქ მიყრილია ნაგვის ვარკვენი. სხვა სანახაობა იშლება თვალწინ „სასტუმრო“ „ელნის“ აივნიდან. მდინარის სანაპიროზე ჩარიგებული მრავალსართულიანი სახლების გასწვრივ, შავად მოკრიაულ ასფალტზე ვლავანით დაჭრიან ათსანიირი მარკის და ფერის უცხოური მანქანები, ყველა მძლოლს ხელი საყვირის დილაკზე აქვს დაჭერილი და ქურქები მუხავ გაბმული ხმებითაა საცხე. მუხანედ მოხასხასე სკვერების გადაღმა, ნილოსის ცისფერ ზედაპირზე, აფრიანი ნივები დასრიალებენ და წყლის ძველისძველი ტრამვაი ქოთქოთით მაიკვლევს გზას მდინარეზე გადაწვართული გრძელი ხიდების თაღებისაყენ.

ჩემი ოთახის აივნიდან იშლება ქაიროს ხედი. აქ შეგიძლია სელის სკამზე ჩამოჯდ და ცოტა რამ გაიხსნო აფრიკის ამ უძველესი და მრავალჭირნახული ქალაქის ისტორიდან. მას ქურქები სისხლი დაუნახებია ყველა დროის ცნობილ დამპყრობელს, დღიდან დაარსებამა მტერი ქალაქს უთვალთვალებდა და ქალაქი მტერს.

ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე დღევანდელი ქაიროს ტერიტორიაზე დამპყრობელმა გადაბუგა მაშინდელი მსოფლიოს ერთი უძველესი ქალაქი. ჩვენს დროში მის არსებობას არაფერი არ ამქვლავებდა, გარდა ცომა აღმართული გრანიტის ობელისკისა, რომელიც დიდხანს უყურადღებოდ იდგა ქაიროს გარეუბანში.

1912 წელს აქ ინგლისელი არქეოლოგი ფლინდერს პიტრი მოვიდა. მან მიწაში ძებნა დაუწყო მეორე ობელისკს, რომელიც ტაძრის შესასვლელში მის გვერდით უნდა ყოფილიყო აღმართული. არქეოლოგმა ობელისკიც იპოვა და გრანდიოზული კედლის ნაშთებიც. ეს იყო უძველესი ქალაქის ნანგრევები. მას ბერძნებმა პელიოპოლისი დაარქვეს, ხოლო თვითონ ეგვიპტელები ეინრეს! — მზის საბრძანებელს, მზის საცხოვრისს უწოდებდნენ. ამ ქალაქში არსებობდა მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტი. ძველი სამყაროს მეცნიერები აზრი დიდად იყო დავალებული მისგან. აქ ეგვიპტელ ქურუმებთან სწავლობდნენ ისინი, ვისი სახელებაც კაცობრიობამ სამუდამოდ დაიმახსოვრა.

ამ ქალაქში დიდხანს ცხოვრობდა პლატონი, ხოლო მისმა მოწვევამ ასტრონომმა ევდიკოსმა ეინრეს მეცნიერთაგან ისწავლა დღელამის ზუსტი გაზომვა და დაედგინა წელიწადის ხანგრძლივობა, რაც ბერძნებისათვის უცნობი იყო. ეგვიპტიდან ათენში დაბრუნების შემდეგ სწორედ მან — ევდიკოსმა გამოიგონა მზის საათი. ბერ-

1 ქალაქის ბერძნული სახელი ეგვიპტურიდანაა თარგმნილი. პელიოპოლისი მზის ქალაქს ნიშნავს.



ქენმა სწავლელებმა განსაკუთრებით ბევრი რამ შეიძინეს ეინარეს სამედიცინო სკოლის მეცნიერთაგან, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იქ ძველი კულტურის ნაღვერდები ბუუტავდა მხოლოდ და ქალაქი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ნათელი აზრის დაბნელებას დასაბამი სპარსელებმა, დაუდეს. კიროსის შრისხანე შეიღმა კამიზმა ძველი წითლარცივის 525 წელს მოსრა და მიწასთან გაასწორა ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე აგებული ქალაქი ეინარე. ვავიდა წლები, იქ კვლავ აკვირდა მეცნიერების ჩირაღდან, მავრამ ქალაქს ძველი დიდება აღარ დაბრუნებია, მისი მზე ეგვიპტის ძლიერებასთან ერთად ჩაესვენა.

ძვ. წელთაღრიცხვის 25 წელს მეგდარი ქალაქის ნანგრევებს შორის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი დააბიჯებდა და სამშობლოში დაბრუნებული წერდა, რომ მან ნახა უზარმაზარი სახლები, სადაც ქურუმები ცხოვრობდნენ. წარსულში იქ ისინი ასტრონომიასა და ფილოსოფიას სწავლობდნენ, მაგრამ ახლა მათი მოღვაწეობის კვალიც კი არ ჩანსო. სტრაბონს ავიწყდებოდა, ან არ უნდოდა გაეხსენებინა, რომ ეგვიპტელი ფილოსოფოსებისა და ასტრონომების ნაკვალევზე იდგნენ ბერძენები და თან საუკუნეების განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობდნენ ელინურ კულტურაში ეგვიპტური ნაზრების მიჩქმალვას. თვით ბერძნული მითოსიც კი ეგვიპტურ გავლენას განიცდის. ელინური ხელოვნების ზოგიერთი მუხა ნილოსის სანაპიროზე ცხოვრობს, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ერთ დროს ეგვიპტური პოეზიის ან მუსიკის მუხები იყვნენ და არა ბერძნულისა.

მის შემდეგ, რაც აღუქსანდრე შეკედონელმა ეგვიპტე დაიპყრო, მეცნიერულ აზრთან ერთად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ უხვად მიედინებოდა ამ ქვეყნის სიმდიდრე. მოგვიანებით კი რომაელებმა თავიანთ ქვეყანაში პურეულისა და სხვა დოვლათის გასატანად ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე ციხე და მცირე ნავთსაყუდელი ააშენეს. ციხის გარშემო დასახლება გაჩნდა და იგი შემდეგ დიდ ქალაქად გადაიქცა. მემატიანე იმ დროიდან იწყებენ ქაიროს ისტორიას.

ადრეულ და გვიანფორდალურ ხანაში ქაირო წარმოადგენდა მსოფლიოს გზათა შესაყარს. საუკუნეების განმავლობაში, წყლითა და ხმელთ, მისკენ აურაცხელი სიმდიდრე მიედინებოდა.

2. ქაირო გვიანდელი წარმოშობის არაბული სიტყვაა ქაირო (ალ-ქაირო) ციხე-სიმაგრეს ნიშნავს. 969 წელს ფტიმიდების დინასტიის სარდალმა ყოფილმა მონამ გახურამ დიდი ქალაქის ფოსტატის ჩრდილოეთით დღევანდელი ქაიროს ცენტრში დააარსა სამეფო რეზიდენცია და ახალი ქალაქი.

ბოლა. იგი აზიის, აფრიკისა და ევროპის ტინენტებს შორის მდგარ უზარმაზარ ბელელსა და კომერციულ ბანკს წარმოადგენდა. ვაჭრობის შედეგად გამდიდრებული ქაირო ათას ერთი ლამის ზღაპრულ ქალაქად იქცა.

მე არ ვაპირებ სიტყვა განეკარგო ფეოდალური ხანის ქაიროს ისტორიაზე. ეს წერილი არც საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას ისახავს მიზნად, რადგან ქართულად ძალიან ცოტა რამა დაწერილი და თარგმნილი ეგვიპტის გრანდიოზულ ძეგლებზე. ნარკვევის მიზანია ახალგაზრდობის ნაწილს მაინც ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას ნილოსის სანაპიროს იმ უდიდეს ცივილიზაციაზე, რომლისგანაც მოდენ დავალებულია მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხების კულტურა, და მათ შორის — ქართულიც.

მეფშინი

ამბობენ, ქაიროში წელწადში მხოლოდ ორიოდ დღე იცისო წვიმიანი. არ ვიცი, რომელ დღეს იღრუბლება ქალაქის ცა, 1970 წლის 26 იანვარი კი შიანი გათენდა. კელნერმა თავიზიანად ვაგილოდ დაზაზის კარი და ოქროსფერ ხიფთანებში გამოწყობილმა შავმა ნუბიელებმა ვერცხლის სინებით მოგვართეს ნილოსის წყლით ვაცოცხლებული მიწის ნაყოფი: ახალი კარტოფილით, მწვანე სალაით, შუშა კიტრით, მწიფე პამიდორითა და მზესავით ბრიალა ფორთოხლებით გაწყობილი სუფრა ჩვენთვის საკნაური იყო, მაგრამ იანერის დღეებში მაინც უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ვიღაცამ შავიდანე საქართველოდან წამოღებული ტყეშილი სავსე ბოთლი შემოიღდა, ვიღაცამ იხუმრა: ლობიოც რომ წამოგვლოთ კარგი იქნებოდაო. ხუმრობა უადგილო გამოდგა, მალე შეხვლილი წითელი ლობიო მოგვიტანეს, სიმჭვე აკლდა და ტყე-მალმა ქართულად მონათლა. ლობიოს არაბულად «ფულა» რქმევიდა და იგი აქაური გლეხების ძირითადი კერძია თურმე. ერთი საათის შემდეგ ქაიროდან მეფშინისაკენ მიმავალი გზის ორსვე მხარეზე ჩალაშემომხმარა სიმინდის ყანებსა და ლობიოთი გადაბარდნილ მწვანე კვლებს ითავი მკლავგრძელი ფელახები ამიმედ ატრიალებდნენ სანახევროდ არბში ჩამებულ ხაპიან ხის ბორბლებს. მღვრიე წუმპით სავსე ხაპები არხზე სახელდახელოდ გადებულ დარზე პირქვევდებდა და წყალი ჩხრიალით მიედინება ბოსტნის კვლებში. მდინარის გაყოლებით, ალაგ-ალაგ, შავი ხნულებმა გასწვრივ, რქე-ამოლტლი წითელი ხარები მიწაში შეთხრალ სახსის დინჯად ეზიდებთან დაბეგვილი ქაღ-

ჯურხა ნაღრიამე
ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები



ბით. შავ ბელტებზე მოფორბილე გაპირებულ-
ლი ფელაზი გუთნისდევად ღროღადრო წითელ
ხარებს უმოწყალოდ უხათუნებს დაფლეთალ
ტყავის მათრახს. უქვისათასი წელწაღია ეს სუ-
რათი ვანუყრელად ამშვენებს ნილოსს სანა-
პაროს პეინხას. დაახლოებით ორმოცდათორმე-
ტი საუყურის წინ, როდესაც ფარაონმა მენენმა
ქვეყანა გაეართიანა და ზემო და ქვემო ეგვიპ-
ტის საზღვარზე თავი მოუყარა მშენებელთა
უხარმაზარ არმიას, რათა საფუძველი ჩაეყარა
მსოფლიოს უძველეს ქალაქ მემფისისათვის, ეგ-
ვიპტოლი გლეხები, თოხითა და კავით ხელში,
აქ მამონია ასე გულმოდგინედ შრომობდნენ:
კრეფდნენ ყურძენს, მკიდნენ პურეულს, წნავ-
დნენ ხახვიასა და ნივრის ვალებს. ღვინით, რძით,
შუშა კიტრითა და წითელი ბოლოყით დატვირ-
თული ნაგები ვანუყვეტლივ მისრიალებდნენ
მემფისისაკენ. მხოლოდ მაძლარ მუშებს, მეზათ-
ქაშეებსა და ქვის ხუროებს, განებებებულ ან-
ყინრებს, მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს
შეეძლოთ შეექმნათ გრანდიოზული ნაგებობანი
და ხელოვნების ის ბრწყინვალე ძეგლები, რომ-
ლებიც ამშვენებდნენ ძველ მსოფლიოში სახელ-
განთქმულ ეგვიპტის პირველ დედაქალაქს.

გზა, რომლის ორივე მხარეს მაღალი პალ-
მები ჩაირგებულნი, ქალაქის კარიბჭესთან თავ-
დება. შესასვლელში, რყინა-ბეტონის პავილი-
ონის ქვეშ, რამზისის ოცმეტრიანი ქანდაკებას
ზურგზე დაიკუმფლი. იგი აქ ერთ ღრის კვარ-
ცხლებზე მდგარა, წაქეთულა და ფეხზე აღარ
წამოუყენებიათ, ღმერთაკის ეს უხარმაზარი
კოლოსი სიმბოლურად გამოხატავს დამზობილი
ქალაქის გარდასულ დიდებას.

ქალაქს, რომელიც ძვ. წ. აღრიცხვის მეოთხე
ათასწლეულის დასასრულს ასუენს, ეგვიპტე-
ლები ხეთ-კა-პთასს ეძახდნენ, ხოლო ბაბილო-
ნელები ჰე-კუ-პთასს. ამ უკანასკნელის მიხედ-
ვით ბერძენებმა ქალაქს, და შემდეგ მთელ ქვე-
ყანას, ეგვიპტოსი უწოდეს და იმ ქაზიდან მო-
ყოლებული ნილოსის სანაპიროს მთელი მსოფ-
ლიოსათვის ამ სახელითაა ცნობილი.

დაახლოებით ათასი წლის მანძილზე იდგა
ქალაქ ხეკუთაზში ფარაონთა ტახტი. აქ მე-
ფობდნენ ყველაზე ძლიერი მეფეები, რაც კი
კაცობრიობას ახსოვს თავისი არსებობის მან-
ძილზე. მათ შუბლს ამშვენებდა ზემო და ქვემო
ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი. ნილოსის უწა-
მაზარ ველზე ისინი ზეიმობდნენ, როგორც მე-
ფენი და როგორც ღმერთები. ფარაონთათვის
უცხო იყო რაიმე მიწიერი სიამოვნების უა-
ყოფა. მათ კარზე თავმოყრილი ათასი ჭურისა
და ხელობის ადამიანები, ორგულნი და ვრა-
გულნი, ნიჭიერნი და უნიჭონი ცდილობდნენ
უზენაესისათვის ამქვეყნიერი სიამოთხე შეექმ-

ნათ და თვითონაც მის გვერდით შესაყრდენად
გილი დაემკვიდრებინათ. ხეკუთაზში კარგის
ეგბდნენ ტბები და ჰყვადნენ ბაღები, მზუხე
ბრწყინავდა მარმარილოს სასახლეები მაღალი
ნათელი დარბაზებით, ვიწრო დერეფნებით, სა-
რდუმლო გასასვლელითა და მყუდრო ოთხ-
ხეებით. ქალაქს ამშვენებდა სემირამისისა და ქუ-
რუმების, მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების,
მეცნიერებისა და მწერლების, სახელმწიფო მო-
ღვაწეებისა და კურტიზანების სახლები და სა-
სახლეები. სულთა, მოკირწყლული ქუჩები მიე-
მარობოდნენ ფართო მოედნებისაკენ. მოედ-
ნებზე აღმართული იყო ქანდაკებები. ერთი მათ-
განი დღესაც აქ დგას. დილიდან შებინდებამ-
დე გარს ეხვევიან ტურისტები.

ოქროსფერი ქვაქვიშისაგან გამოკვეთილი
ლომაკის ქანდაკება მძიმედ წვეს გრანიტის
კვარცხლებზე. ნადირთა მეფე ადამიანის თა-
ვითაა გამოსახული, იგი ფარაონის სახეს გამო-
ხატავს; დგას, ვითა სიმბოლო დიდებულების
და ძლიერებისა. ბავუე მშვიდი ღიმილი აქვს
შერჩენილი, მას არ აღშფოთებს ნანგრევებად
ქცეული საყუართი ქალაქის სამარისებური დუ-
მილი. იგი, როგორც წუთისოფელი, დროებითი
იყო. უნდა დადუმებულიყო. და დადუმდა კი-
დეც. მაგრამ ის, რაც ფარაონმა იმქვეყნიური
მარადისობისათვის შექმნა, როგორც ღვთაებამ,
შეურყველად დგას ათასეული წლების მან-
ძილზე. ნილოსის მწვეან ელის მიღმა, ლურ-
ჯი ცის ფონზე გამოკვეთილი პირამიდების მა-
რადისობის რწმენაა აღბეჭდილი ფარაონის
შუბლზე...

ქალაქის ნანგრევებს შორის აღმართული ქვის
უხარმაზარი დაფები აჭრებულთა იეროგლი-
ფებით. რამდენიმე ნიშნის ცნობა თუ შანც
იცი, უსათუოდ შეეცდები კარტუში ჩასმული
ასობის მიხედვით რომელიმე მეფის ან დე-
ლოფლის სახელი ამოიკითხო, მაგრამ ტურისტს
საამისო ღრო სადა აქვს;

ლურჯი მერსედესის ციფად მომკვიანი საყვი-
რის ხმა აერთებს მკვდარი ქალაქის მყუდრო-
ებას. მოყვითალო ფერის ტბორს დაწვებულნი
საქონლის ჯოგაც კი წყლის სმას თავს ანებებს
და დაფეთებულნი თხები ბღაეილით გარბიან
ნანგრევების გადაღმა მოშრიალე მაღალი პალ-
მების ტყეში. შეგვიანებული ტურისტები სირ-
ბილით მიეშურებოდნენ ავტობუსისკენ. ვილაცას
რალაცა დარჩა უნაზავი, ვილაცამ სურათის გა-
დაღება ვერ მოასწრო. ადამიანებს სახზე სინა-
ნულისა და უკმარობის გრწმობა აქვთ აღბეჭდი-
ლი. ღროღადრო ჩერდებთან და ანგარიშმიუცემ-
ლად უმინებენ ფოტოაპარატებს, რაც კი ახ-
ლა მათ ახლოსაა და რასაც ალბათ უკანასკ-
ნელად ხედავენ.

ავტობუსი განივად ტრის ნილოსის ველს და დასავლეთისაკენ მიემართება. უკან გარბიან აქორჩხილი პალმის ხეები და რამდენიმე ხნის შემდეგ უდაბნოს საზღვართან ვერღებობთ. აქ ბ.ლიდან გამოტანილ ცვირთან მანდარინს არაბი გლეხი ყავისფერ ხელისგულზე იწყობს და ტუჩრისტებს აწონებს. თუ ფული არა გაქვს, ვაჭრობა ნატურით შეიძლება: ორ კილოგრამ ოქროსფერ ნაყოფს სიამოვნებით გაგიცვლიან ერთ კოლოფ სიგარეტში. აფრიკის მზის ქვეშ დადლილი მგზავრისათვის ეს დიდი წყალობაა, მითუმეტეს, რომ სასმელი წყალი აქ აბლო-მანლო არსად იშოვება. ძვეტის ღობეს იქით, რომლითაც მანდარინის ბაღია შემორავული, ათობდე ნაბიჯს გადაადგამ და ფეხები სილაში ჩაგეფლოობა. ეს უდაბნოა. ამ მიწას დავიწყებული აქვს წვიმის სიხარული. სიყარვილე და მღუშარება, რომელიც თან მიჰყვება ოქროსფერ, მკვდარ ქვიშას, უსასრულობაში ინთქმება და აღამიანს ბუნება ავრანობინებს, რომ იგი სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე დგას. სწორედ აქ, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე, სიცოცხლის დამბადებელ ველსა და მკვდარი უდაბნოს გასაყარზე და თავშესაყარზე, მემფისელმა ფარაონებმა უხსოვარ დროში დააარსეს თავიანთი სამარადისო განსასვენებელი. აღმართს რომ აათავებ, სამხრეთ-დასავლეთით, უდაბნოს სიღრმეში აიღანებება გრანდიოზული ნაგებობის რუხი სილუეტი. ეს ფარაონ ჯოსერის საფეხურებიანი პირამიდაა. იგი შედიდურად ბატონობს სკაპრის ზეგანზე. საყარამ ეგვიპტის უძველეს ნეკროპოლია. მეოთხე ათასწლეულის დასასრულიდან აქ მოღვაწეობდნენ გენოსი აღამიანები. ისინი აგებდნენ და ხატავდნენ ფარაონთა განსასვენებლებს და თავიანთი გამოვონებებითა და შემოქმედებით წარუშლელი კვალი დააჩინეს კაცობრიობის ისტორიას.

ავტობუსი სწრაფად იმოკლებს ვზას, ზეგანზე აღმართული პირამიდა ნაპირს მოახლოებულ გემოვით თანდათან იზრდება და... უცხად მალალი კედლის იქით უჩინარდება. კედელი, რომლითაც ნეკროპოლია შემოსაზღვრული, ხუთმეტრი მეტრის სიგანისა და ათ მეტრზეა ცაში აწვილილი. მისი ზედაპირი ნილოსის გაღმა მხრიდან მოტანილი თეთრი კირქვის ფილებით არის მოპირკეთებული. ეს კედელი ისე, რო-

3. ფთახა-საქორ-ოზირისი იყო ფარაონთა სულისა და განსასვენებლის მფარველი ღმერთი. მისი სახელისაგან წარმოდგება სახელწოდება საყარა.

გორც ჯოსერის პირამიდა, ქვეთ აშენებულა ველისი და უპირველესი ნაგებობაა დედამიწის ზურგზე. ოთხიათას რვაასი წელია იგი რამსფრად კიაფობს უდაბნოს რუხ ჰორიზონტზე. ახლა სანახევროდ დაქცეულია გაღაენის თავზე ოდესღაც მძიმედ დააბიჯებდნენ ეგვიპტელა გეშაგები და გარდაცვლილი ფარაონის სამარადისო მუყდროებას დარაჯობდნენ. აღმოსავლეთ კედლის სამხრეთ ნაწილში ჰქონდა და აქვს ერთადერთი შესასვლელი. იგი მონუმენტური კარის სახითაა გაფორმებული, მაგრამ გასასვლელი მეტად ვიწროა. ფეხს დადგამ საძირკველს, კარებს გასცდები და თვალწინ ლერწმის კონის ფორმის სვეტები აღიმართება. შენობის სახურავში აქა-იქ მზის სხივები იღვრება — ექვსმეტრიანი სიმაღლის ორმოცი თეთრია ბოძი, რომლებიც ორმოცდახუთი მეტრის სიგრძეზეა ჩარეგებული, თითქოს მოითხოვენ მოკრძალებ-სა და ღუმლით იარო წინ — ოზირისის საეფლოსაკენ. აქ ტურისტებიც კი არ ხმაურავენ და სიუტემეში გესმის როგორ ხრამუნობს ფეხქვეშ ქვიშანარევი უდაბნოს სილაოდესლაც აქ მის მაგივრად თეთრი ქვის ფილების იატაკი ეგო და ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. ხუროთმოძღვარს, რომელმაც პირველად შექმნა ქვის ბოძები, მათ გასაფორმებლად მანამდე ეგვიპტეში არსებელი ხის არქიტექტურის ფორმები გამოუყენებია და სვეტებისათვის ლერწმის კონის ფორმა მიუცია. ქვაში გააცხლებულ ლერწმს რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ლერწამი იყო მარამწვანე სიმბოლო ღვთაება ოზირისისა. ოზირისი კი იყო ღმერთი სიკვდილ-სიცოცხლისა, როდესაც დერეფანს გაივლი და მარჯვნივ შემოტრიალდები, თქვენს წინ ისეე აღიმართება პირამიდების დედა. მის საფეხურებზე უდაბნოს ქარს ოქროსფერი სილა შემოუწანარავს. ღმერთის ამ მკრადიულ საბარძანებელს წმინდა ქაოსნარევი სილა საუყუნების ქალარასავით აქვს შუბლზე შემოვლებული.

ფარაონ ჯოსერის პირამიდა აშენებულია ოთხიათას რვაასი წლის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეგრეე საუყუნეში. იგი ცისკენ აღმართული პირველი ნაგებობაა ეგვიპტის მიწაზე. მანამდე კი ფარაონთა განსასვენებლები წარმოადგენდნენ ალბიით აშენებულ სწორკუთხედს ფორმის დაბალ შენობებს, ე. წ. მისტაბებს. ამ ნაგებობების ცენტრში მოთავ-

4. შემორჩენილი კედლის სიგრძე 721 მეტრია.

ჯურხა ნადირამი

ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები

სებულ აკლამაში³ განისვენებდა მიცვალებულის მუშია.

მასტაბებს მომდევნო ეპოქაშიც ავნიებდნენ მეფეთა კარის დიდებულები. ქვეთ ნაგები პირამიდები კი მხოლოდ ფარაონთა წილხვედრი იყო. პირველი ასეთი ნაგებობა შექმნა ხუროთმოძღვარმა იმხოთეფმა. არქეოლოგი ზაქარია მთაბერი დონეიში, რომელიც გათხრებს აწარმოებდა საკარის ნეკროპოლში, ჯოსერის საფეხურედი პირამიდის მშენებლობის პროცესს ასე წარმოიდგენს: «თავდაპირველად ფარაონის ხუროთმოძღვარმა ააგო დიდი მასტაბა, რომელიც იგნებდა დინასტიის ფარაონ ჯოსერისათვის ზემოეგვიპტეში, ბეთ-ხალიბში, აგებულ ანალოგურ სამარხს ჰგავდა, მაგრამ ბეთ-ხალიბის მასტაბისაგან განსხვავებით, რომელიც ალიზით ნაგებ მოგარო შენობას წარმოადგენდა, საკარის მასტაბის კვადრატული ფორმა მისცეს და ქვის ბლოკებისაგან ააშენეს. ჯოსერის მმართველობის წლებში ქვის მასტაბა გააფართოვეს, მაგრამ შინაშენი დაბალი გააქეთეს და წარმოიქმნა ორი საფეხური. შემდეგ ხუროთმოძღვარმა გეგმა შესცვალა და სამარხი დააგრძელა, როგორც ჩანს, ვერც ამან დაკმაყოფილა მისი ზატონი და თვით ხუროთმოძღვარიც, რადგან მან მეოთხეჯერ გააფართოვა შენობა, ხოლო შემდეგ შექმნა ისეთი რამ, რაც მანამდე არც ერთ მშენებელს არ გაუკეთებია. იმხოთეფმა უზარმაზარი ბრტყელი მასტაბის მოედანზე ააგო კიდევ ერთი სერია სამი მასტაბისაგან, რომელთაგან თვითთელი წინაზე პატარა იყო. ასე აღიმართა პირველი საფეხურიანი პირამიდა — ეგვიპტის პირამიდების დედა⁴».

იმხოთეფმა კაცთაგან პირველმა დადო ქვა ქვებზე, კედლები აიყვანა და განადიდოზული ნაგებობა შექმნა.

ისევე როგორც ისრის, ბორბლისა და იალქნის გამოგონებას კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ქვეთ კედლის შენების გამოგონებამაც წარუშლელი კვალი დააჩინა კაცობრიობის განვითარებას. ამ ხელოვნებამ ათასწლეულებს დაუმარცხებლად გადმო-

აბიჯა და, თუ დღეს ისარი და იალქანი მხოლოდ სპორტის საკუთრებად იქცა, დღემდეც კუთხეში ქვის ხელოვნების წარმომადგენელი ნაკვალევზე დგანან.

წარმოსადგევი შესახედაობის, ხანში შესული პროფესორი, ბატონი ხანა, რომელსაც შემკვიდრებობით აქვს მიღებული კოფტების ხელოვნების მუზეუმის დირექტორობა და რომელიც ჩვენთვის სავანგებოდ მოიწვიეს ექსკურსიის მძლოლად, მოწიწებით იხსენიებს იმხოთეფს. იგი კოფტია, თავს ძველი ეგვიპტელების შთამომავლად თვლის და, რა თქმა უნდა, სიამაყით იგონებს წინაპართა ისტორიას. თუმცა პროფესორის ზომიერების გრძობა არ ლალატობს და გვეუბნება, აქ ამბის მოსმენას ჯობია თქვენ თვითონ შეველოთ თვალი იმას, რასაც განცევიფრებაში მოჰყავდა უცელა დროის ადამიანები. პროფესორმა სიგარეტი ამოიღო და პირამიდის ჩრდილში ქვებზე ჩამოჯდა, ხოლო ჩვენ ამ გოლიათი პირამიდის გარშემო აღმართულ სამლოცველოებს და სასახლეებს მივაშურეთ. აქ ახლა უცელას ფოტოაპარატი აქვს მომარჯვებული, მხოლოდ თეიმურაზ თოდუა არ იკვრიტება ობიექტივში. იგი მლოცველოვით გერინდებული დგას ჩრდილოეთის სასახლის კედელზე აღმართული თეთრი ბოქების წინ და სანახევროდ გაქვავებული თითებით ეფურება პაპირუსის ფეთხლების კაბიტელებით დამშვენებულ სვეტებს. იგი არქიტექტორია, ნანახი აქვს მცირე აზიის ხეობური და ანტიკური ხანის ბერძნული არქიტექტურის ძეგლები. მთელი თავისი სიცოცხლე ქართული ტაძრების ჩუქურთმა-რელიეფებს აკვირდება და ასლებს იღებს. სწორედ ამის გამო გასაკვირი არ იქნება, რომ მან ახლა ჩვენზე უკეთ შეიგარჩოს ამ უძველესი ხელოვნების სიტობო და სიდიადე. იგი სასოებით შეჰყურებს ნატიფი ჩუქურთმებით თავდამშვენებულ სვეტებს, რომელიც პირველად იმხოთეფმა გამოიყენა შენობის გასაფორმებლად და რომელიც შემდეგ ათასეული წლების მანძილზე მრავალი თაობის ხუროთმოძღვართათვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს. ამიტომ იქცენ ისინი მომდევნო ეპოქებში ეგვიპტური არქიტექტურის მუდმივი თანამზავრებად, ხოლო ჩვენს დროში მსოფლიოს მრავალი ხალხის არქიტექტურამ შეითვისა პირდაპირი ან იმპროვიზირებული სახით.

რელიეფური ხელოვნების განვითარებაში ასევე დიდი როლი შეასრულა ჯოსერის ანსამბლის დეკორატულმა კედლებმა. მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სამლოცველოს კედელზე გამოხატული წმინდა გველების ბრწყინვალე ფიგურა.

ეცესლის მფრქვეველი გველები ეგვიპტურ მითოლოგიაში მეფეებისა და ღმერთების

3. ადრეული დინასტიის ფარაონთა აკლამებში საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობებს წარმოადგენდნენ. ფარაონ გორაპას აკლამას 561 კვ. მეტრი ფართობი ეკავა, ჯეთას აკლამას 672,5 კვ. მ. ხოლო პირველი დინასტიის უკანასკნელი მეფის კას აკლამა სიდიდით ორავს აღემატებოდა.

6. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მესამე დინასტიის პირველი ფარაონი ნებეკა იყო.

7. პირველი დინასტიის მეფობის ხანა მოიცავს ძვ. წ. 3200-2980 წ.წ. II დინასტიისა ძვ. წ. 2980-2780 წ.წ. III დინასტიისა ძვ. წ. 2780-2680 წ.წ.



მზარველად ითვლებოდა. ისინი აქ გარდაცვლილი ფარაონის მაგიურ მცველებს ვანასახინებენ, მაგრამ ვერაფერმა უშველა ფარაონებს. მათი მყუდროება დარღვეულია, აკლამები შეღწეულია და სარკოფაგები დამსხვრეული. გადარჩა მხოლოდ გენიის ნაყოფი; ოთხიათას რვაასი წლის წინათ ტიტანური ნიჟის ადამიანი დაბიჯებდა აქ მზით გეოგრაფებულ საკარის ზეგანზე და მის გონებაში ისახებოდა თეთრი ტაძრებით გარშემორტყმული, მზის სხივებით ცაში აწვდილი თეთრი პირამიდა. ვინ მოთელის, რამდენი ქვიშა მოიტანა და წაიღო მის შემდეგ უდაბნოს ქარმა საკარის ზეგანიდან, მაგრამ ის, რაც იმხოთეფმა შექმნა, დღესაც აქ დგას და დიდების შარავანდღვით მოსავს კაცობრიობის იმ შორეული წინაპრის ხსოვნას.

იმხოთეფი სიცოცხლეშივე დიდი პატივით სარგებლობდა. საკარის ნეკროპოლში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ერთ საბეჭდავზე იკითხება, რომ იგი იყო მშენებლობის უფროსი, ფარაონის პირველი ვეზირი და უმაღლესი ქურუმი. დიდი ხუროთმოძღვარია — დიდი ექიმი და ასტრონომიკ იყო. სიკვდილის შემდეგ ის ხალხმა გააღმერთა და პატივს სცემდნენ, როგორც ღვთაება ფთახასა შვილს. შემდგომ საუკუნეებში, ვინც კი წერას შეუღებოდა, უპირველეს ყოვლისა სიტყვას წარმოსთქვამდა მის საიდუმლოად. როდესაც ბერძნები ეგვიპტეს გაეცნენ, იმხოთეფი მყურნალობის ღმერთ ესკულაპესთან გაიგივეს და პატივს სცემდნენ, როგორც ბერძნული პანთეონის ღვთაებას.

ჯოსერის პირამიდა შიგნითაც ძალზე რთულადაა ნაგები. თუ მოვიხილო ხანის ფარაონთა დასაქრძალავი აკლამები ნაგებობის შუაგულში მდებარეობდა, მიწის პირიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე, ჯოსერის პირამიდის ფუნდამენტის შუაგულში, კლდეში ჩახობრილია 27 მეტრის სიღრმის ჰა, რომლის ფსკერზეც ასუანის გრანტიტით ნაგები აკლამაა მოთავსებული. იგი ფარაონის მუმიის დაქრძალვის შემდეგ ოთხტონიანი გრანტიტის ლოდით დაუხუფავთ და დაახლოებით ოთხასი წლის მანძილზე აკლამა ხელუხლებლად ყოფილა შემონახული, ჰა უკვეშორდება საიდუმლო გასასვლელებს, რომლებიც პირამიდის სიღრმეში ოთხივე მხარეს მდებარეობდა ლაბირინთებად დახლართულ დერეფნებში. ლურჯი შორენეკებით მოპირკეთებული დერეფნების მიღმა ურცხვ ოთახებში ინახებოდა ფარაონთა აურაცხელი სიმდიდრე. ძველეგვიპტური რელიგიის მიხედვით, რაც ფარაონს ამქვეყნად გააჩნდა, იმქვეყნიური, მარადიული ცხოვრებისთვისაც საჭი-

რო იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეგვიპტის ლიგიაზე ადრე დაიბადნენ უძველესი სიხის რწმენაშერყეული ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ იმქვეყნიური მარადისობისა. ქურდები გამუდმებით უთვალთვლებდნენ ფარაონის სიმდიდრეს და მათმა სიბეჯითომ ჩენის დროში მრავალი არქეოლოგი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და გააოცა.

ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჯოსერის დაქრძალვიდან 400 წლის შემდეგ გაძლიერების ყინით შეპყრობილი ადამიანება შეუღდნენ მძიმე და საბუნებისწერო სამუშაოს, მათ კლდეში ზვრელი გამოთხარეს, ფარაონის აკლამას მიაგნეს და სიმდიდრე გაიტაცეს.

ეგვიპტის არქეოლოგიის გარიერაზე, გერმანელთა ექსპედიციაში მომუშავე იტალიელმა არქეოლოგმა, მენუ-ფონ მინტროლიმ, როდესაც ჯოსერის აკლამის საიდუმლო ლაბირინთებში შეაღწია, ერთ-ერთ გასასვლელში იპოვნა ოქროს ფურცლებით დაფარული თავის ქალა და ფეხის ტერფი. ფიქრობენ რომ ეს იყო უმნიშვნელო ნაწილი ფარაონის ნეშთისა, რომელიც შიშით შეპყრობილ აჩქარებულ მძარცველებს სიბნელეში დაეკარგათ.

თავისქალა გერმანელებმა სათუთად შეახვიეს და სამშობლოში გაგზავნეს, მაგრამ გემმა ვერ მიაღწია რეინის ნაპირებს. ხმელთაშუა ზღვის ბოლოქარმა ტალღებმა შთანთქმეს იგი და აღიდეგული ფარაონის თავისქალა ზღვის სიღრმეებში მიიბარა.

საკარის ნეკროპოლის ეზოები და შემოგარენი საყუარა ქვადორღის და მიწის გორებით. ეს არქეოლოგების მიერ ამოთხრილი ათასწლეულების "ფერფლია", რომელიც წინად აქ ტაძრებს, სისახლეებსა და პირამიდებს ეყარა თავზე. საუკუნეზე მეტია მუშაობენ არქეოლოგები საკარის ნეკროპოლში. აქ სხვადასხვა დროს გათხრებს აწარმოებდნენ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, ეგვიპტელები. მეცნიერებმა: ფერსმა, კვიბელმა, ექემ, ლაურმა, ედვარდისმა, ბრესტელმა და სხვებმა ბრწყინვალე ნაშრომები უძღვნეს საკარის ნეკროპოლის ძეგლებს. ისინი ზოგჯერ გულისტკივილით იგონებენ დღევს, როდესაც დაღლილ არქეოლოგები იმედგაცრუებულნი ტოვებდნენ მასტაბებისა და პირამიდების სიღრმეებში დიდი ხნის დამატული მუშაობის შემდეგ მიგნებულ დაცარიელებულ ოთახებსა და სარკოფაგებს. საკარის ნეკროპოლის არქეოლოგიის ისტორიაში ყველაზე დრამატული ამბები მოხდა 1951-54 წლებში, როდესაც ეგვიპტელმა არქეოლოგმა მოჰამედ ზაქარია ლო-

8. ვეზირი არაბული სიტყვაა. ამ თანამდებობის პირს ეგვიპტურად "წათი" ეწოდებოდა.

ჯურხა ნადირაძე
ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები

ნივშია ჯოსერის ტაძრების მახლობლად აღმოაჩინა დაკარგული პირამიდა.

ლონეიმმა, რომელმაც ქაიროს უნივერსიტეტი დაამთავრა და დიდხანს მუშაობდა ეგვიპტის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტში, 1951 წელს გათხრები დაიწყო საკარის ნეკროპოლში. იგი ფიქრობდა, რომ აქ დაპირბუღე უნდა ყოფილიყვნენ ჯოსერის მემკვიდრე მესამე დინასტიის სხვა ფარაონები. დიდი ფანტაზია უნდა ჰქონოდა არქეოლოგს, რომ საკარის ზეგანზე დაეწყო ძებნა მეორე ისეთი ნაგებობისა, როგორც ჯოსერის პირამიდა. სად უნდა ყოფილიყო ასეთი ნაგებობა? საკარაში არსად ჩანდა სილის მთები, რომლის ქვეშ შესაძლოა მოყოლილიყო დიდი პირამიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ეგვიპტის არქეოლოგიაში ღრმად ჩაბედული კაცი იყო და, თუ გულწრფელად წერს, რომ მაინც და მაინც ჯოსერის მემკვიდრეების განსასვენებელს ეძებდა, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში უნდა ჰქონოდა სილიზგან დაფარული დანგრეული ან დაუმთავრებელი პირამიდა. არქეოლოგმა იპოვნა იგი და ამ ამავემა მსოფლიო შესძრა.

როდესაც ლონეიმმა გათხრებისათვის საჭირო თანხა იპოვნა, ზემო ეგვიპტეში, სოფელ კობტოსში წერილი გაუგზავნა ძველ მეგობრებს. კობტოსელებმა დიდი ზანია რაც ბაღჩა-ყანების თოხი და კავი არქეოლოგის ბარზე გაცველეს და არქეოლოგის სპეციალისტებად არიან ცნობილნი. ძველეგვიპტელთა შთამომავალი კიდევაც ამაყობენ ამით და დიდი აღმოჩენების ამბებს ლეგენდებივით მოუთხრობენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს. კობტოსელები მუდამ უცხოელთა არქეოლოგიურ ექსპედიციებში თანამშრომლობდნენ და, რა თქმა უნდა, თანამეპაულის წინადადება სიხარულით მიიღეს. პოფნი იბრაჰიმმა, რომელიც 1914 წლიდან მუშაობდა გამოჩენილ ინგლისელ არქეოლოგ ფლინდერს პეტრისთან, თავი მოუყარა გამოცდილ „არქეოლოგ“ მიწის მთხრელებს და 1951 წელს მოჰამედ ზაჟარია ლონეიმს ეახლა საკარის ზეგანზე.

მე, როგორც, არქეოლოგს, რა თქმა უნდა, მაინტერესებდა საუქუნეების მანძილზე ბნელით მოცული და შემდეგ არქეოლოგების მიერ გამოთხუერებული პირამიდის ნახვა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენმა გიღმა დანამდვილებით არ იცოდა ადგილი, სადაც ეგვიპტელთა ექსპედიცია თხრისდა. გამახსენდა, რომ ლონეიმ ჯოსერის ანსამბლის სამხრეთით მუშაობდა. ქვალორიან გორაკებს შორის მიმავალ საცალფეხო ბილიკებს გაყევი და სილით დატლული უდაბნოს პორიზონტზე ძებნა დაეუწყო დაკარგულ პირამიდის. მზე ზენიტზეა და შორს, ქარსიციხით ამდგარი, უდაბნოს ბულის მღამე ლეგენდებივით დგანან აბუსირის პირამიდები. ფეხი ღრმად ეფლობა ცხელ სილაში, დრო კი ცოტა

მაქვს. აქ თარჯიმანები უდისციპლინო ტუქსეტებს ბავშვებივით ტუქსავენ და ახლა სწორედ ამის გამო უფრო გამეხარდა თეთრდღე მკვრივ იმ კედლის დანახვა, რომელიც 1951 წელს პირველად მიაგნო ეგვიპტელთა ექსპედიციამ. ეს კედელი 18 მეტრის სიგანისაა, თითქმის შვილას მეტრზეა გადაჭიმული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ლონეიმს გათხრების დასაწყისშივე ვაუღობა ბედმა — ბარის პირველივე დაკვრით აღმოაჩინა გრანდიოზული კედლის საძირკველი.

ლონეიმმა მეცნიერული თავგანწირვის ფასად ეგვიპტის უძველეს ცივილიზაციას ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი შესძინა და ფარაონ სენხმხითიან ერთად საუქუნოდ უკვდავყო თავისი სახელი...

არქეოლოგმა ზღუდის შიგნით გათხრები რომ დაიწყო, იქ უმარავი პატარა-პატარა ნაგებობების საძირკვლები აღმოაჩინა, ისინი ფარაონ ჯოსერის ვალანის შიგნით ადრე გათხრილ ცრუ ნაგებობების გეგმას შეუდარა და მიიგნა, რომ მანამდე უცნობი ფარაონის პირამიდის ეზოში იდგა. როგორც თვითონ წერს, იმ დროს ცოტა ვინმეს ჯეროდა მისი. „ვინც 1952 წლის პირველ თვეებში ნახულობდა ჩვენს გათხრებს, აქ თეთრი კედლები გარდა მნიშვნელოვან ვერაფერს ხედავდა; ქვალორსა და ქვებს შორის შიშველ პლატოზე პირი დაელო რამდენიმე შახტს, ერთი მათგანიდან მუშები მიწას ეზიდებოდნენ. — პირამიდა სადღა, — ლიმილით მეკითხებოდნენ ჩემი კოლეგა არქეოლოგები და მეც ვერაფერს ეპასუხობდი, გულს მხოლოდ შინაგანი რწმენა მიმაგრებდა და მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ქვიშის უსასრულო საფარქვეშ უსათუოდ ვიპოვნიდი, რასაც ვეძებდი“.

ხშირად ნიციერი და ფრიად განსწავლული აღმანებელი კი ვერ ფარავენ პროფესიულ შუღლს და მეცნიერული სიღინჯით შეფარულ შხამს ანთხევენ კოლეგების ნაშრომებისა და ახალ აღმოჩენებს. ერთი არქეოლოგის ბიოგრაფიისათვის საკარის ზეგანზე მოქათათე თეთრი, გრანდიოზული კედელიც ქმაროდა, მაგრამ 1952 წლის სეზონის ბოლოს ლონეიმმა ვალანის ცენტრში პირამიდის კედელი რომ აღმოაჩინა. ბევრს ვაუტუდდა იქედნური დიმილი. მომდევნო სეზონზე საკარაში თავი მოიყარეს აფრიკის, აზიის, ევროპისა და ამერიკის ფურნალეების, ვაზუთებისა და რადიოს კორესპონდენტებმა და ფოტორეპორტიორებმა. ყველა მათგანი ცდილობდა თუნდაც ერთი წუთით გამოლაპარაკებოდა მანამდე ყველასათვის უცნობ მოჰამედ ზაჟარია ლონეიმს. ვარს უვლიდნენ არქეოლოგის მიერ აღმოჩენილ პირამიდას და საღამოობით ქაიროს ტელეგრაფებსა და სატელეფონო ქსელებს მთელ მსოფლიოში

მიპქონდა ამბები ეგვიპტურ მომხდარი ახალი დიდი აღმოჩენების შესახებ.

ლონეიმი განაგრძობდა მუშაობას და... ფიქრობდა. საფეოქალა და სამუშაო კი ძალზე ბევრი ჰქონდა. მას იპოვნა მესამე დინასტიის რომელიღაც ფარაონის მშენებლობის პროექსში მოტოვებული, დაუმთავრებელი პირამიდა, იგი შეიღო საფეხურად იყო ჩაფიქრებული და ჯოსერის პირამიდაზე დიდი უნდა ყოფილიყო. რატომ არ დაამთავრეს ეს გრანდიოზული განსასვენებელი? იყო თუ არა ფარაონი აქ დამარბული? ეს კითხვა მოსვენებას უპარავდა მკვლევარს და იგი ვულვოდგინედ ეძებდა აკლდამისაყენ მიმავალ შესასვლელს. ასეთი შესასვლელი იპოვა კიდეც და, ადამიანები პირამიდის სიღრმისაკენ დაიძრნენ.

ერთ-ერთი ქის გასუფთავების დროს დაეუბრებულმა ლოდმა თან ჩაიტანა ხუთი ცაკი. ერთი მოთვანი გარდაიცვალა და საყარის ზეგანი გაიჩინდა. ნილოსის მხრიდან ლანდებივით ამოზობდნენ დათალბული არაბი დედები და ზარით ტირილმა შესძრა უდაბნოს მღვპარება. მუშებმა უარი თქვეს გათხრების გაგრძელებაზე. ხალხი ამბობდა, დიდი ფარაონის სული გააბორტეს და იგი ყველას დალუპავსო.

ექსპედიციამ მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შესძლო სამუშაოების განახლება. არქეოლოგები დიდი სიფრთხილით წმენდნენ შესასვლელ დერეფანს და ალაგ-ალაგ დრო და ტემის სიმძიმისაგან ჩამონგრეულ თაღებს ბიგით ამგარებდნენ. მიწის პირიდან ორმოცი მეტრის სიღრმეში სიციხითა და სიბნელით დერეფნებში ფრთხილად დაფორთხავდნენ და ნელ-ნელა მიიწვედნენ წინ — საიდუმლოებით მოცულ საუფუნეთა სიღრმეში.

ერთ დღეს ჰერიდან ჩამოცვინილი ქვა-ლორდი გაწმინდეს და დერეფანში, რომლის ორსავე მხარეს ასეულობით მცირე და დიდი ზომის საკუწნაოები იყო გამოყვეთილი, სხვადასხვანაირი ქვისაგან გაკეთებული ათასგვარი ფორმის ჭურჭელი იპოვნეს. ამა, მერე ოქროს ბრწყინვალეობამ გაკვეთა ბნელი და, ღონეიმმა თიხაში ჩაყრილი ოცდაერთი ოქროს სამაჭური დათვალა. აქვე იყო ოქროს ნამგლისებური კვერთხი, ოქროს სანელსაცხებლე ყუთი, სამკლავრები და სხვა ნივთები. ძვირფასი სამკაული ფარაონის მახლობლად რომელიღაც ქალბატონის საკუთრებად მიიჩნიეს. მკვლევარებმა ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს იმის გამო, რომ ეგვიპტის ადრეული ხანის არქეოლოგია შედარებით ღარიბია საიუველირო ნაწარმით.

მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო თიხის პატარა საბეჭდავები, რომლებიც დოქის საცობებს წარმოადგენდნენ და რომლებზედაც ეწერა ფარაონის ვინაობა, როგორც შემდეგში ღონეიმი წერდა, ამ საბეჭდა-

ვების აღმოჩენა უდრიდა თვით პირამიდის აღმოჩენას. ეგვიპტის მეფეთა სის უტუნობი ფარაონის სუბეხების სახელი შეემატა. ეგვიპტის მოღვაწეობის შესახებ მანამდე არაყინ ვერცხვები იცოდა. სრულიად აშკარაა, რომ სუბეხებით ძლიერი ფარაონი იყო. მან წინაპართან შედარებით უფრო დიდი განსასვენებლის აღმართვა განიზრახა, მაგრამ ბრძანებლის ცხოვრება, როგორც ჩანს ტრაგიკულად დამთავრდა და მისი მოღვაწეობა, ისე როგორც მისი განსასვენებელი, 4800 წლის მანძილზე სილით იყო დაფარული და სიბნელით მოცული. 1954 წლის 31 მაისს არქეოლოგები მიადგნენ ლოდებით დახუფულ აკლდამას, რომლის გიღმა შესაძლოა ყოფილიყო სარკოფაგი ფარაონ სუბეხების მუშითა და სავანებრით. 1954 წლის მაისში არქეოლოგებმა აკლდამის შესასვლელში აღმართული ლოდები შეანგრიეს. ამ დაუთიწყარ წუთებს ასე ეღონებს მომამედ ზაქარია ღონეიმი: „კლდეში გაჭრილი შესასვლელი უზარმაზარი თაღოვანი ჰერის ბოლოში ვადიოდა. ჩემს წინ პირი დაელო შავ სიციხეებს. უყოყმანოდ განადეფი მასში და სანახევროდ ჩავკურდი, სანახევროდ ჩავგორდი მიწისქვეშა სასუფეველის იატაკზე. უკან ჰოფნი მომყვა. როცა გამოვერკვიეთ და ფარნები ჩავრთეთ, ჩვენს წინ გადაიშალა საუცხოო სანახაობა: ტლანქად გამოყვეთილ ოთახის შუაგულში, თითქოს სტუმრებს ეგებებო, ნახევრად გამჭვირვალე, ბაცი ოქროსფერი ალუბასტრის სარკოფაგი კიაფობდა.

მიუვახოვდი. პირველად ეს გავიფიქრე: ხელსუბნეულია თუ არა-მითხ? ელექტრონის ფარნის შუქზე სწრაფად დავიხარე სახურავისაკენ. მაგრამ სად იყო სახურავი! თვით სარკოფაგი და მისი ზედა ნაწილიც მთლიანი ლოდისაგან იყო გამოყვეთილი... სარკოფაგის გაბრიალებული ზედაპირი ჰერიდან ჩამოცვინილი პატარა ქვიების მუქ ფენას დაეფარა. ირგვლივ უფრო დიდი ქვიები ეყარა. ყოველ მათგანს ჩამოვარდნისას შეეძლო გაეტეხა ან ძალზე დაეზიანებინა ალუბასტრის ყუთი, მაგრამ იგი რაღაც სასწაულით იყო გადარჩენილი.

სარკოფაგის ზედაპირზე იყო სამკუთხედის მსგავსად ვანლაგებული რომელიღაც ბალახისა თუ ბუჩქის გამომავლი და დანახშირებული ნარჩენები. იგი ძალზე გავდა დასაყრძალე გვირგვინს, რომელიც აქ ოთხიოთას რვაასი წლის წინ მოიტანეს სარკოფაგის დამდგმელებმა.

ყველაფერი იმდენად საოცარი იყო, რომ არც კი გვეჭროდა! რამდენიმე ხანს მე და ჰოფნი გაკვირვებული შევსკვებოდით ამ ტლანქად გამოყვეთილ დაუმთავრებელ აკლდამაში

ჯურხა ნადირამე

ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები

მოულოდნელად აღმოჩენილ, ობლად შეთენილ
აღუბასტრის სარკოვაცს.

ამ ხნის განმავლობაში დანარჩენი მუშები
ერთი მერობის მიყოლებით მიტოცავდნენ ხერე-
ლში. მღელვარებისაგან თითქმის მთლად დავ-
კარგეთ გონი. ველარც მე ვუწევდი ჩემს თავს
კონტროლს და ახლა გზა მივეცი დიდი ხნის
შეკავებულ გრძნობებს. სარკოვაცის ირგვლივ
ვეცეპავდით და ერთმანეთს ვეხვეოდით. ლო-
ყებს ტრემლები გვისველებდა. ეს იყო საო-
ცარი სცენა მიწისქვეშა სასუფეველში, უდაბ-
ნის ზედაპირიდან ორმოცი მეტრის სიღრმე-
ზე“.

არქეოლოგმა ერთი თვე მოანდომა მოსამზა-
ლებელ სამუშაოებს. ამ ხნის განმავლობაში
მისი სახელი არ სცილდებოდა მსოფლიოს
პრესას. ეხლა მასთან მწერლებსა და ეურნა-
ლისტებს ავგავნიდნენ სხვადასხვა ქვეყნების
დიდი გამომცემლობების, ტელეკომპანიებისა
და რადიომუწეებლობის მესვეურები. ლონეიმი
უამრავ ტელეგრამას იღებდა მსოფლიოს ყვე-
ლა კუთხიდან. ტელეფონით ურეკავდნენ ნიუ-
იორკიდან, ბერლინიდან, პარიზიდან. ამერიკის
ერთ-ერთმა ვაზუთმა მას საკმაოდ სოლიდური
თანხა შესთავაზა გათხრების გასაგრძელებ-
ლად. მას შემდეგ, როცა აკლდამა ასობით
ეურნალისტმა ინახელა, 26 ივლისს სიძველე-
თა დაცვის დეპარტამენტის წევრებთან და მუ-
შებთან ერთად, ლონეიმი აკლდამაში გაემშრა
სარკოვაცის გასახსნელად. საგანგებოდ მოწყო-
ბილ ამწეების თოყებზე გამობმული კაბები მუ-
შებმა სახურავს ჩააბეს. არქეოლოგმა ნიშანი
მისცა. გაისმა ლითონისა და ქვის ღრქიალი,
სახურავს ბერკეტი შეუდეს და, როდესაც ნა-
თურამ ბნელით მოცული სარკოვაცი გაანათა,
არქეოლოგმა თვალებს არ დაუჭერა. ყირისა
და თაბაშირის ხსნარით ჩადუღაბებული სარკო-
ვაცი, რომელიც სრულიად ხელუხლებელი
იყო, ცარიელი აღმოჩნდა.

ლონეიმს სიმწრის ოვლმა დასახ. იგი სასო-
წარკვეთილებამ მოიკცა. დაცარიელდა საყარის
ზეგანი. არქეოლოგი მალე ყველამ დაიფწყა.
ერთ დღეს ნილოსში ჩავიდა საცურაოდ. და...
მას შემდეგ აღარავის უნახავს. დედამდინარემ
მოულოდნელად დაუმსხვრია წუთისოვლის ნა-
ვი და სამუდამო მოგზაურობაში გაისტუმრა
ფარაონებთან ერთად.

არქეოლოგს სარკოვაცის საიდუმლო ამოუხ-
სნელი დარჩა, მაგრამ საყარის ზეგანზე საუკუ-
ნოდ დგას სეხემხეთის დეუმთავრებელი განსას-
ვენებელი. სილა და ქარი ლამობს მის დამარ-
ხვას, მაგრამ ეგვიპტის სიძველეთა დაცვის დე-
პარტამენტი, სადაც ლონეიმი მრავალი წლის

მანძილზე მუშაობდა, გულომადგინებლად და
ასუფთავებს „დაკარგულ პირამიდას“.

პირამიდის სანახავად მოსულ თურქულ-
ტურისტის შორიდანვე შეინშნავენ. ხსოვნის მქონე
დუნები და უკან დაბრუნებულ დაღლილ
მგზავრებს თითქმის ჩალის ფსად თავაზობენ
ნაირფერი ჩინილებით დამშვენებული თეთ-
რი აქლემებითა და არაბული ჯიშის ცხენებით
გასივრებას.

ბედუინის ბიჭი, რომელსაც მყავალივით შა-
ვი თვალები ჰქონდა, მოჩვენებასავით წამომად-
გა თავზე. იყო ყურადღებას არ აქცევდა ღორ-
ბმორულე ჩალისფერ ულაცს, რომელსაც აღ-
ვიერი ძლიერს იმორჩილებდა. თვითონაც დაღ-
ლილი იყო და სულმოუთქმელად მოპარდა
ფრანგულად, ინგლისურად და იტალიურად:

— მუსიე?! სერ! სინიორ?! მის უკან ბებე-
რი ბედუინი აქლემს მოაჯავრებდა და ალბათ
შემუშტრების ემინოდა. მან წამით შერა ხა-
ლათის ჯიბიდან ამოჩრილ წითელ ფანქრებს
მიაპყრო და დაეკვებული ხმით ჩამკითხა:
„თვარიჩ?!“ მე თავი გავაქნიე. პროფესიულ-
მა ალბომ რომ უღალატა, სახზე ბრზხნარევი
ლომბი აღებუქდა. მხოლოდ მაშინ დამშვიდ-
და, როცა ფანქრების კონა გავუწოდე. ვიდრე
ავტობუსამდე მივალწევდით, სამი სიტყვისა-
გან შემდგარი ორი მარტივი წინადადება ვის-
წავლე და ამის გამო მადლობა ხუთ ენაზე გა-
დაიზიხა: ბედუინების ერთი ნაწილი ტური-
სტებთან ურთიერთობით ცხოვრობს და თავს
მოვალედ თვლიან ისწავლენ ყველა იმ ეროვნე-
ბების ადამიანის ათიოდ სიტყვა მინც, რო-
მელიც ხშირად მოდის პირამიდების ძირში, ახ-
ლა ყოველ ზამთარს ასეულობით ქართველი-
ტურისტები მიემგზავრება ეგვიპტის ძველებს
სანახავად და დარწმუნებული ვარ: თუ ჩემი
ბედუინი რომელიმე ქართველს გადაეყრება
საყარის ზეგანზე, უსათუოდ იშოვნის იმაზე
მეტს, რაც მე მას უდაბნოში ცხენით ვასერი-
ნებისათვის გადაეუხადა.

როცა ავტობუსში ავედი, ცხენზე მჯდომმა
ბიჭმა თავი ფანჯარაში შემოპყო და დამატებით
სიგარეტიც რომ მიიღო, წითელი ფანქრებით
სავსე მუტი ჰაერში შემართა და ხმამაღლა და-
იყვირა: „მადლობ, ბატონო“. ამას არაღინ მოე-
ლოდა. ავტობუსში სიცილი ატყდა და მგერა
ყველამ ჩალისფერ ულაცს გააყოლა. რომელიც
ბედუინ ბიჭს უდაბნოში მიაქროლებდა.

9. ლონეიმი ნილოსში დაიხრჩო 1959 წლის
დსაწყისში. მან საყარის გათხრებს მიუძღვნა
პოპულარულად დაწერილი წიგნი სათაურით
„დაკარგული პირამიდა“. წიგნი თარგმნილია
მსოფლიოს მრავალ ენაზე. მისი ქართული
თარგმანი გამოქვეყნდა 1965 წელს.





თავისუფალ ერთადეულ ქვეყნად ქვეყნი

შოთა რევაზიაანი

განათი «კრავლა» და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა

პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე ჩვენი ხალხის ტრადიციული დღესასწაული გახდა.

ყოველწლიურად 5 მაისს ხდება ბეჭდვითი სიტყვის ძალების თავისებური დათვალიერება. ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა, ერთგულად ემსახურება კომუნისმის მშენებელი ხალხის ინტერესებს, მას შეაქვს მასაზში კომუნისტური სიმართლის დიადი სიტყვა, ლენინის უფლისძეობის იდეები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა და ბელადმა ვ. ი. ლენინმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ბირველი ნაბიჯებიდანვე წამოაყენა ბეჭდვითი ორგანოს შექმნის აუცილებლობის საკითხი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1900 წელს გამოვიდა გაზეთი „ისკრა“, რომელიც მალე პარტიული ძალების დარაზმვისა და რევოლუციური აღზრდის ცენტრად გადაიქცა. ლენინური „ისკრა“ და შემდეგში „უბერიოდი“, „პროლეტარი“ იყვნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტები, მარქსისტული პარტიის შექმნის დაუღალავი ორგანიზატორები.

ხელმძღვანელობდა რა ახალი ტიპის პარტიის მშენებლობას, ვ. ი. ლენინი მკიდრო კავშირს ამყარებდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რაზმავდა მათ საერთო რუსულ პოლიტიკური გაზეთის „ისკრის“ გარშემო.

1901-1908 წლებში ამიერკავკასიელმა ისკრელებმა გამოსცეს ლენინური „ისკრის“ იდეების მატარებელი 15 სხვადასხვა სახელწოდების გაზეთი.

1901 წლის დამდეგს ბაქოში მოეწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პირველი მარქსისტული არალეგალური გაზეთი — საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანო — „ბრძოლა“. გამოსვლის დღიდან გაზეთი „ბრძოლა“ ლენინურ-ისკრულ პოზიციაზე დადგა და იცავდა მარქსისტული პარტიის მშენებლობის ლენინურ გეგმას.

1903-1905 წლებში ავღაბრის არალეგალური სტამბაში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“.

სტოლინის შეგნული რეაქციის წლებში ბოლშევიკური პრესა დარბეულ იქნა, მაგრამ ლეგალური გაზეთების საშუალებით ბოლშევიკური პარტიის ხმა მასებს მაინც სწვდებოდა.

რევოლუციური აღმავლობის წლებში კვლავ დაისვა ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის საკითხი. 1910 წელს გამოვიდა გაზეთი „ხვეზდა“. იგი მოწინავე მუშებისათვის ნაგარაუდვეი ყოველკვირეული გაზეთი იყო. მუშათა რევოლუციური ბრძოლების გაძლიერებისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის დროს პარტიის სკირდებოდა ყოველდღიური გაზეთი მუშათა ფართო მასებისათვის.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველკვირეული ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის დაარსებას, რომელიც მძლავრი იარაღი გახდებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისა და მასებში გავლენის მოპოვებისათვის.

სამოცი წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს (22 აპრილს) ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით პეტერბურგში დაარს-

და ყოველდღიური მასობრივი ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“.

თავისი არსებობის პირველი წლიდანვე „პრავდა“ გამოდის, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი. გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ყოველდღიური მუშათა გაზეთის შექმნით პეტრობურგის მუშებმა დიდი, — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, — ისტორიული საქმე გააკეთეს“¹. ვ. ი. ლენინი იქვე მიუთითებს, რომ „პრავდის“ შექმნა რუსეთის მუშების შეგნებულობის, ენერჯისა და დარაზმულობის თვალსაზრისად დადასტურებდა რჩება... ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველგვარი პოლიტიკური მუშათა გაზეთი, არამედ სწორედ მოწინავე მუშათა დემოკრატიის გაზეთი; გაზეთი გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ ხელი შეუწყუყო ჩვენს მუშათა ბრძოლას, არამედ იმისათვის, რომ მთელ ხალხს ნიშნში და ლამპარი მივცეთ“².

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლის ნაკადს შეუერთდნენ ამიერკავკასიის მუშები და მშრომელი გლეხობა. ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემუშავების, მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური აღზრდის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ბოლშევიკური გაზეთი „პრავდის“ გავრცელებამ და მის ფურცლებზე რევოლუციური მოძრაობის გაშუქებამ.

გაზეთმა „პრავდამ“ თავიდანვე მკიდრო კავშირი დაამყარა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებთან და მუშათა კლასთან. გაზეთი სისტემატურად აშუქებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის საკითხებს.

ადგილი არ იყო „პრავდის“ ამიერკავკასიაში გავრცელება. მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, „პრავდა“ ახერხებდა მშრომელ მასებთან გზის გაკაფვას. ბოლშევიკები ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ „პრავდის“ ეგზემპლარებით მუშების უზრუნველყოფისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებში შექმნეს ლიტერატურული ჯგუფები, სპეციალური ამიერკავკასიის კომისიები, რომელთა მთავარი ამოცანა იყო „პრავდის“ გავრცელება, გაზეთის რედაქციასთან კავშირის დამყარება და გაზეთისათვის წერილებისა და ინფორმაციების მიწოდება. პარტიული მუშაობის სერიალული უზარი იყო რედაქციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა, პროკლამაციების გავზავნა, ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე ინფორმაციების მიწოდება.

„პრავდა“ იყო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და რევოლუციური პროლეტარიატის სული და გული. 1912-1914 წლებში ამიერკავკასიაში ჩამოტანილ იქნა და მუშების შორის გავრცელდა „პრავდის“ თითქმის ყველა ნომერი. მარტო 1914 წლის ზაფხულში მომხდარი გაფიცვის დროს ბაქოში გავრცელდა „პრავდის“ 3.000 ეგზემპლარი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ „პრავდა“ მარტო პეტრობურგსა და ბაქოში უფრო მეტი რაოდენობით ვრცელდებოდა, ვიდრე მენშევიკური გაზეთის „ლუჩის“ მთელი ტირაჟი.

„პრავდის“ ფართოდ გავრცელებისათვის ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგად დღითიდღე იზრდებოდა გაზეთის ხელისმომწერი რიცხვი. თუ 1914 წლის 22 აპრილისათვის ბაქოს გუბერნიაში ითვლებოდა „პრავდის“ მხოლოდ 40 ხელისმომწერი, იმავე წლის 1 ივლისისათვის გაზეთის ხელისმომწერთა რიცხვი 225-მდე გაიზარდა. ამ პერიოდში ხელისმომწერთა რაოდენობა გაიზარდა 462%-ით (40-დან 225-მდე), ხოლო მთელ კავკასიაში — 122%-ით (356-დან 791-მდე).

„პრავდის“ ძალა და გავლენა დიდი იყო. გაზეთის უდიდესი პოპულარობა და მშრომელ მასებში მისი გავლენის ზრდა დიდად განაპირობა გაზეთის ფურცლებზე ამიერკავკასიის მუშათა კლასის ცხოვრებისა და ბრძოლის ფართოდ გაშუქებამ. მარტო 1913 წლის აპრილიდან 1914 წლის აპრილამდე „პრავდაში“ გამოქვეყნდა ამიერკავკასიიდან გავზავნილი 19 რეზოლუცია, ინფორმაციული ხასიათის 48 კორესპონდენცია და საგაფიცო მოძრაობის შესახებელი 154 წერილი.

აღნიშნული ციფრები ცხადყოფს, რომ „პრავდა“ დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ადგილებიდან მიღებული მასალის გამოქვეყნებას. „პრავდას“ და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შორის დამყარებული საბრძოლო თანამეგობრობის შედეგად გაზეთის ფურცლებზე გა-

1 ვ. ი. ლენინი, ოზბ. ტ. 18, გვ. 217.
2 იქვე, გვ. 217, 224.

1 ვ. ტ. ლოგინოვი, „ლენინი და „პრავდა“, 1962, გვ. 225.



შექდა ამიერკავკასიის მუშათა კლასის ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა.

განსაკუთრებით დიდი იყო „პრავდის“ როლი ამიერკავკასიის მუშათა კლასის საფაფიციო ბრძოლის ორგანიზაციაში. გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს ამა თუ იმ საწარმოში მომხდარ გაფიცვაზე.

„პრავდა“ გამოეხმაურა საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცხოვრებაში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. გაზეთი დიდ ინტერესს იჩენდა იმ კლასობრივი ბრძოლებისადმი, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიის საბრწყველო ცენტრებში წარმოებდა ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში.

ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკების მიერ 1913 წელს კრაკოვსა და პორონინოში ჩატარებულ თათბირებს. ბოლშევიკურ თათბირებზე შემუშავდა სახელმძღვანელო ვადაწყვეტილებები მუშათა საფაფიციო მოძრაობის, სადაზღვეო კამპანიის, მუშათა ბეჭდვითი სიტყვისა და სხვა საკითხებზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის სწორი მიმართულებით წარმართვისათვის.

1912 წელს ცხადი გახდა საფაფიციო მოძრაობის გამოცოცხლება, ხოლო 1913 წელს იგი მსლაურ რევოლუციურ აღმავლობად იქცა. მუშათა საფაფიციო მოძრაობა, რომელშიაც პარმონიულად იყო შერწყმული პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნები, სულ უფრო იზრდებოდა. მწიფდებოდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. 1913 წელს ამიერკავკასიაში გაფიცული იყო 60 ათასზე მეტი მუშა, ხოლო 1914 წელს 88 ათასამდე. მარტო ბაქოში გაფიცული მუშების რაოდენობა, უდიდესი აღმავლობის პერიოდში, გაზეთ „პრავდის“ 30 მაისის ნომრის ცნობით 50 ათას კაცს შეადგენდა.

ბაქოს, თბილისის, ქიათურისა და სხვა ქალაქების ბოლშევიკური ორგანიზაციები ლეგალური მუშათა ორგანიზაციების დახმარებით დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ. მკაცრი ჭეპრისების მიუხედავად აწყობდნენ გაფიცვებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, ამიერკავკასიის საწარმოებში ავრცელებდნენ ბოლშევიკურ გაზეთებსა და ფურცლებს.

ერეკლე ფაქტობრივ მასალა, რომელსაც იძლევა 1912-1914 წწ. ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“, დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა.

„პრავდამ“ ფართოდ გააშუქა ქიათურის მა-

რგანვის, ბაქოს ნავთობსამრეწველო ორგანიზების, ტყიბულის ქვანახშირის წარმოებში მუშათბილისის ტრამეის, ფოთისა და საჯილთხის ტყის, ბათუმის ნავთის, ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნებისა და ნუბის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშათა გაფიცვების მიმდინარეობა, მუშათა მოთხოვნების ხასიათი, მეფის ხელისუფალთა ტაქტიკა, გაფიცვის დღეებში და საფაფიციო ბრძოლის შედეგები. ანგარიშები გაფიცვების შესახებ ალაფრთოვანებდნენ მუშებს კლასობრივი ბრძოლის გასაძლიერებლად.

„პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიები მუშებს მოუწოდებდა მტკიცედ დაეცათ ერთიანობა, ებრძოლათ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, განემტკიცებინათ მუშათა ორგანიზაციები.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ მუშაობაში ლენინის მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, რევოლუციური ბრძოლის ყველა ეტაპზე შეუწყნებელ ყურადღებას აქცევდნენ ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობას, გაზეთების, ჟურნალების, ფურცლების გამოცემას: რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, მოხერხებულად იყენებდნენ რა პარტიული მუშაობის ლეგალურ და არალეგალურ საშუალებებს, შეტლეს ისეთი ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, რომლებიც მუშებს, მშრომელ მასებს რაზმვედა ბოლშევიკური პარტიის ვარშემო.

1912 წელს ბაქოში დემოკრატიულ გაზეთში „ბაქი ხაიათი“ („ბაქოს ცხოვრება“) ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებშიც მხილებული იყო მუშათა კლასის სასტიკი ექსპლუატაცია კაპიტალისტების მიერ, გაშუქებული იყო მასების მდგომარეობის საკითხები.

ბოლშევიკებმა თავის ხელში აიღეს ჟურნალ „წყაროს“ გამოცემა, რომელიც ბაქოში გამოდიოდა ქართულ ენაზე 1913 წლის იანვრიდან. ჟურნალის ბოლშევიკური მიმართულებით წარმართვის მიზნით, მისი რედაქტორი გახდა თვალსაჩინო ბოლშევიკი ფ. შაბაძე. ბოლშევიკებმა შეცვალეს ჟურნალის სახელწოდება და დაარქვეს „ჩვენი წყარო“. მიუხედავად იმისა, რომ არ მოხერხდა ჟურნალიდან ყველა მენშევიკის განდევნა, ბოლშევიკები ფართოდ და წარმატებით იყენებდნენ მის მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდისათვის. ჟურნალი იბრძოდა პარტიულობის დაცვისათვის, აკრიტიკებდა ლიკვიდატორებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და რევოლუციის სხვა მტრებს.

შოთა დევდარიანი
 ზაზაიძი „პრავდა“ და ამირბაჰაძისის ბოლშევიკური პრესა



ეურნალი დაუცხრომლად ეწეოდა ბოლშევიკური „პრადის“ პოპულარიზაციას. ეურნალი „ჩვენი წყარო“ წერდა: „პრადა“ შეიქმნა მუშათა გაზეთი არა სიტყვით, არამედ საქმით; ასეთი იყო და არის იგი, როგორც თავისი მიმართულებით, ისე თავისი მკითხველებით“¹.

გაზეთის დაარსების წლისათვის, 1913 წლის 5 მაისს ეურნალმა თითქმის მთლიანად გადაბეჭდა „პრადიდან“ სტატია, რომელიც აქამებდა მისი ერთი წლის მუშაობის შედეგებს.

ეურნალში სისტემატიურად იბეჭდებოდა მასალა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის, პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლებისათვის მასების ბრძოლის, თბილისის, ბაქოს, კიანთურისა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა ცხოვრების შესახებ. ეურნალმა იქცევეს სტატიები და კორესპონდენციები ქვეყანაში პროფესიული მოძრაობის წარმატებების, დაზღვევის კამპანიის, საავადმყოფო სიღარიბის, საპირველამისო დღესასწაულის, ლენის ოქროს საბადოებზე მუშების დახვერტის წლისათვის შესახებ და ა. შ.

1913 წელს ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა პრადისტული მიმართულების სომხური გაზეთის შესაქმნელად.

„პრადა“ საუკეთესო ნიმუში იყო ყველა მუშათა გაზეთისათვის. 1913 წელს გაზეთ „პრადის“ რედაქციას თბილისიდან წერდნენ: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს დროში გექცემათ თავისი გაზეთი (სომხურ ენაზე), რომელიც ჩვენსა და ჩვენს მკითხველთა წრეებს შორის აღადგენს კავშირს... გაზეთი იგივე მიმართულება ექნება, რაც „პრადას“².

პარტიული მუშათა ორგანოს სომხურ ენაზე გამოცემის აუცილებლობა, როგორც ამას ს. კასიანი რსდმპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ თავის წერილში აღნიშნავდა, თვით ცხოვრებით, ახალი რევოლუციური აღმავლობით იყო ნაყარახვევი.

1914 წლის 26 იანვარს თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ეურნალი „მერ ხოსქის“ („ჩვენი სიტყვა“) პირველი ნომერი. „მერ ხოსქი“ მიზნად ისახავდა მშრომელთა მდგომარეობის, კლასობრივი ბრძოლის საკითხების გამოქვეყნებას, სომეხ მუშათა შორის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებას, დაცვას, მათს აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. გაზეთი „პუტ პრადი“ მხურვალედ მიესალმა „მერ ხოსქის“ გამოსვლას. გაზეთი წერდა, რომ თბილისში გამოვიდა მარქსისტული მიმართულების სომხური ეურნალის პირველი ნომერი. ნომერი შედგენილია საინტერესოდ და

მრავალმხრივად. ს. შ.-ს (ს. გ. შაუმიანი — შ. დ.) სტატია — „მეოთხე სახელმწიფო მხარის ბირო“, ანალიზს უკეთებს სათათბიროში“³ შექმნილ კრიზისს, ხსენს — კადეტების „კონსტიტუციური ილუზიებისა და ლიკვიდატორების“ „ლეგალიზმის“ კრახის ძირითად მიზეზებს. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასში მომხდარი გათიშვისადმი მიძღვნილი სხვა სტატია. არის სტატიები რუსეთსა და ამიერკავკასიაში მუშათა მოძრაობისა და სადაზღვევო კამპანიის შესახებ, ქართველებს შორის პოლიტიკური პარტიების შესახებ და ა. შ. ამხ. ს. კ.-ს (ს. კასიანის — შ. დ.) დიდი სტატია — „სომხეთის საკითხი და სომხეთის დემოკრატია“ თანმიმდევრული მარქსიზმის თვალთახედვით განმარტავს სომხეთისათვის ამ საკრიპოროტო საკითხს. ექსტრემოტ სომეხ მუშათა ახალგაზრდა ორგანოს წარმატება და დიდხანს ასრეობა მუშათა პრესისათვის მძიმე ეამს“⁴. ადგილობრივ ხელისუფალთა ძალმომრეობისა და პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ეურნალმა დიდხანს ვერ იარსება. მათ იგი პირველი ნომრის გამოსვლის დღისვე დახუტავს.

1914 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გაზეთ „პრადის“ დახმარებით მუშათა ახალი ლეგალური გაზეთი შექმნეს. 19 აპრილს ბაქოში გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთისა „ნაშა ეიზნ“. გაზეთის მუშაკორესპონდენტები გამოთქვამდნენ რწმუნებას, რომ ეს გაზეთი ისევე ერთგულად და თანმიმდევრულად გაუწევდა სამსახურს მუშათა კლასის ინტერესებს, როგორც „პრადა“.

გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ს. შაუმიანის სტატია „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღე“, სადაც მკაფიოდ იყო ნაჩვენები ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღის მნიშვნელობა და ამ დღის ორგანიზებულად აღნიშვნის აუცილებლობა. ამ სტატიამ დიდი როლი შეასრულა მარქსისტული გაზეთების ირგვლივ მუშების დარაზმვაში.

გაზეთი „ნაშა ეიზნ“ აქტიურად უწყობდა ხელს ბაქოში პროფესიული და კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას, განმარტავდა ბოლშევიკების, ლენინური „პრადის“ ტაქტიკას, ანალიზს უკეთებდა ბაქოს მუშათა საგაფიციო ბრძოლის შედეგებს. მკითხველებს აცნობდა რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრებას, სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების მოღვაწეობას, საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. გაზეთმა პოლიციის უსასტიკესი რეპრესიების პირობებში დიდხანს ვერ იარსება. იმავე წლის 26 აპრილს გაზეთის ბოლშევიკური მიმართულებით დამფრთხალება მეფის ხელისუფლებამ „ნაშა ეიზნ“ დახუტა.

¹ „ჩვენი წყარო“, № 7-17, 5 მაისი, 1913 წ.
² საქ. სსრ ცნია, ფ. 3. საქ. 623, ფურც. 66.

³ გაზ. „პუტ პრადი“ № 14, 6 თებერვალი, 1914 წ.



1914 წლის 13 მაისს „პრავდა“ თავის მკითხველებს ამცნო, რომ ქალაქის თავის განკარგულებით დაიხურა მუშათა გაზეთი „ნაშა ტიხნა“¹.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელშეწყობით 1914 წლის გაზაფხულზე თბილისში გამოიკა ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული აღმანახები — „წითელი მიხაკები“ და „მუშის ალბომი“. საერთო სახელწოდებით „მუშათა ახალი ბიბლიოთეკა“. გამოცემულ იქნა 9 კრებული. გაზეთმა „ტრუდოვია პრავდა“ მოიწონა „მუშათა ახალი ბიბლიოთეკის“ შექმნა, მაგრამ ამასთანავე გააკრიტიკა იგი იმისათვის, რომ თავის ფურცლებზე ადვილი დაუთმო „ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის მკვლე წიგნაკებს“².

გაზეთი „პრავდა“ ეხმარებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს პერიოდული ბოლშევიკური პრესის შექმნაში, პარტიული ორგანიზაციების დარაზმებაში, მასებთან კავშირის განმტკიცებაში.

რევოლუციური აღმავლობის წლებში „პრავდას“ მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული როგორც საქართველოსთან და აზერბაიჯანთან, ასევე სომხეთთან. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის ერთერთი მებრძოლი და გამოწრთობილი რაზმი — რევოლუციამდელ პერიოდში ერთიანი იყო და მისი ძირითადი ცენტრები იმყოფებოდა ბაქო-სა და თბილისში. სომხეთის ბოლშევიკები მოქმედებდნენ ქართველ და აზერბაიჯანელ ბოლშევიკებთან ერთად, და ღებულობდნენ მათგან ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას.

„პრავდის“ დახმარებით შექმნილი ამიერკავკასიის ბოლშევიკური გაზეთების ყოველი ნომერი ანმტკიცებდა მხარის პარტიული ორგანიზაციების რიგებს, დიდ გავლენას ახდენდა მუშათა კლასზე, ნერგავდა მათში გამარჯვების ურყევ რწმენას.

„პრავდა“ სახელი მოიხვეჭა იმიტომ, რომ თავის ფურცლებზე სისტემატურად აშუქებდა

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თხევს, გასაგები ენით განმარტავდა ბოლშევიკური პარტიის მიზნებსა და ამოცანებს, რაზმავდა მასებს თვითმპყრობელობაზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღეებში „პრავდა“ უდიდესი მორგანიზებელი მუშათა ჩაატარა. მუშათა კლასის უუფლებო მდგომარეობის ნათელი გაშუქება და ბრძოლებისაკებ მომწოდებელი ცეცხლოვანი ლოზუნგები რუსეთის პროლეტარიატს მეფის დესპოტური ოკეიშის დასამხობად აღანთებდნენ.

გაზეთი „პრავდა“ იყო დიდი ოქტომბრის მაუწყებელი. იგი რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტურ გარდაქმნათა, დიდი სამშაულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უცვლადი გმირობის შატანე, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის შატანეა.

„პრავდა“ ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის როგორც ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იღვების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, ზრდის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის „პრავდა“ ყოველთვის იყო მაღალი პარტიულობისა და პრინციპულობის მაგალითი ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი თვალუწყდენელ სამშობლოში მცხოვრები მუშები და გლეხები, ინტელიგენტები და საბჭოთა არმიის მებრძოლები — ყველა ასაკის, პროფესიისა და ეროვნების ადამიანები გაზეთ „პრავდაში“ პოულობენ ამომწურავ პასუხს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე, მისგან სწავლობენ ლენინურად ცხოვრებას, შრომისა და ბრძოლას.

ემზადებიან რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის, კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი კვლავ და კვლავ გამოხატავენ თავიანთ სიყვარულს „პრავდისადმი“, რომელმაც გამოსვლის პირველი დღეებიდანვე მოიპოვა მშრომელი მასების სიყვარული და საყოველთაო აღიარება.

1. „პუტ პრავდი“, № 85, 13 მაისი, 1914 წ.
 2. „ტრუდოვია პრავდა“ № 28, 29 ივნისი, 1914 წ.





წ ე რ ი ლ ე ბ ე ი

შალვა კალიანი

შესვენებები გიორგი ლეონიძესთან

შალვა. ტანადი. პროლა მეოცნებე თვალები, მძლავრი, მაგრამ ცოტათი ჩახლეჩილი ხმით მოსაუბრე. შეთხზებული თმებით თავზე და სუფთად გაპარსული პირით. თავისი გარეგნობითაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. ასეთად გავიციანი 1925 წელს ქუჩნალ „დროის“ რედაქციაში გიორგი ლეონიძე, რომელსაც შინაურულად სიყვარულით გოგლას ვეძახდით. შემდეგ ხშირად ვხვდებოდით მას ყველგან — მწერართა სასახლეში, რედაქციებში, გამომცემლობებში, ოჯახებში, მეგობრებში, აგარაკებზე, მოსკოვში, თავის მშობლიურ სოფელში — პატარა ქედში. ასე გრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა.

მომარაგი ადამიანი იყო, მუდამ სადალაც მიეჩქარებოდა. სხდომასა და კრებაზე დიდხანს არ რჩებოდა, სამაგიეროდ ხანგრძლივად შექმლო ყოფილიყო მეგობართა წრეში მოღვინის დროს, განსაკუთრებით საინტერესო იყო იგი, მაშინ, როდესაც თითონ იყო თამადა. მისი თამადაობა უბრალო ღრეობა და ხუმრობა არ ყოფილა, ის დიდი ესთეტიკური სიტკბოს მომცემ შინაარსიან საღამოებად იქცეოდა. მის ლამაზ ოჯახს ამშვენებდა მუდამ ეფემია (შინაურობაში ფეფიკო), საუცხოოვო ქართული ქალი, ერთგული თავისი სახელოვანი ქმრასა, დიდად ხელშეშეშობი მის სამწერლო მოღვაწეობაში, აგრეთვე პირმშვენიერი ორი ასული ნესტანი და თინათინი. პოეტს თავდავიწყებით უყვარდა ისინი.

ეს იყო სტუმართმოყვარეობით განთქმული ოჯახი. ამ ოჯახში თავს იყრიდნენ არა მარტო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, არამედ აქ შეხვდებოდით რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს. ამ მხრით გიორგი ლეონიძე აღექსანდრე ჰეველიანისა და ოლია ჰეველიანის სტუმართმოყვარეობის ტრადიციების ღირსეული განმგრძობი იყო.

ძალიან უყვარდა პოეტს ქართული ხალხური

სიმღერების მოსმენა, თითონ კი მაინც და მაინც არ ეხერხებოდა სიმღერა. რომ შეჭედიდებოდა მაშინ თავისებურად წაიმღერებდა „ყოჩიალის პაემანს“ და რუსულ სასიმღერო ლექსს — „Она его любила“.

გ. ლეონიძე იყო ისეთი შემოქმედი, რომელიც ყველას აღაგზნებდა, ყველას იმორჩილებდა თავისი მოუსვენარი, მჩქეფარე ხასიათით და ნიჭით, პოეტური გაქანებით. იგი ამბობდა: „ყოველ კემშარტ პოეტს აქვს თავისი ხმა და ფერები, თავისი განუმეორებელი თქმები, სახეები და ლექსიკონი. მხოლოდ ამ ნიშნების მატარებელი შემოქმედი შერჩებიან ლიტერატურას. ცხოვრება ამოუწურავ მასალას იძლევა, საჭიროა მისი ახრინად გამოყენებო“. მრავალი მისი ლექსი აიტაცა ხალხმა, გადაიქცა სასიმღეროდ, გადავიდა ფოლკლორში; მისი პოეტური ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. ეს ნაწარმოებები შთამბეჭდავად ქვერენ თარგმნებშიც რუსულ, უკრაინულ ბელორუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუმინულ, ბულგარულ, პოლონურ, უნგრულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე. ჩებურად საგანგებო მონოგრაფიაა დაწერილი და გამოცემული შესანიშნავი ქართული პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იგი იყო ფრიალ განათლებული, საუცხოო მოქართულე, რუსული და უცხოური ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, ავტორი საგულისხმო გამოკვლევებისა ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესახებ. ამ გამოკვლევებიდან მოჩანს სერიოზული, გონიერი, ღრმად მოაზროვნე განსწავლული პოეტის სახე.

გ. ლეონიძე ორივე ხელებით ვანტავდა თავის შემოქმედების განძს, იყო კემშარტი სულის პოეტი, სულ ხალხში ტრიალებდა. მისი თქმით „კაპიკია ფასი ისეთი ლექსისა, რომელიც არ არის გამოთბარი ადამიანური სითბოთი, მშობ-

ლიერი ხალხის სიყვარულით. მთელი სულითა და გულით იგი დაცემიერებული იყო თავის ხალხთან, მას არასოდეს არ ავიწყებოდა პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნის წინაშე, მისწრაფოდა რომ ყოფილიყო თავისი ქვეყნის თავდადებული მომღერალი. იგი გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ პოეზია, მშვენიერება ხალხს, სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს; მაგრამ ქვეშაირტი სიყვარული თავისი ქვეყნისადმი შეუძლებელია, თუ არ გიყვარს თავისი ერის ენა, მშობლიური ხალხის ენა. გულგრილობა დედენისადმი ნიშნავს იყო გულგრილი თავისი ქვეყნისა და ხალხის წარუღელისა, აწმყოსა და მომავლის მიმართ. ჩემი პოეზია ცხოვრობს სიყვარულით სამშობლოსადმი, გრძნობა სამშობლოსი მთავარია ჩემი არსებობისათვის, ჩემი შემოქმედებისათვის, მე ვემღერა ქართველ ხალხს, მის სიხარულსა და მწუხარებას, ქართულ ბუნებას, ჩემს მდიდარ წარსულს, აწმყოს და მომავალს“.

პოეტი არა მხოლოდ ლექსებში ლაპარაკობდა შემოქმედის მაღალ დანიშნულებაზე, არამედ უნდა წაგავდეს უშუალო საუბარს. ქვეშაირტი ჩვეულებრივ საუბარშია. მისი გავებით „პოეზია ხელოვნების ნაწარმოებს ვერ შექმნის გულგრილი ადამიანი. პოეტს დაძაბულ მდგომარეობაში უნდა ჰყავდეს მკითხველი და არამც და არამც არ გაუშვას თავისი გავლენის სფეროდან. მწერალს ერთადამივე დროს უნდა შეეძლოს სხოვარება სხვადასხვა პასაჟის განზომილებაში, მას უნდა ახასიათებდეს განცვიფრება ბავშვისა და სიბრძნე მოწიფებული კაცისა“, ბეგრჯერ უთქვამს პოეტს.

გ. ლეონიძეს ხშირად მიმართავენ ახალგაზრდა პოეტები. მას გულწრფელად უყვარდა ისინი და ამიტომაც ყველას ბედში საჭიროების მიხედვით ლებულობდა მონაწილეობას. ავტობიოგრაფიულ ცნობაში უპასუხებდა რა კითხვაზე: „თქვენი საზოგადოებრივი დატვირთვა“, წერდა: „მეშობა ახალგაზრდა პოეტებთან“. ვისაც შეინიშნავდა ნიქს, შემოქმედებით ძალას, ასეთ ახალგაზრდა პოეტს დალოცავდა ბუდიდან აფერინისა, აქაფებულ ზღვაში გატურვის დაწეების წინ. მათ შეეძლო ასეთი ახალგაზრდების ნიჭით და წარმატებით გახარება. მაგრამ ამავე დროს იგი მკაცრი იყო უსაფუძვლო, უსაზღვრო პრეტენზიებისადმი. განსაკუთრებით უპერსპექტივოთა მიმართ.

ჩვენი ძვირფასი პოეტი თუ დიდ გულსსმეგრებას იჩენდა ახალგაზრდობისადმი, ასევე გულისსმეგრებას და მოყვარული იყო იგი მოხუცებისა. რა მოკრძალებით მონიხა უნებდა იგი პარტიულში თავის ღრმად მოხუც ბიძას რამდენჯერაც არ უნდა ჩასულიყო თბილისიდან მშობლიურ სოფელში, ყოველთვის თავისი ბიძის სანახავად ვაგუფებოდა ატყობებდა და დიდხანს რჩებოდა მასთან, ხანგრძლივად ესა-

უბრებოდა მისთვის ძვირფას ადამიანს. ბეგრჯერ წაუყვანია მასთან თავისი მეგობარი მწერლებიც, რომლებსაც წარსულის ამბებს უყვებოდა ბიბლიური გარეგნობისა და სიბრძნის მოხუცი. შემდეგ მწერლებთან ერთად გ. ლეონიძე მიდიოდა ნინოწმინდის განსაკუთრებული ისტორიული ძეგლის სანახავად, ნინოწმინდასთან იყო დაცემიერებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების მრავალი ბრწყინვალე ფურცელი. ნინოწმინდას მიუძღვნა მან ერთ-ერთი თავისი გახმაურებული, საცხოო ლექსი.

მასხოვს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობის მხადევისას საქართველოს მწერალთა კავშირმა 1934 წლის მაისში მოსკოვში პოეზიის თაობაზე მიგვაკვლინა გიორგი და მე. თათბირის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს წარგზავნილებმა, გამოვედით სიტყვებით. გ. ლეონიძემ თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული პოეზიის ისტორიულ განვითარებას, მის უდიდეს წარმომადგენელს შოთა რუსთაველს, ბრწყინვალე პოეტებს დავით გურამიშვილს, ორევე თეიმურაზს, ბესიკს, ალექსანდრე ქავთავაძეს, ვრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ქავთავაძეს, აკაკი წერეთელს და ვეფ ფშაველას. შემდეგ დაახასიათა მეოცე საუკუნის ქართული პოეზია და მისი წარმომადგენლები. მისმა სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თათბირის მონაწილეებზე. ეს ის ხანა იყო, როდესაც განსაკუთრებით ძლიერდებოდა მთელ საბჭოთა კავშირში ყურადღება და ინტერესი ქართული პოეზიისადმი.

თათბირის მეორე დღეს მორიგ სხდომაზე დამთავრების შემდეგ გიორგიმ მთხოვა, რომ ბორის პასტერნაკის სანახავად წავედეთო. იგი ავად იყო და პოეზიის თათბირს არ ესწრებოდა. მთელი საღამო გავატარეთ პასტერნაკი ოჯახში, საუბარში პოეზიაზე. დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა პასტერნაკი ქართველ პოეტებზე — ტიციან ტაბიძეზე, სანდრო შანაშაივილზე, პოლო იაშვილზე. მართალია, მე ქართული არ ვიცი, დედანში ვერ ვკითხულობ შესანიშნავი ქართველი პოეტების ლექსებსო, მაგრამ ქართულ ავტორებთან საუბარი ქართულ პოეზიაზე, ზოგიერთი ლექსის სიტყვა-სიტყვით თარგმანი მაძლეეს ნებას, რომ თანამედროვე ქართული პოეზია ყველაზე მაღლა დავაყენოვო.

გამომშვიდობებისას გიორგიმ ქართველი მეზობლების სახელით სთხოვა ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩამოსულიყო საქართველოში, უშუალოდ გაეცნობოდა ქართველ ხალხს, მის ბუნებას, მის პოეტებს. ბ. პასტერნაკმა სიამოვნებით მიიღო ეს მიბატეება.

მოსკოვში ყოფნისას რამდენჯერმე დავესწა-

შალვა რადიანი
შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან

რით უცხოელ მწერლებთან შეხვედრასაც, ყველგან იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გარეგნობით, პოეტურობით, პათოსით, პატრიოტიზმით შემართებით.

წამოსვლის წინაღუდს მოულოდნელად გიორგი ავად გახდა, მისცა მაღალი სიცხე. სასწრაფოდ მოვიყვანე ექიმი, რომელმაც თვეებით მოწამლა აღნიშნა და წამლები გამოუწერა. მაშინვე მოვიტანე წამლები და გამოვიძახეთ ექთანი, ის აღმოჩნდა გამოუძღვლელი და სამი დღეა წამალი ერთად მიალეგინა ავადმყოფს. უცებ სიცხემ ძალიან დაბლა დაიწია ნორმზე ქვემოთ. შევფხოვდი და კვლავ ექიმის მოყვანა შევიქმნა საჭირო. რამდენიმე დღეს მე და ჩემს თვეულეს მოვივინდეთ მისი მოვლა და ღამის თვეუც. სასტუმროში ყოფნა უჭირდა და ლევან დოლობერიძის ბინაში გადავიყვანეთ ცოტათი გამოკეთებული ავადმყოფი. ყოველდღე ვნახულობდით იქაც. სულ იმას გაიძახოდა, რომ მენატრება თბილისი და ჩემი ოჯახი, იქ განვიკურნებით. მიღლა გამოკეთებული არც კი იყო, რომ თბილისისაკენ გამოემართა. მართლაც, აქ მალე გამოჯანსაღდა. ერთ საღამოს ოჯახში მივივივია, აქვე იყვნენ ტიციან ტაბიძე, ლდო გუდიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ძმა ლევან ლეონიძე და სხვები. გიორგი კითხულობდა თავის ახალ ლექსებს. მას ყოველთვის ჩვეულებად ჰქონდა თავის ნაწარმოებები გამოქვეყნებამდე, წინასწარ წაეკითხა მეგობართა წარმო.

გიორგიმ მძიმედ განიცადა დედის გარდაცვალება. თბილისში, საავადმყოფოში გარდაიცვალა მისი საყვარელი მშობელი. წაასვენა იგი პატარა ეულში. თან გაეაცილეთ მეგობრებში. ვხედავდით თუ როგორ ღვრიდა ცრემლებს გიორგი და შემდეგაც ყოველთვის დიდი განკლებით იგონებდა დედას, მის ამაჯს, ზურუნას.

გ. ლეონიძემ იცოდა მეგობრობა და დაფასება თავისი ახლობელი ადამიანებისა. მახსოვს, იგი დიდი გრძნობით და სიყვარულით იგონებდა უძროვოდ დაღუპულ ახალგაზრდა პოეტს გრიგოლ მეგრელიშვილს. გიორგი და გრიგოლი ერთ დროს გამოვიდნენ სამწერლო სარბიელზე, ერთადაც სწავლობდნენ. გრიგოლ მეგრელიშვილი, რომელიც „მთის ნიავის“ ფსევდონიმით წერდა, ძალიან უყვარდა გიორგის. იგი ნიჭიერი და თავისებური ხმის პოეტი იყო, მოჰკლეს თურქეთთან ომის დროს 1919 წელს. მისი გარდაცვალების ორმოცი წლის თავზე გიორგი საგანგებოდ ჩავიდა გურიაში, ჩოხატაურში. მოაქვნიდა გ. მეგრელიშვილის საფლავი, გაწმენდინა და ლოზე შემოაკვებინა. დაიწყო ზრუნვა მის ლექსების კრებულის მომზადებაზე.

1936 წელს გ. ლეონიძე თავისი ოჯახით ისვენებდა ქობულეთში. ცხოვრობდა ახლად გახსნილ სასტუმროში. მის გვერდით ვცხოვრობდით მე და ჩემი მეუღლე. გიორგიმ ამ კუთხის ისტორია შესანიშნავად იცოდა. იგი დაწერი-

ლებით მოჰყვებოდა ამ კუთხის ისტორიას, მისი სოფლის წარსული, მისი თავგადასავლის შესახებ. მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ მას ზედმიწევნით ჰქონდა გააზრებული, ათისებური გადმოცემები და წყაროები ამ დიად ნაჭირნახულები კუთხისა და ხალხის მთელი ისტორია.

მშობლიური ქვეყნის წარსულის ცოდნა სხვა შემთხვევაშიც ბევრჯერ გამოუმჯღღავებია შესანიშნავად ჭარბად პოეტსა და პატრიოტს. ეს წარსული მას დიდად აღუგებდა და კიდევ გამოხატა მაღალ პოეტურად თავის ლექსებში, პოემებში, მოთხრობებში და ნარკვევებში. თავისი ერის ისტორიის ასეთ ცოდნას სამწუხაროდ, ბევრი ქართველი მოღვაწე ვერ დაიკვებინდა.

ეს იყო 1937 წლის ზაფხულში. გიორგი თავისი ოჯახით ისვენებდა წყნეთში. მის ოჯახში ხშირი სტუმრიანობა იყო. ერთ დღეს ტიციან ტაბიძე და მე წავიყვანა თბილისიდან წყნეთში. ტიციანიც და გიორგიც თავიანთ ახალ ლექსებს კითხულობდნენ. ტიციანმა წაიკითხა „ასე მგონია“, „დადესტანის გაზაფხული“, „დედას რომ ბავშვი გაეპარება“, „ევა ფშაველას გადასვენება მთაწმინდზე“ და სხვა ლექსები. გიორგიმ წაიკითხა „ვეფხისტყაოსანი“, „თუშის ქალი ალავერდობაში“, „პოეტის დედა“, „თბილისის განთიადო“, „ტოროლასავით შეფრინდი გულში“, „მოაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“. გვიან ლამემდე გრძელდებოდა ლექსების კითხვა. ეს ორი გამოჩენილი პოეტი თითქმის ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს კარგი ლექსების წარმოთქმაში. მაგრამ ლექსის კითხვის მანერა ორივეს სხვადასხვანაირი ჰქონდა. ტიციანი თითქმის სიმღერით ამბობდა ლექსს და სიტყვებს თავისებურ მახვილს უყუთებდა, გიორგი კი ყელისმიერი მიყრუებული ხმით ვიკაცურ იერს აძლევდა ლექსის კითხვას.

სხვათა შორის, ტიციანს ჩვეულებად ჰქონდა თავისი ახალი ლექსის პირი გადაეწერა და დაეკრებოდა მისთვის ძვირფას ოჯახებში.

გიორგი დიდი მზრუნველი იყო თავისი სოფლისათვის, თანასოფლელებისათვის. იგი ბევრ რამეს აკეთებდა პატარა სოფლისათვის. მისი ზრუნვის შედეგად იყო რომ ამ სოფელს სასმელი წყალი გამოუყვანეს. პატარბეულები ყოველთვის მიმართავდნენ დახმარებისათვის, და პოეტიც არასოდეს არ დაიზარებდა ყველაფერი გაეკეთებინა მათთვის. სოფლელებსაც იგი დიდად უყვარდათ და აფასებდნენ თავიანთი „სოფლის თვალს“ და ხალხის მოჭირნახულეს.

1940 წელს, ავვისტოში მეუღლით ვისვენებდით ბორჯომში, რამდენიმე დღით დის სანახავად (იგი ისვენებდა ბორჯომში) ჩამოვიდა გიორგი, მოგვინახულა ჩვენც. იმ ხანად უკეთევან ირემაძე თარგმნიდა ცნობილი ფრანგი მწერლის ბენჟამენ კონსტანის რომანტიკულ ნაწარმოებს „ადოლფი“. ქუთევან ირემაძის მიერ უფრო ადრე ნათარგმნ „მანონ ლესკოს“ წინ უძლოდა გალაკტი-



ონ ტაბიძის მიერ საგანგებოდ დაწერილი ლექსი „წარწერა წიგნზე“ „მანონ ლესკო“. ამ შემთხვევაში კი გიორგი ლეონიძემ გამოსთქვა სურვილი „აღლოფის“ თარგმნისათვის დაერთო თავისი ლექსი. მეორე დღეს წაგვიკითხა იქვე. ბორჯომშივე დაწერილი ლექსი:

აღლოფ, ელეონორა
 მე გამიგია თქვენი ტრფობა,
 თქვენი რომანი,
 თქვენი ძახილი „საყვარელო,
 როგორ მიყვარდი!“
 თქვენი გულის ხმის აეღრება
 და ხან წყრომანი,
 ხან ცეცხლის ალი,
 და ხან თეთრი სპეტაკი ვარდი
 მე გამიგია მარტოოდენ,
 მხოლოდ მსმენია
 თქვენი ვნება და მხურვალე
 კოცნის ტკბუნება, —
 თქვენში აღმდგარი სიყვარულის
 მწველი გენია,
 ჩემს გულს ეაჯაკურს და
 პოეტურს ესმაურება.
 აღლოფ, ლენორა ქვეყანაზედ
 ორმა იცოდით
 გულის ხანძარი,
 მღელვარება და ქარიშხალი;
 მოუთმენელი სიყვარულის ცეცხლით იწოდით!
 და თქვენც იცოდეთ,
 მეც ამგვარი მწევს ცეცხლის ალი,
 მეც თქვენთანა ვარ და ჩემ გულში
 ვნება რაც არი,
 ამ ცეცხლზე მიმაქვს დასაწველად.
 დასაფრფლად.
 დე. დიდ გულიდან დარჩეს მხოლოდ
 შავი ნაცარი,
 მხოლოდ ის არის მისაჩნევი
 წმინდად და მსხვერპლად.
 გიორგი ლეონიძე
 6 აგვისტო,
 1940 წ.
 ბორჯომი

სამწუხაროდ, შემდეგ აღარ მოხერხდა ამ ლექსის დართვა თარგმანისათვის.
 გ. ლეონიძე ქართული ხალხური შემოქმედების დიდი მკოდნე და მოსიყვარული იყო. მან ზეპირად იცოდა მრავალი ხალხური ლექსი და ხშირად წარმოსთქვამდა მათ. განსაკუთრებით უყვარდა „შეუყვარებულთა ლექსი“.

„გარედ დამივე დედაო,
 ბუფის ხმა მენატრებაო!“
 „გათენებულა გამიშვი,
 გამიყვარდებო დედაო!“

შემთხვევითი როდია რომ თავის მრავალ ლექსში

გ. ლეონიძე ცდილობდა ახლოს ყოფილიყო ხალხურ საწყისებთან. ადრე მას მრავალი ხალხური ლექსი ჩაუწერია, შეუფაროვებია. გიორგის დიდად უყვარდა ენა მახვილობა ლექსად. მახსოვს, 1954 წლის 4 ივნისს, რუსთაველის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოთა ხსლო-მაზე გამოცხადებულ შეხვედრების დროს გადმო-მცა მოზრდილი ლექსი — ეპიგრამა. მოგვყავს მისგან რამდენიმე სტრიქონი:

ლევან,¹ ბესო,² დიმიტრი³
გამოსულიყვენენ კამათად,
 ახოლონის⁴ და ამბერკის⁵
 იმედი გქონდეს მარად,
 შალვა რაღიან-შეწირულს
 თაფგდამ-ღირეკტორს მარადა,
 ეკამეზინოს მტკიცედ
 და არა წარამარადა.
 ყუბანეიშვილს⁶ ღომილი
 ფეინებოდეს წყნარადა...

და სხვა.

ხშირად გიორგი სერიოზულ ლექსებსაც თხზავდა სახელდახელოდ. 1938 წლის 1 ნოემბერს იგი რადენ გვეტაძესთან ერთად მოვიდა ჩვენს ოჯახში. დიასახლისმა ქეთევან ირემამემ გაშალა სუფრა. დაურეკეთ შალვა აფხაიძეს და გერონტი ქიქოძეს. გვიანამდე გრძელდებოდა საინტერესო საუბარი პოეზიაზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე. წასვლისას გიორგიმ მოითხოვა საწერ-კალამი და ქალაქი. მოუტანეთ. ცოტა ხნის შემდეგ დიასახლისს გადასცა ლექსი, რომელიც მისი ცნობილი ლექსის სტრიქონებსაც შეიცავდა და აგრეთვე ახალ-ინტიმურ სტრიქონებსაც. აი, ეს ლექსი:

ეს ხმები მიყვარს მითროღვარე,
 როდესაც მღერის კახელი,
 სამშობლო-გულის ფეთქება,
 სამშობლო ლექსის სახელი!

ჩემი ლექსები მტვერია
 ამ ჯადოქრული ხმებისა,
 რა მითქვამს, რა მიმღერია
 ამ ქართულ მირონცხებისა?

მაგრამ ამ ხმებით ვაუზრდიღვარ,
 ამ ხმებმა დამაფაქცია!
 ქეთევანი! ამ საღამოსათვის
 ჩემი ძმობაც და ვაშააცა!

- 1 ლევან ასათიანი
- 2 ბესარიონ ფლენტი
- 3 დიმიტრი ბენაშვილი
- 4 აბალონ ცანავა
- 5 ამბერკი ვაჩეჩილაძე
6. სოლომონ ყუბანეიშვილი

შალვა რაღიანი
 შიხვეღრბი გიორგი ლეონიძესთან

თუ მე გავძელი პოეზიაში
და არ წამესვა ლექსზე ნახშირი,
ქეთო, შენ გწამდეს აუცილებლად
ამ ლექსს გაჰყიდის ბალახაშვილი!

გიორგი ლეონიძე
1 ნოემბერი 1938 წ.

დაბადების ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა გ. ლეონიძეს, ჩამოყალიბდა საიუბილეო კომისია, რომლის ხელმძღვანელობაც გიორგის სურვილის თანახმად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მე დამავალა. ფართოდ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა. ამ იუბილეს მთელი საქართველო გამოეხმურა. მოვიდა მრავალი მოსალაოცი რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან და მრავალი სხვა კუთხიდან. საზეიმო სხდომა მოეწყო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სხვათა შორის, ამ ზეიმს დაეწყო დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას მეუღლე, რომლის გამოჩენასაც მთელი დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა. შემდეგ საქართველოს არც ერთი კუთხე არ დარჩენილა. რომ არ აღენიშნათ ეს თარიღი. მოსკოვში ამ საიუბილეო ზეიმს შეთაურობდა ცნობილი რუსი პოეტი ნ. ტიხონოვი და აგრეთვე კრიტიკოსი ვ. გოლუცევი, რომლებთანაც გიორგი დიდი მეგობრობით იყო დაკავშირებული.

მძიმე მდგომარეობაში ჩაჯარდნილ მეგობრებისადმი გიორგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა. როდესაც ქეთევან ირემაძეს განუკურნებელი სენი გამოაჩნდა და ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს საოპერაციოდ, გიორგი და ეფემია ზშირად ნახულობდნენ ავადმყოფს, ყოველთვის ძღვენით მოდიოდნენ. ეს იყო სამამულო ომის მძიმე წლებში. გიორგი სულ იმის ცდაში იყო, რომ ავადმყოფი გაემხიარულებინა, რათა მას დაეწყოთ თავისი მძიმე ავადმყოფობა. ერთ-ერთი მოსვლისას ავადმყოფთან, იგი ხუმრობს: „ერთად-ერთი კოსტუმი მქონდა და ის გავყიდე, კოსტუმში აღებული ფულით ვყიდე ეს ხილი, რომელიც ახლა მოგართი“.

უნგრეთიდან დაბრუნებულ გიორგის შეეხვედო მოსკოვში, იგი კმაყოფილი იყო ახალი ქვეყნის, „გუფის ტყაოსნის“ ცნობილი დამსურათების მიხაი ზიჩის ქვეყნის გაცნობით. უკვე დაწერილი ჰქონდა ციკლი ლექსებისა უნგრეთზე. წაკვირითა. მართლაც, შესანიშნავი ლექსები იყო. სას-

ტუმროში ჩემს ოთახში შეჩერდა. მასინეც დარეკა ტელეფონით თბილისში, ოჯახე, ქვეყნე, ქალიშვილები მოიკითხა. იმ ხანებში მასიწიყურ ძლიერ ავად იყო და ლენინგრადში ჰყავდათ სამკურნალოდ წაყვანილი. მეორე დღეს თითონ გაეშურა ლენინგრადისაკენ, საყვარელი ძმის საშველად. იქ მძიმე მდგომარეობა დახვდა. ამის შესახებ დებეშთი შეგვატყობინა. იგი ბოლომდე არ მოშორებია მომავლად ძმას.

მოულოდნელი იყო მისი ავადმყოფობა. მისმა მძიმე მდგომარეობამ ფრიად შეამშოთა მხლობლები, მეგობრები, თაყვანისმცემლები. მისა ავადმყოფობა სწრაფად ვითარდებოდა. თბილისიდან იგი გადაიყვანეს თავის აგარაკზე წყნეთში. ბევრს სურდა მომავლადე პოეტის ნახვა.

სასიკვდილო სარეცელს მიჯავჭული პოეტი ხშირად იმეორებდა მარც ავრელიუსის სიტყვებს: „ჩვენი უმადლესი დანიშნულებაა — ეგზალთ სიკვდილისათვის“ და დაუმტებდა ხოლმე: „ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა, თავისთვის უკვდება. მაგრამ პოეტებს აქვთ დიდი დასამშვენებელი საშუალება: მიდიან რა ამ ქვეყნიდან ფიზიკურად, თავიანთი შემოქმედებით მაინც უბრუნდებიან ცხოვრებას, განსწორებულად რჩებიან მკითხველებთან, თავიანთ ქვეყანასთან, თავიანთ ხალხთან“.

გარდაცვალების შემდეგ იგი სულ მწვანეში, ჯივილებსა და ფოთლებში იცხენა. მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობას შეეცვალა მისი მიმზილველი და ვაკეატური გარეგნობა, მაგრამ მას მაინც შერჩენოდა ფაფარაყრილი ლომის იერი. კუბოს თავთან ედგა მუხის დიდი გადანაჭერი, კუნძი, რომელზედაც სანთლები ენთო. ეს შემთხვევით არ ყოფილა, ხეებიდან მას განსაკუთრებით უყვარდა მუხა, ლექსებიც კი მიუძღვნა მას. გამძლეობისა და უღრუკობის გამოსახატავად იგი ყოველთვის მუხას ახსენებდა. თავის უმცროს ქალიშვილსაც მუხას ეძახდა.

გ. ლეონიძეს ჯერ კიდევ ბუერის გავითება შეეძლო მშობლიური ქვეყნისათვის. შეიძლება, ითქვას, რომ ოდნავადაც არ იყო ამოწურული მისი მდიდარი შემოქმედებითი ძალა, ჭეშმარიტი შემოქმედისათვის არ არსებობს სიკვდილი.

გიორგი ლეონიძის ლამაზი და მგზნებარე შემოქმედება მარად იტოცლებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ყოველთვის საპატიო ადგილი ექნება დათმობილი მისი სულიერი შეიარაღებისა და წინსვლის საქმეში.



«ც ხ რ ა პ ო ე მ ა»

50-იან წლებში მოსულ ლიტერატურულ თაობაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე, მაგრამ შეიძლება ერთი სერიოზული ხასიათის ნაკლი: რატომღაც დღემდე ვრძელდება ამ საყურადღებო ძალის თაობაზე ტრაფარეტული ხასიათის საერთო მიმოხილვები, ვრძელდება გარკვეული პრინციპით დადგენილი თანმიმდევრობა პოეტებისა, ინფორმაციული ხასიათის განხილვები და ერთი და იგივე დასკვნები. ცოტა რამ არის თქმული იმ თვისობრივ სიახლეზე, რაც ამ თაობამ მოიტანა პოეზიაში და რითაც იგი განირჩევა უფროსი თაობის შემოქმედების ხასიათისაგან. ცოტა რამ არის თქმული, იმიტომ ვამბობ, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას თავისთავად სახეს მაინც ეს თაობა ანიჭებს და, ამდენად, მათი შემოქმედების არსებითი ნიშნები ლიტერატურულ კრიტიკაში დროულად უნდა გამოიკვეთოს. ვარდა ამისა, თვით თაობის შიგნით საუკეთესო ნიშნების შემკრები ნიჭის შესახებ უფრო გარკვეული აზრის თქმა საჭიროა, რადგან ყოველი მათგანის ერთ სიბრტყეზე მოთავსება მიუღებელი უნდა იყოს კრიტიკული აზრისათვის. ეს აუცილებელია, მით უმეტეს, რომ მოდის მომდევნო თაობა, რომლის შესახებაც გარკვეული შეხედულების შემუშავებაც ასევეა საჭირო. ეს კი არ მოხერხდება მანამ, სანამ სინათლეს არ შევიტანთ წინა თაობის ლიტერატურულ პოზიციაში თუ მიღწევებში. ამით იმის თქმა არ გვიწევს, თითქმის ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულიყოს. მაგრამ უფრო მეტი და არსებითი, რომ ჯერ კიდევ უთქმელია, ამ გარემოებას ეუსცავთ ხაზს.

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს ნაფულისხმევი ლიტერატურული თაობის ერთი დამსახურება, რადგან ეს ორგანულ კავშირშია

ჩვენს წერილთან. ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ პოემა ძალზე ძვრითადაა იწერებოდა ქართულ სინამდვილეში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სალიტერატურო კრიტიკა გამოთქვამდა ამ არასასიამოვნო ფაქტზე თავის გულისტკივილს. ახლა კი, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, იმდენი რამ გაკეთდა, რომ შესაძლებელია ქართული პოემის შესახებ გარკვეული აზრის შემუშავება. ქართული პოემა დღეს ყურადღებას იქცევს არა მარტო თვისობრივი სიახლით, არამედ ანგარიშგასაწევი რაოდენობითაც. ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ 50-იანი წლების ლიტერატურულმა თაობამ ყველაზე მეტი გააკეთა ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები არ ქმნიდნენ ან არ ქმნიან ამ ეპოქის ნაწარმოებს.

დღევანდელი ქართული ლიტერატურის საინტერესო წარმომადგენელი — თათარ ჭილაძე ძირითადად პოემაში ამჟღავნებს თავის ნიჭს. ლექსები, რომლებშიაც იმთავითვე ჩანდა ამ პოეტის შესაძლებლობა, მაინც გვა აჩვენებს მისთან მისასვლელი. მისი ლექსის კითხვისას ძირითადად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის კიდევ უნდა თქმულიყო რაღაც, უფრო ნათლად და ღრმად. აქ გასაკვირი არაფერია. არის პოეტური ბუნება, რომელიც თავის სიღრმეს უფრო ლექსში გადმოგვიწვლის და არის პოეტური ბუნება, რომელიც პოემაში ცნაურდება უპირატესად.

ოთარ ჭილაძის პოემები ამავე დროს ქართული პოემის ხასიათსაც განსაზღვრავს ერთგვარად. ამ პოეტთან ქართული პოემის თანამედროვე ფაზის ძირითადი ნიშნები იყრის თავს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თათარ ჭილაძე საინტერესოა თავისი პოეტური სუ-



ლისკვეთების თვალსაზრისით და თუ მის პოემებს ენიჭება უფრო მეტი ყურადღება ვიდრე ლექსებს, კიდევ უიმეორობით, ეს იმიტომ, რომ შემოქმედის სულიერი სამყარო, თავისთავადი ხასიათი, პრინციპი და ე.წ. კრედიტ პოემებში მეტი მხატვრული სრულყოფით გამოვლენდა.

მსოფლიო ცხოვრების დღევანდელი მდინარება ეროვნული ბუნების ახალ გააზრებას მოითხოვს. რიტმი ცხოვრებისა, რომელიც ჭერ იდამიანის ფსიქოლოგიას განსაზღვრავს, ხოლო შემდეგ თვით ერების სულიერ წყობასაც, ყველაზე უფრო ანგარიშგასაწვევი ფაქტორია. ამ შემთხვევაში საუკეთესო ტრადიციებით თავის მოწონება და ინერტულ ფაზაში დარჩენა სასაცილო მდგომარეობაზე მიიყვანს ყოველ ქვეყანას. ჩვენი ეროვნული ბუნება, რომელიც ესოდენ ფხიზელი იყო მსოფლიო მოვლენებისადმი საუკუნეების მანძილზე, თავისი დროის სულიერ წყობას შემომუშავებდა არა მხოლოდ საუკეთესო მიწის კარნახით, არამედ დანარჩენი მსოფლიოს კულტურასთან სულიერი კონტაქტით.

ოთარ ჭილაძის შემოქმედებითი პრინციპი დაუსრულებლად მიმდინარე უჩინარ ჭიდილშია, რათა რაც შეიძლება მეტად ჩამოაშოროს ყოველივე დროგადასული ნიშანი თავის პოეტურ ბუნებას და იგი მარად ცოცხალი, ხალსი, თვისობრივად ახალი სულიერი ცხოვრების წიაღში შეიყვანოს.

სად უნდა იდგეს პოეტური ბუნება დღეს, რამ უნდა განსაზღვროს მისი სულიერი წყობა, რა შინაარსით უნდა ჩაერთოს იგი თანამედროვე ცხოვრების რიტმს და მიმართულებას — აი, სავანი ოთარ ჭილაძის შემოქმედებისა. ეს დასკვნა მოპყვება მისი პოემების ანალიზს პირველ რიგში.

ოთარ ჭილაძის წიგნის „9 პოემა“, ანოტაციაში კარგადაა მოითითებული: „ეს პოემები თითქოს ერთმანეთს ავსებენ და აგრძელებენ. რადგან მათში მოქცეულ პოეტურ აზრს კვებავს და ამოძრავებს ერთი ძირითადი პრობლემა. ადამიანის სიღიადისა და მისი მარადიულობის პრობლემა.“

მითოლოგიისა და ისტორიის, სინამდვილისა და ოცნების შერწყმისა და ურთიერთგამომყვადობის საშუალებით აეტორი ცდილობს დაგვანახოს ადამიანის სულის უწყვეტი და ჭიუტი მდინარება“.

პოეტის შემოქმედების ეს მოკლე განსაზღვრა ზუსტია, მაგრამ მასშივე კიდევაც რომ არ ვახდენდეთ პოემების ანალიზს, იგიაუღებდა ის მეტად ზოგადი ასპექტი ადამიანის სულის სიღრმეების წარმოსაჩვენად, რომელიც განაპირობებს ფართო შემოქმედებით პლანს. მასში

სარკის სიცხადით აირეკლება პოეტის პოეტიკა და მიზანდასახულება.

ოთარ ჭილაძე პოემაში „ადამიანი გავითის სვეტში“ სვამს ასეთ კითხვას:

შენ რატომ უნდა გვიჩინოს ცუდად.
მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი,
ან რატომ უნდა გვიჩინოს მშვენივალად.

როცა მე ვწვევარ სისხლის გუბებში — ამ სიტყვებში თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობაა გამჟღავნებული. არ შეიძლება გულგრილი დარჩე ყოველივე იმისადმი, რასაც ადამიანური კაცობრივარეობა და ის დღეი სამართლიანობის გრძნობა ჰქვია, რომლის თვალის დედამიწის ყოველ კუთხეს წვდება. ეს სტროფი არის არა მარტო ხელსაყრელი ფორმა პოეტური წვისა, არამედ ქართული ბუნების დღესდღისთვისაც მოუცილებელი პოეტიკა და სათქმელი. ასე განაგრძობს ჩვენი სულიერი წყობა სიცოცხლეს განუხრელი ტრადიციულობის ასპექტში. ამ სტროფის აზრი ხომ საუკუნეების მანძილზე არა ერთხელ გამოვლენილი ქართული ბუნების კიდევ ერთგზის უკუღმუნა ლიტერატურაში. გარდა ამისა, ოთარ ჭილაძის მხრივ იგი შესენებაა იმ აზრისა, რომ მოწინავე ხალხის ფუნქცია ასეთი ჰუმანიზმისადმი ერთგულებაა, იგივე უნდა გვესმოდეს ტრადიციულად. ადამიანის წინაშე ყოველთვის უნდა იდგეს დიდი ამოცანა და ღამაში იდეალი, რომელიც გადამწყვეტ მომენტიში შეიწირავს მის სიცოცხლეს.

მეც, რა თქმა უნდა, ენაობ სიცოცხლეს, ძალიან მალე დასრულდა იგი, მაგრამ არ ენაობ ასე რომ მოგვეძლი, რაღაცას ნიშნავს ასე სიკვდილი, რაღაცას ნიშნავს, რადგან ამქვეყნად ბევრია ჩემზე პატიოსანი, ჩემზე ჭკვიანი და მოყვარულიც.

და როგორც ტყიდან, მეორე ტყეში გადააქვთ ქარებს თესლი ხეების, ისე გადაღის გულიდან გულზე ჩვენი ფოქრები და სურვილები.

ცა ხომ ვრცელა, მაგრამ ამ ცაშიც ევახებიან ღრუბლებს ღრუბლები. ამ შევახებას მოსდევს

ქუხილი, ქუხილს კი ცეცხლი, რომ ცეცხლის შუქით გზა გაინათოს წვიმებმა ბნელში, ხოლო წვიმები კლდესაც რეცხავენ და კაცის გულსაც და როგორც ბროლის მალალ ტაძარში, მთელი ქვეყანა შედის წვიმაში.

„ადამიანი გავითის სვეტში“.

სიცოცხლის ფასის შეგრძნება და ღირსეული სიკვდილის მაინც უღრტენიველად მიღება საუკუნეების მანძილზე ადამიანური ბუნების ნიშანდობლივი გრძნობა იყო. იგივე გან-

საზღვრავდა ადამიანის დანიშნულების სიღი-
აღეს. თავგანწირვა რაღაც ზოგადისათვის, იდე-
ალისთვის პირველ რიგში ადამიანური ბუნების
სიძლიერის მათწყებელია და მას გაფრთხილუ-
ბა და საყრდენის გამაგრება ესაჭიროება ჩვენს
ფსიქიკაში. პოეტური სიტყვის ყველაზე ზუს-
ტი დანიშნულება დღევანდელ დღეს ამ შემხე-
ბი წერტილების მივანება. შინაგან დრამა-
ტიზმს ვერ წარმოქმნის სულზე ახალი ცხოვრ-
ვისეული ფორმების ხელოვნური დაძალება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთარ ჭილაძის
პოეზიის ჩვენი განწყობილება. მასში ივა-
რუდება ჩვენი დღევანდლობის ხასიათის გა-
გება და სათანადო ფორმა. პოეტის განწყობი-
ლებისათვის არ არის უცხო არც რწმენა, არც
შეშარტება, არც იმედი, არც წვდომის წყურვი-
ლი, მაგრამ ადამიანური ბუნების ეს თანამდევ-
ნიშნები ცხოველ მიმართებაშია დღევან-
დლობის ფსიქოლოგიასთან, ექსპრესიული-
ობით ნიშნობაზე ცხოვრებასა და შეხედულე-
ბათა გადაფასებასთან. ეს მიმართულება განა-
პირობებს პოეტის განწყობილებასაც. მის
სულს არ ანათებს ხელოვნური ვარსკვლავები,
მზეები და მთვარეები, მისი შემოქმედების
ხასიათი განსაზღვრულია იმ ატმოსფეროთი,
რომელიც გარემოიკავს დღეს ადამიანთა ცხო-
ვრებას დედამიწის ზურგზე და იმ ზუსტი ორი-
ენტაციით, რაც ქართულ ბუნებას უჭირავს ამ
ატმოსფეროს მიმართ. ეპოქის შესატყვისი ექ-
სპრესიულობა პოეტურმა „სიმშვიდემ“ შე-
იწოვა:

მას გაეღვიძა, მოწყურდა ძილში
და გაეღვიძა, ბნელოდა გარეთ.
და თითქოს ამას უძლიდა მთვარეც
გარჩინებულ კედლების ჩრდილში.
მასწინე თავზე მოქცეა ქრებებს,
გამოამძვანა როგორც ცოცხები,
და ჭერ შიშველი ჭადრის ტოტები
ოქროს ზოდებად აქცია უცებ.
ჭერ ღამე იყო, წყალზე და ხმელზე
წყვილიადის სული დაძრწოდა მხოლოდ,
სილაში მშვიდად ეძინა თევზებს,
ეძინა ბუდეს, ბუნავს და სოროს.
ხალხსაც ეძინა, მის მონავარსაც
ეძინა ღრმა და ჯანსაღი ძილთი,
და გაქვს ღეჭავდა ძილში ნავაზი
ცეცხლთან გაწოლილ ჩრდილივით ფრთხილი.
ის წყალს პირდაპირ დოქიდან სვამდა,
უცხაცხებდა მთელი სხეული,
გაცირცილიყო წყვილიადის ფარდა
და კალთა ჰქონდა ჩამოხეული,
რიცრეის სუნთქვას და მამლის დეზებს
გაუხსნათ სიერცე, როგორც სამარხი,
და კვლავ ჩონჩხივით ვსვენა ფსევრზე,
მცენარე რწმენის და სიამაყის.
სხვისთვის უჩინარ ცაში ნაფრენი
და დეკორული ციური ქვებით,

დარწმუნდა ისიც, რომ ყველაფერი
ხდებოდა მხოლოდ ბუნების ნებით.
და ბედს რამდენიც უნდა ეომოს.
ვერ გაბედავენ მისი ხელები,
რომ ერთს წაართვან, რათა მეორეს,
გადასცენ ტოტი ბედნიერების.
დარწმუნდა ისიც, რომ მისი სევლა
ნაწილი იყო საერთო სევდის,
საერთო ცეცხლის ფურცლებში ხვევდა
მის არსებობას ღმერთი თუ ბედი ...
და თენდებოდა...

ჩქამად თუ ჩრდილად
ნაწილდებოდა ღამის სიკვდილი
და საწოლებში წვეებოდა დილა
სატრფოსთან მისულ ქალის სიფრთხილით!
„სიყვარულის პოემა“

ასე იქცევა თანამედროვე სულისმიერი
ძვრები პოეტური კულტურის ფარულ
ნიშნებად, მის სიღრმედ. ხოლო ხელ-
წერა, რომლის ნიმუშად აქ მოტანილი
ნაწყვეტი გამოდგება, მუდამ ინარჩუნებს თა-
ვისთვისადობას. გარდა ამისა, იგი საოცრად
თანამედროვე და ბევრის დამტევი ხელსაყრე-
ლი ფორმაა. სტროფის შინაგანი სიმჭიდროვე
და გადასვლები ერთი სულიერი წიაღსვილიდან
მეორეზე ისე ბუნებრივად მიმდინარეობს, რომ
სტილი ჯაჭვისებური სიმტკიცის შთაბეჭდილ-
ბას ტოვებს. რაც შეეხება ოთარ ჭილაძის შე-
მოქმედების არსს, მასში თავს იყრის ყველა
ის ძირითადი პასუხი, რომელსაც ჩვენი ქვე-
ყანა გაიღებს დღეს პოეტურ ენაზე. ამ მხრივ
მას რამდენიმე პოეტი თუ დაუდგება გვერ-
დით.

სერიოზული მიზანი და რთული ამოცანა,
რომელსაც ოთარ ჭილაძის პოეზია გულის-
ხმობს, თან ატარებს შემოქმედებით პროცე-
სისათვის დამახასიათებელ ნაკლსა და წინაღ-
მდეგობებს: ხატოვანი თხრობიდან მსჯელობის
სფეროში გადასვლას, ემოციიდან ცივ გან-
სჯაში მოქცევას, ლირიკულიდან მკვეთრ პრო-
ზაულ თხრობაში შექცას. მაგრამ, ვიმეორებთ,
ღირსება ოთარ ჭილაძის შემოქმედებისა მის-
სავე ნაკლზე განუსაზღვრელად დომინანტობს.
პოეტის „მეს“ განსაზღვრავს დადებითი, უფ-
რო საყოველთაო ღირსება და არა ნაკლი,
როგორც თანამდევნი შედეგი ძიების პრო-
ცესისა.

მოგვექვს ნიმუში იმისა, როდესაც ოთარ
ჭილაძე თავის სიმაღლეზეა, საკუთარი მდიდ-
არი პოეტური ბუნების გაცხადებას აღწევს:

გზა კი გრძელდება და უკან მიჭრის
მზესთან აღერსით დაღლილი ყანა,
და ზეთისხილის ტოტების იქით

ჯანსუღ ღვინჯილია
„ცხრა პოემა“

მეყვარებული ჩრდილები წყნან.
თავისთვის წყნან და მზისგან უკვიროს,
რად აირჩია ცა სარბილად.
რად აირჩია! და აი, უკვე
მზეზე ცახცახებს ძველი სიენა.
სიენა! თუმცა თვითონ ხედავენ,
რომ შენც ფიქრებში ხარ დაქსაქსული,
და მოედანზე როგორც ცხედარი,
კვლავ ასვენია შენი წარსული.
და მის ვარშემო დადიან ჩუმაღ,
თეთრი მტრედები და ტურისტები,
შენც ყველას თვალწინ შიშვლდები უმაღ,
და ყველას თვალწინ საჭურისდები.
რადგან ვაფრინდნენ ძვირფასი წლები,
და გაილია ოქროს საყვირიც.
შენც დაიღალე და მზეზე წვები,
რომ უხმოდ ლექო აწმყოს აღვირი.

(„იტალიური რევული“)

პოეტური სულის ამ ზედასვლას ძიებისათვის დამახასიათებელი ასეთი „ჩაფარდებით“, ცოცხლად განსჯილად განსაზღვრული სტრუქტურებიც ახლავს ხოლმე:

გზას უყვარს ფიქრი, ზიხარ და უცქერ,
ძველ სამონაზვნოს და სააბატოს,
და შეიძლება შენს ფიქრში უცებ
აღმოჩინო ოქროს საბადო.
იღმოჩენილი არ ნიშნავს ნაოცენს
ნაპოვნი ოქრო სხეულს ვეკუთენის,
და საჭიროა როგორც საპონი,
ან მექუდისთვის აბრა მექუდის.
იღმოჩენილი ეკუთენის ღმერთებს,
ღმერთი კი ყველა ჩვენგანში ცხოვრობს,
ყველა ჩვენგანში ცხოვრობს და მართავს,
ზოგის სასახლეს და ზოგის სოროს.
მე უკვე ვნახე მილანის სახლი.
და ვიგრძენ ღმერთი, რომელსაც აღბათ,
სხვა ღმერთი ჰყავდა და ფიქრით დადილს
კედლები ცისკენ მიყავდა ხარბად.

(„იტალიური რევული“)

ეს ზოგადი ხასიათის შენიშვნები ოთარ ჭილაძის პოემებზე, ჩვენი აზრით, უფრო დაწვრილებით ანალიზს მოითხოვს არგუმენტად. ჩვენც გვინდა ანალიზი პოეტის შემოქმედებითი გზის ჩვენებად იქცეს, თანაც უფრო ცხად-ლოცო გახდეს ამოსავალი წერტილი.

ოთარ ჭილაძე ერთბაშად არ მისულა პოემასთან, როგორც თავისი გზის არჩევანთან, როდესაც მან გამოაქვეყნა ლექსი „მარინა“, ნათელი გახდა, საით უნდა მიმართულიყო მისი პოეტური ბუნება. „მარინა“ ჩვენ მიგვანჩინა იმის საუცხოო ამხნელ არგუმენტად, რომ პოეტის შესაძლებლობას ლექსში სხვა გასაქანი არ ჰქონდა. იგი ხან საოცრად შემჭიდროვებულ პოეტურ სათქმელს გვაწვდიდა. ხანაც

ასოციაციური სტრიქონების შერწყმას, ყველაფერს. მაღალი ოსტატობით განქვეყნებული პოეტური კულტურა ახლდა, მაგნიტურ სტრუქტურის თავისუფალი სუნთქვა არ იგროვებოდა. სტრიქონის პოეტური ბუნება მორჩილებდა სტრიქონის სათქმელს.

მარინა, თოვლი შენი სულია,
და ვანგებაა გამოგზავნილი,
რომ ამირიოს გზები სრულიად
და გზის ნაპირას დაშვას მგზავრივით.

ამ სტროფის პოეტური ბუნება და სათქმელი ერთმანეთს საუკეთესო ვარიანტში დაეძინება, მაგრამ აქვე იგრძნობა ისიც, რომ ოთარ ჭილაძის პოეტური სათქმელი არ შეიძლება დაეტიოს ლექსში. ის უფრო პოემის სივრცეს მოითხოვს თავისი ხასიათის სრული გამოვლინებისათვის, რომ ლექსი მისთვის სასურველი ფორმია, ხოლო პოემა აუცილებელი, სასურველთან ერთად. პოემას ოთარ ჭილაძე ამ ლექსამდისაც წერდა და მას შემდეგაც, მაგრამ აქამდე პოემა უფრო შემთხვევითი იყო, შემდეგ კი ძირითადის ადგილი დაიჭირა. ამიტომ პოემა „დედებოთ საესე ქული“ გარკვევით ატარებს ფრაგმენტების კრებულის ხასიათს, ვიდრე სრული პოემის სახეს. მაგრამ ამავე დროს მიანიშნებს იმაზე, რომ პოეტის სული უფრო თავისუფლად გრძნობს თავს ამ ეპიკურ ნაწარმებში ქართულ ზღაპარს არის დაფუძნებული. ზღაპარი აქ ალგორითის საფუძველია და არა განწყობილებიას:

და სულში იბრძვის ახალი სიმი
წვიმით გაუღენთილ ტოტივით მძიმე,
მე კი ვიზოგავ შენს ფერმერთალ ღიმილს,
ეთი ბოლო სანთელს და ბოლო იმედს.
ისევ ანთია შენი სახელი,
ისევ ზარივით ჰკიდაა ცახე,
და სადგურები თვალებს ახელენ,
დაუშვარებულ სიზმრებით საესეს.
და იქნებ მითხრა, რაში აქვს სული,
რაში აქვს ეშმაკს სული და ღონე,
მე გაურკვეველ სიზმრებში ვცურავ.
და შეუმჩნეველდ ნებდები მორავს,
მაგრამ მე მახსოვს, სად შეწყდა კვალი
და სად ვიწამე ბუნების ძალი.
და მე მხოვოვ ქიობას, მე შინდა ქალი
თუ ჩემი ნეკნი, ძველი ქალად.

პოემა უფრო ლირიკული ლექსების ციკლს გვაგონებს, ვიდრე ერთ მთლიან მდინარებას სულსას. განწყობილება ხშირად იცვლება არა თითო პოემის განვითარებისაგან გამომდინარე, არამედ სულ სხვადასხვა მომენტობრივი შთაბეჭდილებებით.

ოთარ ჭილაძე პოემით „თიხის სამი ფირფიტა“ საბოლოოდ ნათელიყო, რომ მისი პოეტური „მე“ პოემაში პოვებდა ყველაზე სა-



უკეთესო საყრდენს. ეს პოემა საინტერესოა არა მარტო ამ თვალსაზრისით, იგი სრულყოფისა და მხატვრულობის დონითაც იქცევა ყურადღებას. გათანადროვლება მეტად შაბლონური თქმა იქნებოდა ამ ნაწარმოების განწყობილების დასახასიათებლად. ოთარ ჭილაძემ უფრო იმას გაუსვა ხაზი, რომ დროთა კავშირი მაინც არსებობს, მიუხედავად იმისა, შევიგრობოთ თუ არა მას ჩვენ. აქ კი განსხვავებები წინა პოემისაგან, მითოლოგია მართლაც იქცა მიზეზად განწყობილებისათვის. სინათლისათვის შორ გზაზე გამოსული ადამიანი ხშირად ყელამდე ფერფლში მდგარა, მაგრამ იმ ადამიანურ ბუნებას ვერსად გაქცევია, რომელმაც შინაგან ვენებად იწყო სიცოცხლე მისში და შინაგან ენერჯიადე გარდისახა:

მაინც არაინ არ გარბის არსად,
ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს,
და თიხის დიდი თოჯინის მსგავსად.
ქალაქი ზელში უჭირავს სიცხეს.

პოემის თემა ისევე მარადიულია, როგორც ადამიანის შინაგანი ბუნება, ამიტომ საფრთხე გატეკპინილ გზაზე სიარულისა ყოველთვის იდგა პოეტის წინაშე. ოთარ ჭილაძე ამ საფრთხეს თავს აღწევს იმით, რომ არასოდეს არ გაყვება ფიქრების ბუნებრივ მდინარებას განსაზღვრული მიმართულებით. იგი ყოველთვის ცნობილი თემის ჭერ თვალშეუდგამ მხარეებს აქცევს ყურადღებას და მას აძლევს გარკვეულ ფორმას.

ზიხარ და ფიქრობ და ძალას იკრებ,
და კვირას მისდევს ახალი კვირა.
და თურმე შენად მიჩნეულ ფიქრებს
ფეხი აუღვამთ ეფფრატის პირას.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კარდინალური საკითხები, რაც ამ თემის უთუოდ ზერხებულად გააჩნია, მხოლოდ ივარაუდება. ამაზე მეტყველებს შამხატის ხასიათი, როგორც უმარტივესი ვახსნა დიდი ცხოვრების ძირითადი კანონისა. შამხატის ხასიათი პოეტს დასჭირდა სწორედ შაბლონისაგან თავის არიდებისათვის. ამ ხანგასამში არ იგულისხმება ოთარ ჭილაძის პოეტური ბუნების უკანდახევა დიდი მასშტაბებიდან. არა, ეს ერთგვარად რომანტიკული ტონალობისაგან პოეზიის უათვისუფლებასაც ემსახურება. ამიტომ, ბუნებრივია, თეთი პოემის შინაგანი კანონიდან გამომდინარე ერთგვარი თხრობა მოვლენებზე, ერთგვარი ექსკურსები ყოველი მიმართულებით და არა განსაზღვრული ხაზით სიარული:

ბერის ავიწყდება რა დარდიც ჰქონდა,
და ახლა სულში იმედი წვეთავს.
ბევრი კი მხოლოდ იმტომ მოდის
ამდენი ოქრო რომ ნახოს ერთად.

პოემის მთლიანობა და აზროვნების „სიხუსტე“ ნათლად დასმულმა პრობლემამ განსაზღვრა: თუ მხატვრულობის იმ მაქსიმუმ შესაძლებლობას ვერ ვხედავთ, რაც კილაძისათვის ასე ბუნებრივია ხოლმე, ეს იმიტომ, რომ ყოველი სტრიქონი საკითხის განათებას ემსახურება. ამ ხასიათისაგან განსხვავებული ლირიკული წიაღსვლება უთუოდ დაარღვევდა „სამი ფირფიტის“ შინაგან არსს და მამის ნაწარმოების მთლიანობაზე საუბარი შეუძლებელი იქნებოდა. აღვივები, გაცილებით ძლიერი, „ღვევებით სავსე ქუდში“ გვხვდება, მაგრამ იმ ადგილებმა იქ პოემის მთლიანობა დაარღვია. აქ კი პოემის მთლიანობა დაცულია, მხატვრულობა ზუსტია და ეს სიხუსტე მთლიანობისათვის არის ერთადერთი ხელსაყრელი საშუალება. ამიტომაც არ ვამხავილებთ მასზე განსაკუთრებულ ყურადღებას, თორემ ძნელი გასაშიფრავი არ არის ქვემოთ მოტანილი სტრიქონების ერთგვარად განსჯითი ხასიათი.

თუ მართლა გესმის და მართლა გჯერა, შენს ჩასახვამდე გარდაცვლილ კაცის. და თუ კი შენი ფუძე და ქერი გათმევს სიცოცხლის უდიდეს ნაწილს. შენი საღამო და შენი დილა რას მოხმარდება ისიც თუ იცო. ორივე ზელი და ყველა კბილი მაგრად ჩაქიფე შამხატის სიცილს. მაგრად ჩაქიფე ქალაქის კედლებს, და იმედოვით ნათელ მდინარეს, რომელიც ღმერთთან კამათის შემდეგ შენს დასაწახლად თავს იმჩინარებს. არც მოწყალეა და არც საშველი, არ ღირსებაა ციდან არავის, და რასაც ფიქრობ, ყველას აჩენენ, ან ვისთან რა გაქვს დასაშალავი. სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის. და შენც ვახსენე შენი ფიქრები. რომ პატიოსნად დიდხანს და მყუდროდ იცხოვრო. როცა აღარ იქნები.

მხატვრულობის თვალსაზრისით „იტალიური რეული“ გაცილებით მაღლა დგას „თიხის სამ ფირფიტაზე“, იქნებ სადავოც იყოს, მაგრამ ერთი რამ უნდა ითქვას: პოემად მიჩნევისათვის „იტალიურ რეულს“ შინაგანი საფუძველი არ გააჩნია. სათაურიც თითქოს ერთგვარად ამართლებს ამას. მაგრამ რა ასპექტში დგება პოეტური ბუნება და რა განაპირობებს განწყობილების ასეთ სახეს, როდესაც ამის მიწინაშეა ნაწარმოები ვერ იძლევა, მაშასადამე მას გარკვეული მიმართულება არ აქვს და ამდენად ძნელია პოემაზე ლაპარაკი. ამ მხრივ იგი „ღვევებით სავსე ქუდის“ გვერდით თე-

ჯანსუღ ლინჯილია
„ცხრა პოემა“

სდება. მაგრამ პოეტურობით მასზე მაღლა დავს. იგივე პოეტურობა „იტალიურ რევულს“ უნარჩუნებს მიმზიდველობას, პოემში უფრო შთაბეჭდილებებია წინა პლანზე წამოწეული, ხოლო „თიხის სამი ფირფიტა“ საკითხად დგება ჩვენს წინაშე, „იტალიურ რევულსში“ თავისუფლად მიშვენილი განწყობილება სიმაღლიდან სიმაღლეზე ინაცვლებს და ჩვენც ამ წყვეტილ ფიქრებს მივყვებით ბოლომდე და არა განსაზღვრულ მიმართულებას, მთლიანობისათვის გამიზნულს.

ეს პოემა უფრო იმით არის საყურადღებო, რომ ოთარ ჭილაძის თავისთავადი სტილი სრულყოფილად გამქადაგდა. მისი ხატოვანება სახიერი ვახდა („და ჩრდილი წოვდა გაქცეულტელ ყურძენს“, „და წყალში დგომით ფერწასულ სახლებს ხელში ეკირათ გონდოლის ჩრდილი“). ეს სახიერება თვითმიზნურობას გავრბის, ბუნებრივად მიიღწევა, უფრო სწორად, იგი აუცილებელი პოეტური სახეა ლოკუტური აზრის დასასრულებლად. „დევეებით სახე ქუდი“, „თიხის სამი ფირფიტა“ და „იტალიური რევული“ საერთო განწყობილებით იქცევენ ყურადღებას. სანამ სხვა პოემებს შევხებოდეთ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოთაღმოთვლილი ნაწარმოებები, უპირველეს ყოვლისა, პოეტის ბუნების ფართო პლანში ვაცხადება. მისი ინტერესების წრე აღამიანური ცხოვრების რთულ საკითხებს უტრიალებს გარშემო. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ეს პოემები არის სერიოზული ჩაფიქრება ზოგად აღამიანურ პრობლემებზე, ოთარ ჭილაძემ ყოველ საკითხს თავისი შინაგანი ბუნებიდან შეხედა და უზოგადესი განწყობილებანი ამოზიდა სულიდან. შემდეგ პოეტის შემოქმედებითი გზის უპირველეს ნიშნად იქცა ეს რთული ამოცანა. ყოველ თემას იგი ამ მიმართებით უდგება და ამიტომაც 9 პოემის გამიზნულება ერთ ხერხემალს ეკვრის მჭიდროდ.

„რკინის საწოლის“ გამრქვეყნებით ოთარ ჭილაძემ თავისი პოეტური შესაძლებლობის ახალი ნიშნები დაგვანახა. რთულია ეს პოემა იმ მიზეზით, რომ შემოქმედის საოცრად ამალღებული განცდანი, ვნებები და სწრაფვანი ერთი საკითხის გარშემო კი არ იყრის თავს, არამედ ასოციატური ბუნების სტრიქონებით ეშვებანი ერთ ფოკუსში და იმ უჩინრად არსებულ შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარებიან, რომელსაც შემოქმედის სულიერ მდგომარეობას თუ დავარქმევთ პირობითად. ოთარ ჭილაძე ერთ კონკრეტულ „მეში“ აქცევს ყველა შემოქმედის დამახასიათებელ ნიშნებს, სავარაუდო სულიერ განწყობას, სევდას, რომელიც თანამედროვე ხელოვანის სულს

ეუფლება. პოემის შეფარულ ქვეტექსტში იქნა წარმოდგენილი თავისუფალი განწყობილება და საშუალებას გვაძლევს, განვხილოთ პოემა ჩვენთვის ნიშანდობლივი განწყობილებებით ჩვენსავე ფიქრში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვრული მხარე ამ პოემისა:

ის არ იცნობდა მონასტრის წესებს,
მაგრამ მონასტრის ახლოს გრილოდა,
და მისი ჩრდილი წვებოდა გზებზე
და ფარასავით მიზოხინობდა.
ბერს კი ტუნებზე მიედო თითი,
და თავს იღწევდა ღმერთის ჩეროდან,
და სული, როგორც ცისფერი ჩიტი,
კის ვასავონად სულ სხვას მღეროდა.
ტიანტან ღამით ისევ ვალობდნენ,
და ისევ ზარებს ეკიდა მნათე,
და გარანტუას შთამომავლობა,
სოფლის შუკებში დასდევდა ბატეხი.
ჯერ არ იცავდა ქონს მეხამრიდი,
და ღვთის ამარა ცხოვრობდა ასე,
ხოლო მწუხარე სახის რაინდი,
მიჩაჩაქებდა უკაცურ ვაზზე.
გლეხი კი ისევ მიწას ბარავდა.
და განუწყვეტილ ლოცვად გამჩენს,
და თბილი თესლით სახე კალათას,
ხნულეებში ცლიდა მშვიდი და გამრქვე-
სივე უცდიდა ტრისტანს იზოლდა,
გამოდიოდა საიქიოდან.
და არ ამბობდა, ან არ იცოდა,
რომ ყველა ქალის გული ტკიოდა.
რომ ყველა ქალის სახელით იწვა,
ყველაზე გულწრფელ მიჯნურის გვერდილს,
და არ ფიქრობდა, თუ გრილი მიწა,
როგორ უბრალოდ უსვამდა წერტილს
ყოველგვარ ვნებებს...
მინც ეტრფოდა პეპელა სანთელს,
მინც ევახდა სიკვდილი მოკვდავს,
და ქვეყნელიდან ამოსულ დანტეს,
შემერთალი ხალხი სიმართლეს სთხოვდა.
სიმართლე იყო მკაცრი და ბასრი,
და ხალხს, რომელსაც ცოტა ესმოდა,
ძლივს გამოქონდა სიტყვიდან აზრი,
როგორც ძვირფასი კუბო ეზოდან.
მინც ბზინავდა ხნულში პიტალო,
მინც ფშვინავდა ძიღში ხეხილი,
და უწყინარი იყო მიდამო
საასარებოდ მოსულ გლეხივით,
სამლოცველოში ესვენა ხატი,
ურმის კოფრზე ესვენა მთავარი,
ხოლო ჰამლეტის ცნობილი ლანდი,
მიფარტატებდა ოთხივე მხარეს.

მხატვრულობით, სიკხადით, ლაკონიზმით და მთლიანობით „თაკო და ზაზა“ ყველა პოემაზე მაღლა დავს. სიღრმითა და მასტაბურობით გაცილებით საყურადღებოა სხვა



პოემები, მაგრამ ზემოთაშობილი ოთხი ნიშანი კი „თაყოსა და ზაზას“ ერთ ამოსუნთქვად აქცევს. აღებული თემა მეტ სიღრმესა და ხელოვნურ ხლარების ვერკ მოითმენდა. „სინათლის წელიწადი“ წარმოდგენილია იმ „ჩაღრმავებების“ გარეშე, რომელიც მასში უხვად გვხვდება, წარმოდგენილია ზოგჯერ „გაბუნდოვებული“ განწყობილების გარეშეც, რადგან მის საფუძვლად საამისო არგუმენტი უქმის. რაც შეეხება „თაყოსა და ზაზას“ იგი მიზანსა და საშუალებას შორის სრულ შესატყვისობას აღწევს. იმდენად მარტივია პოემის აპიკტეტობა, ისე უბრალოა გადასვლები სათქმელთან და სათქმელზე, რომ თუ არა ახალი ასპექტი ნაწარმოებისა, ყველაფერი ბანალურობამდე დავიდოდა. მაგრამ ასპექტი სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა — თანამედროვე ცხოვრების განწყობილებიდან მამაშვილური სიყვარულის გაზომვა. ეს ალღო თანადროული სუნთქვისადმი, რომელიც ძირითადად შეუმცდარად დაატარებს ოთარ ჭილაძის პოეტურ ბუნებას, ამ შემთხვევაში სრულყოფილ შესატყვისობაში აღმოჩნდა პოემის თემასთან და არსად არ იგრძნობა ცარიელი სტრიქონის სუნთქვა. მიმართება ეროვნულ სულთან ამ პოემაში ძალზე ძლიერია, თანამედროვე ადამიანის განწყობილებამ მთლიანად გარემოცვა ეროვნულის შეგრძნება და იგი ბედნიერი შერწყმის ნიმუშად იქცა.

„ციორკი“ პარალელურად განსაზღვრული ნაწარმოებია. მისი მხატვრულობის საფუძველიც ეს არის. ეს ლიტერატურული ხერხი, რა თქმა უნდა, მორალურია. აქ ნიჭის გამარჯვება განიხილება იმის მეშვეობით, თუ რამდენად ორიგინალურად გამოიყენებს პოეტი ამ ხერხს, რას ჩაღებს მასში საკუთარ თავისთავადობაზე მინიშნებებს. მთლიანობის თვალსაზრისით პოემა უფროდ ყურადღების ღირსია. მთლიანობა პოემისათვის პრობლემად იქცევა ხოლმე, რადგან შინაგანი სიუჟეტი უფრო ძველი მისაგნებია, ვიდრე პირდაპირ ამბავზე აგებული ეპიკური ნაწარმოების ხერხემალი. პოემა ასეთი შინაგანი სიუჟეტის გარეშე ერთგვარად დაშლილ ქსოვილს გვაგონებს. პოეტმა პარალელი ნაწარმოების სიუჟეტად აქცია და ადამიანის სულიერი ცხოვრება ერთ მდინარებად წარმოგვიდგინა.

ორი პოლუსი გაანია ადამიანთა ურთიერთობას: როდესაც ისინი ერთმანეთს პოულობენ და როდესაც ერთმანეთს კარგავენ. „ციორკი“ მეორე შემთხვევას ასახავს. ბუნებრივია ტყვიის განცდა, რაც ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს. პოემა ოსტატობის თვალსაზრისით მალღ დონეზე ღვას. იყობს განუწყვეტელი ინტერესით. ძალზე ხელოვნურ შთაბეჭდილებას დატოვებდა ნაწარმოები, თუ მასში მხოლოდ სიყვარულის ასპექტს აღვიქ-

ვამდით, მაგრამ აქ პირველ რიგში, ადამიანთა არსებობის აზრი იგულისხმება. პოემის სიღრმე ტიზმს განაპირობებს ის განცდა, რომელიც ჩვენში ცხოვრების საყრდენს, იმედის გარსკვალავს, და თუ გნებავთ, რწმენის დაკარგვის შემდეგ წამოიჭრება. პოემაში ამ მომენტს „შენ“ ჰქვია. იგი ზოგჯერ ძვირფასი ადამიანის ფუნქციითაც გვხვდება, მაგრამ მთავარია ზოგადი აზრი პოემისა — ადამიანის რწმენისა და ოცნებების გაწილება საშინელ სიკალიერეს ტოვებს სულში.

საკვებით გასაგებია პარალელები. რომელიც აძლიერებს იმ განწყობილებას, რაც ასეთი გაწილებით გაბატონდა პოეტის ხასიათში ასეთ დროს პარალელი დამატებით შტრიხია, ნიმუში:

მე კი მარტო ვარ და ბევრი დრო მაქვს,
რომ ყველაფერზე ვიფიქრო მშვიდად.
მე ვერ შევქელი იმ თოვზე დგომა.
და შენ დაგკარგე
და აღარ მიხნდა,
რომ ერთხელ კიდევ დეარტყა კეფა
რკინის იატაკს,
კლოუნს კი რალაც
აშინებს ისევ და მხოლოდ ხელფასს
დაკარგავს თუ ვერ ვაბნედა ახლაც.

კლოუნის მთავარი სადარდებელის მოხსენიება აქ უზოგადეს ადამიანური სევდის სიღრმეს უფრო გარკვევით უსვამს ზაზს.

ან კიდევ:

მე შენ დაგკარგე და ეგ საყურე
ვარსკვლავად შექცა და შენს გამოა.
მარტო რომ ეხვიარ.
— აი, მსახურებს
აყრობატების ბაღე გამოაქვთ.

რამდენიმე ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება. მხატვრული ქსოვილი ამ პოემისა ისევე საყურადღებოა, როგორც „რკინის საწოლისა“, აქაც შეიძლება გრძელი ციტატების ამოწერა და თუ ეს პრაქტიკულად შესაბამის ხდება, ესეც პოეტის შინაგან სიმდიდრეზე მიუთითებს.

ოთარ ჭილაძემ თავისი სიტყვა უთხრა თანამედროვე პუბლიცისტურ პოემას. საერთოდ, როგორც კი ქართული ლიტერატურისათვის შედარებით „უცხო“ ფორმა გამოჩნდება ნაწარმოებისა, იგი მაშინვე ან საოცრებად უნდა გამოცხადდეს, ან უცხოურობის ემიგრანობად. მაშინვე არაეროვნული უნდა დაინახონ მასში და ამრეზით შეხედონ, ან კიდე ულტრაფორმების მოყვარულებმა ახალი ერის დასაწყისი

ჯანსუღ ღვინჯილია
„ცხრა პოემა“



უნდა აღნიშნონ. სინამდვილეში კი ხდება ერთი რამ: პოეტი გაითავისებს ახალ ლიტერატურულ ფორმას, გახსნის მასში თავის სულიერ წევს და ამ შემთხვევაში უნდა მივესალმოთ ნიჭის გამარჯვებას; ან მოექცევა გავლენის ქვეშ და ასეთ შემთხვევაში უნდა აღენიშნოთ მისი ხელის მოცარვა.

პუბლიცისტური პოემა ბევრი შექმნილა ლიტერატურაში, დაწერილია იგი ქართულ სინამდვილეშიც, მაგრამ ის ისეთივე შეუზღუდავი სფეროა, როგორც ვთქვათ, ისტორიული პოემა ყოველი შემოქმედლისათვის.

ოთარ ჭილაძის პოემა „ადამიანი, ვახეთის სვეტში“ გაცილებით უფრო მეტ ლირიკულ ტონალობას შეიცავს, ვიდრე ეს საჭიროა პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის. აქ თითქმის დაძველული შიშველი, ზედაპირული, პირდაპირი ხასიათის მსჯელობის საფრთხე. მხატვრული სახეების დინება და მკაცრი სიმართლით აღბეჭდილი აზროვნება ერთმანეთს სწრაფი მონაცვლეობით ერთვს.

მეოცე საუკუნე თვითშეცნობის საუკუნეა. ეს პრობლემა საოცარი მომთხვეწელობით დადგა აღის წესრიგში. თვითშეცნობის ეს პროცესი მოქმედებდა იმ ამერიკელ ჯარისკაცებზეც, რომელმაც თანამემამულეთა მიერ „სამართლიანად“ გამოცხადებულ საქმეში უსამართლობა ამოიკითხა. ადამიანის დანიშნულება და სინდისის მასში ერთმანეთს შეხედნენ პირისპირ და პიროვნებამ მკვეთრი ხასიათის გადაწყვეტილება მიიღო:

არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ უიარაღო დემონსტრანტები, არ შეიძლება რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი, მაგრამ თუ სხვებიც ვერ მიეშველენ, როგორც დიდკავს სიმართლეს სუსტი.

პანამელი პატრიოტების მხარეზე გადასული თანამებრძოლი ამერიკელმა ჯარისკაცებმა დახვრიტეს და მომავლადის მონოლოგი თავისთავად უარის თქმა ისეთ არსებობაზე, რომელიც ადამიანებს მხოლოდ მექანიზმებად აქცევს. თუ უარს ვიტყვით ზოგად ადამიანურ ჯქონებებზე, თუ მხოლოდ ეგოიზმით განვსაზღვრავთ ყველაფერს, მაშინ ოთარ ჭილაძის ეს პოემა მართლაც რჩება ცაში გამოკიდულ უადგილო ლოზუნგად, მაგრამ თუ არ უნდა მოკვდეს „ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“, მაშინ უფლება არ გვაქვს პოემის გმირის ხასიათთან არ შევჯეროთ ჩვენი შინაგანი ხასიათი და რალაც იმაზე მეტი არ მოვთხოვთ საკუთარ თავს, ვიდრე მოვითხოვთ მისგან. ამასთანავე პოემის საოცარი შინაგანი მთლიანობა, დაზღვეული შემთხვევითისაგან, ნაწარმოებს ანიჭებს იმდენ ღირსებას, რომ იგი სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ქართული პო-

ეზისათვის. პოეტური სიტყვის ძალა აქვს ლაღდ შლის ფრთებს. წაეკითხოთ ფრაგმენტს საილუსტრაციოდ.

შორს კი ბრწყინავდა პანამის არხი, მძიმედ ფეჭავდა ღვივის ყელივით და უზარმაზარ ლექმების მსგავსად წყნარად მისდევდნენ გემებს გემები. თანდათან ძალას იკრებდა ქარი, თანამდებოდა და კარვებს შორის დააგორებდა ევება მთვარეს, როგორც უგონოდ

მთვრალი მედოლე, დააგორებდა მთვარეს დოლივით. მთვარე კი მართლა იყო ვაზრდილი უზარო სევდით და სიმარტოვით და გულბრწყილო კაცის ფიქრებით. ჩემი ფიქრებიც მთვარეზე ავლენ, რადგან მთვარეზე აღის ყოველი, რასაც მიწაზე არ ჰყავს გამგები, მთვარეზე ავლენ და მიზღებენ უცნაურ ფორმებს სტალაქტიდების და ოქროსფერი

სტალაქტიდებიც

შეჩვენებენ ცდასა და დუმბლს, ვიდრე მთვარეზე არ ავა კაციც, რომ დააბრუნოს ისევ მიწაზე აღრე ნანატრი და ნაფიქრალი.

ოთარ ჭილაძის შემოქმედების გაცნობის შემდეგ ბიბლეა ასეთი წყურვილი: თითქოს ყველაფერი — ლექსებცა და პოემებიც უნდა გამოლიანდეს, ერთ დიდ ფოკუსში მოქცეს, მონუმენტური სახე მიიღოს და პოეტის მთავარი სათქმელი ასე გაცხადდეს. ეს დასკვნა თვით პოეტის ბუნებისაგან, მისი შემოქმედების ხასიათიდან გამოიყვანება და შინაგან აუცილებლობად გვესახება. მონუმენტურისაკენ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმად მიგვანჩნა „სინათლის წელიწადი“. ოთარ ჭილაძემ თავისებური ხელწერილი შეასრულა რამდენიმე პოემა. ამა ეროვნობის ვაჟობა გამოიწვია მისი ხელწერისა, მაგრამ სტილს მთლიანობაში არ დამუქრებია. ამდენად პოეტის შემოქმედებითი გზისათვის უარყოფით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. „სინათლის წელიწადი“ გაცილებით ვრცელია სხვა პოემებზე. ამან განაპირობა თხრობითი ელემენტის შემოტანა პოემაში და ისეთი მოქნილი პოეტური ფრაზა, როგორც იგრძნობა „ადამიანი ვახეთის სვეტში“ აქ უფრო იშვიათად ვგაქვს, მაგრამ სამაგიეროდ პრობლემების სიღრმით და სულიერი წიაღისელებით გაცილებით მდიდარია ეს პოემა. აშკარად იგრძნობა ერთგვარი მოღუნება, ექსპრესიისაგან დაეცა, ზოგჯერ საოცრად მძიმე ხდება სტრიქონი, მაგრამ ეს პოემა მაინც სასურველი ნაბიჯია მონუმენტურობის გზაზე. იგი განტვირთულ უნდა იქნას არა პროზაული ელემენტებისაგან, რომელიც სავანებო მიზნით შემოაქვს ავტორს და ამით მართლაც ამაღლებულს ხდის ნამდვილ პოეზიას, არამედ პოეტურის



პრეტენზიით არსებული მდარე ადგილებსაგან.

აღსანიშნავია, პოეტის დიდი ტიკვილი და საზრუნავი — გამოიყენოს ადამიანი კომპარატიული განწყობილების წიაღიდან, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა გაუბატონა მას სულში. პოეტი კანონზომიერად კიდევ ერთხელ შეხვდა დემონურ სულს საკუთარ შინაგან დიალოგში და ოთარ ჭილაძისთვის ნიშანდობლივი მიდგომა მარადიული მოვლენებისადმი ისევ დროულად შემოსისხვდა. პოეტმა კარგად იცის, რომ დაეა დემონურ სულთან დაუსრულებელია. და ამიტომ სწორედ მაშინ წყვეტს კამათს, როდესაც თითქოს უნდა გამოილიყო ჩვეულებრივი დიალოგი კეთილსა და ბოროტს შორის.

მე უცებ მივხვდი, რომ აღარ ღირდა მეტი კამათი მოჩვენებასთან, ამიტომ წელა გამოვტრიალდი და კვლავ კიბებზე დაეყეპი ჩემად.

უზარმაზარი მასშტაბის ომი პოეტს შეგნებულად გააზრებული აქვს, როგორც რიგითი შედგომა სიცოცხლის დიდი გზაზე, რომ ეს მოვლენა გაგებულ არ უნდა იქნას ადამიანის მომავლის განმსაზღვრელ ფაქტად, რადგან ადამიანის სასიცოცხლო წყარო იმდენად ცხოველყოფელია — იგი უსათუოდ გაუანტავს სულში ჩაწოლილ მსოფლიო სევდას.

არ დაიჭრო, ადამიანო, არ დაიჭრო ღვთის გულისათვის, რომ შენი თვალით ნახე ის ცეცხლი...

პოემას ერთმანეთის გვერდით მალალი პოეტური თვისებების მატარებელი და მშრალი, თხრობითი ხასიათის ადგილები გააჩნია, ეს განსხვავებებს მას ლეონიზმით აღბეჭდილი სხვა პოემებისაგან. იგივე მომენტი აუფერულებს ოთარ ჭილაძის სტილს, არ შეიძლება ასეთი ექსპრესიულობით აღბეჭდილია სტირინებში:

სანამ ხარ, შენი ადგილი ქვეყნად შეილწვეველი იქნება სხვისთვის, სანამ ხარ, ისე დადექი მზისკენ, რომ ყველა სხივი გადატყდეს შენში, სანამ ხარ, ისე დადექი ქარში, რომ ყველა მხრიდან მოგადგეს ქარი, სანამ ხარ, ისე დადექი თოვლში, რომ უფრო მეტი დაგედოს თოვლი, — საოცრად ცხადად არ გამოაჩინოს პოემის თუნდაც ამ ადგილის ზედმეტი პროზაულობა:

მე ვიცი ყველა შენი საქმენი და ისიც ვიცი რატომ და რისთვის შრომობ ამქვეყნად, რას ელი მისგან, სად გიდევს გული, თვალი და ყური, რა გეაჩრება, ანდა რას იქნე მოუთმენლობით

თუ მოთმინებით. ნუ შეგაშინებს საქმენი შენი და ნურც კოდვები ამქვეყნით

„სიყვარულის პოემა“ ბერძნული მითოლოგიის მთარულ ამბავზეა აგებული. მაგრამ ამბავი აქ მხოლოდ საშუალებაა იმ მარადიული გრძნობის უღრმესი ნიშნების გადმოსაცემად, რომელიც სიყვარულის ნათელი სახელია სამყაროს სიცოცხლის დანიშნულებას და ღირსებას სქენს. ადამიანის სულის თრთოლვა ამ გრძნობით აღწევს, თავის მაქსიმალურ ექსპრესიულობას. აღსანიშნავია ოთარ ჭილაძის დამოკიდებულება ამ ურთულესი პრობლემაში. პოეტმა იცის, რომ ყოველთვის უარი მიუღია მიმსწრავ სულს, ან თუ შეუღწევია, გათქვევითა კიდევ უხილავში. მაგრამ ისევ და ისევ პოეტური ბუნების დანიშნულებაა — ახალი მხრიდან შეხედოს საოცრებო სიმაღლეს და დადგეს დიდი გრძნობის მხარზე. განსაკუთრებით საინტერესოა პოემაში ცალმხრივი დიალოგები ქარონთან. მასში თანამედროვე ადამიანის მისწრაფებანი და მძლავრი ნებაა აუარებს თავს:

მისმინე, ქარონ! მეც კარგად ვიცი, რომ კანონია შენთვის მთავარი, მაგრამ ხანდახან ხომ შეიძლება, კი არ დაირღვას — შერბილდეს იგი, რომ ჩვენც ცოტა ხნით მოიფრთხილეთ სული, არ გაიქცელოთ მისი სიძიმით. გაგვეხსნას ენა, გული და ფეხი და არ ჩავკეცნეს ხელში სურვილი. მე მიყვარს, ქარონ! ხოლო ამ გრძნობას, ემორჩილება ქვეყნად ყოველი. თვით დიდი ზევსიც, თვითონ ჰადესიც. მიწაზეც გვესმის მათი ამბავი, ნუ მათქმევინებ, ქარონ, ყველაფერს და ერთხელ მაინც იყავ კეთილი.

ოთარ ჭილაძის პოეზიისადმი ყურადღების გადატანა საჭიროა არა მხოლოდ იმიტომ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის საყოვრადღებო წარმომადგენელზე სათანადო სიტყვა ითქვას, არამედ უფრო მეტად იმიტომაც, რომ ურადღება გამახვილდეს იმ საკითხებზე, რომელიც წამოიჭრება პოეტის შემოქმედების ანალიზისას. ეს არის ქართული პოეტური სიტყვის დანიშნულება, მისი პოზიცია და თვისობრივი სიხალით აღჭურვის აუცილებლობა დღევანდელ დღეს. ჩვენი წერილი ამ საყოვრადღებო ფაქტის მოკრძალებულ მინიშნებად გვიონდა ჩავვეთვალის.

მეგან ჯგუზი

«გუშინ ვიყავი სხვა»...

1.

მეგანა პატარა მდინარეა. მალალი მთების კალთებიდან მოედინება ის. ვიდრე ჭვართან ენგური შეირთავდეს, მაგანამ კარგა შორი მანძილი უნდა გამოიაროს. მოედინება ცალ აწედილ ხეობებსა და უღრანებში, მოედინება ფოთლოვანსა და მზვარეში. თოვლსა და წვიმამში. პატარა და ჩქარი მდინარეა მეგანა. მაგანაში კალმახი იცის.

სოფელ ჭვართან ძლიერ ენგურს მიაწვდის მეგანა თავის სუფთა და წყნარ ხმას. ენგური დაბლა-დაბლა კიდევ შეირთავს პაწაწა მდინარეებს და ანაკლასთან თავად შეერწყმის ზღვას.

2.

გივი ძნელაძე ერთი ჩემი და გაუხმაურებელი პოეტია; ცხოვრობს თბილისში, მუშაობს წერს პაწაწა წიგნებს. კითხულობს და ეხმაურება დღიურ სიახლეს. ხანდახან თარგმნის საუკარეს პოეტებს. თუკი მოიწყენს, მოიწყენს თავისთვის, მართო, გამოგვთხოვება და წავა შინ. თუკი გაიხარებს — განათებულია. უხარია და ბრწყინავს. რაღაცნაირი შინაგანი სინათლითაა განათებული, როგორც ქოხი, კრაქი რომ ანთია მბეჭუტავი.

3.

რა სათქმელი აქვს ამ პატიოსან კაცს, რას გვესაუბრება იგი. რით გვანდუნებებს, რით გვალონებს, რით გვაფიქრებს? ყველას ხომ თავისებურად ესმის ამა ქვეყნის ავან-ჩაიანი. რას გვეუბნება გივი ძნელაძე? ღირს კი მასთან გავცნობა? მასთან ხეტიალი და პურის გატეხა, მისი სიმღერის მოსმენა? კაცს ხომ ყოველთვის აინტერესებს, რა აზრისაა ამა და ამ საკითხზე ესა და ეს კაცი. ათასჯერ გამიგონია და წამიციხავს, თუ როგორ ეციხებიან სოფელში ჩასულ ქალაქელ კაცს: ომი იქნება თუ არაო. ეინმე იტყვის, შე კაცო, რაღა მაინცდამაინც ქალაქელმა უნდა ჩაიტანოს ახალი ამბავი სოფ-

ლად. ახლა ხომ საესეა რადიო და ტელევიზორი, გაზეთები და ჟურნალებიო. ამგვარ კაცს მე ვეტყვოდი, არა, ძმარ ჩემო, თავს იტყუებ და ეგაა-მეთქი. კაცი რომ თავისი პირით გეტყვის რამეს, მაინც სულ სხვაა. სხვაა როდესაც ხელავ და უსმენ. აი, შენს წინაა იგი, ზის და გიყვება თავისას. შენ შენსას ეუბნები. გეწყინება რამე და ეტყვი კიდევ. გააკონებ...

ბავშვის პერანგი, ვარდისფერი, ერთი სარეცხს და მზე ამრობდა პაწა პერანგს...

აი, ნამდვილი სილამაზე და მშვენიერება რა იქნება ამაზე კარგი! რას ნახავს თვალი უკეთესს. გამიგონია, ყველაზე კარგი აღამიანი ისაა, ვინც ყველაზე მეტად ინარჩუნებს ბავშვობას. მახსენდება ნ. ზაბოლოცის ლექსი — სადაც პაწა, უფერული, ღარიბად ჩაცმული გოგონა დასდევს მეზობლის ბიჭს, რომელსაც უყიდეს ველოსიპედი. უხარია და კისკისებს პაწაწა ცირა. წაიშალა ყოველგვარი ზღვარი. გაიშარჯვა პარმონიამ. გივი ძნელაძის ეს სტროქონები ატმის ხეს მაგონებს, სულივით რომ გაუშლია ყვავილი, მზეზე მოციმციმე.

4.

გ. ძნელაძეს მრავალი წიგნი აქვს გამოცემული, მაგრამ ეს წიგნი, რომელსაც «ვედრება» ჰქვია, სულ სხვაა. სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება პოეტი. სხვანაირია თვალი მისი. გული და გონება.

გუშინ ვიყავი სხვა, მაგრამ სულ სხვა ვარ დღეს...

მე მივდიოდი... და არ ვიცი რა მიხაროდა. უცებ შევხედე მოწყენილ კაცს, შევხედე უცებ; დაბნულდა ირგვლივ და სევდა მისი ჩემს სიხარულს გარს მოეხვეია...

ეს ლექსი გულუბრყვილო კაცის ნათქვამსა ჰგავს. იგრძნო და ამოთქვა კიდევაც ნაგრძნობი. არც გალამაზება უფიქრია, არც გაწყობა: თქვა უბრალოდ. ურთიმოდ, სახლს რომ უეტრად ხანძარი გაუჩნდეს, ხომ არ შეუოყნდება, რა ფერის ვედრო უნდა აიღო?

„შემოგრილდა უღრან ტყეში ძლიერი ქარი“...
მერე მოდის სტრიქონები, სადაც ხშიერი გუ-
გუნია ქარისა. ბოლოს: „იღვნენ ხეები და იმ-
გვარი სიჩუმე იდგა, ვით დამცხრალ ზღვაზე
იცის ხოლმე ლევათა შემდეგ“...

რა უცნაური სიწყნარა! როგორ გავიგონებს
„დამცხრალი ზღვა“ იმ „უღრან ტყეს“, რითაც
ლექსი დაიწყო! როგორი შედარებაა?
აგერ, გამოჩნდა სოფლის ბოლოში,
ჩოხა აცვია თეთრი,
თავზე ახურავს თეთრი ფაფახი,
ხელში უჭირავს თეთრი მათრახი,
მოათამამებს ქათქათა თეთროსნს,
გამოდით გარეთ, მოდის!..

ამ ლექსზე არაფერს ვამბობ, თავად მკითხ-
ველმა შეიძინოს თუ ვინაა ეს სტრუქტურა: მზე-
ქაბუჯია, პატიოსანი გლუხია თუ წმინდა ვიორ-
ვი.

„ადამიანი სახეა დროის!“

აი, ძნელადისეული აღქმა გარეშემოსი. ამგ-
ვარად ხატავს პოეტი სამყაროს. ამ ცისქვეშეთ-
ში მისთვის ყველაზე საყვარელი — ადამიანია.
ადამიანი მისი ყოვლისშემძლეა. „თუ არ ვი-
მარჯვეთ, თუ ყველამ ერთად საკუთარი მკერ-
დი არ შევაგებეთ ქარს, შესაძლოა იგი (დედ-
მიწა) ვაშლივით მოსწყუდეს ვარსკვლავიან სივრ-
ცეს... დაე, ცა იყოს ერთი დროშა, მშვიდობის
დროშა, ჩვენ ამ დროშის ქვეშ დავიარაზოთ
სიხარულის და ბედნიერების მოსაპოვებლად...
რომ არასოდეს ატომის ჩრდილი არ ჩაღვეს
შუქით სავეს თვალბეში...“

წიგნში არის რამდენიმე სუსტი ლექსი, სა-
დაც პოეტი ჩვეული სინათლითა და უბრალოე-
ბით ვერ გამოგვეცემს თავის განწყობილებას.
მოგვეყვას ერთი უსათაურო ლექსი:

„ამ დალოცვილ მიწაზე ყველაფერი თავდება,
რამე თუ არ იწამე უკვდავების თავდებად. ო,
რა ნელა თენდება, ო, რა ჩქარა დამდება!..“

ვიწამე და... ტკივილი თანდათან მიამდება;
გაიხედე, თუ ძმა ხარ, თენდება თუ სიწყნარება...
დაუჩერებელია და მორჩა! თუკი უკვდავე-
ბის თავდებად რაღაც იწამა პოეტმა, როგორც
თეთონ ამბობს, რა საკითხავია, თენდება თუ
დამდება?! მას ხომ ისედაც უამდება ტკივილი.
— „ვიწამე და... ტკივილი თანდათან მიამ-
დება“..

საერთოდ, ეგ კითხვის ნიშანი ბევრისმთქმე-
ლია. გამოვივლია, ისეთ რაღაცას შემეკითხა ბავშ-
ვი — გავშირ კაციო.

მაგრამ ამა მოუსმინოთ ამ სტრიქონებს:

ჩგრო — ლაფანისაო!

ლაშე — ზღაპარისაო!

ციცხლი — ლამაზისაო!

რაოდენი ცხოვრებისეული გამოცდილებაა
აქ. გაიზარდა და დავაქაცდა „ვარდისფერა“
პერანგის პატრონი, ცრემლითა და სიმღერით
მოიარა მან ამ წიგნის ფურცლები და ალაგ-
ალაგ ჩატოვა კიდევ სული თავისი. ჩატოვა ნა-
წილი თავისი ცხოვრების, ოცნებისა და წუხ-
ლისა. ავი ასეც უნდა მომხდარიყო ქვეყნად:

„ღიმილი, ცრემლი, ნაღველი, თქეში, მზე,
სისხლი, ყინვა, ქარები მაკარი, ათქვიფება
ერთმანეთში და გაოცებული დარჩება კაცი...
და კითხვა დიდხანს ექნება დარდად. გზა ხსნისა
ერთი დარჩება მხოლოდ: აწონ-დაწონის ყვე-
ლაფერს კარგად და... ადამიანს იწამებს ბო-
ლოს“.

გაიზარდა და დავაქაცდა ვარდისფერი პე-
რანგის პატრონი, დავაქაცდა და არ დაივიწყა
ბავშვობა თავისი:

„როგორც ღრუბლიან ამინდში არ ჩანს მზე,
მაგრამ ვიცით, ცაშია იგი, ჩემი ბავშვობაც ასე-
ვე დარჩა ჩემში და არა სადღაც ჩემს იქით.
უფრო მარტივად: ვით შალაღ ხეში იგულისხ-
მება პაწია ნერგი, ასევე ცოცხლობს ბავშვობა
ჩემში თვისი ხალისით და ენერგიით“.

აი, კიდევ ერთი ბავშვურად გულლია სტროფი:

დიდი თუ არა — დამრჩება

პატარ-პატარა წიგნები...
შენ თუ არ გემახსსოვრებდი,
მე მაინც შენთან ვიქნები!



ჯუბილარული თითები

ნიგნილან კიბონელები გაგონებები

„ავტორი ცდილობს თავისებურად დაგვიხატოს ადამიანის სულიერი სამყარო, მისი ლექსების თემა სიყვარული, ჩვენი გმირული წარსული და მომავლის რწმენა...“ — ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული ახალგაზრდა ავტორის პირველ წიგნს. მე არ ვიცი ვინ წერს ანოტაციას — რედაქტორი, გამომცემლობის დირექტორი თუ თვით ავტორი (ხშირად ასეც ხდება) მაგრამ ერთი რამ ცხადია — ამ ანოტაციის ავტორი მძიმე დღეში ჩავარდნილია! ცოდნია, რომ გარემოებათა გამო, რაღაც, საჭოჭმანო საქმე უკისრია და ცდილა, როგორმე შორალად ამოსულიყო წყლიდან, უწრიალია, უწრიალია და ბოლოს საშველისთვის მიუგნია: „ავტორი ცდილობს...“

შესასურს სიფრთხილითა და ტაქტიკითა დაწერილი ეს ანოტაცია, დარცხვენა და დაბნეულობა (იქნებ სინდისის ქენჯნაც) მსჭვალავს ამ წარდგენას.

და მინც — წიგნი დაიბეჭდა.

...კახეთს ვესტუმრეთ იმერლები და ლურჯი მიწა ფეხქვეშ გათეთრდა. გულში მასპინძლობს იელები და მთა და ბარი გადაკახეთდა.

ვიტხოვლობ ერთხელ, მეორედ, მესამედ, კიდევ... იქნებ რისი თქმა უნდა ავტორს, იქნებ რასა ცდილობს! იმერლების სტუმრობით კახეთის ლურჯი მიწა რატომ გათეთრდა ფეხქვეშ? იქნებ რა სიმბოლიკაა ჩაიდუმებულში ამ ლურჯი მიწის გათეთრებაში? იქნებ იმერლების სტუმრობისთანავე კახეთის ლურჯი მიწა დაი-

თოვლა და სულ ეგია? იქნებ ლურჯი მიწის ფეხქვეშ გათეთრება პოეტური ალგორითაა, უსაშველო სიხარულის შემცველი. ან ეს „გულში მასპინძლობს იელები...“ ვისზეა თქმული, ვის გულში მასპინძლობს ეს იელები, მასპინძლების — კახელების თუ სტუმრების — იმერლების გულში? თუ მასპინძლების გულშიც მასპინძლობს და სტუმრებისაშიც? ან კახეთის მთა და ბარი როგორ „გადაკახეთდა“, იქნებ „გადაიშრებინა“ არსებობს, „გადასამგერგოლებაც“, „გადაღრმავებლებაც“ და ა. შ.

წამოჩიტილან ვაზ-ქალები... მღერის კახეთი ნისლთა ქედებით, ღვინოს კოცნიან შთამომავლები, ესაუბრება მთვარეს ქალები...

ავტორი ალბათ ცდილობს, რომ მოულოდნელი სახეებით გაგვაოცოს, ჩვენ მართლაც ვაოცებას ვართ მთვარესთან მოსაუბრე ქალებით, წამოჩიტილი ვაზ-ქალებით, ღვინოს მკოცნელი შთამომავლებით, მაგრამ... რა საერთო აქვს ამას პოეზიასთან? გვერთა: ავტორი ღრმად და დარწმუნებულად ამ სახე-ნიუანსების თავისთავადობაში, ღირსებაში, რადგან სხვაგან, სხვათა ლექსებში, შთამომავლები ნამდვილად არ კოცნიან ღვინოს (სეაშენ), მთვარეს არ ესაუბრებიან ქალები და ა. შ. შეიძლება უგრძობლად, ბრმად და ურუდ (რატომ არ გვესმის, რომ „მღერის კახეთი ნისლთა ქედებით...“) მოვიჩვენოთ ამ სტრაქონების ავტორს, შეიძლება გვეყვიროს კიდევ, მისატყებ არამკითხე მოამბე ჩაგვაგდოს, ასე ხელალებით რომ ვიწუნებთ გამომცემ-



ლობის მიერ შრომაგაწეულ და გზადლოცვოლ სტრიქონებს, იქნებ ჩვენ მხოლოდ ცალკერძ მოვლევანეთ ნაწყვეტები ლექსიდან („აკახეთი“). მაშინ მთლიანად წაეციხთხოთ რამდენიმე ლექსი:

1. საათი გაფუჭდა და
არც მინდა
გაეკეთო.
ახლა რა დროა?
უსაათოდ
ვიცი...
საუკუნეებმა
თავისი ხვედრი
სიციცხლე
მადროვა...

2. ლურჯი ცა,
ნაზი ცა,
ვარსკვლავებში
გაიქცა...
ღრუბლებზე
წაიქცა...
და მზისგან
გაიქცა...
ემახის ცხოვრებას
დაიკა!..
დაიკა!..

3. ამობრდელიადა
მთელი მთვარეთი,
და გულმა იწყო
განძის ვაღება...
ღმერთებს ვაჩუქე
აღმოსაელეთი
და გვიხილდე
ამხანაგებად(1),
შენ, მბრძანებელი
სამყაროს შექმნის...
თუ იყავ მართლა,
ან თუ იქნები
ისევ შეკაზმე ლურჯი
რაშეში
და პოეზიას
გამოუღეჭი...

(„შენ მბრძანებელი“)

ჩვენის აზრით საქმე არ არის კარგად, თუმცა ავტორი ამბობს იმას, რასაც გრძნობს: საუკუნეებმა თავისი ხვედრი სიციცხლე აღდროვა (1), ღმერთები გაიხილა ამხანაგებად (3), ამიტომაც მიწიერი, ამქვეყნიური პატივი და დიდება მას სულაც არ ხიბლავს („არა, არ მინდა შეფედ შეფობა...“) და ცოტაზეც ყაბულსაა („ერთი პატარა ქოხიცი მეყოფა...“ — 43 გვ.), ხოლო ამის შემდეგ იქვეა — „მე მივაბიჯებ ღმერთის ქალაქში და პოეზია მეჩურჩულებდა...“ ამ წიგნის ავტორი ყველაფრით გან-

სხვედება ჩვენგან, მოკვდავთაგან: „მეჩურჩულე რომ მთის აკენის ყვავილთა თქეშში...“ (43 გვ.) აბა, მთელი დედამიწის ზურგზე, „მთის აკენის ყვავილთა თქეშში“ თუ სხვას ვისზე უცხოვრია?

თითქმის ყველა ლექსში, ცალ-ცალკე ან ერთდროულად, უსათოდ იხსენება ცა, ზეცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მთვარეთი და ამგვარი მაღალი მატერიები („ცას შესცქეროდა ვარსკვლავთ ველიანს...“) „მზე კი ასულა ცის სიმაღლეზე...“, „მზესთან მიცურდა დედამიწა და დიდ სიციცხლესთან განერდა მყისვე, სამყაროს ჯაჭვი აკუნად დიარწა და სიყმაწვილე გადაყვა ნისლეზს...“, „მთვარე ცაზე, ცა მთვარეზე, ისევ მთვარე, ისევ ცა, ისევ ფიჭრი ვარსკვლავებზე, ლურჯმა სივრცემ იზეცა...“ და ა. შ.) ავტორისთვის მიწაზე ყოფნა თითქმის პირობითობად, მოსახდელ მოვალეობად ქცეულა („ვარსკვლავზე ვღვავარ და მიქცრა შორეთს, ვარსკვლავზე ვღვავარ და ვეძებ ჩემს თავს...“ და ა. შ. „კონკრეტული, ცოცხალი ადამიანისადმი ინტერესი გამხელდაც არ ღირს. მისი, ფიჭრის საგანია ადამიანი ზოგადად, ადამიანი — მზე, ადამიანი, ალტაცებული თავისი მზეობით; „მზეს ცაში ვეძებ, მზე კი თვითონ ვარ, მზეთა მხედველი თვითონ მზე არის! მზემ თავის თავი ჩემში იპოვა და მეც ვინთე მზემ მალა მზესავით!“ ავტორი ჩვეულებრივ ასე განყენებულად, ზოგადად მსჯელობს, თუმცა, არა, მისი ერთი ლექსი მისამართიანია, იგი თანამედროვე ქართული კულტურის სასიჭაღლო მოღვაწე მანდილოსნისადმი მიძღვნილი, მაგრამ ვაი ამ მიძღვნას! რა უხერხულ დღეში შეიძლება ჩაეყენოთ ამ ლექსის ადრესატი, როცა გაიგებს, რომ უამრავ სხვა რამესთან ერთად იგი ყოფილა... „ყაყაჩობი, ენმელები გაზაფხულისა...“ („შენ საქართველოს დედა, დაო, სატრფოვ, მგოსანო! უკვდავ პანგებად ჩამოდერილო ხმავ ბულბულისაქ! — იციცხლე მარად და სიციცხლე არ გამოცალო ყაყაჩობო, ენმელებო გაზაფხულისა...“)

ასეთია საერთო დონე წიგნისა. სადაც სამართალია უნდა ითქვას: ჭირისუფლური თვალის მოულოდნელად სასიამოვნო რამდენიმე სახე — სტრიქონსაც იპოვის წიგნში. მაგრამ ვერ დაასახელებთ განხილული კრებულის ვერც ერთ ლექსს, რომელიც, მთლიანად — აზრობრივად და მხატვრულად — მნიშვნელოვანი იყოს.

ჯუმაბარ თითთარია
წიგნიდან მკითხველთათვის გამოცემილობაა

...ახალგაზრდა კაცმა გამოსცა ლექსების პირველი წიგნი. დიდი სიხარულია, უდიდესი სიხარულია მისთვისაც, ახლობლებისთვისაც, მეგობრებისთვისაც... წიგნის ტირაჟის გარკვეული ნაწილი გაჩუქებულია. თითქოს ისევ ისა ხარ, რაც იყავი, მაგრამ არა, მაინც სხვა ხარ — წიგნის ავტორი ხარ. თავისთავად ეს ფაქტი თითქმის ყველაფერია. და მაინც, გულის სიღრმეში, დაფარული მღელვარებით ელი შეფასებას — ასე ვთქვათ, ოფიციალურ, დაბეჭდილ აზრს, თორემ ზეპირი, იცოცხლეთ, არ დაკლებია... წიგნს უკან ცოცხალი ადამიანი დგას.

აღბათ გულწრფელად დარწმუნებული რომ ღირსეული, გამოსარჩევი წიგნი დაწერა და მისი მინი, ვისაც ნებისთი თუ უნებლანქან დაწვეს კუ ტური აზრის მოსმენითაც აგერ, ამ წუთში. ტყვიელი ადგება... და მაინც ვფიქრობთ, ეს აზრი უნდა თქმულიყო. ახლა თავად განსაჯეთ, ვინ მეტი ცოდვა დაიღო — ახალგაზრდა ავტორმა ელდარ მიქაძემ, პოეზიის გულისთ მოყვარულმა, რომელიც „ცდილობდა...“ თუ გამოცემლობამ, რომლის მიერ გამოცემულ წიგნზე („ცინიზმარი ზარი“, „მერანი“, 1972 წ.) ეს რეცენზია დაიწერა?



ქართული უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე

ქურონალ „ციცკარის“ მეორე ნომერში გამოქვეყნებული იყო ნ. ნალიბაძის დიდად საყურადღებო და საინტერესო წერილი სათაურით: „ალექსანდრე ბატონიშვილი“.

ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები შემორჩა ისტორიას. თუ რამ ცნობები არსებობს, ისიც გაბნეულია რუსეთის ძველ პერიოდულ გამოცემებსა და ძალზე იშვიათად, გაცირით, მონოგრაფიებში.

ხსენებულ პიროვნებასა და მის რუსეთში მოღვაწეობაზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი დაბეჭდილა.

ალექსანდრე არჩილის ძის რუსეთში მოღვაწეობა და მისი პეტერ დიდთან ურთიერთობა ბრწყინვალე მგალითია ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობისა. ამდენად, ქურონალ „ციცკარის“ რედაქციამ ხსენებული წერილის დაბეჭდვით კარგი საქმე გააკეთა. წერილში საყურადღებო და საინტერესო ფაქტები მოტანილი ალექსანდრე ბატონიშვილის ხანმოკლე ცხოვრებასა და რუსეთში მოღვაწეობის შესახებ.

ამისთანავე უნდა აღინიშნოს, რომ წერილში დაშვებულია ზოგიერთი უზუსტობანი, რის გამოც მიზანშეწონილად ეცანით წინამდებარე სტატიის გამოქვეყნება.

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი — იმერეთისკაცი დაიბადა არა 1664 წელს, რო-

გორც შემოსვენებული წერილი გვაქცნობს შეცდომით, არამედ 1674 წელს, თბილისში. მამამისი არჩილი, ვახტანგ მეხუთეს ვაჟიშვილი, ალექსანდრეს დაბადებისას ახლად ჩამოგდებული იყო კახეთის სამეფო ტახტიდან. იგი ტახტის დაბრუნების გეგმებს აწყობდა, მაგრამ ალექსანდრეს დაბადებისთანავე ახალციხეში გადავიდა ღრობით.

შეიტყო თუ არა მამამისის — ვახტანგ მეხუთის გარდაცვალება, 1676 წელს, და ამასთანავე ირანის შაჰის გადაწყვეტილებაც, რომ სამეფო ტახტი გარდაცვლილი მეფის შვილის გიორგისათვის არ გადაეცა, არჩილი ქართლში გადავიდა, აიღო ქართლი და თავისი ძმა — გიორგი გაამეფა. 1677 წელს ირანის შაჰი იძულებული გახდა გიორგი ქართლის მეფედ ელიარეზინა.

არჩილი იმერეთში გამეფდა, რასაც შესაძლებელი იყო თურქეთის გალიზიანება გამოეწვია, ვინაიდან იმერეთი თურქეთისაგან დამოკიდებულად ითვლებოდა.

ირანის შაჰი ერთდგობადა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას და ამ მიზეზით ქართლის მეფეს — გიორგის მოსთხოვა არჩილის იმერეთიდან გაძევება.

გიორგიმ შაჰის ულტიმატუმი გააცნო არჩილს, რომელმაც თურქთა ლაშქართან შებრძოლებისას, პირველი დამარცხებისთანავე დატოვა იმერეთი და დეკლეთში გადავიდა, აქ ოჯახი შეაფარა, თვითონ იმერეთში დაბრუნდა, რვა თვე ჩივრში გაატარა, შემდეგ ისევ დეკლეთში დაბრუნდა, სადაც ერთი წელი დაჰყო. ცნობილია, რომ არჩილი იმერეთის სამეფო ტახტიდან თურქეთმა ადგილობრივი თავადების ხელშეწყობით ჩამოაგდო და შემდეგ იძულებული გახდა რუსეთისათვის ეთხოვა დახმარება. ნ. ნალიბაძის წერილში ამ მხრივაც

³ Русский вестник, 1841, М., № П-12. стр. 61—63.

1 „ციცკარი“, 1971 წ. № 2, გვ. 153-157.

2 იმერეთისკეზად შემდეგში იწოდებოდნენ იმერეთიდან რუსეთში დასახლებული და გადასახლებული ბატონიშვილები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთში გადასული ბატონიშვილები იწოდებოდნენ გრუზინსკიკეზად. სოლომონ მეორესთან ერთად 1815 წელს ტრაპიზონში გადასახლებულმა ქართველებმა გვიარდ იერპოული — ე. ი. იერის შვილი მიიღეს, თურქეთში ეხვედებოდით გიურჯიოლის, სპარსეთში — გიურჯიზადეს და ა. შ.

შეცდომა დაშვებული, აქ კეთილშობილთ: „იმერეთის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებულმა არჩილმა თურქეთს კი არ მიმართა დახმარებისათვის, არამედ რუსეთს“...

... როგორ მიმართავდა სამეფო ტახტიდან განდევნილი არჩილი დახმარებისათვის თურქეთს, როცა ამ უკანასკნელმა იარაღით აიძულა მეფე დაეტოვებინა იმერეთი. ამიტომ იყო, რომ 1680 წელს მან რუსეთის მეფეს — თეოდორ ალექსის ძეს არქიმანდრიტი მაკარი და გრიგოლის შვილი იოანე გაუგზავნა წერილით, რომლითაც იმერეთში ნანმოკლე გამეფებასთან დაკავშირებულ ამბებს ამცნობდა და ბოლოს თხოვდა მოსკოვში მიღებას და თავშესაფარს, — საცხოვრებელ ადგილს რუსეთში; არჩილი ითხოვდა თერგში ლაშქრის გამოგზავნას, რომელიც მას რუსეთში მშვიდობით ჩაიყვანდა.

არჩილი წერილში აღნიშნავდა: — „იმერეთს მართალი ბატონი არ იქნა, ამათაც მოინდომეს და გამაბატონეს. მასუენა, ხვანთქარს ლაშქარი გამოეგზავნა და მოგვიბღეს, ვიბროძეთ, ზოგი იმათ დაგვიბოცეს, ზოგი ჩვენ დავბოცეთ, მაგრამ ბოლოს იმათ დაგვაპარბეს და ის ალაგი დაგვაგდებინეს...“

თერგზე ლაშქარი გვიბოძე და თქვენს მხებერ განათლებულს ტახტამდი მოგვაწვევინე, რომ ქრისტიანობა არ დაგვეკარგოს“...

იმევე წელს არჩილმა რუსეთის საყრებულოს მდივანს გაუგზავნა თითქმის იმევე შინაარსის წერილი, რომლითაც ითხოვდა შეამდგომლობას მეფე თეოდორე ალექსის ძის წინაშე, რათა უკანასკნელს მისთვის მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლის ნება დაერთო.

„ხოთქარმა ლაშქარი გამოგვიძახა და ჩემი საბატონო გამაგდებინეს და აქ ერთს მთის აღვილსა ვარ... ჩვენთინ მოწყალეების კარი ვალონ, და თერგზედ ლაშქარი მოგვაშველოს და მათის საფარველს ქვეშ მიგვაწვევინოს, ამდენი“

4 ეს აზრი სინამდვილეს არ შეეფერება. 1961 წელს იმერეთის სამეფო ტახტი წესით მეფე ალექსანდრე III-ს შვილს — ბაგრატ IV-ს უნდა დაეკავებინა, მაგრამ იგი დედინაცვალმა დააპრმავეა, რითაც ისარგებლა ქართლის მეფემ — ვახტანგ V-მ, რომელიც ქართლისში შევიდა და იმერეთის სამეფო ტახტზე თავისი შვილი — 14 წლის არჩილი გაამეფა.

თითქმის ასეთივე გზით ჩაივლო ხელში არჩილმა იმერეთის სამეფო ტახტი მერხედაც, რაც ნათლად მეტყველებს ვახტანგ V-სა და არჩილის საქართველოს გაერთიანებისაკენ მიწრაფვებაზე.

5 Броссе, М. — Переписка грузинских царей с российскими государями с 1639 г. по 1770 г., СПб., 1861 г., стр. 106—107, грамоты Имеретинского царя Арчила к царю Федору Алексеевичу, № 17, 1680 г.

ქრისტიანი სული ურჯულოთ ხელნახან და ვიხსნას, თუ სხვა ლაშქარი არ გასარკვევს ვერც კაცი და წიგნი ხას ფოლადს უბრუნებდას... ზახსა თერგამდინ მავათ მოგვიყვანოს“.

1682 წლის 1 სექტემბერს არჩილი თავისი ოჯახით და თანმხლები პირებით ასტრახანში ჩავიდა, სადაც საქმიად კარგად — მეფურად მიიღეს. ასტრახანში არჩილი 8 თვეს, 1683 წლის მაისამდე დარჩა.

იმევე წლის 20 აპრილს არჩილმა რუსეთიდან იოანე და პეტრე ალექსის ძეებისაგან სიკვლეო მიიღო, რამაც აღუწა მას რუსეთის ქვეშევრდომად მიღება და ხებართვა ოჯახითა და თანმხლები პირებით თერგში დასახლებისა.

სიკვლეო ეწერა „... ჩვენ სამეფო უდიდებულესობის თითიმყრობელობის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშევრდომად ყოფნა ვიწყალობეთ შენ, არჩილ მეფეს.“

გობრძანეს და მივიჩინეს შენ, იცხოვრო შენი სახლობით ჩვენს სამეფო უდიდებულესობის სამშობლოს ციხე-სიმაგრეში, ქალაქ თერგში, ჩვენმა უდიდესმა მეფეებმა, ჩვენმა სამეფო უმაღლესობამ შენ გაგიჩინა ჯამაგირი და საზრდო.

რამდენიც შესაძლებელია შენთან დაიტოვე ხალხი, დანარჩენი კი დააბრუნე სამშობლოში. ამასთან ერთად, სამეფოს უმაღლესობის სრველით, მოწყალობელი სიტყვებით და ჩვენი სამშობლოს უმაღლესობის ჯამაგირით გამოგზავნილია შენთან, ჩვენს ქვეშევრდომ არჩილ მეფესთან, მეფე არჩილთან ერთად იმგზავროს ჩვენს კარისკაცი, თავადი ფედული თეოდორეს ძე ვოლკონსკი და დიაკი ვასილი მიხეილის ძე.

ჩვენმა სამეფო უდიდებულესობამ, დიდმა მეფეებმა მივეციით მათ მითითება, რომ შენთან, მეფე არჩილთან ერთად იმგზავროს ჩვენი სამშობლოს ქალაქ ასტრახანიდან თერგამდე, სადაც მოაწყობენ კარს ქალაქ თერგში, რომელსაც შენ შენის სახლობით სრულიად უბრუნველად იცხოვრებ ჩვენი სამეფოს უმაღლესობის ხელისუფლების ქვეშევრდომობაში; ჩვენმა უდიდესმა მეფეებმა, ჩვენმა სამეფოს უდიდებულესობამ თავის თავზე აიღო შენ, არჩილ მეფე, და მთელი შენი სახლობა აცხოვროს ჩვენს სახელმწიფოს მოწყალე ჯამაგირზე და მზრუნველობაში⁶. როგორც სიკვლეო ვაუწყებს, რუსეთის მეფეების გადაწყვეტილებით, მეფე არჩილი თავად ფედული თეოდორეს ძე ვოლკონსკისა და დიაკ ვასილი მიხეილის ძეს თანხლებით უნდა გადასულიყო ასტრახანიდან თერგში. ინტერესმოკლებული არ იქნებოდა თუ აღენიშნავდა, რომ თავად ვოლკონსკის და

⁶ იქვე, გვ. 108-109.

⁷ Полное собрание законов российской Империи, с 1649 года..., том II, (1676—1688), изд. 1830 г., стр. 517—518, стр. 1006.



დაეკავსილი მიხეილის ძეს აკრძალული ჰქონდათ მეფე არჩილისათვის ხელზე ამბორი, მასთან ერთი ჭურჭლიდან ჭამა. დავალებული ჰქონდათ აგრეთვე: არ მიეცათ არავითარი იმედი მოსკოვში ჩასვლისა და ერჩიათ თერგში დარჩენა. შედეგი სამეფო კარისათვის უნდა მოეხსენებინათ⁸.

სიგელმა არჩილი ძალიან გაახარა, აუსრულდა წადილი; რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, თუმცა არჩილი მოსკოვში ცხოვრებას ითხოვდა და არა თერგში დასახლება, რითაც, ცოცხა არ იყოს, განაწყნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეფემ უარი შემოუთვალა მოსკოვში ცხოვრებაზე.

არჩილი დაუყოვნებლივ მოითხოვდა მოსკოვში გადასვლას თავისი ოჯახით, რაც თავადმა ვოლკონსკიმ აცნობა რუსეთის მეფეს.

1683 წელს კვლავ თხოვნა გაუგზავნა იოანე და პეტრე ალექსის ძეებს: „...ერთი ცოდვილი კაცი ვარ, მე რომ ასე მოვჰყვედ, მაგათი (იოანე და პეტრე ალექსის ძეები) — მ. გ) ხილვა არ მიეღობს, ამ საბარლო ჩემს შვილებს ვინღა შემოგაბარალებთ“⁹.

ამ წერილის საპასუხოდ — 1684 წელს, რუსეთის ხელმწიფეთა გადაწყვეტილებით მეფე არჩილი მიუღლით, ქალიშვილით და 6 წლის ბატონიშვილი დავითით შვიდი ა. პოკრიშკინის საბოლოოდ თერგში უნდა დაესახლებინა. უფროსი ვაჟები კი — 10 წლის ალექსანდრე და 8 წლის მამუკა თავად ვოლკონსკის მოსკოვში უნდა გადაეყვანა.

არჩილმა ვაჟების მოსკოვამდე გასაცილებლად თავისი ამალიდან რამდენიმე თანმშლები გამოყო.

1684 წლის 28 აპრილს მძებრ ალექსანდრე და მამუკა თავად ვოლკონსკისა და თანმშლები პირებით ასტრახანიდან ზღვით გავიდნენ და ოთხ იენის უკვე სიმბირსკში იყვნენ.

8 დღის შემდეგ, 12 იენის სიმბირსკიდან უკვე ხმელეთით დაიძრნენ მოსკოვის მიმართულებით და 6 აგვისტოს მოსკოვს მიუახლოვდნენ. სადაც ვოლკონსკის გადასცეს ხელმწიფთა სიგელი, სიგელით ნაბრძანები იყო, რომ იმერეთის მეფის არჩილის შვილები ალექსანდრე და მამუკა მოეთავსებინათ მოსკოვში პოკროვკაზე დიდ ვაჟარ ნიკოლავის კუთვნილ სასახლეში; ამრევად, ნათელია, რომ ბატონიშვილები შემთხვევით ან მოულოდნელად კი არ გამოიტაცეს მოსკოვში, როგორც ეს ზემოხსენებული წერილის ავტორს მიაჩნია; ბატონიშვილების მოსკოვში ჩასვლა საეჭოვრებლად, მეფე არჩილის ოთხი წლის მანძილზე დაეინ-

ბული თხოვნისა და მრავალჯერის ცდის შედეგი იყო.

რუს ხელმწიფეთა ერთ-ერთი დარბაზიანობის დროს ბატონიშვილებმა სათხოვარი მიართვეს ახალგაზრდა მეფეებს. პეტრე ალექსის ძეს მოეწონა ალექსანდრე, ცნის შემდეგაც ისინი ერთად მონაწილეობდნენ ცნობილ სამხედრო თამაშ-გართობებში პრეობრაჟენსკოეში¹⁰.

ალექსანდრეს ღია, ფართო შუბლი, მკვეთრად მოხაზული ნიკაბი, ფართო მხარ-ბუკი და მუდგარი, ენერგიული გამოხედვა ჰქონდა. მოსილი იყო ხუჭუტა მოშავო-წაბლისფერი თმით, რომლის კულულები ლაღად სცემდა მხრებამდე. პეტრესთან შედარებით უფრო სუსტი სჩანდა, მაგრამ უფრო ტანმალაი, მოხდენილი და ფიცხი იყო¹¹.

1685 წელს არჩილმა მოსკოვში ცხოვრების ნებართვის მისაღებად თავად ვ. ვ. გოლიცინთან თავისი ერთგული თავადი ბეჟან შიოს-შვილი და თავადი ნოდარი იასენ შვილი გააგზავნა. ამ თავადთა მოსკოვში ჩასვლას სასურველი შედეგი მოყვა — მეფე არჩილს მოსკოვში ცხოვრების ნება დაართვეს.

„არჩილს ზედამხედველად მიუჩინეს ბოიარინი და ვოევოდა ა. ი. გოლიცინი და საკრებულოს აზნაური სტეფანე ლოვჩიკოვი, რომლებიც თან ახლდნენ მოსკოვისაკენ გამგზავრებულ არჩილს“¹².

1685 წლის 14 დეკემბერს მეფე არჩილი მოსკოვს ჩასვლა, სადაც დიდი პატივით მიუღიათ და ბრწყინვალედ გამასპინძლებიან¹³.

მოსკოვში არჩილმა ორწელიწად-ნახევარი გაატარა. აქედან შემდგომი კავშირი ჰქონდა თავის ძმასთან — ქართლის მეფე გიორგი მე-ერთბრძენსთან, საქართველოს პატრიარქ ნიკოლაოზთან და თავის ერთგულ კახეთისა და იმერეთის თავად აზნაურებთან¹⁴.

არჩილი მოსკოვშიც არ წყვეტდა სამწერლო მოღვაწეობას, თუმცა მისი ძირითადი მიზანი იყო რუსეთისაგან საქართველოსათვის დახმარების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად გადაწყვიტა დაახლოებოდა ხელისუფლების სათავეში

¹⁰ ვლ. ტატოშვილი — „ქართველები მოსკოვში“, თბ., 1959 წ., გვ. 179.

¹¹ იქვე.

¹² ვლ. ტატოშვილი — დასახელებული ნაშრომი, გვ. 182.

¹³ არჩილიანი, ტ. II. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, აღ. ზარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937 წ. გვ. IX.

¹⁴ ვლ. ტატოშვილი — დასახელებული ნაშრომი, გვ. 182...

⁸ Древняя Российская библиофика, т. II, стр. 337—363. М. Вроссе —

⁹ დასახელებული წიგნი, გვ. 115. — მეფე არჩილის სიგელი იოანე და პეტრე ალექსისძეებისადმი, 18 მაისი, 1683 წ.

მიხილ გონიარული
 ძარბივილი უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე



მდგომ პირებს; განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა პატრიარქ იოაკიმზე, რომელსაც დიდი გულენა ჰქონდა რუსეთის ყველა სახელმწიფო მოღვაწეზე.

ამ უკანასკნელთან საქმის მოგვარებას არჩილი საქართველოს პატრიარქის — ნიკოლოზის მეშვეობით ცდილობდა¹⁵, რომელმაც ქართლის მეფის გიორგი მეთერთმეტეს დავლებით სრულად რუსეთის პატრიარქს — იოაკიმს მოსკოვში წერილი გაუგზავნა არქიმანდრიტ ლავრენტის ხელით.

ეს წერილი პატრიარქმა იოაკიმმა 1687 წლის 15 ივლისს მიიღო. დიდი სიხარულით შეხვდა არჩილს არქიმანდრიტ ლავრენტის¹⁶, რომლის მიერ ჩატანად ამ წერილში პატრიარქი ნიკოლოზი სრულიად რუსეთის კათალიკოსს — იოაკიმს აცნობდა საქართველოს მდგომარეობას (თუმცა პატრიარქი იოაკიმს საკმაოდ იცნობდა საქართველოს საშინაო და საგარეო საქმეებს) და თხოვდა, რათა მეფე არჩილისათვის უარი არ ეთქვათ საქართველოსათვის დახმარების გაწევაზე.

არქიმანდრიტმა ლავრენტიმ არჩილს გადასცა ქართლის მეფის გიორგის სურვილი, რომ იგი საქართველოში დაბრუნებულიყო მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით საბრძოლველად¹⁷.

არჩილი დათანხმდა საქართველოში დაბრუნებაზე; მან რუსეთის მთავრობას ფინანსიური დახმარება და იმერეთში დაკარგული სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის მომავალ ბრძოლებში მხარდისაპურად ჯარი მოსთხოვა.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ არჩილმა სამგზავრო ხარკების გარდა, 5000 ანეთი დახმარება მიიღო, ჯარით დახმარებაზე კი უარი განუცხადეს¹⁸.

არჩილმა გადაწყვიტა ალექსანდრესა და მამუკას თან წამოყვანა საქართველოში, და წარსდგა ხელმწიფის წინაშე თხოვნით: გაეთავისუფლებინათ მისი ვაჟები დროებით, — რათა მათი თანდასწრებით დაებრუნებინა სამეფო ტახტი.

არჩილის თხოვნა ხელმწიფემ შეიწყნარა და დათანხმა შეიღების დროებით გაშვებაზე. 30 ივნისს შაჰს შეიღებთან ერთად, მაშინდელი კარის დიპლომატური ეთიკეტის ყველა წესის თანახმად, გაუმართეს სააღლუმო შევებულების აუღენცია, რომელზედაც დიდ ხელმწიფეს —

იმერეთის მეფე არჩილ ვახტანგის ძეს და მამუკას ალექსანდრეს და მამუკას ზეგნულად ფულადი დახმარების გარდა, სამეფოს უკმაყოფილება უბოძეს: „ოქროქოსოვილი ხიფათანები სიასამურით გაწყობილი, თასები, ფარჩეულთა, ხავერდები და ატლასები, ქაშხები და სამეფო ხაზინიდან ფული“. სახაზინო ბრძანების ამონაწერის მიხედვით, მეფე არჩილის წინაშე ამ სამეფო წყალობას აცხადებდა კარისკაცი სიმონ თევდორეს ძე ტოლოჩანოვი. ამის შემდეგ ღიბდა ხელმწიფემ არჩილ მეფე დავლებით ხელზე სამთხვევად მიიხმო და ნება დართო თავის სამეფო კარზე (საქართველოში მ. გ.) წასვლისა. აუღენციის შემდეგ 1688 წლის 30 ივნისს არჩილი თავისი შეიღებით მოსკოვიდან გავიდა გემით. შაჰს აცნობდა და ახლდა სუფრაჟი თავადი ვ. ი. დაშკოვი, ე. ს. ტატოვი და მიეიხსნა მისი ასტრახანელი გადაამწერი ივ. სალტანოვი¹⁹. არჩილი, რომელიც წინათ თურქებთან პირველ შეტაკებაში დამარცხებისათავე გადადგა იმერეთის სამეფო ტახტიდან, ამჯერად შეიღების დახმარებით და ერთგულთა მონღომებით შეეცადა ტახტის დაბრუნებას იმერეთის მეფე — ალექსანდრე მესამისაგან, რომელსაც თურქეთი მფარველობდა. ეს იყო ძირითადი და მთავარი მიზანი მისი მოსკოვიდან გამობრუნებისა.

მოსკოვში ბატონიშვილები ალექსანდრე და მამუკა სამეფო კარზე იზრდებოდნენ, თავს ძალიან კარგად და მშვიდობიანად გრძობდნენ, მით უმეტეს, რომ ალექსანდრე არჩილის ძე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დასალოებული იყო პეტრე ალექსის ძესთან, მეგობრობდა და უშუალოდ მონაწილეობდა მასთან სამხედრო გართობებში.

საქართველოში ჩამოსულნი კი უკვე სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, განსაკუთრებით 1689 წლიდან, როდესაც ქართლის სამეფო ტახტიდან გადაყენებული არჩილის ძმის — გიორგი მეთერთმეტის მაგიერ, შაჰმა რუსეთში გაზრდილი, იმეამად კი შაჰის კარზე ბედის მაძიებელი, თეიმურაზ პირველის შვილი — არჩილის ცოლისძმა, ერეკლე I გაამეფა.

ერეკლე I-ს, რა თქმა უნდა, შეეშინდა სიძისა და დისწულების მოსკოვიდან ჩამოსვლისა, რათა ისინი სამეფო ტახტს არ შეცილებოდნენ, თუმცა ეს მიზანი არჩილს და არც მის შვილებს არ ჰქონიათ, მაგრამ ქართლის მეფის ერეკლე I-ის შიში მთლად მოულოდნელი და სრულად უსაფუძვლო არ იქნებოდა, ვინაიდან შესაძლებელი იყო იმერეთიდან გაქცეულ მეფეს ქართლის სამეფო ტახტიდან შაჰის მიერ გადაყენებული მისი ძმის გიორგის სასარგებლოდ და-

¹⁵ Броссе, М. — Переписка... стр. 126, Письмо каталикоса Николая к Российскому Патриарху Иоаниму, 1687 г., 15 июля.

¹⁶ იქვე, შეადარეთ ვლ. ტატიშვილი — დასახელებული ნაშრომი, გვ. 184-185.

¹⁷ არჩილიანი, ტ. II, გვ. IX.

¹⁸ იქვე.

¹⁹ Дворцовый разр., стр. 386—388, М. Д. Хмыров — 1-й генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский. Артиллерийский журнал, 1866 г., № 1, стр. 36—37.



კარგული ტახტის დაბრუნებაც ეცადა. ამიტომ ერეკლემ, შეიტყო თუ არა არჩილისა და მისი შვილების საქართველოში დაბრუნება, მათი ხელში ჩაგდება გადაწყვიტა.

ახლად ჩამოსული მამა-შვილი ზარამავში შეჩერდნენ, ერეკლემ შეიარაღებულ რაზმთან ერთად მდივანბეგი გაგზავნა მათ შესაყრობად, მდივანბეგმა ვერ შეასრულა თავისი მისია, ბატონიშვილებმა ორგანოში (დეაღუთში) გადასვლა მოასწრეს²⁰.

არჩილი მიხვდა, რომ მისი შვილები სერიოზულ საფრთხეს გადაარჩნენ, მაგრამ მდგომარეობა კვლავ შეიძლებოდა განმეორებულიყო; თვით არჩილი იმერეთიდან თერგზში გადასვლის დროს გზაში შეიპყრეს და ყაბარდოს მფლობელმა ყოლიყო-მირზამ კინაღამ შაჰს გადასცა. ამყვრად არჩილმა მთებს შეაფარა თავი, მის თერგზში გადასაყვანად ასტრახანიდან რუსთა შეიარაღებული რაზმი გაიგზავნა.²¹

ყოველგვარ დახმარებას მოკლებულმა არჩილმა საჩქაროდ გადაწყვიტა შვილების კვლავ მოსკოვში გაგზავნა. როგორც მის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი 1690 წლის 6 მაისს მიწერილი წერილიდან ირკვევა, ალექსანდრე და მამუკა 1690 წლის 20 თებერვალს მოსკოვისკენ გაემგზავრნენ. „ჩემი შვილები ამავე წელიწადს, თებერვლის ოცს, წამოსულიყვენენ მაგათის მეფობის დიდებულებასთანაჲს²². სამეფო ტახტის დაბრუნებისათვის ბრძოლაში იმედგაცრუებული არჩილი კი 1699 წელს გადასახლდა მოსკოვში ოჯახის მთელი შემადგენლობით — მუდღულე ქეთევანითა და ორი შვილით — დავითით და დარეჯანით.

მამუკა ბატონიშვილი გარდაიცვალა მოსკოვში 1693 წელს „არჩილ მეფესაცა ამავე ზამთარს მოერთვა სიკვდილი ძისა თვისისა მოსკოვიდამ“ მამუკა დაკრძალულია დონის მონასტერში.

ალექსანდრე არჩილის ძემ კი, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა პეტრე ალექსის ძის ყურადღება მიიპყრო, ისინი ერთად ოზრდებოდნენ სამეფო კარზე, რამაც განაპირობა ურთიერთ საფუძვლიანი გაცნობა და მეგობრობა.

პეტრე ალექსის ძე ალექსანდრეზე ორი წლით უფროსი იყო.

პეტრე ალექსის ძესთან ალექსანდრე ბატონიშვილი იმდენად დაახლოებული ყოფილა, რომ 1694 წლის 26 იანვარს პეტრეს დედის ნატალია კიროლეს ასულის დაკრძალვისას, სამგლოვია-

რო პროცესიაზე უშუალოდ მეფე ერეკლემ ალექსის ძის გვერდით მიაბიჯებდა²³.

მომდევნო — 1695-1696 წლებში ალექსანდრე არჩილის ძის საქმიანობის შესახებ ისტორიული წყაროები და სათანადო ლიტერატურას სდუმან, არ ჩანს მისი მოწაწილეობა სხენებული წლების არც ერთ სამხედრო მანევრებსა და ექსპედიციასი; ალექსანდრე არჩილის ძე ამ წლებში მეორედ დაქორწინდა გლიკერია ილია (ელიზბარა) დავითაშვილის ასულზე.²⁴ ალექსანდრე არჩილის ძე, როგორც პეტრე დიდის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ჩანს უკვე 1697 წელს ევროპაში გემთშემნებლობის შესასწავლად, პეტრე I-ის მიერ საგანგებოდ მიწყობილ „დიდი ელჩობის“ წევრთა სიაში, სადაც მისი გვარი, რუსეთის სება, გამოჩენილ პირთა შორისაა მოხსენებული.

„დიდი ელჩობის“ წევრთა შორის საბატიო აღვლილი ეკავა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, რათა თავისი თვალით ენახა ის ევროპული ცივილიზაცია, რომლის ნაყოფის რუსულ ნიადაგზე დანერგვასაც ნატრობდა პეტრე დიდი²⁵.

დიდი ელჩობის წარმომადგენლები 22 მარტს ფსკოვში ჩავიდნენ, 25 მარტს შვედეთის ქ. ნიუპაუზენში იყვნენ, 31 მარტს კი რივაში გადავიდნენ. დიდი ელჩობის წარმომადგენლობა განაგრძობდა თავის საქმიანობას. 7 მაისს პეტრე დიდმა კენიგსბერგში საარტილერიო გაკვეთილების მიღება დაიწყო პრუსიის ციხე-სიმაგრეების მთავარ ინჟინერ-პოლპოლოკოვნიკ შტიეტნერ-ფონ-შტიერნფელდისაგან. ამ გაკვეთილებს ესწრებოდა ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძეც, რომელმაც დასაწყისშივე მიიპყრო პეტრე დიდის ყურადღება, ამან განაპირობა ალექსანდრეს გაგზავნა ჰაავაში სამხედრო საქმის შესასწავლად და მისი მომავალი დაწინაურებაც. პეტრე დიდი და ალექსანდრე არჩილის ძე ხსენებულ პოლპოლოკოვნიკ შტიეტნერ-ფონ-შტიერნფელდთან საარტილერიო საქმეს სწავლობდნენ ერთ თვის განმავლობაში.

დიდი ელჩობის ნაწილი იყო ქალაქ პილაუში, კოლბერგში, საიდანაც პოლანდიისაკენ განაგრძეს გზა. 3 აგვისტოს პეტრე დიდმა ქალაქ ლიუნენში კვლავ დატოვა „დიდი ელჩობის“

²³ ქართლის ცხოვრება. ტ. II, ჩუბინოვის გამ. 1854 წ., გვ. 65.

²⁴ პირველად 18 წლის ალექსანდრე არჩილის ძე 1691 წელს დაქორწინდა ივანე მიხეილის ძე მილოსლავესკის ქალიშვილზე.

²⁵ Хмырьев, М. Д. — დასახ. ნაშრ. გვ. 40.

²⁰ Груз. летопись, стр. 64.
²¹ Акты исторические, изд. 1842. Г. т. V, № 227.

²² Броссе, М. დასახ. ნაშრ. გვ. 129, Грамота царя Арчила к царям и царевне Софии. 1690 г., 6 мая.

მიხაილ გონიაშვილი
კარტიველი უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე



ბირთავი ნაწილი და 18 ვოლონტერით, რომელთა შორის იყო ალექსანდრე არჩილის ძე, ამსტერდამისაკენ წვიდა. 7 აგვისტოს ამსტერდამში დატოვა 12 ვოლონტერი, თვითონ კი ალექსანდრე არჩილის ძესთან ერთად 5 ვოლონტერის თანხლებით გზა განაგრძო და 8 აგვისტოს სარდამში შეჩერდა. სარდამში ბინა დაიქირავეს პეტრე დიდის ნაცნობი მჭედლის გერბიტი კისტა სახლში.

პეტრე დიდი და ალექსანდრე არჩილის ძე ხუთ ვოლონტერთან ერთად მთელი კვირა მუშაობდნენ ლისტა როგეს ნავსაშენში. აქ მათ პირველად მოუხდათ თეორიული ცოდნის შექმნასთან ერთად პრაქტიკული საქმიანობა. პეტრე დიდი და ალექსანდრე არჩილის ძე არც ჩაცმულობით და არც საქმიანობით არ გამოირჩეოდნენ ნავსაშენის მუშეებისაგან.

პეტრე დიდი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ბატონიშვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ შეისწავლა პატარა კატარლის მართვა, გაიცნო და გადმოიღო საფლოტო ტერმინები და ხელი მიჰყო საჭირო წიგნების რუსული ენიდან ქართულად თარგმნას²⁵.

15 აგვისტოს მათ სარდამი დატოვეს და ამსტერდამში გადავიდნენ.

19 აგვისტოს ყველანი მიწვეულ იყვნენ ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ გამართულ საზეიმო სადილზე.

22 აგვისტოს პეტრე დიდი ყველა თანამგზავრით მიწვეული იყო სავანებოდ მათ გასართობად მოწყობილ სამავალითო საზღვაო „ბრძოლის“ საუფრებოდ, რომელიც ეის ყურეში გაიმართა აღმირალ სხეის ხელმძღვანელობით. მეტად სიბრძნეოს სანაბაობას ალექსანდრე არჩილის ძე არ დასწრებია, იგი უკვე შავაში იმყოფებოდა. „ალექსანდრე არჩილის ძე შავაში წვიდა საარტილერიო საქმის შესასწავლად“, სწერდა პეტრე დიდი 31 აგვისტოს თავად რომანოვსკის²⁶.

²⁵ ალექსანდრე ბატონიშვილმა თარგმნა რუსული ენიდან:

¹ საარტილერიო წიგნი.
² „სადიდებელნი გლობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“.
³ სემიონ პოლოცკელის „სიტყვა მიცალეებისათვის ღმრთის შობელისა“.
⁴ „სიტყუაჲ დღესა ყოვლად წმიდისა ტაბრად მიყვანებისასა“.
⁵ მეფის კურთხევის წესი.
⁶ ტესტამენტი.
⁷ „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან“.

ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კურების ისტორიიდან, ე. მაცნე, № 2, 1965 წ. გვ. 164-165).

²⁶ Устрялов, Н. И. — История царствования Петра Великого, т. III, Прилож. № 1, СПб., 1858, стр. 426.

როგორც ირკვევა, ალექსანდრე არჩილის ძე დიდი მონდომებით და სიყვარულურად სარტილერიო საქმეს. სწორი უნდა იყოს მ. დ. ხშიროვის აზრი იმის შესახებ, რომ შავაში ბატონიშვილი ალექსანდრე პეტრე დიდის უშუალო გადაწყვეტილებით იყო გაგზავნილი²⁷, ვინაიდან ჰოლანდიაში მამის საარტილერიო საქმე მალად დონეზე იდგა²⁸ და ამ რთული და მეტად საჭირო საქმის დაუფლება ყველაზე უკეთ ალექსანდრე არჩილის ძეს შეეძლო, რამაც პეტრე დიდი არ შემცდარა. ვინ იყო ალექსანდრე არჩილის ძის საარტილერიო საქმის მასწავლებელი შავაში არაა ცნობილი, თუმცა, შესაძლებელია, ჩვენთვის უცნობი მასწავლებელი იოჰან გრუშე ყოფილიყო, რომელიც 1699 წელს რუსეთში იქნა მოწვეული და 1706 წელს გარდაიცვალა რუსეთის არტილერიის პოლკოვნიკის ჩინით²⁹.

თეორიული ცოდნის დაუფლებასთან ერთად ალექსანდრე არჩილის ძე პრაქტიკულად სწავლობდა საარტილერიო საქმეს. ზნორად ათვალიერებდა საარტილერიო პარკს შავაში, სადაც ინახებოდა თითქმის ყველა დროისა და ყველა სახის ზარბაზნები³⁰.

ალექსანდრე არჩილის ძე ყოველგვარ საშუალებას იყენებდა, რათა საარტილერიო საქმის თეორიული სწავლება პრაქტიკასთან დაეკავშირებინა და რაც შეიძლება მეტი ცოდნით დაბრუნებულიყო რუსეთში.

შავაში იგი საარტილერიო საქმეს 1699 წლამდე სწავლობდა, აქედან მამის სანახავად პირდაპირ თერგში წავიდა, შემდეგ კი მოსკოვს დაბრუნდა.

1700 წლის 19 მაისს პეტრე დიდმა ალექსანდრე არჩილის ძე რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეიხმისტრად დანიშნა.

პეტრე დიდის 1700 წლის 19 მაისის ბრძანებაში ნათქვამი იყო: „რაც კი საქმეებზე პრიკაში გასაკეთებელი იყო, ყველა საქმიანობა განაგოს არტილერიის გენერალმა, ბატონიშვილმა ალექსანდრე არჩილის ძემ³¹“.

რუსეთის არმიის რეგულარული არტილერია ახალი ჩამოყალიბებული იყო. იგი შეიქმნა 1695 წელს, როდესაც პრეობრაჟენსკის პოლკ-

²⁷ Хмыров, М. Д. — დასახ. ნაშრ. გვ. 44, 28. იქვე.

²⁸ Хмыров, М. Д. — О. Гошке, Арт. журнал, 1865 г., № 10.

³⁰ იქვე.

³¹ Хмыров, М. Д. — დასახელებული ნაშრომი, გვ. 48, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1853 წელს გამოცემულ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონის IV ტომში შეცდომითაა აღნიშნული ალექსანდრე არჩილის ძეს ამ თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი — 1699 წლის 11 მაისი.



თან ჩამოყალიბდა ბომბარდირთა როტა, რომლის კაპიტანიც თვით პეტრე დიდი იყო. 1700 წელს რუსეთის არტილერიამ პირველად იქნა შემოღებული გენერალ-ფელდციეხმისტერის წოდება და თანამდებობაც. ამ თანამდებობაზე დაინიშნა და იწოდა რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდციეხმისტრად ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეთინსკი.

სივლენა სახელმწიფოებლო თანამდებობაზე დაინიშნა გამოწვეული იყო ალექსანდრე არჩილის ძის მიერ საარტილერიო საქმის საფუძვლიანი ცოდნით, მისი რუსეთისა და პირადად პეტრე დიდისადმი უაღრესი ერთგულებითა და პეტრე დიდის ალექსანდრე არჩილის ძისადმი დამსახურებული სიყვარულითა და ნდობით.

ალექსანდრე არჩილის ძე პეტრე დიდის ერთგული და მისთან დაახლოებული რომ იყო, იქონიდა ჩანს, რომ მას საპატიო ადგილი ევაჟა და ახლოს იყო რუსეთის სამეფო კარის წარჩინებულ პირებთან.

როდესაც 1700 წლის 15 ოქტომბერს რუსეთის არქივისსკოპოსს კირ აღრიანს ტაძრის ეკლესიისაკენ მიახვეწებდნენ, ცხედარს მიაცილებდნენ სასულიერო პირები, შემდეგ ალექსანდრე არჩილის ძე იმერეთინსკი სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად³².

1700 წელს მოსკოვში ერთი წლის ჩასულ მეთვ არჩილსა და მის შვილს ალექსანდრეს, პეტრე დიდის ბრძანებით სასახლის მამულებიდან გამოეყოთ ნიეგოროდის მახრამო: ტერეუშევის, ბელგოროდის და ლისკოვის თემები, სულ 3284 კომლი; 20464 ჩეტვერტი სახნავ-საძრესი, 41715 ჩეტვერტი სათიბი და 3996 მანეთი ყოველნაირი შემოსავალი^{33,34}.

როდესაც ალექსანდრე არჩილის ძე არტილერიის უფროსად დაინიშნა, რუსეთის არტილერია ძლიერ ჩამორჩენილი იყო, მიუხედავად პეტრე დიდის ცდისა, რომ იგი მოწინავე გაეხალა.

მაშინ რუსეთის არტილერიაში იყო საქმის უცოდინარი ადამიანები და ყველა სახის, სხვადასხვა დროის, დაძველებული და უეარგისი ზარბაზნები³⁵.

პეტრე დიდი იღწოდა არმიისა და, კერძოდ, არტილერიის რეორგანიზაციისა და მათ მოწინააღმდეგეებს.

³² Дворцовые разряды, т. II, (1676 по 1791 г.), СПб., 1855 г., стр. 1157.

³³ მეფე არჩილი თავისი მეუღლით, შვილებით და ვითით და დარეჯანით მოსკოვში გადასახლდნენ 1699 წელს.

³⁴ Устрялов, Н. И. — История царств. Петра Великого, т. I, прил. № XII, Ведомость о раздаточных селах и деревнях из дворцовых волостей, СПб., 1858, стр. 397.

³⁵ Хмыров, М. Д. დასახელებული ნაშრომი, გვ. 47.

წვეთა რიგებში ჩაყენებისათვის, რის გარეშეც კვეყნის ძლიერებაზე ფიქრიც კი არ ბოლდა.

საჭირო იყო პირველ რიგში ბალტიის ზღვის სანაპიროს ხელში ჩაგდება, რათა რუსეთის საბოლოოდ გზა გაეკაფა ევროპისაკენ.

დღის წესრიგში მორიგ საკითხად დადგა შევლებთან ომი.

პეტრე დიდი ომისათვის მზადებას შეუდგა, მის გვერდით იდგა ალექსანდრე არჩილის ძეც.

იგი ემზადებოდა პირნათლად და ერთგულად ემსახურა მეფის კარზე არა იმ 1400 მანეთისათვის, რომელსაც იღებდა წლიურად როგორც გენერალ-ფელდციეხმისტერი, არამედ იმიტომ, რომ ვერ წარმოედგინა თავისი მშობლიური საქართველო რუსეთის დახმარების გარეშე³⁶.

ალექსანდრე არჩილის ძეს არ დასცალდა პრაქტიკულად დამტკიცებინა ერთგულება რუსეთისა და პირადად პეტრე დიდისადმი. გენერალ-ფელდციეხმისტერის თანამდებობაზე მან მხოლოდ ექვსი თვე დაჰყო. დროის ამ მცირე მოხავეთში ვერ მოასწრო და არც შეიძლებოდა რაიმე სერიოზული რეორგანიზაციის მოხედნა დიდი ხნის ჩამორჩენილ საარტილერიო საქმეში. რუსეთი ომისათვის მომზადებული არ იყო. ასეთ არახელსაყრელ საშინაო და საგარეო ვითარებაში დაიწყო პეტრე დიდმა შედეთვის წინააღმდეგ ომისათვის მზადება, 1700 წლის 17 აგვისტოს კი ომი გამოუცხადა შვედეთს.

ალექსანდრე არჩილის ძე იმერეთინსკის საარტილერიო ნაწილები ნარვისაკენ დაიძრნენ მოსკოვიდან, ნოვგოროდიდან და ფსკოვიდან. სხვადასხვა მიზეზების გამო არტილერიას ერთდროულად ვერ მოუყარეს თავი დანიშნულ ადგილას, რასაც მალე დიდი უარყოფითი შედეგი მოჰყვა.

18 ოქტომბერს ნარვაში ოთხი ყუმბარა იქნა გადაგდებული გამოსაცდელად, 20 ოქტომბერს კი საყოველთაო საარტილერიო ცეცხლი გაიხსნა. ბრძოლა ორ კვირას გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. ეს გამოწვეული იყო არტილერიის სიძველით, ურთიერთშორის შეუთანხმებელი მოქმედებით. და მრავალი სხვა მიზეზით.

6 ნოემბერს სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა ყველა ზარბაზნიდან 6-7 დღის განმავლობაში გაეხსნათ ცეცხლი ისე, რომ ყოველი ზარბაზნიდან დღეღამეში 50 გასროლა მომხდარიყო. მაგრამ სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა, არტილერიის მთავარმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე არჩილის ძემ განაცხადა, საბრძოლო მარაგი არ კმა-

³⁶ Хмыров М. Д. დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

მიხილეთ გონივრული
ქართული უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე

რა ხსენებული სამხედრო ოპერაციის ჩასტარებლად. დარჩენილ საბრძოლო მარაგს სახელდობრ შეადგენდა: 3000 ზარბაზნის ყუმბარა, 1100 ყუმბარა და 1200 უფთო ზარბაზნის დენთი. ამ მიზეზით ოპერაცია გადაიდო ახალი მარაგის მოტანამდე.

19 ნოემბერს ნარვსთან შედეგები მოულოდნელად იერიშზე გადმოვიდნენ, რამაც გადაწყვიტა საომარი მოქმედების ბედი. ბრძოლა რუსეთის არმიის კაპიტულაციით დამთავრდა. რუსებმა დაკარგეს 8000-მდე კაცი, 20 დროშა, არტილერია, ზანაი, 151 ჯარის სახეობათა ნიშანი. მთავარსარდალი ჰერცოგი დე-კრუი, გენერალიტეტი, 8 შტაბისა და 30 ობეროფიცერი ტყვედ აღმოჩნდა.

ტყვეთა შორის იყო ალექსანდრე არჩილის ძეც, რომელმაც როგორც ყველა სხვამ, ტყვეობის პირველი დღე მშვიტ-მწყურვალმა გაუთბობელ ცივ ოთახში გაატარა.

ალექსანდრე არჩილის ძეს, როგორც გენერალს, საყარაულოდ მიუჩინეს ოფიცერი ორი შვედი სალდათითურთ, ჩამოართვეს ყველაფერი, რაც კი თან ჰქონდა, მკაცრი ყარაული დაუყენეს, რომ არავითარ შემთხვევაში წერის საშუალება არ ჰქონოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეობაში მყოფი ი. თ. დოღოროვი წერდა თ. ა. გოლოვინს: „ალექსანდრე არჩილის ძე, ა. მ. გოლოვინი, ა. ა. ვეიდი, თავადი ი. ი. ტრუბეცკოი, ი. ი. ბუტურლინი და თავადი იაკობი ცოცხლები ვართ. თუ როგორ უბედურად წარიმართა ჩვენი საქმე, ამის შესახებ ჩვენ მოწერის უფლება არა გვაქვს... ესლა ჩვენი ვართ რუგოვანოვში (ნარვანში), ორი დღე ვიყავით ერთად, შემდეგ დავცალკევდეს, ის წყალობაც კი არა გვაქვს, რომ ერთმანეთს ვხვდავდეთ ან ვიცოდეთ ჩვენი ხალხი ჯანმრთელადია თუ ავადია ვინმე“³⁷.

1701 წლის დასაწყისში ტყვეები ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს, სადაც აგვისტომდე საკმაოდ მკაცრად ეკიდებოდნენ. სტოკჰოლმში ალექსანდრე სტირნდალის სახლში დააბინავეს, მასთან იყო მისი რვა ქართველი თანმხლებიცი.

აქ, რუს გენერლებთან ერთად, ალექსანდრე არჩილის ძეს მოწაწილეობა მიადებოდა კარლ XII-ს მიერ მოწყობილ დამამიკრიბებელ ტრიუმფალურ მსვლელობაში, ბატონიშვილი პოლონეთის ელჩის გენერალ-მაიორ ლანგეს გვერდით მობაიყებდა მწერივის თავში. პეტრე განრისხდა ალექსანდრესა და სხვათა შეურაცხყოფით და კარლ XII-ს სამაგიერო გადაუხადა. გამოიყვანა შვედი ტყვეები და შვედეთის ელჩის მეთაურობით მოსკოვის ქუჩები შემოაბრუნინა.

³⁷ Устрялов, Н. И. — დასახ. ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, დამატება № 11, გვ. 48.
Хмыров, М. Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 53-54.

შვედეთში პრუსიის წარმომადგენელთა შემთხვევითი გომლობით, ტყვეებს აგვისტოს ბოლოდან იქნა ცოტა თავაზიანად დაუწყეს მოპყრობა³⁸.

1702 წლის დასაწყისში დაისვა საკითხი ალექსანდრე არჩილის ძის ტყვეობიდან გამოსყიდვის შესახებ. ამისთვის სტოკჰოლმში გავზავნილი იქნა სპეციალური წარმომადგენელი, რომელმაც ჩამოიტანა ცნობა. შვედები ალექსანდრე არჩილის ძეს გამოსასყიდად 10 კასრ ოქროს თხოულობენო:

„...ამ დღეს აქ მოვიდა იმერეთის პრინცი კაცი, რომელიც სტოკჰოლმთან ახლოს ტყვედ მყოფ ბატონის გასათავისუფლებლად მისმა ბატონებმა გამოავზავნეს, როცა უკან ბრუნდებოდა, მან ვანაცხადა, რომ შვედები პრინცის გასათავისუფლებლად 10 კასრ ოქროს ითხოვენო“³⁹.

განსაკუთრებით დიდი საფასურის მიღების იმედი ჰქონდათ შვედებს ალექსანდრე არჩილის ძეს გათავისუფლებით, ვინაიდან იცოდნენ, რომ ფელდციემისტერი ალექსანდრე არჩილის ძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პირადი მეგობარი იყო პეტრე დიდისა, რომელიც არავითარ ხარჯებს არ მოერიდებოდა მის გამოსახსნელად.

ალექსანდრე არჩილის ძეს ავტორიტეტზე მტყვევებს 1779 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში მოთავსებული სტატია „ბრძოლა ნარვის ელზე“, სადაც მოწინააღმდეგეთა ზარალის აღწერის შემდეგ საუბარია შვედების მიერ ხელში ჩაგდებაზე ტყვეებზე, რომელთა შორის მხოლოდ ფელდმარშალი დე-კრუი და არტილერიის გენ. ფელდციემისტერი ალექსანდრე არჩილის ძეა გვარგობითა და წოდებით მოხსენებული: „იმ დღის დღედა შვედებს 1300 კარისკაცის დაღუპვის ფასად დაუჯდათ. კარლ XII-ემ ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგეთა არმიის გენერალისიმუსი ჰერცოგი დე-კრუი, პრინცი გრუზინსკი და შვიდი სხვა გენერალი“⁴⁰.

ალექსანდრე არჩილის ძისა და სხვა ტყვეთა გამოსყიდვა შეუძლებელი აღმოჩნდა. აუტანელმა პირობებმა თავისი დადი დაასვა ალექსანდრეს, რომელიც დაავადდა ტყვეობის პირველსავე წლებში.

1703 წლის 6 დეკემბერს ალექსანდრე არჩილის ძე წერდა თ. ა. გოლოვინს: „ჩემო ხელმწიფვე, თედორე ალექსის ძე, დიდხანს იცოცხლე! შენი მწყალობელი წერალისათვის მადლობას

³⁸ Устрялов, Н. И. — დასახ. ნაშრომი, დამატება № 11, 90.

³⁹ Устрялов, Н. И. — დასახ. ნაშრომი, დამატება № 11, გვ. 539.

⁴⁰ Энциклопедия или толковый словарь наук, искусств и ремесел. Составлен, приведен в порядок и издан Г. Ридеромом и Г. Дьялаббером, т. 7. Берн-Лозанна, 1779. ფრანგ. ენაზე.



გითელი, რომ არ დამიფიქვ. დიდება უფალს, ჯერ ცოცხალი ვარ, თუმცა ძალიან ავად ვარ. ამიტომ გულით ვთხოვ, ჩემო ხელმწიფე, ვინმე მადლიანი მღვდელი გამოიგზავნოს, რომ ჭრისტიანული წესით სიკვდილის ღირსი გავხდე. იტოცხლე და მარად ილღეგრძელე ჩემო ხელმწიფე!

ალექსანდრე, უფლისწული ივერიისა, დეკემბრის 6^ა.⁴¹

იმავ დღეს ალექსანდრე არჩილის ძე მეორე წერილით ვასილ ლუკას ძე დოლოგორუკოს აცნობებდა:

„ჩემო ბატონო თავადო ვასილ ლუკას ძე, დიდხანს იტოცხლე! მადლობელი ვარ შენი მწყალობელი წერილისათვის. ჩემო ბატონო, თქვენი ბიძა, თავადი იაკობ თევდორეს ძე, ლეთის მადლით, ჯანმრთელად ბრძანდება. უფლისწული ალექსანდრე კვლავაც მდებარე თავს გაკრავთ. 6 დეკემბერი⁴²“.

ამ წერილებიდან ნათლად ჩანს თუ როგორ შეარყია ალექსანდრე ბატონიშვილის ჯანმრთელობა სკანდინავიის მკაცრმა ჰავამ და ცუდმა პირობებმა სამი წლის განმავლობაში. 1705 წელს პეტრე დიდმა შვედი ტყვეების ციმბირში გადასახლება დაიწყო, რამაც შვედეთის მთავრობა აღაშფოთა, ამას სტოკჰოლმში მოყო ტყვეთა მდგომარეობის კვლავ გაუარესება მოჰყვა.

1705 წლის ოქტომბერში რუზილენტი ხილკოვი პეტრე დიდს აცნობებდა: „ჩვენ გადავიყვანეს სხვადასხვა ქალაქებში და ვკავართ მკაცრ, სასტიკ ტყვეობაში, არსად არ გვიშევენ და არავის ნახვის უფლებას არ გვაძლევენ. მხოლოდ ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძეს აქვს უფლება გაისიგინოს ყარაულთა თანხლებით. ვეიღეს სარდაფში ამყოფებენ. სენატმა გამოგვიცხადა, რომ როცა შევდ ტყვეებს მოსკოვში დააბრუნებენ, თქვენც (ტყვეებს — პ. გ.) მაშინ დაგაბრუნებთ სტოკჰოლმში: აქ სინამდვილის საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებენ ხალხში. რომ შევდ ტყვეებს ცემენ მათრახით და ჯოხით. ამ ტყუილებით უნდათ აღაშფოთონ ხალხი ჩვენს წინააღმდეგ“⁴³.

ასეთი საფუძველმოკლებული ცნობების გავრცელებით ცდილობდა შვედეთის მთავრობა შეედი ხალხის განწყობას რუსი ტყვეების წინააღმდეგ. ამით სურდა გაემართლებინათ ტყვეთა აუტანელი მდგომარეობა.

თვით ალექსანდრე არჩილის ძე წერდა 1706 წლის 19 ნოემბერს პეტრე დიდს თავის უმწეო მდგომარეობის შესახებ, რომ მას პურიც კი არ ჰქონდა საკმარისი, ვალბში ჩაეარდა, — მაშისგან ფულს ვერ იღებდა, ვინაიდან, მისი სიტყ-

ვით მამამისს ნაწყალობები სოფლებიდან მიღებული შემოსავლიც კი არა ჰქონდა, რომ დაეკმაყოფილებინა და თხოვდა დახმარებას, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო⁴⁴.

პეტრე დიდის ბრძანებით ალექსანდრე არჩილის ძეს ხშირად ეგზავნებოდა ფული სომეხი ვაჭრებისა და სხვათა ხელით. მაგალითად, 1707 წლის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „გასულ, 1700 წელს დიდი ხელმწიფის ბრძანებით მოსკოვიდან ბატონიშვილ იმერეთისსკის გადაეგზავნა 832 ფიშკა“⁴⁵.

ალექსანდრეს ფულს უგზავნიდა მამამისიც თავისი შემოსავლიდან, ზოგჯერ კი პეტრე დიდის მიერ მიცემული ფულადი დახმარების საშუალებით.

იმერეთის მეფეს არჩილ ვახტანგის ძეს, თავისი ვაჟის ალექსანდრე არჩილის ძის ვალებს გადასახდელად 1706 წლის 19 მარტს მიეცა 300 მანეთი⁴⁶.

ტყვეობაში ჩაეარდნილ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ფულის გაგზავნა არ ავიწყლებოდა არც პეტრე დიდს და არც მამამისს — არჩილს. მაგრამ შვედეთის მთავრობა განგებ აბრკოლებდა ფულის გადაღებას. ეს იყო მიზეზი, რომ ეგზავნდნო ფული არ მიდიოდა დანიშნულებისამებრ.

ფულად დახმარებასთან ერთად, პეტრე დიდი ცდილობდა ყველა ტყვის და პირველ რიგში, ალექსანდრე არჩილის ძის გამოსცილვას, თუმცა მის მრავალჯობს ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

ალექსანდრეს თავისუფლებაზე ფიქრი მამამისის — არჩილის ყოველდღიური საზრუნავი იყო. დარწმუნდა, რა ამ საქმის სარბთუნი. 1706 წლის 2 თებერვალს არჩილმა ერთეული წერილი მისწერა შვედეთის მეფეს კარლ მეოთხეტეს. წერილიში მოცემულია, ვარლ XII-ის დიდება და, რაც მთავარია, თხოვნა ალექსანდრე ბატონიშვილის გათავისუფლების შესახებ. ეს წერილი ბერმა ბაგრატ სოლოაშვილმა ჩაიტანა სტოკჰოლმში, თუმცა სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნილ მეფე არჩილის თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია: იგი კვლავ განაგრძობდა გზების ძებნას ალექსანდრეს ტყვეობიდან გათავისუფლებისათვის. რამდენჯერმე მიმართა დახმარებისათვის პეტრე დიდსაც, რომლისადმი მიწერილ ერთ-ერთ უთარილო წერილ-

⁴⁴ Устрялов, Н. И. — დასახელებული წიგნი, გვ. 529.

⁴⁵ Эсадзе, С. Б. — დასახელებული ნაშრომი, გვ. 18. (ეფიშკა XVII-XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ფულის სახეობა ერთეული).

⁴⁶ იქვე.

მიხეილ გონიაშვილი
ქართული უფლისწული რუსეთის სამეფო ბარჯე

⁴¹ Эсадзе С. В. — დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

⁴² იქვე.

⁴³ Хмыров, М. Д. — დასახელებული ნაშრომი, გვ. 55.



ში ვეითხლობით: „ჩემი შვილი, ბატონიშვილი ალექსანდრე სტოპკოლიდან იტყობინება, რომ მას გამოუცხადეს მეფის ბრძანებულება, მეფე თანახმაა გაცვალოს იგი (ალექსანდრე—მ. გ.) 20 უაბიტანზე, 20 პორუჩისა და 20 პრპორშიკუნზე“, მეფე არჩილი წერდა პეტრე დიდს მოეხდინა ეს გაცელა და თხოვდა მოთხოვნილი 60 კაცის შერჩევას⁴⁷.

ამგვარი გაცელის შესახებ თავის დროზე პეტრე დიდმა მიმართა ალექსანდრე არჩილის ძეს და თხოვა გამოეთქვა თავისი აზრი, თანახმა იქნებოდა თუ არა ხსენებული ვარიანტისა.

ალექსანდრე არჩილის ძემ 1710 წლის 6 სექტემბერს თავისი ხელით მისწერა პასუხი პეტრე დიდს. „არც მითქვამს და ვონებაშიც არ გამოვლია, რომ სახელმწიფოსათვის რაიმე ზიანი მიმეყენებინა... ჩვენ მხოლოდ ამისათვის ვართ მოწოდებულნი: მოვითმინოთ და დავიხრატოთ ხელმწიფისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის⁴⁸. იმავე წელს გადაწედა ალექსანდრე ბატონიშვილი და თავადი ტრუბეცკოი გავცალათ გრუდ პიპერზე, ხოლო თავადი ი. თ. დოლოგორუკი და ა. გოლოვინი — ფელდმარშალ რენშელდზე.

ხსენებული ტყვეები წამოიყვანეს სტოპკოლიდან, მაგრამ ალექსანდრე არჩილის ძეს აღნიშნა არ ეწერა საშობლოში დაბრუნება, იგი გზაში გარდაიცვალა.

თავადი იაკოვ დოლოგორუკი წერდა: — „ზამთრის დამდეგს, როცა ჩვენ შემოგვატარეს მთელი ბოტნიის ყურე, მე დამტოვეს იაკობშტადტში, უფლისწული ალექსანდრე კი გარდაიცვალა გზაში⁴⁹. ეს მოხდა 1711 წელს 20 თებერვალს. ათი წლის ტყვეობის შემდეგ, განაწამები და დასუსტებული ალექსანდრე არჩილის ძე გზად, როგაში გარდაიცვალა.

იგი ვერ მოესწრო ვერც თავისუფლებას და ვერც რუსეთში დაბრუნებას. პეტრე დიდმა უველა ზომები მიიღო ტყვეებისა და, კერძოდ, ალექსანდრე არჩილის ძის დასახსნელად. პეტრე დიდის ბატონისებმა და უაღრესად კეთილი დამოკიდებულება ალექსანდრე არჩილის ძისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ხმა გავრცელდა, პეტრე დიდმა ტყვეობიდან დახსნის შემდეგ ალექსანდრე არჩილის ძე თავის საშობლოში სამეფო ტახტზე უნდა დასესო.

...აქ ხმა დადის, რომ როცა შევდებთან ომი დასრულდება, პეტრეს უნდა ასტრახანისაკენ წავიდეს, იქ მან ფლოტის აშენება გადაწყვიტა და კასპიის ზღვით უნდა საქართველოსთან ახ-

ლო მივიდეს და განზრახული აქვს იმგვანადაა პრინცის (რომელიც ქართველებმა დაწინაურებულმა თავისი ქვეყნიდან გამოდევნეს და რომელიც ახლა ტყვედ იმყოფება შვედეთში) ტახტზე დასმა თავის საშობლოში⁵⁰.

პეტრე დიდის მფარველობასა და ყოველგვარ ცდებს ალექსანდრე არჩილის ძე ტყვეობიდან დაეხსნა, დროულად არ მოყოლია დადებითი შედეგი. ათი წლის ტყვეობამ თავისი დაღი დაასწავა ალექსანდრეს, იგი გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როცა რეალურად იყო მოახლოებული გათავისუფლების ეამი.

უქანასენელი იმედოვან გამოცალა ხელიდან ისედაც ყოველმხრივ იმედგარეუბულ მეფეს — არჩილს, რომელიც შვილის გარდაცვალების შემდეგ წერდა: „ოჰ, ჩვენ ყოველგვარ სიკეთეს მოკლებულ საყოლაგებს მოგვტაცა შვილი ჩვენი ალექსანდრე სიკვდილმა, ჩვენ კი მწარე სიბერეში გვიმზადებს მწუხარების გზას სამარისაკენ... ჩემი შვილის ძელები მაინც გადმოეტანათ მოსკოვში⁵¹.

არჩილის უქანასენელი ნატერა ასრულდა. ალექსანდრეს ნეშტი რივიდან მოსკოვს⁵² გადმოიტანეს, სადაც დაასაფლავეს დონის მონასტერში⁵³, რამდენიმე დღის შემდეგ ნოვოდევიჩის მონასტრიდან დონის მონასტერში გადმოასვენეს ალექსანდრე ბატონიშვილის პირველი ცოლის — თედოსია ივანეს ასულ მილოსლავსკაიასა და არჩილის ორი უმცროსი ვაჟის დავითისა და მამუკას ნეშტები.

პეტრე დიდი იმდენად აფასებდა ალექსანდრე არჩილის ძეს, რომ მას ტყვეობაშიც შეუნარჩუნა გენერალ-ფელდუიხმეისტერის წოდება, რის გამოც მას როგორც მამულის მქონე გენერალს,

⁵⁰ Устрялов, Н. И. История царствования Петра Великого, т. IV, гл. 571.

⁵¹ Устрялов Н. И. — ნაწ. I, გვ. 64, 57.

⁵² ალექსანდრე არჩილის ძეს დასაფლავების ადგილის შესახებ მ. დ. ხმაროვი თავის სტატიაში — I-ый Генераль-Фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский..., რომელიც მან 1866 წელს არტილერიის ეტრნალის № 1-ში გამოაქვეყნა მე-57-ე გვერდზე შეცდომით წერს: «Кости царевича Александра злобно невыданные шведями, — навсегда, — остались в чужой земле далекой от родной царевичу Грузии».

⁵³ Эсадзе, С. Б., Первый генерал-фельдцейхмейстер русской Артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчилович», СПб., 1913 г., стр. 28.

⁴⁷ Устрялов, Н. И. — დასახელებული ნაშრომი, ტ. IV, ნაწ. II, დანართი № 2, § 45, გვ. 445.

⁴⁸ იქვე, ნაწ. I, გვ. 64, Хмыров М. Д. — დასახ. ნაშრომი, გვ. 55-56.

⁴⁹ Устрялов, Н. И. ტ. IV, ნაწ. I, გვ. 66.



ტყვეობაში ყოფნის დროსაც ენახებოდა ჯამაგირის ნახევარი — 700 მანეთი წელიწადში⁵⁴.

პეტრე დიდი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეხსნა ტყვეობაში მყოფი ალექსანდრე არჩილის ძე და რაც შეეძლო ზრუნვა-პატრონობას არ აკლებდა. გენერალ-ფელდციხმეისტერას წოდებაც სიკვდილამდე შეუნარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტყვედ ჩავარდნის დღიდან გენერალ-ფელდციხმეისტერის მოვალეობას 1703 წლამდე, ანდრეი ანდრეას ძე ეინიუსი ასრულებდა.

1703 წელს ა. ეინიუსი გაათავისუფლა პეტრე დიდმა უხვირო მუშაობისათვის. ამ წლიდან არტილერიის ხელმძღვანელობა ნოვგოროდის გუბერნატორს — იაკობ ვილიმონის ძე ბრიუსს დაევალა. წოდება გენერალ-ფელდციხმეისტერისა კი პეტრე დიდმა 1711 წლამდე, ე. ი. სიკვდილამდე შეუნარჩუნა ალექსანდრე არჩილის ძეს. როგორც ჩანს, არასწორია ნ. ნადიბაიძის აზრი, რომ „სიკვდილის უკანასკნელ დღემდე

ალექსანდრე არჩილის ძე ითვლებოდა არტილერიის გენერალ-ფელდციხმეისტერად, ხედავად იმისა, რომ 1700 წლიდან იმყოფებოდა ტყვეობაში“⁵⁵.

მეფე არჩილს მესამე ვაჟის — გვარის გამგრობი მიემკვიდრის გარდაცვალებასთან ერთად დაეკარგა საქართველოში დაბრუნების იმედიც. სამშობლოდან შორს გადახეწილი არჩილისათვის აუწყრელი უბედურება იყო სამივე ვაჟის — ლავითის, მამუქას და ალექსანდრეს გარდაცვალება. აღარ ჰყავდა მემკვიდრე, რომელიც გვარს ატარებდა და თავის მემკვიდრეებს გადასცემდა. მას დარჩა მხოლოდ უკანასკნელი ვაჟის — ალექსანდრეს გარდაცვალებით უსაზღვროდ დამწყურებული მეუღლე ქეთევანი და ერთადერთი ასული დარეჯანი. არჩილს უნდოდა თავისი ასული რომელიმე დიდგვაროვან პირზე გაეთხოვებინა და ამით თავისი მემკვიდრისათვის (ასულის ხაზით) საქართველოზე გამგებლობის უფლება შეენარჩუნებინა.

⁵⁴ Полное собр. законов Российской империи, т. IV, № 2335.

⁵⁵ ნ. ნადიბაიძე — ალექსანდრე ბატონიშვილი, ე. „ცისკარი“, № 2, 1971 წ.



ანდრია ავაქიძე

ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები

ო. ლორთქიფანიძის რეცენზიის გაშო

„ცისკრის“ 1971 წლის მეათე ნომერში გამოქვეყნდა პროფ. ო. ლორთქიფანიძის კრიტიკული წერილი „საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს“. წერილი ეხება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომს, სახელდობრ, მის XV თავს, რომლის სათაურია „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა“.

ყურადღებას იქცევს რეცენზიის არააკადემიური ტონი და მთელი წიგნის ხელაღებით ნეგატიური შეფასება. ეს დასაწინაა, რადგან ამ 800 გვერდიანი წიგნის ვაცნობამ არ შეიძლება ცხადი არ ვახადოს ავტორთა კოლექტივის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის თვალსაჩინო ნაყოფი, ქართული ისტორიოგრაფიის წარმატებისა და წინსვლის შეჯიფო მაჩვენებელი. არქეოლოგ ო. ლორთქიფანიძეს მოეთხოვებოდა ეთქვა „ცისკრის“ მკითხველთათვის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად „ნარკვევების“ I ტომშია მოტანილი უმთავრესად პირველხარისხიანი არქეოლოგიური მასალა, უძველესი და ძველი ისტორიის საყვანძო საკითხების უფრო სრულად გასაშუქებლად: აქ ასევე უხვად, თანაც ასეთი მასშტაბით პირველად, არის გამოყენებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები, ხშირად სრულიად ახლებური შეხედულებანი სხვადასხვა პრობლემაზე და საკითხზე. ეს შედეგები საბჭოურ ხანაშია მიღებული, მაგრამ მეტიწილად სპეციალურ ნაშრომებში იყო გამოტყველებილი და, ამის გამოც, მკითხველთა ფართო წრისათვის ყოველთვის როდი იყო ხელმისაწვდომი. ახლა კი, როდესაც ყველაფერი ეს განსახილველ წიგნში აისახა, კვლევის შედეგები უკეთ გამოჩნდა და არქეოლოგია საკმაოდ თამამად ამოიყვანა გვერდით ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ. ეს პირველი, თანაც აუცილებელი და მომწიფებული ცდა უნაკლო არ იქნება, მაგრამ ამის

მომიზღვრებით ბეჯითად წამოწყებული საქმის დეზორგანიზაციის ცდა დანაშაული იქნებოდა. სამწუხაროდ, ასეთი განწყობილება აშკარად ჩანდა „ნარკვევების“ განხილვისას ზოგიერთი ოპონენტის სიტყვაში და შევ ზოლად ვასდევს ო. ლორთქიფანიძის წერილს. აი, რას წერდა „ნარკვევების“ საყარო განხილვის შესახებ პროფ. იოსებ მეგრელიძე: „დასახელებული I და V ტომების“ სამდლიანი გარჩევა, რომელიც ა. წლის 27-28 მაისსა და I ივნისს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა, ტენდენციური იყო იმ მხრივ, რომ აქ წიგნთა მხოლოდ ნაკლოვანებებსა და ჩრდილოვან მხარეებზე ლაპარაკობდნენ. დასახელებული I ტომი კი უმკველად წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ისტორიის შესწავლაში... ტომში მრავალი ახალი ფაქტი, მათი სწორი გაშუქებისა და ძველი დებულებების ახლებურად გააზრების ცდებია მოცემული. ყოველივე ამის არდაწახვა და მხოლოდ ნაკლოვანებებზე ლაპარაკი უმაღლრობა იქნებოდა“ („წიგნის სამყარო“, № 13, 1971, 14. VII). ვინ დიფერებს, რომ მიუდგომელმა რეცენზენტმა, მით უფრო სპეციალისტმა, აბსოლუტურად ვერაფერი დადებითი ვერ ნახა მთელს წიგნში იმისათვის, რომ ორიოდ შესაფერისი სიტყვა წამოედგინოდა. „უჩვენოლ რად იმდერეთო“ — ესაა, რამაც გამოიწვია დაუმსახურებელი გულისწყრომა და გადაწყდა „ნარკვევების“ I ტომთან ანგარიშის გასწორება.

ახლა უნდა ვნახოთ, რა ღირებებისაა შენიშვნები იმ საკითხებზე, რომლებშიაც თავისი მეცნიერული ინტერესების გამო „ჩახედული“ ყოფილა რეცენზენტი:

1. არ არის სამართლიანი საყვედური, თითქოს განსაზღვრული წიგნის ეს ნაწილი ახალს არაფერს შეიცავს. ახლისა და საკითხების ახ-



ლებურად გაშუქების მავალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ წერიას ავტორთა კოლექტივის წინაშე არ მდგარა ამოცანა ეწერათ **მხოლოდ ახალი**. ამასთანავე, უბრეცედენტო იქნებოდა „მრავალტომეულს“ რედაქციას ავტორებისათვის ავტორ-ძალა საკუთარი ნაშრომების მითითება და თუნდაც სიტყვასიტყვით გამეორება თვალსაზრისისა და დებულებისა, რომლებიც შემუშავებულია წლების მანძილზე მიმდინარე კვლევა-ძიების შედეგად და გამოქვეყნებულია ავტორალურ მონოგრაფიებში ან სამეცნიერო ორგანოებში. ამასთანავე, როგორც წესი, მითითებულ ნაშრომებში მკითხველი ნახავს უფრო სრულ ბიბლიოგრაფიასაც. საკითხავია როდის აქვთ ავტორ-ძალათ ავტორებს საკუთარი ნაშრომების მითითება?

2. არ ამბობს მართალს ო. ლორთქიფანიძე, როდესაც წერს, თითქოს ძალიან მკრთალად იყოს განხილული კოლხური კულტურა და მხოლოდ გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლით ვიფარგლებოდე („ციცქარია“, 10, გვ. 145). „საქმეში ჩახედულ“ მეცნიერს ადვილად უნდა შეენიშნა, რომ მე არა ვარ მომხრე ანტიკური ხანის საქართველო კულტურულად დანაწილებულ წარმოდგენით და ამ გზით ისტორიული სიმართლე დავამახინჯოთ. შესაბამისად, „ნარკვევებში“ ცალკადაც არ არის განხილული „ქართლური“, „კოლხური“, „კახური“, „მესხური“, „სვანური“ და სხვ. კულტურები. ჩემს ადრინდელ ნაწერებშიც და „ნარკვევებშიც“ ანტიკური ხანის საქართველოში ერთიანი ქართული კულტურის არსებობას ვეხდავ და ვედილობ მეიხველსაც ვუჩვენო. „ნარკვევების“ 782-783 გვერდებზე გადმოცემულია ავტორის შესაბამისი კონკრეტული, ხოლო XV თავის თითქმის ყოველ გვერდზე ილუსტრირებულია ის ნივთიერი ძეგლებით; ნახევრებია ის უამხასიათებელი, რაც ადასტურებს ანტიკური ხანის კულტურულ ერთიანობას და არა ის გამოწყობისებრი, ვინ იცის, რა სპეციფიკური და უაღრესად ლოკალური ვარემოებებით შეპირბებებული, რაც, ერთის შეხედვით, ერთიგორებს უპირისპირებს საქართველოს ისტორიულ პროვინციებს წინაფეოდალურ ხანაში.

ამასთანავე, მკითხველს არ დასჭირდება დიდი შრომა იმისათვის, რომ ნახოს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლთა აღმოჩენის ადგილებიცა და, საჭირო შემთხვევაში, მათი აღწერილობაც კი, თუ ის აუცილებლად მიიხინია „ნარკვევების“ ავტორში. ამის ილუსტრირებას ათეული გვერდების გადმოწერა დასჭირდებოდა, ხოლო ამის შესაძლებლობა ახლა არ არის.

3. არ არის მართალი, თითქოს „არსებითად სამარბთა ყველა ტიპი მცხეთის არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვითაა განსაზღვრული.

ამასთან ძე. წ. V-IV სს. კოლხეთის... თვის დამახასიათებელ სამარბებს... თა ზოგიერთი სახეობაც კი... ხის სარკოფაგები) არაა ცალკე გამოყოფილი და ისინი მცხეთის მავალითზე ადრე შემუშავებულ სქემასთანაა შიტმასნილი“ („ციცქარია“, 10, გვ. 146). ენახოთ ფაქტები: ა) „ნარკვევებში“ XV თავის მეორე პარაგრაფი დაწერილია საერთოდ საქართველოდან ჩემთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი მასალების მიხედვით. ცხადია, ზოგი პუნქტი ვრცლად არის დახასიათებული, ზოგი კი — მხოლოდ ნახსენებია. მე არ შევალბოვდი, და „ნარკვევებში“ არც შემქლო გამეკეთებინა, საქართველოში აღმოჩენილი ყველა სამარხის აღწერა. საოცარია, მაინც როგორ მოახერხა და მცხეთის მასალების მეტი ვერაფერი ნახა რეცენზენტმა „ნარკვევების“ 683-708 გვერდებზე? ამას ხომ შეიძლება მოჰყვეს „ციცქარის“ მკითხველის დეზინფორმირება? რეცენზიტიდან მოტანილი ამონაწერის მიხედვით მკითხველმა იქნებ ირწმუნა, რომ ძე. წ. V-IV სს. კოლხეთისათვის სამარბთა დამახასიათებელ სახეობას წარმოადგენდნენ ხის სარკოფაგები! კატეგორიულად აღენიშნავე, რომ კოლხეთში დღემდე ძე. წ. V-IV სს. არც ერთი „ხის სარკოფაგი“ არ არის აღმოჩენილი; არ არის ნაპოვნი ხის სარკოფაგის მცირე, ოდნავ შესამჩნევი ფრაგმენტებიც კი. რეცენზენტი აცხადებს, რომ 1961 და 1969 წლების ვანის მდიდრულ სამარბებში აღმოჩნდაო ხის სარკოფაგები. ვერ ერთობ, რომე დავუშვავთ ამ ორ შემთხვევაში ხის სარკოფაგების აღმოჩენა, ამის საფუძველზე არ შეიძლება ხის სარკოფაგები ძე. წ. V-IV სს. კოლხეთისთვის დამახასიათებლად მივიჩნიოთ. 1961 წლის სამარხის ნინო ხოშტარიაშვილმა გათხარა და გამოაქვეყნა 1962 წელს. ირას წერდა აწ განსვენებული მეცნიერი:

«Для погребения в скале была вырезана прямоугольная камера на глубине около 1,5 м, со сторонами длинной более 3 м. Сверху, как устанавливается, погребение имело деревянное перекрытие, от которого сохранились в большом количестве крупные гвозди. Над деревянным перекрытием насыпан был холм из крупных валунов... «Дно погребальной камеры было устлано цыновкой».

(„კავასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, II, გვ. 68-69). როგორც ვხედავთ, ნინო ხოშტარიაშვილმა ვარაუდობს არ გამოუთქვამს ხის სარკოფაგის არსებობის თაობაზე. მაშ, რის საფუძველზე უნდა დავუჭეროთ ჩვენ რეცენზენტს? რა

ანდრია ახაქიძე

ანტიკური ხანის საქართველოს კულტური, საქმთხმბი.



უფლებით არწმუნებს „ციცკარის“ მკითხველს ნინო ხოშტარის 1961 წელს ვანში ხის სარკოფაგი აღმოაჩინაო? 30 სმ სიგრძის რკინის ლურსმნების მიხედვითი? ანა, ნ. ხოშტარია ასე არ ფიქრობდა. არც 1969 წელს აღმოჩენილა ვანში ხის სარკოფაგი, თუმცა, რეცენზენტს კატეგორიულად აცხადებს, აქ საქმე გვაქვს ხის სარკოფაგთან, რომელიც კლდოვან დედაქანში ნაკეთ ბუდეშია ჩასმული“ („ციცკარი“, 10, გვ. 146). საფუძველი? — ისევ დიდი ლურსმნები. ძალიან ფრთხილ ვარაუდსაც კი, როგორც ყველგვარ ვარაუდს, მით უფრო კატეგორიულ განცხადებას, მართლაც, რაღაც საფუძველი ხომ უნდა ჰქონდეს. ასეთ საფუძველს ამ შემთხვევაში დიდი ლურსმნები არ შეიძლება წარმოადგენდეს. იმას ხომ მაინც უნდა გავწიოს ანგარიში, რომ ძვ. წ. V-IV სს. ხის სარკოფაგების შესაყრავად რკინის და, საერთოდ ლითონის ლურსმნები, როგორც წესი, არ გამოიყენებოდა არც ერთ ქვეყანაში.

მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს, რომ როდესაც ჩვენ „ნარკვევებს“ ვწერდით 1961 წლის მდიდრულ სამარხს ვგულისხმობდი და ამიტომ კოლხეთში ხის სარკოფაგების გავრცელების შესახებ ვერაფერს ვიტყვოდი და დავწერე ის, რაც აღმოჩნდა: ა) „ადრეანტიკური ხანის სამარხთაგან, როგორც ჩანს, საინტერესოა ვანში 1961 და 1969 წლებში აღმოჩენილი სამარხები, რომლებიც თირში ამოკვეთილი დიდი ორმოთი და მათ თავზე ამართული პატარა მიწაყრილით გამოირჩეოდა“ („ნარკვევები“, 1, გვ. 685); ბ) „როგორც ცნობილია, თირში ამოკვეთილი ადრეანტიკური ხანისათვის უჩვეულო ზომის ორმოში (3X3X1,5) და მასში დაფენილ კილოფზე აღმოჩნდა მეფური დილდები დაკრძალული ახალგაზრდა (დაახლოებით 25 წლის) ქალი. ორმო ხით ყოფილა გადახურული, ხოლო მის ზემოთ მიწისა და რიყის ქვის ზეინული — გორა აღუმართავთ. ერთი სიტყვით, ფრიად წარჩინებული წრის წარმომადგენლის დასაყრძალვად ამართული გვირასამარხი (ყორანი) აღუენებიათ“ (ივე, გვ. 686). ყველაფერი ეს რეცენზენტმა დაუმალა მკითხველს და მიაწოდა მას კონტექსტიდან ამოგლეჯილი სიტყვები.

ამრავალ „ნარკვევებში“ სწორად აოის დახასიათებულ ვანის 1961 და 1969 წლების სამარხები; იქ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის არ არსებული და ჭერჯერობით აღმოუჩენელი ხის სარკოფაგების შესახებ; სწორია, რომ რეცენზენტის მიერ აკვირებულ ხის სარკოფაგები არ მიიჩნევიან ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთისათვის დამახასიათებლად.

როგორც ვხედავთ, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც „ნარკვევების“ ავტორს სრულიად დაუშვასურებლად ჰკიცხავენ და შეუდომამა შეკყავთ ეტრნალის მკითხველები.

დასანანი, რომ ო. ლორთქიფანიძეს ვანის მდიდრულ სამარხთა აღწავლაზე ვერაფერს ვხედავთ, მათი სახეები უფრო დაუდგენლობისაა, ვიდრე გუთუვალისწინებია, რომ ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთისათვის ხის სარკოფაგები საერთოდ დამახასიათებელი არ ყოფილა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ 1969 წლის მდიდრულ სამარხის ორმოს განაზომებში და მისი დასაყრდენი ბუდე და სამივეჯერ სხვადასხვაგვარად.

4. არ არის მართალი, თითქოს „ნარკვევების“ მკითხველს ექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ სამარხის ესა თუ ის სახეობა თანაბრად იყოს დამახასიათებელი მთელი საქართველოსთვის („ციცკარი“, 10, გვ. 146). მოკლედ ვაჭკებთ: ა) ქვის სარკოფაგების შესახებ საუბრებისას „ნარკვევებში“ ნათქვამია: „მთლიანად შეერთი ქვის სამარხები — სარკოფაგები საერთოდ ცოტაა საქართველოში აღმოჩენილი; სახელდობრ: ხუთი — მცხეთაში, ერთი — დიღომში და რამდენიმე — ვანში“ („ნარკვევები“, გვ. 695). როგორც ვხედავთ, ქვის სარკოფაგები საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის ერთნაირად დამახასიათებლად არ მიიჩნევიან და სამარხთა ამ სახეობის „გეოგრაფიული გავრცელების არეალიც“ ზუსტად მაქვს მითითებული.

ბ) ქვევრსამარხთა დახასიათებისას ნათქვამი მაქვს შემდეგი: „უძველესი ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ბორი, ბანაშ, ქუთაისი, ცხაქაის ახალსოფელი, ნოსარი, და სხვ.). აქ ამ სხვის სამარხები ძვ. წ. VI-V საუკუნეებდან ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები ვრცელდება უფრო გვიან, ძვ. წ. III ს. შემდეგ (მცხეთა — ზემოდავლი, ურბნისი, კავთისხევი, თბილისი, საგარეჯო, თელავი, მაჩხაბი, წითელწყარო, მუტუხანი, არკნეთი). მაგრამ მითითებულ უფრო ადრინდელ ქვევრსამარხებს თეთრწყაროში; ისინი თითქოს VI-V სს უნდა მიეკუთვნონ, თუმცა ამ ქვევრსამარხთა თარიღად შემოთავაზებულია, აგრეთვე, ხანა არაფარტეს ძვ. წ. IV საუკუნისა; თუნდაც ეს უკანასკნელი თარიღი აღმოსავლეთ საქართველოსთვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ თითქმის ორი საუკუნით უსწრებს მცხეთა—სამთავროს უძველეს ქვევრსამარხებს და საინტერესო პერსპექტივებს სახავს ადრეანტიკური ხანის პირველ საფეხურზე მისი გავრცელების შესასწავლად“ („ნარკვევები“, 1, გვ. 691-692). აქ ძალიან კარგად ჩანს, რომ მე საქართველოში ქვევრსამარხთა „გეოგრაფიული გავრცელების არეალიც“ მკაფიოდ მაქვს აღნიშნული და მათი ქრონოლოგიური გავრცელებაც თავთავის ადგილას მიწერია. ქვევრსამარხები საქართველოსთვის საერთოდ დამახასიათებლად რომ მიიჩნევიან, არ დამაქირებლად ბოდა ცალკე დასავლეთ საქართველოზე სა-



უბარო, ცალკე — აღმოსავლეთ საქართველოზე და აღმოჩენის ადგილების ჩამოთვლაც სრულიად ზედმეტი იქნებოდა.

5. არ ამბობს მართლს ო. ლორთქიფანიძე ქვევრსამარხთა თარიღის საკითხზეც. „ნარკვევების“ 691-693 გვერდებზე მკითხველს ვაცნობებ, რომ ძვ. წ. VI-V სს მიაკუთვნებდნენ არქეოლოგები (ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია, გ. ლომთათიძე და სხვ.) დასავლეთ საქართველოს ქვევრსამარხთა უძველეს ჯგუფს. „ნარკვევების“ საგარო განხილვისას მიღებული პასუხის შემდეგ ო. ლორთქიფანიძე იძულებული გახდა არა რეცენზიაში ჩამატებინა და განეცხადებინა, რომ „ამ ტრადიციულ თარიღს (ბ. კუფტინის და ნ. ხოშტარიას მიერ 30-იან წლებში წინასწარი ვარაუდის სახით გამოთქმულს) უყოყმანოდ ეიზიარებდით თითქმის ყველანი (მათ შორის ამ სტრატეგების ავტორიც), მაგრამ სათანადო არქეოლოგიური მასალის გაცნობის შემდეგ... გამოთქვით მოსაზრება, რომ ქვევრსამარხები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. IV-III სს.-ებიდან უნდა ერკვეოდებოდა და იგი ისტორიული კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონებში შესხთა ტომების საყოლიონიაციო მოძრაობას დავუკავშირეთ! („ციცქარია“, 10, გვ. 153). აქ რამდენიმე მომენტია საყურადღებო: ა) რეცენზენტის მოგონილია, თითქმის ბ. კუფტინის და ნ. ხოშტარიას მხოლოდ „წინასწარი ვარაუდი“ გამოეთქვათ; ბ) რეცენზენტი არა მარტო უყოყმანოდ იზიარებდა არამედ, სწორედ მან დასაბუთების ვარაუდს მიაკუთვნა მალაქის ქვევრსამარხი ძვ. წ. VI საუკუნეს (ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 42). მის ნაშრომზე დაყრდნობით 1971 წელს გამოსულ კრებულშიაც ძვ. წ. VI საუკუნით ათარიღებენ მალაქის ქვევრსამარხს („ქეთაისის — ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის მასალები“, 1971, გვ. 23);

რეცენზენტის ვარაუდი არც მიმჩნედა (და სათანადო დასაბუთებამდე, ვერც მივიჩნევ) იმის ღირსად, რომ „ნარკვევების“ ტიპის ნაშრომში ამესახა. ვარაუდს ხომ საფუძველი უნდა — გამოქვეყნდეს ახლადაღმოჩენილი კომპლექსები და მერე ვნახოთ!

6. იმისათვის, რომ რეცენზენტის მიერ მეთუენობის საკითხზე ატეხილი ხმაურის შეფასება შეეძლო, საჭიროა „ნარკვევების“ 746-749 გვერდები მთლიანად გადმოვიწერო, მაგრამ ამის შესაძლებლობა ახლა არ არის და იმედი უნდა ვიქონიო, რომ „ციცქარია“ მკითხველი ამ ადგილს თვითონ გაეცნობა. მე მხოლოდ ზოგ მომენტს მივაქცევ ყურადღებას: ა) მე ვწერ: „ამ დროს“ შინაგანმარხის თიხის ჭურჭელი შემკულობით, მოყვანილობითა და მრავალსახეობით მკაფიოდ გამოირჩევა „წინა ხანის“ ჭურჭლისაგან (გვ. 746). ვერ მიხვდარა რეცენზენტი სახელდობრ რა ხანა ეს. ამასაც კითხვა

უნდოდა და გაკვირვება? ანტიკური ხანის კულტურაზე საუბარი ამ პარაგრაფშია ცხარე და ნაზანა? რაღაო? ესეც უნდა იცოდეს მკითხველი. წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, თუ რა რიგ მრავალფეროვანი, უხვად შემკული და მაღალმატრეულია გვიანბრინჯაო — აღრეკონის ხანის, ვანსაკუთრებით კი ძვ. XI-VII საუკუნეების ქართული კერამიკა. ბ) „ნარკვევების“ 746-ე გვერდზე ნათქვამია, რომ ანტიკური ხანაში გამარტივებულია ფორმები, თითქმის გაქარალია შემკულობა და ჩვეულებრივ სამკაულად არის ქცეული ფოსფები, კოპები, ყელზე რელიეფური ზოლი. ამის უშუალოდ მოსდევს ერთი მაგალითი. მე ვწერ: „სამკაულის მრავალფეროვნებას ვერ ვხედავთ ალაზნის ველზე და ც კი, სადაც წელთაღრიცხვათა მიწაზე გავრცელებულია ამიერკავკასიის შუა და აღმოსავლეთ ნაწილისათვის დამახასიათებელი კერამიკა... ალაზნის ველზე შემკულობით სიღარიბეს თითქმის მოხდენილად სტილიზებული მოყვანილობა და ბრწყინვალე გაბრალბეცვლის“ („ნარკვევები“, I, გვ. 746). ყელთაღრი სწორად არის ნათქვამი. საჭირო იყო მხოლოდ „ნარკვევების“ გულდადებით წაკითხვა! საჭირო იყო ყურადღება მიექცოდა გამოთქმას „ალაზნის ველზე და ც კი“. ამით ვაცნობე მკითხველს, რომ წელთაღრიცხვათა მიწაზე სხვაზე უფრო მედიარულია, მრავალსახიანია ალაზნის ველის კერამიკა, მაგრამ სამკაულის მრავალფეროვნებას იქაც ვერ ვხედავთ. არ არის სწორი მისი შემდეგი განცხადება: „ამის შემდეგ აღწერილია ე. წ. ალაზნის ველის კერამიკა (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.). მაგრამ ეს კერამიკა ხომ სრულიადაც არ არის ტიპური ანტიკური ხანის საქართველოს მეთუენობისთვის?“ („ციცქარია“, 10, გვ. 146). მითითებულ ადგილას არ არის აღწერილი კერამიკა და არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმაზე, თითქმის ის ტიპური იყო ანტიკური ხანის საქართველოს მეთუენობისთვის. მე ხომ სიტყვასიტყვით მიწერია: „ალაზნის ველის კერამიკის მიხედვით მთელი არ არის წარმოვიდგინოთ შინაგანმარხის თიხის ჭურჭლის კეთების შემდგომი დაწინაურება, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რეგიონის თემების მიმართ არ ითქმის“ („ნარკვევები“, I, გვ. 746). ესაა, ალაზნის ველის კერამიკის ანტიკური ხანის საქართველოს მეთუენობისთვის დამახასიათებლად და ტიპურად მიიჩნევის? ამასთანავე, უთუოდ ვასათვალისწინებელია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ე. წ. კოლხურ და კოლხეთის კერამიკას შესაფერისი ადგილი უნდა დათმობოდა, მაგრამ

ანდრია ავაქიძე
ანტიკური ხანის სამართველოს კულტურისა და ისტორიის.

ამის გამო, არ უნდა დავამახინოთ ის, რაც ამ პარაგრაფშია ნათქვამი.

7. ო. ლორთქიფანიძის ხერხი ამოვლიჯოს კონტექსტიდან, წინადადებებიდანც კი, ერთი ნაწილი და ამ გზით ელამ სარკეში წარმოადგინოს „ნარკვევები“ დამახასიათებელია მთელი მისი რეცენზიისათვის. ამჯერად სამიხუნდ „ნარკვევების“ 686-ე გვერდია შერჩეული, სახელდობრ, შემდეგი: „საერთო იერით ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნივთები ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეკუთვნება და ძე. წ. VI-V საუკუნით თარიღდება“ — ამ „ნარკვევების“ 686-ე გვერდზე მძიმეა დასმული, ხოლო შემდეგ გრძელდება არსებითი ხასიათის სუბარბი, მაგრამ რეცენზენტმა „შემისწორა“, მოტანილ ამონაწერში მძიმის მაგიერ წერტილი დასვა და „ციცკრის“ მკითხველს დასრულებულად დაუხაზა ჩემი აზრი, ჩემი წინადადება, თუმცა თვითონ კარგად იცოდა, რომ ჩემს მიერ დასმულ მძიმეს მოსდევს სიტყვა „მაგრამ“. ამ „ოპერაციას“ რეცენზენტმა მოაყოლა მძიმე ბრალდება, თითქოს ვანის მდიდრული სამარხების ოქროს ნივთები ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრეს მიეკუთვნენ: „საქმე ისაა, რომ — ბრძანებს რეცენზენტი — 1969 წ. გათხრილ წარჩინებული კოლხის ქალის სამარხში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის 1600 მეტი ნიმუშიდან არც ერთი არაა აქემენიდური იერისა“ („ციცკარი“, 10, გვ. 147). რა თქმა უნდა, ამ ბრალდებაში სიმაართლის ნატამალიც არ არის. „ნარკვევების“ 686-ე გვერდზე საუბარია მხოლოდ და მხოლოდ 1961 წელს გათხრილ სამარხზე და ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები 1969 წელს აღმოჩენილი მასალა. ამიტომ, რომ „ნარკვევების“ 686-ე გვერდზე რეცენზენტის მიერ ნახსენები ოქრომჭედლობის 1600-ზე მეტი ნიმუშიდან 1969 წელს რომ აღმოჩენილა, არც ერთი ნივთი არ არის ნახსენები. ამიტომ, რომ ამ გვერდზე თითქმის ყოველი წინადადების შემდეგ (ნახევარ გვერდზე ექვსჯერ) მითითებულია ნინო ხოშტარიას ნაწერები და მოკლე არის ჩამოთვლილი 1961 წელს აღმოჩენილი ნივთთა ერთი, უმნიშვნელოვანესი ნაწილიც კი. როგორც ვხედავთ, „ნარკვევების“ 686-ე გვერდზე მე საუბარი მაქვს ვანის 1961 წლის მდიდრული სამარხის ინვენტარზე; რეცენზენტი კი კორიანტელს აყენებს 1969 წელს აღმოჩენილი სამარხის ვარშემო. სხვადასხვა სამარხებზე, სხვადასხვა ნივთებზე და სხვადასხვა საკითხებზე ვწერთ ჩვენ. იმის განსჯა თუ რა ჰქვია ამას, მკითხველისთვის მიმინდვი!

ახლა გავიყნოთ კონტექსტი და შესაბამისი დასკვნა „ციცკრის“ მკითხველებმა თვითონ გააკეთონ:

„საერთო იერით ვანის მდიდრული სამარხის ოქროს ნივთები ე. წ. აქემენიდური ხე-

ლოვნების წრეს მიეკუთვნება, და ძე. წ. V საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ აღმოჩენილი მასალაში ბევრი მნიშვნელოვანი სიახლეც ჩანს. მავალითა მითითებები ოქროს ზოდის აღმოჩენას და ამას იმის მარჯვენადად მიიჩნევენ, რომ, შესაძლოა, ოქროს ნივთები ადგილობრივ იყოს დამზადებული: აქვეა რკინის¹ შუბლსამკაული და სმაჟური, რომლებიც ოქროსას იმორბევენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ოქროს სხვიანა საყურები, რომლებიც ჭრჭერობით მხოლოდ საქართველოშია (ბორი, ფიჭვნარი, ჭითაწყარი, მთისძირი, სოხუმი, წინწყარო, ყაზბეგი, ბეშთაშენი, იკოთი, ბრილი) ცნობილი. ეს საყურები მეტ-ნაკლებად რთული აღნაგობისა და ბაჭალო ოქროსაგან (ბრილი, ვანი), ელექტრუმისა და ბრინჯაოსაგან (ბრილი) არის დამზადებული. წინასწარ შესწავლისას შემჩნეული ეს სიახლენი ((ხაზგასმულია „ნარკვევების“ — ა. ა.) იმას უნდა გვიხსნიდნენ, თუ რად ეუწოდებთ ზემოთ ი. წ. აქემენიდური ხელოვნების წრის ნივთები“ ვანის მდიდრულ სამარხულ მასალას. ეს სიახლენი აძლიერებენ აღმოჩენილი ნივთების ადგილობრივ და მზადების მტკიცების საფუძველს“ („ნარკვევები“, გვ. 686-687) აი, რა მოვასხენე განსახილველ წიგნში „ნარკვევების“ მკითხველებს. ამჯერად მხოლოდ საერთო იერზე შემეძლო წინასწარი საუბარი და არა მის მთლიანად უცხოურობაზე ან მთლიანად კოლხურობაზე.

საჭიროა რეცენზენტსაც კარგად ახსოვდეს აქად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი ვაფრთხილება: „ამ თუ იმ არქეოლოგიური ფაქტის ქართულად გამოცხადება მართო იმის გამო, რომ ის აწინდელი საქართველოს მიწის წიაღშია მოპოვებული, ვერაფერი მეცნიერებაა. ეს ან გულუბრყვილო კეთილმოუსურნეობის ნაყოფი შეიძლება იყოს, ან დაბალი თვალთმაქცობისა და საბჭოური მეცნიერებასთან მას საერთო არაფერი აქვს. საჭიროა მეცნიერული დასაბუთება იმისა, რომ ეს ფაქტი ქართველი ხალხის წარსულის მოწმობაა“ („შრომები“, V, გვ. 74).

ამის გამო ვარჩიე მე „ნარკვევების“ წერისას სიფრთხილი ოქრომჭედლობის ძეგლების მატერულ-სტილისტიკური თვალსაზრისით სპეციალურ გამოკვლევათა გამოქვეყნებამდე. და მკითხველს მოკლე ინფორმაცია შევთავაზე 1969 წლის აღმოჩენების შესახებ. სულ არარას ეს ვაეჭობანე. ამრიგად, „ნარკვევებში“ გადმოცემული პირნიკიპული ოპოზიცია სწორია და სასაყვედურო ამ მხრივაც არაფერი აქვს XV თავის ავტორს.

მ. არ ამბობს მართალს ო. ლორთქიფანიძე, როდესაც იწუნებს ე. წ. აქემენიდური ხელოვნების ჩემთვის ინტერპრეტაციას“ და თავს ესხმის „ნარკვევების“

¹ ვერცხლის უნდა იყოს.



687-ე გვერდს. ამ ყურადღება უნდა მიექცეს იმას რომ:

ა) მე მხოლოდ ვარაუდი გამოთქევი (ამას ნიშნავს „ნარკვევებში“ სიტყვა „აღბათი“), რეცენზენტი კი ისეთ სურათს ხატავს თითქოს მე ვამტყუებ და მაინც მაინც ძველ ქართულ ოქრომჭედლოთა მონაწილეობას „აქემენიდური ხელოვნების“ ძველად შექმნაში.

ბ) რეცენზენტი უსამართლოდ ეკეცვა „ნარკვევების“ ავტორს, როდესაც ილაშქრებს აქემენიდური ხელოვნების კონგლომერატული ხასიათის აღიარების წინააღმდეგ: „დღეს სპეციალისტები ლაპარაკობენ ასაკურობი აქემენიდურ ხელოვნებაზე“ ან კიდევ „ბერძნულ-სპარსულ“ და „აღმოსავლურ-ბერძნულ“ ან „ლიდიურ“ თუ „ლიკურ“ ხელოვნების შესახებ და ამ ტერმინებში ვარკვეულ შინაარსს დებენ (ამიტომაც სამწუხარო, რომ განახილველი წიგნიდან ჩვენ სხვა ენაზე ეულაპარაკებით თანამედროვე მეცნიერებას)“. („ცისკარი“, 10, გვ. 148-149). კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა შუაშია „ნარკვევები“? მე ხომ სიტყვა არღამ ამიძრავს ე. წ. აქემენიდური ხელოვნების კონგლომერატული ხასიათის შესახებ. მერედა, რატომ ჰგონია რეცენზენტს, რომ მე ასე ადვილად შევიცვლი შეხედულებას აქემენიდური ხელოვნების შესახებ? ან მეც დიდ სიახლედ მივიჩნევ მის მიერ ახლა „აღმოჩენილ“ ტერმინებს? „ნარკვევებში“ ეს საკითხი არ არის განხილული და ამიტომ უადვილოა რეცენზენტის პრეტენზიები.

„ცისკარის“ მკითხველი ნახავდა, თუ რა რაგ ხმალოვებულ ებრძვის რეცენზენტი გამოთქმას ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრის ნივთები“ და საერთოდ — „აქემენიდურს“. უცნაურია! ნამდვილად უცნაური იმიტომ, რომ ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, ჩემი მოგონილი არ არის — საქვეყნოდ გავრცელებულია და ახლაც მიღებულია: მას იყენებდნენ და იყენებენ ახლაც ყველაზე უფრო ცნობილი სპეციალისტები: ენტი, გოდარი, გვირშმანი, ამანდრი, დეაკონოვი, პიოტროვიცი, მაქსიმოვა, ლუკონინი და ა. შ. განსახილველ „ნარკვევებში“ ნახსენებია ე. წ. აქემენიდური ხელოვნება“ ან ე. წ. აქემენიდური ხელოვნების წრის ნივთები“, ისე, როგორც ის იხსენიება საზოგადოდ და, ცხადია, პირველ რიგში ქართულ ხელოვნებათმცოდნეობისა და არქეოლოგიურ ლიტერატურაში; დაბოლოს—ისე, როგორც ამას ახლაც იყენებს თვით რეცენზენტიც. საილუსტრაციოდ მომაქვს სათანადო ამონაწერები: ა) 1966 წელს რეცენზენტი წერდა: „ადრეანტიკური ხანის კოლხური კულტურის ძეგლები ამ დროს, როგორც ცნობილია, ამკლავებენ კავშირს იმ კულტურულ წრესთან, რომელიც აქემენიდურის სახელითაა ცნობილი“ (შდრ. მისი — „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, გვ. 66);

რეცენზენტმა, შესაძლოა, თავის გამართლებას დასდოს — ეს ხუთიოდე წლის წინ იყო; ახლა „სხვა დონეაო!“ კეთილი, მაგრამ უცნაურ ხოთ 1971 წელს რეცენზენტის მიერ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფების“ პუბლიკაციულ მეცნიერებათა სერიის B I (138) ნომერი გამოქვეყნებული სტატია, სადაც ნათქვამია შემდეგი: ა) „...ერთი შეხედვით თითქოს ექსგავსება აღმოსავლურს, ე. წ. აქემენიდურს“ (გვ. 55), ბ) „აქემენიდურია თითქოს ქურციკი...“ (იქვე); გ) „აქემენიდური ხელოვნების გავლენა თვალსაჩინოდ იგრძნობა ზურგზე განრთხმული ხარის ზოვიერო დეტალში...“ (იქვე); დ) „ლორის ფაფურის გადმოცემა რომელი ხაზებით გვხვდება აქემენიდურ საბუდეებზე“ (იქვე), ე) „აქემენიდური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი და აღარულ-რქიანი თხისა და ქურციკის გამოსახულება“ (იქვე); ზ) «По нашему мнению, ванская золотая диадема и её украшения являются изданием местного мастера, воспитанного на древневосточных художественных традициях, но испытавшего также влияния ахеменидского, а в некоторой степени и поздно-архаического греческого искусства» (იქვე გვ. 61); ალბათ კმარა! რეცენზენტი წერილში ექსკერ არის ნახმარი „აქემენიდური“, „აქემენიდური ხელოვნება“, ისე, რომ არც ერთხელ საქართველო არ მითხრობია რეცენზენტს ამ ტერმინების სათანადო ინტერპრეტაცია. არც რეცენზენტს, არც სხვა ვინმეს არ მოეხოვება განმარტება ამ ტერმინის! საინტერესოა, რომ ლორთქიფანიძე „ნარკვევების“ არც სხვა ნაწილებს ავტორებს უსაყვედურებს მსგავს რამეს, თუმცა შეხედვებოდა და წიგნს წაიკითხავდა მთლიანად. ამის საილუსტრაციოდ მოვიტან ერთ ამონაწერს „ნარკვევების“ I ტომიდან: „დამახასიათებელია, რომ როგორც აღრი-ანტიკური ხანის კოლხეთში (მეგალითად ვანში), ისევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სამარხული ინვენტარის სახით თავს იჩენს მდიდრული სამკაულების კომპლექსი, რომელიც აქემენიდურის ხელოვნების გავლენის ღრმა კვალი ატარებს“ („ნარკვევები“, გვ. 433). ვითომ საიდან იცის რეცენზენტმა რა შინაარსს დებს ავტორი სიტყვებში „აქემენიდური ხელოვნება“? „ამოდგომელ“ რეცენზენტს „ნარკვევების“ ამ ნაწილის მიმართ არა აქვს პრეტენზია; იმიტომ ხომ არა, რომ მას

ანდრია ავაქიძე
ანტიკური ხანის სამართველო სკულპტურის სპეციალისტი

წილად ხვდა „ნარკვევების“ XV თავთან ანგარიშის გასწორება?!

რეცენზენტი აცნობს „ცისკარის“ მკითხველს თავის ახალ „აღმოჩენას“: „საქმე ისაა, რომ შეხედულება აქემენიდურ ხელოვნებაზე, როგორც რაღაც კონკრეტულ კულტურულ რაზე, დღეს უკვე საკმაოდ მოძველებულია“ („ცისკარი“, 10, გვ. 148).

ახლა მოვუსმინოთ მ. დიაკონოვს: 1. «В ахменидское время был создан своеобразный архитектурный стиль, в котором органически переплетались традиции многих народов, населявших державу» (М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961, гл. 121)... 2. «Все эти архитектурные сооружения разных типов свидетельствуют о многочисленных традициях, из которых сложился стиль ахменидского времени. Несомненно, что ахменидское искусство... создавалось руками представителей самых разнородных народов и племен и меньше всего самих персов». (იქვე, გვ. 124).

3. «Необходимо также отметить, что, наряду с указанными выше чертами месопотамского и греческого искусства, для многих памятников ахменидского периода характерны черты, связывающие их с искусством кочевников Азии и восточной Европы, условно называемым в науке «скифами» (იქვე, გვ. 129-130).

4. «Уже и сейчас ясно огромное значение культуры Ахменидской державы для истории народов, населяющих ныне территорию Советского Союза, и ясна та большая роль, которую предки этих народов наряду с самими иранцами и другими народами древнего мира сыграли в сложении той культуры, которую условно называют ахменидской». (იქვე, გვ. 132).

ახლა კი ვნახოთ რა წერია ამ საკითხზე უახლეს, 1971 წლის აგვისტოში გამოცემულ წიგნში: «История Иранского государства и культуры».

1. «Отличающаяся большим своеобразием и единством культура ахменидского Ирана была создана не одними лишь народами самого Ирана, а впитала в себя многое из культурных достижений различных народов, принимавших активное участие в экономической и политической жизни государства. Особенно большую роль играли в этом смысле народы и племена Закавказья

и Средней Азии, а также степных территории к северу от нее. Это объясняется не только непосредственным соседством Средней Азии и Закавказья с Ираном, но и продолжительными и тесными контактами в предахменидский период и особенно многими общими чертами этнокультурного наследия иранских племен, создавших Мидийское и Ахеменидское государства, и племен, обитавших далее к северу вплоть до евразийских степей» (გვ. 5).

2. «Результаты прогрессивного развития, имевшего место в этот период, мы наблюдаем и в Малой Азии и Месопотамии, на территории самого Ирана и северо-западной Индии, в Египте и других странах, входивших в состав Ахеменидского государства.

Богатая и своеобразная культура этих стран являвшаяся прежде всего результатом деятельности их народов, вместе с тем впитала в себя многие лучшие достижения культур других стран и народов, входивших в состав Ахеменидского государства» (იქვე, გვ. 34).

3. «Вместе с тем для трудов многих зарубежных авторов характерна явная или скрытая недооценка культурного вклада многих народов, вошедших в состав государства Ахеменидов (იქვე, გვ. 6).

კომენტარი, მართლაც ზედმეტია. როგორც ვხედავთ, ამ საკითხზე „ნარკვევებში“ გამოთქმულ შეხედულებათა „მოძველების“ შესახებ რეცენზენტის შენიშვნა სასწებით უმართებულა. ამ მხრივ „ნარკვევები“ დგას საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობის 1971 წლის დონეზე. ესაა „მოძველებული“?!? ერთის სიტყვით, არსებითად სხვაგვარად იყო საქმე, ვიდრე რეცენზენტს წარმოუდგენია და არც ისე ხელწამოყრავი ტერმინი ჩანს „აქემენიდური ხელოვნება“. რეცენზენტის მიერ მოტანილი ტერმინები კი არ ცვლიან აქემენიდურს, კი არ უარყოფენ მას, არამედ მხოლოდ ხაზს უსვამენ ე. წ. „აქემენიდური ხელოვნების“ რთულ შედგენილობას და მიუთითებენ იმ ნაკადებს, რომლებიც აქემენიდურმა კულტურამ შეითვისა. მეცნიერების წინსვლის მაჩვენებელი ის კი არ არის, თითქოს, ტერმინი „აქემენიდური ხელოვნება“ ან „აქემენიდური კულტურა“ შეცვალეს „ახალმა ტერმინებმა“, არამედ ის, რომ ახლა უკეთ, უფრო დამაჯერებლად ახერხებენ აქემენიდურ კულტურასა და ხელოვნებაში გამოიყენონ აქ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა ნაკადები. ამჟამად ეს არის უმნიშვნელოვანესი.

9. დათარიღების საკითხზეც რეცენზენტის მიერ გაკეთებული შენიშვნები ჩვეულებრივ

დეკლარაცია. მისი აზრით, „ნარკვევებს“ ეს ნაწილი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას „...არმაზციხე I-ის დათარიღება რაღაც ერთხელ და სამუდამოდ აღიარებულ ქვეშაობრივებად ითვლება და მას უკვე მესმის ათეული წელია ვიფორმებთ ყველა უკლებლად“ („ისიკარი“, 10, გვ. 149). მე არ ვიცი რეცენზენტს გარდა კიდევ ვინ მიიჩნია ჩემს მიერ შემოთავაზებულ თარიღი „სამუდამოდ აღიარებულ ქვეშაობრივებად“; ჩემთვის კი ეს ასე არ არის. ვერ მოხერხდა არმაზციხე I-ის თარიღის დაზუსტება უმთავრესად იმის გამო, რომ აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ (1947) არმაზციხეშიც ისევე, როგორც „დიდ მცხეთაში“, არქეოლოგიური გათხრები აღარ გაგრძელდებულა.

რეცენზენტი არ არის მართალი თითქოს განსახილველ წიგნში „არმაზციხე I“ კიდევ უფრო დაძველებული იყოს („ისიკარი“, 10, გვ. 149). „ნარკვევების“ ამ პარაგრაფში ცდება იმისა, რომ უფრო მკაფიოდ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო მშენებლობის ორი საფეხური: პირველი — აღრინდელი საფეხურია და ძვ. წ. VI-III საუკუნეებს მოიცავს; მეორე — გვიანდელი საფეხურია და მოიცავს ეპოქას ძვ. წ. III საუკუნიდან ახ. წ. III-IV საუკუნეებამდე. რაი მე ვწერდი „ნარკვევების“ ამ ნაწილს, ბუნებრივია, გაგატარე ჩემი თვალსაზრისი, რომელსაც თურმე მესამე კლასიდან იმეორებს რეცენზენტი. აღრინდელ საფეხურისთვის დამახასიათებელია მშენებლობის ის წესი, რომელსაც „არმაზციხე I“ ვუწოდებთ. „არმაზციხე I“-ის ტიპის ნაგებობათა ნაშთები აღმოჩენილია: საყურთი არმაზციხეზე (ზაგინეთზე), წიწამურის სერზე, საკინეში, უფლისციხეში, გორისციხესა და ვანში. ეს ძეგლები ძვ. წ. IV-III საუკუნეებს მიეკუთვნება; თუმცა შენიშნული უფრო ძველი ელიმენტებიც და ამას „არმაზციხე I“-ის თარიღის დაზუსტებისას ანგარიში უნდა გაეწიოს: ა) წიწამურის სერის უძველეს ნაგებობათა მიმართ ეს მე აღნიშნული მაქვს ათიოდ წლის წინ; ბ) ნინო ხოშტარია ვანში მის მიერ გათხრილ „არმაზციხე I“-ის ტიპის ნაგებობის შესახებ წერდა, რომ „პირველი შენობა ძვ. წ. V საუკუნეს ან IV საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის“ („საქართველოს არქეოლოგია“, თბ, 1959, გვ. 234); ე. ი. აშკარად უფრო აღრინდელად მიიჩნევა მას, ვიდრე საყურთი არმაზციხისას, ეს ვარაუდი დასაბუთებულად ჭრჭერობით არავის უარყვია, თვით რეცენზენტსაც კი. პირიქით, სწორედ ო. ლორთქიფანიძე უფრო აძველებდა ვანის ზემოთ მოთითებულ არმაზციხურ ნაგებობებს. ის წერდა, რომ ვანში „უკვე ძვ. წ. VI ს. არაქეთოლოგიურადაა დადასტურებული საქალაქო ცხოვრების დაწინაურება... უკვე ძვ. წ. VI-V სს ვანში ს-

ქალაქო დასახლებების არსებობის მოწმობადაა მიჩნეული „...არმაზციხე I“-ის დათარიღება რაღაც ერთხელ და სამუდამოდ აღიარებულ ქვეშაობრივებად ითვლება და მას უკვე მესმის ათეული წელია ვიფორმებთ ყველა უკლებლად“ („ისიკარი“, 10, გვ. 149). მე არ ვიცი რეცენზენტს გარდა კიდევ ვინ მიიჩნია ჩემს მიერ შემოთავაზებულ თარიღი „სამუდამოდ აღიარებულ ქვეშაობრივებად“; ჩემთვის კი ეს ასე არ არის. ვერ მოხერხდა არმაზციხე I-ის თარიღის დაზუსტება უმთავრესად იმის გამო, რომ აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ (1947) არმაზციხეშიც ისევე, როგორც „დიდ მცხეთაში“, არქეოლოგიური გათხრები აღარ გაგრძელდებულა.

ახლა პროფ. ო. ლორთქიფანიძის სხვა პრეტენზიათა შესახებ. ის წერს: „ასევე არმაზციხე I-ის და, მაშასადამე, თითქოსდა ძვ. წ. VI-III სს-ის ძეგლებს შორის დასახელებულია ვანი (გვ. 714). მართლაც, აქ ბევრი რამაა საერთო: ისეთივე სამშენებლო წესები; ქვათილები და არქიტექტურული დეტალები (ბაზები, კაპიტლები, წნულნი ზუქურთმა); ზოგიერთი შენობის გეგმა, ერთნაირი ზომის აღიზ-აურები და ა. შ. მაგრამ ვანის ნაქალაქარი ხომ კარგადაა სტრატეგიცურული და მისი უმთავრესი ნაგებობანი (არმაზციხე I-ის ანალოგიური) ხომ ძვ. წ. III-I სს განეკუთვნება. სხვას რომ თავი დაეანებოთ, ამ ნაგებობათა საძირკვლების დონეზე დაბლა ფიქსირებული ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებული სამარხები. მათ როგორღა არმაზციხე — და მისთან ერთად ვანის ნაქალაქარი ძვ. წ. VI-III საუკუნეებისა? („ისიკარი“, 10, გვ. 151-152). ამ ამონაწერისეულადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: ა) ვთქვათ ვანის არმაზციხური წყობა, მართლაც, ძვ. წ. III-I საუკუნეებისაა. ასეთ შემთხვევაშიც, ვანში აღმოჩენილ ნაგებობათა ერთი ნაწილი მიწის, როგორც ჩანს, ძვ. წ. III ს. მიეკუთვნება; ე. ი. მე საფუძველი მქონდა სწორედ ეს ნაწილი გამეერთიანებინა ძვ. წ. VI-III საუკუნეების დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელსაც ზემოთაც და, ცხადია, „ნარკვევებშიც“ ძველი საქართველოს საქალაქო მშენებლობის აღრინდელი საფეხური ვუწოდებ. ეს არ შეიძლება სადავო იყოს; ე. ი. რეცენზენტს „ნარკვევების“ მიმართ საყვედურის საფუძველი ამ შემთხვევაშიაც არ მქონდა. ბ) საიდან უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ ვანის ნაქალაქარი კარგადაა სტრატეგიცურული? საგაზეთო ინფორმაციებში და საყურთალო სტატიებში დოკუმენტაცია არ არის. რეცენზენტი დაბეჯითებით მიუთითებს კრებულს „ვანი I“, მაგრამ ეს წიგნი დღესაც არ არის გამოსული და მე როგორ შემეძლო გამეთვალისწინებინა რეცენზენტის ჭერ კიდევ გამოუქვეყნებელი თვალსაზრისი. ან

ანდრია ავაკიძე
ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის
საკითხები.

რა საჭიროა „ციცქარის“ მკითხველისათვის ორ-გზის შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მა-წოდება — აქაოდა „ვანი I“ გამოვიდაო 1971 წელს? („ციცქარი“, 10, გვ. 148, 153).* ვანის ნა-ქალაქარის სტრატეგიათის შესახებ საუბარა ვიწრო არქეოლოგიური საქმიანობა, მაგრამ რაც რეცენზიაშია ნათქვამი სრულიად არ არის დამაჩერებელი და მეცნიერულად სანდო. ის მიიწევს იყო მოსალოდნელი, რომ რეცენზენტი შეძლებდა გვევც მნიშვნელობა ფორმულის **terminus post quem non** და ასე უაღვიდოდ არ გამოიყენებდა მას. რეცენზიას ხომ საეცო-ლისტიებიც კითხულობენ და ნამდვილად უხერ-ხულია.

„ციცქარის“ 151-ე გვერდზე რეცენზენტი წერს: „ასევე არმაზციხე I-ის, და მასთანავე, თითქოს და ძვ. წ. VI-III სს-ის ძეგლებს შო-რის დასახელებულია ვანიც (გვ. 714)“. ვაცხა-დებ კატეგორიულად, რომ „ნარ-მაზციხეების“ 714-ე გვერდზე „არ-მაზციხე I“ არც ერთხელ არა მიაქვს ნახსენები და სიტყვაც არ დამიძრავს იმ მიზნით, რომ ვა-ნი არმაზციხე I-ის ტიპის ძეგლ-თა შორის ჩამეთვალა. აი, რა მიწე-რია მე: „ახლა ჩვენთვის საინტერესო ხანის ად-რინდელ საფეხურზე, ე. ი. ძვ. წ. VI-III საუ-კუნეებში, საქალაქო სასამართლო ნაგებობანი უღელბოლოდა წამოვიდნენ, ამასთანავე, ზღუდე-გა-ლაუნების, კომუნიკაცია და ბურჯების საძირკველი, საერთოდ ქვედა ნაწილი, ქვათლივითი არის ნაწყობი... ასეთი სურათია არმაზციხეში, წიწა-შურში, უფლისციხეში, გორის ციხეზე, ვანში და ა. შ.“ ამ ნახსენები არმაზციხე გეოგ-რაფიული პუნქტის სახელია და არა მშენებლობის ხელოვნების სახეობა. რეცენზენტი ერთმეორისაგან ვერ უნდა ანსხავებდეს გეოგრაფიულ სახელს — არმაზციხე და ტექნიკურ ტერმინს — „არ-მაზციხე I“? რატომ უნდა დაუშალოს მან „ციცქარის“ მკითხველს, რომ ვანი დასახელებუ-ლია არა „არმაზციხე — I“-ის, არამედ ანტიკე-რი ხანის საქალაქო მშენებლობის ადრინდელ საფეხურის (ე. ი. ძვ. წ. VI-III სს) ძეგლთა შო-რის?

ვანის ბელი ვაიზიარა უფლისციხემაც. 715-ე გვერდზე ამ ძველი ქალაქის შესახებ მე მიწე-რია: „საქალაქო მშენებლობის ად-რინდელი საფეხურის განსაკუთრებუ-ლი ნაზის ხუროთმოძღვრულ ჯგუფს შეადგენს უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სათავსოების ერთი, ადრინდელი ნაწილი, როგორც ვარაუდო-ბენ, უფლისციხეში გამოიყოფა წინაელნის-ტური ხანის (ძვ. წ. VI-IV სს) კლდეში ნაკვეთი კომპლექსები...“ რეცენზენტი სრულიად არადა-

მაჩერებელი მსჯელობის შემდეგ აწვადებ „როგორც არ უნდა გადაწყვიტეს უფლისციხე-კლდეში ნაკვეთი კომპლექსის დათარღვევის კითხი, ვიმეორებ ისინი სამართლიანადაა მიჩ-ნეული „განსაკუთრებული სახის ხუროთმოძღ-ვრულ ჯგუფად“, ე. ი. მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხე პირველი რიგის ძეგლებისაგან განსხვავებულად და, მა-შასადავ, ვერც ასეთ შემთხვევაში გამოდგება არმაზციხე I-ის რიგის ძეგლ-ების ძვ. წ. VI-IV სს. დათარიღება რამდენადმე სერიოზულ არგუ-მენტად“ („ციცქარი“, 10, გვ. 151). მკითხვე-ლებს დაბეჭდებით ეთხოვ ყურადღება მიაქცი-ონ ხაზგასმულ სიტყვებს: მე საუბარი მაქვს სა-ქალაქო მშენებლობის ადრინდელ-სა საფეხურის განსაკუთრებულ-ლი სახის ხუროთმოძღვრულ ძე-გლთა ჯგუფზე უფლისციხის მავა-ლითის მიხედვით; რეცენზენტი კი ბრძანებს უფლისციხის მავალითი ვერც გა-მოდგებაო. არმაზციხე I-ის რიგის ძეგლების ძვ. წ. VI-III სს დასათა-რიღებლად. ო. ლორთქიფანიძეს სულაც არ აწუხებს, რომ ჩვენ სხვადასხვა საგნებზე ვლაპარაკობთ „არმაზციხე I“ ამ შემთხვევაში საერთოდ არ მოხსენებია. ასეთი რამ ერთ-ხელ შეიძლება შეშლოდა რეცენზენტს, მაგრამ რაკი საერთოდ ასე აკეთებს, უნდა შევხსენოთ, რომ ამგვარ საქციელს, ხომ თავისი სახელი აქვს...!)

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ „ნარკვევების“ I ტომის 715-ე გვერდზე მე-12 და მე-18 სტრიქონებში ვაიზა-რა კორექტურული შეცდომა: დაბეჭდილია „VI“ ნაცვლად „IV“-ისა. ეს რომ კორექტუ-რია ადვილად დაწმუნდება მკითხველი თუ იქვე სქოლიოში მითითებულ ჩემს წიგნს ჩე-ხედავს, სადაც ხაზგასმით მიწერია შემდეგი: „არმაზციხე I არა მარტო მშენებლობის გარკ-ვეულ ხელოვნებას გულისხმობს, არამედ დროის განსაზღვრული მონაკვეთისთვის არის დამახა-სიათებელი (IV-III სს)“ (მღრ. ჩემი „ქალაქე-ბი...“ გვ. 25). „ნარკვევების“ I და V ტომე-ბის ვანილივისას მე ეს მოვახსენე რეცენზენტს, დამწერ საზოგადოებას და მკითხველებს წი-ნაშე იქვე, საჭაროდ მოვიხადე ბოდიში, ასეთი კორექტურული შეცდომისათვის. მთავარი ეს არ არის; დამაფრთხებელი და სამწუხარო ისაა, რომ ჩემი განცხადებისა და მკითხველთა წინა-შე საჭაროდ ბოდიშის მოხლის შემდეგაც თავი გამოდრო რეცენზენტმა, ხელი მრუბრუნდა და დიდი აურხური ატეხა 715-ე გვერდზე ვაი-ზი კორექტურული შეცდომის გამო. მიკ-ვირის, რად არ ვაითვალისწინა რეცენზენტმა, რომ კორექტურული შეცდომა შეიძლება ყვე-ლას მოუვიდეს, თურც ისეთ „უცოდველსაც“ კი, როგორც თვით რეცენზენტი. ვანა საქმარ

* „ვანი I“ წიგნის ბაზარზე გამოჩნდა მხო-ლოდ 1972 წლის აპრილის მეორე ნახევარში.



არ არის აღინიშნოს, რომ ო. ლორთქიფანიძე პროკოპი კესარიელს ძვ. წ. VI ს. ბიზანტიელ მწერალად აცხადებს (ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, გვ. 45), ე. ი. 1200 წლით „ცდება“ რეცენზენტი. უხერხული იქნებოდა ამის საფუძველზე ეთქვათ, რომ ო. ლორთქიფანიძემ არც იცის როდის მოღვაწეობდა პროკოპი კესარიელი ან როგორი ანაქრონიზშია ბიზანტიელობა ძვ. წ. VI-საუკუნეში. სხვათა შორის არსებითი ხასიათის კორექტურული შეცდომებია თვით რეცენზიაშიც, მაგრამ ამაზე შეჩერება არა ღირს.

10. მე მბრალდება აგრეთვე უფლისციხის ერთ-ერთი უძველესი კომპლექსის დ. ხახუტაიშვილისეული დათარიღების (ძვ. წ. VI-IV სს) შეუყომნო ვაზიარება. უფლისციხის წლების მანძილზე შემსწავლელის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, დ. ხახუტაიშვილის მიერ შემოთავაზებული დათარიღების ვაზიარება ტყუილად ჰგონია რეცენზენტს ოდიოზური რამ. მაგრამ ესეც არაფერი. ო. ლორთქიფანიძემ ცალმხრივად დ. ხახუტაიშვილის მთელი არგუმენტაცია თიხის ქურქლის ოთხ-ოთხ ნატეხზე დაფუძნებულად გამოაცხადა («ციცქარი», 10, გვ. 151); ნამდვილად კი მკითხველს მან დაუმალა: ა) დ. ხახუტაიშვილის ცდა კერამიკული ფრაგმენტები დაუკავშიროს ბამბების მოსახლეობის № I ორმოსამარხისა და ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ხოვლის ზედაფენის კერამიკას; ბ) დ. ხახუტაიშვილის დაკვირვება ე. წ. „მიუვალი კომპლექსის“ კედლის ზედაპირის ძველებურ დამუშავებისა და ხით გადახურვის ძველი ტრადიციის კვალის შემონახვის თაობაზე; გ) დ. ხახუტაიშვილის მიერ მითითებული აღრეოლინისტური ხანის საწნახლის აღმოჩენა მსგავს კომპლექსებში; დ) ურარტული იერის სამეთუნეო ნაწარმის აღმოჩენა უფლისციხის შიდა ქაღალქში; ე) ჰერის დამუშავების ურარტული ტრადიციის ნიშნების მითითება და ა. შ. რეცენზენტს საჭიროდ არ მიაჩნია ანგარიში გაუწიოს კ. მელითაურის გამოკვლევას, რომლის მიხედვით უფლისციხის მშენებლობის სამუშაოები ზორციელდება სწორედ ძვ. წ. VI-II საუკუნეებში და დამატებითი დასაბუთების ცდა უფლისციხის მღვიმეთა განსაზღვრულ წრის ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღებისა. რატომ? პასუხი ნათელია: არ აწყობს რეცენზენტს ეს თარიღები. არაფერი უხარა რეცენზენტმა «ციცქარის» მკითხველს აჯამ. შ. ამირანაშვილის თვალსაზრისზე, ისევე, როგორც გვერდი აუარა აქად. შ. ამირანაშვილის თარიღს 1968 წელსაც. ო. ლორთქიფანიძემ უფლისციხის შესახებ მსჯელობისას არც ერთხელ არ შეახსენა მკითხველს აქად. ს. ჯანშიას თვალსაზრისი; არც თ. ქარუმიძის, გ. აბრამიშვილის, კ. ვაჩიშვილის თვალსაზრისები აინტერესებს რეცენზენტს. ასეთი ხერხებითა და მეთოდებით

ყველაფრის „მტკიცება“ შეიძლება. გზაქოუღუნოუნი რაც შენს მიერ ავიატებულ აზრს არაა დასაბუთებულა — არ ახსენო; ე. ი. ვითარება ცალმხრივ დასახო და ამგვარ „კვლევას“ მეცნიერების თანამედროვე დონე შეაჩქა — კეშმარტიად ვე-რაფერი „მეცნიერება“!

11. ბაგენთვის სარკოფაგის დათარიღების საკითხის განხილვისას რეცენზენტმა გამოაცხადა სექტიმის სევერის მონეტაო ამ სარკოფაგში აღმოჩენილი, მაგრამ აცნობდა, რომ ყველაზე გვიანდელი მონეტა ფაუსტინა უმცროსისა (ახ. წ. 141). ნამეტლ რეცენზიაში ახალი „არგუმენტი“ მოტიანილი თურმე მარგ. ლორთქიფანიძეს საიმედოდ დაუთარიღებია სამარხი „და რაც საგანგებოდა აღსანიშნავი — მედალიონი, რომლის იმპერატორის სექტიმის სევერის პორტრეტული გამოსახულებით (193-211)“ («ციცქარი», 10, გვ. 152). სინამდვილეში მარგ. ლორთქიფანიძეს დასახელებული მედალიონი სრულიადც არა აქვს საიმედოდ დათარიღებული. აი, როგორია მისი დათარიღება: „სამარხში მოპოვებულია ვერცხლის თასი მედალიონით, რომელსაც სექტიმა სევერის პორტრეტად მივიჩნევთ, რაც ხელს უწყობს კამების ამგვარ დათარიღებას“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეგმები, 11, გვ. 44. სქოლიო), ჩერ ერთი, რანდენად დამაჩერებელი კამების დათარიღება საერთოდ და ასე „დათარიღებული“ მედალიონით კერძოდ; მაგრამ მთავარია საბუთიანობა მედალიონის დათარიღებისა — სექტიმის სევერის პორტრეტად მივიჩნევთ. ვინაშე მარტოოდენ „მიჩნევა“ საქმარისია დასასაბუთებლად და დამაჩერებელი?

12. მართალს არ ეტუნება მკითხველს ო. ლორთქიფანიძე ვანის 1961 წლის სამარხის თარიღის შესახებაც. „ა, აფიქიძე ნინო ხოშტარისა. უაღრესად წინასწარული ვარაუდის საფუძველზე ყველაფერ ძვ. წ. VI-V სს ათარიღებოს“ ვანის ამ სამარხს («ციცქარი», 10, გვ. 153). რა თქმა უნდა; მე ფიქრადაც არ მომსვენია ვანის 1961 წლის სამარხის დათარიღება და არც ნინო ხოშტარის გამოუთქვამს „უაღრესად წინასწარული ვარაუდი“. მთავარი მინცისია, რასაც თვითონ ო. ლორთქიფანიძე წერდა ამ სამარხის შესახებ 1966 წელს: „1961 წ. თვით ვანშივე აღმოაჩინეს ძვ. წ. VI-V სს ნივთების... შემცველი სამარხი“ (ანტიკური სამყარო და ძვ. კოლხეთი, გვ. 45). აქ ხომ სიტყვაც არ არის დარღული „ნ. ხოშტარის უაღრესად წინასწარულ ვარაუდზე“; არც „წინასწარ შესწავლაზე“ საუბარი! აი ყველაფერ ამას უშმაღვს „ციცქარის“ მკითხველს ო. ლორთქიფანიძე და თანაც მოითხოვს მისი „სპეციალური კვლევის“ ჩერ კი-

ანდრია ავაკიძე
 ანტიკური ხანის სამართხველოს კვლახრისა, საკითხიანი.



დღევ გამოქვეყნებული შედეგები ამისათვის 1970 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. რა არის სასასყვედლორ ან საჩქარო? გამოვიდეს „ვანი!“ და მერე ყველაფერი გაირკვევა.

13. არ არის სწორი რეცენზენტის განცხადება, თითქოს „ერთი ხელის მოსმითაა“ დათარიღებული წინწყაროს მდიდრული სამარხი („ციცქარი“, 10, გვ. 153). 738-746 გვერდებზე კიკათმოქმედების ნაწარმია განხილული და ამდენად ჩემი მიზანი არ იყო სამარხების დათარიღება (ეს მე კულტურის დახასიათებისას საერთოდ არ შევალბობა). ამ პარაგრაფში „კიკათმოქმედების“ დასახასიათებლად სხვადასხვა მასალა მოშველიებული და, როგორც წესი, სათანადო სპეციალისტის მიერ გამოკვლეული დათარიღება მკითხველამდე მიიტანილი. „წინწყაროს სამარხი“ საერთოდ არ არის ამ გვერდზე ნახსენები, ე. ი. არც შეიძლება 739 გვერდზე ვსაუბრობდე მასზე და ვთარიღებდე საერთოდ ან, ერთი ხელის მოსმით“. მე ვერ მივიწერ ვანისა და წინწყაროს სამარხების დათარიღებას. ეს არც მიცდია და არც მიწერილია „ნარკვევებში“, მაგრამ რეცენზენტი ამ თარიღებს მე მომაწერს. თუ რატომ აკეთებს ასე, ცხადია მიზანი ნარკვევების განქიქებაა, თორემ ნ. ხოშტარიას და ბ. კუფტინის მიერ შემოთავაზებულ თარიღებს, რომ შეეწუხებინათ. ლორთქიფანიძე, მათთან ანგარიშს ის დიდი ზნის წინაე გაასწორებდა კიდევ. ივარგებს ასე?!

14. „ნარკვევების“ XV თავის მესამე პარაგრაფში ანტიკური ხანის საქალაქო მშენებლობის მეორე საფეხურისათვის დამახასიათებლად აღიარებულია დღეობის გავრცელება. ნათქვამია, რომ ეს ხდება ძვ. წ. III საუკუნიდან („ნარკვევები“, I, გვ. 716). ცოტა ზემოთ აღნიშნულია, რომ ქალაქმშენებლობის ადრინდელი (პირველი) საფეხური მოიცავს ძვ. წ. VI-III საუკუნეებს. რეცენზენტს შეეძლო შეენიშნა, რომ რაკი ძვ. წ. III ს ძველეთში მივაკეთენ ადრინდელ საფეხურს, ქალაქმშენებლობის მომდევნო (მეორე) საფეხურის დაწყების არ უნდა ვგულისხმობდე ძვ. წ. III ს. მიწიერადმიწინ დასაწყისიდან. „ნარკვევების“ მომდევნო, 717-ე გვერდზე ვარკვეულად არის საუბარი ქვიტკირის გამოყენებაზე „ძვ. წ. III ს. შემდეგ“. 714-ე გვერდზე ხომ მიწერილია, რომ „ძვ. წ. VI-III საუკუნეებში საქალაქო სასიმაგრო ნაგებობანი უფლობადაა ნაშენები“. რომელი საუკუნეები იგულისხმება „ძვ. წ. III ს. შემდეგ“ რეცენზენტს უნდა მოეხსენებოდეს. დღეობა ამ დროს ზოგან რიყისქვების მოხაიკური წყობისათვის გამოიყენება (შვ. ვანში), სხვაგან — ნაგებობათა მშენებლობისათვის (დიდი მცხეთა), მაგრამ მთავარი ისაა, რომ დღეობა იქვე აღმოჩენი-

ლია, მისი გამოყენება ის უმეტესად და კულტურის თუ მშენებლობის დასახასიათებლად ეს არის მნიშვნელოვანი, ავტორისთვისაც, და მკითხველისთვისაც. რაკი საუბარი მაქვს დღეობის აღმოჩენასა და გამოყენებაზე საქართველოს ძველ ქალაქებში და გამოყენებაში მნიშვნელოვან ტექნიკურ სიახლედ, უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი რიყის ქვების დაწყობისათვის კირის ხსნარის გამოყენების შემთხვევებს, ვადასტურებულს ვანის ნაქალაქარზე. ყველაფერი ეს ხდება ძვ. წ. III ს-ში კი არა, უფრო გვიან — „ძვ. წ. III საუკუნის შემდეგ“ („ნარკვევები“, გვ. 717) ახლა არ დამის შესახებ. დიდი ხანია, საკმაოდ დამჯერებლად არის დადგენილი, რომ არდამის შესახებ თხრობა ლეონტის თხზულებაში დაფუძნებულია გვიანდელ ეპოსზე, დაძველებულია თითქმის ათასი წლით და ვადატანილია ადრინდელ ეტაზე — ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. III ს-ზე ადრინდელ ხანებში. ასეთ წყაროს საფუძველზე არ შეიძლება და დამაჯერებლად და დასაბუთებულად არ დამის მიეწეროს ქვიტკირით მშენებლობის შემოღებლობა საქართველოში. ეს ეპეები მე გამოვთქვი ათიოდე წლის წინ და თეიმურაზ ბატონიშვილი მოვიშველიე. რეცენზენტს ბრაზობს — რატომ არ ვიკითხავთ, თეიმურაზ ბატონიშვილს საიდან უნდა სცოდნოდა ეს? დიან ვიკითხე და „ნარკვევების“ განილვისას მოვახსენე დამსწრე საზოგადოებას, ბოლო არჩილ ბარამიძე იქვე განმარტა, რომ ჩემზე აღრე უკითხავს და უძებნია თეიმურაზის წყაროები. XX საუკუნის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილსაც უკითხავს თეიმურაზის წყაროები, მაგრამ როგორც ჩანს, ამოდ: «Существенным недостатком изложения Теимураза... должна быть признана полная голословность и отсутствие ссылок» — წერდა სახელგანთქმული ისტორიკოსი თეიმურაზის ისტორიის შესახებ. ასე, რომ ტყუილად ცდილობს რეცენზენტი ისე წარმოადგინოს ვითარება, თითქმის პირველად მან მოიქცია ყურადღება და სხვას აზრათა და მოიწვლია თეიმურაზის მოსახრებათა საფუძველები მოეკითხა. ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება „ციცქარის“ მკითხველს დარჩეს, რომ მე თითქმის არდამს ვფიცი ძვ. წ. III ს. მოღვაწედ. სხვაგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს რეცენზენტის მიერ დასმულ კითხვიდან: „რატომაა ეს ყოველსშემსლე არდამი ძვ. წ. III საუკუნის მოღვაწე“ („ციცქარი“, 10, გვ. 150). „ციცქარის“ მკითხველს შეუძლია „ნარკვევების“ 716-717 გვერდები ნახოს, (მე მხოლოდ ამ რეცენზენტზე ვახსენებ არდამს) და დარწმუნდეს, რომ მე საისტორიო წყაროების აზრს ვაღმყოვემ, მაგრამ თვითონ არდამი არ მიიჩნევია



მე. წ. III ს მოღვაწედ და საერთოდ არაფერი მაქვს ნათქვამი იმის შესახებ თუ როდის მოღვაწეობდა იგი. „ნარკვევების“ ამ ნაწილის მიმართაც ო. ლორთქიფანიძის დამოკიდებულება იმდენად ცალმხრივია, რომ იჩინდება ისიც კი, რაც ასე მეტისმეტად იშვიათად მოვლს რეცენზიაში გამოსტევის, ვითარცა ანგარიშგასაწვევი. მიუხედავად ამისა, „ნარკვევების“ შესაბამისი ადგილი მოითხოვს გაუმჯობესებას, დაბუნიტებას და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებას. ეს მით უფრო უნდა გაკეთდეს, რომ „ნარკვევების“ ტექსტის დაწერის შემდეგ ამ საკითხებზე სპეციალური დაკვირვების შედეგად ანგარიშგასაწვევი მოსაზრებები გამოაქვეყნა დოქ. კ. მელითაურიძე.

15. პროფ. ო. ლორთქიფანიძე საქმეს ისე ბატავს, თითქოს მე სოხუმის სტელას კომპოზიციის მიხედვით ვათარიღებდე. ეს არ არის მართალი: აი რა მიწერია მე: „ასეთი რელიეფური კომპოზიცია საფლავის ქვებზე საკმაოდ გავრცელებული იყო ბერძნულ სამყაროში მე. წ. V ს. ბოლოს და, ბუნებრივია, სოხუმის მარმარილოს სტელასაც ამ ხანას მიეკუთვნებენ“ („ნარკვევები“, I, გვ. 725). აქ საუბარია იმაზე, რომ ასეთი რელიეფური კომპოზიცია გავრცელებულია მე. წ. V ს. ბოლოს, მაგრამ სიტყვაც არ არის დამრუული იმის შესახებ, თუ რის მიხედვით მიიჩნევენ მათ მე. წ. V ს. ბოლოს თუ IV დასაწყისის ძეგლებად. და, რა თქმა უნდა, არც თვითონ მოცლია ამ ძეგლების დათარიღება კომპოზიციის მიხედვით.

ახლა არსებითად დათარიღების შესახებ. რეცენზენტი სარგებლობს მისთვის ჩვეული ხერხებით დახატული ვითარებით და განმარტავს: „სოხუმის რელიეფი დღემდე ცნობილ სამფიგურაოდ ბერძნულ სტელათა შორის ყურჩერობით ერთადერთია, რომელიც მე. წ. V ს. თარიღდება“ („ციცქარა“, 10, გვ. 152). ჯერ ერთი, „ნარკვევებში“ მე უფრო უხტ თარიღს ვაწვდი მკითხველს — ესაა მე. წ. V ს. ბოლო და არა საერთოდ მე. წ. V საუკუნე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევიხსენოთ, რომ ერთგან რეცენზენტი წერდა: „ძალზე დაბალი რელიეფი და აგრეთვე ის გარემოება, რომ სოხუმის სტელას არა აქვს გვერდითი პილასტრები, გამორიცხავენ სტელის დათარიღებას მე. წ. IV ს. დასაწყისზე უფრო ადრინდელ ხანით“ („ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, გვ. 100). იმავე ნაშრომში, ზუსტად ითხი გვერდის შემდეგ ვკითხულობთ: „სოხუმის სტელა მე. წ. 430-420 წლებს შორის უნდა იყოს გამოქრწილი“ (იქვე, გვ. 104). საერთოდაც, რეცენზენტი ამ უკანასკნელ თარიღს იჩემებს. თუ გამორიცხებული იყო მე. წ. IV ს. დასაწყისზე უფრო ად-

რინდელი ხანა, როგორღა შესძლო რეცენზენტმა სოხუმის სტელა მე. წ. 430-420 წლებს შორის გამოქრწილად მიეჩინა? ახლანდელი მხრისაა თუ შევიხსენებთ, რომ რეცენზენტის სპეციალურ ნაშრომში კომპოზიციაც კი არ არის სწორად აღწერილი, მაშინ ცხადი გახდება ასეთი „რეცენზიის“, „კვლევისა“ და „ანალიზის“ ფასი.

16. განავრია ატეხილი 725-ე გვერდზე მოტანილი ფლავიუს არიანეს ერთი ცნობის გამო, სადაც წერია: „ფასიანში რომ შეღიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანის **Φασαυ** — მთავრული წერია ბერძნულ პარალელურ ტექსტში, გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წევანს ღმრები და თვით ის ზის როგორც ფილიასის ქანდაკება ათენის მეტრონში“. ეს თარგმანი მოტანილია ფლავიუს არიანეს ქართული უახლესი გამოცემიდან (გვ. 39). ესაა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომპილის გამოცემა. (ბერძნულ-რომაული წყაროების რედაქტორი აკად. ს. ყაუხჩიშვილი). 1961 წლის გამოცემაში ტექსტის თარგმანი, გამოკლევა, კომენტარები და რუკა ნათელა ეკვალმაძისაა. რასაკვირველია, უხუსტობა ასეთ გამოცემაშია შეიძლება გაიპაროს, მაგრამ „ნარკვევების“ წერისას ამის თაობაზე დაეკვივების საფუძველი არ მქონია. არიანეს ამ აკადემიურ გამოცემაში ყველგან ნახსენებია „ქალღმერთი ფასიანე“, ასეა არა მარტო არიანეს ტექსტში, არამედ კომენტარებშიც (№ 35), სადაც ვკითხულობთ: „ფასიანე — ქალღმერთი, მატრიარქატის ხანიდან შემორჩენილი ღვთაება, მცირე აზიის ქალღმერთი, რეა — კიბელე — ღმერთთა დედა. ათენის მეტრონში, ღმერთთა დედის ტაძარში, იყო ფილიასის მცირე შესრულებული ქანდაკება ამ ღვთაებისა“ (იქვე, გვ. 68). ამავე წიგნის „საკუთარ სახელთა საძიებელშიც“ წერია: „ფასიანე **Φασαυ** ქანდაკება ქალღმერთისა ქ. ფასიანში. არიანე მას უკავშირებს მცირეაზიის მატრიარქალურ ღვთაებას, ღმერთთა დედას, რეას — კიბელეს“ (იქვე, გვ. 123). აქ არავითარი „სამწუხარო გაუგებრობა“ არ არის. მე სრული საფუძველი მქონდა მეწერა „ქალღმერთი ფასიანე“ და სხვა შემთხვევაში“ ფასიანე ფასიანე“, თუ ფლავიუს არიანეს თხზულების ქართულ-აკადემიურ გამოცემას დავეყრდნობოდი. ეს, რა თქმა უნდა, გარდა იცოდა რეცენზენტმა, მაგრამ... მან ისიც დაუშალა „ციცქარის“ მკითხველებს, რომ ამ აკადემიური გამოცემით სარგებლობდა კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი ქართველი სპეციალის-

ანდრია ავაშიძე

ანტიკური ხანის საპარტიკულო კულტურის საპრობლემა.

ტი, პროფ. აკაკი ურუშაძე თავისი სქელტანიანი წიგნის („მველი კოლხეთი და არგონავტების თქმულებები“) გამოცემისას. 1962 წელს არიანს თხზულების ეს ადგილი — ბერძნული ტექსტი და ქართული თარგმანი, გამოაქვეყნა ნ. ლომოურმა, წიგნში „კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია“ (გვ. 65). თარგმანი ასეთია: „ფაზისში რომ შეღიხარ, მარცხენა ნაპირზე დგას ქალღმერთი ფასიანე... თვითონ ფიც ისე ზის, როგორც ათენის მეტრონონში ფიდასის და ლეთაქა“. აქაც: „ქალღმერთი ფასიანე“ — ფიდასის ლეთაქა; ათენის მეტრონონში. თვითონ რეცენზენტი წერდა 1966 წელს: არიანს „ამ ადგილს ჩვეულებრივ თარგმნიდნენ“ ქალღმერთი ფასიანე“ („ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, გვ. 53), დიას! ასეა აკადემიურ გამოცემაში და ასე თარგმნიან ჩვეულებრივ.

შეიძლება აკად. ვ. ლატიშვიის და სხვათა თარგმანების მოტანაც, მაგრამ საკმარისია. ისე ერთხმად იწერება „ქალღმერთი ფასიანე“ და „ფიდასის ლეთაქა ათენის მეტრონონში“, რომ ამის განმეორება ჩვენს „ნარკვევებში“ არ არის უსაფუძვლო და ამოდ შეუწუხებულა რეცენზენტი, რომელსაც არ ეუხერხებულა 1966/67 წლებში დაწერილ ნაშრომში მოითხოვოს 1969 წელს დაბეჭდილი, განსხვავებული თვალსაზრისის ასახვა. ჯერ ისიც საკითხავია, რეცენზენტით უყოყმანოდ გაიზიარებენ თუ არა ელინისტები ახალ ინტერპრეტაციას. ასე სპეციფიკური საკითხები არც უნდა ასახულიყო „ნარკვევების“ ტიპის საკითხავ წიგნში.

სრულიად ზედმეტია პასუხი რეცენზენტის ცდაზე თავისი განსწავლულობა ბერძნული ხელოვნების ისტორიაში უჩვენოს „ციკსირის“ მეითხველს და გარკვევით თუ ნამდვილად ვის ეკუთვნებოდა ქანდაკება ათენის მეტრონონში. საქმის ვითარება არც ისე მარტივად არის, როგორც ო. ლორთქიფანიძეს წარმოუდგენია, მაგრამ ამაზე სხვა დროს. პროფ. ო. ლორთქიფანიძე კითხულობს: „რატომ უნდა ვიფიქროს, რომ არიანს მიერ აღწერილი ქანდაკებაც სოხუმის სტელის მსგავსად ანტიკური, ე. ი. ბერძნულ-რომაული ქანდაკებების ნიმუშია? ვანა უფრო ბუნებრივი არ იყო, ასოციაცია ვანის ნაქალაქართან, სადაც აგრეთვე ქალაქის შესასვლელთან აღმართული ყოფილა მგაბრველი ღმერთ ქალის ქანდაკება“. („ციკსირი“, 10, გვ. 154). ამ ამონაწერში საჭიროა ყურადღება მივაქციოთ რამდენიმე მხარეს: ა) „ანტიკური“ მე არმაქვს ნახმარი მხოლოდ „ბერძნულ-რომაულის“ გაგებით და ეს არც უნდა მომეწონ. რაც შეეხება ფაზისის შესასვლელთან მდგარ ქანდაკებას უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თვით არიანე თითქმის ვერ არჩევს მას რეას ქანდაკებისაგან, რომელიც თავის დროზე ათენის მეტრონონში იდგა. ეს

მსგავსება არ არის უმნიშვნელო; ბ) არ არის საფუძვლიანი საუბარი ვანთან ასოციაციის შესახებაც. ამას ბევრი დაბრკოლება გამოაქვეყნა დამტკიცდეს მართლა იდგა თუ არა ვანის ქანდაკების ქანდაკება; შემდეგ — რომ ის ქალღმერთის ქანდაკება იყო; გარდა ამისა, უნდა დადგინდეს როგორი იყო ეს. ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ქანდაკება? რომელი სკოლის ნახევარი იყო ის — ადგილობრივისა თუ მაგბერძნულ-რომაულისა? რისგან იყო ნაყოფები და ა. შ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იყოს უფრო ბუნებრივი ვანის შეხსენება. ქანდაკების ადგილობრივობისა თუ უცხოურობის შესახებ დასკვნები სტილისტურ-მედარებით ანალიზის გზით მიიღება; მე კი როგორ შემეძლო სტილისტურ-მედარებით დახასიათება ფაზისის შესასვლელთან მდგარი, არიანს მიერ აღწერილი ქანდაკებისა და ვანის ჯერ აღმოუჩენელი „მფარველი ღმერთქალისა“!

ჩემის აზრით, ცოტა მეტი დაკვირვებაა საჭირო, როდესაც პატარა კვარცხლბეკის (?) მიხედვით მოვიხიბოვო მსკვლეობის წარმართვას და თითქოს მასზე აღმართული „მფარველი ღმერთქალის ქანდაკების“ შედარებას ფაზისის შესასვლელთან არიანს მიერ მოითხოვულ ქალღმერთთან. არიანს მიერ მოითხოვულ ფაზისელ ქალღმერთს ვერც კი არჩევნე ფიდასის თუ თუნდაც მისი სკოლის სხვა წარმომადგენლის ნახევლისაგან და მხოლოდ იმის გამო, რომ ფაზისში იდგა, მისი კოლხურობა ვამტკიცებო — დამაყრებლად დასაბუთებული ვერ იქნებოდა.

17. მართალს არ ეუბნება რეცენზენტი „ციკსირის“ მეითხველს, როდესაც 154 გვერდზე აცხადებს: „ასე მარტივად არის ვა და დაწვეტილი ნაშობატყლიანი ჯიშის ცხვრის აარსებობა ძვ. წ. II ათასწლეულის კოლხეთში“. ჯერ ერთი, რეცენზენტი შეეძლო არ შეეუფებინა ეკითხველი ძვ. წ. II ათასწლეულის ვითარების ასახვა „ნარკვევების“ XV თავში სავალდებულო არ იყო და თუ საამისო საბუთიანობას ეძებდა ეს სათანადო ეპოქის შესახებ არსებულ გამოკვლევებში უნდა ენახა. ამის გარდა, საკითხის გადაწყვეტა და კატეგორიული მტკიცება „ნარკვევებში“ არ არის. რა საკადრისია, რომ ჩემი ფრთხილი გამოთქმები „უნდა ვიფიქროთ“, ამიტომ ვართულობენ მეცხოველეობის ამ დარგის ისტორიის სპეციალისტები“ და ა. შ. დაუმაღეს მეითხველს და თხრობის ეს ფორმა საკითხის „გადაწყვეტად“ გაასაღეს! მთავარი მინც ისაა, რომ ამ საკითხზე ჩემი მსჯელობა მთლიანად ეყრდნობა ამ დარგის ცნობილ სპეციალისტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. მ. რჩეულიშვილის გამოკვლევას «К истории искусства Грузии».

(თბ., 1953). უმაღლრებაა პროფ. მ. რჩეულიშვილის კვლევას საკითხის მარტივად გადაწყვეტად რომ მიიჩნევენ. ნუთუ „კოლხური ცივი-



ლიზაციის“ საკითხებით გართულ მკვლევარს არ უნდა აინტერესებდეს ძველი კოლხური ნახმატელიანი ცხვრის როლი მერინოსის ჯიშის ნახმატელიანი ცხვრის ჩამოყალიბებაში? მის რჩეულმოწვევას ამ რიგის დასკვნებს ივ. ჯავახიშვილი დიდად აფასებდა, ს. ჯანაშია მსგავს შეხედულებას გამოთქვამდა — რეცენზენტს კი ეს დღემდე „ჩამორჩენილობად“, „გულუბრველობად“ და „უხერხულადაც“ მიუჩნევია („ცისკარი“, 10, გვ. 155).

12. მისთვის ჩვეული ხერხით ესხმის თავს რეცენზენტი „ნარკვევების“ იმ ადგილს, სადაც ბერძენთა კოლხეთისკენ ლაშქრობაზეა მოკლე საუბარი (გვ. 761). რეცენზენტმა თვითონ შეთხზა და მე ვადამომბარალა „ბერძენთა ორგანიზებული მოგზაურობების შესაძლებლობის“ მტკიცება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებამდე, მე მთელ პარაგრაფს ვერ ვადამოვწერ, მხოლოდ ვაცხადებ, რომ ჩემს ტექსტში სიტყვაც არ არის ნათქვამი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებამდე კოლხეთისაკენ ბერძენთა ორგანიზებული მოგზაურობის შესახებ; რეცენზენტი იგონებს „ნარკვევებში“ არ არსებულს, მიაწერს ყველაფერ ამას „ნარკვევების“ ატორს და შემდეგ, ხმალამოღებული ებრძვის მას. მკითხველს ემასოვრება, თუ ვინ იქცეოდა ასე? ამას მოსდევს ასევე არაგულმართალი საუბარი ქსოვილებისა და ტანსაცმლის შესახებ, რეცენზენტს „აღმოუჩინია“, რომ სოსხუმის სტელაზე გამოსახულთა სამოსი მე თურმე ქართულად მივიჩინე, რაკი აქ გამოსახულთაგან ერთ-ერთს ვუწოდებ „სოსხუმელი წარჩინებული“. მკითხველის სწორი ინფორმირების ინტერესი მაინც მოითხოვდა აღნიშნულიყო რეცენზიაში, რომ 764-ე გვერდის მეოთხე აბზაციდან იწყება საუბარი ქსოვილებისა და ნართის შემოტანაზე; მითითებულია, რომ ამას წერილობითი წყაროებიც ადასტურებენ და პარაგრაფის ბოლომდე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ ეს ადგილობრივს, ქართულს შეეხება. თვით გამოთქმა „სოსხუმელი წარჩინებული“ ხომ სულაც არ ნიშნავს, რომ მე კოლხს ან საერთოდ ადგილობრივს ვგულისხმობ. ეს კარგად ნახა რეცენზენტმა მეხუთე პარაგრაფში, მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“; შეეჩვია „ცისკრის“ მკითხველის დეზინფორმაციის და არ ღალატობს მას არც ამ შემთხვევაში.

ასეთივე ღირსებისაა შენიშვნა „გროტესკულ საკიდათა შესახებ“. ვითომ რაკი სირიულია ამის გამო არ შეიძლება ისინი სასახობო ნიღბის იმიტაციას წარმოადგენდეს და საყულტო სანახაობაზე გავრცელებს თუ საერთოდ სახიობათა თელასზრისით იქცევენს ყურადღებას?

19. სარტეცენიო წიგნის სამი გვერდი (721-724) ფაკია XV თავის მეოთხე პარაგრაფს „გზებში, ქუჩებში, ქვაფენილებში, კლდეკარებში, ხიდე-

ბი“. მიუღვომელსა და ამ „საკითხებზე“ რეცენზენტს, მოსალოდნელი იყო მკითხველისათვის, რომ პირველად „ნარკვევებში“ ასე საგანგებოდ და თავმოყრით საუბარი ანტიკური ხანის საქართველოს საქალაქო კულტურის განსაკუთრებულ და დამახასიათებელ ჯგუფზე. ამ მოვლენის პრინციპული შეფასების ნაცვლად ო. ლორთქიფანიძე უზომოდ აღშფოთებულია იმ ადგილის გამო, სადაც მე ვწერ: „ვანში ძვ. წ. III საუკუნის ქვაფენილი ქუჩა გაითხარა 1966 წელს. ახლად აღმოჩენილი ქვაფენილი, როგორც ჩანს, შიდა ციხის კარიბჭიდან გორასამოლოცველს თავზე მღვარ ტაბრი-საკენ მიემართებოდა“ („ნარკვევები, I“, გვ. 723). ისევე (და მერამდენდ?)! სამწუხარო გაუგებრობა! — ბრძანებს რეცენზენტი: — არა ერის გზის გვაქვს აღნიშნული, რომ ეს ქვაფენილი კარიბჭის მისასვლელს წარმოადგენს მხოლოდ და მისი სიგრძე 18 მეტრია“ („ცისკარი“, 10, გვ. 155). ჯერ ერთი, რეცენზენტი უნდა მოეხსენებოდა, რომ სიტყვები „როგორც ჩანს“ კატეგორიულ მტკიცებას გამოირცხავს, შემარბილებელია და, ამის გამო, ასე ამხედრება არ ღირდა. მითუმეტეს, რომ ზუსტად მომდევნო წინადადება კიდევ უფრო ამჯარას ხდის ჩემი საუბრის არაკატეგორიულობას. აი ისიც: „გზის გადარჩენილი ნაწილი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ ვანის შიდაციხის სხვა ქუჩების დაფარვა ქვაფენილით“. აქ მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული. ახლა ვნახოთ რა აქვს ო. ლორთქიფანიძეს „არაერთგზის აღნიშნული“: 1) ვანში აღმოჩენილი ქვაფენილის ფოტოსურათი გამოაქვეყნა რეცენზენტმა ყურნალ „სამპოთა ხელოვნებაში“ (1968, № 1, გვ. 34) და მას შემდეგ წარწერა გაუკეთა: „რიყის ქვით მოჭრებული „ქუჩა“. ამ ყურნალის 39-ე გვერდზე ვკითხულობთ: „შიდაციხის კეთილმოწყობის შესაწინააღმდეგო ნიმუშია აგრეთვე კარიბჭის კომპლექსთან დაკავშირებული საყულტო ნაგებობის მისასვლელი, რომელიც რიყის ქვით მოჭრებული 18 მეტრის სიგრძის „ქუჩას“ წარმოადგენს“. ამ ადგილის გავრცელებაში ო. ლორთქიფანიძე ამბობს, რომ „I საუკუნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის სმირნას აღწერისას საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ვარაუდობას, რომ აქ ქალაქს რიყის ქვით მოჭრული ქუჩები ჰქონდა“ (იქვე, გვ. 38). როგორც ვხედავთ აქ საუბარია „ქალაქის ქუჩების“ შესახებ და საუკუნო არ არის, რომ სმირნას მოკირწყელები ქუჩები ნახსენებია, ჩემის აზრით, სავესებით საფუძვლიანია ასოციაციის შედეგად, რაც ვანში აღმოჩენილი „ქუჩის“ ქვაფენილს გამოუწვევია.

ანდრია ავაქიძე
 ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები.



იმევე წერილის სქოლიოში რეცენზიის ავტორი წერს: „ვანის „ქუჩა“ კი ზუსტად თარიღდება ძვ. წ. III-II საუკუნეებით“ (იქვე, გვ. 38, სქოლიო 4). ამრიგად ო. ლორთქიფანიძე ნამდვილად არა ერთგვარად წერს რიყის ქვეით მოგებულ „ქუჩის“ თუ საკულტო კომპლექსთან მისასვლელი „ქუჩის“ შესახებ. ამასვე წერდა რეცენზენტი 1967 წელს: „ნაგებობას უკავშირდება რიყის წერილი ქვეით მოგებული 18 რუბა. სივრცის „ქუჩის“-ქვეყნული“ (ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მესამე სამეცნიერო სესიის „სამუშაო გეგმა და მოხსენებთა თეზისები“, 9. IX. 1967, გვ. 11). მთავარი ამ შემთხვევაში ის კი არ არის, თუ რასთან მიხედვით უნდა იქნას მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ აღმოჩნდა ქვაფენილი, ნაწილი — ქუჩისა და, მაინცაღამაინც იმას, რომ ძვ. წ. III-II სს საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს ქალაქში ქუჩის ქვაფენილით დაფარვა სცოდნიათ. ესაა კულტურის ისტორიის წერისას უმთავრესი. მეც ეს მაინტერესებდა. ვანის რაიონული გაზეთის „განთიადის“ 1966 წლის 23 ივნისის ნომერში დაბეჭდილი სტატია „არქეოლოგიური გათხრები ვანში“, რომელსაც ხელს აწერს თვით რეცენზენტიც. ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „ვანის არქეოლოგიური შესწავლა და მთავარებისაგან ჯერ კიდევ შორსაა. მისი მიწა კიდევ მრავალ საილუმოს ინახავს. ამის ნათელი დადასტურებაა ამ ცოტახნის წინათ აღმოჩენილი მანამდე უცნობი და მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები: ნაგებობათა ნაშთები, მოკირწყლული უძველესი გზის ერთი მონაკვეთი, ქვის სვეტი (საფლავის ქვა?) და სხვ.“ როგორც ვხედავთ, აქ საუბარია არა საეარაუდოდ და თანაც არა „ქუჩის“ ან „მისასვლელის“ შესახებ, არამედ საქვეყნოდ არის გამოცხადებული მანამდე უცნობი და მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის — „მოკირწყლული უძველესი გზის ერთი მონაკვეთის“ აღმოჩენის შესახებ.

ახლა, რეცენზენტმა იქნებ ინებოს და ნება გვბოძოს ვიკითხოთ — თუ ვანში აღმოჩენილი ქვაფენილი არის „მოკირწყლული უძველესი გზის ერთი მონაკვეთი“ სად უნდა ყოფილიყო ამ მონაკვეთის მოკირწყლული ვაკრებლები? „ნარკვევების“ 724-ე გვერდზე ვწერ, რომ ქვაფენილით დაფარვის რთულ წესს შეიკვლიდა მოკირწყვლა ეწოდოს, რადგან წინასწარ დავაკებულ ფართობზე, როგორც ჩანს, დულაბით აწყობდნენ რიყის ქვებს“. მიუდგომელი მკითხველი ადვილად შენიშნავდა, რომ აქაც ძალიან ფრთხილად ვარაუდობა გამოთქმული. მიუხედავად ამისა, რეცენზენტი აცხადებს: „არ ვიცი, იყო თუ არა ელინისტურ ხანაში სადმე წესად დულაბზე ნაწყობი რი-

ყის ქვაფენილი, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვერც მიძლია ვთქვა, რომ არაფერი ამის შესახებ არაა“ („ციცკარი“, 10, გვ. 155). მე არ მიწერია რომ წესად ასე იყო. ამიტომ ასეთი რამ არც უნდა მომამეორონ. ამის მსგავსი რამ ვანის ნაქალაქარზე ნამდვილად არის აღმოჩენილი. სავანგებოდ მოსწორებულ ფართობზე თიხას, შემდეგ რიყის ქვებს ყრიდნენ და ზემოდან დანაყვლილი კირქვისა და კერამიკის ერთი-მეორე სპეციალურ დულაბს ასხამდნენ. ეს არის მოკირწყვლის მსგავსი რამ კი არა, თვით მოკირწყვლა კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კირხსნარში დანაყვლ კერამიკას ჩაურევდნენ თუ წერილი ხრეშს სულ ერთია — ის დულაბი იყო; ვანისგანაა ფერშია და სპეციფიკურ თვისებებში. კიდევ მეტი. მიითვებულ წერილში რეცენზენტი წერს: „ნათკვი მოზაიკური ყოფილა (კირხსნარით შეკრული თეთრი და ღია ვარდისფერი თავწაყვეთილი რიყის ქვები), მაგრამ მთლიანად დანგრეულია ისე, რომ სავანგებოდ აყრილსა და ამობრუნებულს ჰგავს“ („ძველის მეგობარი“, № 15, გვ. 29). რაღაა ეს „კირხსნარით შეკრული თეთრი და ღია ვარდისფერი თავწაყვეთილი რიყის ქვების“ წყობა; ასე დაფარული ფართობი? ეს ხომ უფრო რთული სახეა ქვაფენილისა და მას ხომ შეიძლება მოკირწყვლა ეწოდოს ვინც ნახა ეს ფრაგმენტები, დამეთანხმება იმაში, რომ აქ საქმე გვაქვს ნამდვილ დულაბთან. რეცენზენტი წერს რიყის ქვების „კირხსნარით შეკვრის“ შესახებ; მე მიწერია „როგორც ჩანს, დულაბით აწყობდნენ რიყის ქვებს“. ვთითქვინებ დილია სხვაობა რიყის ქვების „კირხსნარით შეკვრისა“ და „დულაბით დაწყობის“ შორის? თანაც ისე დიდი, რომ რეცენზენტმა ასე საქვეყნოდ განაცხადოს: „არაფერი ამის მსგავსი ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არ არისო“?!

პროფ. ო. ლორთქიფანიძე ამასთანავე კატეგორიულად აცხადებს: „რაც მთავარია, არავითარი ქვაფენილის ფრაგმენტებიც კი არ ჩანს და რელიეფისა და ძველი ქალაქის დაგეგმარების პრინციპების მიხედვით არცაა მოსალოდნელი“ („ციცკარი“, 10, გვ. 155). ეს ეცნობა „ციცკრის“ მკითხველს ჟურნალის ოქტომბრის თვის ნომერში. ო. ლორთქიფანიძემ „ციცკრის“ მკითხველს აღუმალა, რომ ცოცხალ უფრო ადრე მან ჟურნალ „მაყენეს“ რედაქციას ვადასცა და ამ ჟურნალის პირველ ნომერში (ხელმოწერილია დასაბეჭდად 1971 წლის 10 მაისს) დაბეჭდა ვანის გათხრების 1970 წლის მოკლე ანგარიში, სადაც წერს შემდეგ: „ზოგიერთ ადგილას, რიყის ქვები სავანგებოდ ნაწყობის შთაბეჭდილებას ქმნის და რიყის ქვით



მოკირწყლული მოედნებისა და ქვაფენილის არსებობას გვაუბრადებინებს ("მაინე", 1971, № 1, გვ. 117). ვანის ვახეთ "განთიადში", მოხსენებათა თეზისებში "ქეგლის მეგობარში" და "მაინეში" ო. ლორთქიფანიძე წერს იმის შესახებ, რომ ვანში აღმოჩენილია ქვაფენილით დაფარული ქუჩის ფრაგმენტი ან "ქუჩა", "საკულტო კომპლექსთან მისასვლელი — ქვაფენილი მუშაა", "მოკირწყლული უძველესი გზის ერთი მონაკვეთი" და "რაციის ქვით მოკირწყლული მოედნებისა და ქვაფენილების" არსებობასაც კი ვარაუდობს, ხოლო "ციცარიის" ფურცლებზე, რაკი "ნარკვევების" განქიქება აქვს დაკისრებული, ამას ყველაფერს თვითონაც "ივიწყებს", მკითხველსაც უშალავს და "ოლიმპიური სიმშვიდით" აცხადებს "არავითარი ქვაფენილის ფრაგმენტიც კი არ ჩანს და რელიეფისა და ძველი ქალაქის დაგეგმარების პრინციპის მიხედვით არცაა მოსალოდნელი". ("ციცარი", 10, გვ. 155).

რა შეიძლება ამას ეწოდოს ან რა მიზნით უნდა სახალოდეს ყველაფერ ამას რეცენზენტი?

ნათქვამი ცხადსა ხდის, რომ "ნარკვევების" მკითხველი შეიძლება დაგვიმდღოს. ამ სველტანიან წიგნის XV თავში გამოთქმული ვარაუდები და ფოტოხილი საუბარი ქვაფენილებისა და მოკირწყლული ქუჩა-მოედნების ფრაგმენტების აღმოჩენის თაობაზე საფუძვლიანი იყო ამ ხუთიოდე წლის წინ, როდესაც "ნარკვევების" I ტომი იწერებოდა. ახლა კი მკითხველებისთვისაც ცნობილი გახდა ქვაფენილისა და რაციის ქვებით მოედნების მოკირწყელის ახალ-ახალი მავალითები. მართალია, რეცენზენტის "განკვერტა" არ გამართლდა, მაგრამ სამაგიეროდ 1970 წელს შეგვემატა ახალი არგუმენტები საქართველოს ძველი ქალაქების ამ მხრივ კიდევ უფრო მტკიცედ და დამაჯერებლად დასაბასიანებლად. იმდენი მასალა დაგროვდა, რომ "ნარკვევების" შენიშნული სიფრთხილე და ვარაუდები შეიძლება უფრო კატეგორიული დასკვნებით შეიცვალოს. ეს ასეც გაეთქვამა ახლო მომავალში.

19. არ ამბობს მართალს რეცენზენტი მითრას შესახებაც: "...678-ე გვერდზე მითრა გვიანტიკურ ხანაში (ე. ი. ახ. წ. პირველ საუკუნეში) სასანელთა ღვთაებად გამოცხადებული (აღბთ უნდა იყოს პართიის) ("ციცარი", 10, გვ. 155). აქ რეცენზენტს შესაძლოა ყველა ვერ მიუხვდეს. პირველ ყოვლისა "ნარკვევებს" "გვიანტიკური ხანა" ვითომ ვანუმარტა "ციცარიის" მკითხველს ფრჩხილებში ჩასვა: "ე. ი. ახ. წ. პირველ საუკუნეში". ეს აწყობს პროფ. ო. ლორთქიფანიძეს, რადგან ამ სიყალბეზე აშენებს სხვა ბრალდებებს: მითრა ახ. წ. I ს. სასანელთა ღვთაებად არისა გამოცხადებული, ნამდვილად კი პართიისა უნდა თქმულიყოვ; ე. ი.

სამწუხარო ანაქრონიზმი "აღმოაჩინა" — სასანიდები ახ. წ. I საუკუნეში ქართულ ქეოლოგიურ ლიტერატურაში და, საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში გვიანტიკური ხანა ახ. წ. I-III საუკუნეშია და ის სრულდება ახ. წ. III ს. ბოლოს ან IV ს. პირველ ნახევარში; ე. ი. რეცენზენტს თავის სასარგებლოდ "შეეშალა" ორი-ორნახევარი საუკუნე მაინც. ამ "საკითხებში" ჩახედულმა რეცენზენტმა ის მაინც უნდა იცოდეს, თუ როდის მოვარდება საქართველოში გვიანტიკური ხანა, რას მოიცავს ე. წ. გარდამავალი საფეხური და როდის იწყება აღრინდელი ფეოდალური ურთიერთობა. შესაძლოა, მე ბევრს მოვითხოვ რეცენზენტისაგან. კარგი და პატიოსანი, მაგრამ არქეოლოგის კი მაინც ხომ უნდა ცოდნოდა, რომ "ნარკვევებიდან" აქ მოტანილ ამონაწერში ნახსენები "ბორისა და არმაზისხევის თსები" არ ეკუთვნიან მაინცადამაინც ახ. წ. I საუკუნეს.

ამრიგად, არც ახ. წ. I საუკუნე უნდა იყოს და არც — "პართია". უნდა იყოს ისე, როგორც "ნარკვევების" სწერია. მითრას ხსენება სასანელებთან სრულიად არ არის ანაქრონიზმი და, სადაც მითრაზე საუბარია, სავალდებულო სულაც არ არის მაინცადამაინც, პართიაზე ვილაპარაკოთ. ამ მოსაზრების შესამაგებლად მე მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიტან პროდ. მ. დიაკონოვის ზემოთ მითითებული წიგნიდან სადაც ნათქვამია: «Как единодушно отмечают все современники — византийские, сирийские, армянские авторы, огромную роль в официальном сасанидском культе играло поклонение солнечному божеству Митру (Митре)».

ვეჭრობ, მკითხველისათვის აშკარაა მითრას კულტის სიძველესა და მისი როლი სასანიანთა ეპოქაშიაც. შესაბამისად, რეცენზენტის პრეტენზიები უადგილოა.

20. არ არის მართალი რეცენზენტი, როდესაც წერს: "ზოგჯერ ისეთი ნივთის სახელწოდებაც კი არაა სწორად დასახელებული, რომლის საფუძველზე მთელი თეორიაა აგებული" ("ციცარი", 10, 155). "ნარკვევების" 726-ე გვერდზე გრძელდება საუბარი ანტიკური ხანის ქანდაკებათა ნიმუშების, კერძოდ, მრგვალი ქანდაკების შესახებ. მიუღვამელი მკითხველი ავდილდ შენიშნავდა, რომ მრგვალი ქანდაკების მცირე ფორმათა მოსალოდნელი არსებობის ვარაუდისას (ამას ნიშნავს "ნარკვევების" ჩემი სიტყვები: "ზოგიერთი ნიშანი", "რაღაც საფუძველი", "იმას უნდა

ანდრია ავაშიძე
ანტიკური ხანის საპართიველთა კულტურის საპრობლემი.

რული ნორმების დარღვევის შემთხვევებიც“ („ციცარი“, 10, გვ. 156). ო. ლორთქიფანიძეს შოაქეს მაგალითიც. თურმე „ნარკვევების“ 741-ე გვერდზე პროფ. მ. მაქსიმოვას ვახსენებ, „მაგრამ არა დასახელებული გლობტიკის ქართული (Sic) სპეციალისტის მარგ. ლორთქიფანიძის გამოკვლევა ამავე საკითხზე...“ (იქვე). რა თქმა უნდა, პროფ. მ. მაქსიმოვასთან მარგ. ლორთქიფანიძის დაპირისპირება ცოტა უხერხულადია; არც იმის ცნაა საკადრისი, რომ „ნარკვევების“ ავტორის ქართული ავტორების უგულებელყოფა დააბრალო და ამ გზით შორს დაეშინა. მკითხველი ადვილად მიხვდება ამ ფანდელის აზრს და მეც ამაზე ვწყვეტ სუბარსს. მკითხველი შენიშნავდა, რომ გლობტიკური ძეგლები არ გამხდარა „ნარკვევებში“ სივანგებო განხილვა-დახასიათების სავანად; მათ ცალკე პარაგრაფიც კი არ დათმობია (ამას თავის მიზეზი აქვს). ამიტომ, თუ ავტორად გლობტიკისადმი მიძღვნილი ნაშრომები ვერცად არ ვახსენებ, ეს ვასაგები უნდა იყოს. აქ არც ავტორთა ეროვნულ კუთვნილებას აქვს მნიშვნელობა და არც ბიძაშვილობას. ო. ლორთქიფანიძის მიერ მითითებულ გვერდზე (741) მე ვანუგავებო საუბარს ქიქათომ ქმედების შესახებ და ლურჯი მინისაგან ჩამოსხმულ მრავალწახნავა საბეჭდავებს ვახსენებ, ვითარცა ქიქათომ ქმედების ნაწარმს — და, ბუნებრივია, ვუთითებ პროფ. მ. მაქსიმოვას ნაშრომს, იმის გამო, რომ საქართველოში აღმოჩენილი მინის ლურჯი მრავალწახნავა საბეჭდავები პირველად მან გამოიკვლია და, თანაც, შესაძლებლად მიიჩნია დამევა მათი ადგილობრივ დამზადება (ჩამოსხმა). ეს უნდა შეენიშნა ო. ლორთქიფანიძესაც. სხვა არა იყოს რა, შეშვიდე პარაგრაფს (738-746) სათაურად აქვს „ქიქათომქმედება“ და არა გლობტიკა. ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ქიქათომქმედების დახასიათების თვალსაზრისით ფრიად საინტერესო მოსაზრებების პირველად გამოთქმვლის მითითება. ვიმეორებ, ვიხილავ ქიქათომქმედების საკითხებს, ხოლო მარგ. ლორთქიფანიძის ნაშრომებში გლობტიკის საკითხებია ვაშუქებული და არა სპეციალურად ქიქათომქმედება. ამას ვარდა, „ციცარის“ მკითხველისთვის არ უნდა დავმალო ო. ლორთქიფანიძეს, რომ „ნარკვევების“ 755-ე გვერდზე მითითებულია მარგ. ლორთქიფანიძის 3 წიგნი. ესაა უფულებელყოფა? ამასთანვე, „ნარკვევების“ საჯარო განხილვისას მე მოვახსენე რეცენზენტს მარგ. ლორთქიფანიძის ზოგიერთი ნაშრომის მიუთითებლობის ფრიად არსებითი მიზეზი (ახლა ამაზე არაფერს ვიტყვი, რომ რეცენზენტს ყურადღელო ჩემი ზეპირი პასუხი და „ციცარის“ ფურცლებზე არ გაემეორებინა ეს ბრალდება). მარგ. ლორთქიფანიძე იმეორებს პროფ. მ. მაქსიმოვას მოსაზრებებს მცხეთაში გლობტიკურ სახელისნოთა არსებობის შესახებ; ზუსტად ვადმოსცემს იმის

დასვენებს, თითქმის სიტყვა-სიტყვითა აქვს ვადმოქართულებული ამ მეცნიერის შეხედულებანი ე. წ. რომაულ საქარონე ბეჭდელთა შესახებ; სხვ., მაგრამ არ უთითებს მ. მაქსიმოვას ნაშრომებს. ისე ვამოდის, თითქოს ყველაფერი ეს მარგ. ლორთქიფანიძეს ეუთვონოდეს და არა მ. მაქსიმოვას („საქ. მუხ. ვეგმები“, II, გვ. 8, 14, და სხვ.). ეს სამწუხარო გაუგებრობად მივიჩნიე და მიზანშეწონილად არ ჩავთვალე ამ საკითხებზე „ნარკვევებში“ შეჩერება.

ო. ლორთქიფანიძე თავის მიერ შეთხულებულ ბრალდებას „ამაგრებს“ კიდევ სხვა მაგალითით; ის წერს: „ქსენოფონტის“ ანაბასის“ დამოწმებულია 1951 წლის რუსული გამოცემის მიხედვით და არაა რატომღაც მითითებული სივანგებო ქართული გამოცემა, რომელიც თ. მიქელაძეს ეუთვონის“ („ციცარი“, 10, გვ. 157). ისევ სამწუხარო, მაგრამ შორს გამიზნული დაპირისპირება რუსული და ქართული გამოცემებისა. რა პრინციპული მნიშვნელობისა, ან რაღამ არის კოლეგიალური ეთიკის დარღვევა მივუთითო რუსული, უფრო სრული და ადრინდელი გამოცემა, რომელიც ტექსტის წერისას ხელთმჭონდა და არა საგრძნობლად მოკლე — ბელთული, რომელიც ამ დროს გამოსული არ იყო? თ. მიქელაძის არაერთი ნაშრომი მე მითითებული მაქვს და აუცილებელი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ქსენოფონტისაც მის მიხედვით მიუთითებდნენ. ბრალდებაში მთავარი გვაყარა არ არის — მადანაშაულებზე ქართული ავტორის მიუთითებლობაში. ეს უფრო მიძევა, მაგრამ უფრო უსაფუძვლოც. ო. ლორთქიფანიძეს ყურადღებიდან გამოჩრა, რომ მე ვსარგებლობ ქსენოფონტის ივ. ჯავახიშვილისეული ქართული თარგმანით და ვაქვეყნებ მას. ო. ლორთქიფანიძეს არ უნდა დავმალო „ციცარის“ მკითხველისთვის, რომ მე ჯერ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომს ვუთითებ, ხოლო შემდეგ, პროფ. მ. მაქსიმოვას გამოცემის რუსულ ენაზე (შტრ. მა. „ნარკვევები“, გვ. 709, სქოლიო 2, სადაც მითითებულია: „ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 28; Ксенофонт. Анабасис. М. П., 1951, გვ. 131, 136“).

ერთი სიტყვით, „დადრობა არა ხელ არს კაცთა პატიოსანთა“!

24. ო. ლორთქიფანიძის ბერძნული დაიპროს ეს სქელტანაინი წიგნი, ითვალის და ითვალის კორექტურული შეცდომები, ამქვეთა და ავტორის საკოლეგიალური მხარეები და იმედროს ვეგრდო აუაროს ამ წიგნის ათას სიხალეს, ათას სიკეთეს — საქმით დაინტერესებულის, კეთილისმოსურნისა და მეცნიერების გულწრფელი მსახურისათვის საკადრისი არ

ანდრია ავაქიძე
 ანტიკური ხანის საპარტიველო კულტურისა
 საკითხები.

არის. იმისათვის, რომ ამ დასაწინააღმდეგო მდგომარეობის მტერი „დამაჩერებლობა“ მიეცა, ო. ლორთქიფანიძემ, რაც შეიძლება და რა გზითაც მოახერხა, იღონა სახელი გაეტეხა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I წიგნისათვის; ჩრდილო მიუყენებინა ქართული არქეოლოგიის განვითარების ახლანდელი დონისათვის; შეგნებულად დაემახინჯებინა სიმართლე და შეცდომაში შეყვანა „ციცკარის“ მკითხველი. ო. ლორთქიფანიძემ თავის განზრახულობათა მისაღწევად გამოიყენა შეუფერებელი ხერხები, ეპითეტები, კვალიფიკაციები, თანაც, ისე უხვად, რომ თითქმის ყოველი წინადადებადან მოისმის „დაბალი დონე“, „არასერიოზული არგუმენტაცია“, „შეცდომებით დამძიმება“, „სამწუხარო გაუგებრობა“, „მიტმანება“, „დეკლარაციული განცხადებები“, „მოძველებული შეხედულებანი“, „მეტად სამწუხარო გაუგებრობა“, „მცდარი და უსაფუძვლო კრიტიკიზმი“, „ალოგურიზმი“, „გულუბრავილო ჰიპოთეზა“, „უფერულად და უსახურად წარმოდგენა“, „ერთი ხელის მოსმით დათარიღება“ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ, მაგრამ ამაზე შეჩერება არა ღირს. ამ მხრივ უთუოდ „მდიდარ“ მხარეს რეცენზიისას ეტოვებ უპასუხოდ; რჩება ყველაფერი ეს ო. ლორთქიფანიძის ლექსიკურ ფონდში, ალბათ სამუდამოდ! ო. ლორთქიფანიძის ვარჯიში „ციცკარის“ ფურცლებზე აღმოჩნდა ფრიად კარგი ილუსტრაცია იმისა თუ ნამდვილად როგორ არ უნდა იწერებოდეს რეცენზია. „ციცკარის“ მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა მიზნებითა დაწერილი ეს რეცენზია, ვისთვისაა საჭირო და საქმისათვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას*.

*. სხვა შეცდომებიცაა რეცენზიაში, მაგრამ „ციცკარის“ რედაქციის წინადადებით, ისედაც მოიხიბა ჩემი პასუხის განახევრება და, ცხადია, ყველაფერს ამჯერად ვერ შევეცები. რეცენზენტს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მე, ისე-

მკითხველი ნახავს, რომ „ნარკვევების“ ტომში ფართოდ აისახა ქართული საბჭოთაო არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, ეს, ჩემის აზრით, ამ წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნებელი მხარეა და თანაც, ქართული არქეოლოგიის წარმატების მაჩვენებელიცაა.

ქართველი არქეოლოგების მუშაობამ, ქართული საბჭოთაო არქეოლოგიის განვითარებამ მაღალი შეფასება მიიღო საქართველოს კ XXIV ყრილობაზე ამხანაგ ვ. მჭავანაძის მოხსენებაში. მეცნიერების ამ დარგის მუშაობის თავდადებათ შრომობენ, რომ გაამართლონ ეს დაფასება, კიდევ უფრო გაამდიდრონ ეროვნული კულტურის უნიკალური ფონდები, საქვეყნოდ ცნობილი გახადონ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მარჯვენის ნახელავი, უკეთ მოუარონ და დაიცვან ისინი. ამ დიდ ეროვნულ საქმეს ხელის შეწყობა უნდა და არა სახელის გატეხის ცდა; საერთო მხარდაჭერა და საქმიანი ატმოსფეროს შექმნა უნდა. აკრძალული იღეთები მეცნიერების წინსვლას ხელს შეუშლის და ვისაც ეს აინტერესებს, იმან სხვა სარბიელზე უნდა სცადოს თავისი ძალები.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვა-ტომეული საბატიო ადგილს დაიკავებს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკითხველის წიგნის თაროზე. ახლა ავტორთა კოლექტივის ამოცანაა გულდასმით ეიმუშაოს და გაეუმჯობესოს ტექსტი, დაეხვეწოს ის და გაეასწოროთ ნაკლოვანი მხარეები. ეს საშუაო და საბატიო მოვალეობაა. ავტორთა კოლექტივის ამ მხრივ-მხარდაჭერა სჭირდება. მიუდგომელ მკითხველს ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

ვე, როგორც ყველას, უფლება მაქვს მჭონდეს საკუთარი შეხედულება „ნარკვევებში“ აღბრუნებული საკითხებზე და ო. ლორთქიფანიძის მცდელობა მიინტერესებს თავისი აზრით მოახვიოს თავს „ნარკვევების“ ავტორს, სულ ცოტა — უცნაურია.



პსკიკან

აშშ

შირლი მს გრაუს ახალი რომანი

თვალსაჩინო ამერიკელი მწერალი ქალის შ. ე. გრაუს სახელი საბჭოთა მკითხველისათვის ცნობილია მისი წინა რომანით „სახლის მცველი“ („ინოსტრანინია ლიტერატურა“, 1969 წ. მე-3, მე-4). ამ რომანს 1964 წელს აშშ-ს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო — პულიტცერის პრემია მიენიჭა.

ყოველკვირეულ „ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუში“ დაიბეჭდა რეცენზია შ. ე. გრაუს ახალ რომანზე „კონდორი“.

რომანი ერთი ოჯახის ამბავს მოგვითხრობს, გვიხატავს როგორ გროვდებოდა, იხარჭებოდა და ბოლოს როგორ განაწილდა მემკვიდრეებში ქალაქ ორლიანის ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქის თომას მენდის ოლივერის ქონება. ოჯახის პატრიარქი თ. პ. ოლივერი საქვეურო მორალური თვისებების მქონე პიროვნებაა, იგი ძლიერი აღამიანია, მან გზა გაიკაფა და მაგრად დგას მიწაზე. მაგრამ მის შვილებს ალარ მოსდგამთ მამის ძალმოსილება, მამის ქონებასაც მათთვის ბედნიერება არ მოაქვს. შვილიშვილებიც ასევე: ერთი — მათგანი ავადმყოფურად მორჩმუნეა, მეორე — დაავადებულია. ერთადერთი, ვინც ამ საერთო უბედურებიდან უვნებლად გამოდის, ზანგი მსახური ტენილია. ოლივერის საქმეთა განმგებელი. ანდრე-მით ქონების ნაწილი რომ მიიღო ხანგრძლივი, ერთგული სამსახურისათვის, ამას სტენლი ბუნებრივად თვლის, იმიტომ რომ, ასე მსჯელობს „ჩემი პატრო-

ნი ბებერია და სურს, მუდამ მასთან ვიყო. მე მისი შიკრიკი ვარ და ჩემი ფრთები ოქროთია სავსე“. სტენლის მხედველობაში აქვს ძველი ინდიური თქმულება, რომლის მიხედვითაც კონდორები საიქიოში ადამიანთა წარგზავნილებად ითვლებიან. მათ ფრთებს ოქროთი უვსებდნენ და მარხავდნენ პატრონებთან ერთად, რადა ამოთ ფულით თან ჰქონოდათ. ამ მეტაფორით შ. ე. გრაუს კიდევ ერთხელ აღნიშნავს, თუ რა რთული და მყარია ურთიერთობანი, რაც ამერიკის სამხრეთის თეთრკანიან და შავკანიან ადამიანებს უპირისპირებს ერთმანეთს.

„შ. ე. გრაუს რომანი — წერს ყოველკვირეულის რეცენზენტი — შესანიშნავი დეტალების ბრწყინვალე კომბინაციაა, სადაც ყველაფერი დამაგვირგვინებელ მეტაფორაშია გაერთიანებული“. აქვე აღნიშნულია, რომ რომანი თითქმის უნაკლოა და, რომ „მწერალ ქალს ძალუძს მაღლა ფრენა“.

გვრ

ინტარპიუ ჰაინრიხ ბიოლტანს

გურ-ში გამოიკა მ. ბიოლის ახალი რომანი „გჟუფური პორტრეტი ქალითურთ“. ამხსთან დაკავშირებით ყოველკვირეულ „დიკაიტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ცნობილ მწერალს. „დიდხანს მუშაობდით ახალი რომანის შექმნაზე?“ — მკითხა კორესპონდენტმა მწერალს. „საკმაოდ, — მიუგო ბიოლმა — ერთ წელზე ცოტათი მეტ ხანს, რომანის გეგმა დიდი ხანია

მწიფდებოდა. მე მსურდა მომეხზო ორმოცდაათ წელს მიღწეული ქალის შესახებ. ამ პერსონაჟის ზოგერთი შტრიხი წინა რომანებშიაც მქონდა... მე მუდამ ვცდილობდი არ გამეყოლო მეკვარი ზღვარი დადებით და უარყოფით გმირებს შორის. არ ვიცი, ახალ რომანში რამდენად შევძელი ეს. ისე კი, ვცდილობდი მთავარი გმირი ქალი არც დადებითი გამოსვლოდა და არც უარყოფითი“.

კითხვაზე, თუ როგორ იქმნებოდა რომანი, ბიოლმა თქვა: „ვცდილობდი სამართლიანი ვყოფილიყავი ჩემი გმირების მიმართ, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ რომელიმე სიმათიური პერსონაჟი უცებ აპასიმათიურად მეჩვენებოდა, და პირიქით. ცოტათი კიდევ შევშინდი, როცა მოქმედ პირთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო გაიზარდა; ახლები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ძალიან ხშირად ხელსაც კი მიშლიდნენ, ზოგჯერაც გამოჩენისთანავე ქრებოდნენ, ანდა საჭირონი ალარ იყვნენ. მაშინ თვს, ვიკრძნენ ყველას თავს ვერ გავართყვედი და წერტილიც დასვაი.“

რომანში მოქმედების კონკრეტული ადგილი არ მინიშნუნიებია, იმეტომ, რომ მაგონა, როცა კიოლენს, ბერლინს. ან რომელიმე სხვა ქალაქს ახსენის, მკითხველი მაშინვე წარმოიდგენს განსაზღვრულ ვარემოს, ეს კი არ მინდოდა, მე მიმართინა, რომ რომანში დოკუმენტურობა თვით მოქმედებაზე უნდა შექმნას. საერთოდ. მე დოკუმენტური ლიტერატურის მომთაყვანე განსაზღვრულ და, რომ შეეძლო, რეპორტაჟებს დავწერდი, მაგრამ ასეთ რამეზე ისე ბევრი დრო მეხარ-

ჭება ხოლმე, რომითაც ვერ ვაძლევ ამის უფლებას. მაინც იმედი მაქვს, რომ დავწერ დიდ რეპორტაჟს, მაგალითად, რომელიმე დიდ მაღაზიაზე. ასეთი რეპორტაჟი ალბათ უფრო მეტ დროს წამართმევს, ვიდრე რომანის დაწერა“.

„საზოგადოებრივი საქმიანობით ასე რომ ხართ დაკავებული, როგორ გამოახავთ ხოლმე დროს დიდი ნაწარმოებების შესაქმნელად?“ — კითხა კორესპონდენტმა.

„მგონი, ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე გადაჭარბებული წარმოდგენაა შექმნილი. მე ხომ არც ისე ხშირად ვამბობ სიტყვებს და მაინცდამაინც არც კრებებზე ვარ გადაგებული. საერთოდ კი, ჩვენს დროში მოცალეობა ძალიან მწვევე პრობლემაა იქცა. უკველმწერალს მსახიობსა თუ სხვა მოღვაწეს, ჩემის აზრით, ძალიან უშლის ხელს რეკლამა, საზოგადოების ზედმეტი ყურადღება. მე, მაგალითად, როცა რომელიმე რესტორანში ან კაფეში მქადარს ხალხი შემიც-

ნობს, ადგომა და გასვლა მომინდება ხოლმე. ვფიქრობ, მომავალში მწერლისათვის მთავარი იქნება საკუთარი თავსა და დროზე შეუფხვება. პოპულარულობისა და მატერიალური კეთილდღეობისაგან თავშეკავება, წარმატების მაღლე მიღწევისაგენ ღტოლვის დათმენა“.

რუმინეთი

წიგნი ბუნინის შესახებ

გაზეთ „რუმინია ლიტერარემ“ დაბეჭდა რეცენზია ტატიანა ნიკოლესკუს წიგნის „ივან ალექსევიჩ ბუნინის“ შესახებ. ეს წიგნი ბუქარესტის გამომცემლობა „უნივერსმა“ გამოსცა. ეს არის მეცნიერული მონოგრაფია გამოჩენილ მწერალზე, შეიცავს ახალ საინტერესო ფაქტებს მისი ცხოვრებისა და მისი თანადროული ლიტერატურის შესახებ. ავტორი ბუნინის „დრამატული ბედის მწერალს“ უწოდებს, მისდევს მისი ცხოვრების პერიპე-

ტიებს: პიროვნების ფორმირება, მწერლის დაბადება... გაანალიზებულია მწერლის დამოკიდებულება ტოლსტოისთან, დოსტოევისკისთან, ჩეხოვთან, გორკისთან... ბუნინის საუკეთესო ნაწარმოებებს ავტორი ცალკე თავებს უთმობს და ასე ასათურებს: „არსენივის ცხოვრება“, „ტრამალი“, „სოფელი“... კარგადაა გაანალიზებული „სანფრანცისკოელი ბატონი“, რომელსაც ტ. ნიკოლესკუ ტოლსტოის „ივან ილიჩის სიკვდილს“ ადარებს. მეკლევარი ზედავს და აღნიშნავს ბუნინის ნაწარმოებებში ძველი რუსეთის პოეზიას, მის ისტორიას. ტ. ნიკოლესკუ თვლის, რომ ბუნინმა ვერ გააკეთა სწორი არჩევანი, როცა რევოლუციის ქარტახლის თამს საზღვარგარეთ წავიდა.

წიგნი, როგორც რეცენზია აღნიშნავს, მიუხედავად მეცნიერული ხასიათისა, ლაღად, ლამაზადაა დაწერილი, გამთბარია დიდი რუსი მწერლისადმი სიყვარულით, და დიდად საინტერესო საკითხავია.

გარეანის I გვ.-ზე ნახ. დ. ერისთავის.

ტექნიკური ხელმძღვანელი კ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განუოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლებანოვის პრ. № 91.


ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ/მგ. მდივნის — 95-08-35. განუოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 17/III/72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV/72 წ., ქალაღლის ზომა 70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 1025. უე 01829. ტირაჟი 32 800.

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანი 60 კპპ.

საქართველოს
საბჭოთავო
კულტურის
მინისტრო



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236